

ს. ა. ტერნოვსკი

მატლმედიდელი უკლესის
აღმსახურების საპაფრიატეში
(IX საუუნეში)

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

**Eastern Patriarchates of the Orthodox Church
(Including the 9th Century)**

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY

PUBLISHING HOUSE

TBILISI 2017

თბილისის სასულიერო აკადემია

მართლმადიდებელი ეკლესიის
აღმოსავლეთის საკათრიარქოები
(IX საუკუნეში)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და

სემინარიის გამომცემლობა

თბილისი 2017

ბიბლიური გეოგრაფიის ცოდნა აუცილებელია წმინდა წერილის ჯეროვნად გაგებისათვის. წინამდებარე წიგნში სწორედ ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები არის განხილული. ასახულია აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ეკლესიების ისტორია – მოთხრობილია იერუსალიმის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების, ასევე, სპარსეთისა და კვიპროსის ეკლესიების შესახებ. ნაშრომი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ სასულიერო სასწავლებლის სტუდენტებისათვის.

In order to understand the Holy Scriptures properly, it is also indispensable to learn Biblical Geography. The present book precisely suggests the discourse on the problems of historical Geography of Early Middle Ages. It gives a survey of history of the Churches in Eastern Christian countries: Characterised in this edition are the Patriarchates of Jerusalem, Alexandria, Antioch and Constantinople, also, the Churches of Persia and Cyprus. The work is classified as a supplementary text-book for the students of the Theological school.

© თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

ISBN 978-9941-9258-9-4

მთარგმნელი

ნორა გაბრიადზე

რედაქტორი

თამარ ჩუბინიძე

რეცენზენტი

დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია
თეოლოგიის დოქტორი

TRANSLATOR

NORA GABRIADZE

EDITOR

TAMAR CHUBINIDZE

REVIEWER

Doctor of Theology
Archpriest MAKSIM CHANTURIA

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორის წინასიტყვა	7
იერუსალიმის საკათრიარქო	11
მეორე პალესტინა	17
პირველი პალესტინა	34
მესამე პალესტინა	77
ალექსანდრიის საკათრიარქო	81
ანტიოქიის საკათრიარქო	105
არაბეთის პროვინცია	109
დასავლეთის პროვინცია	110
სირია	119
მეორე სირია	131
კილიკია	133
ისავრია	140
ანტიოქიის საკათრიარქოს	
აღმოსავლეთის პროვინციები	141
კვიპროსის ეკლესია	157
სპარსეთის ეკლესია	161
კონსტანტინოპოლის საკათრიარქო	167
კონსტანტინოპოლის საკათრიარქოს დაარსება	173
პონტოს დიოცეზი	178
აზიის დიოცეზი	203
თრაქიის დიოცეზი	243

რელაქტორის წინასიტყვა

წინამდებარე წიგნის ავტორი, სერგეი ალექსანდრეს ძე ტერნოვსკი (1848-1916), იყო ცნობილი მეცნიერი – ეკლესიის ისტორიის დოქტორი, ებრაული ენისა და ბიბლიური არქეოლოგიის კათედრის პროფესორი ყაზანის სასულიერო აკადემიაში. ის დაიბადა მოსკოვში, მოძღვრის ოჯახში. 1871 წ-ს დაასრულა კიევის სასულიერო აკადემია. იყო პალესტინის მართლმადიდებელი საზოგადოების წევრი და ჟურნალ „პრაოსლავნი სობესედნიკის“ რედაქტორი. 1893 წ-ს იგი მივლინებით გააგზავნეს იერუსალიმში ებრაული ენის სრულყოფისათვის. ტერნოვსკი სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მას მრავალი გამოკვლევა ეკუთვნის, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: 1. XVIII ს-ის ძეგლი „იკონა“ – Икона – წინასიტყვაობითა და ვრცელი გამოკვლევით: Архив Юго-Западной России, ч.1, т.5, Киев, 1872. ამ შრომისათვის მას მიენიჭა ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხი. 2. „საეკლსიო გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის ნარკვევები“ – Очерки по церковной географии и этнографии. Православный собеседник. 1876. 3. „მსოფლიოში გაფანტული იუდეველები და მათი რელიგიური პროპაგანდა“ – Иудеи рассеяния и их религиозная пропаганда, ibid, 1881, n.2. 4. „წმ. ეფრემ ასური“ – Св. Ефрем Сирин, ibid. 1884. 5. „წმ. ათანასე ალექსანდრიელი“ – Св. Афанасий Александрийский. ibid. 1885. 6. იერუსალიმის პატრიარქი უძველეს დროში – Патриарх Иерусалимский в древнее время, ibid 1886. 7. „კარობის დღესასწაული ებრაელებში“ – Праздник кушей у Евреев, Казань, 1890. 8. „ბიბლიური სიძველენი“ – Библейская старина, Чтения, вып.56-63, 1900. 9. „ისტორიული ჩანაწერი ყაზანის სასულიერო აკადემიის მღვდმარეობის შესახებ მისი გარდაქმნის შემდეგ“ – Историческая записка о состоянии Казанской духовной академии после её преобразования, Казань, 1892. 10. სტატიათა კრებული ძველი აღთქმის შესახებ – Сборник статей по Ветхому Завету, Казань, 1898. 11. „მართლმადიდებელი ეკლესიის აღმოსავლეთის საპატრიარქოთა რეგიონები მე-9 საუკუნემდე“ – Области восточных патриархатов православной церкви до 9-го века, Казань, 1899. 12. „სიტყვა „იერუსალიმის“ მნიშვნელობა“ – Значение имени Иерусалим, Казань, 1907. 13. „იერუსალიმის სხვადასხვა დასახელება ბიბლიაში“ – Различные названия Иерусалима в Библии, П.С. 1912, n.6. 14. „ბიბლიური ხანის იერუსალიმის ტოპოგრაფია“ – Топография Иерусалима библейских времён, П.С. 1912, n.12. 15. „ცხოვრების გარეგანი პირობები პალესტინაში“ – Внешние условия жизни в Палестине, Саратов, 1914. 16. „ზოგიერთი ფსალმუნის განმარტება“ – Изъяснение некоторых псалмов, Казань, 1915.

ამ ნაშრომთა შორის გამორჩეულ ადგილს იკავებს ცნობილი წიგნი

„მართლმადიდებელი ეკლესიის აღმოსავლეთის საპატრიარქოები“. ეს არის პირველი რუსულენოვანი გამოკვლევა ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის შესახებ. ნაშრომი გვაძლევს ისტორიულ მოვლენებსა და გეოგრაფიაში ორიენტაციის საშუალებას ქრისტიანობის პირველი ცხრა საუკუნის განმავლობაში. აქ აღწერილია აღმოსავლეთის საპატრიარქოების: იერუსალიმის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის, კვიპროსისა და სპარსეთის ეკლესიათა ტერიტორიები; მოთხრობილია საპატრიარქოების ურთიერთობათა შესახებ, მათ ადმინისტრაციულ დაყოფაზე, შიდა ისტორიასა და საისტორიო-საეკლესიო ღირსშესანიშნაობებზე. პალესტინის აღწერისას ავტორი სარგებლობს არა მხოლოდ ქრისტიანული, არამედ ებრაული საისტორიო წყაროებითაც, მათ შორისაა იოსებ ფლავიოსის ისტორიული ტრაქტატები და თალმუდი. წიგნში დეტალურად არის წარმოდგენილი უძველესი ტოპონიმოკა, აღწერილია თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ყველა რეგიონის ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები. გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს ახლო აღმოსავლეთის ადრექრისტიანული ისტორიის შესწავლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა ამ წიგნის დაწერიდან, მას მნიშვნელობა არ დაუკარგავს. გეოგრაფია და არქეოლოგია ისტორიული ფაქტების კვლევისას ფუნდამენტური დასაყრდენებია, რამდენადაც წარსულის ნებისმიერი მოვლენა ხდება ისტორიულ სივრცესა და ისტორიულ დროში. ამ დამხმარე სახელმძღვანელოს მიზანია, განიხილოს ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები აღმოსავლეთის ქრისტიანული კულტურის ქვეყნებში. უმნიშვნელოვანეს ისტორიულ პრობლემას წარმოადგენს ანტიკური წარმართული ქალაქის ტრანსფორმაცია შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქალაქად – ცვლილებები ტოპოგრაფიაში, ცვლილებები ტოპონიმოკაში, საეკლესიო ნაგებობების ჩართვა ქალაქის არქიტექტურულ ქსოვილში, წარმართული ტაძრების ბედი, ქალაქში სასაფლაოების გაჩენა და სხვ. ნაშრომში ყოველივე ამის შესახებ საინტერესოდ არის მოთხრობილი.

ბიბლიური გეოგრაფიის ცოდნა სრულიად აუცილებელია ისტორიული მოვლენების ჯეროვნად შეფასებისათვის. ეკლესიის ისტორიის შესწავლისას საჭიროა განსაკუთრებული, სპეციფიკური გეოგრაფიული ცოდნის ფლობა. ეკლესიის ისტორიის შემსწავლელისთვის არც იმდენად მნიშვნელოვანია ინფორმაცია დედაქალაქებისა თუ საწარმოო ცენტრების, ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებთა გარეგნული კეთილდღეობის შესახებ, რამდენადაც ცოდნა უდაბნოებსა და მონასტრებზე, ტაძრებსა და მოსახლეობის ღვთივსათნოების შესახებ; წარმოდგენა იმ ადგილების შესახებ, რომლებიც ხშირად თითქოს არაფრით იყო გამორჩეული, მაგრამ იქ ცხოვრობდნენ ეკლესიის დიდი მამები. ჩვეულებრივი გეოგრაფიის სახელმძღვანელოები ვერ გავცემენ პასუხს იმაზე, თუ სად მოსაგრებოდნენ, მაგალითად, თეოდორიტე კვირელი, კოზმა

მაიუმელი, სპირიდონ ტრიმიფუნტელი. . .

ბიბლიური გეოგრაფიის ცოდნა იმთავითვე მიიხნეოდა აუცილებლად წმინდა წერილის ჯეროვნად გაგებისათვის. ჯერ კიდევ პირველმა საეკლესიო ისტორიკოსმა ევსევი კესარიელმა და წმინდა წერილის ცნობილმა განმმარტებელმა ნეტარმა იერონიმემ, დაგვიტოვეს თხზულებები ბიბლიური გეოგრაფიის შესახებ. ძველადოქმისეული გეოგრაფია ბუნებრივად გრძელდება ახალი აღთქმისა და ქრისტიანული ეკლესიის გეოგრაფიაში, ეს არის ნიშანი ღვთაებრივი ჭეშმარიტების უწყვეტობისა. მრავალმა საუკუნემ ჩაიარა ქრისტეს შობიდან, მოხდა უამრავი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში. მათ გასაანალიზებლად საჭიროა სათანადო საეკლესიო გეოგრაფიის სახელმძღვანელოს არსებობა. წინამდებარე თარგმანი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

წიგნში წარმოდგენილია აღმოსავლეთის დამოუკიდებელი ეკლესიები: იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის, სპარსეთის, კვიპროსისა და კონსტანტინოპოლის. ამ ეკლესიათა შორის არ მოჩანს საქართველოს ეკლესია. ეს გასაგები ხდება, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაშრომის შედგენისას, მე-19 საუკუნის ბოლოს, საქართველოს ეკლესია, როგორც ასეთი, აღარ არსებობდა – რუსეთმა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა ისევე, როგორც აღარც თავად საქართველო ითვლებოდა ქვეყანად, ის რუსეთის გუბერნიად იყო ქცეული.

ნაშრომის თარგმნისა და რედაქტირებისას განსაკუთრებით რთული შეიქნა ტოპონიმთა ქართულ ენაზე გადმოტანა. ტოპონიმიკა, როგორც ვიცით, ენათმეცნიერების ერთ-ერთ ვრცელ განშტოებას წარმოადგენს. ტოპონიმთა მონაცემებს ფართოდ იყენებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ისტორიული გეოგრაფია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა. ტოპონიმია მნიშვნელოვანი წყაროა ამა თუ იმ ხალხის ისტორიის დასადგენად. ტოპონიმები ორგვარი ბუნებისაა, მათში, ერთი მხრივ, კარგად არის შემონახული არქაიზმები და დიალექტიზმები – განსაკუთრებით ეს მთებისა და წყლების სახელებს ეხება, მეორე მხრივ კი, ტოპონიმები მუდმივ ცვალებადობას განიცდის – ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების ცვალებადობის შესაბამისად. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ჩვენს დროში უამრავი გეოგრაფიული ადგილის სახელწოდების შეცვლა: პეტერბურგი, პეტროგრადი – ლენინგრადი – პეტერბურგი, ცეილონი – შრი-ლანკა, რაგუზა – დუბროვნიკი, იურიევი – ტარტუ, კორომო – ტოიოტა და მრავალი სხვა. ნაშრომში უხვად მოცემული ტოპონიმების ქართულად გადმოტანისას რამოდენიმე სახის დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდით, ესენია: მათი განსხვავებული ფორმა სათარგმნ, ანუ რუსულ ენაზე; თავად ამ ტოპონიმთა სხვადასხვაენოვანი წარმოშობა: ებრაული, ბერძნული, სირიული, ეგვიპტური, კოპტური, ლათინური, სპარსული, თურქული; ფონეტიკური ცვლილებები, რაც ამ სახელებმა საუკუნეთა მანძილზე განიცადეს.

შესაბამისად, დღეს ისინი, შესაძლოა, სრულიად სხვაგვარი ჟღერადობის სიტყვებად წარმოგვიდგეს; დაბოლოს, ძველ ტოპონიმთა ოფიციალური ლიკვიდაცია – სახელთა გადარქმევა სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზით, ეს განსაკუთრებით ეხება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტერიტორიის ტოპონიმებს. დღეს ოდინდელი ბიზანტიის ადგილზე სხვა ქვეყანაა, სხვა ენისა და სხვა აღმსარებლობის ხალხით, რომელთაც ყველაფერს, მთებსა და წყლებსაც კი შეუცვალეს სახელები. ამ ლაბირინთში გზის გაკვლევას დიდი დრო და ენერგია დასჭირდა. ქართულ ენაზე გადმოტანისას, ცხადია, გავითვალისწინეთ როგორც დღევანდელი წარმოთქმის წესი, ისე - ისტორიულად დამკვიდრებული ტრადიცია. ასევე მოვიქვეით პირთა სახელების გადმოტანის დროსაც.

სათარგმნ ტექსტში მოყვანილია სიგრძის ინგლისური და ძველი რუსული ერთეულები: მილი, საუნეი, ვერსი, არშინი, ფუტი. ჩვენ მოვახდინეთ მათი შესაბამისი უნიფიცირება ერთეულთა საერთაშორისო სისტემის მეტრითა და კილომეტრით.

დასასრულს, შევნიშნავთ, რომ წიგნის ავტორს, ს. ტერნოვსკის, ნაშრომის შედგენისას უსარგებლია შემდეგი ლიტერატურით:

1. Wiltsch: Handbuch d. Kirchl.Geogr. und Statistik.
2. Bingamii: Originum sive antiquitatum ecclesiasticarum. Lib.IX.
3. Le Quien: Oriens Christianus.
4. Moritz: Register к церк. истории Штолберга.
5. Реръ: Описание Палестины.
6. Норов: Путешествие по Святой Земле.
7. Норов: Путешествие к семи Малоазийским церквам, упоминаемым в апокалипсисе.
8. Преосв. Порфирий Успенский: Путешествие в Синайский монастырь.
9. Преосв. Порфирий Успенский: Путешествие по Египту и Нубии.

გვსურს, დიდი მადლობა მოვახსენოთ წიგნის რედაქტირებისას გაწეული დახმარებისათვის პროფესორ ნინო მელიქიშვილს და თეოლოგიის დოქტორს, დეკანოზ მაქსიმე ჭანტურიას, რომელნიც გულდასმით გაეცნენ მთელ ტექსტს და მრავალი უზუსტობისაგან დაგვაზღვიეს. ასევე, განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ პროფესორ ენრიკო გაბიდაშვილს, რომელმაც ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია მრავალი საკუთარი სახელისა და ტერმინის ქართულად გადმოტანის საქმეში.

იერუსალიმის საპატრიარქო

იერუსალიმი და პალესტინა ქრისტიანული ეკლესიის პირველი სამშობლოა, სწორედ აქედან დაიწყო ეკლესიის თავდაპირველი ისტორია. მიუხედავად ამისა, იერუსალიმის საპატრიარქო, როგორც საპატრიარქო, სხვებზე გვიან დაარსდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ I საუკუნის 70 წელს იერუსალიმი დაიწვინა და მის ადგილზე აღმოცენდა პატარა, თითქმის სრულიად წარმართული ქალაქი ელია კაპიტოლინა. ამ დროს, როდესაც იერუსალიმის საეპისკოპოსო დაკარგა მრევლი, პალესტინის სულიერი იურისდიქცია ეკუთვნოდა კესარიის მიტროპოლიტს. პალესტინის კესარია იმჟამად იყო პალესტინის მთავარი ქალაქი სამოქალაქო თვალსაზრისით. ეს უფლებები კესარიის მიტროპოლიტებს თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში გაჰყვათ. იერონიმეს¹ წერილიდან პამახიოსისადმი შეიძლება დაგვასკვნათ, რომ პალესტინა იმ დროს ჯერ კიდევ ანტიოქიის არქიეპისკოპოსის საეკლესიო მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. თუმცა არ არსებობს ცხადი მტკიცება იმისა, რომ პალესტინის მმართველი კესარიის მიტროპოლიტი კურთხევას ანტიოქიის პატრიარქისგან ღებულობდა, ანტიოქიის ოლქის სხვა მიტროპოლიტების მსგავსად.

იმ დროსაც, პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, ელია კაპიტოლინას ეპისკოპოსი, იქ და მის შემოგარენში არსებული წმინდა ადგილების გამო, პალესტინაში კესარიის მიტროპოლიტის თანაბარი პატივით სარგებლობდა. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო II საუკუნის დასასრულიდან. ამის დასამტკიცებლად, მაგალითად, შეიძლება მივუთითოთ იმაზე, რომ იერუსალიმის ეპისკოპოსი ნარკისი კესარიის ეპისკოპოსს თეოფილესთან ერთად თავმჯდომარეობდა მთელი პალესტინის ეპისკოპოსთა კრებას ადდგომის დღესასწაულის საკითხზე, და რიგით მეორე ადგილი ეკავა. შემდგომ ორივე ეპისკოპოსმა ერთად აკურთხა ორიგენი მოძღვრად. პაფლეს სამოსატელის ცთომილების გამო გამართულ ანტიოქიის 272 წლის კრების ჩანაწერში იერუსალიმის ეპისკოპოსის, ვიმენესის, სახელი დგას ტარსის ეპისკოპოსის, გელენოსის სახელის შემდეგ და კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსის, თეოტეკნოსის სახელის წინ. ტარსი და კაპადოკი-

1 იგულისხმება ნეტარი იერონიმე, III-IV საუკუნეების მოღვაწე – ასკეტი და საეკლესიო მწერალი, რომელსაც ეკუთვნის ბიბლიის კანონიკური ლათინური ტექსტის თარგმანი (რედ. შენიშვნა).



იერუსალიმი.
აღდგომის ტაძარი, მაცხოვრის საფლავი.

ის კესარია კი მეტად მნიშვნელოვანი ქალაქები იყო. იერუსალიმის საეპისკოპოსოს მნიშვნელობის საჩვენებლად ევსები, კესარიის ეპისკოპოსი², სხვათა შორის, მიუთითებს იმაზე, რომ იერუსალიმში, ისევე როგორც რომში, ანტიოქიასა და ალექსანდრიაში, მოციქულთა შემკვიდრების მქონე ეპისკოპოსთა რიგი არასდროს შეწყვეტილა. 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იერუსალიმის ეპისკოპოსს კანონიკურად დაუდგინეს ღირსების ეს უპირატესობა. თუმცა ეს უპირატესობა მხოლოდ პატივის მაჩვენებელი გახლდათ. უმაღლესი სულიერი იურისდიქცია პალესტინაში მთლიანად ეკუთვნოდა კესარიის მიტროპოლიტს და იერუსალიმის ეპისკოპოსს არავითარი საარქიეპისკოპოსო უფლება პალესტინის სხვა ეპისკოპოსების მიმართ არ გააჩნდა. ის მხოლოდ ყველაზე პატივცემულად ითვლებოდა მათ შორის. ნიკეის მსოფლიო კრებამ, რომელმაც იერუსალიმის ეპისკოპოსს დაუკანონა ღირსების უპირატესობა, ამ წესს იმავე დროს ისიც დაურთო, რომ ამ ღირსების გამო არანაირად არ უნდა შელახულიყო ადგილობრივი (ანუ კესარიის) მიტროპოლიტის უფლებები.

მეოთხე საუკუნეში იწყება იერუსალიმის პოლიტიკური და საეკლესიო მნიშვნელობის ამაღლება, და იმაგდროულად – კესარიის პოლიტიკური და საეკლესიო მნიშვნელობის დაცემა. მეტად ნიშანდობლივია თალმუდში³ გამოთქმული აზრი, რომ ამ თორ ქალაქს არ შეეძლო ერთდროულად აღზევება. „თუ გეტყვიან, ვკითხულობთ თალმუდში, რომ ეს თორი ქალაქი – იერუსალიმი და კესარია – ერთდროულად დაეცა, არ დაიჯეროთ; თუ გარწმუნებენ, რომ იერუსალიმი და კესარია ერთად ჰყვავიან, არც ეს ირწმუნოთ. მაგრამ თუ ვითხრეს, რომ ამ ქალაქთაგან ერთი დაეცა, ხოლო მეორე დიდებით ხარობს, ეს მართალია“.

იერუსალიმის განდიდების პირველ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს IV საუკუნის დასაწყისში იმპერატორ კონსტანტინეს დედის, ელენის, მოგზაურობა იერუსალიმში, რასაც მოჰყვა მის მიერ პატიოსანი და ცნოველმყოფელი ჯვარის პოვნა და დიდებული ტაძრების მოწყობა სახარებისეული ამბების უმნიშვნელოვანეს ადგილებში. იმ დროიდან საყოველთაოდ იქცა იერუსალიმში მოგზაურობის სურვილი, რამაც იერუსალიმის ეპისკოპოსსა და ქალაქს დიდძალი სიმდიდრე და მნიშვნელობა შესძინა.

2 ევსები პამფილიელი – პალესტინის კესარიის ეპისკოპოსი 311 წლიდან, საეკლესიო ისტორიის მამა. „ქრონიკებში“ მოგვითხრობს კაცობრიობის ისტორიაზე სამყაროს შექმნიდან 325 წლამდე (რედ. შენ).

3 თალმუდი – ორთოდოქსული იუდაიზმის მთავარი ტექსტი, ითვლება თორას (მოსეს ხუთწიგნეულის) ჰეშმარიტ განმარტებად (რედ. შენ).

თუკი აქამდე იერუსალიმის ეპისკოპოსები მხოლოდ გარეგნული პატივისცემით უტოლდებოდნენ თავიანთ მიტროპოლიტს, ამ დროიდან მათ უკვე ეკლესიის მართვაში დაიწყეს ქმედითი მონაწილეობის მიღება. ასე მაგალითად, მაკარი იერუსალიმელმა აკურთხა დიოსპოლისის ეპისკოპოსად მაქსიმე, ხოლო 347 წ. მაქსიმე იერუსალიმელმა აზიარა ათანასე ალექსანდრიელი. მართალია, აკაკი კესარიელს მეოთხე საუკუნის ნახევარში ეყო გამბედაობა, გადაეყენებინა მაქსიმეს მემკვიდრე წმინდა კირილე იერუსალიმელი, მაგრამ კირილე აღადგინეს 381 წლის კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე და ამ კრებაზე მას გელასი (ან თალასი) კესარიელზე უფრო მაღალი ადგილი ეჭირა. თუმცა, ნეტარი იერონიმეს წერილიდან ჰამახიოსისადმი (რომელიც, დაახლოებით, 390 წ. დაიწერა) ვიგებთ, რომ ამ პერიოდშიც იერუსალიმის ეპისკოპოსი კესარიის მიტროპოლიტის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ამ წერილიდან გამომდინარე, სწორედ ამ დროს და მომდევნო წლებშიც, კესარიის მიტროპოლიტი განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდა იერუსალიმის კათედრის აღზევების წინააღმდეგ. მან იერუსალიმის ეპისკოპოსს ღირსების გამო დართო ნება, მასთან ერთად მიეღო მონაწილეობა ყველა მნიშვნელოვან საქმეში, თუმცა, ამის დაბრკოლების მიზნით იყენებდა თავის გავლენას.

V საუკუნის დასაწყისიდან კესარიის ეპისკოპოსი იძულებული გახდა, თავისი უფლებები იერუსალიმის ეპისკოპოსისთვის დაეთმო. პილიგრიმთა რიცხვის ზრდამ მეტად და მეტად გაზარდა იერუსალიმის ეპისკოპოსის მნიშვნელობა და ღირსება. ასე რომ, V საუკუნის დასაწყისში იერუსალიმის კათედრა ყველგან უმნიშვნელოვანეს სამოციქულო კათედრების რიცხვში ჩადგა, რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიის კათედრების გვერდით.

იერუსალიმის ეპისკოპოსის აღზევება პატრიარქის წოდებაში მე-5 საუკუნის შუა ხანებში იუბენალი იერუსალიმელის დროს აღსრულდა. იუბენალი იერუსალიმელმა უმაღლესი იერარქის, პატრიარქობის უფლება მოიპოვა, რაკი უნარიც გააჩნდა და სიმტკიცეც, დაედანტურებინა იერუსალიმის კათედრის უმაღლესი მნიშვნელობა. თავისი კათედრის განდიდება მან 431 წ. ეფესოს კრებაზე დაიწყო. როგორც ჩანს, გარემოება ხელს უწყობდა ამ საქმის წარმატებას, ვინაიდან კრებას არ ესწრებოდა არც ერთი უმთავრესი მიტროპოლიტი, რომლებსაც შეეძლოთ, წინ აღდგომოდნენ მის მოთხოვნებს. ნესტორი კონსტანტინოპოლელი გადაეყენებული იყო, იოანე ანტიოქიელი – კირილე ალექსანდრიელის მიერ ზიარებისაგან განყენებული. რაც შეეხება კირილეს, იუბენალი მის

მხარდაჭერაში დარწმუნებული იყო. ამიტომაც, იუბენალმა საქმე აღარ გადასდო და დაჟინებით მოითხოვა, რომ იერუსალიმის ეპისკოპოსს მიტროპოლიტის უფლებები მინიჭებოდა არა მხოლოდ პალესტინაში, არამედ – არაბეთსა და ორსავე ფინიკიაში, თლქებში, რომლებიც ანტიოქიის საპატრიარქოს გამგებლობაში იმყოფებოდნენ. იუბენალის მოთხოვნას ამ კრებაზე წარმატება არ ჰქონია. კირილე ალექსანდრიელი აღუდგა ამას და არა მხოლოდ პირადად უარყო იუბენალის თხოვნა, უფრო მეტიც: მისწერა რომში ლეონს, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არქიდიაკონი იყო, თუმცაღა de facto უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა ეკლესიის საქმეებში, თხოვნით, წინ აღდგომოდა იერუსალიმის ეპისკოპოსის მოთხოვნებს. იუბენალმა, რაკი ვერ მიიღო წმ. კირილესაგან შეპყვება, ახლა წემოთ აღნიშნული პროვინციების მიერთებისათვის დაჟინებით თხოვნით იმპერატორ თეოდოსიუს უმცროსს მიმართა, რომელმაც დააკმაყოფილა კიდევ მისი თხოვნა და განსაკუთრებული საიმპერატორო ედიქტით უბოძა მას უფლება ხუთ პროვინციაზე, კერძოდ სამივე პალესტინაზე, ფინიკიასა და არაბეთზე. იმპერატორის ამ გადაწყვეტილებას ანტიოქიის პატრიარქის პროტესტი მოჰყვა, გინაიდან ის საკუთარი დიოცეზიდან⁴ კარგავდა ორ პროვინციას – არაბეთსა და ფინიკიას. ახლა საქმე საეკლესიო სასამართლოს გადაეცა. სადავო საკითხი 449 წ. ეფესოს მსოფლიო კრებაზე იქნა გატანილი. მაგრამ საბოლოოდ 451 წელს ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გადაწყდა. კრების დადგენილებით პატრიარქი მაქსიმეს კვლავ უბრუნდებოდა ფინიკია და არაბეთი, ხოლო იუბენალის დაქვემდებარებაში რჩებოდა პალესტინის სამი საეპისკოპოსო, ამასთან, იერუსალიმის კათედრას საპატრიარქო უბრატესობები ენიჭებოდა.

თუმცა მაქსიმე ანტიოქიელს შემდგომშიც არ სურდა ამ გადაწყვეტილებაზე თანხმობა. შესაძლებელია, ის იმით იყო უკმაყოფილო, რომ პალესტინის სამი პროვინცია ახლა უკვე სამუდამოდ გადადიოდა იერუსალიმის პატრიარქის დაქვემდებარებაში და არც მას და არც მის მემკვიდრეებს ანტიოქიის დიოცეზთან მათი ხელახლა მიერთების არანაირი იმედი აღარ რჩებოდათ, და აღარც იმ ზომების დიოცეზი ექნებოდათ, როგორც ნიკეის კრების მამებს ჰქონდათ მათთვის დადგენილი. სწავათა შორის, მაქსიმეს პროტესტს პაპი ლევი უჭერდა მხარს. მიუხედავად

4 დიოცეზი – (ლათ. dioecesis) საქალაქო და ადმინისტრაციული ერთეული რომის იმპერიაში. დიოცეზად იწოდებოდა, ასევე, საეკლესიო-ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული ძველ ეკლესიაში. დღეს მის შესაბამის ტერმინად მართლმადიდებელ ეკლესიაში „ეპარქია“ იხმარება (რედ. შენ.).

ყველაფერისა, ქალკედონის კრების გადაწყვეტილება შევიდა ძალაში. იუბენალი და მისი მიმდევრები პატრიარქებად რჩებოდნენ, ყველას მიერ აღიარებულნი იყვნენ ამ ღირსებაში და პატრიარქთა რიგში მესუთუ ადგილი დაიკავეს. დიდხანს არ გასტანა იერუსალიმის საპატრიარქოს კეთილდღეობამ ... ამაზე ქვემოთ იქნება ნათქვამი.

იერუსალიმის საპატრიარქოს შემადგენლობაში, რომის დაყოფით, შედიოდა სამი პროვინცია: ა) პირველი პალესტინა – რომელიც მოიცავდა გალილეის ნაწილს, მთელ სამარიას, მთელ იუდეასა და იდუმეას; ბ) მეორე პალესტინა – რომელიც მოიცავდა გალილეის უმეტეს ნაწილსა და თითქმის მთლიანად იორდანეს ვადმა მხარეს და გ) მესამე პალესტინა – რომელიც მოიცავდა ძალიან დიდ, მაგრამ თითქმის დაუსახლებელ ტერიტორიას მკედარი ზღვის სამხრეთიდან სინას ნახევარკუნძულამდე. იერუსალიმის საპატრიარქოს ბუნებრივი საზღვარი ჩრდილოეთით იყო ლიბანის მთები, სამხრეთით – სინა და არაბეთის ყურე, დასავლეთით – ხმელთაშუა ზღვა, ეგვიპტე და ჰეროპოლიტის ყურე (Heroopolites)⁵, ხოლო აღმოსავლეთით – არაბეთის უდაბნო და ელანიტის ყურე (Aelanites)⁶. აი, ამ შედარებით მომცრო სივრცეში იერუსალიმის საპატრიარქოს კეთილდღეობის პერიოდში, V-VI საუკუნეებში, ორმოცდაათამდე საეპისკოპოსო არსებობდა, რომელთა უმეტესი ნაწილი პირველ პალესტინაზე მოდიოდა. ცხადია, ამ საეპისკოპოსოებს მეტად უმნიშვნელო სივრცის ოლქები გააჩნდათ. ზოგიერთი საეპისკოპოსო ერთმანეთისაგან სუთი-ეკლესიის ათასი ნაბიჯით იყო დაცილებული (მაგ. ბეთლეემი იერუსალიმიდან, ანდა გაზა მაიუმიდან). მაგრამ ჯერ ერთი, რომ იერუსალიმის საპატრიარქოში საეპისკოპოსოები მხოლოდ ქალაქებში იყო, საეპისკოპოსო კათედრებს სოფლებში ჩვენ ვერ ვხედავთ; მეორეც, ქალაქები პალესტინაში მეტად ხალხმრავალი გახლდათ. იერუსალიმის საპატრიარქოს ამ ორმოცდაათი საეპისკოპოსოდან ოცდახუთი იყო მიტროპოლია, თუმცა კი ისეთი, რომელთა მიტროპოლიტებს თავიანთ გამგებლობაში დაქვემდებარებული ეპისკოპოსები არ ჰყოლიათ. ეპისკოპოსთა ასეთი დიდი რაოდენობა იერუსალიმის საპატრიარქოში და მათი საეპისკოპოსო ოლქების ასეთი სიმცირე არ უნდა გვაკვირვებდეს. სხვა საპატრიარქოებშიც ასეთივე მდგომარეობა იყო. აღმოსავლეთის

5 თანამედროვე სუეცის ყურე, რომლის მახლობლადაც, გესენის ქვეყანაში, იყო ბერძნულ-რომაული ქალაქი ჰეროპოლისი (რედ. შენ.).

6 იგივე აკაბის ყურე, წითელი ზღვის უკიდურეს ჩრდილოეთითა და სინას ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით, რომლის სანაპიროსაც ოთხი ქვეყანა იყოფს: ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია და საუდის არაბეთი (რედ. შენ.).

ზოგიერთ ადგილას იმდენივე ეპისკოპოსი იყო, რამდენი სამრევლო მღვდელიც გვყავს ჩვენ ამჟამად. „ძნელი წარმოსადგენია, ვკითხულობთ ბროლის (БРОЛЬИ) თხზულებაში, რამდენი მოწვევა უნდა დაეგზავნა კონსტანტინე დიდს ნიკეის კრებაზე, როცა მარტო ერთ კართაგენის კრებაზე, ათი წლით ადრე, ექვსასმა ეპისკოპოსმა მოიყარა თავი. ეპისკოპოსთა ამგვარი სიმრავლე აუცილებელი იყო იმ დევნის ფაშს, როდესაც ურთიერთობების სირთულისას საჭირო გახდა ეკლესიის მთელი ძალაუფლების თავმოყრა ერთ სასულიერო პირში, რომელსაც შეეძლებოდა დიდი ხნის განმავლობაში ექადაგა და შეესრულებინა ყველა საეკლესიო საქმე მოცემულ ადგილას“. მართალია, დასახელებულ მიზეზს არ ჰქონდა კავშირი იერუსალიმის საბატრიარქოსთან, ვინაიდან მისი საეპისკოპოსოების უმეტესი ნაწილი შეიქმნა IV საუკუნიდან, დევნის პერიოდის შემდეგ. მაგრამ უკვე ასეთი იყო საბუქნეთის ეკლესიაში დამკვიდრებული პრაქტიკა, კერძოდ, მეტ-ნაკლებად დასახლებულ ადგილს ქრისტიანობის გაფრცელების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეეძინა თავისი განსაკუთრებული ეპისკოპოსი. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ უძველეს დროში აღმოსავლეთში მოსახლეობა გაცილებით მჭიდროდ იყო დასახლებული, ვიდრე ჩვენს დროში. ასე, მაგალითად, ვიტყვით ვიღაც გამთავარიშებით, სირიაში, ფინიკიასა და პალესტინაში ირიცხებოდა 7 მილიონი მოსახლე, ახლა კი 2 მილიონამდეა, მცირე აზიაში 20 მილიონი იყო, ამჟამად კი 10 მილიონ 700 000 მოსახლეა.

მეორე პალესტინა

ჩვენ დავიწყებთ იერუსალიმის საბატრიარქოს ჩრდილოეთი ნაწილის, მკორე პალესტინის, შესანიშნავი ადგილების მიმოხილვას. აქ შედიოდა გალილეის უმეტესი ნაწილი და იორდანის გაღმა მხარე, და შედგენილობით მისი მოსახლეობა მეტად ჰგავდა გალილეისას. პალესტინის უკიდურესი ჩრდილოეთი – გალილეა – ბალახოვან დაბალ მთიანეთს წარმოადგენდა, რასაც თავს რამოდენიმე მწვერვალი დაჰყურებდა, მაგალითად, თაბორი. ის გენესარეთის ანუ ტიბერიადის ტბასთან ახლოს მდებარეობდა. ტბის ეს უკანასკნელი სახელწოდება იესო ქრისტეს დროს ახალი გაჩენილი იყო. ტბამ ეს დასახელება მის ნაპირზე გაშენებული ქალაქის, ტიბერიადის, მხედვით მიიღო. ის გალილეის მმართველმა

ჰეროდემ ააშენა იმპერატორ ტიბერიუსის პატივსაცემად, რომლის დროსაც, როგორც ცნობილია, ცხოვრობდა მაცხოვარი.

სივრცით გალილეის პროვინცია სამარიაზე მეტი და იუდეაზე ნაკლები იყო, მისი სიგრძე 15-16 კმ-ს, სიგანე კი 12-13 კმ-ს შეადგენდა. რამდენადაც გალილეის პროვინცია პალესტინისა და ფინიკიის საზღვართან მდებარეობდა, და ამის გამო გალილეის მოსახლე ებრაელობა უფრო მჭიდროდ შეერწყა წარმართებს, ზოგი მისი კუთხე კი უგამონაკლესოდ წარმართებით იყო დასახლებული, გალილეის ებრაელები ახლო ურთიერთობაში აღმოჩნდნენ წარმართებთან, და ამის გამო გალილეას ზშირად წარმართთა გალილეად მოიხსენიებდნენ.

გალილეას ჰყოფდნენ ორ ნაწილად: ზედა, რომელიც დასახლებული იყო სირიელებით, ბერძნებით, ფინიკიელებითა და ეგვიპტელებით, და ქვედა, სამხრეთი, სადაც მხოლოდ იუდეველები ცხოვრობდნენ. თალმუდის მასწავლებლები გალილეას სამ ნაწილადაც კი ჰყოფდნენ: ქვედა გალილეა, სადაც ხართს თუთა, ზედა გალილეა, სადაც არ ხართს თუთა, და ტიბერიადა. გალილეა უძველეს დროში არ ყოფილა განთქმული კარგი ქალაქებით. „გალილეა, ამბობს ფარარი, ებრაულად წრეს ნიშნავს. ეს თავდაპირველად ოცი ქალაქისაგან შემდგარი პროვინციის სახელი იყო, კედეს-ნეფტალის ოლქში, რომელიც მეფე სოლომონმა უბოძა ქირამს ჯილდოდ ტაძრის მშენებლობისას ხე-ტყის მასალის მიწოდებისათვის. ქირამს რომ უნახავს ეს ადგილი, სოლომონისთვის უთქვამს: ეს რა ქალაქები მოგიცია ჩემთვის, ძმაო?! და უწოდა ამ მიწებს ქაბული – არად ჩაგდება (მდრ. 3 მფ. 9-12,13)“.

მაგრამ გალილეა მეტად ნაყოფიერი მხარე იყო, მისი ქვედა ნაწილის უმეტესი ტერიტორია ეკავა ისრაელის ველს. ამ გარემოების მიხედვით შესაძლებელია მის ნაყოფიერებაზე მსჯელობა. იუდეველთა ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი გალილეას ჭკეშმარიტ სამოთხედ წარმოგვიდგენს. არა მხოლოდ ისრაელის ველი იყო განთქმული ხენა-თესვით, მებაღეობითა და ვაზის გაშენებით, შესანიშნავი, ნაყოფიერი ნიადაგით, არამედ იორდანესა და გენესარეთის ტბის რაიონებიც აყვავებულ ბაღებს წარმოადგენდა და ყველგან დიდი სარგებლის კვალი იხილვებოდა. გალილეის ნაყოფიერებას, წერს ა.ა. ოლესნიცკი, ძველი ებრაული ძეგლები ერთობ გამომსახველი შტრახებით ხატავენ. გალილეის არაჩვეულებრივი სიმდიდრე განსაკუთრებით წარმოჩენილია ზეითუნის ზეთითა და ღვინით, ამ ორი უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო პროდუქტით, რომლითაც ის ამარაგებდა არა მარტო იერუსალიმს თავისი მოვალეობის შესაბამისად, არამედ პალესტინისა და სირიის ბევრ სხვა პუნქტსაც. უმაღლესი მთელ ლე-

გიონ ზეთისხილის ხეს ააყვავებ გალილეაში, ამბობს თალმუდი, ვიდრე იუდეაში შეძლებ თუნდ ერთი ბუჩქის გახარებას. თალმუდის გადმოცემით, იერუსალიმის სინედრიონის ოქმებში შემონახულია წერილი რაბინ გამა-ლიელის ხელმოწერით, რომელშიც იერუსალიმის იუდეველების წარმომადგენლები სთხოვენ „გალილეველ ძმებს“, ჩქარა მიაწოდონ ზეთი.

ერთხელ, გვიამბობს თალმუდი სხვა ადგილას, დიდი მოთხოვნა გაჩნდა ზეთუნის ზეთზე ლაოდიაქაში; კაცები გაგზავნეს ტიროსში, იერუსალიმში, მაგრამ ზეთის საჭირო რაოდენობა ვერ შეაგროვეს. მაშინ მათ ურჩიეს, ზედა გალილეის რომელიმე ქალაქისთვის მიემართათ, სადაც იშოვეს კიდევ ყოველივე. ზეთს გალილეველები თავისებური ქურჭლით ჰყიდდნენ, რომლის მსგავსს სხვაგან ვერსად აკეთებდნენ და რითაც ყველგან სცნობდნენ გალილეის ზეთს. რაც შეეხება ღვინოს, ის მზადდებოდა განსაკუთრებული გემოს ყურძნისაგან, რომელიც უხვად მოდიოდა ზედა გალილეაში ნეფთალემის შტოს კუთვნილ მიწაზე.

ღვინოსა და ზეთთან ერთად გალილეაზე მცენარეული და ცხოველური სამყაროს მთელი სიუხვის რქა გადმოდგრილიყო. ერთხელ, მოგვითხრობს მიდრაში⁷, იმპერატორმა ადრიანემ უთხრა რაბი იეზუა-ბენქანანას: აი, თქვენს კანონში დაწერილია, რომ ისრაელის მიწა სავსეა ყოველივე სიკეთით. და შენ შეძლებ, აქ სამი რამ – წიწაკა, ხონობი და აბრეშუმი მიშოვო?! რაბიმ გალილეას მიაშურა და მართლაც, წიწაკა ნაზარეთში მონახა, ხონობი – აკბარში და აბრეშუმი – გისკალში. თუკი გალილეაში შეიძლებოდა ხონობის მოპოვებაც კი, მით უფრო სხვა ფრინველების ისეთი სიუხვე იყო, რომ ოღეშს ჩიტის ბუდედ იხსენიებდნენ. ჩიტის ბუდედან გამოვა მესია, ნათქვამია ზოჰარში⁸, ანუ გალილეადას. ამიტომ იყო, რომ გალილეის გერბზე არწივს გამოსახავდნენ.

პროვინციის ნოციერების ბუნებრივი შედეგი გახლდათ მისი დიდძალი მოსახლეობა. ეს მხარე დაფარული იყო სოფლებით, დაბებითა და ქალაქებით, განსაკუთრებით ისრაელის ველი, იორდანესა და გენესარეთის ტბის მიდამოები. მართალია, იოსებ ფლავიოსი აჭარბებს, თითქოს, გალილეაში ორას ორმოცი ქალაქი და დაბა იყო, თითქოს, გალილეის ყველაზე პატარა სოფელს თხუთმეტი ათასი მოსახლე ჰყავდა, და მრავალ ქალაქს – ას ორმოცდაათი ათასი, მაინც ვერ უარყვოფთ იმ

7 მიდრაში – რაბინთა ქადაგებების წერილობითი რედაქცია, რომელიც შეიცავს საღმრთო წერილის განმარტებებს და დამრიგებლურ-ზნეობრივ სწავლებებს (რედ. შენ.).

8 ზოჰარის წიგნი – კაბალისტური ლიტერატურის უმთავრესი და ყველაზე ცნობილი წიგნი. მის ძირითად შინაარსს შეადგენს თორას კომენტარები (რედ. შენ.).

ფაქტს, რომ გალილეის მოსახლეობა იუდეასა და სამარიის მოსახლეობაზე გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო. ეს იმიტაც მტკიცდება, რომ იუდეველთა უკანასკნელ ომში რომაელებთან იოსებმა⁹ თავისუფლად შეკრიბა ასი ათასი მოხალისე.

გალილეის მოსახლეობას თალმუდი და იოსებ ფლავიოსი ერთობ მიმზიდველი თვისებების მქონე ხალხად ხატავენ. ისინი შრომისმოყვარენი იყვნენ. ერთხელ იმპერატორ ადრიანუსს, მოგვითხრობს მიდრაში, როდესაც ის გენესარეთის ტბის ნაპირზე, ტიბერიადის მახლობლად მიემგზავრებოდა, ასწლოვანი მოხუცი შეხვდა, რომელიც ლეღვის ხეს რგავდა. ადრიანუსს განცვიფრება არც დაუმაღავს. რამდენიმე წლის შემდეგ მოხუცმა იმპერატორს ლეღვით სავსე ყუთი მიართვა, ხოლო იმპერატორმა ის ყუთი ოქროთი აუვსო. გალილეელები იესო ქრისტეს დროს, ამბობს რერი (Papp), მთელი იუდეველი ხალხის უგანათლებულეს და დიდებულ ნაწილს წარმოადგენდნენ. ნოციურმა ნიადაგმა, ფართო დასახლებამ და ვაჭრობამ სასიკეთო გავლენა მოახდინა ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებაზე; და განათლება საზოგადოების დაბალ და ღარიბ ფენებშიც კი გავრცელდა. მეორეს მხრივ, გალილეის დახასიათებისას, ისტორიკოსები წერენ, რომ გალილეელები თავისუფალ ცხოვრებას იყვნენ მიჩვეულნი, უყვარდათ თავისუფლება და ერთგული დამოუკიდებლობა, და გალილეის ოლქში ხშირი იყო რომის ბატონობის წინააღმდეგ ამბოხება. ამიტომ რომაელები გალილეელებს მოუსვენარ, ფიცს, მუამბოხე და მეთმარ ხალხად მიიჩნევდნენ. იოსები ცხადად ამბობს მათზე: „უცხოელებით გარსშემორტყმულ გალილეელებს არც საომარი გამოცდილება აკლდათ და არც ხალხის რაოდენობა. ისინი ბავშვობიდანვე ბრძოლას ეჩვევიან და ბევრნიც არიან“. გალილეელები ღირსებას და პატიოსან სახელს სიმდიდრეზე მაღლა აყენებდნენ, მაშინ, როდესაც იუდეველებთან პირიქით ხდებოდა.

გალილეელებს რელიგიურ წესჩვეულებაში ბევრი რამ ჰქონდათ ისეთი, რაც იუდეველებისთვის მიუღებელი იყო, მაგრამ აქ იგონებოდა ხასიათის სირბილე და ამტანობა. გალილეელები კანონის გამო გრძობათა ბუნებრივ მდინარებას ძალდატანებით არ თრგუნავდა, და იუდაური პრაქტიკის საპირისპიროდ, მიცვალებულს შაბათსაც დაიტირებდა. მაგრამ, მეორე მხრივ, პასექის წინა დღეს გალილეელები ყოველდღიურ საქმიანობას ანებებდა თავს, ამ დროს კი იერუსალიმში ისევ მუშაობდ-

9 იგულისხმება იოსებ ფლავიოსი, 1-ლი საუკუნის ისტორიკოსი, ცნობილი თხზულების, „იუდეველთა სიძველენის“, ავტორი (რედ. შენ.).

ნენ. თავისთავად იგულისხმება, რომ გალილეელი ფარისეველთა სწავლების წვრილმანების ცოდნაში იუდეველს ვერ შეედრებოდა და ხშირად გაორებული იყო იუდეველთა და წარმართთა ადათ-წესებს შორის. მით უმეტეს, რომ კანონის საკუთარი, მუდმივი მასწავლებელი არ ჰყავდათ ტიბერიადაში სინედრიონის დაარსებამდე, და მხოლოდ იუდეიდან შემთხვევით ჩამოსული მასწავლებლებით კმაყოფილდებოდნენ.

გალილეელთა ენაც, ასევე, შერეული იყო, შედგებოდა წმინდა იუდეური და უცხო, გალილეური, სიტყვებისაგან. თვით ებრაული სიტყვის გამოთქმაც მკვეთრად განასხვავებდა გალილეის მკვიდრს სამხრეთ პალესტინის მცხოვრების გამოთქმისაგან. გალილეელებს განსაკუთებით ხორხისმიერი ბგერების წარმოთქმა უჭირდათ, და ყველა მათგანს, დღევანდელი სამარიელების მსგავსად, ერთნაირად ამბობდნენ. „ერთმა გალილეელმა, გვიამბობს თალმუდი, ერთხელ მოითხოვა „ყაშ“. ასე მიუგეს: რას ითხოვ, შე ბრიყვო გალილეელი: გინს, რომ ზედ მოაჯდე, თუ ღვინოს, რათა დალიო, ან იქნებ სამოსს, რომ შეიმოსო, თუ ცხვარს დასაკლაგად?“ (ყველა ამ სიტყვას გალილეელი სულ ერთნაირად გამოთქვამდა). რა თქმა უნდა, ასეთი გამოთქმის მქონე გალილეელი ვერ შეძლებდა კამათს დახვეწილ რელიგიურ საკითხებზე, ამიტომაც ისინი ხელმძღვანელობდნენ ახლო წინაპრების გადმოცემებით.

ყოველივე ამ განსხვავებისა და წარმართებთან ახლობლობისათვის, და თავისუფალი აზროვნების გამო იუდეველები გალილეელების მიმართ ღრმა სიძულვილს დაატარებდნენ. თავად სიტყვა „გალილეელი“ საღანძღავად ითვლებოდა იუდეველთა შორის. ისინი საფსებით უსამართლოდ ამტკიცებდნენ, რომ წინასწარმეტყველი გალილეიდან არ გამოვიდოდა, და წინასწარმეტყველის სიტყვებს, რომ „ისდნენ ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა შინა“ (შდრ. ისაია 9,2. მათე 4,16), გალილეელებს უსადაგებდნენ. „შეხედე და დაინახავ, ეუბნებოდნენ რაბინები ნიკოდიმოსს, რომ წინასწარმეტყველი გალილეიდან არ გამოვა“. დიდხანს ძებნა და დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ამ სიტყვების უმეტესობასა და სიცრუეში დარწმუნდე. რომ აღარაფერი ვთქვათ ბარაკ განმათავისუფლებელზე, ელომ მსაჯულზე¹⁰, ანა წინასწარმეტყველზე, კიდევ ოთხი ცნობილი წინასწარმეტყველი: იონა, ელია, ოსია და ნაუმი დაიბადნენ ან უმეტესად გალილეაში წინასწარმეტყველებდნენ. „შეხედე და დაინახავ, რომ გალილეიდან წინასწარმეტყველი არ გამოდის. მაშ,

¹⁰ ბარაკი – ისრაელიანთა რიგით მესუთე მსაჯული, რომელიც დებორასთან ერთად მოღვაწეობდა. ელომი – მეთერთმეტე მსაჯული ისრაელისა (რედ. შენ.).

სადღა არის, შესძახებს ფარარი, გეთ-ოფერი, საიდან მოვიდა იონა? სად არის თესბა, საიდანაც მოვიდა ელია? სად არის ელკოში, საიდანაც მოვიდა ნაუმი? სად არის ჩრდილოეთის მთები, საიდან მოვიდა ოსია?“ – „განა შესაძლებელია, ნაზარეთში იყოს რამე სიკეთე“, ამბობს ნათანაელიც, რომელიც ვრცლად გვაცნობს ფართოდ გაფრცელებულ აზრს გალილეაზე, და ისიც საგსებით უსამართლოდ.

აი, სწორედ ამ გალილეის ნაზარეთში, რომელსაც ასე აუგად მოისხენიებს ნათანაელი, გაატარა სიჭაბუკე და დაიწყო საზოგადო მსახურება უფალმა. აქ იყო გალილეის ის პატარა ქალაქი კანა, სადაც უფალმა აღასრულა პირველი სასწაული ქორწილში, და საიდანაც იყვნენ წარმოშობით უფლის მოციქულები ბართლომე და სვიმონ კანანელი, რომლის ქორწილსაც, გადმოცემით, მაცხოვარიც ესწრებოდა. აქ, მთაზე, წარმოთქვა უფალმა ცნობილი ქადაგება ნეტარებათა შესახებ. აქვე იყო თაბორის მთაც, სადაც იცვალა ფერი. აქ იყო ის სოფელი მაგდალა, სადაც ცხოვრობდა მარიამ მაგდალინელი. აქ, პალესტინის უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვარზე, იყო ქალაქი ფილიპეს კესარია ან პანეადა, სადაც ცხოვრობდა სისხლმდინარე ქალი, უფლის სამოსელის შესებით რომ განიკურნა. ყველაზე სშირად უფალი გენესარეთის ტბის ნაპირებს მიაშურებდა ხოლმე. ამ ტბის მახლობლად მდებარეობდა ქალაქი კაპერნაუმი, რომლის სინაგოგაშიც სშირად ქადაგებდა უფალი. ამ ტბის ნაპირზე იყო სოფელი ბეთსაიდა, საიდანაც იყვნენ წარმოშობით მოციქულები იაკობი და იოანე. ბევრი სსვა მოწაფე და მოციქული შეიძინა უფალმა გენესარეთის ტბის მეთევზეთაგან. „გენესარეთის ტბაზე, წერს ერთი ღვთისმთავარი მოგზაური, უფალმა შერისხა ქარი და ტალღები და ისინიც მყისვე ჩაწყნარდნენ თავიანთი შემოქმედის სიტყვებზე. აქ გაუწოდა უფალმა მოწყალების ხელი წმინდა პეტრეს, როცა ის მცირე რწმენის გამო იძირებოდა. ამ ტბაში, უფლის ბრძანებით, პეტრემ დაიჭირა თევზი, რომელშიც იხოვა მონეტა და გადაიხადა თავისი და ღმერთკაცის ხარკი. ამ ტბის ნაპირებზე კურნავდა მოწყალე უფალი აგადმყოფებს და ეშმაკეულებს. რამდენად უყვარდა მაცხოვარს ეს ტბა, იქიდანაც ჩანს, რომ სწორედ აქ ინება, სჩვენებოდა მოწაფეებს ბრწყინვალე აღდგომის შემდეგ. თითქოს, ამ ჩუმ წყლებს დაუკავშირა თავისი ზეციური ელჩობის დასაწყისი და დასასრული“.

ახლა უფრო დაწვრილებით გავაშუქოთ გალილეის ის ადგილები, რომლებიც მაცხოვრის ყოფნით არის განათლებული.¹¹

11 „მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ ... და უთხარო მოწაფეთა მისთა, ვითარმდ აღდგა მკუდრეთით და აჰა, წინა გიძღვს თქვენ გალილეას“ (მათე

ნაზარეთში გაატარა უფალმა ბავშვობა. ეს ქალაქი გენესარეთის ტბიდან 20 კმ-ს, ხოლო იერუსალიმიდან 120 კმ-ს მოშორებით მდებარეობდა, უფრო ზუსტად, სამი დღის საგალზე, წყნარ, განცალკავებულ ადგილას, კირქვისაგან თეთრად მოქათქათე, მაგრამ მცენარეულობით მდიდარ ბორცვებს შორის. ფარარი ამ ბორცვებს ვარდის გადაშლილ ფურცლებს ადარებს, ხოლო სახლებს, ზედ რომ იყო შეფენილი, — ზურმუხტის ფიალაში ჩაწყობილ მარგალიტებს. ფარარი ცდილობს, გაგვაცნოს აქ უფლის საცხოვრებელი გარემო. „ის ცხოვრობდა ისე, როგორც ყველა ბავშვი ამ მყუდრო ქალაქში, თითქმის ისე, როგორც ახლა ცხოვრობენ. ვისაც ნაზარეთის ღამაში, ჯანმრთელი ბავშვები უნახავს, თვალყური უდევნებია მათი იდილიური გართობებისთვის, ვისაც სმენია მათი წკრიალა სიცილი, უნახავს, როგორ ხეტილობენ და თამაშობენ მშობლიური მხარის ბორცვებზე, ღამაზ და წყალუხვ ნაკადულებთან, შეუძლია წარმოიდგინოს, როგორ გამოიყურებოდა იმ დროს ყრმა იესო და როგორ ერთობოდა. თუ მოგზაური ჩემსავით მოიქცევა და კვალდაკვალ მიედევნება შინ მიმავალ ბავშვებს, თვალს შეაგლებს მათ უბრალო სახლებს ღარიბული გარემოთი და მარტივი, თუმცა ახალი და ჯანსაღი საკვებით, შეხედავს მათ ბედნიერ, პატრიარქალურ, განსაკუთრებული მოვლენების გარეშე დახუნძლულ ცხოვრებას, ცოცხლად წარმოიდგენს იმ გარემოს, სადაც იესოს უწევდა ყოფნა. არაფერია ამ სახლებზე უბრალო, სახურავებზე მზის გულს მიფიცხებული მტრედებითა და სარკმლების ქვეშ დახვეული ვაზის ტოტებით; კედლებზე ხალიჩები გაუკრავთ, შესასვლელთან სანდლებია დალაგებული, ჭერიდან ღამბარნი ჩამოშვებულია — თთახის ერთადერთი მოკაწმულობა; პატარა კედლის ნიშში ხის, კაშკაშა ფერებით მონატული ზანდუკი ძევს, რომელშიც ინახავენ წიგნებსა და ოჯახის სხვა ძვირფასეულობას; საკმაოდ ფართო წამოსაწოლ ადგილზე, კედლებს რომ მიუყვება, დაგრაგნილი ფერადი საბნები დაულაგებიათ, რომელთაც ლოგინებად იყენებენ; იქვეა ჩამწკრივებული თიხის ჭურჭელი ყოველდღიური მოხმარებისათვის; კარებთან, როგორც წესი, წითელი თიხის სურა დგას, რომლის ყელიც, სიგრილის შესანახად, მჭიდროდ დახვეული ფოთლებით ამოუგსიათ. სადილობის დროს თთახის შუაგულში იდგმება მონატული ხის მაგიდა; ზედ დებენ დიდ ღაზგარს ბრინჯისა და ძროხის ხორცის სადილით და ღობანს ანუ მითუშულ ხილს. ამ ღანგარიდან იღებს ყველა, ვისაც რამდენი უნდა. სადილობის წინ და სადი-

28.5,7). ზოგიერთი მკვლევარი „გალილეაში“ გულისხმობს ადგილს იერუსალიმის მიმდებარედ, ელეონის მთის ჩრდილოეთ მხარეს, სადაც ბანაკდებოდნენ გალილეიდან ჩამოსულები პასექის დღესასწაულზე.

ლის უემდეგ მოსამსახურე ან ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი ყველას აბანინებს ხელებს სპილენძის ხელადითა და ტაშტით. ალბათ, ასე წყნარად, უბრალოდ, თვინიერად, ყოველგვარი განსაკუთრებული მოვლენების გარეშე მიედინებოდა წმინდა ოჯახის ცხოვრება ნაზარეთში“.

ნაზარეთში უფლის ცხოვრების მეთრე მხარეც არსებობდა. გადმოცემით, იგი ეხმარებოდა იოსებს ხეზე მუშაობაში. „ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, ამბობს ოლესნიცკი, იოსებ დამწინდველის სახელისნოს გიჩვენებენ. ამ სახელისნოში ახლა ჰკიდია შინაარსით შესანიშნავი ტილო – გამოსახულია ღვთისმშობელი მისი ღვთაებრივი ძით იოსების სახელისნოში გვიან ღამით, კანდელის შუქზე. იესო ქრისტე მუშაობის უემდეგ ჩარხის თაგზეა წამომდგარი, ხელები თაგს ზემოთ აღუმართაგს და ამგვარად თაგისი ფიგურით გამოსახავს ჯვარს, რომლის ჩრდილიც მკვეთრად აღიბეჭდება კედელზე. ღვთისმშობელი გვერდიდან უყურებს შვილს და ხედავს იესოს ჩრდილს, შვილის განრთხმულ ხელებს და უკან – ჯვარს. უფლის საქმიანობის სამახსოვროდ ნაზარეთში ამჟამად ყველა ბიჭს აუცილებლად თან დააქვს დასაკეცი დანა, ადგილობრივი, ნაზარეთული ნაწარმი.“

ნაზარეთთან ახლოს მდებარეობს სოფელი კანა, სადაც უფალმა ბირველი სასწაული აღასრულა ქორწილში. „ნაზარეთიდან გალილეის კანამდე, ამბობს იღუმენი დანიელი, 7 კმ-ია, კანა კი დიდ გზაზე მდებარე სოფელი“. კანას ნაზარეთთან სიახლოვეზე მოგვითხრობს ფარარიც. „ნაზარეთში დაბრუნებულ უფალს, როდესაც მისი ნათესავები კანაში ქორწილზე წასულები დახვდნენ, საათნახეგარში შექძლო იქ მისვლა.“

გადმოცემით, უფალი სიმონ კანანელის, იგივე სიმონ ზილოტის ქორწილში იყო. ებრაულად „კანა“ გულმოდგინებას ნიშნავს, ამიტომაც უწოდებდნენ სიმონ მოციქულს ზილოტს, რაც ბერძნულად ნიშნავს „გულმოდგინეს“, „მოშურნეს“. კათოლიკები ამტკიცებენ, რომ სასწაული ქორწილზე კანაში მოხდა 6 იანვარს.

ნაზარეთთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს ის მთაც, რომელზეც, გადმოცემით, ფერი იცვალა უფალმა მოწაფეების წინაშე – **თაბორი**. ის ნაზარეთიდან სამი საათის საგალზეა. იოსებ ფლავიოსი თაბორის მთის სიმაღლეს 10 სტადიონით¹² განსაზღვრავდა. ეს ძალიან დიდია, თუ დაბლობიდან ვერტიკალურად აღმართულ მთას წარმოვიდგენთ.

12 „სტადიონი“ ძველ საბერძნეთში სიგრძის საზომ ერთეულს აღნიშნავდა და უდრიდა 125 ნაბიჯს. (ზუსტად იმავე მნიშვნელობისაა ძველი ქართული „ასპარეზი“, რომელიც, ასევე, 125 ნაბიჯის ტოლია, მაშასადამე, ტექსტში მითითებული სტადიონი 1250 ნაბიჯი გამოდის (რედ. შენ).

მაგრამ ეს ციფრი გადაჭარბებული არ იქნება, თუ მწვერვალისაკენ ზიგზაგისებურად დაკლაკნილ გზას ვიგულისმხვებთ. მთის მწვერვალი წარმოადგენს მოგრძო, თვალის ფოსოსავით ჩაზნექილ ზედაპირს. ეს მთა სრულიად განცალკევებულია მთაგრეხილისაგან და მომრგვალებულია მთის ძირიდან მწვერვალამდე, საიდანაც მიიღო ეს სახელი – თაბორი, რაც ებრაულად ნიშნავს „სიმაღლეს“ ან „ჭიმს“.

მოგზაურებს აღაფრთოვანებს თაბორის სილამაზე. „თაბორიდან, ამბობს ერთი მათგანი, ყოველი მხრით თვალწარმტაცია ხედი იშლება, მთელი გალილეა, ულამაზესი ქვეყანა, თითქოს, ხელის გულზეა. აქ მართლაც ჭეშმარიტი გრძნობით შეგვიძლია გავიძიოთოთ წმ. პეტრეს სიტყვები: „კეთილ არს ჩვენთვის აქ ყოფნა,“ თუმცა ეს სიტყვები სხვა აზრით იყო ნათქვამი. „უნებლიეთ ყურადღებას იპყრობს ნაზარეთსა და თაბორს შორის სხვაობა, ამბობს სხვა მოგზაური. ნაზარეთი ღვთის დაფარული ყოფნის ადგილსამყოფელია, მშვენიერი ხეობა, მასში არის რაღაც მყუდრო და მოკრძალებული. ხოლო თაბორი, ადგილი უფლის დიდებით ფერისცვალებისა, გვაოცებს დიდებულებით. შეუძლებელი იყო უფლის დიდებით ფერისცვალებისათვის უფრო შესაფერი ადგილის პოვნა, და არც ისაა გასაოცარი, რომ ამადლებულის, დიდების იდეის გამოსახატვად ამ მთასთან მოჰყავთ შედარება. თუნდაც იერემია გავისხენოთ: „ცხოველ ვარ, იტყვს უფალი ღმერთი, ვითარცა თაბორი მთათა შორის“.

ზაფხულის თითქმის ყოველ ღამეს მთის მწვერვალს მრისხანე ღრუბელი მოსავს, მზის ამოსვლამდე ბობოქრობს ქარი, რის გამოც ღამით ტემპერატურა 30-დან 10 გრადუსამდე ეცემა.

ახალი აღთქმის მეორე შესანიშნავ ადგილად ითვლება **გალილეის მთა**, რომელზეც იქადაგა უფალმა. ფარარი მიუთითებს გენესარეთის ტბის დასავლეთ მხარეზე. განმარტოებული ღამისთევაცა და ქადაგებაც, წერს ის, ამ მთის ერთადერთ მწვერვალზე უნდა აღსრულებულიყო, რომელიც ამჟამად „პიტტინის რქების“ სახელით არის ცნობილი და აღმოსავლურ უნაგირის წააგავდა ორი ამადლებით“. ამ მთის სილამაზის აღწერისას ფარარი, სხვათა შორის, შენიშნავს: „სინას კანონი გამოცხადდა შიშველი, ქარიშხლებით გარემოცული მთიდან, რომელიც მრისხანედ გადაჰყურებდა გადატრუსულ უდაბნოს; ახალი აღთქმის კანონი კი აყვავებულ, მწვანე მდელოზე წარმოითქვა, ბორცვის თავზე, რომლის ფერდობები ვერცხლისფერ გალილეის ზღვაში ეშვებოან“.

გალილეის ზღვა, სხვაგვარად გენესარეთის ტბა, სადაც ნშირად იმყოფებოდა უფალი, საკმაოდ პატარა იყო, სიგრძით 20 და სიგანით 9 კმ², არფის ფორმისა, რომლისგანაც, როგორც ამბობენ, წარმოიშვა მისი

თავდაპირველი სახელი – კენერეთი, რაც „არფას“ ნიშნავს. ტბა მშვიდად გაწოლილა ქვაბურში, გარს კლდოვანი მთები ერტყმის. ჩრდილოეთიდან, ხეობის გავლით, ტბაში მდინარე იორდანე შემოედინება, რომელიც მას ვერცხლისფერ ზოლად კვეთს შუაზე. საერთოდ, ტბა წყნარია, სარკესავით ირეკლავს გარშემორტყმულ კლდეებს. მაგრამ როდესაც იორდანეს ხეობიდან ქარი შემოგარდება, უეცრად ძლიერი ქარიშხალი ატყდება. დასავლეთი ნაპირი მდიდარია მცენარეულობით. იესო ქრისტეს დროს აქ მრავლად იყო ქალაქები და სოფლები, რომელთაც ხშირად სტუმრობდა უფალი. აღმოსავლეთი ნაპირი კი პირიქით, უკაცრიელი და დაუსახლებელია და უფალი ხშირად გადადიოდა ტბით იქით განმარტოებისათვის. „როდესაც ტბისკენ ნაზარეთ-ტიბერიადის გზით დაეშვებით, წერს თ.ო. ოლესნიცკი, მარცხნივ უზარმაზარ, მთის ქედიდან გულკანით მოწყვეტილ ფიქალის კლდეს დაინახავთ, რომელსაც ტბამდე ვედარ მიუღწევია და შუა გზაზე გაშეშებულია, და მუდამ არსებობს მისი ჩამოვარდნის საშიშროება. ალბათ, ამ კლდეს გულისხმობდა უფალი, როდესაც მოწაფეებს უთხრა: „უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებად, ვითარცა მარცხელი მდოგჯაჲ, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს.“. შეიძლება ითხასაც, რომელიც გენესარეთის აღმოსავლეთ ნაპირზე ცხოვრობდა, ეს მოწყვეტილი კლდე ჰქონდა მხედველობაში, როდესაც წარმოთქვა: „მთად დაცემით დაეცეს და კლდე დაძუელდეს ადგილით თქსით.“.

გენესარეთის ტბა დღესაც მდიდარია თევზით. ადგილობრივ თევზს განსაკუთრებული გემო აქვს და აქ ის ჯიშებიცაა, რომელთაც მხოლოდ ნილოსში ვხვდებით. ამ ტბის ჩვეულებრივი თევზებია: ქორჭილა, კაპარქინა, ქანარი და ბრტყელი თევზი (ქაშაყის ჯიშის) 17 სმ. სიგრძისა, რომელსაც ქრისტიანი მოსახლეობა წმ. პეტრეს თევზს უწოდებს. თევზით სიმდიდრის წყალობით ქრისტეს დროს ტბის შემოგარენის მოსახლეობა, ძირითადად, მეთევზეობას ეწეოდა, და ფარარის სიტყვით, ოთხი ათასი ნავი დასრიალებდა ტბაზე.

გენესარეთის ტბასთან მდებარე ყველა ქალაქიდან განსაკუთრებით ხშირად უფალი კაპერნაუმში იმყოფებოდა, აქ იდგა პეტრე მოციქულის სიდედრის სახლი. უფალი „მოვიდა თქსად ქალაქად“ (მათ. 9,1), ამბობს მათე მოციქული კაპერნაუმზე. ეს იყო დიდი საგაჭრო ქალაქი. ტვიროსში, დამასკოში, იერუსალიმში, სეპთორისში მიმავალ გზათა გასაყარზე მდებარეობა კაპერნაუმს საგაჭრო ცენტრად აქცევდა, და ამავე დროს, ძალიან მოხერხებული ადგილი იყო ბაჟის ასაკრეფად.

კაპერნაუმის მახლობლად მდებარეობდა **ქორაზანი** და **ბეთსაიდა**.

ბეთსაიდა, საგარაუდოდ, უბრალო მეთევზეთა სოფელი იყო კაპერნაუმის მახლობლად. საიდი მეთევზეობას ნიშნავს, ბეთსაიდა – მეთევზეთა სახლს.

კაპერნაუმის სამხრეთით, ტბასთან იყო სოფელი **მაგდალა**, რომლის მაცხოვრებლებს მეტად ცუდი სახელი ჰქონდათ გაგარდნილი. შემთხვევითი არ არის, ამბობს ოლენსიცი, რომ სახარებაში მონახული ცოდვილის ტიპად მარიამ მაგდალინელია შერჩეული.

ტბასთან, კიდევ უფრო სამხრეთით, მდებარეობდა ახლადაშენებული დიდებული **ტიბერიადა**. ჰეროდე ანტიპამ ტბის ლამაზ ნაპირს მისცა უბრაატესობა და ტიბერიადაში დააარსა თავისი რეზიდენცია, რისთვისაც ააშენა აქ ბრწყინვალე სასახლე, ტაძარი, ამფითეატრი და ქალაქს შემოავლით გალაგანი. იყო კიდევ ერთი მიწეზი იმისა, თუ რატომ უყვარდათ გალილეის მმართველებს აქ ცხოვრება; ეს იმიტომ, რომ ამ ქალაქის მახლობლად მიედინებოდა სამკურნალო მთის მდინარე. თუმცა ჰეროდეს აშენებული ქალაქის ადგილი უწინ უძველესი აკლდამებით ყოფილა დაფარული, და ქალაქის შენებისას ისინი გადათხარეს. ამის გამო ებრაელები ამ ქალაქს უწმინდურად მიიჩნევდნენ, ეშინოდათ წინაპართა საფლავებზე დასახლება და თავდაპირველად ქალაქს სრულიად წარმართული სახე ჰქონდა. „თუ იესო ქრისტე, წერს ფარარი, არასოდეს შესულა წარმართულ ამფითეატრში, არ უვლია ტიბერიადის ქუჩებში, რომლებიც საფლავებზე გადიოდნენ, ალბათ, ის ხშირად შესცქეროდა ქალაქის კოშკებით გამაგრებულ გალაგანს, ანტიპას ოქროს სასახლესა და შორს, ტბაში არეკლილ მარმარილოს ლომების გამოსახულებებსა და სხვა სკულპტურულ ძეგლებს“.

პალესტინის და გალილეის უკიდურეს ჩრდილოეთით, მდინარე იორდანეს სათავესთან, იყო ქალაქი ფილიპეს კესარია, ან პანეადა (წარმართულ ღმერთ პანის სახელის მიხედვით). ფარარის აზრით, უფალი ამ ქალაქში არ შესულა და მხოლოდ მის მახლობლად მოგზაურობდა. მაგრამ ამ ქალაქში ცხოვრობდა ის სისხლმდინარე ქალი, რომელიც უფლის სამოსელის შესებით განიკურნა. გადმოცემა აზუსტებს, რომ განკურნებული ადგილობრივ ცნობილ გვარს მიეკუთვნებოდა, და იესო ქრისტეს სამადლობელად პანეადას მოედანზე, თავისი სახლის წინ, ძეგლი დაუდგა მაცხოვარს. მარმარილოს კვარცხლბეკზე იდგა მაცხოვრის გამოსახულება, მის წინ – მუნღმოდრეკილი, გვდრებით ხელაღმწყობილი ქალი და იქვე, უფლის ფეხებთან – აყვავებული მცენარე, განკურნების სიმბოლო.

მაშასადამე, გალილეაში, როგორც უფლის სამშობლოში, პირველად გაისმა სახარების ქადაგება. მაგრამ მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ყურად არ იღო ეს ქადაგება და მტრულად განეწყო მის მიმართ. როდეს-

საც უფალმა მშობლიურ ქალაქ ნაზარეთში იქადაგა, მცხოვრებლებმა მისი კლდიდან გადმოგდება მოიწადინეს. კაპენაუმში დასახლებულსაც სრული უყურადღებობა შეეგება მისი სწავლების მიმართ, ასევე მოხდა მიმდებარე სოფლებში – **ქორაზინსა და ბეთსაიდაში**. „გაი შენდა, ქორაზინ! გაი შენდა, ბეთსაიდა! მიმართავდა ამ ხალხს, რამეთუ ტკროსს თუმცა და სიდონს იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს თქვენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარესათა შეინანეს. ხოლო გეტყვ' თქვენ, რამეთუ ტკროსი და სიდონი უმოღსინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე თქვენ“ (მათე 11, 21-24).

სახარების ქადაგებისადმი ესოდენი უყურადღებობის მიზეზად გალილეელებში მოსახლეობის განსაკუთრებულ ყოფით განწყობილებას მიიჩნევენ. იგაგებში უფალი თანამემამულეებს პრაქტიკულ და ცხოვრებისეული ინტერესებით გატაცებულ ხალხად გვიხატავს: „ყოველმან, რომელმან ისმინეს სიტყუანი ესე ჩემნი და ყვნეს იგინი, გამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თქსი კლდესა ზედა“ (მათე 7, 24). „ვისმე უკუე თქვენგანსა უნდეს გოდოლი შენებად, არამეა პირველად დაჯდეს და აღრაცხოს, რაოდენი წარავოს, უკუეთუ აქუს, რაღთა კმაყყოს მას აღსრულებადმდე. ნუუკუე დადვას საფუძველი და ვერ შეუძლოს აღსრულებად მისა, და ყოველნი რომელნი ჰხედვენ მას, იწყონ კიცხევად მისა და თქუან: კაცმან ამან იწყო შენებად და ვერ შეუძლო აღსრულებად“ (ლუკა 14, 28-30). „არავინ დასდვის ჰელი საცნგელსა, და ჰხედავენ იგი გარეშეუკუნ და წარმართებულ არს სასუფეველსა ღმრთისასა“ (ლუკა 9, 62). ისინი არ ჩქარობდნენ, მიეცათ შესვენება დაქირავებულთათვის და დღის ბოლოს უსწორებდნენ ანგარიშს (შდრ: მათე 20, 8); ფიქრობდნენ, როგორ აეშენებინათ დიდი ბედელი (შდრ: ლუკა 12, 18); ამიტომაც ჰქონდათ მათ ასეთი განწყობა სახარების ქადაგებისადმი, მსგავსად ლხინზე მიწვეული მონისა: „კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა. და წარავლინა მონად თქსი ჟამსა პურისასა, რაღთა ჰრქუას ჩინებულთა მათ მოსლვად, რამეთუ: აჰა ესერა, პური ჩემი მზა არს ყოველი. და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად. პირველმან მან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-ძაც მისლვად და ხილვად იგი. გლოცავ შენ, განმიტყევე, ჯმნულმცა ვარ შენგან. და სხუამან თქუა: უღლეული ჰართად ვიყიდე ხუთი და მიგალ გამოცდად მათა; გლოცავ შენ, ჯმნულცა ვარ. და მერმე სხუამან ჰრქუა: ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ჰელ-მეწიფების მოსლვად (ლუკა 14, 16-20)“.

უფლის ამაღლების შემდეგ მოციქულებმა, გალილეის მკვიდრებმა,

არაერთხელ იქადაგეს თავიანთ სამშობლოში. მაგრამ მათი ქადაგების წარმატებაზე ან იმაზე, თუ კერძოდ, რა ადგილებში ქადაგებდნენ, ან ჰყავდათ თუ არა მიმდევრები, არაფითარი ცნობა არ შექმნიან.

იუდეველთა ომების დროიდან, პირველი საუკუნის 70-იანი წლებიდან მეთოხე საუკუნემდე, გალილეაში ქრისტიანული ეკლესიის არსებობის არაფითარი კვალი არ იძებნება. ორი მიზეზი განაპირობებს ამას. ჯერ ერთი, გალილეის ქალაქები, რომლებიც ებრაელებით იყო დასახლებული, ომის დროს დაინგრა. თავისუფლებისმოყვარე გალილეველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს იუდეველთა აჯანყებაში რომის წინააღმდეგ, ფლავიოსმა 100 000 მონაღლსე შეკრიბა და თაბორზე გამაგრდა, შეაკეთა თაბორის ციხე-სიმაგრე ითაბურიონი, რომელიც დღესაც დგას. გენესარეთის ტბის მეთევზეთა ნაგები გადაკეთდა სამხედრო ფლოტად და ტბაზე მრავალი სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. ამ თანადგომისთვის სასტიკად დაისაჯნენ გალილეველნი. გენესარეთის წყლებზე გამართული ბრძოლის აღწერისას, სადაც 7 500 ადამიანი დაიღუპა, ფლავიოსი წერს: „ასობით ადამიანი ემსხვერპლა რომაელთა შუბებს. ვინც ცდილობდა, როგორმე თავი გადაერჩინა, წყლის ქვეშ იმალებოდა, მაგრამ როგორც კი ამოსწევდა თავს, წამსვე ისრებით განიგმირებოდა, ხოლო თუ რომაელთა ნაგებთან მიცურდებოდნენ, ან თავს დაკარგავდნენ, ან – ხელებს. ზოგიერთებზე დეგნა ხმელეთზეც გრძელდებოდა, და ყველა ამოწყდა“. „მაშინ, აგრძელებს იგივე ავტორი, ტბა შეიღება სისხლით, აივსო გვაშებით და ვერაფერს გადაურჩა სიკვდილს. საშინელი სიმყრალე იდგა ამ ქვეყანაში მომდევნო დღეებში და მწუხარე იყო ეს ქვეყანა; ტბა საგსე იყო გემების ნამსხვრევებითა და გასიებული, მცხუნვარე მზის ქვეშ გახრწნილი გვაშებით. და ისე იწამლებოდა ჰაერი, რომ ეს უბედურება არა მარტო იუდეველების, არამედ მათ მოძულეთა და ამ უბედურების მიზეზთა სიბრაღულს იწვევდა. მრავალი გალილეველი დაიღუპა ამ ომში მახვილით, მრავალი ტყვე სასტიკი სიკვდილით დასაჯა ვესპასიანემ პტოლემეიდასა და ტიბერიადას შორის. 1 200 მოხუცი და დავრდომილი მოაკვდინეს სტადიონზე; 6 000 ტყვე გაუგზავნეს ნერონს ათენის ყელის გასათხრელად; 30 400 გაყიდეს მონად.... საბოლოოდ დაიქცა გალილეის ქვეყანა. ასე აღსრულდა უფლის სიტყვები: ვაი შენდა, ქორაზინ! ვაი შენდა, ბეთსაიდა! ვაი შენდა კაპერნაუმ! თვით ზეცამდე ამაღლებული, ჯოჯოხეთამდე დაემხობი“.

მეორე და მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქრისტიანობის არანაირი კვალი არა ჩანს გალილეაში მე-2-3 სს-ში, იყო იუდეველების გადმოსახლება იერუსალიმის დანგრევის შემდეგ. როგორც ვიცით, გალილეის ქალაქ-

ბი მეტწილად წარმართებით იყო დასახლებული, რომელთაც, რა თქმა უნდა, არ შეეხებია ზემოთ აღწერილი უბედურება. ასეთი იყო, მაგალითად, ქალაქი ტიბერიდა. და აი, მოხდა მეტად უცნაური რამ. იერუსალიმის იუდეველები, რომლებსაც ასე სძულდათ წარმართული გალილეა და ეზიზღებოდათ მათი წინაპრების საფლავებზე აშენებული ტიბერიდა, იძულებულნი გახდნენ, სწორედ ეს ადგილი აერჩიათ საცხოვრებლად. 70 წელს, იერუსალიმის დანგრევისა და, განსაკუთრებით, მის ადგილზე ელია კაპტოლინას დაარსების შემდეგ, იერუსალიმის იუდეველები იწყებენ მასიურ გადმოსახლებას გალილეის ქალაქებში და იქვე აარსებენ იუდაიზმის ცენტრს. ტიბერიდაში ეწყობა ცამეტი სინაგოგა. ტიბერიდადის სინედრიონი ხდება იუდეველთათვის უმაღლესი რელიგიური ინსტანცია; იერუსალიმიდან გადმოტანილი იუდეის უმაღლესი სკოლა იუდეური მეცნიერების ცენტრად იქცევა. ტიბერიდადის სკოლებში შეგროვდა ის დადგენილებები, რომლებიც ქმნიან მიშნას, თალმუდის ძირითად ნაწილს. ნეტარი იერონიმე გვიაზიბობს, რომ მის იუდეველ მასწავლებელს, რომელიც ყველას აოცებდა სიბრძნით, განათლება ტიბერიდადის სკოლებში ჰქონდა მიღებული. ქრისტიანული გადმოცემის საპირისპიროდ იუსტინიანეს შესახებ, რომელსაც გალილეაში 80 ეკლესია ჰქონდა აშენებული, არსებობდა იუდეველთა გადმოცემა რაბინ სიმონზე, რომელმაც 80 სინაგოგა ააშენა ამ ქვეყანაში. ერთი მხრივ, გალილეის ამგვარი გაპარტახებისა, მეორე მხრივ, აქ ფანატიკური იერუსალიმური იუდეველობის ცენტრალიზაციის გამო 1-ლი საუკუნის ბოლოს, შეუძლებელი ხდებოდა აქ ქრისტიანული ეკლესიის არსებობა. ამ მხარეში მე-4 საუკუნემდე ქრისტიანობის არსებობის არავითარი კვალი არ მოიპოვება. გალილეის ხელმეორე „განათლება“ სახარების სწავლების ნათელით და აქ საეპისკოპოსოების დაარსება უკვე მე-4 საუკუნეში იწყება.

პრმა. ვიდრე დაგამთავრებდეთ თხრობას გალილეაზე, ვიტყვოდეთ მის განათლებაზე ქრისტიანული სწავლების სინათლით მე-4 ს-ში, უნდა ვახსენოთ მეორე პალესტინის პროვინციის ნახევარი, იორდანის გაღმა ქვეყანა, რომლის ბერძნული სახელი იყო პერეა (სიტყვასიტყვით „გაღმა მხარე“). ზემოთ ითქვა, რომ გენესარეთის ტბის აღმოსავლეთი ნაპირი, ანუ იორდანის გაღმა მხარე, უდაბნოს ჰგავდა. „გენესარეთის ტბის მეორე მხარეზე, ანუ აღმოსავლეთით, წყნს ფარარი, იმ დროშიც არ ჩანდა არც ერთი ხე, არც სულდგმული ვინმე, არც საცხოვრებელი. არაფერი იყო დაბალი ბორცვების გარდა, რომლებიც კლდოვანი ნაპრალებით იყო დასერილი და ვიწრო და უნაყოფო ტბის ნაპირისკენ ეშვებოდა. მაცხოვრის

დროს კონტრასტი ამ ორ მეზობელ მხარეს შორის საოცარი იყო“.

თუმცა ამგვარი უნაყოფობა და უკაცრიელება იორდანის მთელ ვად-
მა მხარეზე არ ვრცელდება. მის შემადგენლობაში შედიოდა რუბენისა
და გადის შტოების ოლქები, რომლებმაც ოდესღაც დაჟინებით სთხოვეს
მოსეს, დაეტოვებინა ისინი ამ საძოვრებით მდიდარ იორდანეს ვადმა
მხარეში და არ გადაეყვანა იორდანეზე. არც ისაა სწორი, თითქოს მაცხო-
ვრის დროს სრულიად უკაცრიელი იყო მდინარის ვადმა მხარე. აქ,
სხვათა შორის, იყო ბერძნებით დასახლებული, ერთმანეთთან დაკავშირე-
ბული ათი ქალაქი, საიდანაც მომდინარეობს ამ ოლქის სახელწოდე-
ბა „დეკაპოლისი“ (ათი ქალაქი). ამ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნებოდა:
დადარა, გერაზა, ჰიზპოსი, პელლა, ფილადელფია (დღევანდელი ამანი),
კაპიტოლიასი (ბეთრასი), კანათა, რაფანა, გერგესა, სეგითოპოლისი.

როდესაც მაცხოვრის მიერ ამ მხარის მონახულებასა და ეშმაკუ-
ლის განკურნებაზე მოგვითხრობენ, მარკოზ და ლუკა მახარებლები მას
დადარინელთა მხარეს უწოდებენ. ალბათ, იმიტომ, რომ *დადარა* დეკაპო-
ლისის მთავარი ქალაქი იყო. მათე მოციქული კი მას *გერგესეველთა*
მხარედ იხსენიებს, საგარაუდოდ, იმიტომ, რომ განკურნება აღსრულდა
ქალაქ გერგესის მიდამოებში, რომელიც დოქტორ ტომსონის კვლევით,
იორდანეს ვადმა მხარეში, კაპერნაუმის პირდაპირ მდებარეობდა. მოცი-
ქულები მოგვითხრობენ: როდესაც დადარინელის განკურნებისას მისგან
გამოსული ეშმაკები ღორების კოლტში შევიდნენ და კბოდედან ვად-
ილეის ზღვაში გადაცვივდნენ, დადარინელებმა სთხოვეს უფალს, გას-
ცლოდა მათ. ამიტომ საჭირო არაა, ვილაპარაკოთ უფლის ქადაგების
წარმატებაზე იორდანეს ვადამა.

თუ თვალს გავადევნებთ ისტორიის შემდგომ განვითარებას იორ-
დანის ვადმა მხარეში, ვხვდებით ისეთ ფაქტებს, რომლებსაც, ეკლესიის
ისტორიკოსების აზრით, ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიან-
ული ეკლესიის ისტორიაში. ეს იყო იერუსალიმის ქრისტიანული თემის
გადასახლება პერეაში, რომელიც ტიბერიადაში იერუსალიმის იუდეველ-
თა გადასახლების თანადროულად მოხდა. ევსევი გვიამბობს: ანგელოზის
ბრძანებით, იერუსალიმის ქრისტიანებმა ტიტუსის მიერ იერუსალიმის
დანგრევამდე ცოტა ხნით ადრე დატოვეს იერუსალიმი და გადასახლდ-
ნენ პელლაში. ეს ქალაქი, რომელიც მხოლოდ ბერძნებით იყო დასახ-
ლებული, შესაძლებელია, მაკედონელებითაც, რადგანაც მაკედონიაშიც
არსებობდა ქალაქი პელლა, სრულიად არ თანაუგრძობდა იუდეველთა
აჯანყებას. მით უმეტეს, რომ 150 წლის წინ, ალექსანდრე იოანეს დროს,
ის მთლიანად გააპარტახეს იუდეველებმა. იერუსალიმისადმი მტრულად

განწყობილი, ის უსაფრთხო თავშესაფარი იყო იერუსალიმელი ქრისტიანებისთვის. „იერუსალიმის იუდეველ-ქრისტიანების ამ გადასახლება პელლაში, გვიამბობს ლანგე „მოციქულთა საუკუნის ისტორიაში“, ქალაქში, რომელიც ბერძნების კოლონია გახლდათ იუდეველთა ქვეყანაში და დაკავშირებული იყო ღადარასთან, გერაზასა და სხვა ქალაქებთან, სადაც ბატონობდა ბერძნული განათლება, არ შეიძლება, არ მოჰყოლოდა იერუსალიმიდან გადმოსახლებულების რელიგიურ შეხედულებათა გავლენა. პელლაში მცხოვრები იერუსალიმის იუდეველ-ქრისტიანები იძულებულნი იყვნენ, მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინათ წარმართებიდან გამოსულ ქრისტიანებთან და მათი ზეგავლენით უნდა შეეძინათ მეტი თავისუფლება მოსკეს კანონის დაცვის ვალდებულებებში, შეხედულებებში, რომლის ავტორიტეტული წარმომადგენლებიც აქამდე თავად იყვნენ“.

შემდგომში პელლაში დასახლებულმა ქრისტიანებმა დატოვეს ეს ქალაქი და ისევ დაბრუნდნენ იერუსალიმში. მათ ყოფნას ბერეაში უკვალოდ არ ჩაუვლია. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ მე-2-3 სს-ში სკვითობლისში,¹³ ქალაქში, რომელიც 3 კმ-ით იყო დაცილებული პელლადან, იყვნენ ქრისტიანები. თუმცა ეს ქალაქი მდებარეობდა იორდანეს მკორე, დასავლეთ მხარეზე, მაგრამ რადგანაც დასახლებული იყო უბრატესად წარმართებით (გადმოცემით, სკვითებს დაუარსებიათ 655 წ-ს. ქრ. დაბადებამდე, მიდიასა და სირიაზე ლაშქრობის დროს), დაკავშირებული იყო დეკაპოლისთან. შემდგომში ის დეკაპოლისის მთავარი ქალაქი გახდა, უფრო მოგვიანებით – მთელი მკორე პალესტინის მიტროპოლია. ბირველ საუკუნეებში სკვითობლისში ქრისტიანული ეკლესიის არსებობაზე ნაწილობრივ მიუთითებს ის ფაქტი, რომ 305 წ-ს. კესარიაში ეწამა ვინმე პროკოფი (მედავითნე, კატეხიზისტი და ეკზორცისტი) სკვითობლისიდან, უფრო მეტად კი ის, რომ 325 წ-ს. სკვითობლისში უკვე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა და მისი ეპისკოპოსი პატროფილე, არითზის ფანატიკური მიმდევარი, ესწრებოდა ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებას.

ამავე დროს, კონსტანტინე დიდის ზეობისას, სკვითობლისში ცხოვრობდა იუდეველი იოსები. წმინდა ეპიფანე დაწვრილებით აღწერს ამ იუდეველის სასწაულებრივ მოქცევას ქრისტეს რჯულზე. კონსტანტინე დიდმა იოსებს კომიტი¹⁴ წოდება უბოძა. იოსები, თითქმის ერთადერთი

13 სკვითობლისი – დღევანდელი ბეთ-შეანი, წმინდა მიწის ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანი, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე მესამე ათასწლეულიდან არსებობს. არქეოლოგიურმა გათხრებმა და ვრცელმა სარესტავრაციო სამუშაოებმა დღევანდელი ბეთ-შეანი (ისრაელის მიწის ნამდვილ „კომპუად“ აქცია (რედ. შენ).

14 კომიტი – სამოხელეო პირი ბიზანტიის იმპერიაში. ეს თანამდებობა გაჩნდა

მართლმადიდებელი მთელს სკვითობოლოში, მოშურნეობით აგრცელეზ-და ქრისტიანობას მეორე პალესტინის პროვინციებში, განსაკუთრებით გალილეაში. მან ტიბერიადაში დააარსა ეკლესია და აღრიანუმად წოდებულ ნანგრევებზე მოაწყო ტაძარი პეტრე მოციქულის სახელზე. მანვე დააარსა ეკლესია ნაზარეთში.

მე-4 საუკუნეში საეპისკოპოსო კათედრები არსებობდა მეორე პალესტინის კიდევ ოთხ მხარეში – გაბეში, მაქსიმიანოპოლისში, ჰიბზოსსა და კაპიტოლიასში. მე-5 საუკუნეში მათ კიდევ ოთხი საეპისკოპოსო მიემატა: პელლაში, იოტაბაში, ამათუსსა და მირაში. მე-6 საუკუნეში კი, როდესაც საეპისკოპოსოები გაიხსნა აბელში, ელენოპოლისში, დიოკესარიაში, კარპოკრატისა და ეკაზალში (ამ უკანასკნელში შეიძლება ვიგულისხმოდ თაბორის მთა), საეპისკოპოსოების საერთო რაოდენობამ მეორე პალესტინაში თექვსმეტს მიაღწია.

ამ მხარეს განსაკუთრებულად მფარველობდა იმპერატორი იუსტინიანე და ზრუნავდა იქ ქრისტიანობის გაგრცელეზაზე. აქამდე ამ პროვინციებს საქრისტიანო სამყაროს კიდევ აღიქვამდნენ და ქალაქი სკვითობოლისი ერესების დროს სწორად იყო განდევნის ადგილი, ზოგიერთისთვის კი – თავშესაფარი. მაგალითად, ევსევი ვერჩელელი¹⁵ დიდხანს იძალებოდა აქ იოსებთან. ფანატიკოსები, რომლებიც აღაშფოთებდნენ პალესტინის ეკლესიას ქალკედონის კრების შემდეგ, დაუსჯელად დაესხნენ თავს სკვითობოლისის ეკლესიას, მოკლეს ეპისკოპოსი სევერიანე და შეურაცხვეს მისი მსახურები.

იუსტინიანეს დროს სკვითობოლისის ეპისკოპოსი საპატრიარქო ღირსებას იძენს და 536 წლის იერუსალიმის კრებაზე ხელს აწერს უშუალოდ კესარიის მიტროპოლიტის შემდეგ. ამ დროს სკვითობოლისში ცხოვრობდა ბერი კირილე სკვითობოლისელი, რომელმაც შეადგინა პალესტინის ეკლესიის ისტორიისათვის ძვირფასი, იქაურ დგაწლმოსილ პირთა ცხოვრებანი, აღწერა მათი ბრძოლა ჭეშმარიტებისათვის.

განსაკუთრებით გამოცოცხლდა გალილეის საეკლესიო და საერთო ცხ-

კონსტანტინე დიდის რეფორმების შედეგად; იყვნენ როგორც სამოქალაქო, ისე – სამხედრო საქმის კომიტები. სიტყვა ლათინური წარმოშობისაა – comes, comitas, – და „თანამგზავრს,“ „ამხანაგს“ ნიშნავს (რედ. შენ.).

15 იგულისხმება წმ. ევსევი, ვერჩელის ეპისკოპოსი, მე-4 საუკუნის (283-372) იტალიელი მოღვაწე. წმ. ევსევი ათანასე აღექსანდრიელისეული სარწმუნოების სიმბოლოს გულანთებული დამცველი და არიოზის მიმდევართა დაუღალავი მოწინააღმდეგე იყო, რისთვისაც მათ მიერ იდევნებოდა. ამბროსი მედიოლანელი ერთ წერილში ქებით იხსენებს მას ეპარქიის კეთილად განგებისათვის, და, განსაკუთრებით, სამონასტრო ცხოვრების მოწყოებისათვის აღმოსავლური ეკლესიის წესისა და რიგის მიხედვით. წმინდანი იტალიაში პიემონტის მხარის მფარველად ითვლება (რედ. შენ.).

ოვრება იმპერატორ იუსტინიანეს დროს. მან ტიბერიადას მყარი გალავანი შექმავლო და ოთხმოცამდე ეკლესია ააშენა. „თაბორის მთა, ამბობს მე-7 ს-ის ერთი მოგზაური, დაფარულია ბაღახითა და ყვავილებით, მის მშვენიერ მწვერვალზე დგას მონასტერი და მრავალი სენაკი“. მაგრამ დიდხანს არ გასტანა მეორე პალესტინის კეთილდღეობამ. ტიბერიადა და სხვა ქალაქები მე-8 ს-ში ხალიფა ომარმა დაანგრია.

ჯვაროსნობის დროს, მე-9 საუკუნეში, საეკლესიო ცხოვრების ცენტრმა სკვითობოლისიდან ნაზარეთში გადაინაცვლა. სკვითობოლისის კათედრამ დაკარგა მნიშვნელობა და ნაზარეთში გაიხსნა სამიტროპოლიტო კათედრა.

პირველი პალესტინა

ამ პროვინციაში შედიოდა სამარია, იუდეა და იდუმეა.

სამარია. გალილეის სამხრეთით მდებარეობდა ქვეყანა სამარია. ეს სახელი მას სამარიის (ებრაული გამოთქმით „შომრონ“) მთაზე მდებარე მისი მთავარი ქალაქის მიხედვით ეწოდა. მოცულობით სამარია არ ყოფილა დიდი, მაგრამ, გალილეის მსგავსად, უხვი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. ის წარმოადგენდა მსხმოიარე ტყეებით დაჩრდილულ ხევს. გარდა ცნობილი ისრაელის ველის სამხრეთისა, მის შემადგენლობაში შედიოდა შესანიშნავი იორდანის ველის ნაწილიც. ასეთი ნოყიერი ნაიდავის გამო სამარია კარგად იყო დამუშავებული. თაღმუდის მიხედვით, სამარიის მხარეში უამრავი ქალაქი იყო. „დავითს, მოგვითხრობს რაბინი იონათანი, სამარიის მთებში ჰქონდა სამოცი ათასი ქალაქი; და ყოველ ქალაქში იმდენივე მოსახლე იყო, რამდენიც ირიცხებოდა ეგვიპტიდან ებრაელების გამოსვლის დროს“. მოსახლეობის ასეთი სიმჭიდროვე არცთუ ისეთ დიდ სამარიაში აიხსნება ადგილის თავისებურებით, ის მოფენილი იყო მთებითა და ბორცვებით, რასაც ველები კვეთდა, ამის გამო ქვეყნის ზედაპირი თითქმის ორჯერ იზრდებოდა. რაბინი ულა ამბობს თაღმუდში, „რომ სამარიის მთებში იყო 60 ათასი ქალაქი, თუმცა, ერთი შეხედვით, იქ 60 ლერწმის ბუჩქისთვისაც არ არის საკმარისი ადგილი“. სამარიის უდაბურ და მიუწვდომელ მთის ხეობებში, სადაც ადამიანი ვერ სახლდებოდა, მრავლად იყო მტრედები და იერუსალიმის ტაძარიც

სამსხვერპლო მტრელების უმეტეს ნაწილს სამარიის მთებიდან იღებდა, როგორც ტარიუს – ქებრონიდან და შარონის ველიდან, ხოლო ღვინოსა და ფქვილს – გალილიადან.

ოდესღაც სამარია ისრაელის სამეფოს ნაწილს შეადგენდა. როდესაც ეს სამეფო ასურელებმა დაიპყრეს, სამარიაში დარჩენილი ებრაელები, ძირითადად დაბალი ფენა, შეერივნენ მოსულ წარმართ კოლონისტებს და სახის წყობითაც კი არაგითარი საერთო აღარ შეერჩათ ებრაელებთან. ამასთან ერთად, შეინახეს რა ჭკუშმარიტი რწმენა, რამდენადმე შეიცვალეს რელიგიური შეხედულებანი. ამიტომ ათვალწუნეს იუდეველებმა სამარიტელი ებრაელები, როგორც უბილწულები. იუდეველთათვის სიტყვა „სამარიტელი“ საგინებლად იქცა. ისინი ისე ერიდებოდნენ სამარიტელებთან ურთიერთობას, როგორც დანაშაულს. სინამდვილეში კი სამარიტელები არ იმსახურებდნენ მათ მიმართ ასეთ განწყობას. ამიტომ იესო ქრისტე ხშირად სტუმრობდა სამარიას, ვინაიდან იუდეველებზე უკეთ იცნობდა და მისაბამად წარმოაჩენდა მათ. ზოგიერთ რელიგიურ წარმოდგენაში სამარიტელებს უბირატესობაც კი ჰქონდათ. მაგალითად, ისინი ელოდნენ მესიას, როგორც ხალხის მასწავლებელს, სულიერ მოძღვარს და არა, როგორც მიწიერ განმანთავისუფლებელს. ზოგიერთ მათგანს იუდეველებზე უკეთ ესმოდა იესო ქრისტეს სწავლება და გარს ეხვეოდნენ მოძღვარს.

პირველ საუკუნეში სამარიაში ქრისტიანული თემი დააარსა მოციქულმა ფილიპემ. პეტრე და იოანე მოციქულები საგანგებოდ იყვნენ მოვლანებულნი იერუსალიმიდან სამარიტელების მოსანათლად. როგორც ერთი მწერალი აღნიშნავს, ფილიპე მოციქულს ბოძებული ჰქონდა განსაკუთრებული სასწაულმოქმედების ნიჭი (საქ.მოც. 8,5-40). სწორედ ამით აიხსნება ის დიდი წარმატება, რომელიც მოჰყვა მის ქადაგებას სამარიაში, და განსაკუთრებით – **სებასტიასში**, ქვეყნის დედაქალაქში. ამ ქვეყანაში მეტად ძლიერი იყო სასწაულთა რწმენა და მოწიწება ყოველივე უჩვეულოს მიმართ. 36 წ-ს, ანუ სამარიაში ქრისტიანი მქადაგებლების მოსვლამდე ორი-სამი წლით ადრე, დიდი მოძრაობა დაიწყო ერთი ცრუწინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ქადაგებდა მოსეს კანონთან პირველადი სახით დაბრუნების აუცილებლობას. ცნობილმა სიმონმა სოფელ გიტონიდან თუ გიტადან, რომელმაც უემდგომში დიდი სახელი მოიხვეჭა, დაიწყო იმით, რომ ახდენდა მაგიურ სასწაულებს, ამიტომაც უწოდებენ მას მოგვს.¹⁶ სამარიტელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე, ის იქამდე

16 სიმონ მოგვის შესახებ მოგვითხრობს „საქმე მოციქულთა“ – თავი 8,9-25. მისი სახელის მიხედვით ეწოდა „სიმონია“ სასყიდლის საფასურად მღვდელმსახ-

მივიდა, რომ მოციქულებს ფული შესთავაზა სასწაულთა აღსრულების ნიჭის სასყიდლად.

სამარის მხარის მთავარ ქალაქად ითვლებოდა სამარია ანუ **სებასტია**. ეს სომერის მთაზე, მოგრძო, შემაღლებულ ადგილზე მდებარე ქალაქი იერუსალიმიდან 13 კმ-ით იყო დაცილებული, გარს მსმთიარე ველი და ბორცვები ერტყა. თავდაპირველად სამარია ააშენა ისრაელის მეფე ამბრიმ, და ქალაქი მალე იქცა ისრაელის სამეფოს დედაქალაქად, რომელიც ყველაზე ლამაზი და გამაგრებული იყო ქვეყანაში და ეჭირა წრეზე 1 საათის სავალი სივრცე. „მეფობდა ამბრიმ ზედა ისრაელსა ათორმეტ წელ და თერსას მეფობდა ექუს წელ. და მოიგო ამბრიმ მთა იგი სომლორისი სემერესგან, მეფისა მის მთისა, ორითა სასწოროთა ვერცხლითა და ადაშენა მთა იგი და უწოდა მთასა მას სახელი, რომელ ადაშენა, სახელსა მას სემერასსა, უფლისა მთისასა, სომლორთ (III მფ. 16,23-24)“. ნაყოფიერი, თვალწარმტაცი მთის შემაღლებაზე და ტერასებზე განლაგებული სასახლეებიდან ისრაელის მმართველებს შეეძლოთ თვალი ხმელთაშუა ზღვამდეც მიეწვდინათ. ამ ადგილის შერჩევა დედაქალაქად მეფის უტყუარ გემოვნებაზე მიუთითებს, აქ ზომ ასე შერწყმული იყო სილამაზე ბუნებრივ თავდაცვით სიძლიერესთან და მსგავსი ადგილი, როგორც აღნიშნავენ მოგზაურები, არ იძებნებოდა მთელს აღმოსავლეთში.

სამეფოს ათ მუხლად დაყოფის შემდეგაც სამარია ინარჩუნებს თავის პოლიტიკურ მნიშვნელობას, თუმცა რელიგიურ საკითხებში მას გადასძლია **სიქემმა**. ერთწლიანი ალყის შემდეგ იოანე ჰირკანი¹⁷ აპარტახებს სამარიას. ანტონიუსისა და კლეოპატრას სიკვდილის შემდეგ მის ნანგრევებს იმპერატორი ავგუსტუსი ჩუქნის ჰეროდე დიდს. და მან ამ ადგილას შექმნა საოცრება: გააფართოვა ბიბლიური ქალაქის საზღვრები, გარს უფრო ფართოდ შემოავლო გალაგანი, ქალაქის ცენტრში, შემაღლებაზე, ააგო ბრწყინვალე ტაძარი ავგუსტუსის საპატივცემულოდ, თანამედროვე გემოვნებით აღადგინა ყველა შენობა და ქალაქის დასაცავად იქ 6 000 რომაელი ვეტერანი განათავსა. აი, ამგვარი სახით დახვდა სამარია (სებასტია) ახალ აღთქმას.

სამარიის მომდევნო საუკუნეების ისტორია მხოლოდ მედლებმა

ურების უფლების მოპოვების მცდელობას. ძველი ქრისტიანი ავტორები: იუსტინე ფილოსოფოსი, ირინეოს ლიონელი, იპოლიტე რომაელი, ტერტულიანე და სხვები სიმონ მოგვს მიიჩნევენ გნოსტიციზმისა და ეკლესიის ყოველგვარი ერესის მამამთავრად (რედ. შენ).

17 იოანე ჰირკანი – იუდეის მეფე ხასმონიდების დინასტიიდან, მეფობდა ძვ.წ. 134-104 წწ-ში. მის შესახებ ვკითხულობთ მაკაბელთა წიგნებში, ასევე – ფლავიოსთან (რედ. შენ).

შემოინახა, მათგან განსაკუთრებით ბევრი შემორჩა ნერონიდან გალაძედ (კარაკალას ძმა) წარწერით q Sebasto~ meg. ე.ი. დიდი სებასტიის დემურები. სებასტიუს სევერუსმა სებასტია კოლონიად გადააქცია, ანუ ქალაქი გაათავისუფლა ხარკისაგან. თუ როდის დაინგრა ჰეროდეს სამარია, ზუსტად ცნობილი არ არის. უტყუარია მხოლოდ ის, რომ ევსევიმ იხილა ის, თუმცა იერონიმესეულ პალესტინის მიმოხილვაში სებასტია უკვე აღარ არსებობდა.

ყოველივე სამარიულისადმი ზიზღთან ერთად იუდეველებს შურდათ სამარიის მდებარეობისა და სიმდიდრისა და ბედნიერ ქალაქს უწოდებდნენ მას. „ვისაც უნდა სიმდიდრე, ბედნიერი ცხოვრება, ამბობდნენ თალმუდისტები, წავიდეს სამარიაში, თუმცა კი ბრძენმა იერუსალიმი უნდა ამჯობინოს“. მართლაც, სამარია გარეგნობით უპირატესი იყო იერუსალიმზე – იერუსალიმის გარშემო არსებული ქვებისა და შიშველი ფლატეების ნაცვლად აქ აყვავებული მიდამო იყო, სილამაწითა და ნაცოფიერებით ერთ-ერთი საუკეთესო პალესტინაში. ამას თუ დავუმატებთ მოსახლეობის განსაკუთრებულ სიხალისეს, რასაც კიდევ უფრო ზრდიდა ღვინისადმი მიდრეკილება (წინასწარმეტყველები სამარიტელებს ღოთებს ეძახდნენ), ჩვენთვისაც ნათელი ხდება, უძველესი დროიდანვე ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან რატომ მოდიოდა ამ მხარისაკენ ცხოვრებაში მხოლოდ გრძნობიერ ნიამოვნებასა და სიტკბოებას დაწაფებული ხალხი. სიმდიდრით ქედმაღალი სამარიტელები გამოირჩეოდნენ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი იერით, რითაც მათ ყველგან ადვილად სცნობდნენ. ისინი სხვა კუთხის მაცხოვრებლებს ზემოდან დასცქეროდნენ, ებრაულ სიტყვებს ცხვირში გამოთქვამდნენ, მათი ჩვეული სალაპარაკო თემა მათი ქალაქის უპირატესობა იყო: „ჩვენი ქალაქი იმგვარი აგურით როდია ნაშენი, დავარდნისას რომ იფშენება, არამედ – ლოდებით, განა ლედვის ხით, მაღევე რომ ღებება, არამედ – საუკეთესო ლიბანის კედარით“.

სამარიის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ აქ ქრისტიანობა იქადაგა ფილიპე დიაკონმა (ერთმა შეგიდთაგან), ხოლო მოქცეულები მონათლეს პეტრემ და იოანემ. საუბისკობოსო კათედრა სამარიაში 1-ელ საუკუნეში დაარსდა და გადმოცემით, მისი პირველი ეპისკოპოსი იყო დიაკონი ნიკოლოზი. მე-4 საუკუნეში სამარიის ეპისკოპოსი ესწრებოდა ნიკეის კრებას. აქვე, სამარიაში დიდი ხნის მანძილზე ინახებოდა აკლდამა იოანე წინამორბედის ნეშტით, რომელზეც მოციქულთასწორმა ელენემ ააგო ტაძარი. ამ აკლდამისა და ტაძრის ნაშთები ახლაც არსებობს. თუმცა იოსებ ფლაგიოსი და ევსევი იოანე წინამორბედის მოწამეობრივი სიკვდილის ადვილად მახერის ცხე-

სიმაგრეს მიიჩნევენ, მკვდარი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მისი ნეშტი მის მოწაფეებს სებასტიაში გადაეტანათ. ამას საკმაოდ დამაჯერებლად ადასტურებს იერონიმე, რომელმაც სწორედ სებასტიაში იხილა იოანე ნათლისმცემლის აკლდამა, წინასწარმეტყველების – ელისესა და აბდას – აკლდამებთან ერთად.

მოგვიანო ავტორების მოწმობით (თეოდორიტე), იულიანე განდგომილის დროს იოანე წინამორბედის წმინდა ნაწილები, რომელიც სებასტიაში განისვენებდა, დაწვეს და ქარს გაატანეს. მე-ნ საუკუნეში ანტონინემ სებასტიაში იხილა ქრისტიანული ბაზილიკა წინამორბედის აკლდამაზე, თუმცა, მე-5 საუკუნის მწერალი ბილიბაღდი ლაპარაკობს წინამორბედის აკლდამაზე ბაზილიკის გარეშე, რომელიც, ალბათ, იმ დროისათვის სპარსთა მიერ იყო დანგრეული. ამ ფაქტებზე დაყრდნობით ჩვენ არ ვანიჭებთ მნიშვნელობას სკეპტიკოსთა ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც გადმოცემა სებასტიაში წინამორბედის საფლავის შესახებ არ ეფუძნებოდა ისტორიულ მონაცემებს და გამთწვეული იყო მხოლოდ პარალელიზმისადმი მიდრეკილებით, რათა იერუსალიმში, იუდეის დედაქალაქში, მაცხოვრის საფლავის არსებობის შესატყვისი ყოფილიყო მისი წინამორბედის საფლავის არსებობა სებასტიაში – ისრაელიანთა სამეფოს დედაქალაქში.

ნეაპოლინი (ნაზლუსი) – ძველი *სიქემი*.¹⁸ სიქემი იერუსალიმიდან 64 კმ-ზე მდებარეობდა, გებალისა და გარიზინის მთებს შორის. თავად სახელწოდება სიქემი, ანუ მხრები, მიანიშნებდა, რომ ქალაქი ორივე მხრიდან მთების ფერდობებს ეფინებოდა. ქალაქის მდებარეობა ძალიან ლამაზი იყო, მას ამშვენებდა მორეგის ქალა, დიდი მუხა (რომლის ქვეშაც იაკობმა დამალა ცოლის კერპები), მთების – გერიზიმისა და ებალის, მწვერვალები. ქალაქი ნაბლუსი მეტად მდიდარია წყლით. მის მიდამოებში ოთხმოცამდე წყაროა. წყლის სიუნჯეს უნდა უმაღლოდეს ქალაქი ნაირგვარ მცენარეულობასა და ბაღების სიქორფეს. ბაღებში ბევრია ხეხილი და ყვავილები, განსაკუთრებით – იები და ვარდები, რომლისგანაც მზადდებოდა ვარდის წყალი, რაზეც დიდი მოთხოვნილება იყო პალესტინის ყველა რწმენისა და რელიგიის ტაძრებში. ბოსტანში უხვად მოჰყავდათ კიტრი, ხახვი და სხვა ბოსტნეული. იღუმენი დანიელი

18 ქალაქი სიქემი ბიბლიური დროიდანაა ცნობილი, აქ არის ბიბლიური პატრიარქის, იოსებისა და მისი ორი ვაჟის, ეფრემისა და მანასეს, განსასვენებელი. ქრისტემდე 400 წელს ეს ქალაქი სამარიტელთა კულტურულ და რელიგიურ ცენტრად იქცა. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელებმა დაიპყრეს და იმპერატორ ვესპასიანეს საპატივცემულოდ ფლავია ნეაპოლისი დაარქვეს, რაც არაბულში დამახინჯდა, როგორც „ნაბლუსი“ (რედ. შენ).

ამბობს სიქემზე: „ბაღები აქ ურიცხვია და მრავალფეროვანი: ლეღვი, თხილი, ტუნტი, ზეთისხილი... ქალაქს გარშემო აკრავს მადნარი ტყეები და ყანები. ეს მხარე ძალიან ლამაზია და მდიდარი ზეთით, ღვინით, ხორბლითა და ბოსტნეულით. აქ უამრავი ქალაა. ამ სიმდიდრით მარაგდება და ცხოვრობს იერუსალიმი“. ნაბლუსის სიმდიდრე და მდებარეობა ოდიოგანე იზიდავდა ხალხს ყოველი მხრიდან და ის სირიის სხვა ქალაქებზე მეტად ხალხმრავალი იყო. ეს იყო შემაერთებული საგაჭრო ცენტრი ერთი მხრივ, იაფესა და ბეირუსის, და მეორე მხრივ – იორდანეს გადაღმა ქალაქებს შორის. ეს ქალაქი შესანიშნავია იმითაც, რომ ძველი აღთქმის მიხედვით, აქ დიდხანს ცხოვრობდნენ აბრაამი და იაკობი.

ისრაელის სამეფოს დანგრევის შემდეგ სიქემი, რა საკვირველია, დაზარალდა ისევე, როგორც დანარჩენი ქალაქები, მაგრამ არა ძირისძირითადად, როგორც იერუსალიმი იუდეის სამეფოს დანგრევის დროს. რადგანაც ისრაელის სამეფოს დამპყრობელი გეგმავედა დატყვევებული ათი შტოს შეცვლას აღმოსავლეთიდან გადმოსახლებულებით. ეს უკანასკნელნი, რომლებიც ჯერ კუტეების, შემდგომ – სამარიტელების სახელით არიან ცნობილნი, განუყოფლად არიან დაკავშირებულნი თავიანთი ისტორიით სიქემის ისტორიასთან, განსაკუთრებით გარიზინზე ტაძრის აშენების დროიდან. ამის შემდეგ სიქემმა იგივე მნიშვნელობა შეიძინა სამარიტელთათვის, რასაც იერუსალიმი წარმოადგენს იუდეველებისთვის. თავიანთ ტაძარს სამარიტელები თვით იერუსალიმის ტაძარზე მაღლაც კი აყენებდნენ, როგორც აგებულს აბრაამის მიერ ისააკის მსგავრებად შეწირვის ჭეშმარიტ ადგილზე (მორიას მთას იერუსალიმში სამარიტელები ამ მსგავრებად შეწირვის ნამდვილ ადგილად არ მიიჩნევდნენ). სამპერატორო მედლებზეც გამოსახული გარიზინის მთა ტაძრითურთ სიქემის, ანუ მაშინდელი ნეაპოლისის, გერბს წარმოადგენდა. იუდეველთა მიერ დროს სიქემი დაინგრა და მის ადგილზე აშენდა ახალი ქალაქი ნეაპოლისი. სიქემის მკვიდრი სამარიტელები თავგამოდებით ერთგულებდნენ თავიანთ, ქრისტიანობასთან დაპირისპირებულ, კულტს. განსაკუთრებით ძლიერი დევნა ნეაპოლისის ქრისტიანებმა სამარიტელები-საგან იწვნის 487 წელს, ზენონისა და ანასტასის მმართველობის დროს. მრავალი ქრისტიანი დაიღუპა ნეაპოლისში სულთმოფენობას, რადგან მათ ეკლესიაში ყოფნისას დაესხნ თავს. ასეთივე დიდი უბედურება გადაიტანეს ქრისტიანმა სამარიტელებმა 530 წელსაც, იუსტინიანეს დროს, როდესაც სამარიტელები აჯანყდნენ ვინმე იულიანეს წინამძღოლობით. მათ გააპარტახეს ეკლესიები, საშინლად აწამეს ქრისტიანები და ცეცხლს მისცეს მათი წმინდა წიგნები. ამისთვის სამარიტელები დაისაჯნენ და

განდევნილ იქნენ სიქემიდან, ხოლო მათი ტაძარი გადააკეთეს წმინდა დვთისმშობლის ტაძრად. იმპერატორმა იუსტინიანემ სიქემში ამ პერიოდში ხუთი სამარიტული სინაგოგა გადააკეთა ეკლესიად.

სიქემის მახლობლად, გარიზინის მთის ძირში, იერუსალიმის ძველ საქარავნო, დამასკოდან ეგვიპტისკენ მიმავალ გზაზე იყო იაკობის ჭა, 2 მ. სიგანისა და 20 მ. სიღრმის. ამიტომ გასაგებია სამარიტული ქალის სიტყვები იესო ქრისტესადმი: „უფალო, არცა სავსებელი გაქუს და ჯურღმული ესე ღრმა არს. ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოველი?“ (იოანე 4,11). ჭის მდებარეობა იერუსალიმის გზაზე გარიზინის მთის წინ გასაგებს ხდის, რომ მაცხოვარი სწორედ აქ გაჩერდა იერუსალიმიდან გალილეაში დაბრუნების დროს და ესაუბრა სამარიტულ ქალს. ხოლო აქედან აღმოსავლეთით გადაშლილი ნაყოფიერებით ცნობილი ისრაელის ველი, წელიწადში ორჯერ რომ იძლეოდა ხორბლის მოსავლას (არც თუ ბევრი ადგილია ასეთი პალესტინაში), ცხადყოფს, რომ სწორედ იმ იაკობის ჭაზეა აქ ლაპარაკი: „ინილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკაულად აწვე“ (ინ. 4,35). იაკობის ჭის ნამდვილობას ადასტურებს აგრეთვე იმ ადგილზე დედოფალ ელენეს მიერ აგებული მონუმენტური ძეგლიც, რათა მომდევნო თაობებს არ დავიწყებოდათ ადგილი, რომელიც გაანათლა მაცხოვარმა თავისი ყუარადლებით. ძეგლს ჰქონდა ჯვრის ფორმა; მისი ოთხივე, ერთნაირი ზომის ვიწრო განშტოება ოთხი კორიდორის სახით მიემართებოდა ჯვრის ცენტრისაკენ, სადაც იყო ჭა. მე-ნ საუკუნეში აქ იდგა წმ. იოანეს ბაზილიკა, რომლის საკურთხევლის წინ იყო ჭა და ხის თასი, რომლიდანაც, გადმოცემით, უფალმა დალია წყალი. მრავალი ავაღმყოფი მიდიოდა ამ ჭასთან და იკურნებოდა. ხოლო ქვა, რომელზეც იჯდა უფალი, იუსტინიანეს დროს კონსტანტინოპოლში გადაიტანეს.

იუდეა. საკუთრივ იუდეა მოიცავდა პალესტინის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს (იდუმეის ჩათვლით). იუდეა გალილეასა და სამარიაზე ბევრად ვრცელი იყო. სიგრძე შეადგენდა 32 კმ-ს, ხოლო საშუალო სიგანე იორდანიდან ხმელთაშუა ზღვამდე – 16-18 კმ-ს. იუდეის ზედაპირი ზედმიწევნით მთიანი იყო და მის შუა, ყველაზე მაღალ წერტილში იდგა იერუსალიმი. ამიტომაც ამ პროვინციის ნაყოფიერება ვერ გაუტოლდებოდა გალილეისა და სამარიის ნაყოფიერებას.

იუდეის მოსახლეობა ერთობ მრავალრიცხოვანი იყო, რადგანაც აქ იდგა მთელი დედაამიწის დედაქალაქი იერუსალიმი, ყველა ადგილობრივი და უცხოელი იუდეველის შეკრების ადგილი, ხელისნობის ცენტრი მრავალი ხალხისთვის, რომლებიც ვერაფერს, ან იმდენს ვერ გახდებოდნენ

პალესტინის სხვა მხარეებში. ეს იყო მთელი დედამიწის საგაჭრო ცენტრი, ყველა ახლომდებარე ქვეყნიდან მომავალი ქარაგნების მიზანი. რელიგიური დღესასწაულების დროს აქ იმართებოდა ხმაურიანი და მდიდარი ბაზრობები, რაც ათასობით ადამიანს ასაწოდებდა და სიუხვისა და კეთილდღეობის წყაროდ ეფინებოდა მთელს პროვინციას. „წმინდა ქალაქი იერუსალიმი – წერდა აგრიპა კალიგულას, მხოლოდ იუდეის სახე როდია, არამედ ის არის სახე იუდეველთა ყველა დასახლებისა მეზობელ ქვეყნებში, ესენია: ეგვიპტე, ფინიკია, სირია, კერძოდ, პამფილია, კილიკია, მცირე აზიის მრავალი ადგილი, თვით ბითუნია და პონტო, ეგროპაში – თესალია, ბეოტია, მაკედონია, იტალია, ატიკა, არგოსი, კორინთო, პელოპონესის უდიდესი და უკეთესი ნაწილი, თვით ეგვიპტე, კვიპროსი, კრეტა“.

გარდა ამისა, იუდეაში იყო ბევრი საზღვაო ქალაქი, რომლებიც მდიდარი საგაჭრო საქმიანობით გამოირჩეოდნენ.

იუდეის უკეთესი მიმოხილვისთვის ჯერ ჩვენ შეგჩერდებით საზღვაო ქალაქებზე, შემდეგ მიმოვიხილავთ შუა იუდეაში მდებარე ქალაქებს, ხოლო დასასრულს შევეხებით სამხრეთ-აღმოსავლეთ იუდეის ადგილებს.

პალესტინის კმსარია. ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მდებარე იუდეის ქალაქთაგან ყველაზე შესანიშნავი იყო კესარია, რომელიც იერუსალიმიდან 600 სტადიონით იყო დაშორებული. ოდესღაც ამ ადგილებში იყო ქალაქი კროკოდილოპოლისი. ამ ქალაქს იცნობდნენ პლინიუსი, სტრაბონი და პტოლემეუსი. ისინი ახსენებენ ორ მდინარესაც, სადაც, თურმე, იცოდა ნიანგები. პოკოკი¹⁹ ცდილობს, ახსნას ნიანგების არსებობა აღთქმულ ქვეყანაში და ქალაქ კროკოდილოპოლისის წარმოშობა. მისი ვარაუდით, უძველეს პატრიარქალურ ეპოქაში ამ ორი მდინარის მიდამოები ეკუთვნოდა ეგვიპტის რომელიღაც კოლონიას და მათი რელიგიური რწმენიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც ნიანგი კეთილდღეობის სიმბოლოა, მოაშენეს კიდევ ნიანგები პალესტინის ამ სამფლობელოში. „მე თავად ვიხილე, გვიამბობს პოკოკი, flumen mortuum-ში²⁰ დაქერილი ნიანგები. მათი სიგრძე 160-180 სმ-ს უდრიდა“. რწმუნებას, რომ ნიანგები ეგვიპტიდან პალესტინაში გადმოიყვანეს, ადასტურებს თანამედროვე არაბული გადმოცემაც, რომლის მიხედვით მდინარე ზერქა და აქდარი ოდესღაც სრულიად უსაფრთხო მდინარეები იყო. მაგრამ ეგვიპტიდან ჩამოიყვანეს ნიანგების ორი წყვილი, რომელთაგან ერთი

19 ედუარდ პოკოკი (Eduard Pococke) – მე-17 საუკუნეში მოღვაწე ინგლისელი ორიენტალისტი და ბიბლიის მკვლევარი (რედ. შენ.).

20 Flumen mortuum – ლათინურად: მკვდართა მდინარე (რედ. შენ.).

გაუშვეს ნარ-ზერქაში, მეორე – ნარ-აქდარში. ეს ორი წყვილი საკმარისი შეიქნა, რომ ხსენებული მდინარეები ნილოსის შემდეგ ნიანგების მეორე სამშობლოდ ქცეულიყო. ამდენად, ეჭვი არაა, რომ ქალაქი კროკოდილოპოლისი დაარსებული იყო ეგვიპტის კროკოდილოპოლისიდან გადმოსახლებული ეგვიპტელების მიერ, რომლებიც ამ ადგილის ნოყიერმა ნიადაგმა მიიზიდა. მაგრამ კროკოდილოპოლისი დიდი ხნის წინათ თითქმის უკვალოდ გაქრა. ამის შემდეგ იმავე ადგილზე, ცოტა სამხრეთით, ეგვიპტელთა ნიანგების ქალაქის ნაცვლად ქანაანელებმა ააშენეს სხვა ქალაქი, რომელიც იოსებ ფლავიოსის დროსაც კი უძველესად ითვლებოდა, ეს იყო შორტონი, ან უფრო სრულად, მიგდალ სტრატონი, ანუ სტრატონის გოდოლი. ქალაქი **სტრატონის გოდოლი** ცნობილი იყო სიმდიდრით. სიდონის მეფის, იზმუნის წარწერაში ქებით მოიხსენება ეს ქალაქი ამგვარი ფორმულირებით: „დაე, მეფეთა უფალნი გვმოსავდნენ სიღამაზით ტირ-შტრატონისა, ნარჩევი ხორბლით რომ ადგესებულა“.

რაც შეეხება სტრატონის სახელწოდებას, ამაზე შეიძლება ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ის სემიტური წარმოშობისაა და უნდა ვიფარაოდით, რომ მოდის ქალღმერთ ასტარტეს ან ატარგატის სახელიდან, რომლის თაყვანისცემა შეცვალა ნიანგების თაყვანისცემამ...

ებრაელთა ისტორიის ბოლო პერიოდში სტრატონის გოდოლი დაეცა და გაპარტახდა მტრის ხელით. ჰეროდე დიდმა²¹ ამ ქალაქის ნაცვლად ააშენა ქალაქი კესარია. ჰეროდემ ქალაქი სტრატონი მცირედ და უღამაზოდ მიიჩნია, თუმცა მისი მდებარეობა გაჭრობისთვის მისახერხებელი იყო და ამიტომ გააფართოვა ქალაქი, გააღამაზა, გაამაგრა, მოაწყო შესანიშნავი ნავსადგური და მისგან შექმნა კესარია, ანუ ქალაქი, რომელიც მიეძღვნა არა მხოლოდ რომის კეისარს, არამედ რომელსაც ჰქონდა კეისრის სიდიადე. „შენიშნა რა იუდეის მიღმა, ამბობს ფლავიოსი, ზღვის ნაპირზე ერთი მოხერხებული ადგილი, რომელსაც ძველად სტრატონის გოდოლი ეწოდებოდა, ჰეროდემ აღადგინა ძველი ქალაქის ნანგრევები, დიდად გააფართოვა, მორთო შორეული ქვეყნებიდან ჩამოტანილი თეთრი ქვის მასალით. ქალაქი დამშვენდა ბრწყინვალე სასახლეებით, გაკვირვებას იწვევდა კერძო მოქალაქეების ნაგებობანი“.

მაგრამ ჰეროდეს კესარიაში ყველაზე მნიშვნელოვან ნაგებობად ითვლებოდა ნავმისადგომი, რომელიც თავისი სადიადით ათენისას უსწორდებოდა, და, შეიძლება, სჭარბობდა კიდეც მას. აქ შემოჰყავდათ გემები დასადგომად. ჰეროდემ კესარიის ნავმისადგომისათვის ისეთი გეგმა და-

21 იგულისხმება იუდეის მეფე ჰეროდე I, ანტიპატროსის ძე, ბეთლემის ყრმათა მომსვრელი და იოანე ნათლისმცემლის თავის მკვთელი (რედ. შენ.).

აზა, რომ აქ მთელი ფლოტი დაეტეოდა. ფლაგიოსი აღწერს კესარიის დიდებულ ნაგმისადგომს. აქ გემები შემოჰყავდათ ჩრდილოეთის ქარის დროს, ვინაიდან ამ ადგილას ის მეტად წყნარდება. ნაგმისადგომის შესასვლელში სამი კოლოსალური ძეგლი იყო აღმართული, მარცხნივ – გოდოლი, მარჯვნივ – ორი მაღალი სვეტი. სანაპიროს ირგვლივ მარმარილოს სახლები იდგა, ხოლო შუაში, ნაგმისადგომის შესასვლელის მოპირდაპირედ, ჰეროდემ არაჩვეულებრივი ბრწყინვალეებითა და სილამაზით გამორჩეული ტაძარი ააგო, რომელიც აგვისტუსს მიუძღვნა.

ფლაგიოსის ამ აღწერაში ყურადღებას იპყრობს კესარიისა და პირეის ნავსადგურების დაპირისპირება. ეს დაპირისპირება არ არის შემთხვევითი, როგორც ჩანს, ჰეროდე ცდილობდა, მიეხატა ათენის პორტისათვის. კიდევ შემდეგის თქმაც შეიძლება: 1) ორივე პორტს ბუნებრივი დაცვის გარდა ჰქონდა ხელოვნური ჯებირები; 2) ორივე ნაგმისადგომის შესასვლელები ზღვიდან ერთნაირად იყო მორთული მაღალ სვეტებზე აღმართული ლომებისა და სფინქსების სიმბოლური გამოსახულებებით; 3) პირეის ნავსადგურის მსგავსად, რომელიც თემისტოკლეს დროს შემორტყმული იყო კედლით 60 სტადიონის სიგრძის წრეზე, რათა ყოველი მხრიდან მიუვალი ყოფილიყო, კესარიის ნავსადგურიც, როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან გარშემორტყმული იყო კედლით, რომლის სიმაგრე ყველას განცვიფრებას იწვევდა; 4) როგორც პირეა იყო ათენის ცალკე ნაწილი, ისე კესარიის ნავსადგურიც, ჰეროდეს აზრით, უნდა ყოფილიყო ქალაქის ცალკე საზღვაო ნაწილი. იმ ცნობილი საჯარო გზის შესაბამისად, რომელიც პირეას ათენთან აერთებდა, ჰეროდემ ააშენა ცნობილი მოზაიკური სანაპირო, 25 მ. სიგანის, რომელიც კესარიის ნავსადგურიდან ტაძრისა და თეატრისაკენ მიემართებოდა და უცხოელების საყვარელი სასეირნო ადგილი იყო. ამგვარი მოწყობის მიუხედავად კესარიის პორტი მაინც არ იყო აბსოლუტურად დაცული, ვინაიდან აქ ზღვა ძალიან ბობოქარია.

როდესაც ვეწვიეთ კესარიას, გვიამბობს ოლენსიცი, ჩვენ ვიხილეთ ნავსადგურთან ქარიშხლისგან გამოვდებული თურქული გემი. საკითხავია, რა უნდა განეცადათ ამ გზაზე უძველეს ზღვაოსნებს, რომლებიც თავიანთ თავს მოკრძალებულად ზღვის მონებს უწოდებდნენ, თუკი თანამედროვე გემებიც კი, თავს რომ ზღვის გამგებლებად თვლიან, აქ უსაფრთხოდ ვერ ცურავენ.

ქალაქ კესარიის ნავსადგურის ირგვლივ, როგორც ცენტრის გარშემო, განლაგებული სწორი ქუჩები თეთრი ქვით ნაგები შენობებით იყო დამშვენებული. შესანიშნავ ნაგებობათა შორის მოგზაურთა ყურადღებას იპყრობდა ბორცვზე აღმართული კეისრისადმი მიძღვნილი დიდებული

ტაძარი ორი ბუმბერაზი ქანდაკებით – ერთი, არგოსის იუნონას მსგავსი, წარმოადგენდა რომს, ხოლო მეორე, ოლიმპიის იუპიტერის ქანდაკების მსგავსი ნაკეთობი, წარმოადგენდა რომის კეისარს. ტაძრის გარდა ჰეროდემ კესარიასი ააშენა კლდეში შეჭრილი თეატრი და ქალაქის სამხრეთ ნაწილში – ამფითეატრი, რომელიც დიდძალ ხალხს იტევდა, და აქ დააწესა ხუთწლიანი თამაშები კეისრის საპატრიარქოებში, უმდიდრესი პრიზებით, რომლითაც აჯილდოვებდნენ არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე პრიზიორსაც. ამასთან, როდესაც მიწის ზემოთ იგებოდა ასეთი დიდებული ნაგებობანი, სამუშაოები ტარდებოდა მიწის ქვეშაც, რაც ითხოვდა არანაკლებ ხარჯებსა და ჯაფას. მიწის ქვეშ გაყვანილი იყო სწორი გვირაბები, რომლებშიც შედიოდა ზღვის წყალი და გამოჰქონდა ქალაქიდან ჩადინებული უსუფთაობა.

თორმეტი წელი შენდებოდა ჰეროდეს კესარიას. ნავსადგურის მნიშვნელობასა და ბრწყინვალეობასთან ერთად ის მნიშვნელოვანი შეიქმნა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც და თავი იერუსალიმის მეტოქედ განაცხადა. ახალი ქალაქის ასეთი განდიდება და „წმინდა იერუსალიმის“ დაკნინება, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა წმინდა იუდაური პარტიის სულის, მით უმეტეს, რომ ახალი ზღვისპირა დედაქალაქი იყო სრულიად წარმართული. აქ იყო წარმართული ტაძარი, მმართველთა და მათი ცოლ-შვილის ქანდაკებები ამშვენებდა მოედნებსა და შენობებს, თუმცა კანონი ამას კრძალავდა; ქალაქის მცხოვრებნი უმეტესად უცხოელები იყვნენ, რომლებიც მისეს კანონის შეზღუდვებს არ სცნობდნენ და თავიანთ ყოფასა და ქალაქის დაწესებულებებს რომის ქალაქების მსგავსად აწყობდნენ. კესარიის მმართველები ადვილად იბრებდნენ ხალხს რომაული კერპთაყვანისმცემლობისაკენ. უფრო მეტიც, კესარიასი იუდეველები საკმაოდ დევნას განიცდიდნენ წარმართებისაგან. კესარიელი ბერძენები აბუჩად იგდებდნენ იუდეველებს და შესგვდრისას დაცნვით წამოაძახებდნენ ხოლმე ამბავს ეგვიპტიდან გამოდევნილ კეთროვან იუდეველებზე. ხანდახან საქმე სისხლისღვრამდეც მიდიოდა. კესარიასი, გვიყვება იოსებ ფლავიოსი, იუდეველებს ჰქონდათ სინაგოგა, რომლის მეზობლად ცხოვრობდა ერთი ბერძენი, იუდეველთა შეურთველები მტერი. იმისთვის, რათა მოწინააღმდეგეთა რელიგიური გრძნობებისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა, ბერძენმა სინაგოგასთან სხვადასხვა სახელოსნო ააშენა, რომელთა ხმაურიც ერწყმოდა მლოცველთა წამოძახილებს და ხელს უშლიდა ღვთისმსახურებას. ამასთან, რაკი სინაგოგა კესარიის ფართოდ და სწორ ქუჩაზე კი არა, ერთ მიყრუებულსა და ვიწრო შესახვევში მდებარეობდა, ეს სახელოსნოები მასთან მისასვლელსაც ხერგავდნენ. იუ-

დეკლარაციები მიმართეს მმართველ ფლორის საჩივრით და ძღვნად 8 ტა-
ლანტიც მიართვეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და იძულებულნი შეიქნენ,
დროებით დაეტოვებინათ კესარია.

ამის შემდეგ გასაგები ხდება, რატომ იხსენიება თალმუდში კესარია
უწმინდურ, საზიზღარ და დაწყევლილ ქალაქად, ბიბლიური ედომის
მხარედ (შეიძლება, ეს იყო მინიშნება ჰეროდეს წარმოშობაზე). თალ-
მუდი განსაკუთრებით უწმინდურად მიიჩნევს კესარიის დასავლეთ ნა-
წილს, ანუ სანაპიროს, და აღმოსავლეთის ნაწილს – ტეტრაფონსიდან
(ოთხგასავლელიანი გოდოლი) მიწისქვეშეთამდე. ქალაქის ამ ნაწილში
ყოფნა ებრაელისთვის ისეთივე წაბილწვას ნიშნავდა, როგორც საფლა-
ვში ყოფნა. თუმცა კესარიაზე დადებულმა ასეთმა აკრძალვამ კანონის
მასწავლებლების მიერ ახალგაზრდა იუდეველთა პროტესტი გამოიწვია,
რომლებსაც შეუძლებელია, არ მოსწონებოდათ დედაქალაქის ბრწყინ-
ვალება და მისი უცხოური წეს-ჩვეულებები. ასე რომ, ერთი რაბი თვით
თალმუდშიც შენიშნავს, რომ აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც მდებარე-
ობდა ცირკი, მცდარად იყო მიჩნეული ბილწ ადგილად. და საერთოდ,
თალმუდისტები აღიარებდნენ, რომ კესარია ყველა თავისი უწმინდურო-
ბით წარმოადგენდა „სიცოცხლის ქალაქს“ მატერიალური კეთილდღე-
ობის გაგებით. ამიტომაც იუდეველები მაინც ეტანებოდნენ კესარიას.
ვიდრე საბოლოოდ, იუდეველთა თმების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე,
იმპერატორის ედიქტით კესარიის იუდეველებს ჩამოერთვათ მოქალაქე-
თა უფლებები და ბილოს, ერთ დღესაც ნაწილი ამოხოცეს, ნაწილიც
მონებად აქციეს. იუდეველთა უკანასკნელი თმის დროს კესარია რომის
ჯარების მთავარი შეკრების ადგილი გახდა.

ქრისტიანობა კესარიაში საკმაოდ ადრე გავრცელდა და ჰყავდა მიმ-
დევრები არა მარტო იუდეველთა და ელინთა შორის, არამედ – წარმ-
ართებშიც. ასეთი იყო, მაგალითად, დიაკონი ფილიპე, რომელსაც კესა-
რიაში ჰქონდა სახლი. სწორედ აქ ცხოვრობდა ის კესარიელი ასისთავი,
რომელიც პირველი მთინათლა წარმართთა შორის. რომაელი ასისთავის
სწორედ კესარიაში, უმთავრესად რომაულ ქალაქში, ყოფნა სრულიად
ბუნებრივი ჩანს. იერუსალიმში ქრისტიანების დევნის დროს მოციქულები
და სხვა მორწმუნეები, ჩვეულებრივ, თავშესაფარს კესარიაში ეძებდნენ,
როგორც ქალაქში, რომელიც შედარებით თავისუფალი იყო იუდეველთა
თვითნებობისაგან. ქალაქის ცენტრალური სავაჭრო მნიშვნელობის გამო
აქედან იწყებდნენ მოციქულები მისიონერულ საქმიანობას, როგორც ზღ-
ვით, ისე – ხმელეთით. ბავლე მოციქული არა მხოლოდ ხშირად შემო-
დიოდა ამ ქალაქში, არამედ, რაკი რომაელი მმართველი იუდეველები

მაშინ აქ ცხოვრობდნენ, სწორედ აქ იქნა იგი, როგორც პატიმარი, მოყვანილი იერუსალიმიდან, და ორი წელი დაჰყო ცხეში რომში გაგზავნამდე. მე-4 საუკუნეში, გადმოცემით, კესარიაში მიუთითებდნენ ერთ ძეგლზე, რომელიც უკავშირდებოდა მოციქულთა ისტორიას. ბილიგრამის მოწმობით 333 წ-ს. კესარიაში უჩვენებდნენ ემბაზს, რომელშიც პეტრე მოციქულმა მონათლა ასისტაგი კონსტანტინის თაგისი თჯახით (მოც. საქ. 16). იერონიმეს მოწმობით, აქ იხილეს ფილიპე მახარებლისა და მისი ორი ასულის (ორივე წინასწარმეტყველი იყო) სახლი (საქმ. 21.8,9), აგრეთვე საპყრობილე, სადაც დატუსადებული იყო პავლე მოციქული. კესარიაში კარგა ხანს, მე-2-3 საუკუნეებში, შემონახული იყო ეკლესიის ისტორიის კვალი. შუა საუკუნეებში, გადმოცემით, უჩვენებდნენ სახლს, სადაც შედგა 198 წლის კრება, რომელმაც განსაზღვრა პასექის დღესასწაულის აღნიშვნის დრო; უჩვენებდნენ აგრეთვე სახლს, სადაც ცხოვრობდა ორიგენე კესარიაში ყოფნისას, და აგრეთვე, – ჰამფილესა და ევსევის²² სახლს. მათ აქ დააარსეს ქრისტიანული საღვთისმეტყველო სკოლა, პირველი ქრისტიანული ბიბლიოთეკა, თან ისეთი მოცულობისა, რაც საფსებით საკმარისი აღმოჩნდა ევსევისთვის ისტორიის დასაწერად.

საეპისკოპოსო კათედრა კესარიაში დაარსდა მოციქულთა დროს და ამ კათედრის ეპისკოპოსთა მემკვიდრეობა დიდხანს უწყვეტი იყო. კესარიის ეპისკოპოსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თეოქტისტე – ორიგენეს მეგობარი და დამცველი; ევსევი – ეკლესიის გამოჩენილი ისტორიკოსი; მისი მემკვიდრე აკაკი, თაგისებური მწვალებლური სექტის მეთაური. კესარიის მიტროპოლიას მთელ პალესტინაში დიდი ხნის მანძილზე ჰქონდა უბინატესი მნიშვნელობა, ასე რომ იერუსალიმის, უფრო სწორად, ელია კაპიტოლინას კათედრა მის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მე-4 საუკუნეშიც კი ეპისკოპოსი აკაკი იმითიცაა ცნობილი, რომ იერუსალიმის ეპისკოპოსს პირველ ადგილს ედაგებოდა. მაგრამ მე-5 საუკუნიდან კესარიის საეკლესიო მნიშვნელობა ნელ-ნელა ეცემა, მე-7 საუკუნეში კესარია პოლიტიკურ მნიშვნელობასაც კარგავს. ხოლო მე-13 საუკუნეში მოგზაურები კესარიას წარმოსახავენ სრულიად გაპარტახებულ ქალაქად, აფთრებისა და ტურების საბინადროდ.

ილიპე, სწავგარად იაზა. არანაკლები მნიშვნელობისა იყო სანაპირო ქალაქი იოპე, მდებარე სამხრეთით, სარონის ველის ბოლოში, იმ ადგილზე, სადაც ზღვა ჩრდილოეთისაკენ ღებულობს მიმართულებას. ქალაქმა

²² ივლილსხმება ევსევი კესარიელი (263-340) – საეკლესიო ისტორიის მამა (რედ. შენ.).

სახელწოდება მისი თვალწარმტაცი შემოგარენისაგან მიიღო, სიტყვა „იოპე“ ებრაულად ნიშნავს „სისარულის სანახაობას“. იოპე ზღვიდან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მოგზაურებზე და ამადლებულ განწყობას უქმნის მხილველს. ზოგჯერ იოპეს უწოდებენ „მეფის ქალიშვილს“, რომელიც წარმომდგარა წმინდა მიწაზე მოსული მოგზაურის შესახვედრად. თუმცა, ეს გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება გავიგოთ, ვინაიდან ძველი ებრაელი მწერლები იუდეის ქალაქებს უწოდებდნენ სამეფო იერუსალიმისა და ისრაელის ასულებს. ეს პოეტური შედარება ძალიან შეეფერება იოპეს – ქალაქს გარშემო არტყავს დიდებული ბაღების ყვავილწული. ერთმანეთს კეკლუცად მიკრული შენობები ამფითეატრივით რომ განლაგებულან, შორიდან სათბურებსა და ტაძრებს ჰგვანან, ხოლო თავად ბორცვი, რომელზეც ქალაქია გაშენებული, ადამიანის პროფილს გაგონებთ და მას უკავშირდება ლეკვინდა პერსეკსის მიერ ზღვის ურჩხულისგან ანდრომედას დახსნის შესახებ. დიკსდლეობითაც უჩვეულოდ ნაყოფიერია ეს ადგილი. ვისაც იოპეს მარადმწვანე, აყვავებული და კეთილსურნელოვანი ბაღები უნახავს, ამბობს ერთი თანამედროვე მოგზაური, შეუძლია წარმოიდგინოს, მიწიერი კურთხევის რა სიუხვით დუღდა ღვთის რჩეული ხალხის მიწა. ღიმონის, ფორთოხლისა და ბროწეულის ერთმანეთში ფერწერულად გადახლართული ხეები შეადგენს იოპეს ბაღების მთავარ ნაწილს და განსაცვიფრებელი ნაყოფიერებით გამოირჩევიან. ლამის მთელი წლის განმავლობაში დახუნძლულან ნაყოფით – ჯერ პირველი მისაგლის აღება არაა დამთავრებული, რომ ხეები ახლად იწყებენ აყვავებას. ცნობილია, რომ იოპეს ბაღები ამარაგებენ ევროპისა და აზიის მრავალ პორტსა და რუსეთის ბაზარს ღიმონითა და ფორთოხლით. აქ უხვად ხარობს, ასევე, ლეღვის, ნუშის, ატმის, გარგარის, თუთის ხეები, ასევე – გიგანტური პალმები. ბანანისა და შაქრის ლერწმის მოშენებას ნაკლებად მისდევენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იოპეს ბაღების კეთილდღეობა მთლიანად ხელოვნურ მორწყვაზეა დამოკიდებული, რის გარეშეც აქ წარმოუდგენელია მცენარის გახარება, რადგანაც ნიადაგი შავმიწა კი არა, მშრალი, წყალსმოწყურებული სილაა. ყოველ ბაღს საკუთარი რამოდენიმე მოსარწყავი ჭა აქვს, საიდანაც არხების საშუალებით წყალი თითოეული ხის ძირამდე მიედინება. ვინაიდან ბაღები განუწყვეტლად ირწყვება, აქ გამუდმებითა ისმის ჭის ბორბლების ჭრიალი და ვირების ყროყინი, რომლებიც ამ ბორბლებს ატრიალებენ.

ქალაქიდან იშლებოდა შესანიშნავი ხედი ზღვაზე, ვაკეებზე მარცხნივ და მარჯვნივ და აღმოსავლეთით მთაზე, რომელზეც გადიოდა იერუ-

სალიმისკენ მიმავალი გზა.

გადმოცემის თანახმად, ქალაქი უძველეს დროში, ჯერ კიდევ წარდგნამდე დაარსებულა. ებრაელთა გადმოცემით, ნოემ აქ, ზღვის ნაპირზე ააგო კიდობანი, ხოლო მისმა შვილმა იაფექტმა დააარსა ქალაქი იაფე. მითოლოგიით, ანდრომედა იოზეში მისცეს ვეშაპს შესაჭმელად. იქ, სადაც ნაპირი უხვევს მარჯვნივ, გვიამბობს ნოროვი,²³ და მოჩანს ზღაპარული კლდეები, პერსეუსმა იხსნა ანდრომედა ზღვის ურჩხულისაგან. მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ეს მითი იონა წინასწარმეტყველის ამბავზეა დაფუძნებული, რადგანაც სწორედ აქ გადაყლაპა იონა ვეშაპმა.

იოზეს ნავსადგური მაინც და მაინც მოხერხებული არაა. „ქალაქსა და ნავსადგურს შორის, აგრძელებს თხრობას ნოროვი, ნახევარ კმ-ზე ნაპირიდან, უწყვეტ მწკრივად ამომგვერილა უსასრულოდ არასწორი ფორმისა და ზომის ქვები. როდესაც უყურებ, როგორ ეხეთქება მათ ტალღები ხმაურითა და ქაფით, გგონია, რომ აი, ახლა დაიშვრევა ეს ლოდები. სრულებითაც არა! ისინი დგანან და სულ არ ადარდებთ, რას ფიქრობენ მათზე მთელი ათასწლეულები“. ქვების სწორედ ეს მწკრივი გახლავთ იოზეს უძველესი ნავმისადგომი, პატარა და მოუხერხებელი. როდესაც მათ უმზერ, ცოცხლად წარმოგიდგებათ თვალწინ ოდისეუსის გემები, რომელთა წყალში ჩასაშვებად ორმოცდაათი კაცი იყო საჭირო, ზღვაზე ცურვის დროს კი, ვერგილიუსის სიტყვით, – სამშაგი სპილენძით ნაჭედი გული.

უძველეს დროში იოზე ებრაელთა ერთადერთი ნავმისადგომი იყო. იოზეს ნავმისადგომში ტიროსის მეფე ქირამი ტივით გზავნიდა ლიბანის კედარსა და სხვა მასალას სოლომონ მეფის ტაძრისთვის. ასევე მოხდა ტაძრის მეორედ აშენების დროსაც. აქ, იოზეში ჩაჯდა თარშისკენ მიმავალ ხომალდში იონა წინასწარმეტყველი. იუდეაზე უცხოელთა ბატონობის დროს იოზე არაერთხელ ქცეულა აჯანყების ადგილად, განსაკუთრებით, მაკაბელთა დროს. „მოციქულთა საქმიდან“ ვიცით, რომ პეტრე მოციქული სტუმრად იყო იოზეში ვინმე სიმონ დაბაღთან, და რომ ის სახლი ზღვის პირას იდგა. აქ იხილა მოციქულმა პეტრემ გახსნილი ცა და მისკენ ჩამომავალი დიდი ტილოს მსგავსი რაღაც ჭურჭელი (მოც. საქ. 10,6,10). იოზეში სიმონ დაბაღის სახლის მდებარეობაზე თანამედროვე მეცნიერებს შორის აზრთა სხვაობაა. ნოროვი მიიჩნევს, რომ

23 ავრაამ ნოროვი (Авраам Сергеевич Норов) – მე-19 საუკუნის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მოგზაური, მწერალი. როგორც ჩანს, დამოწმებული ციტატა მოყვანილია მისი ნაშრომიდან “Путешествие по Святой Земле” – მოგზაურობა წმინდა მიწაზე (რედ. შენ.).

ეს სახლი მდებარეობდა ლათინური მონასტრის მიდამოებში, ზღვის პირას. იგივე ავტორის გადმოცემით, მონასტრის ეკლესიის საკურთხევლის თავზე მითავსებულ ტილოზე წარმოსახულია ღვთაებრივი აღტაცებით მოცული პეტრე მოციქული მისკენ ციდან ჩამოშვებული დიდი ტაბლით, რომელზეც ყოველგვარი ოთხფეხა მიწიერი ცხოველი, ქვეწარმავალი და ცის ფრინველები არიან. სულ სხვა ადგილს მიუთითებს ოლქსნიცკი. „იოპეს შენობებს შორის მოსახლეობლად ღირს მეჩეთი ჯამაეთ-ტაბიე (მეჩეთი ბასტიონი), წოდებული ამგვარად კოშკთან სიახლოვის გამო, რომელიც ქალაქს სახმრეთ-დასავლეთიდან იცავს და ახლოა ზღვასთან. ადგილობრივი გადმოცემა ამ ადგილს თვლის სიმონ დაბადის სახლად, სადაც ცხოვრობდა პეტრე მოციქული იოპეში ყოფნისას. სიმონის სახლის არსებობას ამ მუსულმანური სალოცავის ადგილას, ზღვის სიახლოვეს, ეთანხმება მოციქულთა საქმეების წიგნი. უეჭველია, რომ ძველ დროში პეტრე მოციქულის სახელზე ნაგები ეკლესია გადაკეთდა ამ მეჩეთად. ფრანცისკანელი ბერების ახალი ვერსია, რომ სიმონ დაბადის სახლი იყო ლათინური მონასტრის მიდამოებში, უსაფუძვლოა“.

პეტრე მოციქულმა იოპეში აღადგინა მკვდრეთით ერთი მოწაფე ქალი, სახელად ტაბითა. ეს გადმოცემა დღესაც შემონახულია ხალხში. იოპეში ის ადგილი, სადაც ახლა რუსული ბაღია, დიდი პატივისცემით სარგებლობს, როგორც ტაბითას საფლავის ადგილი. დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი დაცლებულია ქალაქს და სილიანია, დღესასწაულებზე ხალხი აქ მოდის სასიეროდ, თუმცა ქალაქში ბევრად უკეთესი დაჩრდილული ბაღებია.

შემდგომში იოპეს ბედი ამგვარი იყო: პირველი საუკუნის დამლევეს, როდესაც ებრაელები აუჯანყდნენ რომაელებს, იოპე იერიშით აიღო ცესტიუსმა და გადაწვა, რომაელმა ჯარისკაცებმა რვა ათასი ადამიანი დახოცეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ებრაელებმა ახლად ააშენეს ქალაქი. მაგრამ მეკობრეებმა, რომლებიც აქ აფარებდნენ თავს და ესხმოდნენ ფინიკიისა და სირიის ნაპირებს, კვლავ მიიქციეს რომაელთა ყურადღება. ვესპასიანე მოულოდნელად, ღამით შეიჭრა ქალაქში და სრულიად ააოხრა. შემდეგ ქალაქის ადგილზე ააშენა ციხე-სიმაგრე და ჩააყენა რომის გარნიზონი. კონსტანტინე დიდის დროიდან არაბების შემოსევამდე ეს ადგილი მეტად მნიშვნელოვანი იყო ქრისტიანებისთვის, როგორც ნავსადგური, ისევე როგორც ახლა, რადგან აქედან იწყება მომლოცველთა მოგზაურობა წმინდა მიწაზე.

უფრო სამხრეთით მდებარე საზღვაო ქალაქებიდან ჩვენ მოვიხსენიებთ აშკელონსა და ღაზას – ფილისტიელთა უძველეს ქალაქებს, სადაც

იმოგზაურა და იქადაგა ფილიპე დიაკონმა.

აშკელონი – ფილისტიმელთა ძველი სანაპირო ქალაქია, 85 კმ-ით დაცილებული იერუსალიმს. ვილჰელმ ტირელის²⁴ სიტყვით (XVII,21), ქალაქი ნახევარ წრედ იყო გაშენებული. მთელ ქალაქს ზღვისკენ დაქანებული ღრმულის ფორმა ჰქონდა, ყველა მხრიდან გარემოცული იყო ხელოვნური შემაღლებებით, რომლებზეც აშენებული იყო გალავანი. კედლის წრეს კვეთდა ოთხი ჭიშკარი, რომელთა თავზე აღმართულიყო კოშკები. პირველ, აღმოსავლეთის ჭიშკარს უწოდებდნენ Porta major-ს, ასევე – იერუსალიმისას, რაკი წმინდა ქალაქისაკენ იყო მიმართული. მის თავზე აღმართული იყო საკმაოდ მაღალი ორი კოშკი; მეორე მთავარ ჭიშკარს, მიმართულს ზღვისკენ, უწოდებდნენ ზღვის კარიბჭეს, Porta maris-ს. მესამე მიმართული იყო სამხრეთით, ქალაქ დაზასკენ და ეწოდებოდა „დაზის“. მეოთხეს, მიმართულს ჩრდილოეთისაკენ, უწოდებდნენ „იოპეს ჭიშკარს“. აშკელონს თავისი ადგილმდებარეობის გამო არ ჰქონდა და არცა აქვს რამდენადმე მოხერხებული ნავმისადგომი. მისი სილოვანი ნაპირი თანდათან სცილდებოდა ქალაქს. დროთა განმავლობაში აშკელონის მახლობლად შეიქმნა ნავსადგური, წოდებული აშკელონის მაიუმად. სიტყვა „მაიუმი“ ნიშნავს „ადგილს ზღვასთან“. აქ იგივე მოხდა, რაც ოდესღაც დაეშართა კესარიას – თუ ადრე ქალაქი ზღვის პირას იდგა, ახლა ის მისგან მოცილებითაა. ქალაქის მიმდებარე ადგილი სილიანია და არ ექვემდებარება დამუშავებას. მიუხედავად ამისა, აშკელონი ადრე უმდიდრესი ქალაქი იყო. გადმოცემები აშკელონის ნანგრევებში გადაძალულ საგანძურზე ეფუძნება თალმუდის ცნობებს ამ ქალაქის უზომო სიმდიდრის შესახებ იერუსალიმის პირველი და მეორე ტაძრის ხანაში. ცნობილია, რომ იერუსალიმის მღვდელმთავრები აშკელონში ყიდულობდნენ ეფოდისთვის საჭირო ძვირფას ქვებს.

უძველესი ლეგენდის თანახმად, ქალაქი აშკელონი დააარსა ვინმე აშკელოსმა, რომელიც ლიდის მეფეს ჯარით სირიაში წარუგზავნია.

24 ვილჰელმ ტირელი (1130-1186) – შუა საუკუნეების ცნობილი მოღვაწე, ქალაქ ტირის არქიეპისკოპოსი, მემატიანე. განათლება მიიღო პარიზსა და ბოლონიაში, თავისუფლად ფლობდა რამოდენიმე ევროპულსა და აღმოსავლურ ენას. პირველი ჯვაროსნული ღაშქრობის შემდგომ დაარსებული იერუსალიმის სამეფოს მეფემ, ამალრიკ I-მა, მას აღსაზრდელად მიაბარა თავისი ძე, ბოლდუინ IV, რომლის ხელზეც ვილჰელმმა კეთრის კვალი აღმოაჩინა. მისი უმთავრესი ნაშრომია ბრწყინვალე ლათინურით შესრულებული, 22 წიგნისაგან შემდგარი ქრონიკები, სათაურით *Historia rerum in partibus transmarinis gestarum* – „ზღვის გადაღმა აღსრულებულ საქმეთა ისტორია,“ ანუ მოკლედ: იერუსალიმის ისტორია, სადაც ყოველივე მიუკერძოებლად მოთხრობილი (რედ. შენ.).

ერთი სირიელი ქალიშვილის სიყვარულის გამო ის უკან აღარ მიბრუნებულა და დღევანდელი აშკელონის ადგილზე დასახლებულა. უძველესი დროიდანვე ქალაქი ქალღმერთ ვენერას მიეძღვნა. ამ ქალაქში არსებული ვენერას, ან უფრო სწორად, ასტარტეს, ტაძარი, ჰეროდოტეს აზრით, უძველესია ქალღმერთის ტაძართა შორის. შეიძლება ამ გარემოებითაც აიხსნას ის, რომ იულიანუს დროს, როდესაც ქრისტიანები განსაკუთრებული სისასტიკით იგვემებოდნენ წარმართთა მიერ, აშკელონელი წარმართები უმეტესად ქრისტიან ქალწულებს ერჩოდნენ. დღემდე განსაკუთრებულად მიაგებენ პატივს აშკელონში „ქალწულების ქას“ და „ქალწულთა ბასტიონად“ წოდებულ უძველეს ნაყარს. ეს სახელწოდებები უძველესი წარსულიდან გადმოგვცა მემკვიდრეობით. ჯვაროსანთა ღაშქრობის დროს იცოდნენ კიდევ ერთი უძველესი „ქალწულთა კოშკი“, რომელიც იონიტების რაინდების სამფლობელოში იმყოფებოდა.

ღაზა. ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარე ფილისტიმელთა ძველი ქალაქი, ნავსადგურითა და დაგონის²⁵ ტაძრით, რომლის ნანგრევების ქვეშაც დაიდუბა სამსონი,²⁶ აშკელონიდან სამხრეთით, 29 კმ-ზე მდებარეობს. ეს იყო პალესტინიდან ეგვიპტისკენ მიმავალი გზის უკანასკნელი ქალაქი, მის იქით უნაყოფო უდაბნოები გადაჭიმულიყო. სოზომენის სიტყვით, ღაზა დაცლილებული იყო 20 სტადიონით, ხოლო სტრაბონის მოწმობით – 7 სტადიონით ზღვიდან. ზღვისკენ მიმავალი გზა, რომელიც სილიან ბორცვებზე გადიოდა, მეტად რთული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მიმდებარე მიდამოები უდაბნო იყო, თავად ქალაქ ღაზას აყვავებული სახე ჰქონდა, რადგან ზღვიდან და უდაბნოს მხრიდან ორი რიგი ბორცვებით იყო დაცული. ბიბლიურ აღმოსავლეთში ზეთისხილის ბაღები, ამბობს ოლქსნიცკი, ადგილის კეთილდღეობის მთავარი მაჩვენებელია. ქალაქი, რომელსაც აქვს ზეთისხილი, ყოველთვის შეძლებულია. ღაზას შეიძლება სირიის ყველაზე მდიდარი ქალაქი ვუწოდოთ. პალესტინის არც ერთ ქალაქს არა აქვს ისეთი ზეთისხილის ტყეები, როგორც გასდევს ღაზას ჩრდილოეთიდან დასავლეთამდე. ხოლო აღმოსავლეთით

25 დაგონი – ფილისტიმელთა დედაქალაქი კაცთვეზის სახისა, მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების სიმბოლო (რედ. შენ.).

26 სამსონი – ფილისტიმელებთან მებრძოლი ბიბლიური გმირი. მისმა ცოლმა, დალილამ, ძილში შეაჭრა გრძელი თმა, რის შემდეგაც სამსონმა ძალა დაკარგა, მტრებმა შეიპყრეს და თვალები დათხარეს. მათ დღესასწაულზე ბრმა სამსონმა, რომელსაც ამასობაში თმა გაზრდოდა და ძალაც დაბრუნებოდა, ტაძრის სვეტები მოანგრია და ასე გაანადგურა მრავალი ფილისტიმელი, თავადაც ნანგრევებში დაიდუბა (რედ. შენ.).

კი გრცელი, ეგვიპტური ნაყოფიერებით გამორჩეული ხორბლის ყანებია. უფრო ახლოს, ქალაქთან, გაშენებულია ხეხილის ბაღები, რომლებსაც კაკტუსის ბუნებრივი დობეები აკრავს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პალმების სიუხვე, ამის მსგავსი პალესტინის არც ერთ კუთხეში არ გვხვდება. ალექსანდრე მაკედონელის დროს ქალაქი მდებარეობდა ბორცვზე, იყო დიდი და შემოსაზღვრული მაგარი კედლით. ალექსანდრეს შემდეგ ქალაქის უმეტესი ნაწილი დაინგრა ეგვიპტისა და სირიის ბატონობის დროს და ოუდეველთა ომების დასაწყისში. გაპარტახების შემდეგ დაზა გაბინიუსის წყალობით ისევ აშენდა, თუმც უწინდელი სილამაზე ვეღარ დაიბრუნა. ჰეროდე დიდმა დაზა იდუმეას მიაკუთვნა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ აგგუსტუსმა ის გადასცა სირიის პროკონსულებს, როგორც ბერძნებით დასახლებული ქალაქი. მიუხედავად იმისა, რომ დაზა მრავალჯერ იყო ოუდეველთა გამგებლობის ქვეშ, აქ მაინც ძალზე ძლიერი იყო წარმართული ელემენტი. განსაკუთრებული მოწიწებით აქ თაყვანს სცემდნენ იუპიტერს და უწოდებდნენ მას მარნას, ანუ უფალს.

სახარების ქადაგებით დაზაში დიაკონი ფილიპე მივიდა, ხოლო მისი პირველი ეპისკოპოსი ფილიმონი გახდა, რომელსაც პავლე მოციქულმა გაუგზავა ეპისტოლე. ქრისტიანთა რაოდენობა დაზაში პირველ საუკუნეებში მეტად მცირე იყო. აქაურ ქრისტიანებს ძლიერ ავიწროვებდა წარმართი მოსახლეობა, განსაკუთრებით დიოკლეტიანეს დროს, როდესაც აქ აწამეს რამდენიმე ქრისტიანი, მათ შორის ეპისკოპოსი სილუანი, მან დაითმინა დასახინრება, ჯურღმულში ჩაგდება და წამებით სიკვდილი 303 წელს.

კონსტანტინე დიდის დროს დაზას წარმართებმა უარი განაცხადეს ქრისტიანობის მიღებაზე. ოულიანეს დროს კონსტანტინე დიდის მიერ დაარსებული ქრისტიანული ტაძრები დაანგრიეს და ოთხი ქრისტიანი წამებით მოკლეს. მხოლოდ იმპერატორ არკადის ბრძანების საფუძველზე და დაზას ეპისკოპოს პორფირის დიდი მონდომებით შეიქნა შესაძლებელი აქ არსებულ რვა წარმართული ტაძრის დაანგრივა. ხოლო ერთი მათგანის ადგილას ქრისტიანული ეკლესია აშენდა.

იმავე დროს, მე-4 საუკუნის დასაწყისში, ეკლესიის ისტორიკოსის, სოზომენის მოწმობით, რომელიც წარმოშობით თავად იყო დაზადან, ქალაქის მიმდებარე უდაბნოში გაგრცელდა მეუდაბნოვეთა ცხოვრება. სწორედ აქ, დაზასა და მაიუმს შორის დაიწყო მოსაგრეობა ილარიონმა, პალესტინაში ბერ-მონაზვნობის პირველმა დამაარსებელმა.

ღაზას მაიუმა. „მაიუმა“ ნიშნავს ნაგმისადგომს (ეგვიპტური სიტყვაა ma – „ადგილი“ და jam – „ზღვა“). სტრაბონის თანახმად, შვიდი სტადიონით, ხოლო სხვა მწერლების მიხედვით, – 20 სტადიონით იყო დაცილებული ღაზადან. სოზომენის სიტყვებით, „ადგილი ქალაქ ღაზასთან, მაიუმა, გამოირჩეოდა ცრუმორწმუნეობით და აქამდე ძველი წესჩვეულებების ერთგული იყო. კონსტანტინე დიდის დროს უცებ ყველა მოექცა ქრისტიანად. ასეთი ღვთისმოშიშებისათვის მეფემ მაიუმელებს დიდი ჯილდო უბოძა: ამ პატარა ადგილს მიანიჭა ქალაქის მნიშვნელობა და თავისი საყვარელი ვაჟის, კონსტანტინის, სახელი, დაარქვა. ამასთან, მისცა თვითმმართველობაც, რადგანაც, ფიქრობდა მეფე, უსამართლობა იქნებოდა მაიუმელები დამორჩილებოდნენ ღაზას მცხოვრებლებს, რომლებიც მოშურნე წარმართები იყვნენ“. მაგრამ იულიანეს დროს მდგომარეობა შეიცვალა. „როგორც კი სამეფო ტახტზე ავიდა იულიანე, მოგვიხსრობს იგივე ავტორი, ღაზელებმა დაიწყეს დაგა კონსტანტინელებთან. მოსამართლეობა თავად მეფემ იკისრა და კონსტანტინე ღაზას მიაკუთვნა, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან ოცი სტადიონით არიან დაცილებულნი. ამ დროიდან კონსტანტინე დაკარგა თავისი სახელი და ატარებს ღაზას ზღვისპირა ნაწილის – მაიუმის სახელს. მათ აქვთ საერთო სამოქალაქო მმართველობა, საერთო სახალხო საქმეები და ჰყავთ საერთო მხედართმთავრები. მხოლოდ საეკლესიო საქმეებში ისინი აქამდე ორ ქალაქად აღიქმება, რადგანაც ორთავეს ჰყავს საკუთარი ეპისკოპოსი და სასულიერო პირნი, აწყობენ განსაკუთრებულ შეკრებებს წამებულთა მოსახსენებლად და აქვთ დადგენილი თითოეული ეკლესიის (ღაზასა და მაიუმის) ადგილ-მამულის განმსაზღვრელი საზღვრები. მართალია, ერთ დროს, მაიუმის ეკლესიის წინამძღვრის გარდაცვალების გამო ღაზას ეპისკოპოსი შეეცადა, დაექვემდებარებინა ორივე საეპისკოპოსო იმ მოტივით, რომ უკანონოა ერთ ქალაქს მართავდეს ორი ეპისკოპოსი. მაგრამ მაიუმელები ამას არ დათანხმდნენ. ადგილობრივმა კრებამ სამართლიანად მიიჩნია მათი მოთხოვნა და სხვა ეპისკოპოსი იქნა ხელდასმული, რათა მაიუმის ეკლესიას იერუსალიმის ეკლესიათა რიგში არ დაეკარგა ადრე ნაბოძებული უპირატესობა“.

მაიუმის ეპისკოპოსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან: ზენონი, რომელიც ღაზაში ეწამა ორ ძმასთან ერთად, და კოზმა, რომელიც მე-8 საუკუნეში ცხოვრობდა, ცნობილი საგალობლების ავტორი. წმიდა კოზმა იყო თბოლი, ნაშვილები ჰყავდა სერგის, იოანე დამასკელის ძმას. ის და იოანე ერთად იზრდებოდნენ და მთელი ცხოვრება ერთად გაატარეს. როდესაც წმინდა იოანე დამასკოდან პალესტინაში წავიდა, წმინდა სა-

ბას მონასტერში, წმინდა კოზმაც მას მიჰყვა. ამ მონასტერში ორივე ერთად მოსაგრეობდა და იერუსალიმის პატრიარქმა ისინი ერთად აიყვანა წმინდა ხარისში – წმ. იოანე პრესვიტერად ეკურთხა, ხოლო წმ. კოზმა – მაიუმის ეპისკოპოსად.

იუდეის ზღვისპირა ქალაქების მიმოხილვის შემდეგ შეგუდეთ შუა იუდეაში მდებარე მშვენიერი ქალაქებისა და დაბების აღწერას.

ძველი გზა იოზედან იერუსალიმამდე ქვეითად ორი დღის საგალია, ვიწრო და ძნელი, ქვიანი, კირქვით დაფარულ მთებზე, რომელიც არამც თუ რაიმე სახის ტრანსპორტით, არამედ ფეხითაც ძნელი გადასალახავია.

ლიდა, იგივე ღიოსპოლინი, ანუ ზეგის ქალაქი, თალმუდის განსაზღვრებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ იოზედან – 3 საათის, იერუსალიმიდან ერთი დღის საგალით იყო დაცილებული. „იერუსალიმის ბაზრების გამოსაცოცხლებლად, ამბობს თალმუდი, დადგენილი იქნა, მოეტანათ მოსაგლის ნაწილი ნატურით. მაგრამ რადგან ეს რთული იქნებოდა იერუსალიმიდან დაცილებული ადგილებისთვის, ეს დადგენილება შექმენილად შემოკლდა: ნაყოფთა ნაწილი ნატურით მხოლოდ იმ ადგილებიდან უნდა მოიტანონ, რომლებიც იერუსალიმიდან ერთი დღის საგალზეა დაცილებული; კერძოდ, აღმოსავლეთით იორდანის ველამდე, ჩრდილოეთით აკრაბამდე, სამხრეთით ელატამდე, დასავლეთით ლიდამდე.“ თუმცა ეს განსაზღვრა არ ეთანხმება თალმუდის შემდეგ ადგილს: „ქალაქ ლიდის ქალები ცომის მოზელვის შემდეგ წავიდოდნენ იერუსალიმში და ბრუნდებოდნენ ცომის ამუაგებამდე“.

ლიდა ოდესღაც მეტად მდიდარი ქალაქი იყო. მართალია, ფლავიოსი მას უწოდებს დაბას, მაგრამ ეს დაბა ტოლს არ უდებდა ნებისმიერ ქალაქს. ქალაქის მთავარ სიძიდრეს შეადგენდა ნაირგვარი ხეხილით სავსე ბაღები, რომლებიც ჭებით იყო სავსე; და ერთ მათგანს ელია წინასწარმეტყველის ჭას უწოდებდნენ. ბაღებში ჭარბად იყო ფინიკის პალმები, თუმცა თალმუდი ნამდვილად ჰიპერბოლას მიმართავს, როდესაც გვამცნობს, რომ ლიდას მაცხოვრებლები მუხლამდე ეფლობიან ფინიკის წვენი“.

ვარდა ამისა, ლიდას მოქალაქენი სარგებლობდნენ ტყის სიუხვით და ეწოდნენ ხის ნაკეთობათა რეწვას, რითაც უძველესი დროიდანვე განთქმული იყო ლიდას ბაზრები. იერუსალიმის და ტაძრის დანგრევის შემდეგ ლიდას ნაყოფიერება და მრეწველობა ეცემა, მაგრამ, ამასთან ერთად, ქალაქის ზნეობრივი დონე მაღლდება; აქ დაარსდა მეტად მნიშვნელოვანი იუდაური სკოლა, რომელიც ფართო ზნეობრივ საწყისებზე იყო დაფუძნებული. ამას ადასტურებს შემდეგი დადგენილე-

ბა, რომელსაც თაღმუდო ქალაქ ლიდას მიაწერს: „სიკვდილის ასაც-
ილებლად დასაშვებია მოსეს კანონის ყველა დადგენილების დარღვევა,
გარდა კერპთმსახურების, მკვლელობისა და სისხლის აღრევისა“. ლიდას
რაბინებსე, რომლებსაც სამხრეთელებს უწოდებდნენ (გალილეელები და
ტიბერიადელები საბირისპიროდ), ანდაზაც შეიქმნა: „ვისაც სიბრძნის მოხ-
ვეჭა უნდა, წაგიდეს სამხრეთით, ლიდაში, ხოლო ვინც სიმდიდრეს ეძიებს,
ის ჩრდილოეთით, გალილეაში გაემგზავროს.“

ებრაელთა დროთა აღრიცხვის – ჩართული თვეების და საერთო
კალენდრის – შესწორება მხოლოდ ლიდას სკოლაში შექმდებოდა და ამ
განმარტებისთვის აქ იგზავნებოდნენ სინედრიონის საგანგებო დელე-
გატები. მე-3 საუკუნიდან, ლიდაში ქრისტიანების დამკვიდრების შემდეგ,
იუდაური სკოლის რეპუტაცია ეცემა, მას ამპარტაგნობასა და რელი-
გიურ ინდიფერენტიზმში სდებენ ბრალს. ქრისტიანული საეპისკოპოსოს
დაარსების შემდეგ ლიდას ებრაული სკოლა იხურება. თუმცა, შეიძლება,
ამის მიწეში მოსახლეობის უკიდურესი გაღარიბება უფრო იყო, რასაც
მიდრაში ამ სიტყვებით ასახავს: „მთელი ადამიანური სიღატაკის ცხრა
მეათედი ლიდაზე მოდის“.

საკლესიო ისტორიისათვის ლიდა მეტად მნიშვნელოვანი ქალაქია.
აქ პეტრე მოციქულმა განკურნა დამბლადაცემული ენეასი. შემდგომში,
როდესაც ლიდამ დიოპოლისის სახელი მიიღო, ის იერუსალიმის საპატრი-
არქოს ერთ-ერთ საარქიეპისკოპოსოს წარმომადგენდა ოცდახუთთა შო-
რის, რომელთაც გამგებლობაში საეპისკოპოსოები არ გააჩნდათ. ლიდას
ეპისკოპოსთაგან გამოირჩეოდა დეციონი, არიონის მეგობარი, ევსტათი
ატნიოქიელის მტერი. მე-5 საუკუნეში, 415 წ-ს, აქ მოწვეული იქნა კრება
პელაგიოსის საქმეზე. მე-12 საუკუნეში აქ აშენდა ბაზილიკა წმიდა
გიორგის სახელზე. გადმოცემის თანახმად, ლიდა იყო წმინდა გიორგის
მშობლიური ქალაქი და აქ იქნა იგი დაკრძალული. იმავე დროს აიგო
იოანე ნათლისმცემლის ტაძარი სებასტიაში.

რაც უფრო გუახლოვდებით იერუსალიმს, გარემო მით უფრო უდაბნო
ხდება. ნაყოფსავსე ითბეს სიმწვანე კლებულობს, სარონის ველი თან-
დათან შიმვლდება და ამზადებს მოგზაურს იერუსალიმის ნანგრევების
ხილვისთვის.

იმრუსსალმში. იუდეის პროვინციის ცენტრში იდგა იუდეისა და მთე-
ლი აღთქმული ქვეყნის მთავარი ქალაქი, იერუსალიმი. იერუსალიმის
ადგილმდებარეობა ყველაზე მაღალი იყო მის შემოგარენთა შორის.
ამიტომაც, რომ წმინდა სახარებაში მუდმივად ლაპარაკია „იერუსალიმში

ამოსვლაზე“. ქალაქის ნაწილი მთებზეა შეფენილი, ნაწილი შემაღლებულ ვაკეზე იშლება. იერუსალიმი შემდეგ მთებზეა გაშენებული: სიონი (ამგვარად წოდებული მშრალი და მკაცრი ნიადაგის გამო), აკრა, მორია და ბეზეთა.

სიონის მთა ყველაზე მაღალია. მასზე მდებარეობდა **ზედა ქალაქი**, დავითის ციხე-სიმაგრე, არსენალი, გმირთა სახლი, პირველმდეველმთავრის სასახლე, ქალაქის საპყრობილე და სხვა საზოგადო და კერძო შენობები.

მთა აკრა — სახელი ასურეველთა მეფე ანტიოქოს ეპიფანეს მიერ აშენებული მაღალი ციხე-დარბაზის მიხედვით მიიღო. ეს ციხე ტაძრის ასაღებად იყო გამიზნული. სიმონ მაკაბელის ბრძანებით, აკრის ნაწილი გადათხარეს, რათა არ გამეორებულიყო ანტიოქოსის მსგავსი მცდელობა. აკრაზე იდგა **ქვედა ქალაქი** და მეფე სოლომონის აგებული **სასახლე**, სადაც ცხოვრობდა ყველა იუდეველი მეფე.

მთა მორია, რომელზეც იდგა სოლომონის ტაძარი, უსწორმასწორო ფორმისა იყო. ამიტომ ტაძრის მოშენებლობის დროს მის აღმოსავლეთ მხარეს გაკეთდა არაჩვეულებრივი მიწაყრილი, რომელიც დღესაც აოცებს მნახველს. მორიას მთელი ზედაპირი ეკავა ტაძარს. ჩრდილო-დასავლეთით ტაძარს ეკვროდა ციხე-სიმაგრე, აშენებული ქრისტეს შობამდე 140 წ-ს. სიმონ მაკაბელის მიერ, რომელსაც ჰეროდე დიდმა ანტონიუსი უწოდა რომაელი ანტონიუსის საპატივცემულოდ. ამ ციხე-სიმაგრეს თანდათან აგრცობდნენ და ყოველი მხრიდან გლუვი ქვის ფილებით ამაგრებდნენ, მტერს რომ ვერ შემთქმნია; მას გარს ერტყმოდა მტკიცე კედლები და კოშკები, ხოლო შიგნით სახსე იყო ყველაფრით, რაც გარნიზონს სჭირდებოდა. ციხე ტაძარს უერთდებოდა კიბეებითა და საიდუმლო გასასვლელებით. აქედან ერთობ იოლი იყო თვალყურის დევნება ტაძარსა და ქალაქზე, რადგან ის 15 მ. სიმაღლის გორაკზე იდგა.

მთა ბეზეთა, ანუ „ახალი ქალაქი“ მას ეწოდა იმის გამო, რომ აშენდა ხალხის მომრავლების შემდგომ.

ქალაქი გაშენებულია ამ ოთხ მთაზე. მას სამხრეთით — ერთი, ხოლო ჩრდილოეთით სამი კედელი ერტყა. ამ კედლებზე განსაზღვრული შუალედებით აღმართული იყო ოთხკუთხედი მტკიცე კოშკები, საიდანაც ადვილად შეიძლებოდა ქალაქის დაცვა. პირველ კედელზე 60 კოშკი იყო მეთრეხე — 14, ხოლო მესამეზე — 90. ამით აიხსნება ის რთული და

ხანგრძლივი აღყა, რომელიც წინ უსწრებდა ტიტუსის მიერ იერუსალიმის საბოლოო დამორჩილებას.

ქალაქის გარშემოვლას ორნახევარი საათი სჭირდებოდა.

მთებზე გაყვანილი ქუჩები და გზები ბუნებრივად ეშვებოდნენ ძირს, ზოგ ადგილას კი ისინი მეტად ციცაბო იყო. აღმოსავლური წესისამებრ, ხელოსნებს სახელოსნოები და დუქნები საცხოვრებელ ბინებში, ან იქვე, სახლის წინ, ქუჩაში ჰქონდათ მოწყობილი და ეს ქუჩებიც შესაბამის სახელებს ატარებდა: მეპურეების, ყასბების, შალის მჩეჩავების და სხვ.

იერუსალიმის ბუნება ღარიბი და მჭმუნვარეა. ზეთისხილი მთიან მხლოდ ჩრდილოეთ სიბრტყეზე და ელეონის მთის ფერდობზე, ირგვლივ გარემო კი ცარიელი და გადახრუკულია. ეს გამოწვეულია წყლის სიმცარიით. იერუსალიმის წყლის სიმდიდრედ ითვლება სილოამის მცირე წყარო და გიგონის ნაკადის შტოები. ამიტომ იერუსალიმი წყლით ბეთლემიდან მომდინარე წყალსადენების საშუალებით მარაგდება.

ქალაქის მოსახლეობის ჩვეული რაოდენობა 120 000 – 150 000 სულს აღწევდა. თუმცა, დიდი დღესასწაულების დროს, როდესაც აქ თავს იყრიდნენ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული იუდეველები, ხალხის რაოდენობა მილიონამდე იზრდებოდა. ამით აიხსნება დაღუპულთა ურიცხვი ოდენობა ტიტუსის მიერ იერუსალიმის დანგრევის დროს. დიდი დღესასწაულების დროს ხალხი ქალაქში ვერ ეტეოდა და მის ირგვლივ გაშლილ კარავებში ცხოვრობდა. იერუსალიმის მუდმივ მოსახლეობას წარმოადგენდნენ ადგილობრივი იუდეველები, ნაწილიც – უცხოეთიდან დროებით, სწავლისთვის ან სავაჭროდ ჩამოსახლებულები, დაბოლოს, რომაელები თავიანთ უფროსებთან ერთად. უცხოელ იუდეველებს იერუსალიმში თავიანთი სინაგოგები ჰქონდათ.

იერუსალიმში იესო ქრისტეს დროს სრული სიდიადე და ბრწყინვალეობა სუფევდა. პლინიუსი ძველ იერუსალიმს არა მარტო იუდეის, არამედ მთელი აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს ქალაქად მიიჩნევს. სტრაბონის მოწმობით, დავითის ქალაქს ისეთი გრანდიოზული ნაგებობანი ჰქონდა, რომ იოზედანაც კი მოჩანდა. ეს ნიშნავს იმას, რომ იერუსალიმის დანახვა მთელი იუდეისთვის იყო შესაძლებელი, რაკილა იოზე ქვეყნის ყველაზე დაბალი და მოცილებული პუნქტია. იერუსალიმის დანგრევის შემდეგ, როდესაც იუდეველებს აკრძალათ თავიანთ ძველ დედაქალაქთან მიხლოვება, მოცილებული ადგილებიდან ნანგრევების მწერიოდა იხუცებდნენ თავს. იერუსალიმის შენობების მაღალი ტერასებიდან, ამბობს ფლავიუსი, შეგეძლოთ, დაგენახათ მთელი ქვეყანა ხმელთაშუა ზღვიდან მკვდარ ზღვამდე. თავად ტიტუსმა, გაოცებულმა დამარცხებული იერუს-

სალიმის სიდადით, ქალაქის დარბევისას შთამომავლობას სამახსოვროდ დაუტოვა სამი ბრწყინვალე კოშკი – თაზაელი, ჰიბიკუ და მარიაძნუ, და დასავლეთის კედელი.

იესო ქრისტეს დროს განსაკუთრებულად მჩქეფარე საქმიანობით გამოირჩეოდა ტაძრის მოედანი. ვინ და რა აღარ იყო აქ! საქმეში ჩაფლული ლეგიტელები წინ და უკან დარბოდნენ. წრეში ჩამჯდარი ფარისევლები მსჯელობდნენ დოგმატებზე და არჩევდნენ სადუკეველების ახალ განდგომებს. სინედრიონის სხდომის გახსნის მომლოდინე მღვდლები და მეცნიერები კანონის გაკვეთილებს ატარებდნენ მეორე ეზოს განყოფილებებში. ახლადმოპილი ძნების კონებით დატვირთული სოფლელი აქ ხვდებოდა ნასუქი ხართა და ცხვრით მისულ მდიდარ ქალაქელს. კეთროვანი და განსაწმენდი ეზოს კიბეებზე ეჯახებოდნენ ეჭვიან ქმარს, საჯაროდ გასაკიცხად რომ მოათრევდა ქარაფშუტა ცოლს. გარეთა ეზოს განიერი პორტიკების²⁷ ქვეშ ხალხის გუნდი ხმაურით ერტყმოდა გარს კიდევ ერთხელ გამოჩენილ წინასწარმეტყველს, მოძავალ დროებზე რომ ქადაგებდა. მტრედებისა და ნამცხვრების გამყიდველები უკლებლივ ყველას ეპატიუებოდნენ დუქნებში. ზარაფები ეროვნული შეკედლის იმპერატორის დინარზე და ბერძნულ დრაქმაზე გაცვლას გთავაზობდნენ. ვაჭრობის, კამათების, ლოცვის ხმაური ბუკის ხმას, დასაკლავ ცხოველთა ბღავილს, ცოცხალი ცხოველების ფრუტუნს, სამსხვერპლოებზე ცეცხლის ტკაცუნს ერეოდა. მოედნის ამ სურათში, ამბობენ რაბინები, ყურადღებიანი დამკვირვებელი შეამჩნვდა ათ იდუმალ თაგისებურებას, ანუ ტაძრის სისუფთავისა და სიწმინდის ათ საოცრებას: არასდროს ყოფილა საკურთხეველის მოედანზე არა მხოლოდ მორიელები და ხვლიკები, რითაც ახლა საგსეა მოედანი, არამედ არ ყოფილა მცირე მწერებიც კი შესაწირავ ძნებში, და ბუზები – საწმიდარის სამზარეულოებში; არასდროს შეურხევა ქარს ცისკენ სწორ სვეტად აღმართული სამსხვერპლოს კვამლი, და არც წვიმის წვეთი დაცემულა კმევისას საკურთხეველზე; რაოდენ დიდი ხალხმრავლობაც უნდა ყოფილიყო ტაძრის ეზოებში, არავის არასოდეს დაუჩივლია: „ნუ მავიწროებთ, ლოცვაში ხელი მეშლებათ“; არასოდეს დამდგარა ცხოველთა ხუნი; საწმინდარის მოედანზე არავის არასოდეს ჰქონია უწმინდური და უხეში ზრახვა, იაჰვეს დიდების წმინდა ადგილის შესაფერი რომ არ ყოფილიყო.

საკლესიო ისტორიული თვალსაზრისით, იერუსალიმი, უბირველეს ყოვლისა, შესანიშნავია, როგორც უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტეს, ტანჯვის,

²⁷ პორტიკი – (ლათ. porticus) საყრდენი სვეტებითა და თაღებით შექმნილი, სამი მხრიდან გახსნილ ნაგებობა (რედ. შენ.).

სიკვდილის, აღდგომისა და ზეცად ამაღლების ადგილი.

სიონის მთაზე, „სიონის დარბაზში“ უფალმა ფეხები დაბანა მოწაფეებს და აღასრულა საიდუმლო სერობა. ეს დარბაზი ის ადგილია, სადაც შემდგომში მოხდა უპირველესი, იერუსალიმის ეკლესიის ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენა. აქ მოიყარეს თავი მოცუქლებმა უფლის ამაღლების შემდეგ და აქ მოეფინა მათ აღთქმული სული წმინდა – ნუგეშისმცემელი. აქ აღესრულა ღვთისმშობელი და აქედან გადაასვენეს გეთსემანიის მღვმეუმი. აქ დაიდო ბინა იერუსალიმის პირველმა ეპისკოპოსმა იაკობმა და აქ იქნა მოწვეული პირველი ქრისტიანული კრება. აქ წილის ყრით აირჩიეს ახალი მოციქული იუდას ნაცვლად და შვიდი დიაკონი. აქ იყო პირველი ქრისტიანული ეკლესია მსოფლიოში, *omnium urbis et orbis ecclesiarum mater et caput*,²⁸ როგორც გვამცნობდა ამ ეკლესიის მოვგიანო წარწერა. ეპიფანეს, პალესტინის მკვიდრის, მოწმობით, ეს სიონის ეკლესია არ დანგრეულა ტიტუსის მიერ იერუსალიმის განადგურების დროს, და ორმოცდაექვსი წლის შემდეგ, როდესაც აქ იმპერატორი ადრიანე მოვიდა, ერთიდა ის იდგა უვნებლად ნანგრევებს შორის. ვოლგოთაზე კონსტანტინეს ბაზილიკის არსებობის პერიოდში მოიხსენიება მოციქულთა ეკლესია, რომელიც სიონის ზედა ტაძრად იწოდებოდა, მაცხოვრის საფლავის საპირისპიროდ (კირილე იერუს. XVI,4). პროკოფის მოწმობით, არის საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ იერუსალიმში, მაღალ ბორცვზე აშენებული იუსტინიანეს ბაზილიკა სწორედ ამ ადგილზე იყო. სიონზე მიუთითებენ იაკობ აღფესის მოწამებრივი აღსასრულის ადგილს და იმ ადგილსაც, სადაც მარკოზ მოციქულის სახლი იდგა. ახლა აქ მოჩანს ჩადგმული კარები ისრისებური თაღით. გადმოცემის თანახმად, ამ კარებზე დააკაკუნა პეტრე მოციქულმა ღამით, საპყრობილიდან სასწაულებრივი დახსნის შემდეგ (საქ. მოც. 12,12-16). სიონის მთაზე, დარბაზის მახლობლად, უთითებენ ადგილს, სადაც ცხოვრობდნენ მღვდელმთავარნი ანა და კაიაფა. აქვე უჩვენებენ მაცხოვრის საპყრობილეს, ადგილს, სადაც პეტრე მოციქულმა უარყო მოძღვარი, და ადგილს, სადაც მამალმა იყივლა. ცოტა აღმოსავლეთით გვიჩვენებენ მღვმემს, სადაც, გადმოცემით, პეტრე მოციქული დასტიროდა უფლის უარყოფას.

საიდუმლო სერობის შემდეგ უფალი წავიდა გეთსემანიაში, იერუსალიმის აღმოსავლეთით, ქალაქგარეთ, ალბათ, ალაცაფის კარებიდან,

²⁸ ლათინური: ყველა ქალაქისა და მთელი მსოფლიოს ეკლესიათა დედა და თავი (რედ. შენ.).

რომელსაც ოდესღაც უწოდებდნენ იოსაფატისას, ამჟამად კი სტეფანეს ან გეოსემანიისას. ალაყაფის კარების მარჯვნივ არის პატარა მოედანი, სადაც, გადმოცემით, მოკლეს სტეფანე პირველმოწამე.

გეოსემანია ეწოდებოდა იერუსალიმის აღმოსავლეთით, ელეონის მთის ძირში, უგალაგნო და ყველასთვის მისაწვდომ ზეთისხილის ჭაღას, რომელიც საწმიდარის საკუთრება იყო. აქ უმთავრესად თავშესაფარს პოულობდნენ იერუსალიმში სადღესასწაულოდ ჩამოსული ღარიბები. გეოსემანია ზეთის სახდელს ნიშნავს, აქ იყო მღვამე, სადაც წურავდნენ აქ მოწიულ ზეთისხილს. მღვამე მოქმედებდა მხოლოდ ზეთისხილის მოსავლის აღების დროს, ისე კი ცარიელი იყო. აქაც ღამის გასათევად დგებოდნენ ჩამოსული ღარიბები. გადმოცემით, ამ მღვამეში გაატარა უფალმა იესო ქრისტემ მწუნარებისა და სულიერი ტანჯვის საათები ოუდას დალატის წინ. აქ ლოცულობდა და ამბობდა: „მამათ ჩემო! უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმკედინ სასუმელი ესე ჩემგან“. ამჟამად ეს მღვამე კათოლიკეებმა გადააკეთეს კაპელად და უწოდეს მწუნარების მღვამე. მისი სიგრძე უდრის 27 ნაბიჯს (დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ), განი კი 14 ნაბიჯს და ინახავს ბუნებრივი მღვამის თავდაპირველ სახეს. გუმბათის ზგრილიდან, რომელიც ამჟამად სარკმელის როლს ასრულებს, ყრიდნენ ზეთის სახდელში ზეთისხილს. იერთონიმეს დროს ამ მღვამის თავზე იდგა ეკლესია.

„გეოსემანიის ბაღად“ ამჟამად იწოდება ოთხკუთხედი სივრცე, რომელიც რამდენიმე ნაბიჯითაა დაცილებული მწუნარების მღვამიდან და შემოვლებულია ქვის მაღალი გალაგნით; ამ ბაღში დგას რვა ათასწლოვანი ზეთისხილის ხე, უძველესნი ელეონის მთის ზეთისხილთა შორის. მაგრამ საეჭვოა, ეს ის ხეები იყოს, რომელთა ჩრდილში ისვენებდა მაცხოვარი მოწაფეებთან ერთად. ვინაიდან, ფლაგიოსის მოწმობით, ჯერ კიდევ პომპეუსმა გაანადგურა იერუსალიმის ირგვლივ მრავალი ბაღი, ტიტუსმა კი – მთლიანად ყოველგვარი მცენარე ოც სტადიონზე იერუსალიმის გარშემო. მაშასადამე, ახლანდელი ზეთისხილის ხეები გეოსემანიის ბაღში და იერუსალიმის ჩრდილოეთ ჭაღაში წარმოადგენს ბიბლიური ბაღებიდან აღმოცენებულ ნეკერს. გეოსემანიის ბაღში მიუთითებენ კლდეზე, სადაც ეძინათ მოციქულებს მაცხოვრის უკანასკნელი ლოცვისას და ადგილს, სადაც ოუდამ მზაკვრული ამბორით გასცა მოძღვარი. ეს ადგილი, როგორც აღწერენ წინა საუკუნეების მოგზაურები, საფსუა კენჭებით, რომელთაც ისვრიან აქ გამგლელები, ისე, როგორც ამას აკეთებენ ებრაელები აბესალომის ძეგლთან.

გეთსემანის ბაღის მარცხენა ნაწილში ამჟამად არსებობს ღვთისმშობლის აკლდამაზე აშენებული ეკლესია. „უძველესმა ხალხურმა გადმოცემამ, გვიამბობს ნორთვი, დაადსტურა ამ ადგილის სიწმინდის, როგორც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამარხი მდგომის, ჭეშმარიტება. თუმცა ეფესოს ეკლესიამ მიიწერა მაცხოვრის დედის დასაფლავების ადგილი, წმ. დიონისე არეობაგელისა და იოანე დამასკელის მოწმობამ უნდა გადასწონოს ამ შემთხვევაში. და თუ ამას დედოფალ პულხერიას მიმართვასაც დაგვუბატებთ იერუსალიმის პატრიარქ იუბენალისადმი (450 წ.) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფლავის საკითხზე, უეჭველია, რომ ის მდებარეობს იერუსალიმში“. მომდევნო ხანებში ღვთისმშობლის საფლავზე გამართეს ეკლესია. კლდის ნაწილი, სადაც დასვენებული იყო ღვთისმშობელი, გამოიყო ქვის კედლით და წარმოიშვა კუბის ფორმის შენობა, რომლის თავზეც მოეწყო პირველი ეკლესია.

ელეონის მთა, საიდანაც ამაღლდა უფალი ზეცად, ყველაზე მაღალი მთა გახლდათ იერუსალიმის მიდამოებში, სიმაღლე მისი 800 მეტრამდეა. ეს მთა მეტად ქვიანია და ამიტომ – ღარიბი მცენარეულობით, მხოლოდ იქა-იქ გაფანტულა მონაცრისფრო, ტანმორჩილი ზეთისხილის ხეები. მის მწვერვალზე, ზუსტად მაცხოვრის ამაღლების ადგილზე, ამჟამად აღმართულია პატარა მეჩეთი. აქეთ მიმავალ გზაზე უთითებენ იმ ადგილს, სადაც მაცხოვარმა ასწავლა მოციქულებს საუფლო ღოცვა და იწინასწარმეტყველა იერუსალიმის დაცემა, და – იმ მდგიმესაც (ლათინთა გადმოცემით), სადაც მოციქულებმა შეადგინეს რწმენის სიმბოლო.

ქალაქგარეთ, იერუსალიმის სამხრეთით, გინომის ველის უკან, იყო „უსჯულო საბჭოს“ (ბოროტი სათათბიროს) მთა. ძირი ამ მთისა კლდოვანია და დაფარულია აკლდამებით. გადმოცემა გვამცნობს, რომ აქ იმაღლებოდნენ მოციქულები უფლის დაბატმრების შემდეგ. უსჯულო საბჭოს მთაზე არის ადგილი, რომელსაც უწოდებენ გაკ-ელ-დამას (სისხლის მიწა). თქმულების თანახმად, რომელიც ნეტარი იერონიმეს დროიდან მოდის, ეს იყო მეთუნის მიწის ადგილი, რომელიც იყიდეს იუდას დალატის საფასურად აღებული ვერცხლით. ჯვაროსნების ლაშქრობების დროს აქ ასაფლავებდნენ მოგზაურებს. მეთუნის მიწას მიაწერდნენ ოცდაათს საათში გვამის გახრწნის თვისებას. აქედან დიდი რაოდენობით მიწა გადაიტანეს პიზას ცნობილ კამპო-სანტოში 1228 წელს. და ბოლოს, ამ უსჯულო საბჭოს მთის მწვერვალზე, როგორც ფიქრობენ, იდგა კაიაფას ქალაქგარე სახლი, სადაც ებრაელებმა გადაწყვიტეს მაცხოვრის მკვლელობა. აქვე უჩვენებენ ხეს, რომელზეც ჩამოხრჩო თავი იუდამ.

გეთესქმანის ბაღში შეპყრობილი მაცხოვარი მიიყვანეს პირველ მღვდელმთავარ ანნას სახლში, სიონის კარიბჭის მახლობლად, იქედან კი — კაიაფასონ, რომლის სახლიც 170 მ-ით იყო დაცილებული ანნას სახლს.

კაიაფასგან მაცხოვარი წაიყვანეს მთელი ქალაქის გავლით რომის პრეტორიაში, პილატესთან, რომელიც ცხოვრობდა მორის მთაზე, ანტონიუსის ციხესიმაგრეში.²⁹

აქედან უფალი გაიყვანეს დასავლეთით, გოლგოთაზე, წამების ადგილზე. მთელი „ვნების ვნის“ სიგრძე პილატეს პრეტორიიდან სამსჯავროს კარიბჭემდე, რომლის მახლობლადაც იყო გოლგოთა, სულ ათასამდე ნაბიჯს ითვლიდა. სახელდობრ: პილატეს სამყოფელიდან თაღამდე, სადაც მან გაიყვანა სამოსშემოძარცული უფალი ხალხის წინაშე, იყო 100 ნაბიჯი; თაღიდან სიმონ კვირინელთან შესვედრის ადგილამდე — 245 ნაბიჯი³⁰; აქედან წმინდა ვერონიკას საგარაუდო სახლამდე — 450 ნაბიჯი; და ვერონიკას სახლიდან სამსჯავროს კარებამდე — 300 ნაბიჯი.

ძველი რომაელები ქალაქის დასავლეთ მხარეს, ბნელეთის სამეფოსკენ მიმართულს, მზეს რომ შთანთქავდა, უბედურების მხარედ მიიჩნევდნენ. ასეთივე მნიშვნელობა მიიღო იერუსალიმის დასავლეთის მხარეც რომაელების ბატონობის დროს. მაშინ, როდესაც ქალაქს სხვა მხარეებს ამშვენებდა ტრიუმფალური წმინდა ქიშკრები, დასავლეთის მხარეს იყო მხოლოდ „სამსჯავროს კარი“, რომელზეც გადიოდა საჯარო სიკვდილით დასჯის ადგილისაკენ მიმავალი გზა. ეს ადგილი სამსჯავროს კარებს უკან, ქალაქის კედელთან იყო. აქ იყო მცირე ზომის, ქვაბურივით ამოღრმავებული მთედანი, თიქმის ყველა მხრიდან შემორტყმული ფიქალეების ბორცვებით. ქვაბურის აღმოსავლეთ მხარეს კონცხივით გამოშვერილიყო კლდოვანი, დაბალი ბორცვი, რომელსაც ადამიანის თავის ქალის ფორმა ჰქონდა. ეს იყო გოლგოთა, ნამდვილი ბუნებრივი ეშაფოტი, დამნაშავეთა საჯაროდ მოკვდინების ადგილი. როგორც ამ ადგილის უმეტეს ბორცვებში, გოლგოთას შიგნითაც იყო ბუნებრივი გამოქვაბული, სადაც, ალბათ, სიკვდილით დასჯილთა გვამებს ყრიდნენ. მოგვიანო გადმოცემით, ამ გამოქვაბულში იყო დაკრძალული ადამის თავის ქალაც, რომელიც გვიან აღმოაჩინეს, დაუზიანებელი სახით. ქვაბურის დასავლეთ, უფრო დაბალ და ნაკლებად ციცაბო მხარეს, გამოკვეთილი იყო ორი აკლდამა. ერთი მათგანი, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა შეძლებულ გვარს

29 სხვა თქმულებით, პილატე ცხოვრობდა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ცხოვრობდნენ პირველმღვდელმთავრები, ე.ი. სიონზე, კერძოდ, დავითის ციხესიმაგრეში. მაგრამ ტექსტში მოყვანილი მოსაზრება უფრო მიღებულია.

30 სიგრიძის საზომი ერთეული „ნაბიჯი“ 71 სმ-ს შეადგენდა (რედ. შენ).

და დაქმნადებინათ იერუსალიმში საზოგადოდ მიღებული ფორმით, ე.ი. ჯერ იყო პატარა ოთახი, რომელიც გადიოდა მოწრდილ ოთახში, სადაც მოწყობილი იყო სამი სარეცელი. მაგრამ ეს აკლდამა, რომელიც ამჟამად „იოსებისა და ნიკოდემოსის სამარხის სახელითაა“ ცნობილი, არ იყო საკმარისი დიდი ოჯახისთვის. და აი, ოჯახი ახალ სამარხს აწყობს, ირჩევს ახალ მღვდემს გოლგოთასთან უფრო ახლოს. უკვე გაკეთებული იყო ამ ახალი აკლდამის წინა ოთახი და სამარხის ოთახი დაუმთავრებელი სახით და, თითქოს, განგებამ შეაჩერა მისი შემდგომი მოწყობა. მოუწყობელი სამარხის ოთახი სახელდახელოდ გაკეთებული ერთადერთი უბრალო სარეცელით, იქცევა მაცხოვრის საფლაგად. სახელდახელოდ გაკეთებული გრძელი სკამი სწევდა კუბოს განსასვენებლის მაგივრობას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სამარხთან მისული მარიამი, მღვდის დაბალ შესასვლელთან დახრილი, იხილავს სპეტაკი სამოსით მოსილ ორ ანგელოზს, ერთი თავთით, ხოლო მეორე ფერხთით იჯდა იმ ადგილას, სადაც ესგნა იესოს სხეული (იოანე 20, 12). აკლდამიდან ცოტა უფრო აღმოსავლეთით იყო უწყლო ცისტერნა. აი, ამ ცისტერნაში, გადმოცემით, ჩაყარეს ჯვრები, რომლებზეც გაკრულები იყვნენ მაცხოვარი და მასთან ერთად დასჯილი ორი ავაზაკი.

ქრისტეს დაბადებიდან 70 წელს იერუსალიმს დაატყდა დიდი უბედურება, ტიტუსმა იერუსალიმში ქვა ქვაზე არ დატოვა. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ სიონზე თავდასმისათვის ყველაზე მოხერხებულ ადგილად, იქ, სადაც ოდესღაც იყო ანასა და კაიაფას სახლები, ტიტუსმა უფლის საფლაგის ახლომდებარე ადგილი მიიჩნია, სადაც იყო პირველმღვდელმთავარ იოანეს სამარხი. „როდესაც გარს მთადგენს სიონის ციხე-სიმაგრეს, ამბობს ფლაგიონი, ტიტუსმა იპოვა მოხერხებული ადგილი იოანე მღვდელმთავრის ძეგლთან. რადგანაც კედელი აქ ისეთი მაღალი არ იყო, როგორც სხვა მხარეებიდან და თანაც აქედან იხსნებოდა გზა მეორე, ანტონიუსის სიმაგრისაკენ. ამასობაში ტიტუსის ჯარის მეორე ნაწილი (მეათე ლეგიონი) იერუსალიმს ელენის მთიდან (უფლის ამაღლების ადგილიდან) შემოერთდა გარს.

ამ დროს იერუსალიმის ქრისტიანები გაიხიზნენ იორდანის ვადმა ქვეყანაში, ქალაქ პელლაში, ხოლო მთელი ვნების გზა, რომელზეც გაიარა უფალმა ჯვარცმის ადგილისაკენ, ნანგრევების, ნამსწვრევებისა და მტვრის ქვეშ მოექცა. უფლის წინასწარმეტყველება აღსრულდა, წმინდა ქალაქი დაინგრა, მხოლოდ რამოდენიმე კოშკი და შენობა გადარჩა სიონის მთაზე. და ამ აწიოკებას, სხვათა შორის, გადაურჩა საქრისტიანოს ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – სიონის დარბაზი.

იერუსალიმის დანგრევიდან 48 წლის შემდეგ იმპერატორმა ელიუს ადრიანემ იერუსალიმის ადგილზე დააარსა ახალი ქალაქი, რომელსაც იმპერატორის სახელისა და კაპიტოლიუმის იუპიტერის პატივსაცემად ეწოდა ელია კაპიტოლინა. ეს იყო სრულიად წარმართული ქალაქი; იუდეველებს კატეგორიულად აკრძალათ ამ ქალაქში დასახლება. მათ წელიწადში ერთხელ ჰქონდათ ნებადართული ქალაქში შემოსვლა დიდი ბაზრობის დღეს, ისიც შესვლის საფასურის გადახდით. ქალაქის მთავარი კარების თავზე დაედგათ ღირსი გამოსახულება, რათა ამ ისრაელთათვის საძულველი ემბლემით აუძულებინათ ისინი, კიდევ უფრო შორს განშორებოდნენ წმინდა ქალაქს. ძირძველი მოსახლეობისგან დაცლილი ახალი ქალაქი სირიიდან, საბერძნეთიდან და არაბეთიდან გადმოსახლებულებმა დაიკავეს. მხოლოდ სიონისა და მორიას მთის სამხრეთ ფერდობებს არ გაკარებიათ ისინი, აქ ოდესღაც პირველმდგველმთავართა და მეფეთა სასახლეები აღმართულიყო, ხოლო ელია კაპიტოლინას დაარსების შემდეგ დღემდე ქალაქის გალაგნის მიღმა აღმოჩნდნენ. სოლომონის ტაძრის ადგილზე ადრიანემ მოაწყო კაპიტოლიუმის იუპიტერის ტაძარი და ამ სახით ფიქრობდა ადრიანე, დარტყმა მიეყენებინა იუდეველთათვის. წმინდა ქალაქიდან გააძევეს, აგრეთვე, იუდეველთა წიაღიდან გამოსული ქრისტიანებიც და ელია კაპიტოლინაში დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვი წარმართობიდან მოქცეული ქრისტიანებისა. ქრისტიანთა სარწმუნოების გასანადგურებლად ადრიანემ წაართვა ქრისტიანებს მაცხოვრის საფლაგი და ნაყარი მიწით გადაასწორებინა დიკერთკაცის სიკვდილისა და დაფლვის ადგილი ანუ გოლგოთა მიმდებარე ადგილებითურთ. ასეთი ნაყარი მიწით ამაღლებულ გოლგოთის ადგილზე აავთ ტაძარი და ასტარტუს ან ვენერას ქანდაკება, ხოლო უფლის საფლაგის ადგილზე – იუპიტერისა. თუმცა ამ წარმართულმა გამოსახულებებმა – სიკვდილის, აღდგომისა და აღორძინების ძეგლებმა, რომლებიც ნამდვილი კაცლმერთის ჭეშმარიტი სიკვდილისა და აღდგომის ადგილზე იყო აღმართული, დაიცვეს დავიწყებისაგან წმინდა ადგილები. როდესაც იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა განიზრახა უფლის საფლაგზე ტაძრის აშენება, მას დაუბრკოლებლად მიუთითეს ის ადგილი. ცხადია, იერუსალიმის დანგრევამ, მის ნაცვლად წარმართული ქალაქის დაარსებამ, შებღალულმა საქრისტიანოს წმინდა ადგილებმა და იერუსალიმის ქრისტიანების განდევნამ, ელია კაპიტოლინას საეპისკოპოსო კათედრას, რომელიც მხოლოდ იესო ქრისტეს სისხლით ნათესავებს ეკავათ, დაუკარგა მას განსაკუთრებული მნიშვნელობა და კათედრა მოგვიანებით დაექვემდებარა პალესტინის კესარიის მიტროპოლიტს. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა

იერუსალიმი მე-2-3 საუკუნეებში.

საქრისტიანოს სალოცავების აღდგენა იერუსალიმში დაიწყო მე-4 საუკუნიდან, იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროიდან. მან იერუსალიმს ძველი სახელი დაუბრუნა და ხარჯების დაუზოგავად აღადგინა და დაამშვენა ქრისტიანული სიწმინდეები. მოციქულთასწორი კონსტანტინეს დედა, წმინდა ელენე, თვითონ ჩამოვიდა იერუსალიმში პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარისა და უფლის სამარხის მოსაძიებლად. ამ დროს ამოთხარეს ვენერას ტაძარი, აიღეს უფლის სამარხიდან ნაყარი მიწა, გახსნეს აკლდამა, რომელიც საგსებით დაუზიანებელი იყო და იპოვეს უფლის წმინდა ჯვარი. დღემდე უჩვენებენ უფლის საფლავის ტაძრის გვერდით აგებულ წმინდა ელენეს სახელობის ეკლესიას და სარკმელს, საიდანაც წმ. ელენე თვალყურს ადევნებდა სამუშაოების მიმდინარეობას. წმინდა ადგილების აღმოჩენის შემდეგ შეუდგნენ აქ შესაფერი ტაძრების აგებას. აშენდა ორი ეკლესია: ეკლესია უფლის საფლავზე – აღდგომის ეკლესია Anastash~, და ეკლესია თხემის ზღვილზე Marthrion. გარდა ამისა, წმინდა სამარხის აღმოსავლეთით აღმართეს ბაზილიკა, რომელიც, საგარაუდოდ, შედგებოდა შუა მთავარი და ოთხი გვერდითი გასასვლელისაგან. ამ ტაძრების მოსაწყობად კონსტანტინე დიდი არ ზოგავდა ხარჯებს. „დაე, შენმა კეთილგონიერებამ, წერდა კონსტანტინე დიდი იერუსალიმის ეპისკოპოსს, უთაოსნოს ამ ადგილზე აღმართვას ეკლესიისა, რომელიც მსოფლიოში არსებულ დიდმშვენიერ ეკლესიებზე აღმატებული იქნება, რათა ეს ნაგებობა ყველა მისი კუთვნილებით საუკეთესო იყოს ქალაქში. რაც შეეხება უშუალოდ შენებსა და კედლების გალამაზებას, ჩვენ ეს დავაგაღეთ ჩვენს მეგობარს დრაკელიონს, თქვენი პროვინციის მმართველს; მას ნაბრძანები აქვს, თქვენი ღვთისმოსიშების მოთხოვნით, დაუყოვნებლივ მოგგვარონ მხატვრებიც, ხელოსნებიც და ყოველივე, თქვენი გამჭრიახობის შესედულები-სამებრ, მშენებლობისთვის. რაც შეეხება სვეტებსა და მარმარილოს, რასაც უძვირფასესად და სასარგებლოდ მიიჩნევ, საფუძვლიანად განსაჯე და დაუყოვნებლივ მომწერე, რათა შენი წერილით გაგიგო, რამდენი და როგორი მასალაა საჭირო და ყოველი მხარიდან მოგაწოდო ის. ამას გარდა, მინდა ვიცოდე, როგორი ტაძრის კამარა მოგწონს – მოზაიკური თუ სხვაგვარად მოკაზმული. თუ მოზაიკურს აირჩევ, მაშინ სხვა დანარჩენი შეიძლება ოქროთი გაეწყოს.“ სამწუხაროდ, წერს ოლესნიცკი, კონსტანტინე დიდის დროს უფლის სამარხის თავდაპირველი შესახედაობა ძლიერ შეცვალეს. ჯერ ერთი, სამარხისთვის სამლოცველოს ფორმა რომ მიეცათ, ის გამოყვეს კლდიდან, როგორც – ღვთისმშობლის სამარხი

გეთსემანის მღვთმეუმი; შემდეგ, ვინაიდან სამარხი დიდ ადგილს იკავებდა მასზე დაშენებულ ბაზილიკაში, მოხსნეს წინა ოთახი, ასე რომ დარჩა მხოლოდ ერთი შიდა ოთახი, წინას გარეშე. აი, რას ამბობს ამის თაობაზე წმ. კირილე იერუსალიმელი: „უფლის სამარხის მღვთმეუმი შესასვლელი გამოჭრილი იყო კლდეში, როგორც ყველა ადგილობრივი სამარხებისა, მაგრამ ამჟამად ის უკვე აღარ არსებობს, რადგან ტაძრის აგებისას მოშალეს.“ ჩვენ დიდ პატივს ვცემთ მშენებლების გულმოდგინებას წმინდა სამარხის მონთვისათვის. მაგრამ არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ ისიც, რომ კონსტანტინოპოლის პრესვიტერი ევსტათი, რომელსაც, როგორც იერონიმე ამბობს, დავალებული ჰქონდა იმპერატორისაგან ხარჯების დაუზოგავად მოხმარება მაცხოვრის წამებისა და სიკვდილის ადგილას ტაძრის შენებისას, უკეთესს იზამდა, თუ სამარხის შიდა ნაწილს არ შეეხოდა, და ორივე ოთახს პირვანდელი სახით დატოვებდა. წმინდა საფლავის უბრალო მონაცრისფრო ქვა თავისი სიშიშველით არანაკლებ შთამბეჭდავი იქნებოდა ქრისტიანული გრძნობისათვის, ვიდრე ამჟამინდელი მომრგვალო ფორმის ქვეშ მოქცეული ოქროთი და მარმარლოთი მოპირკეთებული აკლდამა.

კლდიდან გამოცალკავებული და საკმაოდ დაპატარავებული საფლავის მღვთმე მთლიანად მოექცა მრგვალ სამლოცველოში, რომელსაც გარს არტყია თორმეტი სვეტი, მოციქულთა რიცხვის შესაბამისად. კონსტანტინეს ბაზილიკაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის მიუნენის ბაგარიის ნაციონალურ მუზეუმში დაცული სხილოს ძვლისგან შესრულებული რელიეფი, რომელზეც გამოსახულია უფლის სამარხის ხედი მაცხოვრის აღდგომის შემდგომ.

ხემათ აღნიშნული ტაძრების გარდა წმ. ელენემ ააგებინა ტაძარი ელენის მთაზეც, უფლის ამაღლების ადგილას, რითაც ეს ადგილი აღნიშნა, როგორც მაცხოვრის ცხოვრების შესახებ მოკრძალებული მოგონებების ცენტრი. წმ. ელენეს მიერ აღმართული ძეგლი უფლის ამაღლების ადგილზე წარმოადგენდა მოძვრო, მრგვალ ნაგებობას ღია გუმბათით. სალოცავის ცენტრში იყო ღოღი ადამიანის ტერფის ანაბეჭდით, რომელიც, იერონიმეს თანახმად, მიმართული იყო ad orientem, unde oritur sol justitiae.³¹

წმ. კონსტანტინესა და ელენეს მოწიწებას წმინდა ადგილების მიმართ მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. ქრისტიანული სამყაროს ყოვე-

31 ლათინური: აღმოსავლეთით, საითაც იხილვების მზე სამართლისა (რედ. შენ.).

ლი კუთხიდან დაიძრნენ ქრისტიანები იერუსალიმის წმინდა ადგილების თაყვანსაცემად. იმპერატორმა იულიანემ სცადა, იერუსალიმი კვლავ იუდეველთა წმინდა ქალაქად ექცია, ამისთვის მან მორიას მთაზე ტაძარიც ააშენა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. იერუსალიმი ყოველად ქრისტიანულ ქალაქად დარჩა.

ცნობილ ბილიგრიმთა შორის, რომელთაც მე-4-6 საუკუნეებში იმოგზაურეს იერუსალიმში და აქ დიდი ქველმოქმედება გასწიეს, უნდა გავიხსენოთ დედოფალი ევდოკია, რომელმაც აქ მრავალი ტაძარი მოაწყო (მათ შორის წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელობისა), აგრეთვე – რომაელი ქალბატონები: მელანია, პავლა და სხვ. ასევე, იერონიმე და რუფინუსი. მელანიას ქველმოქმედების შესახებ პალადიუსი ასე ამბობს: „და რაოდენი სიმდიდრე გასცა მან ღარიბებზე! ცეცხლის ალებიც ვერ შეძლებდნენ ამოდენა განძის დაფერფვლას.“ სხვათა შორის, მან ელეონის მთაზე ააგო მონასტერი ორმოცდაათი ქალწულისთვის.

ამ მთის მთელი დასავლეთი მხარის, იერუსალიმისკენ მიმართული, ფერდობი მე-4-5 საუკუნეებში მოფენილი იყო მღვთიშობითა და ძველი აკლდამებით, რომლებშიც ცხოვრობდნენ განდევნილები. ნეტარი იერონიმეს მოწმობით, განდევნილები ღოცვასა და უმწიკვლო ცხოვრებასთან ერთად დაკავებულნი იყვნენ უძველეს თხზულებათა გადაწერით. სხვათა შორის, რუფინუსმა სწორედ აქ შეადგინა „წმინდა მამათა ცხოვრება“, მე-5 საუკუნის მეუდაბნოეთა ყოფის ამსახველი შესანიშნავი ძეგლი.

ბილიგრიმების მომრავლებამ იერუსალიმში სასიკეთო ნაყოფი გამოიღო. ერთი, რომ ქალაქის მოსახლეობა მომრავლდა და მისი ქუჩები სულ უფრო ვიწროვდებოდა. ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის იერუსალიმში გადაადგილების საშუალება ეტლი იყო, მაგრამ მე-6 საუკუნიდან მას საწოგადობის მაღალი ფენისთვის ცვლის ტახტრეგანი, ხოლო ყველა დანარჩენი ფენისათვის – ცხენი. იოანე მოსხთან (თავი 33-ე) ვკითხულობთ: ერთხელ პატრიარქ თეოდორეს ტახტრეგანით მიაბრძანებდნენ იერუსალიმის ქუჩებში, როცა მან გამცილებელ პრესვიტერს შესთავაზა, გაეცვალა მისთვის ადგილი. პასუხად კი მიუღია: პრესვიტერს არ შეშვენის ტახტრეგანში ჯდომა, როგორც პატრიარქს – ცხენზე ამხედრებაო. ბილიგრიმთა სიმრავლის მეორე შედეგი ის გახლდათ, რომ იერუსალიმის საეპისკოპოსოსი საპატრიარქო კათედრის მნიშვნელობა მიიღო.

ბილიგრიმების მომრავლებას ცუდი მხარეც ჰქონდა. უპირველესად ის უნდა აღინიშნოს, რომ მათ თან მიჰქონდათ ადგილობრივი უდიდესი სიწმინდეები. მაცხოვრის ჯვარი მისი მოპოვების შემდეგ პატარა ნაწილებად დააქუცმაცეს და სხვადასხვა ქვეყანაში წაიღეს, იერუსალიმში მხოლოდ

მისი მცირე ნაწილია დარჩა. ასევე, ესპანეთში გემით გაიტანეს კორჭვა მიწა „სისხლის სოფელიდან.“ ხოლო რომში წაიღეს კიბე, რომლითაც მაცხოვარი შევიდა პილატუს სამსჯავროზე; გატანილი იქნა მრავალი სხვა სიწმინდეც.

ასევე ზოგიერთი ცუდი შედეგი მოიტანა იერუსალიმში დიდი მასშტაბებით განხორციელებულმა ქველმოქმედებამაც. ქალაქს მოაწყდნენ უსაქმურები, რომელთაც ქველმოქმედთა ხარჯზე დაიწყეს ცხოვრება. გაუნათლებელ, უსაქმურ, რელიგიისადმი ფანატიკურად განწყობილ პალესტინის ბრბოსაც ხშირად არ ერიდებოდა, დიად გამოეხატა აღშფოთება. აი, იერუსალიმიდან იმპერატორის სახელზე მე-ნ საუკუნეში გაგზავნილი ერთ-ერთი ეპისტოლე, რომელიც ცხადად ახასიათებს იქ არსებულ რელიგიურ ვითარებას. „გვაოცებს, რომ შენ, წმინდა რწმენაში გაზრდილი, დაუშვი შენს სამფლობელოში ასეთი ქარიშხალი ეკლესიების დედის, ადღვომის ტაძრის წინააღმდეგ, რაც მთელი სამყაროს თავშესაფარია. აი, მისი ეპისკოპოსი, მღვმდელმსახურები, ბერები იდეგნებიან წარმართების, ებრაელების, სამარიტელების თვალწინ უწმინდურსა და უკურთხებელ ადგილებში. მათგან სულმოკლეები საცთურად ექცევიან ყოველი მხრიდან სულის გადასარჩენად მოსულ თაყვანისმცემლებს, რომლებიც ახლა ძრწოლით ბრუნდებიან უკან. ნუთუ სარწმუნოების აღმსარებლობის გამო ესმიან თავს ამ წმინდა ქალაქ იერუსალიმს, რომელიც არის სამყაროს თვალის ჩინი და მნათობი?! წინასწარმეტყველთა მიხედვით, სიონიდან გამოვა კანონი და სიტყვა ღვთისა – იერუსალიმიდან. განა ამ წმინდა ქალაქის მცხოვრებლები არ ხედავენ საკუთარი თვალთ და ბაგეებით არ ეამბორებიან ამ საღვთო საიდუმლოებების მოვლენებით განათებულ ადგილებს?! მაშ, როგორ მოხდა, რომ ქრისტეს დაბადებიდან 500 წლის შემდეგ კიდევ ჩვენ უნდა გვასწავლონ ჩვენი სარწმუნოება? განა სახე-სიტყვით, როგორადაც სურთ მისი გადაკეთება, შეიძლება მოდიოდეს უფალ იესოსგან? ... გვეუდრებით, კეთილისმყოფელო, შეიწყალოთ სიონი, დედა ყველა ეკლესიისა და შენი სამფლობელოს მფარველი. ჩვენ ყველა ერთი აზრისანი ვართ ოთხივე მსოფლიო კრების მიღებაში. ამ განცხადების შემდეგ ჩვენ კიდევ ვეუდრებით თქვენს ბრწყინვალეებას, შეწყდეს წმინდა ქალაქისა და წმ. არქიეპისკოპოს იოანეს დეგნა, რადგანაც ჩვენი სარწმუნოების მტრები, კეთილისინდისიერების ნიღაბს ამოფარებულები, სჩადიან ყოველივე სისასტიკეს. ვადასტურებთ შენი დიდებულების წინაშე, ისევე როგორც ღმერთისა და მისი ანგელოზებისა, რომ არ შეგვიძლია დავეთანხმეთ რაიმე სიახლეს რწმენის საკითხებში. სჯობს, დაიდვაროს ჩვენი სისხლი წმინდა ადგილებს შორის..., სახელის სიწმინდეში

რადღა დარჩა, თუ თავად შებღალულია“ ...

კონსტანტინე დიდის შემდეგ იერუსალიმის გარეგნული კეთილდღეობა არც ისე დიდხანს გაგრძელებულა – სამასიოდე წელი. 614 წელს იერუსალიმი დაიპყრო და გააპარტახა სპარსეთის მეფე ხოსრომ. იერუსალიმის ქრისტიანებს საშინელი უბედურება დაატყდათ თავს არა მარტო სპარსელებისაგან, არამედ ებრაელებისაგანაც. ამ უკანასკნელთ სპარსელებისაგან 30 000 ტყვე ქრისტიანი გამოისყიდეს მხოლოდ იმისთვის, რომ ეწამებინათ. აღდგომის ტაძარი დანგრეულ იქნა; ჯვარი უფლისა გაუგზავნეს სპარსეთის მეფეს, მასვე გაუგზავნეს იერუსალიმის პატრიარქი წაქარია დიდძალ ხალხთან ერთად.

მტრის გაძევების შემდეგ თეოდოსის მონასტრის იღუმენმა მოდესტიმ აიღო თავის თავზე იერუსალიმის ეკლესიის საქმეთა მართვა. მარნავდა მკვდრებს, ზრუნავდა ღარიბებზე, აღადგენდა ეკლესიებსა და მონასტრებს. საყოველთაო სიღარიბემ სპარსელთაგან ქვეყნის გაპარტახების შემდეგ არ მისცა მოდესტის საშუალება, აღედგინა უფლის საფლავის ტაძარი იმავე ბრწყინვალე სახით, როგორც ის კონსტანტინე დიდის დროს იყო. ამიტომ იძულებული გახდა, აეშენებინა ცალ-ცალკე ოთხი ეკლესია. იესო ქრისტეს საფლავის მღვიმეზე ახლად აღიმართა მრგვალი ტაძარი, როგორც წმ. კონსტანტინეს დროს; შემდეგ ააშენეს ორი მცირე ზომის ტაძარი – გოლგოთასა და უფლის ჯვრის მოპოვების ადგილზე, და ბოლოს, მეოთხე – ღვთისმშობლის სახელზე ააგეს იქ, სადაც ამჟამად არის მირონცხების ქვა. წმ. მოდესტის მიერ აშენებულმა ტაძრებმა თითქმის ოთხასი წელი, 1009 წლამდე იარსება.

წმ. მოდესტის გარდა ამ გაჭირვების ჟამს იერუსალიმელებს დიდად ეხმარებოდა წმ. იოანე მოწყალე, ალექსანდრიის პატრიარქი. ის იერუსალიმში უხვ შესაწირავს აგზავნიდა, გამოისყიდდა ტყვეებს, იფარებდა საბრალო ხალხს, ეგვიპტეში რომ ეძებდნენ თავშესაფარს. თოთხმეტი წლის შემდეგ, 628 წელს მეფე ხოსრო დასნეულდა და მისმა უფროსმა ვაჟმა კავად II-მ ზავი დადო ბერძნებთან, დააბრუნა ყველა დატყვევებული ქრისტიანი იერუსალიმის პატრიარქ სოფრონთან ერთად, და ასევე – ცხოველმყოფელი ჯვარი უფლისა, რომელიც ჯერ კონსტანტინოპოლში გაიგზავნა და მომდევნო, 629 წელს ის იერუსალიმში თავად იმპერატორმა ირაკლიმ ჩააბრძანა.

მაგრამ სულ მალე იერუსალიმის ეკლესიას ყველაზე მძიმე ჟამი დაუდგა. მუჰამედის მესამე მემკვიდრემ, ხალიფა ომარმა, 636 წელს დაიპყრო პალესტინა და ოთხთვიანი ალყის შემდეგ აიღო იერუსალიმი. ქრისტიანებიცა და იუდეველებიც მძიმე უღლის ქვეშ აღმოჩნდნენ, რაც

ამჯერად ჯვაროსნების გამოჩენამდე, 1096 წლამდე გაგრძელდა.

ბაილქმი. ძველი აღთქმის ხანაში ბეთლემი პატარა, უმნიშვნელო ქალაქი იყო, მაგრამ შესანიშნავი, როგორც დავითის დაბადების ადგილი, რის გამოც ამ ქალაქს დავითის ქალაქს უწოდებდნენ. ბეთლემი იერუსალიმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სულ მცირე მანძილით, 8 კმ-ით იყო დაცილებული და მდებარეობდა მშვენიერ, ბორცვიანსა და ნაყოფსავსე ადგილზე. სახელი ბეთლემიც მას ამ ადგილმდებარეობისათვის ეწოდა – „ბეთლემი“ ებრაულად „ბურის სახლს“ ნიშნავს. ბეთლემში, ბურის სახლში, იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ზეცით გარდამოსული ღვთიური ბური. ის დაიბადა პირუტყვის სადგომ ბაგაში, მღვიმეში, სასტუმროს გვერდით. შესაძლოა, სწორედ ამ ადგილზე იდგა ბოლზის ან იესუს, დავითის მამის, სახლი. მღვიმე, რომელიც მაცხოვრის აკვანი შეიქნა, იმთავითვე ქრისტიანთა სიწმინდედ იქცა. არსებობს გადმოცემა, თუმცა ნაკლებად ცნობილი, რომ პირველ ქრისტიანებს ამ წმინდა ადგილზე ტაძარი ჰქონიათ და რომ ის ღვთიური ყრმის თაყვანსაცემად აღმოსავლეთიდან მოსულ სამთავროს აუგია. ქრისტიანობის პირველ ხანაში ბეთლემს თავს დაატყდა დიდი უბედურება – ჰეროდემ გაჟლიტა ბეთლემის ბავშვები. 70 წელს რომაელებმა დაანგრიეს ბეთლემი და ქალაქი თითქმის დაცარიელდა. თუმცა მე-2 საუკუნის დასაწყისში აქ ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ იუდეველები. ცნობილია, რომ რომის პაპი ევარესტი წრმოშობით ბეთლემელი იუდეველი იყო. მაგრამ იმპერატორმა ადრიანემ აუკრძალა იუდეველებს აქ დასახლება და ცხოვრება, უფრო მეტიც – ქალაქში შესვლაც კი აუკრძალა მათ. ამის შემდეგ ბეთლემში არც ერთი იუდეველი აღარ ცხოვრობდა. „რომელ მესიასდა ელოდებით ბეთლემიდან, მიმართავდა ტურტულიანე ამის გამო იუდეველებს, როდესაც ერთი ადამიანიც აღარ დარჩა ისრაელის თესლიდან ბეთლემში“. ადრიანემ იერუსალიმში ბაგინებით წაბილწა გოლგოთა და უფლის საფლავი, და ასევე მოექცა ბეთლემიც ქრისტეს შობის მღვიმეს. მისი ბრძანებით, აქ გააშენეს წარმართული ქალები და აღმართეს აღონისისა და ვენერას სამსხვერპლოები. ამის მიუხედავად მორწმუნეებს არ შეუწყვეტიათ მათთვის წმინდა ადგილის, უფლის შობის მღვიმის მოლოცვა. მეორე და მესამე საუკუნეების ქრისტიან მწერლებს, წმ. იუსტინე ფილოსოფოსსა და თრიგენეს, საკუთარი თვალთ უხილავთ ეს მღვიმე და თავიანთ ნაშრომებში მოწმობენ ამას. მაშინ ის ქალაქგარეთ, დია ადგილზე ყოფილა.

კონსტანტინე დიდის დროს მოციქულთასწორმა ელენე დედოფალმა ბაგის თავზე დიდმშვენიერი ტაძარი ააგო და ეს ბნელი და ცარიე-

ლი მღვთმე მუფურად მორთო. შორეული ქვეყნებიდან მოდიოდნენ ბეთლემში ქრისტიანები, მაგალითისთვის გავისხნოთ გრიგოლ ნოსელი. ნეტარი იერონიმე რამდენიმე ხანს ასკეტურად მოსაგრეობდა ბეთლემსა და მკვდარ ზღვას შუა უდაბნოში, შემდეგ ბეთლემში დასახლდა რომაელ მეგობრებთან ერთად. აქ მათ გამართეს მონასტერი და რამდენიმე სასტუმრო სახლი. ბეთლემში ამჟამადაც არის ერთი მთვრძო შენობა, რომელსაც ნეტარი იერონიმეს სკოლას უწოდებენ. ამ განსწავლული კაცის მოსასმენად იყრიდნენ აქ თავს განდევნილები და მეცნიერები. აქ, ბეთლემში, ორჯერ გადათარგმნა იერონიმემ ლათინურ ენაზე ძველი აღთქმა, ჯერ ბერძნულიდან, შემდეგ ებრაულიდან. აქვე, ბეთლემშია იერონიმეს აკლდამაც.

530 წელს იმპერატორმა იუსტინიანემ აღადგინა ბეთლემის კედლები და წმ. ელენეს მიერ ქრისტეშობის მღვთმეზე აგებული დიდი ტაძარი, რომელიც სილამაზით იერუსალიმის იმდროინდელ ყველა ეკლესიას აღემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გაუძარცვავთ, მისმა თავდაპირველმა კედლებმა და სვეტებმა ჩვენამდე მოაღწია. როგორც არქიტექტურული ძეგლი, ის უმნიშვნელოვანესია არა მარტო პალესტინაში, არამედ მთელს ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში და იმსახურებს, შესწავლილ იქნეს, როგორც ქრისტიანობის ადრინდელი ეპოქის უძველესი ტაძრის ერთადერთი ორიგინალი, ათასხუთასწლოვანი ისტორიით. ბეთლემის ქრისტესშობის ტაძარი შეიგნიდან წარმოადგენს ჯვარს, რომლის გრძელი, დასავლეთის ბოლო ამჟამად გამოყოფილია კედლით და წარმოადგენს ცარიელ გალერეას, რომელიც აღარაფრით ჰგავს ტაძარს. სიცარიელის მიუხედავად ნაგებობის მეფური სიდიადე მეტყველებს საკუთარ თავზე. მრავალი ელფერის პორფირით გაწყობილი, ოთხ მწკრივად განლაგებული ორმოცი სვეტი იჭერს ტაძრის მაღალ თაღებს. შემდგომში ტაძრის კედლები მოზაიკური ფერწერით დაფარეს. ეს ნახატები ასახავდა იესო ქრისტეს ჩამომავლობასა და ყველა მართლმადიდებლურ კრებას, როგორც მსოფლიო, ისე – ადგილობრივს. სამხრეთის კედელზე გამოსახული იყო იოსებ დამწინდველის შვიდი უკანასკნელი წინაპარი იმ რიგით, როგორც მათეს სახარებაშია ჩამოთვლილი: აზორი, სადოკი, აქიმი, ელიუდი, ელიაზარი, მატათანი და იაკობი. ისინი თავშიშველები, შარავანდით, გრძელი თმებითა და წვერით, ტუნუკითა და ბეჭებზე მოსმული მანტიით იყვნენ წარმოდგენილნი. წარწერებიდან ირკვევა, რომ ეს მოზაიკური სამოსელი, რომელიც ფარავდა ტაძრის მთელ კედელს, მე-12 საუკუნეში გაკეთებულა, როდესაც პალესტინას ჯვაროსნები განაგებდნენ, ბიზანტიის იმპერატორის, მანუელ კომნენოსის შემოწირულობითა და

ეფრემის, ბერისა და ისტორიოგრაფის, მუსიატორის (ანუ მონაიკის ოსტატის) ხელით.

ბეთლემის ნათელსა და მხიარულ, მსხმთიარე და ხალხმრავალ მიდამოს, გკითხულობთ ერთ აღწერაში, მიგყავართ მსოფლიოს მხსნელის შობის ქალაქისაკენ, და პირიქით, იერუსალიმის მოღუშულ კედლებს, შიმშველ კლდეებიან უსიცოცხლო უდაბნოს – ქრისტეს დეგნისა და წამების ქალაქისაკენ.

პალესტინის ბერმონაზონთა საგანგებო. პალესტინაში, და უმთავრესად იუდეაში, მე-4-დან მე-7 საუკუნემდე არსებობდა 130 სამონასტრო საგანგებო. უდაბნო, როგორც მოწმობენ ძველი მწერლები, დასახლებული იყო ათი ათასობით ანგელოზთა მსგავსი ადამიანით.

პალესტინაში მონაზვნობის პირველ ფუძემდებლებად ითვლებიან წმინდა ილარიონ დიდი და წმ. ხარიტონ აღმსარებელი. ისინი მონაზვნობდნენ ჯერ კიდევ დეგნის ეპოქის დროს, მე-3 საუკუნის დამლევებიდან. წმინდა ილარიონმა ფილისტიმელთა მიდამოში, ხმელთაშუა ზღვის მახლობლად, ქალაქ ღაზასთან დააარსა საგანგებო. ამ საგანგებოს კვალი დღეს აღარ არსებობს. წმინდა ხარიტონმა ორი საგანგებო დააარსა: ერთი ათკმ-ზე იერუსალიმიდან, იორდანის მიმართულებით, ფარანის ღაფრა, მეორე – მკგდარ ზღვასთან, უდაბნოში – სუეის ღაფრა. მე-12 საუკუნის რუსი მოძღვრებელი, ილუმენი დანიელი ასე აღწერს ამ ადგილს: „წმინდა ხარიტონის მონასტერი მდებარეობს ბეთლემის სამხრეთით, ხუთი კმ-ის მანძილზე, სოდომის ზღვის მახლობლად, დიდ უდაბნოში, საშიშ და უწყლო ადგილას, მთებს შორის“.

მე-5 საუკუნეში ცნობილი მოღვაწეები იყვნენ ეფთვიმე და თეოკრისტისტი.

ეკლესიის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წმ. საბას ღაფრასა და წმ. თეოდოსის, წარმოშობით კაპადოკიელის, კინოვიას.

წმ. საბას ღაფრა დაარსდა 483 წ-ს. „გლოვის ველზე“, დაქანებულ კლდეზე, კედრონის ველის გაგრძელებაზე, 12 კმ-ზე იერუსალიმიდან და ერთ საათზე ცოტა მეტი ხნის საგაღზე ბეთლემიდან, მკგდარი ზღვის მიმართულებით. ის მდებარეობდა კლდის ნაპრაღში, ყველაზე უდაბურ ადგილზე. იერუსალიმიდან ღაფრისაკენ მიმავალ გზას შემთხვევით როდი დაერქვა „მწუხარების ველი“, დადლილი თვალი აქ ვერაფერზე შეჩერდება, ნიადავი ცარცოვანია და თვალისთვის უსიამოვნოდ უფე-

რო, გაფარვარებული ჰაერი არ იძვრის; გარშემო სამარისებური სიჩუმე სუფევს. მაგრამ კიდევ უფრო სევდიანია საბას ხეობა. მას „ცეცხლის მდინარეს“ უწოდებდნენ, რადგანაც ვულკანურმა ძვრებმა წარმოქმნა; მიწა გასკდა და გაჩნდა ველური ხეობა დაქანებული ნაპირებით, მკვდარ ზღვამდე რომ გრძელდება. ამ მიწის ნაპრაღის დაკიდებულ კედლებზე მოჩანს მღვიმეები და ხვრელები, ეს არის კურთხეული მეუდაბნოს მამდევარი ურიცხვი მოსაგრის სენაკები. „მწუხარების ველის“ მრავალ სენაკთა შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იოანე მღუმარის, ღირსი ქსენოფონტესა და მისი სულიერი შვილების, იოანესა და არკადის, მღვიმეები, ხოლო უმთავრესია წმინდა საბას მღვიმე საგანის აღმოსაგლეთ, ე.ი. მოპირდაპირე მხარეზე, სადაც ის თავდაპირველად დასახლდა ანგელოზის მითითებით. აქედან ყველაზე საუკეთესო ხედი იშლებოდა საგანეზე.

საგანე მდებარეობდა ფერდობზე, 120 მ. სიმაღლეზე ხევს ფსკერიდან. ძნელია, ზუსტად აღუწერო საბაწმინდის საგანე მას, ვინც იქ არ ყოფილა და არ უხილავს ციცაბო კლდეზე შეფენილი, მერცხლის ბუდეებით ჩამოკიდებული სენაკები. მნახველს უხდება კბიებით ერთი იარუსიდან მეორეზე გადასვლა, ხან ძირს, ხანაც ზემოთ სვლა, სადაც სიღრმეებში მოჩანს სენაკები, ზოგი ქვებით შეკრული, ზოგიც – კლდეში გამოკვეთილი. ეს კლდის სენაკები ზაფხულის ცხელ დღეებში ღუმელივით ხურდება და განდევნის იძულებულიები არიან, წყლით მორწყან ისინი, თუ სადმე მთიბივეს. წმინდა საბას საგანეში თავდაპირველად საერთოდ არ იყო წყალი და მის მოსატანად მონასტრიდან 15 სტადიონით დაცილებულ წყაროზე მიდიოდნენ. უწყლობა ძალიან შემაწუხებელი იყო აუტანელი სიცხის დროს. მაგრამ შემდგომში წმ. საბამ სასწაულით იბოვა კლდის ძირში, ერთ მღვიმეში წყალუხვი წყარო. ახლამოწყობილ საგანეში წმ. საბამ სიცოცხლის ორმოცდაათი წელი გაატარა, ორჯერ იქნა დევნილი თავისივე ბერების მიერ. მან ამ საგანეს მახლობლად კიდევ შვიდი ახალი ლავრა და კინოვია დააარსა, ებრძოდა მწვალებლობებს, რომელიც იმჟამად ძლიერ აღელვებდა ღვთის ეკლესიას. მისი წყალობით ამ განმარტოებულმა ადგილმა მალე მოიხვეჭა დიდი სახელი და მთის უსიცოცხლო ქვაბულების მთელი ეს სივრცე ბეთლემიდან მკვდარ ზღვამდე, სადაც ნადირიც კი არ ბინადრობდა, დასახლდა მოღვაწეთა კრებულთ. იმპერატორმა იუსტინიანემ როდესაც შეიტყო წმ. საბას საქმიანობის შესახებ, შემოწმებდა საგანე კედლებითა და კოშკებით. მანვე ააშენა საგანის მთავარი ტაძარი, რომელიც შემდგომში, იოანე კანტაკუზენის დროს იქნა რესტავრირებული.

წმინდა საბას საგანუ ბირველად სპარსეთის მეფე ხოსროს შემოსევის დროს დაინგრა. მაგრამ აღადგინა ირაკლი კეისარმა. დარბეჯების დროს ბერებს დიდი უბედურება ატყდებოდათ თავს. მაგალითად, ხოსროს დროს, 614 წ-ს. საგანეში შემოჭრილმა სპარსებმა აწამეს ბერები, ეგონათ, ისინი დიდ განძს მაღაფდნენ, და რომ ვერაფერი იპოვეს, ორმოცდაათს ბერს ერთმანეთის მიყოლებით მოკვეთეს თავი, ერთსა და იმავე ქვაზე, მათი სენაკები კი გაძარცვეს და დაღვეწეს. მოგვიანებით, იღუმენი ბასილის დროს, 792 წ-ს. არაბებმა ასევე საგანძურის მოთხოვნით წამებით მოკლეს ოცი ბერი.

საბაწმინდის საგანუ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, როგორც საღვთისმეტყველო განათლების ცენტრი. საბას მონასტერში ჭკუშმარიტ სიწმინდეს გვერდში ედგა ჭკუშმარიტი მეცნიერება. აქ დღესაც უჩვენებენ კირილე სკვითობოლელოს, წმინდა მამათა ცხოვრების აღმწერელის, სენაკს. აქ მეცნიერმა ბერმა ანტიოქემ შეადგინა მრავალი შრომა წმინდა წერილის განმარტებით. აქ სახელოვნად მოღვაწეობდნენ მგალობლები კოზმა, იოანე დამასკელის მეგობარი, შემდგომში მათუძის ეპისკოპოსი, და სტეფანე. აქ, კურთხეული საბას კალთის ქვეშ მოიყარა თავი წმინდა მამათა გუნდმა — იაკობ საჭურისი, ანთიმოზი, აფროდიისი, ფლასი, გელასი, კირიაკე, ათანასე, კალინიკე, ლეონტი მწერალი, იოანე, იონა, სერგი, პატრიკოსი და ანასტასი — სარკინოზთაგან წამებულები, მიქაელ შავადმოსილი, თეოდორე ბირდაწერილი, თეოფანე აღმსარებელი და თეოდორე, ედესის ეპისკოპოსი. და ეს მხოლოდ ყველაზე ცნობილთა სახელებია, რომელთა ნაღვაწსაც მათ სახელებთან ერთად ჩვენამდე მოუღწევია. მაგრამ წმ. საბას ლაგრის განმადიდებელ წმინდანთა კრებულს შორის მისი დამაარსებლის შემდეგ ყველაზე ცნობილია წმ. იოანე დამასკელის სახელი.

იოანე, დამასკოელი დიდებული, საბა განწმინდილის გარდაცვალებიდან ორასი წლის შემდეგ ცხოვრობდა. იმჟამად ქვეყნის მდგომარეობა შეცვლილიყო, პალესტინა აღარ ყვაოდა, არამედ გაპარტახებული, ურჯულთ არაბების უღელქვეშ აღმოჩნდა. ორმოცდაათი წლის იოანე დამასკელმა, უკვე ცნობილმა მართლმადიდებლობის ქიმაგმა და ხატმბრძოლთა მოწინაღმდეგემ, მიაშურა საბაწმინდის ლაგრას, პალესტინაში მოქმედ ერთადერთი მონასტერს. წმ. იოანე წადიერად დაემორჩილა ლაგრის წესდებას, რომლის თანახმადაც ყოველი ახალმოსული ჯერ გამოსაცდელად სულიერ ცხოვრებაში გამობრძმედილი ბრძენკაცის ზედამხედველობის ქვეშ უნდა დამდგარიყო. წმ. იოანეს მოძღვარმა მას უბირველესად აუკრძალა წერილების, თხზულებათა და საგალობელთა

წერა, მეცნიერულ საკითხებზე კამათიც კი, ერთი სიტყვით, ყოველგვარი სამეცნიერო საქმიანობისაგან განაყენა. მაგრამ ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ წმ. იოანეს მიუცა თავისუფლად და დაუბრკოლებლად წერის უფლება. ცალკე კელიაში იცხოვრა მან კიდევ თითქმის ნახევარი საუკუნე, ჩამთავალბა ღვთისმეტყველების დოგმატური ნაწილი და შექმნა ღვთიური გალობანი. ამიტომაც ეკლესია ნეტარად რაცხს მას, როგორც კეთილგონიერებისა და სიწმინდის მოძღვარს, მართლმადიდებლობის მასწავლებელს, მსოფლიო მნათობს, სულიერ ნესტვს, რომელმაც სწორი დოგმატებით დაამარცხა მანესის მიმდევრების, ნესტორიანელთა განწვალების, სევერუსის შერწყმის გმობანი და თვითნებური უგუნურება“. პირველმა რუსმა მომლოცველმა მწერალმა, იღუმენმა დანიელმა, 1106 წელს საბას სავანეში იხილა იოანე დამასკელის წმინდა ნაწილები, რომლებიც მოგვიანებით კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს.

ღირსი თეოდოსის კანთვია. ღირსი თეოდოსი, წმინდა საბას მეგობარი და თანამმარნეველი (რომელმაც მისი გარდაიცვალების შემდგომ სამი წელი იცოცხლა), წარმოშობით კაპადოკიიდან იყო. სულის ხსნისათვის მოშურნეობით, თეოდოსიმ გადაწყვიტა წმინდა ადგილების მონახულება; ანტიოქიაზე გაგლისას მან მონახულა სვიმეონ მესვეტე. იერუსალიმში თეოდოსი ეწვია იუბენალის საბატრიარქოს 450 წელს და დასახლდა ერთ მთაზე, ჩრდილო-დასავლეთით, ბეთლემისკენ მიმავალ გზასთან, იმ მღვიმეში, სადაც, ძველი გადმოცემით, დამე გაუთეგიათ ჩვილი იესოს თაყვანსაცემად აღმოსავლეთიდან წამოსულ სამ მოგვს უკან დაბრუნებისას. აი, აქ დააარსა მან თავისი სავანე, რომელიც საგსებით განსწავდებდა წმ. საბას ლაგრისაგან, დაწყებული ადგილმდებარეობით. წმ. საბას სავანე იყო პირქუშ ხეობაში, თეოდოსისა – პირიქით, მაღალ ადგილზე, საიდანაც იშლებოდა ვრცელი ხედი, ერთი მხრივ ბეთლემამდე, მეორე მხრივ კი იორდანის გაღმა მთებამდე. თუკი წმ. საბას სავანეში შემოდებული იყო ცხოვრების მკაცრი წესი და ყვაოდა განათლება, თეოდოსის სავანის მთავარი მიზანი იყო ქველმოქმედება. ყოველი მხრიდან მოსულ ადამიანებს თეოდოსი ხვდებოდა დიდი სიყვარულით, მოწყალებით, მასპინძლობდა და უხვად ასაჩუქრებდა მათ. ყოფილა შემთხვევები, როცა სამონასტრო ტრაპეზი ას კაცზე გაუშლიათ სტუმრად მყოფი მომლოცველებისა და ღატაკებისთვის. წმინდანმა სავანესთან ააშენა თავშესაფრები და სააგადმყოფოები: ერთი – ბერებისთვის, ერთი – საერთოათვის და ერთიც – დიდებულებისა და უხუცესებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ უბედურების ჟამს, ხოსროს შემოსევის დროს და იერუსალიმის

დანგრევის შემდგომ, თეოდოსის საგანის იდუმალება აღადგინა იერუსალიმი. თეოდოსის საგანეში თავმოყრილი ძმობა სხვადასხვა ტომისა და მოდგმისა იყო. ამიტომაც მან ააშენა რამდენიმე ეკლესია, რათა ყოველ ერს შეძლებოდა ღმერთის დიდება მშობლიურ ენაზე: ბერძნებს, ქართველებს, სომხებს. თეოდოსის საგანის სულიერ შვილთა რაოდენობა ექვსას ოთხმოცდაცამეტს უდრიდა.

მართალია, ღარიბულად, მაგრამ წმ. თეოდოსის საგანემ მე-15 საუკუნემდე იარსება. ამის შემდეგ ის დაცარიელდა და ნანგრევებსღა წარმოადგენდა.

ეს ორივე, წმ. საბასა და წმ. თეოდოსის, საგანე, თითქოსდა ზეციური განგებით, ერთმანეთის გვერდი-გვერდ იყო, ნათელ მტკიცებად იმისა, რომ ორივე გზას შეუძლია ადამიანის ცხონებამდე მიყვანა.

იღუმეა. იუდეის ოლქის სამხრეთი ნაწილი ეკავა იდუმეას. ეს მხარე დასახლებული იყო იდუმიელებითა და ედომელებით, ესაგის მოდგმით, რომლებიც ადრე მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და ბაბილონის ტყვეობის დროს დამკვიდრდნენ იუდეის სამხრეთ ნაწილში. იუდეის ხალხის ერთ-ერთმა ბელადმა ჰირკანმა 135-106 წ-ს. ქრისტეს დაბადებამდე დაიპყრო იდუმეა. მოსახლეობას იძულებით გაუკეთა წინადაცგეთა, მიაღებინა მოსეს კანონი და სამუდამოდ მიუერთა იდუმეა იუდეას.

ჰეროდეს გვარი, რომელიც გაბატონებული იყო იუდეაში მაცხოვრის დროს, წარმოშობით იდუმეადან მოდიოდა, ჰეროდე ანტიპას მამა წარჩინებული იდუმიელი გახლდათ.

ზემთთ აღწერილ ქალაქთა გარდა პირველი პალესტინის პროვინციაში კიდევ ოცზე მეტი ქალქი იყო, რომლებსაც მე-4-6 საუკუნეებში ეპისკოპოსები ჰყავდათ, კერძოდ: დორა, ანტიპატრიდა, იამნია, სოზუზა, ღადარა, რაფია, სერიფეა, ანტედონი, ელეგთეროპოლისი, დიოკლეტიანოპოლისი, იერიქონი, ლიბია, სიკამაზონი, აზოტა, გერარა, პეტრა, მენთადა, ბეთელი, ზებულონი, არქელაიდა.

მესამე კალმსტინა

ეს პროგნოზია წარმოადგენდა უდაბურ ადგილს იდუმალიდან სინას მთამდე და ცნობილი იყო პეტრეს არაბეთის სახელწოდებით. ამ ადგილ-მა მესამე პალესტინის სახელი მიიღო ტრაიანის დროს. მე-4-8 საუკუნეებში აქ რამოდენიმე ქალაქს გააჩნდა საეპისკოპოსო კათედრა: პეტრა, არინდელა, არადი, ხარაკომბა, არეოპოლისი, ელუზა, ზოარა (სიგორი), ფედონი, ფარანი, ელია (სხვაგვარად ელაფი), მეტროკომია ანუ ბაკოფი, პარემბოლა (ე.ი. ბანაკი) და მედაბა.

როგორც ჩანს, სინამდვილე არის ძველი მწერლების გადმოცემა, რომ მოციქულთასწორის კონსტანტინეს დროიდან ჰერაკლე კეისრის დრომდე ქრისტეს დღესასწაულის დღეს ეკლესიის ზარების რეკვა განუწყვეტელ ჯაჭვად გადადიოდა ანტიოქიიდან სინას მთამდე, 800 კმ-ზე მეტ მანძილზე.

მესამე პალესტინის უდაბური და შორული პროგნოზის ეკლესიურ ცნოვრებაში არავითარ განსაკუთრებულ მოვლენას არ ჰქონია ადგილი. საეკლესიო-ისტორიული თვალსაზრისით მხოლოდ სინას მთა არის მნიშვნელოვანი.

ფარანი და სინას მთა. ფარანის უდაბნო, რომელზეც გადაიარეს ებრაელებმა აღთქმული ქვეყანისაკენ მიმავალ გზაზე, დასახლებული იყო ყამალებით. ალბათ, მათი დაარსებული იყო ქალაქი ფარანიც. იგი ელაფიდან (ქალაქი და ნავსადგური არაბეთის სრუტეში) სამი დღის საგაღწევი იყო დაცილებული. ასე აღწერს ამ ქალაქს მისი უსამდგელოესობა პორფირი (უსპენსკი): „გზა ფარანის ბაღებს შორის კეკლუცია. დადინარ და ტკბები მწვანე ხეების სინახასითა და გრანიტის მწვერვალების სილამაზითა და ნაირგვარობით. ბაღების მიღმა უკვე სულ სხვა სასიამოვნო სანახაობა წარმოადგება: ფარანის ველი ფართოვდება და გადადის წიწვოვან ტყეში; შესანიშნავი იალღუნები (*tamarix manifera*), იგივე მანანა, იზრდება მაღლა, ტოტებგაშლილი, ხშირ კორომებად და შორს მიწაზე ვართხმულა მათი მძლავრი ფესვები, რომელთაგან ნორჩი ამონაყარი წამოზრდილა. ზოგან შექმდროებით დგანან ხეები და ჩრდილსაგსე ხეივანებს ქმნიან, ზოგან კი, როგორც ხელოვნურ ბაღებში, მათ შორის პატარა მდელოები ანათებს. მთის ძირი დაფარულია ბალახით, თითქოს მწვანე ლენტებით მოუქარგავთო. ველის შუაგულში იკლაკნება წამთრის ნიადვარი, ხან ღრმა, ხან თხელი, ხან სილოვანი,

ხანაც რიყიანი. ჩანს, რომ აქ კოკისპირული წვიმები იცის. ვინმეს რომ საკმარისი თანხა გაეღო ფარანის ბაღების მოსავლელად და აქ ცისტერნიები მოეწყო, ეს ადგილი ედემად გადაიქცეოდა. ფარანის ველის ნაყოფიერება, ხანგამოშვებითი უხვი წვიმები და წითელი ზღვის სიახლოვე გასაგებს ხდის, თუ რატომ ააშენეს ეს ქალაქი ყაძალეკებმა და რატომ იყო აქ მჭიდრო დასახლება“. ფარანში ცხოვრობდნენ არაბეთის მმართველები, რამდენადმე დაქვემდებარებული რომის იმპერატორს. ქვეყანას ხშირად ესმოდნენ სარკინოზები. საეპისკოპოსო კათედრა აქ ჯერ კიდევ დიოკლეტიანეს დროს არსებობდა. მოგვიანებით კი, იუსტინიანეს დროს, ფარანის ეკლესიას სინას ეპისკოპოსი მართავდა. თუმცა სინას კათედრა იერუსალიმის საპატრიარქოში იმ ოცდახუთ საარქიეპისკოპოსოს მიეკუთვნებოდა, რომელთაც დაქვემდებარებული საეპისკოპოსოები არ გააჩნდა.

სინას მონასტერი მდებარეობდა ქორებისა და სინას მთების სიახლოვეს. მისი უსამდგდელოესობა პორფირი მოგვითხრობს: „თვალში უწვდომელ სიღის ზღვაში ჩემს წინაშე კედელივით აზიდულა ცად ვკუბერთელა ქარაფებიანი, კლდოვანი კუნძული. მისი ძირი ფართო და მტკიცეა, ზემოთ თანდათან ვიწროვდება, ხოლო ზუსტად სამად დაყოფილი თხემი დაკბილულია, გულმკერდი და გვერდები ციცაბოდ დაქანებული, შუა ნაწილი ცოტა წინ არის გამოშვერილი, დანარჩენები უკან გადაწეულან. დამაბრმავებელი შუქი ეფინება ამ ღვთის მთას და ვარდისფერ სხეულს ოქროსფრად უელვარებს. მის თავზე კი ლაჟვარდი ცაა. ოდესღაც ამ ციდან ისმინა განთავისუფლებულმა ისრაელმა ღვთის სიტყვა, ღვთის წმინდა რჯული და მთა იყო კვარცხლბუკი ძველი კანონმდებლისა“. მსგავსადვე აღწერს მოძღვარი სინას მთასაც: „სინა საოცრად დიდებულია. პირამიდისაგან განცალკევებით მდგარი და ცისკენ აზიდული, ღირსად მეჩვენა, იედოვას კვარცხლბუკი ყოფილიყო. მისი კუთხოვანი გვერდები ზემოდან ქვემოთ ისე ეშვება, თითქოს ელვის ტუხილები გაქვავებულათ. ეს ხაზები და ნაპრალები, ასევე მისი ნარუჯი ფერი ალაგ-ალაგ ქვავის პურის ქერქს დამსგავსებია. ნათლად წარმომიდგა ის გრგვინვა, ელვა, ცეცხლის სვეტი და მთების ზანზარი, თან რომ ახლდა ისრაელი ხალხისათვის ათი მცნების ღვთისგან ბოძებას“.

სინას მონასტერი 527 წ-ს. იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით ააშენეს და კედლებით გაამაგრეს, სახელმწიფო ხარჯით. მის მახლობლად დუნაის ნაპირებიდან და ეგვიპტიდან ორასი ოჯახი დაასახლეს მონასტრის ყმებად; ისინი იცავდნენ და ემსახურებოდნენ მას. ამას მოწმობს წარწერა მონასტრის დასავლეთის კედლის კარების თავზე: „ეს

სინას მთის წმინდა მონასტერი, სადაც ღმერთი ესაუბრებოდა მოსეს, აღმართულია თავმდაბალი რომაელი მეფის, იუსტინიანეს მიერ, მისი და მისი მეუღლის თეოდორას საუკუნო ხსენებისათვის და მშენებლობა დასრულდა მისი მეფობის 30 წლის თავზე. ხოლო იღუმენად იუსტინიანემ დააყენა დულუ; ეს მოხდა ადამის დროიდან 6021, ანუ ქრისტეს დაბადებიდან 557 წელს“.

რადგან სენაკების არსებობის ნიშნებს ვერ მიაგნო, მისი უსამღვდელოესობა პორფირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სენაკებს საერთოდ არ აშენებდნენ „მაშინდელი ძველი მამები“, არამედ ძველი წესით ცხოვრობდნენ მთის მღვიმეებში, ნაპრალებში და მხოლოდ შაბათობით იყრიდნენ თავს ტაძარში და კვირის წირვის შემდეგ უბრუნდებოდნენ მდუმარებას თავიანთ სამყოფელში. შესაძლებელია, ძველი ეკლესიის გვერდითი ეკვდრები ასრულებდნენ საკრებულო დარბაზის (exedai) როლს. ხოლო ებისკოპოსი და მკითხველი კოშკში ცხოვრობდნენ.

სინას მონასტრის მოსაგრეთა და წინამძღვართა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა იოანე კიბისადმწერელი, „სულიერი კიბის“ ავტორი. მისი უსამღვდელოესობა პორფირი ასე აღწერს წმ. იონეს მოღვაწეობის ადგილს: „კიბისადმწერლის სამყოფელის მყუდროება გასაოცარია, ის უფრო საფლავის ძეგლს ჰგავს, ვეებერთელა ლოდებშიყრილს, ვიდრე ადამიანის საცხოვრისს... ეს არის ბუნებრივი მღვიმე მთებში, დიდი და პატარა ქვების გროვებით სავსე, ოდესღაც რომ დაგორებულან სუმრას სიმაღლიდან და შეჩერებულან აქ, რათა თავი შეეფარებინა მეუდაბნოეს. ამ ქვის ნაყარიდან საში კედელია ამოყვანილი, ორი სარკმლით. დირსი იოანეს სამყოფელი პირველ, ანტონი დიდის პარეხზე ცოტათი და დიდა, მის შუაში გამართულად დგომა შეიძლება, მაგრამ გვერდით დაქანებულ სიღრმეში მხოლოდ ოთხადმოკეცილი თუ შეადწევ. იქ არაფერია ერთი პატარა, კედელში გამოკვეთილი ნიშის გარდა, სადაც წმინდანი, ალბათ, აწყობდა წმინდა წერილისა და თავის თხზულებათა გრაგნილებს. მსგავსი ნიშა ჰქონდა ანტონი დიდსაც. დიდხანს ვიდრე სინას სავანის კურთხეული იღუმენის ღვაწლის ადგილზე და მიკვირდა მისი თავგანწირვა, მოთმინება, თავშეკავება, მდუმარება და ღმერთში ჩაძირვა. განსაკუთრებული მიდრეკილებაა საჭირო ამგვარი ჭვრეტითი ცხოვრებისათვის, ადამიანის უდიდესი შინაგანი სიმტკიცე და მადლის მრავალი ნიჭი და ნუგეშისცემა, რათა ამ პირქვე ქვაბულში რამოდენიმე წელი ისე დაჰყოს, როგორც სამოთხის ნათელში“.

საერთოდ, პალესტინის ყველა გადარჩენილი მონასტერი, როგორც აღწერით ვხედავთ, საკმაოდ ერთნაირად იყო აგებული – ზღუდედ გარს

ერთკა კომპეტით დამშვენებული კედელი. ეზოს შუაგულში აღმართული იყო მთავარი ტაძარი, ხოლო კედლების გასწვრივ გაყოლებული იყო სენაკები და სხვა სამონასტრო ნაგებობები, ჩვეულებრივ, თრ ან სამიარუსიანი მიწისქვეშა სარდაფებით. მონასტრის კარიბჭესთან აღმართული იყო საგუმავო კომპი, რათა მონასტერი დაცული ყოფილიყო ნადირთა უეცარი თავდხმებისგან.

სინას მთის ეკლესიის ისტორია შემდეგია: მე-3 საუკუნეში, დეციოსის დევნის დროს, აქ ეგვიპტის ოლქებიდან გადმოსახლდნენ ქრისტიანები. მე-4 საუკუნეში სინაზე ალექსანდრიიდან დიდმოწამე ეკატერინეს წმინდა ნაწილები გადმოასვენეს და დაარსდა განდევილთა საფანე. მე-6 საუკუნეში, როდესაც იუსტინიანემ საფანეს ზღუდე შემთავლო, სინას იდუმენი აკურთხეს ეპისკოპოსად.



ალექსანდრიის საპატრიარქო

ალექსანდრიის პატრიარქს ექვემდებარებოდა მთელი ეგვიპტე¹, ლიბია და პენტაპოლისი.

გადმოცემით, ეგვიპტეში ქრისტიანობა თავდაპირველად მარკოზ მოციქულს გაუვრცელებია. ეგვიპტის ქრისტიანული ეკლესია პირველ საუკუნეში გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ამის მიზეზად მიიჩნევენ ალექსანდრიისა და პალესტინის იუდეველთა შორის მტრულ დამოკიდებულებას, რასაც მოჰყვა კონტაქტების გაიშვიათება. ზოგიც ამ გათიშვის მიზეზად ალექსანდრიის იუდეველების ფილოსოფიით განსაკუთრებულ გატაცებას თვლის. იმჟამად ეგვიპტეში მოღვაწეობდნენ ფილონი² და თერაპევტები³. იუდეველი ხალხის საუკეთესო შვილები მთელი არსებით ერთგულებდნენ ახალი რელიგიის ამა თუ იმ მიმართულებას. ამასთან, ეგვიპტელ წარმართთა შორისაც რელიგიური კულტი იმ დროს უფრო მძლავრი იყო და მეტი სასიცოცხლო ძალა გააჩნდა, ვიდრე რომაელებისა და ბერძნების კულტს. დაახლოებით ამ დროს ეგვიპტეში იმგვარი წარმართული ტაძრები შენდებოდა, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ უძველეს ფარაონთა ნაგებობებს.

უკვე მეორე საუკუნიდან ალექსანდრიის ეკლესია იკავებს მეტად მნიშვნელოვან ადგილს. ალექსანდრიის საეპისკოპოსო კათედრის მნიშვნელობის ზრდა განპირობებული იყო თავად ქალაქის სიდიადითა და იმ ფაქტით, რომ აქ პირველად მარკოზ მოციქულმა იქადაგა. მეცნიერებისადმი სწრაფვამ, რომელიც ამ ქვეყანაში სუფევდა, ბიძგი მისცა ქრისტიანული ღმრთისმეტყველების მეცნიერების ფართო განვითარებას. რაც შეეხება ქრისტიანული მოძღვრების პრაქტიკულ განხორციელებას, ამ მხრივაც ალექსანდრიის ეკლესიამ უდიდესი როლი ითამაშა. აქ, ეგვიპ-

1 თავად ეგვიპტე შემდეგ ნაწილებად იყოფოდა: ზედა, იგივე პირველი ეგვიპტე, ნილოსის დელტაში მდებარე; მეორე ეგვიპტე (ავგუსტინის პირველი და ავგუსტინის მეორე პროვინციები); შუა ეგვიპტე (არკადიისა და ჰეპტანომოსის პროვინციები); სამხრეთი ეგვიპტე (თებაიდას პირველი და თებაიდას მეორე პროვინციები).

2 ფილონი ალექსანდრიელი – ებრაული ელინიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი, მისტიკოსი-მწერალი, იუდაიზმის აპოლოგეტი (რედაქტორის შენიშვნა).

3 თერაპევტები – (ბერძნული სიტყვიდან *therapeia* – მსახურება, თავყვანისცემა) ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ებრაული ასკეტური სექტა (რედ. შენ).



ალექსანდრია.
სარკების მართლმადიდებლური ტაძარი.

ტის დიდებულ უდაბნოში მე-4 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი ქრისტიანულ ასკეტურ ცხოვრებას. „ნაცვლად უსარგებლო მოღაყბეებისა, – წერს ერთი განდევნილი მწერალი, და მხედველობაში ჰყავს ალექსანდრიის წარმართი ფილოსოფოსები – მოგვევლინენ დიდებული და მდუმარე, განმარტოების მოყვარული უხუცესები, რათა დაუბრკოლებლად მისცემოდნენ სულიერ ჭვრეტას“.

ეგვიპტის ძირძველი ხალხი, კობტები, განსაკუთრებით იყვნენ მიდრეკილნი ასკეტური ღვაწლისადმი და გამოირჩეოდნენ გასაოცარი მთმინებითა და გამძლეობით. ეგვიპტელებს შეეძლოთ, უდრტვინველად აეტანათ საშინელი წამება და მზად იყვნენ, უმაღლესი სიცოცხლე დაეთმოთ, ვინემ გაეცათ ჭეშმარიტება. თუ ასეთი ადამიანები მიეცემოდნენ რელიგიურ შთაგონებას, ადვილად შეეძლებოდათ მეუდაბნოე მოღვაწეებად ქცევა. ეგვიპტეში ბერმონაზვნობის გავრცელებას ხელს უწყობდა, აგრეთვე, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები: მიწის დაყოფა თაზისებად და შიშველი უდაბნოსა და ნილოსის მხმობიარე ველების მკვეთრი კონტრასტი. ამასვე უწყობდა ხელს ადგილობრივი მისახლეობის ჭვრეტითი ბუნებაც, თერაპევტების მაგალითი და ალექსანდრიელი მამების წნეობრივი მოძღვრება, განსაკუთრებით ორიგენეს თეორია უმაღლეს და დაბალ წნეობაზე, ნებაყოფლობითი სიღარიბისა და უქორწინებლობის დიდ მნიშვნელობაზე.

ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში ეგვიპტის მოსახლეობის რაოდენობა მილიონს აღწევდა. ათანასე დიდის დროს, როდესაც ეგვიპტე ვაზრწყინებული იყო ქრისტიანობით, ალექსანდრიის საპატრიარქოში ასამდე საეპისკოპოსო კათედრა ირიცხებოდა. მაგრამ ვინაიდან ალექსანდრიის საპატრიარქოს სივრცე არც ისე დიდი იყო, მისი საეპისკოპოსოების ოლქებიც მცირე ზომისა გამოდიოდა, სწორედ იერუსალიმისა და ანტიოქიის საეპისკოპოსო ოლქების მსგავსად. ეს განსაკუთრებით ეხება ეგვიპტეს, ხოლო ლიბიასა და პენტაპოლისში, რაკი სივრცე ეგვიპტეზე რამდენადმე დიდი იყო (კირენა ალექსანდრიიდან 700 კმ-ით იყო დაცილებული),²² საეპისკოპოსო მოქმედებდა.

აი, ამ ვრცელ საეკლესიო სამყაროში ძალაუფლება ეკუთვნოდა ალექსანდრიის დიდი ეკლესიის პირველმადგელომთავარს. ვინაიდან ეგვიპტეში არ არსებობდა მიტროპოლიები და მიტროპოლიტები, მისი ძალაუფლება სხვა მეთაური იერარქების ძალაუფლებაზე უფრო დიდი იყო. მაშასადამე, ალექსანდრიის მწყემსმთავარი უშუალოდ წარადგენდა ეპისკოპოსებს ალექსანდრიის საპატრიარქოსთვის. მათ კი, როგორც ქალკედონის კრების ისტორია გვიჩვენებს, მისი ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ მნიშვნელო-

ვანი გადაწყვეტილებების მიღება.

ალექსანდრიის საპატრიარქოს მოსახლეობას ორი ძირითადი ეროვნება შეადგენდა: ეგვიპტის ადგილობრივი, ძირძველი ტომები, რომლებიც შემდგომში ცნობილი შეიქნენ „კობტების“ საერთო სახელით და ჩამოსახლებული ხალხები, უმეტესად ბერძნები. ადგილობრივი მოსახლეობა, ძირითადად, ცენტრალური და სამხრეთი ეგვიპტის სოფლებსა და პროვინციებში ცხოვრობდა, ხოლო ბერძნები – ზღვისპირა ქალაქებში. კობტები განათლებას მოკლებულნი იყვნენ, ბერძნები სწავლისადმი სიყვარულით გამოირჩეოდნენ. აბბა მაკარის ბერძნულად მარტივი წინადადების თქმაც არ შეეძლო. კობტური სასაუბრო ენის საზღვარი ალექსანდრიასთან ძალიან ახლოს გადიოდა. ეგვიპტის 449 წლის კრებაზე არსინთას ეპისკოპოს კალისირის მისივე არქიდიაკონი იულიუსი უწევდა თარჯიმნობას და მის ნაცვლად მანვე მოაწერა კრების აქტზე ხელი (არსინთა, ამჟამად მუდინეტ-ეთ-ფაიუმი, ალექსანდრიიდან 205 კმ-ზე მდებარეობდა). ანტონი დიდი, რომელიც არსინთადან 23 კმ-ზე დაცილებული ჰერაკლეოპოლისის მახლობლად დაიბადა, მხოლოდ კობტურად ლაპარაკობდა. პიმენი დიდი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ალექსანდრიასთან ახლომდებარე ქვედა ეგვიპტის უდაბნოს საგანებში გაატარა, საერთოდ ვერ ლაპარაკობდა ბერძნულად. მოწამე ისაკი, რომელიც წარმოშობით ქვედა ეგვიპტის ტიფრისიდან, ალექსანდრიიდან 100 კმ-ით დაცილებული ადგილიდან იყო, 304 წელს დაკითხვაზე პასუხებს თარჯიმნის საშუალებით აძლევდა. საერთოდ, მე-4-5 საუკუნეებში ჩრდილოეთ ეგვიპტეშიც კი იშვიათად შეხვდებოდით მოღვაწეს (როგორცაა, მაგალითად, აბბა იოსები), რომელმაც კობტურიც იცოდა და ბერძნულიც. ბერძნულთან შორის უმრავლესს რამოდენიმე ბერძნული სიტყვა ესმოდა, როგორც აბბა თეოდორეს. ცხადზე უცხადესია, რომ თებაიდის უდაბნოს მოღვაწენი, მაგალითად პასომი დიდი († 348 წ.) და იოანე ლიკოპოლისელი († 395 წ.) მხოლოდ კობტურად ლაპარაკობდნენ.

უეჭველია, ქვეყნის ამ ორ ენს შორის დაყოფა და დაპირისპირება იარსებებდა. ეს ეკლესიის ისტორიაშიც აისახა. ადგილობრივი კობტების ნაციონალურმა ობოზიციურმა სულმა ბერძნული ზეგავლენის წინააღმდეგ გამოსავალი მონოფიზიტობის სახით იპოვა. ვარაუდობენ, რომ ალექსანდრიის პატრიარქი დიოსკორე⁴ წარმოშობით კობტი უნდა ყოფილი-

4 დიოსკორე I ალექსანდრიელი – ალექსანდრიის 25-ე პატრიარქი. იყო კირილე ალექსანდრიელის პირადი მდივანი. ეწინააღმდეგებოდა ნესტორის მცდარ სწავლებას, თუმცა მხარი დაუჭირა ეგტიზიანელთა მოძღვრებას ქრისტეს ერთი ბუნების შესახებ. ამის გამო ქალკედონის კრებამ იგი მის მხარდამჭერ ეპისკოპოსებთან

ყო. ეფესოს კრებაზე მას თან წაუყვანია 23 ეპისკოპოსი. მე-6 საუკუნის II ნახევარში კოპტებმა საბოლოოდ დაიჭირეს მონოფიზიტების მხარე, ღვთისმსახურებაში ბერძნული ენა შეცვალეს საკუთარი ენით და შექმნეს თავიანთი ნაციონალური სექტანტური ეკლესია, სათავეში განსაკუთრებული პატრიარქით. ლეონტი ბიზანტიელის⁵ თქმით, „დიოსკორეს შემდეგ ეკლესიას ჩამოშორდა მთლიანად ალექსანდრიისა და ეგვიპტის ხალხი, და პროტერიოს ალექსანდრიელთან⁶ აღარავის ჰქონდა ურთიერთობა“. ზაქარია მიტილენელის⁷ სიტყვით, „457 წლის ფნების კვირაში მხოლოდ ხუთმა ადამიანმა ისურვა, მონათლულიყო წმ. პროტერიოსის ხელით, ყველა დანარჩენი სხვაგან წავიდა“. ამასობაში ბერძნები კვლავ მართლმადიდებლებად რჩებოდნენ. ქალკედონის კრების დამსწრე ოთხივე ეგვიპტის ეპისკოპოსი, რომელთაც მართლმადიდებლობას დაუჭირეს მხარი, მკორე ეგვიპტიდან იყო და მათი კათედრები ერთმანეთის მეზობლად მდებარეობდა. მათი ეს ქმედება გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ ეს გაბედული კოლექტიური ნაბიჯი ეგვიპტეშივე ჰქონდათ ჩაფიქრებული. მაშასადამე, ალექსანდრიასთან სულ ახლოს მწიფდებოდა დიოსკორესადმი ოპოზიცია, რომელიც მის გამჭრიახ თვალს გამოეპარა.

ხალიფა ომარის მიერ ეგვიპტის დაპყრობის დროს, 640 წ-ს. 300 000-ზე მეტი ბერძენი უნდა გასახლებულიყო ეგვიპტიდან. მართლმადიდებელი ეკლესია მაშინ იმდენად დაეცა, რომ თვით ალექსანდრიაშიც კი მართლმადიდებლებს მხოლოდ ერთი, საბაწმინდის ტაძარი ეკავათ. მე-9 საუკუნეში, მეფე ლეონ ბრძენის მმართველობის დროს ეგვიპტესა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში 6 მიტროპოლია და 105 საეპისკოპოსო ყოფილა; მე-12 ს-ში – 8 მიტროპოლია მრავალი საეპისკოპოსოთი და 5 მიტროპოლია უეპისკოპოსოდ; მე-15 ს-ში, თურქების დაპყრობამდე (1517

ერთად გადააყენა. გადასახლებული იქნა კუნძულ განგრაზე, სადაც გარდაიცვალა კიდეც 454 წ. (რედ. შენ.).

5 ლეონტი ბიზანტიელი – (445-543) ბიზანტიელი ბერი და ღვთისმეტყველი. დაბადებულია იერუსალიმში, ახალგაზრდობაში ნესტორის მიმდევარი ყოფილა, შემდეგ მიუბრუნდა მართლმადიდებლობას; სამი მნიშვნელოვანი პოლემიკური თხზულების ავტორი: „ნესტორისა და ეგვიპტის მიმდევართა წინააღმდეგ“, „30 თავი სევერუს ანტიოქიელის წინააღმდეგ“, „აპოლინარის მიმდევართა სიცრუის წინააღმდეგ“ (რედ. შენ.).

6 პროტერიოს ალექსანდრიელი – ალექსანდრიის პატრიარქი, კირილე ალექსანდრიელის მოწაფე, ალექსანდრიის პატრიარქ დიოსკორეს მონოფიზიტური სწავლების მოწინააღმდეგე. მოწამებობრივად აღესრულა მონოფიზიტების ხელით 457 წ-ს; სხენების დღე 28 თებერვალი (ახალი სტილით – 12 მარტი) (რედ. შენ.).

7 ზაქარია მიტილენელი – იგივე ზაქარია სქოლასტიკოსი, ზაქარია რიტორი. ბიზანტიელი ისტორიკოსი, იყო მონოფიზიტური მიმდინარეობის წარმომადგენელი. მისმა „ისტორიამ“ შემოინახა უადრსად საყურადღებო ცნობები მაიუმის ეპისკოპოსის, პეტრე იბერის შესახებ (რედ. შენ.).

წ.) – 16 მიტროპოლია და 25 საეპისკოპოსო. მაგრამ ეს კათედრები დაკავებული ჰქონდათ მონოფიზიტ ეპისკოპოსებს.

ალექსანდრია. ეგვიპტის დედაქალაქი ალექსანდრია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მსოფლიო მნიშვნელობის რიგით მეორე ქალაქს წარმოადგენდა რომის შემდეგ, 700 000 მისახლით. ქალაქი თავის არსებობას ალექსანდრე მაკედონელს უნდა უმაღლოდეს. ქალაქი დაარსდა 332 წ-ს. ქრისტეს დაბადებამდე ცარცოვან და სილოვან, იმ დროს შიშველ, მწირე, უწყლო და ვირთხებით სავსე⁸ მიწის ვიწრო ზოლზე ხმელთაშუა ზღვიდან მარეთის ტბამდე. მის ასაშენებლად ხარჯები არ დაუწოვავთ. მთავარი ქუჩა, რომლის განი უდრიდა 30 მ-ს, ხოლო სიგრძე 5 კმ-ს, გაჭიმული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე (ნეკროპოლისამდე) და მორთული იყო პორტიკებით, ტაძრებითა და სხვა დიდი ნაგებობებით. მეორე ასეთივე ქუჩა სამხრეთიდან, მარეთის ტბიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. ამ ორი ქუჩის გადაკვეთის ადგილზე იყო დიდი მოედანი, საიდანაც მოჩანდა ქალაქის ორივე მუდამ გემებით სავსე ნავსადგური. ქალაქის პირდაპირ, კუნძულ ფაროსზე, აღმართული იყო 130 მ. სიმაღლის მსოფლიოს ხელოვნების საოცრებად ცნობილი შუქურა. კუნძულს ქალაქთან აერთებდა ხელოვნური მიწაყრილი, რომელსაც ჰებტასტადიონს უწოდებდნენ, რადგანაც სიგრძით 7 სტადიონს აღწევდა. ქალაქი სუფთა წყლით მარაგდებოდა ნილოსიდან მყარი წყალსადენის ქსელით.

მაგრამ მთავარი, რაზედაც უნდა შეგჩერდეთ ალექსანდრიის შესახებ საუბრისას, არის მუზეუმი, სადაც მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა და ცხოვრობდნენ ყოველი მხრიდან ჩამოსული პოეტები, მეცნიერები, ორატორები და სოფისტები. მუზეუმი მდებარეობდა ქალაქის ყველაზე მდიდარსა და ვრცელ უბანში, რომელსაც ბრუხიონს, ანუ სასახლეების უბანს უწოდებდნენ. მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცული იყო ბერძნული, ეგვიპტური, ეთიოპური, სპარსული, ქალდეური, ებრაული და ლათინური წიგნები. ამ ბიბლიოთეკისთვის, როგორც ცნობილია, შედგა ბიბლიის ებრაულიდან ბერძნულ ენაზე თარგმანი, რომელიც სამოცდაათთა თარგმანის სახელითაა ცნობილი. ფილადელფოს პტოლემეოსმა⁹ მუზეუმის ბიბლიოთეკისთვის იყიდა არისტოტელეს ბიბლიოთეკა. ეგერგეტ პტოლ-

8 ვირთხების სიმრავლე აქ, ნილოსის შესართავთან, სავსებით გასაგებია. ეგვიპტე ყოველთვის პურის ბევრს ქვეყანას წარმოადგენდა, საიდანაც პური სხვა ქვეყნებს, თვით რომსაც ეგზავნებოდა. რომამდე სავალი გზა პირქარის დროსაც კი მხოლოდ 6 დღეს შეადგენდა.

9 პტოლემეოს II ფილადელფოსი – ეგვიპტის მეფე 285-246 წწ-ში, მეტად განსწავლული პიროვნება (რედ. შენ.).

ემქოს III-ის¹⁰ ბრძნებით, ყველა მოგზაურს საბატრიარქოზე ჩამორთმეული წიგნის ორიგინალის ნაცვლად უბრუნდებოდა წიგნის ასლი, ორიგინალი კი ბიბლიოთეკას რჩებოდა. პტოლემეოსებმა საერთოდ აკრძალეს ეგვიპტიდან პაპირუსის გატანა, რადგანაც არ სურდათ, ვინმეს მათსავით მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონოდა. ამიტომ პერგამოსის მეფე მცირე აზი-აში, რომელმაც ასევე მოიწადინა ბიბლიოთეკის შექმნა, იძულებული გახდა, გადასაწერად ტყავი ეხმარა. და აი, ასე მოგვევლინა პერგამენტი. პტოლემეოსების ენერგიის წყალობით ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში თავი მოიყარა უამრავმა ხელნაწერმა, რომელთა რაოდენობა შეადგენდა 400 000-ს (სხვა ჩვენებით – 700 000-ს). მაგრამ ეს ციფრები სწორად რომ აღვიქვათ, უნდა გავისხინოთ, რომ ტომებად ან, უფრო სწორად, გრაგნილებად იმ დროს არც თუ ისე დიდი მოცულობის ტექსტები იწოდებოდა. მაგალითად: ოვიდიუსის „მეტამორფოზები“, რომელიც ჩვენს დროში ერთ წიგნადაა გამოცემული, მაშინ 15 წიგნს შეადგენდა; ევსევის 10 წიგნად წარმოდგენილი „ეკლესიის ისტორია“ ამჟამად ერთი 300-გვერდიანი წიგნია. ამიტომაც აღარ იწვევს გაოცებას დიდძალ მიერ მისი სიცოცხლის მანძილზე დაწერილი 3500 ტომი.

ალექსანდრიის მეორე დინასტიის მანძილზე წარმოადგენდა სერაპისის, ან იუპიტერის სერაპეუმის ტაძარი. ის მდებარეობდა რესეტისის უბანში და ძალიდან დასცქეროდა ყველა შენობას, გარს ერტყმოდა გალერეები და ისიც დიდ ბიბლიოთეკას იტყვდა. სერაპისის ტაძარი აღმართული იყო მიწიდან ასი კიბის სიმაღლეზე და, თითქოს, მბრძანებლობდა ქალაქს. ამ ეგვიპტურ საკურთხეველში დასვენებული იყო დმერთ სერაპისის ვეებურთელა კერზი. კერზი ორივე ხელით ეყრდნობოდა იატაკს და იმგვარად მოეთავსებინათ, რომ მისი სახე მუდამ განათებული ყოფილიყო ფარული ნახვრეტებიდან მომდინარე მზის სხივით. ოთახების ურიცხვი რაოდენობა მდებარეობდა ტაძარში ან პორტიკების ქვეშ, ისინი განკუთვნილი იყო წარმართებში მეტად დაფასებული, ქურუმთა მადალი ფენისთვის. ამ ტაძარში ხშირად ტარდებოდა ხალხმრავალი სახალხო კრებები, სადაც ფილოსოფიური საკითხები და ქრისტიანული რწმენის დოგმატები გაცხოველებული განხილვისა და დახვეწილი მსჯელობის საგნად იქცეოდა ხოლმე.

ყოველივე ამან ალექსანდრია განათლებისა და მეცნიერების ერთადერთ კერად აქცია. და აი აქ, ალექსანდრიაში, ჩაეყარა საფუძვე-

10 პტოლემეოს III ვვერგეტი – ეგვიპტის მეფე, პტოლემეოს II-ის ვაჟი, პტოლემეოსთა დინასტიის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი წარმომადგენელი, მეფობდა 246-222 წწ-ში (რედ. შენ).

ლი თავისებურ მეცნიერულ მიმართულებას, სამეცნიერო მოდგაწეობის თავისებურ სახეს, რომელიც ცნობილია ალექსანდრიული მოძღვრების სახელით. ალექსანდრიელი მეცნიერების დამსახურებას, სხვათა შორის, არ წარმოადგენდა ახალი და ორიგინალური თხზულებების სიმრავლე. ბერძნული ლიტურატურის ნაყოფსავსე შემოქმედებით ხანას მოჰყვა თავმოყრის, დაზუსტების, მოწესრიგების პერიოდი. ალექსანდრიის პერიოდსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ უფრო კრიტიკული, ფილოლოგიური, გრამატიკული ძიებების დრო, ვინემ დრო პოეტური შემოქმედებისა და საკუთრივ ფილოსოფიური აზროვნებისა. ალექსანდრიის მრავალრიცხოვანი იუდეველებიც მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერულ საქმიანობაში, ამის მაგალითად შეგვიძლია დაგვასახელოთ ფილონი.

ალექსანდრიაში ქრისტიანული ეკლესია, გადმოცემით, დააარსა მარკოზ მოციქულმა და დიდი ხნის მანძილზე აქ ლიტურგიას იმ ფორმით ატარებდნენ, რომლის შედგენაც ამ მოციქულს მიეწერებოდა. მაგრამ ქრისტიანთა რაოდენობა ალექსანდრიაში პირველ საუკუნეებში მცირე იყო და ალექსანდრიელი მოწამენიც ბოლო დევნების პერიოდში მოიხსენიებიან. ალექსანდრე სევერუსის დროს ეწამა ლეონიდე, ორიგენეს მამა, და პოტამინოსი. დეციუსის დროს იდეგნებოდა ალექსანდრიის ეპისკოპოსი დიონისე. ქრისტიანების განსაკუთრებულად სასტიკი დევნა მოხდა დიოკლეტიანეს პერიოდში. მაშინ წმ. ანტონი, ეგვიპტელი მოსაგრე, საგანგებოდ სწვევია ალექსანდრიას, რათა გაემხნეებინა მორწმუნეები.

ეკლესიის ისტორიის მეორე პერიოდში, კონსტანტინის დროსაც კი, წარმართობა ალექსანდრიაში მეტად ძლიერი იყო. მის ბატონობას ბოლო მოეღო 391 წელს სერაპისის ტაძრის დანგრევით, რომელშიც უამრავი ვირთხა აღმოჩნდა. ტაძრის დანგრევას მშვიდად არ ჩაუგლია. ფიქრობენ, რომ სწორედ მაშინ განადგურდა ტაძართან არსებული ბიბლიოთეკა. როდესაც 20 წლის შემდეგ ოროზიუსმა¹¹ ტაძარი მოინახულა, მხოლოდ ცარიელი კარადებიღა იხილა. ალექსანდრიის სწავლულობას საბოლოოდ წერტილი დაესვა 640 წელს, ხალიფა ომარის მიერ დაპყრობის შემდეგ. ჰყვებოდნენ, თითქოს მას 4 000 აბანო გაეხურებინა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წიგნებით.

ამ ამბებამდე ცოტა უფრო ადრე, მე-7 საუკუნის დასაწყისში ალექსანდრიაში კეთილდღეობა სუფევდა. როგორც ჩვენ ვიცით, 614 წელს

¹¹ პავლე ოროზიუსი – მე-5 საუკუნის ქრისტიანი თეოლოგი და ისტორიკოსი, წარმოშობით ესპანელი, ნეტარი აგუსტინეს მოწაფე. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი „ისტორია წარმართთა წინააღმდეგ.“ ოროზიუსი დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ერთ-ერთი პერსონაჟია (რედ. შენ.).

იერუსალიმი დაიპყრო სპარსეთის მეფე ხოსრომ. ამ დროს ალექსანდრის ბატრიარქმა იოანე მოწყალემ დიდი თანადგომა გამოიჩინა იერუსალიმის მოსახლეობისადმი, აგზავნიდა იქ უხვ შეწირულობებს, გამოისყიდდა ტყვეებს და ლტოლვილებს ეგვიპტეში აძლევდა თავშესაფარს. მაგრამ არაბების შემოსევის დროს, როგორც ცნობილია, ალექსანდრის მართლმადიდებელი ეკლესია აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. ამ ხანაში მართლმადიდებლებს დაუტოვეს მხოლოდ ერთი, საბაწმინდის ეკლესია, ვინაიდან ყველა დანარჩენი კობტებს მიეტაცებინათ. შემდგომში ამ ეკლესიის ადგილზე აღმოცენდა საბაწმინდის მონასტერი, რომელიც მართლმადიდებელთათვის ამ უმძიმეს ხანაში ქრისტიანთა შემოწირულობებით აშენდა. მონასტერი მდებარეობდა ალექსანდრის ბოლოში, ე.წ. კლეოპატრას ნემსების¹² მიზიდვაში, ახალ ნაგვისადგომთან ახლოს. მისი სარკმლებიდან მოჩანდა ეს გრანიტის ორნამენტებიანი ნემსები, ლურჯი ზღვა და კუნძულ ფაროსის დაკბილული ციხე-სიმაგრე.

ალექსანდრის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ ამ განსწავლულ ქალაქში მალე განვითარებულა ერესები და ცრუ გნოსისი. ეკლესიის პირველმა მწვალებლებმა – სიმონ მოგვმა, აპოლოსმა და კერინთემ – აქ მიიღეს განათლება. აქვე გამოჩნდნენ განსაკუთრებული სახის გნოსტიკოსები, რომლებიც ალექსანდრიელებად არიან ცნობილნი. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ვასილიდი და ვალენტი. აქვე იყვნენ ნეოპლატონიკოსები, რომლებიც ცდილობდნენ დაცემის პირას მისული წარმართობის აღდგენას და წყურდნენ ქრისტიანობის წინააღმდეგ: ამონიუს საკასი, პორფირი და იამბლიქე. მაგრამ აქვე, ალექსანდრიაში, ჩაეყარა საფუძველი ჭეშმარიტ ქრისტიანულ მეცნიერებას და გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებიც იცავდნენ ქრისტიანობას ერესებისა და წარმართობისაგან. მეორე საუკუნის დასაწყისში აქ უკვე არსებობდა კატეხიზმის სკოლა, იმავე საუკუნის დამლევეს სკოლამ მიიღო უფრო სერიოზული და მეცნიერული სახე. ამ სკოლის მასწავლებლები – პანთენი, კლიმენტი და ორიგენე იცავდნენ ეკლესიას ნეოპლატონიკოსების თავდასხმისაგან და შეადგინეს მრავალი მეცნიერული ნაშრომი ქრისტიანუ-

12 „კლეოპატრას ნემსები“ არის სამი ეგვიპტური ობელისკის პოპულარული სახელწოდება, ამჟამად ისინი აღმართულია ლონდონში, პარიზსა და ნიუ-იორკში, სადაც მე-19 საუკუნეში გადაიტანეს. ლონდონისა და ნიუ-იორკის წყვილი დაუმზადებიათ ქრისტემდე 1450 წ-ს. და ტუმოს III-ის ბრძანებით აღუმართავთ ეგვიპტის ქ. ჰელიოპოლისში. დედოფალმა კლეოპატრამ ისინი ალექსანდრიაში გადაატანინა ქრისტემდე 12 წ-ს. ობელისკები გამოკვეთილია წითელი გრანიტისაგან, დაფარულია იეროგლიფებით, თითოეული დაახლ. 21 მეტრის სიმაღლისაა და იწონის 224 ტონას (რედ. შენ).

ლი ღვთისმეტყველების სფეროში. ეკლესიის აყვავების ხანაში, მე-4-დან მე-7 საუკუნემდე, ალექსანდრიის იერარქები ყველაზე ქმედითი წევრები იყვნენ საეკლესიო საქმეებში. მხოლოდ ისინი იყვნენ უფლებამოსილნი, ყოველწლიურად გამოეთვალათ ადდგომისა და სხვა დღესასწაულთა თარიღები და ყველა ეკლესიისათვის დაეგზავნათ საადღგომო ეპისტოლეები. აქ ათანასე ალექსანდრიელი ებრძოდა არიანელებს; კირილე ალექსანდრიელი, რომელიც ილაშქრებდა იულიანეს წინააღმდეგ, ებრძოდა ნესტორიანელებს, რაც სხვათა შორის, ეგვიპტისთვის არ ყოფილა ადგილობრივი მწვალებლობა; თეოფილე ალექსანდრიელი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ორიგენეს ირგვლივ გამართულ კამათში და იოანე ოქროპირის სასამართლოზე. დიოსკორემ შექმნილ მონოფიზიტობა, რომლის წარმომადგენლებიც შემდგომში იყვნენ ელურიოსი და სალკოფიალე. პატრიარქმა კირილმა შექმნილ მონოთელიტობა. ეს უკანასკნელი მწვალებლობანი ადგილობრივ ხასიათს ატარებდნენ და ფართოდ გავრცელდნენ ალექსანდრიის საპატრიარქოში.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ალექსანდრიის შესანიშნავ ტაძრებზე. ასეთები იყო ბაგკალის ეკლესია, კესარიონი და წმ. იოანეს ეკლესია.

ბაგკალის წმ. მარკოზის სახელობის ეკლესია, რომლის პრესვიტერადაც მსახურობდა არიოზი, იყო უძველესი და ქალაქში მას განსაკუთრებული პატივი მიეგებოდა. ამასთან, მდებარეობდა ქალაქის საგაჭრო ცენტრში. ყოველივე ამან განაპირობა არიოზის გავლენის ზრდა. მას მხარს უჭერდნენ მღვდლები: კარპიონი და სარმატი, აითალა, აქილა და მისი თანამოსახელე არიოზი; დიაკვნებიდან: ეგზოი, მაკარი, იულიუსი, მინა და გელადი. ალექსანდრიის პრესვიტერებისა და დიაკვნების კრებაზე არიოზის პარტიას მიემხრო ხუთი პრესვიტერი და ამდენივე დიაკონი, ხოლო ოცდათექვსმეტმა პრესვიტერმა და ორმოცდაათხმა დიაკონმა ხელი მთაწერა საბრალდებო განაჩენს.

კესარიონის ეკლესია მდებარეობდა ქალაქის ცენტრთან, ოთხი კარიბჭის მოედანზე, გიმნაზიის ადგილზე, რომელიც პირველად იწოდებოდა ადრიანონად, შემდგომ კი — ლიკონიანონად. ამ ტაძრის მშენებლობა დაიწყო ალექსანდრიის არქიეპისკოპოსმა, არიოზის მიმდევარმა გრიგოლმა (22 მარტი, 339 წ. — 26 ივნისი, 245 წ.) იმპერატორ კონსტანტის ხარჯებით (აქედანაა მისი სახელწოდება კესარიონი). როგორც ჩანს, ტაძრის მშენებლობა დაასრულა ათანასე დიდმა (21 ოქტომბერი,

346 წ. – 9 თებერვალი, 356 წ.). თუმცა, არიანელი გიორგის დროსაც, 361 წ. აქ რაღაც მიშენება მიმდინარეობდა. 365 წ-ს. ეს ტაძარი გადავიდა მართლმადიდებელთა გამგებლობაში, მაგრამ 366 წ. აჯანყების დროს, 21 ივლისს იგი დაწვეს წარმართებმა. იმპერატორის ბრძანების საფუძველზე ათანასე დიდმა კვლავ დაიწყო კესარიონის აღდგენა 368 წ-ს. 1 მაისს, გარდაცვალებამდე ზუსტად ხუთი წლით ადრე (ათანასე დიდი გარდაიცვალა 373 წ-ის. 2 მაისს) და საქმე ბოლომდეც მიიყვანა. უკვე ის ფაქტი, რომ აღვილობრივმა ქრონიკამ შემოგვინახა ამ ეკლესიაზე ზუსტი მონაცემები, და ისიც, რომ წმ. ეპიფანე კვიპრიელი განსაკუთრებით გამოარჩევდა მას, მიგვითითებს, რომ ნაგებობა მეტად შესანიშნავი ყოფილა. თვით ათანასე დიდი უწოდებდა კესარიონს „დიდ ეკლესიას“, რაც შეესაბამება თანამედროვე „კათედრალურ ტაძარს“. ეკლესიის მოცულობაზე და ქრისტიანთა რაოდენობაზე მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში მეტყველებს ის ფაქტი, რომ პასექის დღესასწაულზე ეს ტაძარი მთლიანად იტევდა ალექსანდრიის ქრისტიანულ მოსახლეობას. თუ რომელი იყო ის „დიდი ეკლესია“, სადაც 432 წლის 25 დეკემბერს და 433 წლის 1 იანვარს იქადაგეს პავლე ემესელმა და კირილე ალექსანდრიელმა, დანამდვილებით ცნობილი არაა, მაგრამ მეტად სავარაუდოა, რომ ეს კესარიონი უნდა ყოფილიყო. 452 წ-ს. ამ ტაძარში შედგა კრება, რომელმაც პროტერიოსი არქიეპისკოპოსად აირჩია. 457 წელს „დიდ ეკლესიაში“, ანუ კესარიონში შედგა ელურიოსის არაკანონიკური ქიროტონია. 415 წ-ს. კესარიონის ეკლესიასთან იქნა მოკლული ცნობილი ჰიპატია.¹³ და ბოლოს 483 წ. კესარიონის ბაზილიკაში ქვედა ეგვიპტის ბერები აღდგნენ პეტრე მონგის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში კესარიონი ასრულებდა ალექსანდრიის კათედრალური ტაძრის როლს.

ალექსანდრიის კიდევ ერთი შესანიშნავი ნაგებობა იყო აგრეთვე **წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია**, ყოფილი სერაპისის ტაძარი, რომელიც გამოირჩეოდა სიღამაზითა და სიდიდით. როდესაც 391 წ-ს. ქრისტიანებმა წარმართებს ჩამოართვეს ეს ტაძარი, არქიეპისკოპოსმა თეოფილემ

13 ჰიპატია ალექსანდრიელი – მე-4 ს-ის ალექსანდრიელი თვალსაჩინო მეცნიერი ქალი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი. სიძულვილით სავსე უბირთა ბრბომ ის ჩაქოლა. ჰიპატიას სახე კეთილშობილი, განსწავლული ქალის სიმბოლოდაა ქცეული, ის არაერთი მხატვრული ნაწარმოებისა და ფილმის პერსონაჟია, მისი პორტრეტი გამოსახულია რაფაელის „ათენის სკოლაშიც.“ რომან „ბაუ-დოლინოში“ ეკო გვიხატავს ზღაპრულ ჰიპატეების ტომს – გარეგნობით მშვენიერს, მეცნიერ ქალებს, თითქოსდა ალექსანდრიიდან გაქცეულ ჰიპატიას შთამომავლებს (რედ. შენ.).

ის ქრისტიანულ ეკლესიად აქცია. მშენებლობა დასრულდა არკადის (395-408 წ.) დროს და ახალმა ეკლესიამ მისი სახელი მიიღო. შენობა შედგებოდა მთავარი (ekklhsia) და მცირე (marturion) ტაძრებისაგან. ამ მარტირონში 398 წ. 27 მაისს გადმოსვენეს იოანე ნათლისმცემლის ნეშტი. უამთა სვლის მანძილზე ეკლესიის პირვანდელი სახელწოდება მივიწყებული იქნა და მას წმ. იოანეს ტაძრად იხსენიებდნენ. საგარაუდოა, რომ ამავე წლებში აქვე გადმოსვენეს ელისე წინასწარმეტყველის ნეშტიც, რაც აქ 464 წ-ის 11 მაისამდე იყო დაბრძანებული. მესუთე საუკუნის პირველ ნახევარში წმ. იოანეს ეკლესიაში არსებობდა ბიბლიოთეკა, რომელიც დაარსებული იყო ამ ადგილის მეცნიერული დიდების შესანარჩუნებლად.¹⁴ წმ. იოანეს ეკლესიასთან 465-467 წწ-ში მშენებლობები მიმდინარეობდა, რაც მის მზარდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. 480 წლის მახლობლად იოანე ტალაია (შემდგომში ალექსანდრიის არქიეპისკოპოსი) იწოდება წმ. წინამორბედისა და ნათლისმცემლის, იოანეს კერძო ტაძრის იკონომოსად. ბოლოს, 517 წ-ს. წმ. იოანეს ეკლესია იმგვარი მნიშვნელობისა შეიქნა, რომ კათედრალური ტაძრის სახით შეენაცვლა კესარიონის უძველეს „დიდებულ ეკლესიას“.

თმშინი. ათანასე ალექსანდრიელის თხზულებათა შორის განსაკუთრებით შესანიშნავია ოთხი წერილი თმუისის ეპისკოპოს სერაპიონისადმი. ქალაქი თმუისი მდებარეობდა ალექსანდრიის მახლობლად, ნილოსის დელტაში. ამიანე მარცელინოსის თქმით, მე-4 საუკუნეში ის ეგვიპტის უმთავრეს ქალაქთა შორის ირიცხებოდა. თმუისის ეპისკოპოსთა ისტორიიდან ჩანს, რომ მათი უმრავლესობა ფრიად განათლებული ყოფილა. ათანასე ალექსანდრიელის ნაშრომებიდან, სხვათა შორის, გამოირჩევა ოთხი წერილი თმუისის ეპისკოპოს სერაპიონის მიმართ. კერძოდ, იერთნიმე სერაპიონის შესახებ ამბობს, რომ ამ ეპისკოპოსმა თავისი განსწავლულობით სქოლასტიკოსის სახელი დაიმსახურა, ის იყო ანტონი დიდის მეგობარი, შეადგინა წიგნი მანიქეველთა წინააღმდეგ, წიგნი ფსალმუნთა შესახებ და მრავალი სასარგებლო წერილი. შემდგომში, როგორც ჩანს, ის ესწრებოდა სარდიკის კრებას და, შესაძლოა, მართლმადიდებლობისა და ათანასე დიდის ერთგულების გამო ალექსანდრიის პატრიარქმა გიორგიმ, არიოზის მიმდევარმა, თავისივე ეკლესიიდან გააძევა.

14 წმ. იოანეს ეკლესიის ბიბლიოთეკა არ ყოფილა ეკლესიასთან არსებული ერთადერთი ბიბლიოთეკა ალექსანდრიაში. მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში წმ. მარკოზის ეკლესიასთანაც არსებობდა მდიდარი ბიბლიოთეკა (რედ. შენ.).

პალუზიუმი. ქალაქი პელუზიუმი, ლეგენდარული გადმოცემების მხედვით, აუშენებია აქილევსის მამას, პელევსს, როდესაც ძმის მკვლელობისთვის გააფთრებულმა ფურიებმა ის სამშობლოდან განდევნეს. ქალაქი მდებარეობდა ძალიან ახლოს ალექსანდრიასთან, ნილოსის აღმოსავლეთ შესართავზე, ჭაობიან და უდაბურ ადგილებს შორის. და მიუხედავად ამისა, მძლავრი კედლებით გარშემორტყმული, ის ეგვიპტის საუკეთესო ქალაქად ითვლებოდა. ებრაელები ამ ქალაქს უწოდებდნენ „სინას“, რაც ნიშნავს „გასაღებს“, რაკი მას მთელი ეგვიპტის გასაღებად რაცხდნენ. პელუზიუმის მიმდებარე უდაბნოში მრავალი განდევნილი მოღვაწეობდა. აქ მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა წმ. ისიდორე პელუსიოტი, ან პელუზიელი, წარმოშობით ალექსანდრიელი, ეკლესიის ისტორიაში შესანიშნავი პიროვნება თავისი მოსაგრეობითა და საღვთისმეტყველო შრომებით. პელუზიუმის ეკლესია მაშინ საგალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მის სათავეში იდგა ვინმე ევსევი, რომელმაც თავისი ბიწიერი ყოფით დიდი არეულობა შეიტანა ეკლესიის ცხოვრებაში. მედიდურობის გამო ეკლესიებს გარეგნულად კაზმაგდა, მაგრამ უკარგავდა მის მთავარ მშვენიერებას – ღირსეულ მსახურებს, და ბიწიერ ხალხს იკრებდა ვარს. მათგან ერთნი სიმონით ღებულობდნენ ხარისხს, სხვები – ყიდდნენ მას. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც საერო კანონმდებლობითაც იმსახურებდნენ სასჯელს. საღმრთო მსახურთა არაჯანსაღმა შერჩევამ ისეთი არეულობა მოიტანა, რომ ეკლესიას განუდგა მრევლი, რადგან არ სურდათ უწმინდურთაგან სიწმინდის მიღება. ღირსებამოკლებულ ცხოვრებას ეწეოდნენ ბერებიც; ზოგი გაურბოდა შრომას, ზოგიც აქეთ-იქით დაესეტებოდა კარგი საკვების ძებნაში, სხვები საუცხოო სამოსელზე ზრუნავდნენ. არანაკლები არეულობა დატრიალდა საერო ცხოვრებაშიც. ქალაქის მმართველი კირენიოსი არა თუ გამართლებულ სიტყვას არ ისმენდა შესმენილთაგან, არამედ მათ ეკლესიაში თავშესაფრის ძიებაც კი აუკრძალა. მან მძიმე გადასახადი დააკისრა მოსახლეობას, რის გამოც ხალხი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა სამშობლო და გადასახლებულიყო უცხო მხარეში. კირენიოსი ქონებას ართმევდა არა მარტო კერძო ბირებს, არამედ ეკლესიასა და საქველმოქმედო ორგანიზაციებსაც დაადო ხელი. თხრიდა საფლაგებს, შეეცადა საქონწინო კავშირების გაუქმებასაც. დიდი ბოროტება მოუტანა პელუზიუმს კვესტორმა ასტანოსმაც, თავად ამ ქალაქში გაზრდილმა. სწორედ ასეთმა მდგომარეობამ უბიძგა წმ. ისიდორე პელუსიოტს, არაერთგზის დაეწერა და დაეგზავნა მამხილებელი წერილები.

ბაბილონი. პეტრე მოციქული პირველ ეპისტოლეში, სხვათა შორის, წერს: „მოგესალმებათ თქვენ ბაბილონის ეკლესია.“ ზოგიერთი, როგორც ცნობილია, ამ გამოთქმაში, გულისხმობს რომს, ზოგიც კი – ეგვიპტის ბაბილონს. დასაშვებია, რომ პეტრე მოციქული ყოფილიყო ეგვიპტეში, ვინაიდან მის მოწაფესა და მიმდევარს, მარკოზ მოციქულს უქადაგია ალექსანდრიაში და კირენაში. ქალაქი ბაბილონი მდებარეობდა შუა ეგვიპტეში, მემფისის მახლობლად, მდინარე ტრაიანეზე. ქალაქი აშენდა სკოსტრისის მიერ დატყვევებულ ბაბილონელთა ხელით. ბაბილონელი ტყვეები აჯანყებულან ეგვიპტელთა წინააღმდეგ და თავი შეუფარებინათ ნილოსის მახლობლად მდებარე ბუნებრივად გამაგრებულ ადგილისათვის, საიდანაც ადვილად იგერიებდნენ ეგვიპტელებს, უსარგებლიათ დაუსჯელობით და აუგიათ კიდეც ქალაქი, რომელსაც თავიანთი სამშობლოს სახელი, ბაბილონი, უწოდეს. მე-6 საუკუნეში ცნობილი იყო ბაბილონის ეპისკოპოსი ზოსიმე, რომელიც სინას მთის განდევნილ ბერთაგან იყო გამოსული.

არსმნა. პტოლემეოსების საგვარეულოში ბევრი ატარებდა სახელ არსენიას, ასე მაგალითად, პტოლემეოს I-ის ქალიშვილი, შემდგომში პტოლემეოს II ფილადელფოსის მეუღლე; ცნობილი კლეოპატრა, პტოლემეოს III-ის ქალიშვილი. ბუნებრივია, ეგვიპტეში ბევრი ქალაქი და ადგილი იყო, რომელთაც ამ სამეფო პირთა საპატრიარქოებში სახელით არსენია ერქვა. ერთი ქალაქი არსენია მდებარეობდა კერენაიკში, მეორე – არაბეთის ყურის უკიდურეს განაპირა მხარეში, და ბოლოს, შუა ეგვიპტეში, მემფისის ახლოს, იყო არსენიას მთელი ოლქი ნილოსსა და მერიდის ტბას შორის. ეკლესიის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი, სადაც მე-3 საუკუნეში განსაკუთრებული ძალით განვითარდა ხილვასტური ცთობა. ამ მოძღვრების მთავარი წარმომადგენელი, არსენიას ოლქის ეპისკოპოსი ნეპოტი, წმ. დიონისე ალექსანდრიელის აზრით, მეტად საპატრიარქოებში პიროვნება იყო. წმ. დიონისე ალექსანდრიელმა საჭიროდ მიიჩნია, პირადად მოენახულებინა ნეპოტი, რათა გაცნობოდა მის მიერ შედგენილ სწავლებას ათასწლოვან მეუფებაზე. როდესაც წმ. დიონისე ჩავიდა არსენიაში, ნეპოტი უკვე გარდაცვლილი დახვდა. წმ. დიონისემ თავი მოუყარა არსენიას ოლქის პრესვიტერებს და სამი დღე-ღამის განმავლობაში უმტკიცებდა მათ ამ სწავლების მცდარობას. ეს საუბარი მიმდინარეობდა დარბაზისგან. „მე მისაროდა, წერს დიონისე, როცა ვხედავდი ძმების საფუძვლიან სიყვარულს ქრისტიანებისადმი, მათ ყურადღებასა და გულისხმიერებას.

ჩვენ ვთავაზობდით კითხვებს, ეჭვებს, თანხმობას თანმიმდევრულადა და თავაზიანად; ერთხელ გამოთქმულ აზრს ჯიუტად არ ვიცავდით, არ ვარიდებდით თავს კამათს, არ გვრცხვენოდა აზრის შეცვლისა და სხვის მოსაზრებაზე დათანხმებისა, თუ ამას მოითხოვდა მსჯელობა“. ტილეპონი ვარაუდობს, რომ ეს არსენოელი პირები, თავი რომ მოუყარა სერიოზული საუბრისთვის წმ. დიონისე ალექსანდრიელმა, იყვნენ ეგვიპტის ის მოღვაწეები, რომლებიც, წმ. ათანასეს სიტყვით, ჯერ კიდევ წმ. ანტონი დიდზე ადრე გასულიყვნენ სოფლებში და ეწეოდნენ მოსაგრე ცხოვრებას ღრმა, განმარტოებულ ჭვრეტაში. მე-4 საუკუნეში აქ მიიცვალა წმ. ანტონი დიდი. აქვე მოსაგრეობდა მისი მოწაფე აბბა სისო (†429 წ.). ბერების რაოდენობამ მე-5 საუკუნეში აქ ათი ათასს მიაღწია.

ნოტრიოა. მორეთოს ტბის სამხრეთით, რომლის მახლობლად დგას ალექსანდრია, არის უდაბნო, სადაც, გადმოცემით, განმარტოებულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეწეოდნენ ეგვიპტის პირველი ასკეტები – თერაპეიტები. აქვე მდებარეობდა ნიტრიის უდაბნო, რომელსაც ეს სახელი მის ტბებში არსებული გვარჯილის (ნიტრატი) სიუხვის გამო დაერქვა. ეს უდაბნო წარმოადგენდა ბორცვიანსა და უნაყოფო სივრცეს. ნიტრიის უდაბნოში ბერმონაზვნობას საფუძველი წმ. ამონმა, წმ. ანტონის თანამედროვემ, დაუდო. მან შუა ნიტრიის უდაბნოში დააარსა მონასტერი. ერთხელ, მასთან სტუმრობისას ანტონი დიდმა ამ ადგილებში შეარჩია სენაკები იმ ძმებისათვის, რომელთაც მეტი განმარტოება ეწადათ. ამ სახით ნიტრიის მონასტერთან ახლოს უძველეს ხანაშივე შეიქმნა მეორე მონასტერი – კელიები. მოხერხებული ზედამხედველობისთვის ბერები დაიყვნენ ჯგუფებად: ათეულებად და ასეულებად. უფროსი ბერი, რომელსაც უწოდებდნენ მამას, ხელმძღვანელობდა მათ და ანგარიშს აბარებდა მთავარ აბბას. სულ მალე ნიტრიის უდაბნო აივსო ბერებით, რაც განაპირობა ალექსანდრიასთან სიახლოვემ და მოსახლეობის მჭიდრო დასახლებამ. მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში აქ იყო თხუთმეტი მონასტერი, რომლებიც პახომი დიდის წესდების მიხედვით იყო მოწყობილი. იქ ჰქონდათ შვიდი პურის საცხობი, საიდანაც მარაგდებოდნენ მეზობელი ლიბიის უდაბნოს განდეგილებიც. ამასთან, ნიტრიის უდაბნოს ბერები განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობდნენ საღვთისმეტყველო მეცნიერებებს, რაზეც აქ აღმოჩენილი უამრავი და მნიშვნელოვანი ხელნაწერი მეტყველებს. მე-4 საუკუნის დამლეკს ამ უდაბნოში მოღვაწეობდა 6 000 ბერი, რომლებიც 50 მონასტერში იყვნენ დანაწილებულნი. სხვათა შორის, აქ მოსაგრეობდნენ: მაკარი ალექსან-

დრიელი, დიდიმი, წმ. პაფნუტი. ნიტრიის უდაბნოს მოღვაწენი არასდროს რჩებოდნენ გულგრილნი ალექსანდრიის საპატრიარქოს საქმეების მიმართ. კირილუ ალექსანდრიელის დროს 500 ბერი გამოცხადდა ალექსანდრიაში თავიანთი ეპისკოპოსის დასაცავად ალექსანდრიის ნაცვალთრესტეს მიერ შევიწროებისაგან. ეკლესიის ისტორიაში ნიტრიის ბერები ცნობილი არიან, როგორც ორიგენულ კამათებში მხურვალე მონაწილენი. ნიტრიის მოღვაწეებზე მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის რუფინუსი, რომელმაც აქ ექვსი წელი დაჰყო. ნეტარმა იერონიმემ მე-4 საუკუნის დამლევს მინახულა ნიტრიის უდაბნო და აღფრთოვანებულმა უწოდა მას „ქალაქი ღმრთისა“. „გუმზერ წმ. მაკარის მონასტერსა და მის მახლობელ უსიცოცხლო უდაბნოს, წყარს არქიმანდრიტი პორფირი (უსპენსკი), და მე ვხვდები, რა არის განდეგილი. ეს არის თავდადებული მებრძოლი ბოროტ სულელებთან და ვნებებთან, იქ, სადაც აღარ არსებობს სიცოცხლის კვალი. იმ ქვის ნაპრაღში, სადაც დგას კურთხეული საბას ლავრა, ჯერ კიდევ ბუდობენ მტრედები, დაფრინავენ შაშვები, ცხოვრობენ ტურები და შორს ხმაურით მოედინება კედრონის ნაკადი. ნიტრიის უდაბნოში კი არაფერია ქვების, სილისა და მკვდარი წყლის მეტი. აქ არის მეუდაბნოსის განშორება ერისაგან – საფლავის მსგავსი, მარადიული, მისი მრავალდათმენა – ზებუნებრივი. აქ ის ნულია, ოღონდ გაზომილი სამოთხის საწოში ერთეულებით, რაშიც მე ვგულისმობ ნიქსა და მადლის ნუგეშს. აქ განდეგილობა ამტკიცებს, რომ ადამიანი არის სული, რომელიც განკუთვნილია უსხეულო სულთა დასში მარადიული ცხოვრებისათვის.“ ნიტრიის ბერებზე ის წერს: „იქ ცხოვრობდნენ ზეცისა კაცნი და მიწისა ანგელოზნი. მათი ბაგეები მოუკლებელად ადიდებდნენ ღმერთს. უდაბნო დღითა და ღამით აჟღერებულნი იყო მათი ფსალმუნებით. ისინი საკუთარ თავში უმაღლ სულს შეიცნობდნენ, ვიდრე სხეულს. ცოდვილ ფიქრებთან და ვნებებთან ბრძოლა და განწმენდა მათ ფილოსოფოსებზე უკეთ იცოდნენ. ეს წვიმას მოწყურებული უდაბნოს მიწა უხვად ირწყვებოდა მათი ცრემლებით. და რა ცრემლებით, ღმერთო ჩემო! ეს იყო ანგელოზთა ცქერის ღირსი მარგალიტები. იქაური უფლის სათნოყოფელთა რწმენას და ლოცვას გამოჰქონდა ღმრთის წიაღიდან სიცოცხლის ჭავლი მიცვალებულთათვის, სინათლის ნაპერწკალი ბრძაბათავის და ახალი ძალები სწეულთათვის. ეს უფლის სათნოყოფელნი ლაპარაკობდნენ გონებითა და გულით მარადიულ ხსნაზე. და მათი მადლი იყო განხორციელებული სახარება და ფსალმუნი. თითქმის ყველა მათგანი იყო ცოცხალი ლექსი ამ ორი ღმრთიფსულებიერი წიგნიდან. ღირს ამონს არ უხილავს თავისი სარეცელი, ღირსი ითანე მცირე მორჩილებით ყველა

წყენას დუმილით პასუხობდა და ყველას ახსენებდა უფლის სიტყვებს: „სწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა“. წმ. პამბუსი ოცი წლის განმავლობაში სწავლობდა წმინდა მამის პირველმიცემულ გაკვეთილს და სიკვდილის წინ გაანდო თავის ძმებს, რომ არასოდეს უნანია არც ერთი ნათქვამი სიტყვისთვის: „წესი დაუდგინა ენასა თვისსა“. შემთხვევითი არ იყო, რომ მათკენ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ქრისტიანები ყოველი მხრიდან, რათა ესწავლათ, როგორ ეცხოვრათ და მომკვდარიყვნენ ღმერთისთვის“.

სკიტის უღაბნი. ნიტრიის მთიდან სამხრეთ-დასავლეთით 24 საათის საგაღწე მდებარეობდა სკიტის უღაბნი, ის უფრო მრისხანე ბუნებით გამოირჩეოდა. ეს იყო ველური, სილიანი უღაბნი, მოკლებული ყოველგვარ სასიცოცხლო წყაროს. აქ ძნელი იყო დასაღწევად ვარგისი წყლის პოვნა. სკიტში განდევილური ცხოვრების დამაარსებელი იყო წმ. მაკარი მეგვიპტელი. ამ საფანის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით ცნობილი არიან: არსენი დიდი, იმპერატორების: არკადისა და ჰონორის (†450 წ) მოძღვარი; პიმენი დიდი, თეოდოსი უმცროსის თანამედროვე, იოანე კოლოვიუსი. სკიტის განდევილები ძლიერ მკაცრები იყვნენ მოთმინებაში. „სკიტის მამები, ამბობს იოანე კოლოვიუსი, იღებდნენ ბურსა და მარილს და ამბობდნენ: არ უნდა დავიტვირთოთ ბურითა და მარილით. ამიტომაც იყვნენ ისინი ძლიერნი ღმერთის საქმეებში“. ბერების სენაკები იმდენად უბრალო იყო, რომ მათ ერთ დღეში აშენებდნენ. ისინი ძველ, პალმის ფოთლებისგან შეკერილ სამოსს ატარებდნენ. ეძინათ, როგორც წესი, იატაკზე, ჭილოფზე, სასთუმლად ხმარობდნენ ლერწმის კონებს, რასაც სკამის დანიშნულებაც ჰქონდა. ბერების ხელსაქმე მარტივი იყო: წნავდნენ ტილოს, კალათებს ლერწმისაგან, ქსოვდნენ ბადეებს. მათ ხელსაქმეს ჰქონდა ის უპირატესობა, რომ მარხვით გათანაგულებს შეკძლით საგანგებო ენერჯის დაუხარჯავად კელიაშივე აღესრულებინათ ისე, რომ ფიქრები არ გაფანტოდათ. სკიტში არ არსებობდა განდევილთა საერთო კელია, მოღვაწეები ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე სენაკებში, ზოგჯერ – რამდენიმე მოწაფითურთ და თავიანთი ნაშრომით ირჩენდნენ თავს. შაბათსა და კვირას, როგორც წესი, ბერები გამოდიოდნენ სენაკებიდან და თავს იყრიდნენ ეკლესიაში საერთო ლოცვისა და ზიარებისთვის. ბერების სულიერ მეთვალყურეობას ახორციელებდნენ ოთხი ეკლესიის პრესვიტერები, ხოლო ეკლესიის ქონების განმკარგულებლად ირჩევდნენ საგანგებო ეკონომოსს. ეკლესიის სახსრები იხარჯებოდა ეკლესიების შესანახად; მათთან, სხვათა შორის, არსებობდა საავადმყოფოები მოხუცებუ-

ლი და აგადმყოფი მონაზვნებისათვის. სკიტის მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტილებას იღებდა უხუცესთა კრება, რომელიც, ჩვეულებრივ, ეკლესიაში ტარდებოდა, უმეტესად, შაბათ-კვირას. სკიტის უდაბნოს მოღვაწეთა რაოდენობა რამდენადმე მცირე იყო ნიტრიისაზე, მე-4 ს-ში ბერთა რიცხვმა 3500-ს მიაღწია. მართალია, სკიტის საგანუ ნიტრიიდან 24 საათის საგალი გზით იყო დაშორებული, მაგრამ ორსავე უდაბნოს მთავარ მამებს თავდაპირველად ერთმანეთთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ. ზოგიერთ ნიტრიელ განდევილს სკიტის უდაბნოშიც ჰქონდა სენაკი, სადაც დიდი მდუმარების პერიოდში ეძლეოდნენ განმარტოებას. მაგრამ ორივეს საკითხთან დაკავშირებით სკიტისა და ნიტრიის უდაბნოების მოღვაწეთა შეხედულებანი მკვეთრად განსხვავებული აღმოჩნდა.

მე-6-7 სს-ში არაბმა მუსულმანებმა სრულიად გააპარტახეს ორივე უდაბნო. თუმცა, როგორც ჩანს, მომდევნო საუკუნეებშიც საგანუებში კიდევ იყო შემორჩენილი ბერთა. ეს იმით დასტურდება, რომ მე-9 ს-ში იმპერატორი მიხეილ II იცავდა სკიტის უდაბნოს განდევილებს არაბებისგან.

თეზაქონი. თეზაქონი სახელს ატარებდა მთელი სამხრეთი, ან, სხვაგვარად, ზემო ეგვიპტე, რომლის დედაქალაქიც ოდესღაც იყო ცნობილი თებე. ნილოსის დასავლეთ ნაპირზე თეზაქონი საკმაოდ კარგად იყო დასახლებული, მაგრამ მდინარის აღმოსავლეთი ნაპირი კლდოვანსა და ტრამაღ უდაბნოს წარმოადგენდა. სხვათა შორის, თეზაქონი იყოფოდა ორ ნაწილად: ჩრდილოეთ ანუ ქვედა თეზაქონად (სადაც იყო ლიკოპოლისი, კომანა და პისპერი) და სამხრეთ ანუ ზედა თეზაქონად (სადაც იყო ტაბუნა). თეზაქონიში ქრისტიანული ეკლესია საკმაოდ ადრე და მყარ საწყისებზე დააარსდა. დიოკლეტიანეს დროს თეზაქონის ქრისტიანები სასტიკად იდევნებოდნენ, მაგრამ ყოველივე უდიდესი სიმამაცით გადაიტანეს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თეზაქონი ეკლესიის ისტორიაში იმით, რომ აქ გაატარეს მოსაგრე ცხოვრება მონაზვნობის დამაარსებლებმა – წმ. ანტონი დიდმა და წმ. პახომიმ. მე-4-5 სს-ში აქ ჰყვავდა ბერთა. მაგრამ მე-6-7 სს-ში თეზაქონი გაანადგურეს არაბმა მუსულმანებმა. მაჰმადის მიმდევრებისათვის გაუგებარი იყო მონაზვნობის არსი და ისინი ყოველთვის უკიდურესი სისასტიკით ეპყრობოდნენ განდევილებს.

ლიპროპოლინი. ქალაქი ლიკოპოლისი მდებარეობდა ნაყოფიერ ხეობაში, ლიბიის მთების ძირში, რომლის უზარმაზარი კლდეები იფარავდნენ მას უდაბნოს სიღრმეებს. ამჟამად აქ არის ქ. იუზუფი, სადაც თავს იყრის აფრიკის სიღრმეებიდან წამოსული ყველა ქარავანი, აქაა მათი

საწყობები და გაცხოველებული ვაჭრობაა გაჩაღებული ეგვიპტესთან. შესაძლებელია, რომ ძველადაც ამ ქალაქს ასეთივე, სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც უნდა ყოფილიყო, ქალაქის ეპისკოპოსს, მელეტის (III ს.) შესწევდა ძალა, წინააღმდეგობა გაეწია ალექსანდრის არქიეპისკოპოსისათვის. ზოგიერთი საეკლესიო მწერალი ამ ვითარებას იმით ხსნიდა, რომ ლიკობოლისის კათედრა მეორე იყო ეგვიპტეში და მელეტის უწოდებდნენ არქიეპისკოპოსს. ეს დაპირისპირება ლიკობოლისელ ეპისკოპოსსა და ალექსანდრის არქიეპისკოპოსს შორის საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და წარმოშვა ალექსანდრის ეკლესიის ისტორიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი – მელეტეანელთა განხეთქილება.

პლამანა. ქვემო თებაიდის ეს უმნიშვნელო და პატარა სოფელი იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ აქ დაიბადა წმ. ანტონი დიდი და თავდაპირველად მის შემოგარენში ეწეოდა მოსაგრეობას. როცა ანტონი დიდმა გადაწყვიტა, გაჰყოლოდა სახარების რჩევას, დათმო კუთვნილი საკმაოდ ნოყიერი ყანები, 300 არურის ფართობისა, და თვითონ დაუნაწილა მე-ზობლებს, რომ შემდგომში მათ შორის დაფა არ ამტყდარიყო. სტრაბონი წერს, რომ ეგვიპტური ნომები იყოფოდა ტობარქებად, ეს უკანასკნელნი – არურებად, რაც გახლდათ მიწის უმცირესი ფართობი და შეადგენდა 200 კგ. მ-ს. აქვე დასძენს, რომ მინდვრების ზედმიწევნით ზუსტი დაყოფა აუცილებელი იყო იმის გამო, რომ ნილოსის კალაპოტიდან გადმოსვლა იწვევდა მიჯნების წალეკვას და მინდვრების სახის შეცვლას. აი, ამით აიხსნება ანტონი დიდის ქმედება.

პისპერი. 285 წ-ს. ანტონი დიდმა დატოვა საცხოვრებელი ადგილი, გადავიდა ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე და იქ, მიტოვებულ სიმაგრეში დაიწყო მოღვაწეობა. შემდგომში აქ გაჩნდა პატარა მონასტერი – პისპერი, სადაც ბერების, ანტონი დიდის მოწაფეთა, რაოდენობა აღწევდა 5000-ს. მათ შორის ცნობილია პაფნუტი, შემდგომში თებაიდის ეპისკოპოსი, რომელიც ესწრებოდა I მსოფლიო საეკლესიო კრებას. ადგილი, სადაც დგას მონასტერი, წარმოადგენს ნილოსზე დაკიდებულ, უზარმაზარ ქვიან კლდეს. ნილოსიდან სრულიად მიუვალი ამ კლდის ზედაპირი უმცენაროა. მონასტრის ირგვლივ მიდამო უსიცოცხლოა, არ ხარობს ბალახი, არსად წვეთი წყალი არაა. მდინარიდან წყლის ამოსატანად ბერებს კლდის მწვერვლიდან დიდი და სახიფათო გზის გავლა უნდებოდათ. ციცაბო კლდიდან, რომელზეც დგას მონასტერი, იშლება ვრცელი ხედი: ერთი მხრივ, ნილოსი უზამაზარ სივრცეზე, პალმებისა და ქალების

ორი მწვანე ზოლით; მეორე მხარეს – დასავლეთით – ბოლო არ უჩანს ლიბის უდაბნოს ქვიშას; აღმოსავლეთით, უშუალოდ მონასტრიდან გადაჭიმული სილოვანი მთების უსიცოცხლო ქედები არაბეთის ყურემდე აღწევენ. აი, ასეთი იყო ის ადგილი, სადაც მოღვაწეობდა ანტონი დიდი და სადაც დააარსა მან თავისი პირველი მონასტერი.

წმ. ანტონი დიდის მონასტერი. წმ. ანტონიმ კვლავ მოისურვა განმარტობა, დატოვა პისპერის მონასტერი და გავიდა შიდა უდაბნოში, ე.ი. არაბეთის ყურის ნაპირებისა და ნილოსის სათავისაკენ, პისპერიდან სამი დღის სავალზე. მივიდა ის 1000 ნაბიჯის სიმაღლის მთასთან და დასახლდა ამ მთის მღვიმეში. ეს მთა თითქმის მოუწვდომელია, დღეს აქ მომლოცველები აჰყავთ საბაგერო გზით. მთის მწვერვალიდან იშლება ვრცელი ხედი: აღმოსავლეთით, არაბეთის ყურის მიღმა – ქორები და სინაის მთა; სამხრეთით – თეზაიდის მთების ქედები; ჩრდილოეთით – მწირი ვაკე; დასავლეთით, სილიანის ზოლის მიღმა – ეგვიპტის ნაყოფიერი ველები. მთის ძირში მოედინება პატარა ნაკადული, მის მახლობლად იზრდებოდა პალმები და ალამაზებდა გარემოს. აი, აქ მოაწყო წმ. ანტონიმ პატარა სენაკი, სადაც მხოლოდ დაწოლა შეიძლებოდა, გააშენა ბაღი და ბოსტანი. ამჟამად აქ არის წმ. ანტონისა და წმ. პავლეს სახელობის პატარა მონასტერი, სადაც მოღვაწეობს 20 ბერი.

თავბნა. ზედა თეზაიდაშიც მრავლად იყო განდევილების მოღვაწეობისათვის მეტად მოსახერხებელი უდაბური ადგილები. თეზაიდის მეფეთა სასაფლაოების ხეობაში, ამბობს ერთი მწერალი, სიცოცხლე ჩერდება და სიკვდილი ნამდვილი დევიზია ამ აღუშფოთველი მდუმარებისა. უფრო პირქუშ ადგილს ვერ შეარჩევდნენ მეფეები სამუდამო განსვენებისთვის. ამ მეფეთა სასაფლაოების მახლობლად მდებარეობდა თაბუნა, კუნძული მდინარე ნილოსზე, ველური ტყით შემოსილი ადგილი, სადაც იზრდება საუკეთესო ფინიკი. აქ წმ. პახომიმ მოაწყო პირველი მონასტერი თავისი განსაკუთრებული სამონაზვნო წესდებით. შემდგომში წმ. პახომიმ, ღმრთის ნებით, აქვე დააარსა სხვა მონასტრებიც; და მათაც დაუდგინა მკაცრი წესდება. ყველა ეს მონასტერი, სულ ცხრა, ექვემდებარებოდა ერთ საერთო წინამძღვარს; მონასტრების ერთიანობა გამოიხატება იმაშიც, რომ წელიწადში ორჯერ ყველა მონასტრის ძმობა ერთად იყრიდა თავს, ერთხელ – პასექის სადღესაწაულოდ, მეორედ – აგვისტოში, საერთო ეკონომოსის წინაშე ანგარიშის წარსადგენად, აგრეთვე ახალი ბრძანების მისაღებად, და თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, ახალი

წინამძღვრების ასარჩევად. თაბენის მთავარ მონასტერს ეწოდებოდა პაბაუ. თაბენის მკვიდრნი სანიმუშო მკურნელებად იყვნენ ცნობილნი, მათი შრომის ნაყოფით დატვირთული გემები ხშირად მიემართებოდნენ ნილოსით ალექსანდრიისკენ. მე-4 ს-ში თაბენის მონასტრებში მოღვაწეობდა 1300 ბერი. ეს მონასტრები მონახულეს ათანასე დიდმა და კასიანე რომაელმა. ამ უკანასკნელმა აღწერა აქაური განდეგილების ცხოვრება დასავლეთის მოსაგრე ბერთათვის სანიმუშოდ.

ლიბნია. ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება აფრიკის ის ოლქი, სადაც ამჟამად არის ტრიპოლისი. აქ, ზღვისპირა ნაწილში იქადაგა მარკოზ მოციქულმა. გადმოცემით, აქ ყოფილა მოციქული იუდაც ან თადეოზი. უფრო სარწმუნოა, რომ ამ უკანასკნელმა იქადაგა სირიის ლიბანის მთებში. ჩანს, სახელების (ლიბია, ლიბანი) მსგავსებამ წარმოშვა გადმოცემაში ეს უზუსტობა.

ლიბიის სამხრეთი ნაწილი წარმოადგენს ქვიშიან, უკაცრიელ უდაბნოს და ითვლება საჰარის უდაბნოს დასაწყისად. აქ არსებობდა ლიბიის საგანე, სადაც მე-7 ს-ში იღვწოდა აბბა თალასი (†660 წ.). მაგრამ ლიბიის ჩრდილოეთი, ზღვისპირა მხარე უძველეს დროში მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. აქ იყო ორი ოლქი: პენტაპოლისი ანუ პირველი ლიბია და მარმორიკა ანუ მეორე ლიბია.

პენტაპოლისი. ეს ოლქი დასახლებული იყო ბერძნების მდიდარი კოლონიებით. ოლქში იყო ცხრა პატარა და ხუთი დიდი ქალაქი, საიდანაც წარმოიშვა კიდევ მისი სახელწოდება („პენტაპოლის“ ბრძნულად „ხუთ ქალაქს“ ნიშნავს).

პირენა. კირენა თავდაპირველად იყო ბერძნების კოლონია პენტაპოლისში, და ამ სახელის ქვეშ ხშირად მთელ პენტაპოლისს გულისხმობდნენ. გადმოცემით, ეს ქალაქი სპარტელ ბატონომოსს დაუარსებია. ის შემაღლებულ, ზღვიდან რამდენადმე დაცილებულ, მსხმიარე ზეგანზეა გაშენებული, აპოლონის წყაროსთან, საიდანაც მომდინარეობს ქალაქის სახელი („კრენე“ ბერძნულად „წყაროს“ ნიშნავს). ახლომდებარე ქვის საბადოები უზრუნველყოფდა ქალაქს საშენი მასალით, ამიტომაც აქ შენობები ქვისაა და უზარმაზარი. აქამდეა შემორჩენილი თეატრის, ნეკროპოლისისა და წყალსადენის კვალი. სავაჭრო თვაღაზრისით, კირენა აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოადგენდა იმასვე, რასაც დასავლეთში — კართაგენი. კირენას მოსახლეობა დიდ პატივს სცემდა

ბერძნულ განათლებას. რომის ბატონობის დროიდან აქ ბევრი იუდეველი გადმოსახლდა, რომლებიც მჭიდრო კავშირს არასდროს წყვეტდნენ იერუსალიმთან; აქ მათ ჰქონდათ თავიანთი განსაკუთრებული სინაგოგა და ემტყერებოდნენ ადგილობრივ ბერძნებს. იერუსალიმის დანგრევის შემდეგ აქ გამოიქცა იერუსალიმის შეიარაღებული ხალხი. კირენას მმართველმა ისარგებლა ბერძნების გაღიზიანებით და ანგარების მიზნით დააარბია ყველა მდიდარი იუდეველი. კიდევ უფრო დიდი არეულობა დატრიალდა კირენაში ადრიანეს დროს. აღშფოთებულმა იუდეველებმა დააარბიეს ათასობით ბერძენი, ხოლო რომაელმა ჯარისკაცებმა – ყველა იუდეველი.

კირენას სახელი არაერთხელ გვხვდება თავდაპირველი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში. სიმონ კვირინელი შეეშველა მაცხოვარს ჯვრის ზიდვაში. სულიწმინდის გარდამოსვლის დღეს დამსწრეთა შორის იყვნენ კირინელებიც. პირველმოწამე სტეფანემ კამათი გაუმართა იუდეველებს ალექსანდრიისა და კირენას სინაგოგებში. ქრისტიანობის პირველი მახარებლები ანტიოქიაში იყვნენ კვიპროსისა და კირენას მკვიდრნი. კირენაში, გადმოცემით, მარკოზ მოციქულმა იქადაგა. დიოკლეტიანეს დროს აქ იყვნენ წამებულები.

პტოლემეიდა. ქრისტიანობის პერიოდში პტოლემეიდა იყო პენტაპოლისის მთავარი ქალაქი. უფრო ადრინდელ ხანაში ამ ქალაქს უწოდებდნენ ბარკას; პტოლემეიდამ სახელწოდება უდავოდ პტოლემეოსებისაგან მიიღო. ქალაქი, კირენას მსგავსად, დაცლებული იყო ზღვის ნაპირიდან და განიცდიდა წყლის ნაკლებობას. ამის გამო ეს მნიშვნელოვანი ადგილი თანდათან იცლებოდა და უკაცრიელდებოდა. იუსტინიანეს დროს ამ ქალაქმა დაიბრუნა თავისი მნიშვნელობა, იმპერატორმა აქ შესანიშნავი წყალსადენები გაიყვანა. პტოლემეიდის მოსახლეობა, ალექსანდრიელთა მსგავსად, გამოირჩეოდა მეცნიერებისადმი სწრაფვით, და აქ გზოულობით როგორც ჭეშმარიტ, ისე – ცრუ ქრისტიანულ სწავლებას. აქ ცხოვრობდა სავლე, ანტიტრინიტარული მწვალებლობის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. პტოლემეიდაში ეპისკოპოსი იყო სეკუნდუსი, არიოზის უახლოესი მეგობარი და დამცველი. კიდევ ერთი ეპისკოპოსი იყო სინეზიონი, ჰიპატიას მოწაფე, შესანიშნავი საეკლესიო მწერალი და პენტაპოლისის ოლქის მოსახლეობის მფარველი ანდრონიკოს მმართველობის შევიწროებისაგან, რაც, მისივე სიტყვით, იყო საშინელი სასჯელი მოსახლეობისათვის მიწისძვრის, კალიების შემოსევისა და დაწყლულების შემდეგ, რადგანაც ამ იმპერატორმა ქვეყანაში შემოიტანა მანამდე გაუგონარი სასჯელის

სახეები: ფეხების გადატენვა, ყურების მოკვეთა, ენის ამოგლეჯა და მისთ. ეპისკოპოსმა სინეზიოსმა არა მარტო ამხილა, არამედ განკვეთა კიდეც ეს მმართველი ეკლესიიდან.

მარმარიპა იყო ლიბიის ჩრდილოეთი, ზღვისპირა ნაწილი, კირენასა და ალექსანდრიის ოლქებს შორის მდებარე. მარმარიკის ეპისკოპოსი თეონა, სეკუნდუსი პენტაპოლიელის მსგავსად, იყო არიოზის უახლოესი მეგობარი და დამცველი. იმპერატორ იუსტინიანეს დროს ლიბიის ოაზისი მიეკუთვნა მარმარიკას; და იმპერატორმა აქ რამდენიმე ეკლესია ააშენა.

ალექსანდრიის პატრიარქ დიოსკორეს გაუმაძღარი სისარბის აღსაწერად საეკლესიო მწერლებს შემდეგი მაგალითი მოჰყავთ: მის საპატრიარქოში შემაგალი ლიბია ცნობილი იყო, როგორც უნაყოფო, ღარიბი პროვინცია, სადაც ერიც და ბერიც ძნელად მოიპოვებდა პურს და ხშირად შიმშილით იხოცებოდნენ. ამის გამო ლიბიის ეპისკოპოსები შეთანხმდნენ, იმპერატორ თეოდოსისათვის სურსათით ყოველწლიური დახმარება ეთხოვათ, რათა ეკლესიებში ღარიბთა და გაჭირვებულთათვის დაერეგულირებინათ. მაგრამ დიოსკორემ, როგორც ლიბიის ეკლესიების მეთაურმა, გამოითხოვა სანოვაგის განაწილების უფლება. მიიღო რა მეფის ხაზინიდან პური, მითვისა ის, დააბინავა ბეღლებში და უმოსაგლო წლებში ჰყიდდა თავის სასარგებლოდ. ლიბიას არაფერი მიუღია.

ალექსანდრიის საპატრიარქოს მეზობელი ქვეყნებიდან ქრისტიანობა ძველ დროშივე მიიღეს აბისინიამ და სამხრეთ არაბეთმა.

აბისინია ანუ ეთიოპია ნილოსის ზემოწელში მდებარეობდა და მას თებაიდისგან ეგვიპტის რაიონი ჰყოფდა. ეს ქვეყანა მე-4 ს-ში გაანათლეს ეზანამ და ფრუმენტიუსმა. მისი მიტროპოლია იყო აფქსუმა. მე-7 ს-ში აბისინიის მცხოვრებლებმა ეგვიპტიანობა მიიღეს, შემდეგ ისინი არაბებმა დაიპყრეს. 727 წლიდან აქ კობტების იერარქია დაიწყო.

ბომბრიტამბი, სამხრეთ არაბეთის მკვიდრნი, თეოფილე ინდოელმა, აფქსუმის მეორე ეპისკოპოსმა, გაანათლა. გომერიტელ ეპისკოპოსთა შორის ცნობილია პავლე, რომელიც აბისინიის მეფე დუნაანმა მოკლა; ითანე, რომელიც იუსტინიანეს დროს მოღვაწეობდა; და წმ. გრიგოლი, მართლმადიდებლობის მოშურნე.



ანტიოქიის საბატონარქო.

ანტიოქიის საპატრიარქო

ანტიოქიის საპატრიარქოს შექმადგენლობაში შედიოდა რომის ცამეტი პროვინცია, რომლებიც უმეტესად ხმელთაშუა ზღვასა და სპარსეთს შორის იყო მოქცეული. ყველა ამ პროვინციას ეწოდებოდა „აღმოსავლური“, „აღმოსავლეთის“, ამიტომაც ეკლესიის ისტორიაში აღმოსავლეთის ეპისკოპოსების სახელის ქვეშ ანტიოქიის საპატრიარქოს ეპისკოპოსები იგულისხმებოდნენ. ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ფართობზე ვრცელდებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქცია, არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ საპატრიარქოს მთავარი პროვინციები, ფინიკია და სირია, ხმელთაშუა ზღვიდან ეგვიპტამდე იყო გადაჭიმული. მთლიანად ამ სივრცეზე განლაგებული იყო მხოლოდ ორმოცდათექვსმეტი დიოცეზი და, აქედან გამომდინარე, ანტიოქიის საპატრიარქოს ეპარქიები მნიშვნელოვნად ვრცელი იყო, ვიდრე იერუსალიმისა.

ანტიოქიის ეკლესია დაარსდა და აყვავებას მიაღწია ქრისტიანობის დასაწყისშივე. ანტიოქიამ დიდი როლი ითამაშა ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებასა და გაფრცელებაში. სწორედ აქედან დაიწყო პაპლე მოციქულმა მისიონერული მოგზაურობა და ძალე წმ. ეგნატე ანტიოქიელიც საზეიმოდ გაჰყვა მის კვალს – მცირე აზია, საბერძნეთი, რომი – რათა წამებით აღსრულებულიყო.

მისი უსამღვდელოესობა პორფირი ამგვარად წარმოსახავს სირიელთა წვლილს ქრისტიანობის გაფრცელებაში: „ქრისტიანობის პირველ საუკუნეში სირიელები გაცხოველებულ საქმიანობას ეწეოდნენ, განსაკუთრებით რომში. ყოველგვარ პატარა ხელობას მისდეგდნენ, როგორცაა მოედნის მოვლა, ვაჭრობა, მებარგულობა. სირიელი ყველგან იყო მიღებული და თან ატარებდა საკუთარ ენასა და სამშობლოდან გამოყოფილ ზნე-ჩვეულებებს. მას არც ძალა გააჩნდა, არც – ეგროპელის მედიდურობა; სუსტი სხეულით, ფერმიხდილი, ხშირად ციებ-ცხელებით გათანგული, იქ იძინებდა, სადაც უღამდებოდა. ნივრითა და გოვრით ნაკვები იშვიათად აღწევდა სიბერეს. მისი სულიერი თვისებები იყო: უწყინარობა, თავმდაბლობა, გულკეთილობა, ალერსიანობა და სიმარჯვე, საქმეში მუყაითობა და, ამასთან, შექმნარაფობა. სირიელი არასოდეს დაკავებულა პოლიტიკით, მაგრამ რელიგიურ საქმეებში ყველაზე ცოცხალ მონაწილეობას იღებდა. მათ მიუტანეს და აუწყეს სახარება სულით გლახაკებს,

გულით მგლოვარეებს, სიძარტლეს მოწყურებულებს ფინიკიაში, მესობოტამიაში, სპარსეთში, ინდოეთსა და ჩინეთშიც კი. სადაც კი დაადგამდა ფეხს, ყველგან იყო კეთილი და მიმტკეპელი, ხელგაშლილი ნათესავებთან და მისაწვდომი ყველა ღარიბისათვის. ის ესაუბრებოდა მონებს და თავშესაფარს უყოფდა მათ, ბატონებისგან ჩაგრულნი მასთან პოულობდნენ მცირე ნუგეშს. ბერძნები და ლათინები, როგორც ერი, მოწოდებულნი იყვნენ მბრძანებლობისა და დიდი საქმეების აღსასრულებლად, ისინი მონებს ვერ ექცეოდნენ სამართლიანად და მოწყალედ. ამიტომ იყო, რომ მონები ხშირად ილაშქრებდნენ მათ წინააღმდეგ და ყოველგვარი უზნეობით ვნებდნენ და სამაგიეროს უხდიდნენ მათ. გულკეთილი სირიელი კი არასოდეს უმტრობდა ვინმეს, იტანდა ყოველგვარ დამცირებასა და უბატობას, მხოლოდ ეწადა, მოეხვეჭა ბატონის კეთილგანწყობა, იცოდა მასთან ლაპარაკი, შეეძლო ქალბატონის გულის მოგებაც. ამგვარად, ეს დემოკრატი ცოტ-ცოტაობით არღვევდა ძველი არისტოკრატიის ქსოვილის თვლებს და მის მოქალაქეობრივ თავმოყვარეობას. ძველი სახელმწიფოები, რომლებიც ეფუძნებოდნენ ტომთა უთანასწორობას, მაღალთა ზიზღის მდაბალთა მიმართ, მონობას, სამხედრო და პოლიციის ძალას, განადგურდნენ, თუმცა კი სამი საუკუნის მანძილზე ებრძოდნენ ქრისტიანულ დემოკრატიას, რომლის უძღურებაშიც მოქმედებდა ძალა ღმრთისა. რომის დიდებულებს სწყინდათ, ღიზიანდებოდნენ, როდესაც ხედავდნენ ასეთ მდაბიოებს, სირიელ-იუდეველ-ქრისტიანებს, რომლებიც ბედავდნენ, ერწმუნათ ღმერთი, ჰყვარებოდათ ის და ჰქონოდათ მისი იმედი. ასეთი „საზიზღარი ხალხის“ დაღუპვას კეთილ საქმედ მიიჩნევდა ისტორიკოსი ტაციტუსიც: Si interissent, vile damnum.¹ მაგრამ სხვაგვარად იყო გად-აწყვეტილი ზეცაში. სირიელმა, ღარიბმა კაცმა, თავისივე მსგავს უბოვართა მოყვარულმა და გულდიაიმ, გაიმარჯვა, რომის დიდებულებმა კი მარცხი იწვნიეს, რადგანაც არ იცოდნენ სიბრაღული სულით გლახაკთა, გულით მგლოვარეთა, მშვიდთა, რომელთაც სახარებამ აღუთქვა ნუგეში,

1 რომაელი ისტორიკოსის, ტაციტუსის „ანალების“ II წიგნის 85-ე თავში ვკითხულობთ: „იყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ აკრძალულიყო ეგვიპტური და ებრაული თავყვანისცემა და სენატმა გამოსცა კანონი, რომ მონობიდან გათავისუფლებულ პირთაგან ამ ცრურწმენით დაავადებული ოთხი ათასი კაცი, სამხედრო ასაკისა, კუნძულ სარდინიაზე გადაეყვანათ, რათა ჩაეხშოთ ამ ადგილას გავრცელებული ყაჩაღობა. და თუ ისინი მავნე კლიმატით დაიხოცებიან, იაფი შესაწირავია.“ ეს ბოლო ფრაზა: si interissent vile damnum (დიდი რამე, თუ დაიხოცებიან) ცნობილი გახდა, როგორც ადამიანის სიცოცხლის არად ჩაგდების აღმნიშვნელი. საზოგადოდ, ტაციტუსი თავის ნაშრომში უფრო ანტისემიტად გვევლინება და ნაკლებად ეხება ქრისტიანობას, სავარაუდოდ, ქრისტიანულ რელიგიას იუდაიზმის ერთ-ერთ სექტად მიიჩნევდა (რედ. შენ).

სასუფეგელი ცათა და მიწიერი კეთილდღეობაც.“

ანტიოქიის ეკლესია დეგნის ხანაში მტკიცედ აღვა თავის მრწამსს და კიდევ უფრო გაძლიერდა. გაკვირვებულად აღვნიშნავთ, რომ მე-3 საუკუნის რომის იმპერატორები – ელაგაბალუსი (იგივე ჰელიოგაბალუსი), ალექსანდრე სევერუსი და ფილიპე არაბი,² რომლებიც რჯულშემწყნარებლობით ექცეოდნენ ქრისტიანებს, წარმოშობით სირიელები იყვნენ.

როდესაც მე-4 საუკუნეში იულიანემ³ ანტიოქიის ოლქებში იმოგზაურა, იხილა მოსახლეობის სრულიად გულგრილი დამოკიდებულება წარმართული კერძთმსახურებისადმი, ნიზიბიას მან შეგნებულად აუარა გვერდი, ვინაიდან ის მთლიანად ქრისტიანული იყო, და მხოლოდ დამასკოს მცხოვრებთა წარმართული კულტისადმი თავდადებას მოჰგვარა სიამე. ანტიოქიის ეკლესიამ წარმოშვა დიდი მამები, ეკლესიის მასწავლებლები და საეკლესიო მწერლები – წმინდანები: ეგნატე ანტიოქიელი, იოანე ოქრობირი, ეფრემ ასური, იოანე დამასკელი და მრავალი სხვა. მეორე მხრივ, ანტიოქიის საბატრიარქოზე საუბრისას ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ქრისტიანობას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა და სხვადასხვა სახის ერეტიკოსი უბირისპირდებოდა. გაგისხენოთ ლუკიანე სამოსატელი, პავლე სამოსატელი, სირიელი გნოსტიკოსები, აპოლინარი ლაოდიკიელი,

2 ელაგაბალუსი – მარკუს ავრელიუს ანტონიუს ავგუსტუსი, რომის იმპერატორი 218 – 222 წწ-ში, სევერუსთა დინასტიის წარმომადგენელი სირიელ არისტოკრატთა გვარიდან. ყმაწვილობაში გახდა ფინიკიური მზის ღმერთის, ელაგაბალის, ქურუმი. დიდი დარტყმა მიაყენა რომის ოფიციალურ რელიგიას სხვადასხვა კულტის შემოტანით, განსაკუთრებით საშინელი იყო ადამიანთა მსხვერპლშეწირვა, რასაც მთელს იტალიაში აღასრულებდნენ. გამოირჩეოდა გაუგონარი გარყვნილებით. ჯარისკაცები აუჯანყდნენ ახალგაზრდა შემლილ იმპერატორს და დედასთან ერთად მოკლეს.

ალექსანდრე სევერუსი – რომის იმპერატორი 222 – 235 წწ-ში. ცამეტი წლის ასაკში ავიდა ტახტზე, იბრძოდა სამხრეთით სასანიდების საპარსეთისა და ჩრდილოეთით – გერმანული ტომების წინააღმდეგ. აჯანყებულმა ლეგიონერებმა ისიც დედასთან ერთად მოკლეს. თუმცა, მისი მომდევნო იმპერატორის, მაქსიმიანეს, ჩამოგდების შემდეგ სენატმა იგი ღვთაების რანგში აიყვანა.

ფილიპე არაბი – მარკუს იულიუს ფილიპუსი, რომის იმპერატორი 244 - 249 წწ-ში. წარმოშობით სირიელი, დაბადებულია რომის პროვინცია არაბეთში, იყო პრეტორიანელთა პრეფექტი იმპერატორ გორდიანუსთან, რომლის სიკვდილის შემდეგ ავიდა ტახტზე. ფილიპეს ხვდა წილად, აღვნიშნა რომის დაარსების ათასი წლისთავი, რაც დიდი ზეიმით ჩატარა. ევსევი კესარიელი მიიხედავს, რომ ფილიპე რომის პირველი ქრისტიანი-იმპერატორი იყო, მოგვიანო ისტორიული წყაროებიც ამასვე ამტკიცებენ და საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ რომის ათასი წლისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე მას წარმართული მსხვერპლშეწირვა არ აღუსრულებია. ფილიპე დაიღუპა უზურპატორ დეციუსთან ბრძოლაში (რედ. შენ.).

3 იგულისხმება იულიანე განდგომილი – ფლავიუს კლაუდიუს იულიანუს ავგუსტუსი (ჩვ.წ. 332-363), ქრისტიანობის მოძულე იმპერატორი, რომელიც შეეცადა წარმართობის რესტავრაციას. (რედ. შენ.)

გაგნისნით ისიც, რომ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ერესი, რომელიც მე-5 საუკუნის ეკლესიაში გაჩნდა, ნესტორიანელობა, წარმოშობასა და გაძლიერებას ანტიოქიის ოლქში მცხოვრებ მწერლებს უნდა უმაღლოდეს, და თავად ნესტორიც წარმოშობით სირიელი იყო. ნესტორიანელობა ანტიოქიის საპატრიარქოსთვის ისეთივე ადგილობრივი მწვალებლობა შეიქნა, როგორც არიანელობა და მონოფიზიტობა – ალექსანდრიისათვის. როგორც ალექსანდრიის საპატრიარქოში კობტურმა მოსახლეობამ მიიღო მონოფიზიტობა, ხოლო მართლმადიდებლებად მხოლოდ ბერძნები დარჩნენ, ანტიოქიის საპატრიარქოშიც ბერძნებმა შეინარჩუნეს მართლმადიდებელობა და სირიელებმა კი მიიღეს ნესტორიანელობა, ნაწილიც სპარსეთში გადავიდა.

ანტიოქიის საპატრიარქო ოლქები, რომლებიც რომის სამფლობელოებსა და სპარსეთის საზღვრებს შორის იყო მოქცეული, გამუდმებით ომის თეატრად ქცეულიყო. მათ ხშირად სპარსელები იპყრობდნენ და მე-7 საუკუნეში მაჰმადიანების უღელქვეშ აღმოჩნდნენ. აი, რამდენიმე სტრიქონი, რომელიც ასახავს ანტიოქიის საპატრიარქოს მდგომარეობას ძველი დროიდან დღემდე: „ანტიოქიის საპატრიარქო ტახტი, ერთ-ერთი უძველესი აღმოსავლეთში, დიდი ხანია, აღარ არის საკუთრივ ანტიოქიისა, რადგანაც ქალაქ ანტიოქიის დაკნინებამ და დაცარიელებამ და ადგილობრივ მთავრობასთან სიხლოვის აუცილებლობამ ეკლესიისა და ხალხის უსაფრთხოებისათვის, აიძულეს ანტიოქიის პატრიარქები, თავიანთ მუდმივ ადგილსამყოფელად დამასკო აერჩიათ, მთელი სირიის სახელმწიფოებრივი ცენტრი. ამიტომ უფრო უპრიანი იქნებოდა, ეს საპატრიარქო დამასკოს საპატრიარქოდ წოდებულიყო, ვიდრე ანტიოქიისად. მაგრამ ანტიოქიის უწინდელ დიდებას, სადაც ქრისტეს მცნებათა მიმდევრებმა პირველებმა დაირქვეს ქრისტიანები, ისეთი განუზომელი ხიბლი აქვს აღმოსავლეთის ქრისტიანთა თვალში, რომ ისინი დიდი მოწიწებით უწოდებენ ამ კურთხეულ სახელს საკუთარ საპატრიარქოს. სწორედ ასევე, ანტიოქიის ტახტის ეპარქიები ტიტულულებად იმ უძველესი ქალაქების სახელებს ატარებენ, რომლებიც დიდი ხანია, ადგილიან მიწის პირიდან.

ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქი ატარებდა ტიტულს: „პატრიარქი დიდისა ღმრთის ქალაქისა ანტიოქიისა, სირიისა, არაბეთისა, კილიკიისა, იბერიისა, მესოპოტამიისა და სრულიად აღმოსავლეთისა“. მაგრამ ნაწილი ამ ტიტულებისა მხოლოდ წარსულის სევდიანი მოგონებადია, ვინაიდან ყველა იმ ეპარქიიდან, რომლებიც ანტიოქიის საპატრიარქოს ეკუთვნოდა, ამჟამად მხოლოდ ჩვიდმეტი დარჩა“.

უძველეს ხანაში ანტიოქიის საპატრიარქოში შედიოდა შემდეგი პრო-

ვინციები: *არაბეთის* პროვინცია, რომელიც ესაზღვრებოდა დამასკოსა და პალესტინას; *ფინიკიისა და სირიის* პროვინციები ხმელთაშუა ზღვასთან და ლიბანზე; *კილიკიისა და ისაფრიის* პროვინციები მცირე აზიაში და ხმელთაშუა ზღვასთან; *ეფფრატისა და მესოპოტამიის* პროვინციები მდინარეების – ეფფრატისა და ტიგროსის – ოლქებში.

არაბეთის პროვინცია

ანტიოქიის საპატრიარქოს უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა რომის იმპერიის პატარა პროვინცია არაბეთი, რომლის სახელწოდება, რა თქმა უნდა, უდიდესი არაბეთის ქვეყნის მომიჯნავედ ყოფნამ განაპირობა. ეს პროვინცია იყო დამასკოსა და პალესტინას შორის, ძალიან ახლოს დამასკოსთან. როდესაც „საქმე მოციქულთაში“ ვკითხულობთ, რომ პავლე მოციქული დამასკოში ნათლისღების შემდეგ არაბეთში გაფიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ დამასკოს მოსაზღვრე არაბეთზეა აქ ლაპარაკი და არა – დიდი არაბეთის ნახევარკუნძულის შესახებ, სადაც იყო მექა და მედინა.⁴ სწორედ ამ არაბეთის მკვიდრი გახლდათ რომის იმპერატორი ფილიპე. იგი ამ პროვინციის ერთი პატარა სოფლიდან გამოვიდა და როდესაც ტახტზე ავიდა, ეს სოფელი ქალაქად აქცია, და უწოდა მას ფილიპოპოლისი საკუთარი სახელის სადიდებლად. იუსტინიანეს დროს არაბეთის პროვინცია გადაეცა იერუსალიმის საპატრიარქოს.

ბოსტრა. ბოსტრა, რაც ებრაულად „ბანაკ“ ნიშნავს, წარმოადგენდა მთაბელთა უძველეს ქალაქს, რომელსაც ახსენებენ ბტოლომეუსი და სტრაბონი, თუმცა არაფერს გვატყობინებენ მისი მდგომარეობის შესახებ. რომის ბატონობის ხანაში ამ პატარა მთაბიტური ქალაქის ადგილზე წარმოიქმნა რომის კოლონია, რომელსაც ეწოდა ახალი ტროა, ალექსანდრე სევერუსის დროს – ალექსანდრიის ტროა. მე-4 ს-ში ამიანუს მარცელინუსი⁵ ბოსტრას არაბეთის მნიშვნელოვან ქალაქებს მიაკუთვნებს,

4 მექა და მედინა – მუსლიმთა წმინდა ქალაქები, მათი მომლოცველობის ცენტრი. დელამიწის რომელ კუთხეშიც უნდა იყოს მუსულმანი, ლოცვისას მექასკენ პირშექცევით ღვება (რედ. შენ.).

5 ამიანუს მარცელინუსი – მე-4 ს-ის რომაელი ჯარისკაცი და ისტორიკოსი (რედ. შენ.).

ხოლო მე-8 ს-ში იმპერატორ ლეონის ნოტიციებში ბოსტრას არაბეთის მიტროპოლია ეწოდება. ქრისტიანული ეკლესიის დაარსება ბოსტრაში მიეკუთვნებოდა მოციქულთა ხანას და ამ ქალაქის პირველ ეპისკოპოსად მიჩნეულია წმ. ტიმონი, ერთი შვიდ დიაკონთაგანი. მის გვიანდელ ეპოსკოპოსთაგან განსაკუთრებით ცნობილია ბერილუს ბოსტრელი, რომელიც მე-3 საუკუნეში მოღვაწეობდა და თავისი ცხოვრებისა და განსწავლულობის გამო დიდი პატივისცემით სარგებლობდა. თუმცა მოგვიანებით ანტიტრინიტარების მწვალებლობაში ჩაგარდა და ამ ერესის ერთი გამომჩენილი წარმომადგენელი გახდა. ბერილუსთან სასაუბროდ საგანგებოდ იყო პალესტინიდან მოწვეული ალექსანდრიის ეკლესიის უდიდესი მეცნიერი ორიგენე, რომელმაც გამომწვლილგით დაუმტკიცა ბერილუსს მისი მცდარობა. ცნობილია არიან, აგრეთვე, ეპისკოპოსები: ტიტე, სახარების განმმარტებელი და მანიქეველთა განმაქიქებელი – მე-4 ს; ანტიპატროსი, ორიგენეს ირგვლივ გამართულ კამათებში მონაწილე; იულიანე, სევერუსის მამხილებელი, მე-6 ს-ის მოღვაწე.⁶

დასავლეთის პროვინციები

ჰინიკია. ფინიკიის პროვინცია („ფინიკის პალმების ქვეყანა“) მოიცავდა უძველეს ფინიკიას, ვიწრო ზღვისპირა მიწის ზოლს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე (პირველი ფინიკია), და ლიბანის მთიან ქვეყანას – უძველეს დამასკოსა და პალმირას სამეფოებს (მეორე ანუ ლიბანის ფინიკია). ვებერის აღწერილობით, ეს მხარე გამოირჩეოდა საოცარი ცვალებადობითა და ფორმების მრავალსახეობით. ზღვის ვიწრო ზოლი, თითქოს, თავად ისტუმრებდა მოსახლეობას ღია, უკიდევანო ზღვებისკენ. ყურეებითა და კონცხებით დაცული შესანიშნავი ნავმისადგომები ხელს უწყობდა ზღვაოსნობას. ლითონისა და სამშენებლო ტყის სიუხვე კი ავითარებდა ვაჭრობას, რაც კაცობრიობას ამ ადგილას პირველად გაეხსნა მთელი თავისი დიდებულებით. ღრმა ხეობებისა და მთის ფერდობების ნაყოფიერება პურის, ყურძნის, ბოსტნეულისა და ხილის მოყვანას

6 ისტორიული ბოსტრა დღევანდელი ქალაქი ბოსრაა სამხრეთ სირიაში; წარმოადგენს ქვეყნის მთავარ არქეოლოგიურ ტრიტორიას რომაული, ბიზანტიური და მუსულმანური პერიოდების ძეგლებით. განსაკუთრებით კარგადაა შემორჩენილი რომაული თეატრი, სადაც ყოველწლიურად ეწყობა ეროვნული მუსიკის ფესტივალი. 1980 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შედის (რედ. შენ.).

უადგილებდა კაცს, ხოლო მთის მშვენიერი იალაღები მწყემსურ ყოფას ხდიდა საამოს. ფინიკიის ნაპირი, მისი ზღვისა და მთის ჰაერის შეზავებით, ზღვაოსნობითა და მთიან მხარეში ცხოვრებით, სრულიად საპირისპირო იყო აღმოსავლეთის პაპანაქების დამასუსტებელი ზეგავლენისა; ის იმ სტიქიებს აერთიანებდა, რომლებიც ხალხის სასიცოცხლო ძალას მხეობასა და სიქორფეს ჰმატებს. თუკი ზღვა შორს გიწვევდა და მისი ტალღები ხალხის მოძრავსა და საქმიან ბუნებას აძლევდა ბიძგს, მთის მკაცრი მხარე და ხეობების ჩაკეტილობა უფრო მარტივი და ზომიერი ცხოვრებისაკენ მიგიწიდავდა, განამტკიცებდა ერთგულებას იმისადმი, რაც უხსოვარი დროიდან მეძვედრეობით მიგიღია წინაპართაგან.

ფინიკიის სანაპირო 200 კმ-ზე იყო გადაჭიმული, ხოლო სივანით – 30-35-ზე. ისე ერთიანად იყო დაფარული ქალაქებით, რომ ეს ზღვისპირა მხარე ერთ გრძელ ქალაქს წააგავდა, მდიდარს, ძლიერს, საქმიანი ხალხით დასახლებულს. ფინიკიელთა ნაწარმიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: სიდონის ქსოვილი, შეღებილი საქონელი – ტირისის ძოწეული, მუქწითლად ნაღები შალისა და სელის ქსოვილი, რომლის საღებავსაც ძოწის ნიჟარიდან მოიპოვებდნენ; ასევე, სხვადასხვა ნიჟარიდან და მცენარეული წვენიდან დამზადებული საღებავებით სხვა ფერებად ნაღები ქსოვილები და მინის ნაკეთობანი.

რელიგიური ცნებების შექმნაზე სხვა ხალხების მსგავსი მოშურნეობით ფინიკიელებს არ უზრუნიათ. მათი ღმრთისმსახურება აერთიანებდა ნაწილობრივ უზნეობას, ნაწილობრივ – სისხლიან სისასტიკეს, და უძალავსორცობასთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ვნებებისა და სისასტიკის მოთოკვასთან. მდიდარი ფინიკიელი ვაჭრები უკიდურესად გარყვნილები იყვნენ, მოგებასა და სიმდიდრის დაგროვებაზე მიმართული მათი ცხოვრება მოკლებული იყო ღრმა ზნეობრივ საფუძველს. ლიბანში მრეწავი ფინიკიელების გვერდით ცხოვრობდნენ მებრძოლი, ყაჩაღი ტომები – ითურიელები, სიკარიელები და სხვ. ბაალისა და ასტარტეს თაყვანისცემის წეს-ჩვეულება სრულდებოდა ავსორცობითა და გარყვნილებით. მაგრამ კიდევ უფრო აღმაშფოთებელი იყო წეს-ჩვეულებანი, რომლებიც აერთიანებდა მოლოქის – თმის გამანადგურებელი ძალებისა და ცეცხლის ღმერთის, და შუბოსან ქალწულ ასტარტეს თაყვანისცემას. მძლავრი და მრისხანე მოლოქის გულის მოსალობად სწირავდნენ ბავშვებსა და ყმაწვილებს, ხელებს აწყობინებდნენ ნაკვერცხლებზე და მათ გმინვას ფლეიტებისა და დაფდაფების ხმაურით ანშობდნენ; ხოლო ქალწულ ასტარტეს სწირავდნენ ქალწულებს და ზეიმის გნაისში მისი ქურუმები თავგამოდებით იშოლტავდნენ და იმანინჯებდნენ საკუთარ სხეულს. ასე-

თი იყო ფინიკია უფრო მოგვიანო ხანაშიც.

ფინიკიის ქვეყანა, ამბობს ამიანუს მარცელინუსი, ხიბლითა და მშვენიერებითაა სავსე, მორთული დიდებული და ლამაზი ქალაქებით. ზღვისპირა ფინიკიის საეპარქიო ოლქები, პალესტინის მსგავსად, მცირე ზომისა უნდა ყოფილიყო. აქ სულ თერთმეტი საეპისკოპოსო ქალაქი იყო. ცოტა უფრო დიდი იყო საეპისკოპოსო ოლქები მეორე, ანუ ლიბანის ფინიკიაში, სადაც მხოლოდ ცხრა საეპისკოპოსო ქალაქი არსებობდა გაცილებით დიდ ტერიტორიაზე.

ტვირ(უ)ნი იყო ფინიკიის მთავარი ქალაქი. მას, ასევე, უწოდებდნენ „სურს“, საიდანაც მიიღო სახელწოდება მთელმა ქვეყანამ. „ტვიროსი“ ნიშნავს „ნაპირს.“ სიღონელების მიერ უძველეს ხანაში, ქრისტემდე მე-13 საუკუნეში (ანუ იესუ ნავეს დროს), ზღვის ნაპირზე აშენებული ქალაქი აღმოსავლეთით მეოთხედი საათის სავალზე იყო გადაჭიმული. 586 წ-ს. ქრისტემდე ქალაქი დაანგრია ნაბუქოდონოსორმა და მოსახლეობა გადავიდა მოპირდაპირე კუნძულზე. ფინიკიური სიტყვა „სური“ ნიშნავს „კლდეს“: ის კუნძული, რომელზეც დაარსდა ტვიროსი, ჩაქუნის ფორმის შიშველ კლდეს წარმოადგენდა, რომლის ყელი აერთიანებდა ხმელეთს კუნძულთან. პლინიუსის გადმოცემით, კუნძული 25 კმ-ის გარშემოწერილობისა იყო, ყელის სიგრძე 3 კმ-ს აღწევდა. თავად კუნძულზე მდებარე ქალაქი 3,5 კმ-ის წრეზე იყო გაშენებული. ნაპირის მხრიდან ახალი ტვიროსი და მისი შიდა ნავსადგურები, რომელთაგან ერთს ეგვიპტისა ეწოდებოდა, მშვენივრად იყო დაცული. ყურეს ორივე მხრიდან კედელი და კოშკები სდარაჯობდნენ, წყალს რომ გადმოჰყურებდნენ ზემოდან, და თმის შემთხვევაში ნავსადგურის შესასვლელი ჯაჭვებით იხერგებოდა. ქალაქი ტვიროსი ძველად ძალიან მდიდარი და გამაგრებული იყო, სიმდიდრის წყარო იყო ვაჭრობა და ტვიროსელთა მიერ ყველაზე შორეულ ქვეყნებში დაარსებული მრავალი კოლონია. ტვიროსელი ვაჭრები, წინასწარმეტყველ ესაიას თქმით, იყვნენ „სასახელო წარჩინებულნი ქვეყნისა.“ მათი ყველაზე შესანიშნავი კოლონია იყო კართაგენი ჩრდილოეთ აფრიკაში. იესუ ნავე ტვიროსს კერკეტ ქალაქს უწოდებდა. ქალაქის სიმაგრეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ნაბუქოდონოსორს თორმეტი წლის მანძილზე ჰქონდა მოქცეული ალყაში ქალაქი, ალექსანდრე მაკედონელი კი შვიდი წელი ცდილობდა მის აღებას. რაც შეეხება ზნეობასა და რელიგიას, ის ტვიროსში განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა. იუდეველი წინასწარმეტყველები ამ ქალაქს ზშირად უწოდებენ „მრუშს.“ წარმართობა ტვიროსში ერთობ ძლიერი

იყო, თაყვანისცემის საგნებად აქ უმთავრესად ჰერკულესი და აბოლონი გვევლინებოდნენ. ტვიროსის მდგომარეობის შესახებ მე-2 ს-ში ქრისტეს შემდგომ სტრაბონი აღნიშნავს: „სიდონის შემდეგ ყველაზე დიდი და გამართული ქალაქი ფინიკიაში არის ტვიროსი, ერთიცა და მეორეც ახლაც და ძველადაც ერთნაირად დიდებული იყო, ვინაიდან ერთიცა და მეორეც ფინიკიის მეტროპოლიად იწოდებოდა“. ფილონის სიტყვით, მეტროპოლიის უფლებები ტვიროსს ებოძა ადრიანეს დროს ტვიროსელი თრატორის, პავლეს შუამდგომლობით.

იქსო ქრისტე მიწიერი ცხოვრების დროს ეწვია ტვიროსს და იქაური ხალხიც მიდიოდა პალესტინაში მისი სწავლების მოსასმენად. „საქმე მოციქულთას“ მოწმობით, პავლე მოციქული ანტიოქიიდან იერუსალიმში მგზავრობის დროს გაჩერდა ტვიროსში და იქ შეიდი დღე და-ჰყო. „ხოლო ისინი, სულით აღძრულნი, უშლინენ პავლეს იერუსალიმში ასვლას (მოც. საქ. 21.3,4)“. კლიმენტინებში ჩაწერილი ეკლესიის გადმოცემით, კესარიიდან ანტიოქიაში მიმავალი პეტრე მოციქული ტვიროსში შეჩერდა და იქ ყოფნის რამდენიმე დღეში ქრისტეს სჯულზე დიდძალი ხალხი მოაქცია, დააარსა ეკლესია და ერთ-ერთი თანმხლები პრესვიტერი ეპისკოპოსად დაადგინა. ამიტომაც, რომ, ნათქვამია კლიმენტინებში, ტვიროსი ეკლესიურად იყო არა მხოლოდ ანტიოქიის საპატრიარქოს მეტროპოლია, არამედ პირველსაყდარიც. ტვიროსის საეპისკოპოსოს თავად ოლქი საკმაოდ დიდი იყო და შეადგენდა 35 კმ-ს ორივე მიმართულებით. დევნის ხანაში ტვიროსის მკვიდრი მრავალი ქრისტიანი მოწამეობრივად აღესრულა. ასე მაგალითად, აქ 306 წელს ევნო ახალგაზრდა ულანოსი, დიოკლეტიანეს დროს ას თომოცდათექვსმეტი ქრისტიანი აწამეს, ხოლო 313 წ-ს. მოაკვდინეს ეპისკოპოსი მეთოდი ტვიროსელი, ცნობილი საეკლესიო მწერალი, ადრე ქ. ოლიმპიადის ეპისკოპოსი. ტვიროსში გარდაიცვალა ორიგენე, რომლის საფლავს მე-9 საუკუნეშიც უჩვენებდნენ აქ.

რადგანაც ტვიროსელები მოვაჭრე ხალხი იყო და ბევრგან დაედგათ ფეხი, საგნებით შესაძლებელია, რომ ქრისტიანობის გაგრძელებაშიც მიეღოთ მონაწილეობა. სხვათა შორის, აბსინიაში ქრისტეს მოძღვრება ტვიროსელებს შეუტანიათ, რამდენადაც ქრისტიანი ფილოსოფოსი მარონიუსი და მისი ორი მოწაფე ედესოსი და ფრუმენტოსი წარმოშობით ტვიროსიდან იყვნენ. კიდევ ერთ რამესაც შევნიშნავთ: ძველი აღთქმის ხანაში ტვიროსელები მისმარებიან იუდეველებს სოლომონის ტაძრის მშენებლობაში. ახალი აღთქმის ხანაშიც პირველი შესანიშნავი ტაძარი კონსტანტინე დიდის დროს ააშენა ტვიროსის ეპისკოპოსმა პავლინუსმა

და 314 წელს დიდი წყივით აკურთხა. ეგსევი კესარიელი დაწვრილებით აღწერს ტვიროსის მეთრე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულ ტაძარს, რომელიც მან 335 წ-ს. აკურთხა, და აქ შედგა კრება ათანასე აღექსანდრიელის საქმეზე.⁷

სიღონი. ტვიროსიდან ჩრდილოეთით, 35 კმ-ში, მდებარეობდა უძველესი ქალაქი სიღონი. სიღონი იმდენად ამაღლებული იყო ფინიკიაში, რომ, ჩვეულებრივ, სიტყვა „სიღონური“ „ფინიკურთან“ იყო გაიფიქრებული. ძველი აღთქმის წმინდა წერილში ამ გაგებით გვხვდება გამოთქმები: სიღონის ღმერთები, სიღონის ენა, სიღონის ქსოვილები. მოციქულთა დროს სიღონი ტვიროსის უტოლდებოდა. სტრაბონი ასე ამბობს მათზე: „ორივე ქალაქი ცნობილია და ბრწყინვალე დღესაც; რომელი უნდა ითვლებოდეს ფინიკიის მთავარ ქალაქად, სადაგოდ რჩება“. სიღონელები რელიგიის ჭეშმარიტ სიტყვას იოლად ითვისებდნენ (მათ. 15, 21; ლუკ. 16, 17-19; მათ. 11, 21). მაცხოვარი სტუმრობდა ტვიროსსა და სიღონს, იქ მან განკურნა ქანაახელი ქალის შეპყრობილი ვოგონა. ჭეშმარიტებას დაწაფებული სიღონელები და ტვიროსელები თავად მიდიოდნენ უფალთან მოძღვრების მოსასმენად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობა სიღონში თავიდანვე გაგრცელდა. მაგრამ შემდგომში სიღონმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მე-9 ს-მდე მისი მხოლოდ რვა ეპისკოპოსის სახელი არის შემორჩენილი.⁸

ბერიოი, ამაჟამად ბერიუთი. ეკლესიურად კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ფინიკიის სანაპირო ქალაქი ბერიოთი, რომელიც სიღონიდან ჩრდილოეთით, 40 კმ-ში მდებარეობს. სტრაბონის გადმოცემით, ეს უძველესი ქალაქი ოდესღაც (ვარაუდით 140 წ-ს. ქრისტემდე) ტრიფონ ტირანის მიერ იქნა დანგრეული. შემდგომში აღადგინეს რომაელებმა და მათ იქ ორი ლეგიონი განალაგეს. ალბათ ამიტომ პლინიუსი ბერიოს რომის კოლონიას უწოდებს („ბედნიერ იულიას“). ეს იყო ფინიკიის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქი ბრწყინვალე შენობებით, აბანოებით, ამფითეატრებით... ქალაქის გამშვენიერებაში დიდი თანხები გაუღიათ თვით იუდეის თავადებსაც ჰეროდეს გვარიდან. მაგრამ ეს ქალაქი განსაკუთრებით

7 ტვიროსი – თანამედროვე ქალაქი სური ლიბანის ტერიტორიაზე, 90 000 მცხოვრებით (რედ. შენ).

8 სიღონი – ლიბანის სიდიდით მესამე ქალაქი 200 000 მოსახლით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ბერიუსა და სურს შორის (რედ. შენ).

გამორჩეული გახლდათ თავისი სკოლით, სადაც ისწავლებოდა საერო მეცნიერებები და, განსაკუთრებით, – რომის იურისპრუდენცია. იულიუს კეისარი წერილში ასე ურჩევდა ჰეროდე დიდს: „მოეწყოს სასამართლო კრება ბერიოში, სადაც იმყოფებიან რომაელები და გასამართლდნენ მისი შვილები“. აქ ნამდვილად შედგა სასამართლო და გამოიტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი. ბერიოის სკოლაში იურისპრუდენციის სწავლების კურსი ხუთ წელს გრძელდებოდა. ბერიოის სკოლაში ათენიდან გადმოვიდა სასწავლებლად გრიგოლ თავმატურგი, აქვე სწავლობდა ეკლესიის ისტორიკოსი სოზომენი. წარმოშობით ბერიოიდან იყო განსწავლულობით ცნობილი პაპი იულიუს, პალესტინის კეისარიის პრესვიტერი, ევსევი კესარიელის მეგობარი. იურისპრუდენციის ამგვარი აყვავების გამო ბერიოის იუსტინიანე I-მდე ფინიკიის „თვალს“ უწოდებდნენ. მაგრამ იუსტინიანეს დროს, 549 წ-ს, საშინელმა მიწისძვრამ ქალაქი დაანგრია და ბერიოის იურისტები ქალაქის აღდგენამდე სიდონში გადასახლდნენ. თეოდოსიუს უმცროსმა თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში ისურვა, ბერიოი გამხდარიყო პირველი ფინიკიის მეტროპოლია და მას ექვსი ქალაქი დაუქვემდებარა, ხოლო ბერიოის ეპისკოპოსებმა მოიწადინეს, ეკლესიურადაც შეენარჩუნებინათ ეს უფლება.

ბერიოის მოსახლეობაში რომიდან გადმოსახლებული ელემენტი სჭარბობდა, იუდეველები აქ სძულდათ. რომიდან ჩამოსულები დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ. ფლავიოსის მტკიცებით, ბერიოის მოსახლეობა სიამოვნებას ღებულობდა ამფითეატრის არენაზე ჯარისკაცთა ორი 700-კაციანი შენაკერის სამაგალითო ბრძოლის ყურებით, ვიდრე უკანასკნელიც არ დაიდუბებოდა. შეიძლება ამიტომაც, რომ ჩვენ არაფერი ვიცით ამ ქალაქში მოციქულების ქადაგების შესახებ. თუმცა გადმოცემით, ბერიოის პირველი ეპისკოპოსი იყო ის კვარტოსი, რომელიც მოხსენებული ჰყავს პაპლე მოციქულს რომაელთა მიმართ ეპისტოლეს ბოლო თავში. ბერიოის მომდევნო ეპისკოპოსებიდან ცნობილია ევსევი, შემდგომში ნიკომიდიის ეპისკოპოსი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა არიანელთა შფოთში; და ტიმოთე, ლაოდიკიის ეპისკოპოს აპოლინარის, ცნობილი ერეტიკოსის, მეგობარი, და მის მერ ხელდასმული ბერიოის ეპისკოპოსად, თუმცა პაპმა დამასმა და სხვა ეპისკოპოსებმა იგი არ ცნეს და აპოლინარის სხვა მიმდევრებთან ერთად გაკიცხეს.

ღამასკო. დამასკო ლიბანის ფინიკიის უმთავრესი და უძველესი ქალაქი იყო. დავითის ხანაში ეს ქალაქი დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც შემდგომში დავითმა თავის ძალაუფლებას

დაუქვემდებარა. ქალაქი მალე განთავისუფლდა და თავისი ძალაუფლება თითქმის მთელ სირიაზე გააგრძელა. ყოველ შემთხვევაში, იმხანად ის იყო სირიის საუკეთესო ქალაქი, ვინაიდან სხვა შესანიშნავი ქალაქები – ანტიოქია, პალმირა, ლაოდიაკა, აბომეა მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ გამოჩნდნენ. ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ დამასკოს სამეფო გარკვეულწილად ინარჩუნებდა თავისუფლებას, მაგრამ სირია მაკედონიისა და არაბეთის თავადების მმართველობის ქვეშ მოქცეულიყო. 1-ლი საუკუნის დასაწყისიდან ის გადავიდა რომაელების ხელში და გახდა რომის განსაკუთრებული პროვინცია, განსაკუთრებული ნაცვალით. ეს ქალაქი, სტრაბონის სიტყვით, ყველა ქალაქზე ცნობილი გახდა. მდებარეობდა მშვენიერ აყვავებულ ხეობაში, მდინარე ქრიზოროთაზე. უძველესი დროიდან დღემდე დამასკოს ღვთიურ სამოთხეს უწოდებენ. როდესაც მოციქულმა პავლემ ფეხი დაადგა დამასკოს ველზე, მის უკან აღმართულიყო მარადიული თოვლით დაფარული, დიდებული ერმონის მწვერვალი, მარჯვნივ – გავრონი (ორი მცირე მთის ჯაჭვი, რომლებიც ზღუდავდნენ მდინარე ფარფარის⁹ ქვედა დინებას) და ტბის მხარის ყოვლანები, მარცხნივ – ანტილიბანის უკანასკნელი, ერმონისაკენ მიმართული შვერილები. ამ შესანიშნავად დამუშავებული ველების, მშვენიერი, ნაყოფსავსე ბაღების ხილვა დიდ სიამოვნებას ანიჭებს კაცს. თუ იმასაც დაესძენო, რომ გზა ხეების ჩრდილში მიემართება, შავმიწა ნიადაგზე და ალაგ-ალაგ გადაკვეთილია არხებითა და გზისპირა თხრილებით, შემოზღუდულია ზეთისხილის ხეებით, თხილით, ქლიაგით, ჭერამითა და ხეებზე შემოხვეული ვაზით, ადვილად წარმოვიდგენთ, როგორი იყო ის ადგილი, სადაც აღსრულდა პავლე მოციქულის საოცარი მოქცევა.

დამასკოს მოსახლეობას წარმოადგენდნენ წარმართები და იუდეველები. ეს უკანასკნელნი 1-ლი საუკუნის დასაწყისში მეტად მრავლად იყვნენ. იმ დროს დამასკოს მთავრობა ეფერებოდა იუდეველებს, აძლევდა მათ რელიგიურ თავისუფლებასა და პროწელიტების მოძიების უფლებას. დამასკოს იუდეველთა სინაგოგები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ იერუსალიმის სინედრიონს. გასაგები ხდება, თუ რატომ გაუმეზავრა პავლე მოციქული ქრისტიანების დასარბევად დამასკოში იერუსალიმის სინედრიონის უფლებამოსილებით. მაგრამ იუდეველთა ბედი დამასკოში მეტად საგალალო აღმოჩნდა. იუდეველთა თმის დროს, იოსებ

9 ქრიზოროთა და ფარფარი - სირიის ორი დიდი მდინარე, სათავეს ანტილიბანის მთებში იღებენ. ისინი ნახსენებია ძველ აღთქმაში – 2 მფ. 5,12. ბერძნულად „ქრიზოროთა“ ოქროს ნაკადულს ნიშნავს, მდინარის თანამედროვე სახელწოდებაა ბარადა – დამასკოს მთავარი მდინარე (რედ. შენ).

ფლაგიოსის სიტყვებით, წარმართმა მოსახლეობამ ერთ საათში 10 000 ოუდეველი დაარბია. აქედან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რაოდენ მრავალრიცხოვანი იყო ეს ქალაქი.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობა დამასკოში გავრცელდა უძველესი დროიდან. აქ პავლე მოციქული ანანიას ხელით მოინათლა. ეკლესიური თვალსაზრისით, დამასკო ყოველთვის იყო მიტროპოლია და ანტიოქიის არქიეპისკოპოს იოანეს სიტყვით, მეორე მიტროპოლიას წარმოადგენდა ანტიოქიის საპატრიარქოში ტვიროსის შემდეგ. მაგრამ ქრისტიანულმა ეკლესიამ მაინც სუსტად მოიკიდა ფეხი აქ და მისი ბედიც სევდიანი აღმოჩნდა. დამასკოში წარმართობა მეტად ძლიერი იყო თვით იულიანეს დრომდეც კი. აქ იყო ძველი ტაძარი საუცხოო საკურთხევლით,¹⁰ სადაც სისხლიანი მსხვერპლშეწირვა აღესრულებოდა. დამასკოს მცხოვრებლების ამგვარ თავდადებას წარმართობისადმი იულიანე დიდ პატივს მიაგებდა და ამ ქალაქს განსაკუთრებით აქებდა, უწოდებდა მას „იუბიტერის ჭეშმარიტ ქალაქს, მთელი აღმოსავლეთის თვალსა და წმინდა და დიდებულ დამასკოს“. დამასკოს მოსახლეობა მიდრეკილებას ავლენდა, აგრეთვე, ერესებისადმი. 518 წ-დან დამასკოში დამკვიდრდნენ იაკობიტელი ეპისკოპოსები. 632 წ-დან – ნესტორიანელები. მე-7 საუკუნიდან (613-635 წწ.) ქალაქი დაიპყრეს მაჰმადიანებმა და გადააქციეს ის ხალიფების რეზიდენციად. მრავალი დადგენილება იქნა მათ მიერ მიღებული ეკლესიის საზიანოდ. ასე მაგალიდ, ხალიფა ვალიდმა 706 წ-ს. იოანე წინამორბედის სახელობის ეკლესია გადააკეთა მეჩეთად, თუმცა ქალაქის აღების სიგელში მითითებული იყო ქრისტიანული ეკლესიის ხელშეუხებლობა. 718 წ-ს. ხალიფა ომარმა აკრძალა ღვინო და სასამართლოზე ქრისტიანის ჩვენება მუსულმანის წინააღმდეგ. მე-8 ს-ში დამასკოს ხალიფები განსაკუთრებით დევნიდნენ ქრისტიანებს ხატთა თაყვანისცემისათვის. წმ. იოანე დამასკელმა, ხატთა უპირველესმა დამცველმა, დატოვა დამასკო და თავი შეაფარა საბა განწმენდილის მონასტერს პალესტინაში. დამასკოს ეპისკოპოს პეტრეს კი მიუსაჯეს ენის მოკვეთა და გადაასახლეს არაბეთში.

პალმირა. ლიბანის ფინიკიის მეორე შესანიშნავ ქალაქად ითვლებოდა

10 იგულისხმება ჰადადის სახელზე აგებული უძველესი არამეული ტაძარი. ჰადადი იყო სემიტური ქარიშხლისა და წვიმის ღვთაება, მას რომაელები იუპიტერთან აიგივებდნენ და ტაძარი იუპიტერის სახელზე განაახლეს. იმპერატორმა თეოდოსიუსმა ის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიად გადააკეთა, შემდეგში ის მეჩეთად გადაიქცა. დღეს ამ ტაძრის ნანგრევების ნახვა შესაძლებელი (რედ.შენ.).

პალმირა, ან ტადმორი, ორივე დასახელება „პალმების ქალაქს“ ნიშნავს. სოლომონის მიერ სირიის უდაბნოში დაარსებული ეს ქალაქი ცნობილი იყო ვაჭრობის გზით შექენილი სიმდიდრით. პალმირას მმართველები სარგებლობდნენ გარკვეული დამოუკიდებლობით, რაც განპირობებული იყო მისი მოსაზღვრეობით ორ დიდ სამეფოსთან – რომსა და სპარსეთთან, და ხან ერთთან იყვნენ ვასალურ დამოკიდებულებაში, ხან – მეორესთან. სტრაბონის სიტყვით, ადრიანეს დროს პალმირას ეწოდა ადრიანია და ძლიერ აყვავდა. ეს ქალაქი, ამბობს პლინიუსი, შესანიშნავი ნიადაგითა და მშვენიერი სარწყავებით, ოთხკუთხეგ შორს გადაჭიმული, დგას რომისა და სპარსეთის საზღვრებზე, სელეუკიდან დაშორებულია 400 კმ-ით, დამასკოდან – 200 კმ-ით. მე-3 ს-ში პალმირას დედოფალი ზინობია, სპარსეთის ვასალი, მთელს სირიას მართავდა სპარსეთის სახელმწიფოს სახელით. ეს დედოფალი მფარველობდა ცნობილ ერეტიკოსს, ანტიოქიის ეპისკოპოს პავლე სამოსატელს. 273 წ-ს. პალმირა აიღო და დაანგრია ავრელიუსმა. მე-5 საუკუნეში პალმირა იყო გადასახლების ადგილი და აქ გადმოასახლეს ემესის ეპისკოპოსი კვირიკე, წმ. იოანე ოქრობირის მეგობარი. იუსტინიანეს დროს პალმირა უკვე ნანგრევებად იყო ქცეული.¹¹

მმსსა. ლიბანის ფინიკიის მესამე შესანიშნავი ქალაქი იყო ემესა, მდებარე მდინარე ორონტუსზე. ამ ქალაქში იყო ფინიკიელთა მზის ღმერთის, ელიოგაბალის, ცნობილი წარმართული ტაძარი. აქედანვე იყო წარმოშობით ბიწიერი ცხოვრებით ცნობილი რომის იმპერატორი ელიოგაბალი, რომელმაც ეს სახელი მიიღო ამ ტაძარში ქურუმად ყოფნის დროს. საერთოდ, ემესელები წარმართობის მტკიცე მიმდევრები იყვნენ. დიოკლეტიანეს დროს აქ მათ აწამეს ადგილობრივი ეპისკოპოსი სილვიანე. იმპერატორი კონსტანცი ცდილობდა, ემესაში დაემკვიდრებინა არიანელობა. მან აქ ელიოგაბალის საკერპოს ადგილზე ააშენა საკმაოდ კოსტა ქრისტიანული ტაძარი და ამ ტაძრის ეპისკოპოსობა ისურვა ყველაზე განსწავლულმა არიანელმა ეგვიპტე, რის გამოც მან უარი განაცხადა ალექსანდრიის კათედრაზე. ემესას მცხოვრებლებმა არც ის მიიღეს, როგორც გადმოცემა გვეუბნება, მისი მათემატიკური მეცნიერებებით გატაცების გამო. მას ეკუთვნის ნაშრომები რწმენის შესახებ და იუდეველთა წინააღმდეგ. იმპერატორი იულიანე აქებდა ემესელთა

11 ამჟამად პალმირას ადგილზე არის სირიული სოფელი და დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმული უდიდეს ნაგებობათა ნანგრევები, რომლებიც ძველი რომაული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნება (რედ. შენ.).

კერზობაყვანისმცემლობას და კიცხავდა ანტიოქიელებს, რომ „უყვართ ქრისტე და ის აირჩიეს მფარველად და ქალაქის ღმერთად, ზეცის, აბოლონისა და კალიოპეს ნაცვლად.“¹² იულიანე აქებს ეპისკოპოსებს, რომლებმაც „ამოთხარეს და დაწვეს გალილეველთა ძვლები და არ შეიყვარეს ქრისტე.“ იულიანეს დროს აქ ეწამა რამოდენიმე ქრისტიანი – მედავითნე მონი და ექიმი იულიანე. ამის შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ ემესა გადაიქცა მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა გადასახლების ადგილად. ნესტორიანული მღვდღვარების დროს ემესაში იყო შესანიშნავი ეპისკოპოსი პავლე, რომელიც იოანე ანტიოქელის დაგვლებით მივლინებული იყო კირილე ალექსანდრიელთან, როგორც ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენელი, და დიდად იღვაწა ამ ორი საპატრიარქოს შერიგებისათვის და ნესტორიანელთა ცრუ სწავლების აღმოსაფხვრელად. ემესას ეპისკოპოსებიდან ცნობილი არიან მწერლები: ნემესიოსი, გრიგოლ ღმრთისმეტყველის თანამედროვე, რომელიც ადამიანის ბუნების შესახებ წერდა, და ბასილი, თეოდორე ედესელის ნათესავი, რომელმაც მისი ცხოვრება აღწერა. 452 წ-ს. ემესაში მეორედ მოიპოვეს წმ. იოანე წანამორბედის თავი.¹²

სირია

სირია. რომის პროვინცია სირია მდებარეობდა ხმელთაშუა ზღვასა და ევფრატს შორის. ის იყოფოდა ჩრდილოეთ ანუ დაბლობ სირიად (კელესირია), მშვენიერი გრძელი ხევით ლიბანისა და ანტილიბანის ქედებს შორის, და სამხრეთ სირიად, ცხელი და მშრალი კლიმატით. როგორც ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე მდებარე ქვეყანას, სირიას ფინიკიის მსგავსი ფიზიკური პირობები გააჩნდა, ოღონდ კიდევ უფრო ნოყიერ ნიადაგზე იყო და სამხრეთული ხილის სიუხვით გამოირჩეოდა. მთელს ქვეყანაზე მიედინებოდა საკმაოდ დიდი მდინარე ორონტესი, რომელიც სათავეს ლიბანის მთებში იღებდა და ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინებოდა. ეს მდინარე ხმელთაშუა ზღვის შესართავამდე 40 კმ-ის მანძილზე სანაოსნო იყო, ხოლო ანტიოქიასთან ახლოს მისი განი დაახლ. 60 მ-ს შეადგენდა. ალექსანდრე მაკედონელის შემკვიდრებმა აქ რამოდენიმე შესანიშნავი ქალაქი ააშენეს.

სირია, როგორც რომის პროვინცია, იყოფოდა ორ ნაწილად –

¹² ისტორიული ემესა არის თანამედროვე ჰომსი, სამრეწველო ქალაქი დასავლეთ სირიაში, მილიონამდე მოსახლით (რედ. შენ.).

პირველ და მეორე სირიად. პირველ სირიაში იყო ექვსი საეპისკოპოსო ქალაქი, მეორეში – შვიდი. ამასთან, საეპარქიო ოლქები საკმაოდ მნიშვნელოვანი სიდიდისა იყო და 25 კმ-ზე მეტს შეადგენდა.

ანტიოქია დააარსა სელეუკი ნიკატორმა ქრისტეს დაბადებამდე 300 წ-ს. და ეს ქალაქი თავის ბრწყინვალეობას სელეუკიდებს უნდა უმაღლოდეს. საერთოდ, სელეუკიდები რომაელებზე უპირატესნი იყვნენ დიდი ქალაქების მორთვის ხელოვნებაში. ტაძრები, წყალსადენები, აბანოები, ბაზილიკები – ეს ყველაფერი ბრწყინვალე იყო და ანტიოქია სირიის უდიდეს ქალქად წარმოგვიდგებოდა. ანტიოქიის ოლქიც უდიდესი იყო, ორი დღის სავალზე ქალაქ კირამდე. ქალაქი შედგებოდა ოთხი ნაწილისაგან. კოლონადებით მორთული ქუჩები, გზაჯვარედინებზე ქანდაკებებით დამშვენებული, ისე სწორად და სიმეტრიულად იყო განლაგებული, როგორც სხვაგან არსად. ორთენტისის ჩრდილოეთ ნაწილში აღმართულიყო სამეფო შენობები, მათსა და მდინარეს შორის გადიოდა დიდი ქუჩა ლეოფოროსი, რომლის ნიშნითაც შენდებოდა ქუჩები სირიის სხვა ქალაქებში: პალმირა, გლერეზა, გადარა, სებასტია. ეს ქუჩა მორთული იყო კოლონადების ოთხი რიგით, რაც ქმნიდა ორ დახურულ გალერეას შუაში ფართო გასასვლელებით, ქალაქის ერთ ნაწილს მეორესთან აკავშირებდა და 6 კმ-ზე მანძილზე გადაჭიმულიყო.

მთლიანად ანტიოქიის გარშემოწერილობა შეადგენდა 18 კმ-ს. ანტიოქიის ირგვლივ ციცაბოებზე, ბორცვებზე, მათ მწვერვალებსა და თხემებზე მიყოლებით აშენებული ციხე-სიმაგრეების კედელი ქმნიდა ქონგურებიანი გვირგვინის შთაბეჭდილებას. კედლების ამგვარად, გორაკიდან გორაკამდე და მათ ქვემოთ აღმართვა იყო მაკედონელი მეფეების საყვარელი ფორმა, რაზედაც მეტყველებს სოლუნის,¹³ სმირნას, ეფესოსა და სელეუკიის უძველესი კედლები. მაგრამ ანტიოქიაში, გარდა საზოგადო მიზნებისათვის განკუთვნილი უზარმაზარი ნაგებობისა, იყო ისიც, რაც სირიის სხვა ქალაქების უმეტესობას არ გააჩნდა: აქ იყო თავმოყრილი ბერძნული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები, ბრწყინვალე ქანდაკებები, ძველი მხატვრობის კლასიკური ნიმუშები. რომის ბატონობის დროს ანტიოქიის ეს დიდებულება არამც თუ არ დაღუპულა, არამედ კიდევ მეტად გაამდიდრდა.

ანტიოქიის ადგილმდებარეობა მსოფლიოში ყველაზე უფრო წარმტაცია. ქალაქი მდებარეობდა მდინარე ორთენტისისა და სილვიის მთების

13 სოლუნი – თანამედროვე სალონიკი (რედ. შენ.).

ფერდობებს შორის, რომელიც კასიის ნაწილია. ამ მთების დაკბილული მწვერვალები ხეობის ირგვლივ შორიდან ქმნიდნენ დახლართული მაქმანის შთაბეჭდილებას. არსად იყო ამდენი ლამაზი წყარო, როგორც აქ. ამ ნაირგვარ ლანდშაფტზე ქალაქი მეტად თვალწარმტაცად იყო გაშენებული. კედლის შიგნით, თვით ანტიოქიაში მთების სიმაღლე აღწევდა 700 ნაბიჯს, წაწვეტილებული კლდეები, ჩანჩქერები, უფსკრულები, ნაკადულები, მიუვალი ხეობები და მათ შორის – მშვენიერი ბაღები. მირტის ხშირი ტყვრები, აყვავებული ბუჩქები, დაფნები, ხასხასა მწვანედ შემოსილი მინდვრები, ზეთისხილის ქალები, სუმბულით ხალიჩასავით დაფარული კლდეები – ყოველივე ეს ამ ველურ სიმაღლეებს ცად ატყორცნილი ყვავილნარის იერს აძლევდა. ანტიოქიის ამ უსასრულოდ მშვენიერი ბუნების ჭკრეტით აზრდებოდნენ ისეთი შეუდარებლად მჭკვერმეტყველი, ენამზიანი ადამიანები, როგორიც იყო წმ. იოანე ოქრობირი.

ანტიოქიის მდებარეობა, ამასთანავე, დიდ გარე სარგებელსაც განაპირობებდა. დიდი მდინარე ორონტესის დინება, რომელიც დასავლეთიდან ქობასავით შემოვლებოდა ქალაქს, წარმოადგენდა დასაკავშირებელ შიდა არხს ხმელთაშუა ზღვასთან, ანუ მთელ მაშინდელ ცნობილ სამყაროსთან. იოანე ოქრობირის მიხედვით, ანტიოქიის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 20 000-ს და ეს წმინდა მამა თვლის, რომ პეტრე მოციქულმა დიდი ნდობა გამოუცხადა ეგნატე ღმერთშემოსილს ესოდენ დიდი მრევლის ჩაბარებით.

ანტიოქიის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ ბერძნები, რომელთა რიცხვი აქ ყველაზე დიდი იყო ალექსანდრიის შემდეგ, მაგრამ საკმაოდ მრავლად იყო ძირძველი მოსახლეობაც – სირიელები. ბერძნები ცხოვრობდნენ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, სირიელები კი, როგორც დაბალი ფენის წარმომადგენლები, ქალაქის გარეუბნებში და სოფლებში, რომლებიც გარს ერტყმოდნენ ქალაქს საკმაოდ დიდ სივრცეზე: ქარანდამა, ხიზარა, განდიგურა, აბატი. თავად ეს სახელები მოწმობს, რომ ეს სირიელთა სოფლები იყო. ბერძნებსა და სირიელებს გარდა ანტიოქიაში კიდევ შეხვდებოდით სხვადასხვა ტომის კოლონისტებსაც, რომლებიც სელევიდების ჰუმანურ განკარგულებას მოეწიდა აქ: ყველა უცხოელი, რომელიც გამოთქვამდა დარჩენის სურვილს, აღიარებული იყო ამ ქვეყნის მოქალაქედ. ანტიოქიაში შერეული ქორწინება სხვადასხვა ხალხებს შორის სრულიად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და სამნახევარი საუკუნის არსებობის მანძილზე ანტიოქია ისეთ ქალაქად იქცა, რომლის რასაც ყველაზე შერეული იყო.

ამის შედეგად მოხდა მოსახლეობის ზნეობრივი დაცემა, რამაც აქ

უკიდურესობას მიაღწია. ნარკვევებს უზნებობით ცნობილი აღმოსავლური ქალაქების ცხოვრების შესახებ, სადაც ბატონობდა ინტრიგები და სადაც ყველაზე წვრილმანი ანგარიშებით ხელმძღვანელობდნენ, არ შეუძლია შეგვიქმნას წარმოდგენა იმ ზნებრივი ადვირაზსნილობის შესახებ, რასაც ადამიანის მოღვაწე ანტიოქიაში მიაღწია. ერთდროულად ფლიდები და უმადურები, დამცინავი და ქედმაღლები, ანტიოქიელები იყვნენ საუკეთესო ნიმუშები იმპერიული დროების ხალხის მასისა, რომელთათვის უცხოა პატრიოტიზმი, ყოველგვარი ერთგულების გრძნობა, ოჯახის სიყვარული, და არაფერი წმინდა არ გააჩნია; ანტიოქია წარმოადგენდა ათასი ჯურის მისნების, მარჩიელების, მიმების, ჯადოსნების, კუდიანების, სასწაულმოქმედთა თაგყრილობას. თამაშები, სანახაობები, გასართობები, ღმერთების სადღესასწაულო პროცესიები და ბაკქანალიები, აღმოსავლეთის ყოველგვარი სივრცე, ყველაზე ბოროტი ცრურწმენები, შეშლილობამდე მისული გარყვნილება, – ყოველივე ეს უყვარდა ანტიოქიელს.

რელიგიური თვალსაზრისით, დღიდან თავისი დაარსებისა, ანტიოქია წმინდა ელნური ქალაქი იყო. მაკედონიის მკვიდრებმა, ანტიგონუსმა და სელეგკოსმა, მოიტანეს ამ ქვეყანაში ცოცხალი ხსოვნა თავიანთი კულტისა და იმ სახელებისა, რაც მათთვის სამშობლის წმინდა მოგონებებს ნიშნავდა. ბერძნულმა მითოლოგიამ აქ, თითქოს, მეორე სამშობლო ჰპოვა; იყო მცდელობა, აქ მოექმნათ უამრავი „წმინდა ადგილი,“ ბერძნული მითოლოგიის გადმოცემებთან დაკავშირებული. მთელს ქალაქში აღესრულებოდა მსახურება აპოლონისა და ნიმფებისადმი.

რაც შეეხება განათლებას, ციცერონის მტკიცებით (pro Archia 3), აქ ყვავდა მეცნიერება, ფილოსტრატუს სიტყვებით კი, აპოლონიოს ტიანელის ცხოვრებაში (III, 58), აქ ძალაში იყო მხოლოდ რიტორიკული სიტყვიერება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიოქია მჭიდროდ იყო დასახლებული ბერძნებითა და ძირძველი მოსახლეობით, რომლებიც სიროულად საუბრობდნენ. მათ სხვა უცხოტომელებთან ერთად, რომელთაც არც სახლ-კარი გააჩნდათ, არც ისტორია, არც საგვარეულო თვითდაფასება და წარმოადგენდნენ ბრბოს, გაეგნოთ ანტიოქიის ლეოფოროსი. ეს ბრბო ყოველთვის იყო ქარაფშუტა, მერყევი, შეამბოხე, დამცინავი, აბეზარი, უტიფარი. მათ ჰყავდათ მამისეული ღმერთები – patrwoi qeoiვ ერთი უზენაესი ღმერთის, კერძოდ მზის, ძმები: ბაალი, ნერგალი, თამ-მუზი, დაგონი, ნებო, ასტაროფი და სხვა. ამ ღმერთებს განსაკუთრებული მონდომებით ემსახურებოდნენ სირიელი ქალები, რომლებიც გამთირჩეოდნენ სილამაზითა და ტანადობით, როგორებიც არიან დღესაც – იმგიათი სილამაზისა, სწორი, თეთრი სახის ნაზი და მეტყველი ნაკვთებით.

სწავლასა და კოლონიზაციას შორის, რომლებიც მიიზიდა სირიის დედაქალაქში სელეუკიდების ჰუმანურმა განკარგულებამ, ძალზე ბევრი იუდეველი იყო. ისინი აქ დასახლდნენ სელეუკიოს ნიკატორის დროს და სარგებლობდნენ იმავე უფლებებით, რითაც ბერძნები. „იუდეველთა მრავალრიცხოვანი მოდგმა, ამბობს ფლაგიოსი, გაფანტულია ადგილობრივთა შორის, მაგრამ მისი უმეტესი ნაწილი პალესტინის მეზობელ სირიაშია და განსაკუთრებით კი – ანტიოქიაში. იმიტომ, რომ დიდი იყო ეს ქალაქი და უფრო იმიტომ, რომ მეფე ანტიოქოსის მოდგმამ მათ აქ დასახლების ნება დართო“. ამ ანტიოქოსმა, მეტსახელად ეპიფანემ, იერუსალიმის აღების შემდეგ გაძარცვა იქაური ტაძარი, ხოლო მისმა თანაშემწეებმა მთელი იქ შეწირული სპილენძი გადასცეს ანტიოქიის იუდეველებს, როგორც ძღვენი სინაგოგისთვის და უბოძეს კლინებთან თანაწირუფლებანი მოქალაქეობა. რაკი მომდევნო მეფეებიც მსგავსადვე ექცეოდნენ მათ, იუდეველები გამრავლდნენ და თავიანთი საკურთხეველი მოწყობილობითა და მდიდარი შეწირულობით ბრწყინვალედ აქცეეს. განსაკუთრებული ეთნარქის ყოლის მიუხედავად, ანტიოქიელი იუდეველები მაინც მჭიდროდ ურთიერთობდნენ ადგილობრივ წარმართებთან. რელიგიური არისტოკრატიზმის განცდა, რითაც გამოირჩეოდნენ იერუსალიმის იუდეველები, იმავე სახომით არ ახასიათებდათ სხვა დიდ ქალაქებში მცხოვრებ იუდეველებს. მათი ჰორიზონტი უფრო ფართო იყო, ხოლო იუდაიზმისადმი ერთგულება – ნაკლებ ფესვგადგმული. წარმართებთან სიახლოვესთან ერთად ანტიოქიის იუდეველები წარმატებით ეწეოდნენ რელიგიურ პროპაგანდას. პროზელიტების რაოდენობა აქ მეტად მნიშვნელოვანი იყო. მოაზროვნე წარმართები ხედავდნენ რა გამეფებული კულტის სისუსტეს, ცდილობდნენ თავიანთი სწრაფვის დაკმაყოფილებას ფილოსოფიასა და იუდაიზმში. აქ ამ მხრივ იყო შესანიშნავი ნიადაგი ქრისტიანული ეკლესიის დასაფუძნებლად. ლტოლვას ჭეშმარიტების შესაცნობად სჭირდებოდა მხოლოდ მადლის სხივი, რომ გამჟღავნებულყო და მოეტანა უხვი მოსავალი.

ანტიოქიის ეკლესია თავის დაარსებას უნდა უმადლოდეს კვიპროსისა და აფრიკაში მდებარე კირენაიკის ზოგიერთ მკვიდრს. ანტიოქიაში მოსვლამდე მათ მრავალ ქალაქში ექადაგათ და მხოლოდ იუდეველებს მიმართავდნენ. მაგრამ ანტიოქიაში სხვაგვარი ვითარება იყო – აქ ერთად ცხოვრობდნენ ბუნებით იუდეველნი ანუ ჭეშმარიტების პროზელიტები, ღვთის მოშიში ხალხი ანუ სიცრუის პროზელიტები, დაბოლოს, წარმართები, რომელთაც საერთოდ არ იზიდავდა იუდაიზმი აქ ერთი გარკვეული ჯგუფისადმი მიმართული ქადაგება შეუძლებელი

იყო. ამის გამო კვიპროსელი და კირენაიკელი მისიონერები იძულებულნი იყვნენ, დაერღვიათ საერთო წესი და ექადაგათ წარმართებსა და იუდეველთა შორის განურჩევლად. განსაკუთრებულმა მდგომარეობამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო ანტიოქიაში ქრისტიანობის სწრაფ გავრცელებას. მოსახლეობის მესხიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ის უბედურება, რომელიც 37 წლის 23 მარტს მიწისძვრამ თავს დაატყუა ქალაქს. მოელი ქალაქი ლაპარაკობდა ვინმე დებოროზე, რომელიც დაჰპირდა ხალხს მსგავსი უბედურების აცილებას უცნაური თილისმების საშუალებით. უბედურება აღაგზნებდა გონებას ზებუნებრივზე ფიქრისაკენ და ყველაზე წყევალს მიაქცევდა. მოხდა რაღაც რეაქციის მსგავსი, რამაც შემდგომში ანტიოქია შეუდარბოვითა და მესვეტეთა სამშობლოდ აქცია. ასე იყო თუ ისე, ქრისტიანული ქადაგების წარმატება ანტიოქიაში მეტად დიდი იყო. ანტიოქიის ეკლესია დაფუძნდა უმოკლეს დროში და შედგებოდა სრულიად განსხვავებული ელემენტებისაგან: ბერძნების, სირიელებისა და იუდეველებისგან. ორონტისის ნაპირებზე პირველად მოხდა ერების ის რელიგიური გაერთიანება, რაზეც გვაუწყებდნენ იესო ქრისტე და წინასწარმეტყველები ექვსი საუკუნის მანძილზე. სულიწმინდის მადლი მოეფინა ამ ეკლესიას და იოლი წარმოსადგენია, რომ ის იქნებოდა მეორე აკვანი და დასაბამითი ცენტრი ქრისტიანობის მისიისა წარმართთა შორის. ანტიოქიის ეკლესიის მთავარმა ხელმძღვანელებმა, პავლე და ბარნაბა მოციქულებმა, მისიონერული მოღვაწეობა დაიწყეს აქედან, პეტრე მოციქული მიჩნეულია ანტიოქიის პირველ ეპისკოპოსად. ანტიოქიის პირველი ეპისკოპოსი, წმ. ევნატე ღმერთშემოსილი, პირველი საუკუნის დამლევეს, 114 წ-ს. ანტიოქიაში ყოფნის დროს პირადად დაჰკითხა იმპერატორმა ტრაიანემ და ძლიერი დაცვის თანხლებით გადააგზავნა რომში. ზოგიერთის აზრით, ის მოერიდა ადგილზე მის დასჯას ხალხის ამბოხების შიშით. ქრისტიანთა დევნის დროს ანტიოქიის ეკლესიაში დიდი იყო წამებულთა რიცხვი.

მართლმადიდებლური ქრისტიანული სწავლების გვერდით ანტიოქიაში პირველ საუკუნეებში გავრცელდა სირიული ვნოსისი. მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში ანტიოქია დაიპყრეს სპარსელებმა და მათი სახელით ქალაქს მართავდა პალმირას დედოფალი ზინობია, რომელიც მფარველობდა პავლე სამოსატელს (ანუ ქალაქ სამოსატის მკვიდრს), პავლე ქადაგებდა ცრუ სწავლებას და იყო ანტიტრინიტარების ერესის წარმომადგენელი. ანტიოქიის კრების მამებმა, რომელთაც ამხილეს ის ერესში, ასეთნაირადნაირად აღწერეს ამ ეპისკოპოსის საქციელი: „პავლეს, ამბობენ კრების მამები, უფრო მეტად დუცინარის საერო თანამდებობა

უყვარდა, რომელიც უბოძა ზინობიამ, ვიდრე ებისკოპოსის ქრისტიანული წოდება. ჩვეულებრივ, მდიდრულად და პრიალა სამოსით იმოსებოდა, შუბოსანთა დიდი ამაღლის თანხლებით დადიოდა სახალხო მოკედლებზე და ხმაძაღლა უკითხავდა ხალხს წერილებსა და სახელმწიფო განკარგულე-ბებს. მისი მოქმედება ეკლესიაშიც კი გამოიჩინოდა დაუშვებელი თე-ატრალითა და მკედიდურობით. ეკლესიის კათედრა და ტახტი ისეთი მაღალი აიშენა, როგორც არ ეკადრებოდა ქრისტეს მორჩილ მოწაფეს, და იქიდან მოკედნის ორატორების და მსახიობების მსგავსად არიგებდა ხალხს ქკუას. ქადაგებდა თეატრალური ფესტებით, მენჯებზე ირტყამ-და ხელებს, კათედრაზე აბაკუნებდა ფეხებს. ხალხისაგან მოითხოვდა მოწონების გარეგნულ გამოხატულებას, როგორც საზოგადო სანახაობის დროს – ფეხზე წამოხტომით, ყვირილით, ცხვირსახოცის ფრიალით. ღანძღავდა და კიცხავდა ყველას, ვინც არ აქებდა მას. იმდენად გაკად-ნიერდა, რომ შეეხო იესო ქრისტეს ღვთაებრივ პიროვნებას. მან აკრძალა ღვთისმსახურების დროს უფლის სადიდებელი გალობა და აღდგომის უდიდეს დღესასწაულზე ბრძანა, შეესრულებინათ მისდამი მიძღვნილი გალობა ქალების ამაზრზენი შესრულებით. მისი მომხრე თვალოთაქ-ცი ებისკოპოსები და პრესვიტერები ადიდებდნენ ხალხში, უწოდებდნენ დედამიწაზე ცით ჩამოსულ ანგელოზს მისივე თანდასწრებით. ამ დროს თავად არა თუ უშლიდა მათ ამგვარ მკრეხელობას, არამედ კმაყოფი-ლი ისმენდა ყოველივეს. ღარიბი მშობლების შვილს, უადგილმამულოს, არაფითარი საშუალება არ გააჩნდა, თავისი შრომით შეეძინა ქონება, პავლე სამოსატელი ებისკოპოსის წოდებაში გახდა დიდი სიმდიდრის პატრონი, ცხადია, უკანონო გზით, მკრეხელობითა და დეკნით“. პავლე სამოსატელის ეს დანასიათება, გადმოცემით, შედგენილი იყო ანტიოქიის ქრისტიანული სკოლის მასწავლებლის, მალქიონის მიერ. როდესაც რომის იმპერატორმა კვლავ დაიბრუნა სირია, ანტიოქიის ქრისტიანებმა შეძლეს პავლე სამოსატელის განდევნა, რომელიც სპარსეთის სახელით მმართვე-ლი ზინობიას ერთგული მსახური იყო.

იოანე ოქროპირის მოწმობით, ანტიოქიაში მე-4 საუკუნეში მოსახლე-ობის საერთო რაოდენობა შედგენდა 200 000-ს, აქედან 100 000 ქრის-ტიანი იყო. სხვა ადგილას იმასაც ამბობს, რომ ანტიოქიაში მეტი იყო ქრისტიანი, ვიდრე კონსტანტინოპოლში. ქრისტიანობისადმი განსაკუთრე-ბული ერთგულებით გამოიჩინოდნენ ანტიოქიელი ქალები. იულიანე ბრანძმორეგით ღაპარაკობდა ანტიოქიის მცხოვრებლებზე, რომლებსაც არ სურდათ გაეღოთ შესაწირი წარმართ მსახურთათვის, ცოლებს კი არ

უკრძალავდნენ ქრისტიანების დახმარებას. ლიბანიოს¹⁴ საყვედურებს გამოთქვამს, რომ ისინი „ეპორჩილებიან იმათ, ვისზეც უნდა ბატონობდნენ და რელიგიის საკითხებში უჯკრებენ ცოლებსა და დედებს.“¹⁵ იულიანე წერილში აღექსანდრეს მიმართ (სირიის მმართველი) წერს, რომ ანტიოქიელებს ძალდატანებითა და მოტყუებით სახლის გარეთ, ჩუმად მიაქვთ შესაწირი წარმართთა დმერთებთან, იგივენი შემდეგ თავიანთი ცოლების რჩევითა და ცრემლებით მიდიან დათმობაზე და უბრუნდებიან ქრისტიანობას.

ანტიოქიელი ქრისტიანები თავიანთი ეპისკოპოსებისადმი ერთგულებას იჩენდნენ. იოანე ოქროპირის სიტყვით, მელეტი ეპისკოპოსმა იმდენად მიიზიდა ანტიოქიელების გულები, რომ მართო მისი სახელის ხსენება აღაფრთოვანებდა მათ და ყველა მის სახელს არქმევდა ახალშობილებს. ამ სახელით წმინდანი შემოდოლდა მათ ოჯახში. მეტიც, მისი სახის გამოსახულებას აღბეჭდავდნენ ბეჭდებზე, ფიალებსა და სახლის კედლებზეც კი. წმინდა მელეტისადმი სიყვარული განსაკუთრებული ძალით გამოიჟღავნდა იმპერატორ კონსტანცის ედიქტის გამოცემის შემდეგ, რომლის საფუძველზე მას მიესაჯა ანტიოქიიდან გაძევება და როდესაც მიჰყავდათ ის, ხალხმა მმართველს დაუშინა ქვეები და წმინდა მელეტემ გადააფარა მას თავისი მანტია.

მოდგარსა და მრევლს შორის მტკიცე სიახლოვის ფაქტს ანტიოქიაში ჩვენ ვაწყდებით წმ. იოანე ოქროპირის მსახურების დროსაც. რომისა და სპარსეთის ომის პერიოდში რომის ჯარები თავს იყრიდა ანტიოქიაში, ასე იყო ტრაიანუს, ავრელიუსისა და იულიანუს დროს, რაც დიდ ტვირთად აწევებოდა მოსახლეობას და იწვევდა მის აღშფოთებას. ანტიოქიის ამბოხის ისტორია, ეპისკოპოს ფლავიანუს ცრემლიანი შუამდგომლობა იმპერატორთან დამნაშავე ქალაქის გამოსახსნელად, ამ შუამდგომლობის წარმატება, ოქროპირის ნიჭიერად აგებული ქადაგებების პრაქტიკული მიმართულება, – საკმაოდ ცნობილი ამბებია.

ანტიოქიის მოსახლეობის მრავალფეროვნებამ განაპირობა ეკლესიის გაყოფა, ბერძენებმა მხარი დაუჭირეს რომაელებს და მტკიცედ ინახავდნენ მართლმადიდებლობას, ხოლო სირიელებმა – სპარსელებს და გადაიხარნენ მონოთელიტების ერესში, შემდგომ დამკვიდრდნენ ლიბანსა და ანტილიბანის მთებში და ამჟამადაც მართლიტების სექტაში არიან გაერ-

14 ლიბანიოსი იყო სოფისტთა სკოლის ბერძნულენოვანი მასწავლებელი მე-4 ს-ში, მისი მოწაფეები იყვნენ იოანე ოქროპირი და თეოდორე მოპსუეტელი (მოპსუეტელი – ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით), თუმცა თავად მოუნათლავე დარჩა (რედ. შენ.).

თიანებულნი, რომელთათვის სიროული ენა წმინდად ითვლება.

ქალაქის გარეგნული ისტორია ასეთი იყო: მიუხედავად ხშირი და დამანგრეველი მიწისძვრებისა, რომელიც თავს ატყდებოდა ანტიოქიას სხვადასხვა დროს, მისი მნიშვნელობა არ დაცემულა მეექვსე საუკუნის შუახანებამდე. ამ დროს სპარსეთის მეფე ხოსრომ დაიპყრო ის და მიწასთან გაასწორა. ხოსროს ლაშქრობის შემდეგ ოუსტინიანემ ადადინა ქალაქი და გარს შემოავლო მაგარი, 4 მ. სისქისა და 15 მ. სიმაღლის გალავანი, რომლის ნარჩენები ამჟამადაც არსებობს და 6 კმ-ზეა გაღაჭიმული.

ანტიოქიას მე-7 საუკუნეში თავს ესხმიან სარკინოზები. 637 წელს ის აიღო ომარმა. 996 წ-ს. ნიკიფორე ფოკამ წაართვა ის არაბებს, მაგრამ 4 წლის შემდეგ ის კვლავ დაიბრუნეს არაბებმა. 1098 წ-ს. ჯვაროსნებმა აიღეს ის და გადააქციეს ქრისტიანულ საჰერცოგოდ, მაგრამ 1264 წ-ს. ეგვიპტის სულთანმა წაართვა ის ქრისტიანებს და ყველა ეკლესია დაანგრია. შემდგომ უკვე თურქეთის ბატონობის ხანაში ანტიოქიამ ვეღარ შეძლო აღედგინა ვერც სავაჭრო და ვერც – პოლიტიკური მნიშვნელობა.¹⁵

ღაჴნა წარმოადგენს ანტიოქიის მშვენიერ გარეუბანს და დაცილებულია მისგან ორი საათის სავალ მანძილზე. აქ იყო შესანიშნავი დაფნის, კვიპაროსისა და სხვა სახის დიდებული ხეების ქაღები. ფოთლებისა და ტოტების სიწირე ერთგვარ თაღს ქმნის და არ ატარებს მზის სხივს. ბერძნული ლეგენდით, აქ იმალებოდა მდინარე ლადონას ქალიშვილი დაფნა, აპოლონის სატრფო, და თავად აპოლონიც დიდხანს ცხოვრობდა აქ. ამ გადმოცემის გამო დაფნას დიდ პატივს მიაგებდნენ აქაური წარმართები. ამის შედეგად, თითქოსდა აქ სირიის მეფე სელეუკოსმა ააშენა აპოლონის დიდი და ბრწყინვალე ტაძარი, სადაც დაიდგა აპოლონისა და დაფნას სკულპტურული ფიგურები. წარმართებს ისიც სჯეროდათ, რომ იქ არსებულ ერთადერთ მომდინარე წყაროს წინასწარმეტყველების ძალა გააჩნდა და მასთან მიმსგლელებს მომავალს აგებინებდა. ამიტომ დაფნაში ძველად განთქმული იყო აპოლონის ორაკული. ამბობდნენ, რომ იმპერატორ ადრიანუსს, ჯერ კიდევ უბრალო ერისკაცს, წყარომ უწინასწარმეტყველა მომავალი გამეფება, და შეშინებულმა, სხვისთვისაც იგივე არ ეუწყებინა, ბრძანა წყაროს ქვიშით ამოფსება. იულიანუს ტახ-

¹⁵ ანტიოქია – თანამედროვე ანთაქია თურქეთის სამხრეთით, ჰათაის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი, 145 000 მცხოვრებით (რედ. შენ).

ტყე ასგლამდე დაფნაში აშენდა ბრწყინვალე სასტუმროები, აბანოები და სხვა დიდშენიერი ნაგებობანი. ნაწილობრივ ძველი, ერთიერი შინაარსის მქონე გადმოცემის, უფრო კი სასიამოვნო და ლამაზი გარემოს გამო, დაფნა ახალგაზრდების თავშეყრისა და სეირნობის, ასევე — საიდუმლო შეხვედრებისა და ერთიერი თავგადასავლების ადგილად იქცა. როდესაც გალუსი, იულიანეს ძმა, გახდა სირიის ნაცვალთა კონსტანტინის დროს, მან დაფნაში გამეფებული სვადასხვა აღვირახსნილობის აღსაკვეთად ააშენა ქრისტიანული ტაძარი და გადმოასვენებინა წმინდა ბაბილას ნაწილები. როგორც ადგილობრივი წამებული, ბაბილა დიდი მოკრძალებითა და თავგანისცემით სარგებლობდა ანტიოქიაში. მაგრამ იულიანემ დაუფიქრებლად შეურაცხყო მისი წმინდა ხსოვნა და ამით საბოლოოდ ამხედრა ანტიოქიის ქრისტიანები. ეს ამბავი ასე მოხდა: გახსნა დაფნაში დიდი ხნის წინათ გაუქმებული აპოლონის ტაძარი და დიდი პატივი მიაგო ამ სალოცავს, გარს შემთარტყა ბრწყინვალე კოლონების ახალი რიგი, დაახსა ზეთი და აკმია ნელსურნელება; ბრძანა, აღედგინათ წინასწარმეტყველური ძალის მქონე დაფნას წყარო. სპარსეთთან ომის მზადების წინ სხვა მისნებთან ერთად გადაწყვიტა დაფნას ორაკულის აზრის გაგებაც. ამ მიზნით დიდი შესაწირი და საჩუქრები უძღვნა სამსვერბლოს, მაგრამ ორაკული დუმდა. მაშინ იულიანემ დუმლის მიზეზი გამოიძია ქურუმებთან, რომლებმაც მიზეზად მიიჩნიეს ორაკულთან მიცვალბულის სიანლოვე და ქრისტიანთა ხშირი ლოცვები წმინდანის სამარხთან. ამიტომ იულიანემ ბრძანა, გაეტანათ წმინდანის ნეშტი დაფნადან. მაშინ ანტიოქიის ქრისტიანებმა არაჩვეულებრივი ზეიმით, ფსალმუნთა გალობით წაასვენეს წმინდა ბაბილას ნეშტი ანტიოქიაში. კაცები, ქალები, ახალგაზრდები, მოხუცები და ყრუებიც კი ერთხმად გამოდნენ კერპთაყვანისმცემლებს. განრისხებულმა იულიანემ ბრძანა, შეეპყროთ ყველაზე თავგამოდებული ქრისტიანები, მაგრამ მალე თავისივე ბრძანება გააუქმა. ვინაიდან ამით ქრისტიანებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, გამოეხატათ თავიანთი რწმენის სიმტკიცე და დამოკიდებულება წარმართობისადმი. ყოველ შემთხვევაში, იულიანე იმედოვნებდა, რომ აპოლონის დღესასწაული მიიზიდავდა ანტიოქიის მცხოვრებლებს, მსხვერპლის შეწირვის სურვილს აღუძრავდა მათ, მაგრამ მისივე აღიარებით, არავის არაფერი მიუტანია გარდა ერთი ბატისა და ქურუმმა ესდა შესწირა ბაგინში. იულიანესა და მის თანამოაზრეებს კიდევ ერთი მარცხი ელოდათ: წმინდა ბაბილას ნეშტის გადასვენების შემდეგ დაფნას ტაძრის სახურავი და ქანდაკებები გაანადგურა ცეცხლმა. წარმართებმა დიდი გულისტკივილითა და აღშფოთებით მიიღეს ეს ამბავი და ეჭვი მიიტანეს

ქრისტიანებზე. მაგრამ მკაცრი გამოძიების მიუხედავად დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს. ქრისტიანებს კი სჯეროდათ, რომ ცეცხლი ციდან გადმოვიდა და ეს იყო ღმრთის რისხვა განდგომილებზე. წმინდა იოანე თქრობიერი აღნიშნავდა, რომ თვით ხანძრის ნაკვალევი მიუთითებდა იმაზე, რომ ცეცხლი ზემოდან ჩამოაგდო უხილაგმა ხელმა, რომელმაც განსაზღვრა, რა უნდა განადგურებულიყო საკერპოში და რა დაზოგილიყო. ხანძრის შემდეგ დარჩა მხოლოდ კედლები და სვეტები, როგორც ნიშანი წამებულის ეშმაკზე გამარჯვებისა, დარჩენილი იმისათვის, რომ აუწყოს დაფნაში შემომსვლელ თანამედროვესა თუ მომდევნო თაობებს ქრისტიანობის ზეიმი წარმართებზე.

მე-ნ საუკუნეში აქ არსებობდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი.

სელევიკია პიმრია. ეს ქალაქი სამი მხრიდან მიუგალ პიერიის კლდეზე, თითქმის ორონტესის შესართავთან, მდებარეობს, ანტიოქიიდან 5 კმ-ში. ძველად მას „მდინარის წყლები“ ერქვა. სტრაბონის სიტყვებით, ქალაქი იყო უძლეველი და მეტისმეტად მდიდარი მონუმენტური ნაგებობებით. პომპეუსმა ის გამოაცხადა თავისუფალ ქალაქად. სელევიკიის ნიკატორმა აღადგინა, გაამაგრა ქალაქი და ამის შემდგომ ეწოდა მას სელევიკია. მოციქულთა საქმის მიხედვით ბავლე და ბარნაბა მოციქულებმა უბარველსად სელევიკია მონახულეს. ეგნატე ღმერთშემოსილიც რომისაკენ მოგზაურობის დროს ამ ქალაქში შეჩერებულა.¹⁶

ლაოდეკია. ამ სახელს სირიაში ექვსი ქალაქი ატარებდა, ყველა მათგანი სელევიკიის ნიკატორმა ააშენა და სახელი თავისი დედის, ლაოდიკეას საპატივცემულოდ დაარქვა. ერთი-ერთი ამ ქალაქთაგანი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, ნიკატორმა ანტიოქიასთან, სელევიკია პიერიასა და აბამეასთან ერთად დააარსა. ეს ოთხი ქალაქი მეგობრობდა ერთმანეთთან, ამიტომ მათ დებად მოიხსენებდნენ და ისინი ტეტრარქიას შეადგენდნენ. ლაოდეკია მდებარეობდა ზღვასთან, მთის ძირში, მშვენიერ ადგილზე და ჰქონდა თავისი ნავსადგური. ლაოდეკეას ოლქში ბუნება უფრო მრისხანე იყო, მაგრამ ვაზით მდიდარი. აქაური ღვინის უმეტესი ნაწილი გაჰქონდათ ალექსანდრიაში. იულიუს კეისრის დროს ლაოდეკეამ მიიღო თავისუფალი ქალაქის სტატუსი და ამიტომ მას იულიაც

16 სელევიკია პიერია – დღეს ამ ქალაქის ნანგრევები არის თურქეთში, ზღვისპირა სოფელ ჩევილიკის ტერიტორიაზე, ქალაქ სამანდალის მახლობლად, ჰატაის პროვინციაში (რედ. შენ.).

უწოდეს. სეპტიმუს სევერუსის დროს მან კიდევ უფრო მეტი უფლებები მოიპოვა და ქალაქს სეპტიმია ეწოდა. იუსტინიანეს დროს, მაღალას სიტყვებით, ლაოდიკეა გახდა მეტროპოლია თეოდორას პროვინციისა, რომელიც იუსტინიანემ დააფუძნა თავისი მეუღლის, თეოდორას საპატრიარქოებში. თუმცა, საეკლესიო თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ამით ქალაქს არ მიუღია მეტი უფლებები.

ეკლესიის ისტორიაში ცნობილი პირებიდან განსაკუთრებით უნდა გავიხსენოთ პრესვიტერი აბოლინარი და მისი შვილი აბოლინარი უმცროსი, ჯერ მკითხველი, შემდეგ კი იეროპოლისის ეპისკოპოსი, ცნობილი თავისი ცრუსწავლებით. აბოლინარი უმცროსი, ისევე როგორც მისი ძმა აბოლინარი უფროსი, წარმოშობით ალექსანდრიელი, გამოირჩეოდა ღვთისმოსავი ცხოვრებით, კლასიკური განათლებით, მეცნიერული აბოლოგეტური მოღვაწეობით ქრისტიანობის დასაცავად პორფირისა და იმპერატორ იულიანეს თავდასხმებისგან, ნიკეის სწავლების ერთგულებითა და ეკლესიაში განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ მას. მისი ცთომის დასაწყისს შემდეგნაირად აღწერს წმ. ეპიფანე: „ზოგიერთებმა, რომელთაც უკავიათ მაღალი ადგილი და სარგებლობენ მართლმადიდებელთა შორის უდიდესი პატივისცემით, შესაძლებლად მიიჩნიეს დაშვება, თითქოს ხორციელად გამოცხადებულ იქნათ ქრისტეს არ ჰქონდა ადამიანის სული; მტკიცება იმისა, რომ მიიღო კი ადამიანის სხეული და სამშენებელი, მაგრამ არ მიუღია ადამიანის სული, და მაშასადამე, არ ჰქონია სრულქმნილი ადამიანობა. უხუცესმა აბოლინარი ლაოდიკეელმა, დიდად პატრიარქოებმა თვით ნეტარი ათანასესა და ყველა მართლმადიდებლისაგან, პირველმა შეთხზა და გაავრცელა ეს სწავლება. ჩვენ არ გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ ასეთმა ადამიანმა დაიწყო ამის ქადაგება. ჩვენ მივიჩნევდით, რომ მისმა მოსწავლეებმა ვერ გაიგეს ასეთი განსწავლული და სერიოზული ადამიანის ღრმა აზროვნება და დაამატეს რაღაც თავისი, რასაც ის არ ასწავლიდა და ასე შემდეგ. ორივე ლაოდიკეის აბოლინარი, როდესაც იულიანემ აუკრძალა ქრისტიანებს კლასიკური განათლების მიღება, შეადგინა მრავალი თხზულება ქრისტიანებისათვის, რომლებიც შეუცვლიდა მათ კლასიკურ თხზულებებს. აბოლინარი უფროსმა ჰომეროსის მიბაძვით, ეგრეთ წოდებულ ჰეროიკული ლექსის ფორმაში გადაიტანა მისეს წიგნები, ხოლო სოზომენის მხედვით, ამავე ლექსის ფორმით გადაიტანა მთელი უძველესი ებრაული ისტორია საულამდე და მთელი ნაშრომი დაყო 24 ნაწილად. თითოეული აღნიშნა ბერძნული ანბანის ასოთი. საერთოდ, იღებდა თემებს წმინდა წერილიდან, ცდილობდა, წარმოესახა სხვადასხვა სახე უძველეს ავტორთა ქმ-

ნიღებთა მსგავსად; წერდა საღმრთო კომედიებს მენანდრეს მიბადვით, ტრაგედიებს – ევრიპიდეს მაგალითით, ლირიკულ ლექსებს – ჰინდარეს მიბადვით. ხოლო აპოლინარი უმცროსმა მოციქულთა საქმეები და ეპისტოლეები პლატონის მსგავსად გადმოგვცა საუბროს ფორმით. მიზანი, რისთვისაც ამ მწერლებმა გამოიყენეს ლექსწყობისა და თხრობის ამდენი ფორმა, როგორც ამბობს სოკრატე, იყო ის, რომ ბერძნული ენის არანაირი სახე ქრისტიანებისთვის უცნობი არ ყოფილიყო.¹⁷

მეორე სირია

მეორე სირიის პროვინციაში ირიცხებოდა რვა ეპარქია, თითოეული ეპარქიის დიოცეზის მანძილი უდრიდა 25 კმ-ს. ამ პროვინციის გამოყოფა პირველი სირიიდან მოხდა იმპერატორ თეოდოსიუს უმცროსის დროს.

აპამეა. მეორე სირიის მთავარ ქალაქად ითვლებოდა მდინარეების ორონტესა და მარსიის შესართავთან მდებარე აპამეა. ქალაქი დააარსა სელევკოს ნიკატორმა და აპამეა უწოდა თავისი მეუღლის საპატივცემულად. ბორცვზე განლაგებული ქალაქი კარგად იყო ბუნებრივად დაცული. აპამეა მეგობრობდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიოქიასთან, ლაოდიკეასთან, სელევკეასთან; სტრაბონი მათ „დეებს“ უწოდებდა. საეპისკოპოსო კათედრა აქ მოციქულთა დროიდან დაარსებულია. ქალაქის პირველი ეპისკოპოსი, გადმოცემის მიხედვით, სწორედ ის არისტარქე ყოფილა, რომელსაც პავლე მოციქული ეპისტოლეში კოლასელთა მიმართ (4, 10) თავის მოკავშირეს უწოდებდა. ქალაქს ამშვენებდა მრავალი მდიდრულად მოწყობილი წარმართული ტაძარი და ამიტომ წარმართობამ აქ თვით თეოდოსიუს დიდის მმართველობის დრომდეც კი გასტანა. ქრისტიანებმა ვერ შეძლეს, წარმართების თავდასხმისაგან დაეცვათ თავიანთი ეპისკოპოსის მარკელი, რომელმაც წამებით სიკვდილი იწვნია წარმართული ტაძრის დანგრევისათვის. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლად იყო მონასტერი. მე-5 საუკუნეში აქ ცნობილი იყო ეპისკოპოსი პოლიქრონიოსი, ძველი აღთქმის განმმარტებელი, თეოდორე მოხსუეტელის უმცროსი ძმა.¹⁸

17 ისტორიული ლაოდიკეა არის დღევანდელი ლატაკეა, სირიის მთავარი პორტი ხმელთაშუა ზღვაზე, ნახევარი მილიონი მოსახლეობით (რედ. შენ.).

18 დღეს აპამეადან მხოლოდ გრანდიოზული კოლონადა არის დარჩენილი (რედ. შენ.).

ანტიოქიის საბატონარქოს მიეკუთვნებოდა მცირე აზიის პროვინციები – კილიკია და ისაფრია, რომლებიც მდებარეობდნენ მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე.



სირია.

წმ. სვიმეონ მესვეტის სახელობის უძველესი მონასტერი.

კილიკია

კილიკიის პროვინცია მდებარეობდა სირიასა და ისაგრიას შორის, ჩრდილოეთით მას ესაზღვრებოდა ტავრის მთების ჯაჭვი, ხოლო სამხრეთით – ხმელთაშუა ზღვა. თეოდოსიუს II-ის დროიდან კილიკია იყოფოდა ორ პროვინციად: კილიკია I და კილიკია II. კილიკია I დასავლეთით, ისაგრიასთან იყო, კილიკია II – აღმოსავლეთით, სირიასთან. პირველში რვა საეპისკოპოსო ქალაქი ირიცხებოდა, ხოლო მეორეში – ათი. კილიკიის ბუნება მთაგორიანი გახლდათ, მოსახლეობა უმეტესად მწყემსობით იყო დაკავებული. კილიკიელთა ნაციონალურ ხელობას წარმოადგენდა კარგების გადასაფარებელი შალის ქსოვა, რამდენადაც იქაური თხის ბეწვი განსაკუთრებული ხარისხით გამოირჩეოდა.¹⁹

ტარსი. პირველი კილიკიის მთავარი ქალაქი იყო ტარსი. ტარსელეუბი ქალაქის დამაარსებლად თვლიდნენ ღოროშეცეკლა სარდანაპალს. ქალაქთან ახლოს მდგარი მისი ქანდაკება იმგვარად გამოიქერწათ, თითქოს ვიღაცას წკიპურტი უთავაზაო. ქანდაკების წარწერაც მის დამახასიათებელ სენტენციას გადმოსცემდა: „ჭამე, სვი და იყბდე. სხვა დანარჩენს რა ფასი აქვს“. ეს სენტენცია პავლე მოციქულს მოყვანილი აქვს კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში.

ტარსის, ანუ კილიკიის კარების მდებარეობა სავაჭრო გზაზე, მდინარე კიდნუსის სათავეში, ხმელთაშუა ზღვის ყურესთან, მეტად მომგებიანი იყო. ტავრის მთების ჯაჭვიდან და მის გადაღმა ოლქებიდან მოდინებული ტვირთი თავს იყრიდა ტარსში და ისიც ბუნებრივად გადაიქცა სატრანზიტო სავაჭრო საწყობად. ამაზე მოწმობს ტარსის ფული. ერთზე გამოსახულია ჰერმესი ქისით ხელში, სხვაზე – ქალი, მდინარე კიდნუსის²⁰ სიმბოლო, ირგვლივ შემოწყობილი საქონლის საბაღნეებით. ავეუსტუსმა გაითვალისწინა ქალაქის ოლქის სიდიდე, უდიდესი სავაჭრო მნიშვნელობა, მისთვის კანონით ნაბოძები თვითმმართველობის უფლება და გაათავისუფლა ქალაქი ხარკისაგან და უბოძა მას მეტროპოლიის საპატრიო წოდება – ამის შემდეგ ტარსი გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად. ქალაქის თვითმმართველობას ახორციელებდა სამი სახელმწიფო ინსტან-

19 ისტორიული კილიკიის ტერიტორია მთლიანად შეესაბამება თანამედროვე თურქეთის რაიონ ჩუკუროვას, რამოდენიმე პროვინციით (რედ. შენ.).

20 მდინარე კიდნუსი ანუ ტარსის მდინარე – თანამედროვე სახელწოდება: ბერდანი (რედ. შენ.).

ცია: ჰერუზია, რომლის წევრები ირჩეოდნენ სამუდამოდ; საბჭო, რომელიც თავს იყრიდა წელიწადში ორჯერ, წევრთა ცვალებადი შემადგენლობით; დაბოლოს, ხალხი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ეკლესიის მართვაში – სახალხო კრების ფორმით. მონეტებიცა და წერილობითი წყაროებიც მოწმობენ, რომ ტარსის სამივე ინსტანციაში საკმაოდ ერთსულოვნება სუფევდა, უთანხმოების საგნად მხოლოდ ფულის მოჭრის საკითხი ხდებოდა ხოლმე, რის გამოც აქ ისევე, როგორც სხვა პატარა ოლქებში, ადგილი ჰქონდა ინტრიგებს.

ტარსში განათლება მაღალ საფეხურზე იდგა. ტარსელი ფილოსოფოსები გამორჩეოდნენ ხალხის ნიჭით, იმპროვიზაციის უნარითა და აზრის სიმსუბუქით. მაგრამ აქაური სოფისტების ზნეობრივი მხარე ზუსტად ალექსანდრიელი სოფისტების ზნეობისნაირი იყო. მათი წვრილმანი კამათი და განხეთქილება გამუდმებით აღელვებდა ქალაქს, სტრაბონის წყალობით ვიცით, რა უაზრობამდე მიდიოდა ზოგჯერ მათი კინკლაობა. „ისინი ჯაფრს ეპიგრაფებით იყრიდნენ, და თუ გონებაძახვილობა აღარ ჰყოფნიდათ, ღამით სასაცილოდ თხიზნიდნენ მოწინააღმდეგეების სახლებს. აკადემიური დისპუტები ხანდახან სისხლიანი ცემა-ტყეპით სრულდებოდა.“ რა თქმა უნდა, ასეთი მდარე დაპირისპირება გასაქანს ვერ მისცემდა მეცნიერული აზროვნების განვითარებას და ჩვენთვის ნაწილობრივ გასაგებია, თუ რატომ აითვალწუნა პავლე მოციქულმა აგრერიგად ყოველგვარი სახის სოფისტიკა. და საერთოდაც, ტარსელთა ზნეობა ერთობ დაბალ საფეხურზე იდგა. ტარსელები სხვებზე მეტად ელტვოდნენ ფუფუნებას, უყვარდათ ყბედობა, მხიარულება, ბრწყინვალე სამოსელი, და გარეგნულ მოხდენილობას უფრო მეტად აფასებდნენ, ვიდრე ათენელები – სიბრძნეს. ისინი ჩამოსხდებოდნენ ხოლმე მდინარე კიდნუსის ნაპირებზე და ასე ელოდნენ ტკობას. წყალში მაინც ჩადით, აქილიკებდა მათ აპოლონიოს ტიანელი, ეგება, წყალმა დაგათროთო.

ტარსის მახლობლად გარდაიცვალა იმპერატორი კონსტანცი.

ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ქალაქ ტარსს მეტად შესანიშნავი ფაქტი უკავშირდება. აქ დაიბადა და გაატარა ბავშვობა წმინდა პავლე მოციქულმა. ტარსში ქრისტიანული სარწმუნოება დასაწყისშივე გავრცელებულა. უკვე იერუსალიმის სამოციქულო კრების დადგენილებით იყვნენ მივლინებულნი საგანგებო პირები სხვადასხვა ქალაქში, და მათ შორის, ტარსშიც, რათა იქაური ქრისტიანული თემებისათვის ეუწყებინათ კრების გადაწყვეტილებები. ტარსის პირველი ეპისკოპოსი, იასონი, იყო პავლე მოციქულის თანაშემწე (რომ. 6, 21). მეორე ეპისკოპოსი ურბანიც, ასევე, პავლე მოციქულმა დაადგინა. დევნის დროს ტარსში მრავალი

ადამიანი აწამეს. აქ მე-3-4 სს-ში წამებით აღესრულნენ: ეპისკოპოსი ათანასე (ხსენება 22 აგვისტოს); ქალწული პელაგია (ხსენება 4 მაისს); პროკოსი და ანდრონიკე (ხსენება 12 ოქტომბერს); კვირიკე და იგლიტა (ხსენება 15 ივლისს); იულიანე, ცნობილი იოანე ოქროპირის მიერ წარმოთქმული ქების წყალობით (ხსენება 21 ივნისს); და ლუკიანე (ხსენება 3 ივნისს). მომდევნო პერიოდის ტარსის ეპისკოპოსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა დიოდორე ტარსელი. არიანული შფოთვის დროს დიოდორე იყო პრესვიტერი და მასწავლებელი ანტიოქიაში. როდესაც არიოზის უწმინდური მოშურნე ვალენტი ჩამოვიდა ანტიოქიაში, დაიწყო მართლმადიდებელთა დევნა და მან შორს, გადასახლებაში გადაეკვა ანტიოქიის ეპისკოპოსი მელეტი. ანტიოქიის ეკლესიის ის ნაწილი, რომელიც მელეტის აღიარებდა ეპისკოპოსად, პრესვიტერების ხელმძღვანელობის ამარად დარჩა. მათ შორის ღვაწლით განსაკუთრებით გამოირჩეული იყო დიოდორე. ის, როგორც მოციქულთა სადარი ცხოვრების კაცი, საღმრთო საქმის მხურვალე მოშურნე, სახარების ჭეშმარიტების მტკიცე დამცველი, ფართო თვალსაწიერის მქონე, მით უფრო – ღმრთისმეტყველებაში, განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივით სარგებლობდა ანტიოქიელ ქრისტიანთა წრეში. დარიბსა და უქონელს მუდმივი ჭერიც არა ჰქონია, მელეტის გაძევების შემდეგ დადიოდა კარდაკარ, ყველას ამხნეებდა, ანუგეშებდა და შეაგონებდა. მართლმადიდებელთა დევნის დროს ის ერთი დადგა ყველას დამცველად, როგორც მაღალი და უძლეველი კლდე, ამხნევედა, მუსრაგდა ერეტიკოსთა ყოველგვარ ხლართებს და იცავდა ეკლესიის სიმშვიდეს. არანაკლებად ცნობილი იყო დიოდორე, როგორც ქრისტიანი ახალგაზრდობის მასწავლებელი და განმანათლებელი. სულიერ განათლებასა და სათნო ცხოვრებას მოწყურებული მრავალი ქრისტიანი იყრიდა მასთან თავს და მისი ხელმძღვანელობით ეწაფებოდა წმინდა წერილს. დიოდორემ 600-მდე წიგნი შეთხზა, რომლებშიც წმინდა წერილის არსია გახსნილი. იერონიმეს შეფასებით, დიოდორე ეგსევი ეპისკოპოსის მეთოდით ასწავლიდა და მასვე უტოლდებოდა სერიოზულობით, თუმცა, ჩამორჩებოდა მქვერმეტყველებით, რაკი ცოტა მოგვიანებით დაუეფლა საერო მეცნიერებას. ბასილი დიდი ახსენებს დიოდორეს ორ წიგნს და აქებს მისი სიტყვის სიცხადეს, სისადავსა და უბრალოებას, როგორიც შეუფერება წესიერ ქრისტიანს, რაკი წერს არა თავის წარმოსაჩენად, არამედ – საერთო სარგებლობისათვის. ასეთივე განწყობით ესაუბრებოდა დიოდორე მოწაფეებს და მათთან ერთად კითხულობდა საღმრთო წერილის წიგნებს. ერიდებოდა ღმრთის სიტყვის განმარტებაში უკიდურესობებს, რადგან ასეთი ხერხით წმინდა წერილში გადმოცემუ-

ლი ნათქვამები და ამბები ხშირად ნამდვილის სახეობად და აჩრდილად გადაქცეულა და მათთვის უცხო და მიუღებელი მნიშვნელობა შეუძენია, თავად განმმარტებლის გამოგონება რომაა. სხვათა შორის, დიოდორეს მოწაფეები იყვნენ წმ. იოანე თქრობირი, თეოდორე – შემდგომში მთხუესტის ეპისკოპოსი, და ფლავიანოსი – შემდგომში ანტიოქიის ეპისკოპოსი. წმ. იოანე თქრობირი ყოველთვის ღმრთის მადლიერი იყო და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდა, რადგან იმ არეულობის ჟამს უფალმა უბოძა მათ ასეთი ბრძენი მამა და მასწავლებელი. 379 წ-ს. მელეტი ანტიოქიელმა დაახსნა ხელნი დიოდორეს ტარსის ეპისკოპოსად. ეპისკოპოსად ყოფნისას დიოდორე აქტიურ მონაწილეობას იღებდა მთელს საეკლესიო საქმეში და ანტიოქიის საპატრიარქოს ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი იყო. კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებამ, რომელსაც დიოდორე ესწრებოდა, დააგალა მას მოეხსენებინა ანტიოქიის ეკლესიისათვის მსოფლიო კრების საქმიანობა, გაემძღავრებინა მართლმადიდებლობა და დაემხო მწვალებლობა. მომდევნო წელს იმავე კრების მამებმა, ახლად რომ შეიკრიბნენ კონსტანტინოპოლში, დიოდორეს რეკომენდაციით აკურთხეს წარმოშობით კილიკიელი ნექტარიოსი კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსად. დაბოლოს, მელეტი ანტიოქიელის გარდაცვალების შემდეგ, თვით დიოდორემ აკურთხა მის ნაცვლად ფლავიანე. ამ ფაქტებიდან კარგად ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ეკლესიაში დიოდორე. თუმცა მოგვიანებით დიოდორე გაკიცხეს მისი სწავლების გამო: რაკი მისდია აპოლინარის ცთომას და შეიქნა ნესტორიანელთა წინამორბედი. ამიტომ მხუეთე მსოფლიო საეკლესიო კრებამ დამსახურებულად გაკიცხა ის თავის მოწაფე თეოდორე მოხსუეტის ეპისკოპოსთან და იბა ედესელთან ერთად.²¹

ანაზარბი. მეთრე კილიკიის მთავარ ქალაქად და მეტროპოლიად ითვლებოდა ქალაქი ანაზარბი, რომელიც ამავე სახელწოდების მთასთან ახლოს მდებარეობდა და 100 კმ-ით იყო დაცილებული ზღვიდან. მას აგრეთვე უწოდებდნენ კესარიას. პროკოფი ანაზარბს კილიკიის ყველაზე გამოჩენილ ქალაქად თვლიდა. მისივე მოწმობით, იუსტინიანე უფროსის დროს ქალაქი მეოთხედ დაინგრა სასტიკი მიწისძვრის შედეგად, მაგრამ აღდგენილი იქნა და ეწოდა იუსტინოპოლისი. ანაზარბელ ეპისკოპოსთა რიგი იწყება არიოზის ერესის დროიდან და გრძელდება მე-11 საუკუნემ-

21 ტარსი – დღევანდელი თურქეთის ქალაქი თარსუსი მერსინის პროვინციაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე (რედ. შენ.).

დუ. ანაზარბის პირველი ეპისკოპოსი, მორისი, იყო ლუკიანე აღმსარებლის მოწაფე და არიოზის ყველაზე მხურვალე მიმდევარი.²²

მონკსუმიტია. მეორე კილიკიის მეორე შესანიშნავ ქალაქად ითვლებოდა მოპსუესტია. პროკოფის მოწმობით, ის დააარსა ქურუმმა მოპსმა. ქალაქი მდებარეობდა მდინარე პირამუსზე,²³ რომელიც გარს ერტყმოდა მას და იყო მისი მშვენიერი სამკაული. ქრისტიანობის პირველ საუკუნეში მოპსუესტელების აჯანყების გამო ქალაქი ნანგრევებში აღმოჩნდა. მაგრამ შემდგომში აღდგა, აყვავდა და თავისუფალ ქალაქად იქცა. როგორც ჩანს, ქალაქს იმპერატორი ადრიანე განსაკუთრებით მფარველობდა, ამაზე მიუთითებს მონეტებზე ამოტვიფრული სახელწოდება: ადრიანო-მოპსუესტია. ამ ქალაქის ეპისკოპოსთა შორის ეკლესიის ისტორიაში განსაკუთრებით ცნობილია თეოდორე მოპსუესტელი, ნესტორიანული შეხედულების ერთ-ერთი პირველი მქადაგებელი. თეოდორე წარმოშობით ანტიოქიელი იყო და ეპისკოპოსად კურთხევამდე ანტიოქიაში პრესვიტერად მსახურობდა. იოანე თქრობირთან ერთად სწავლობდა დიოდორეს ხელმძღვანელობით. ადრე თეოდორე, წმ. იოანეს მსგავსად ორატორ ღიბანიოსთან დადიოდა ვაკეუთილებზე, მონდომებით სწავლობდა ძველ ბერძნულ ლიტერატურას და ემზადებოდა საერო სამსახურისათვის. მაგრამ შემდეგ, იოანე თქრობირის მაგალითით, მანაც მონაზვნური, განმარტოებული ცხოვრება არჩია. მგზნებარე თეოდორე დასაწყისში არაჩვეულებრივი თავგამოდებით შეუდგა მკაცრ მონაზვნურ ცხოვრებას, ყველას აოცებდა სიკეთისადმი სწრაფვით. მთელი მისი მოშურნეობა გარეგანი სიბრძნისადმი ახლა ღმრთის სიტყვის შესწავლისაკენ მიიქცა. მთელს დღეებს კითხვაში ატარებდა, მთელს ღამეებს – ლოცვაში. მაგრამ ეს წმინდა მიმართულება დიდხანს ვერ შეინარჩუნა. მის გულში ღმრთისადმი მიჯნურობის ადგილი ამ ქვეყნისადმი სევდამ დაიკავა, და იჩქარა, დაბრუნებოდა ძველ, ამაო ცხოვრებას, ახალგაზრდისათვის მაცდუნებელს გართობითა და მაღალ წრეში ტრიალით. ერთი ქალწულის სიღამაზით მოხიბლულმა დაქორწინება გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილებამ მეტად ატკინა გული მის მეგობრებს და, განსაკუთრებით – იოანეს, რომელიც მის მიმართ მხურვალე სიხლოვეს გრძნობდა. ამ

22 ანაზარბი საბოლოოდ ეგვიპტის მამლუქთა იმპერიამ გაანადგურა 1374 წ-ს. ციხე-ქალაქის ნანგრევები დღეს თურქეთის ჩუკუროვას რაიონის ადანას პროვინციაშია, მის მახლობლად არის პატარა სოფელი დილეკკაია (რედ. შენ).

23 მდინარე პირამუსი, თანამედროვე სახელწოდება – ჯეიჰანი, მდებარეობს სამხრეთ თურქეთში, ჩაედინება ხმელთაშუა ზღვაში (რედ. შენ).

ერთგულებამ აიძულა იოანე თქრობიანი, მისთვის ორი ბარათი გაეგზავნა, რომლებშიც ემუდარებოდა თეოდორეს, მიეტოვებინა აბნეული ცხოვრება ერში და დაბრუნებოდა მშვიდობიან განმარტობას მეგობრების წრეში. ამ წერილების წაკითხვის შემდეგ თეოდორემ ნათლად გაიაზრა თავისი მდგომარეობის საშიშროება, იგრძნო ამქვეყნიურ სიამოვნებათა ამაოება და დაუბრუნდა ძველ, მისაგრე ცხოვრებას. ამ ამბით დამშვიდებული და გახარებული თეოდორეს მეგობრები მასთან ერთად შეუდგნენ ახალ მოღვაწეობას. ცხოვრობდნენ ერთსულთაგანად, იცავდნენ და მხარში უდგნენ ერთმანეთს სიყვარულით, დროს ატარებდნენ ღამისთევამში, ლოცვებში, სათნო ფიქრებსა და საუბრებში, და გულმოდგინედ აგრძელებდნენ ღმრთის სიტყვის შესწავლას. როდესაც სახელი გაითქვა განსწავლულობით, თეოდორე აკურთხეს მოპსუესტის ეპისკოპოსად. აქ მან 36 წელი (391-427 წწ.) დაჰყო და აგრძელებდა მეცნიერულ შრომას. მთელი ცხოვრების მანძილზე მან 600 თხზულება დაწერა. მაგრამ ვინაიდან მისი აზრები ახლოს იყო იმ დროს ეკლესიაში წარმოშობილ ნესტორიანულთა ცთომასთან, მესუთე მსოფლიო საეკლესიო კრებამ გააკიცხა ის, როგორც ერეტიკოსი და მისი სახელი ამომჟალეს მოპსუესტის ეკლესიის დიპტისებიდან.²⁴

24 მოპსუესტია – შუა საუკუნეებში ქალაქს ერქვა მამისტრა. მე-15 ს-დან, თურქების ბატონობის ქვეშ, ის არის სოფელი მისისი, 1960 წელს კვლავ გადაერქვა სახელი და გახდა იაკაპინარი, მდებარეობს თურქეთის სამხრეთით, ადანას პროვინციაში (რედ. შენ.).



კილიკია.

გადმოცემის თანახმად, აქ იქადაგა პირველად
წმ. პეტრე მოციქულმა

ისაგრია

პროვინცია ისაგრია მდებარეობდა კილიკიასა და პამფილიას შორის. ეს სახელწოდება პროვინციამ მიიღო აქ მდებარე ძველი ქალაქის, ისაგრიისაგან ან ამავე სახელის მატარებელი ორი სოფლისაგან. შექმდგომში ისაგრიის მთავარ ქალაქად იქცა სელეუკია, რომელიც ოდესღაც ემიჯნებოდა მას. ამის გამო მთლიანად ისაგრია, რომელიც უწინ ლიკონიას, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პროვინციას, მიეკუთვნებოდა, კილიკიასთან ერთად მიუერთდა ანტიოქიის საპატრიარქოს. ეს მოხდა ნიკეის კრების შემდეგ და გაგრძელდა მხოლოდ იმპერატორ ლეონ ისაგრიელამდე, რომელიც წარმოშობით იყო ისაგრიიდან. იმპერატორმა გაითვალისწინა ანტიოქიის ოლქის მძიმე მდგომარეობა სარკინოების თავდასხმების გამო და ისაგრიის პროვინცია კვლავ დაუქვემდებარა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. ისაგრიის ქვეყნის ბუნება მთიანი იყო, მის შუაგულში მიედინებოდა მდინარე ცელიდონიუმი. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ზღვაოსნობა შეეძლო და მეკობრეობას მისდევდა. საკებისკობოსო ქალაქები ისაგრიაში ისე ცოტა იყო, როგორც არსად სხვაგან, სახელდობრ, ოცდაათი, და ისაგრიის ეპისკოპოსები ეკლესიის ცხოვრების აქტიური მონაწილეები იყვნენ. ნესტორიანული შფოთვის დროს ისინი მართლმადიდებლებთან დადგნენ.²⁵

სელევკია. ისაგრიის მთავარი ქალაქი სელეუკია მდებარეობდა ზღვასთან ახლოს, მდინარე ცელიდონზე და მრავალმხრივ იყო ცნობილი, ისე რომ, დიდებით ტარსს არ ჩამოუგარდებოდა. ქრისტიანობა სელეუკიაში შეიტანა წმ. მოწამე თეკლამ, რომელიც, გადმოცემით, პავლე მოციქულის მოწაფე ყოფილა. სელეუკიის პირველი ეპისკოპოსიც, ასევე, პავლე მოციქულის მოწაფე არტემონი იყო. მაგრამ სელეუკიის ეპისკოპოსთა უწყვეტი რიგი იწყება I მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ და გრძელდება VI მსოფლიო საეკლესიო კრებამდე.

ისაგრიაში, ისე როგორც იერუსალიმის საპატრიარქოს იორდანეს გადაღმა ოლქში, იყო ათი ქალაქის კავშირი – დეკაპოლისი. აქ სახელი გაითქვას პროკოფი აღმსარებელმა ლეონ სომეხის დროს და გრიგოლ დეკაპოლელმა მე-9 საუკუნეში.²⁶

25 ისაგრიის პროვინციის საზღვრები დაახლოებით ემთხვევა დღევანდელი ბოზკირის რაიონს თურქეთის კონიას პროვინციაში, ქვეყნის სამხრეთით (რედ. შენ.).

26 ანტიკური სელეუკიის ადგილი დღეს დაახლ. 1 კილომეტრზეა თურქულ სოფელ ბუკაქშიძლერიდან, ანტალიის პროვინციაში. ის გორაკზე მდებარეობს და

ანტიოქიის საპატრიარქოს აღმოსავლეთის პროვინციები

ა) მკვრატის პროვინცია. ეფფრატის პროვინციას მიეკუთვნებოდა ორი ოლქი, რომელთაც ოდესღაც სხვა სახელწოდებით იცნობდნენ: კომპაგენე და კიროსი. კომპაგენეს ოლქი მდებარეობდა ეფფრატის მარჯვენა ნაპირზე, სადაც განლაგებული იყო მრავალი შესანიშნავი ქალაქი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უძველესი ხანაში. მაგრამ რომის ბატონობის დროს მათი დიდება ცოტაოდენ გაფერმკრთალდა. იმპერატორი იუსტინიანე სპარსეთთან ომის გამო იძულებული შეიქნა, ეფფრატის ნაპირზე მდებარე ქალაქები გაემაგრებინა. ეფფრატის პროვინციის მეორე ოლქი კიროსი, რომელსაც სახელი აქ მდებარე ქალაქ კიროსის გამო ეწოდა, სირიასთან უფრო ახლოს იყო; რომის ბატონობის დროს ამ ოლქის ქალაქები უფრო ყვაოდნენ, ვიდრე კომპაგენეს ოლქისა, რაც გამოწვეული იყო მათი სიხლოვით ანტიოქიასთან.

სამოსატი. კომპაგენეს მთავარი ქალაქი სამოსატი მდებარეობდა ეფფრატის ნაპირზე, მთების მახლობლად. სტრაბონის მიხედვით, ის თავად ბუნებას გაემაგრებინა. ეს რაიონი პატარა იყო, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერი. ფლაგიოსი ამ ქალაქს უწოდებს დიდს. მაგრამ ფლაგიოსის დროიდან მოკიდებული ქალაქი ძლიერებას კარგავს. მანამდე სამოსატი კომპაგენეს სამეფოს დედაქალაქი იყო, ეს მეფეები სელევკიდების დინასტიიდან მომდინარეობდნენ. რომის გაბატონებით აღმოსავლეთში მათ დაკარგეს ქვეყანაზე ძალაუფლება, თუმცა მეფის ტიტულს კვლავ ატარებდნენ. მისი უკანასკნელი მეფის, ანტიოქოს IV-ის ბედს ადგილი ითვს ფლაგიოსი. რომის იუდეასთან ომის დროს ანტიოქოსის ძარი უნდა შეერთებოდა რომის ჯარს. ომის დამთავრების შემდეგ რომის მთავარსარდალმა ბრალი დასდო კომპაგენეს მეფეს რომის ძალაუფლების საწინააღმდეგო ზრანვებში. ანტიოქოსი იძულებული გახდა, გაქცეულიყო სამოსატიდან, მაგრამ გზაში დაიჭირეს და ბორკილდადებული რომში გაგზავნეს. ეს მოხდა 72 წელს. რომის მთავრობის მიერ შერისხულსა და გადასახლებულ სამოსატის მკვიდრთა შორის იყო ვინმე მარიუსი, რომლის „წერილში“ თავისი ვაჟის, სერაფიონისადმი, გვითხვლობთ: „როდესაც ქალაქი დიდებით სუფევდა, მრავალთა სიყვარულს იმსახურებდა. ახლა

არქეოლოგიური გათხრების მიუხედავად მისი უმეტესი ნაწილი კვლავ ფიჭვის ტყეს უჭირავს (რედ. შენ.).

კი, აგრძელებს ავტორი, როცა წიგნები ძალმოძრებით გვდეგნიან, ამისთვის ისინი დასჯებიან. ჩვენ ვუჩვენებთ მათ ერთგულება, და ისიც, რომ ბოროტგანზრახვით არა ვართ იმპერიასთან. მაგრამ თუ რომაელები სამშობლოში დაბრუნების ნებას დაგვრთავენ, მაშინ ისინი დაიმსახურებენ სამართლიანის სახელს, მათი ქვეყანაც ისიამოვნებს მშვიდობით. დაე, გაგვგათავისუფლონ და ჩვენ მზადა ვართ, დაგვმორჩილოთ მათ ძალას.“ ამ ამონარიდიდან ცხადია, რომ სამოსატის ოლქი შერისხული იყო რომის მთავრობის მიერ.

ცნობილი არ არის, როდის გაფრცელდა სამოსატში ქრისტიანული სარწმუნოება. მეორე საუკუნეში აქ ცხოვრობდა ქრისტიანული რელიგიის დიდი მტერი – ფილოსოფოსი ლუკიანე სამოსატელი, რომელმაც თავის ნაწარმოებში პერეგრინუს პროტეოსზე²⁷ განუსჯელად დასცინა ქრიატიანთა ძმურ სიყვარულსა და ლტოლვას მოწამეობრივი აღსასრულისადმი. მესამე საუკუნეში სამოსატში წარმოიშვა მეორე მტერი ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლებისა – პავლე სამოსატელი. მან არ იკმარა ისეთ უბრალო, პატარა ქალაქში მოღვაწეობა, როგორც იყო მაშინ სამოსატი, და მეტ დიდებას დაეწაფა. პავლე, როგორც ვიცით, გადასახლდა ანტიოქიაში, გახდა ეპისკოპოსი და ამ წოდებაში მყოფმა გააფრცელა აქ ანტიტრინიტარების ერეტიკული სწავლება.

27 ლაპარაკია ლუკიანე სამოსატელის ნაწარმოებზე „პერეგრინუსის სიკვდილი.“

ლუკიანე სამოსატელი (დაახლ. 125-180 წწ.) იყო ბერძენოვანი ორატორი და სატირიკოსი, წარმოშობით სირიელი. მის კალამს 80-ზე მეტი ნაწარმოები მიეწერება: ფილოსოფიური დიალოგები, ბიოგრაფიული და სათავგადასავლო რომანები. ამასთან, ყველა მისი ნაწერი არის პაროდია და დაუნდობელი სატირა. მიიხედავ ერთ-ერთ პირველ რომანისტად დასავლურ ცივილიზაციაში, სამეცნიერო ფანტასტიკის პირველ ავტორად. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებია: „ნამდვილი ამბავი“, სადაც მოთხრობილია მთვარესა და ვენერაზე გაფრენასა და ვარსკვლავურ ომებზე, „ღმერთების დიალოგი“ და „მკვდრების დიალოგი“.

პერეგრინუს პროტეუსი რეალურად არსებული ბერძენი კინიკოსი ფილოსოფოსი იყო ქპარიონიდან. ადრეულ ასაკში პალესტინელ ქრისტიანთა თემში ცხოვრობდა, იქიდან გააძევეს მამის მკვლელობაში ბრალდებით, შემდეგ დამკვიდრდა საბერძენეთში. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 165 წლის ოლიმპიური თამაშებისას, ჯერ სიტყვა წარმოთქვა საკუთარ სიკვდილზე და შემდეგ სამსხვერპლო კოცონში გადაეშვა. მის სატირულ ბიოგრაფიას წარმოადგენს ლუკიანეს „პერეგრინუსის სიკვდილი“. ავტორი განსაკუთრებით ქრისტიანობას აქილიკებს. აი, თავად ლუკიანეს შესახებ რას წერს სვიდას ლექსიკონი: „ლუკიანე სამოსატელი ღმრთისმგმობად და ბოროტსიტყვად იწოდება, რადგანაც თავის დიალოგებში დასცინის ღვთაებას. ცხოვრობდა იმპერატორ ტრაიანეს და მის მემკვიდრეთა დროს. თავიდან ადვოკატი იყო. ბევრს წერდა. ამბობენ, რომ ძაღლებს დაუგლეჯიათ, რადგან ჭეშმარიტებას ებრძოდა. და მართლაც, „პერეგრინუსის ცხოვრებაში“ ის თავს ესხმის ქრისტიანებს და ეს უწინდური თავად ქრიტეს შეურაცხყოფს. ამ ცოფიანი თავდასხმებისთვის იწენია შესაფერი სასჯელი ამქვეყნად, და მომავალშიც მარადიულ ცეცხლს მოიძკის.“ (რედ. შენ).

მე-3 საუკუნეშივე სამოსატში დაიბადა და მოღვაწეობდა ცნობილი ანტიოქიური ქრისტიანული მეცნიერების დამაარსებელი ლუკიანე, შემდგომში ანტიოქიის პრესვიტერი. სამოსატის ეპისკოპოსები ცნობილი ხდებიან მხოლოდ კონსტანტინე დიდის დროიდან. მაგრამ ამ დროსაც სამოსატის ეპისკოპოსები (გარდა ევსევისა, რომელიც ამხელდა არიანელებს გალენტის დროს), უფრო თანაუგრძნობდნენ ეკლესიაში წარმოშობილ მწვალებლობებს, ვიდრე მართალ სწავლებას. მათ შორის განსაკუთრებულია ანდრია სამოსატელი, რომელიც თეოდორიტე კვირელთან ერთად თანაუგრძნობდა ნესტორს, თუმცა თეოდორიტეს ჩამორჩეობდა განათლებით. სწავთა შორის, სიმხდალის გამო მან უარი განაცხადა ეფესოში წასვლაზე ნესტორის საქმის დასაცავად.

მწვალებლობა სამოსატში გაგრძელებული იყო ეფრემ ასურის დროსაც. ერთხელ, როდესაც ეფრემი კესარიიდან ედესაში მიდიოდა სამოსატის გაგლით, ქალაქის შესასვლელში ერთმა მწვალებელმა შენიშნა. თავყედურად აიგდო მასწრად ღარიბი ბერი და სახეშიც კი გააარტყა. მაგრამ სამოსატში იყვნენ ღვთისმთავრები კეთილმსახურნიც. ასუბები იყვნენ წმინდა დანიელ მესვეტე თრაკიელი († 489 წ-ს.) და დირსი რაბბულა მე-6 საუკუნეში. მე-9 საუკუნეში მაჰმადიანთა დარბევებისა და სხვა უბედურებების გამო ქალაქი სამოსატი ქალაქ ამიდასთან ერთად ერთი ეპისკოპოსის მმართველობის ქვეშ მოექცა. ამ დროს (810 წ.) სამოსატი გახდა პავლიკიანელთა ცენტრი, რომლსაც კონსტანტინე სომეხი უძღვებოდა.²⁸

ჰიმრაპოლინი. მთელი ევფრატის პროვინციის მეტროპოლია და კირიეს ოლქის მთავარი ქალაქი იყო ჰიერაპოლისი. ამ ქალაქში განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ სირიის ქალღმერთს, ამიტომაც დაარქვა სელეუკოსმა მას წმინდა ქალაქი, ანუ ჰიერაპოლისი. მოსახერხებელი მდებარეობის გამო ეს ქალაქი, მარცვლინუსის გადმოცემით, რომის მთავრობამ მთელი ევფრატის პროვინციის მეტროპოლიად აქცია და ამით ის ძველ ქალაქ სამოსატზე უფრო მნიშვნელოვანი შეიქნა. პროკოფიც ჰიერაპოლისის უწოდებს მთავარსა და ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ქალაქს. ჰიერაპოლისის მიტროპოლიტთაგან აღსანიშნავია ალექსანდრე,

²⁸ უძველესი ქალაქი სამოსატი მდ. ევფრატის ზემო წელზე მდებარეობდა. ჩვენს დრომდე პატარა დაბის სახით მოადწია. თუმცა ანტიკური სამოსატი მთელი მისი ძეგლებით ათათურქის სახელობის უდიდესი კაშხალის მშენებლობას შეეწირა, რაც 1983-დან 1990 წლამდე გრძელდებოდა. სამოსატი მთლიანად დაფარა წყალმა 1989 წ-ს, ხოლო მისი მცხოვრებლები იქვე ახლოს, ახლადამშენებულ დასახლება სამსატში გადაიყვანეს (რედ. შენ.).

ნესტორის მხურვალე დამცველი. მიტროპოლიტ ალექსანდრეს არ სურდა კირილე ალექსანდრიელთან ურთიერთობა, ვინაიდან ეჭვობდა, რომ ის აბოლინარის სწავლების მიმდევარი იყო. ამის გამო ის სწერდა თავისი მიტროპოლიის ეპისკოპოსებს, რომ უმაღლეს კიდურებს მოიგვეთდა, ვიდრე უარს იტყოდა თავის შეხედულებებზე: თუ უნდათ, მოვიდნენ და სხვა დასვან ჩემს ადგილზე. ნეტარი თეოდორიტეს თხოვნაზე, მიეღო წმ. კირილეს სწავლება, მან ასე მისწერა: „გთხოვ, ნუ იწუნებ თავს. მე არ ვუყურებ, რას აკეთებენ კილიკიელები და ისაზრიელები. თუნდ აღსდგეს ყველა, ვინც კი სიცოცხლის დასაწყისიდან დაბადებულა და ეგვიპტელთა სწავლებას უწოდოს კეთილმსახურება, ჩემთვის მაინც ღმრთისაგან ნაბიძგები ჩემი ცოდნა უფრო უტყუარია“.

ჰიერაპოლისის მე-8 ეპისკოპოსი ფილოქსენე ან ქსენაია, წარმოშობით სპარსი, ხელდასმული პეტრე ფულონის მიერ, იყო მონოთელიტობისა და ხატმბრძოლობის ბირველი მქადაგებელი. ცნობილია რამოდენიმე წმინდანი, რომლებიც იერაპოლისის ოლქში მე-4 ს-ში განდიდდნენ.²⁹

პიროსი. საეკლესიო ისტორიის თვალსაზრისით კიროსის ოლქის მეორე მნიშვნელოვან ქალაქად ითვლებოდა კიროსი. თეოდორიტეს მოწმობით, ის დაცილებული იყო ანტიოქიიდან ჩრდილოეთით ორი დღის საგაღზე, ანუ 70 რომის მილით (100 კმ.). ამბობენ, ეს ორი ქალაქი ააშენეს ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებულმა იუდეველებმა და ქალაქსაც უწოდეს მათი განმანთავისუფლებელის, კიროსის სახელი. მთავარ გზებს დაცილებული ქალაქი მცირერიცხოვანი და ღარიბი იყო. მოსახლეობას არ შეეძლო ხარკის გადახდა და ამიტომ ისინი ტოვებდნენ იქაურობას. ქალაქის კეთილდღეობა დაიწყო ამ ქალაქის ეპისკოპოსის, ნეტარი თეოდორიტეს დროს. უანგარო მოძღვარი კმაყოფილდებოდა მხოლოდ აუცილებელით. თეოდორიტეს სიტყვით, ეკლესიის მსახურები არასოდეს სძალავდნენ უცხოთა ბურსა თუ კვერცხს. პირიქით, თეოდორიტე ეკლესიის ხარჯითა და საკუთარი სახსრებით ქველმოქმედებას ეწეოდა ქალაქში, ააშენა ორი ხიდი, დახურული ტაღანები, აღადგინა საზოგადო აბანოები, უწყლო უბნებში გაიყვანა წყალსადენი, წყალდიდობისგან დამცავი არხები, სხვადასხვა ქვეყნიდან მოიწვია ექიმები (მაგალითად, ალექსანდრიიდან ჩამოიყვანა საექიმო საქმეში დახელოვნებული მღვდელი),

29 ანტიკური იერაპოლისის თანამედროვე სახელწოდებაა ფამუქ-ქალე. ქალაქის ნანგრევები სამხრეთ-დასავლეთ თურქეთში, ქდენიზლიდან 17 კილომეტრშია. იერაპოლისის არქეოლოგიური ძეგლები და ფამუქ-ქალეს თერმული წყაროები და ტრავერტინები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია (რედ. შენ).

მხატვრები, ხელოსნები. ქალაქის უფლებებისა და პრივილეგიების გაზრდის თაობაზე შუამდგომლობდა იმპერატორთან, დედოფალ პულხერიასთან და სხვა დიდებულებთან. დაბოლოს, მან თავის მრევლში ისეთი სიმშვიდე და სიყვარული დაამყარა, რომ მისი ეპისკოპოსობის დროს არ წამოჭრილა არც ერთი სადავო საკითხი. პირიქით, ყველა ცდილობდა, ერთმანეთს გაჯიბრებოდა ქველმოქმედებაში.

კიდევ უფრო განდიდდა ქალაქი იუსტინიანეს დროს. ამ ხელმწიფემ სცნო ქალაქ კიროსის მნიშვნელობა იმპერიისათვის, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ აქ იყო კოზმასა და დამიანეს ნეშტები, ამიტომაც გაამაგრა ეს ქალაქი კედლებით და გაამშვენებდა ტაძრებით. კიროსის ტაძართა შორის გამოირჩეოდა კოზმასა და დამიანეს ტაძარი, აღწერილი თეოდორიტეს მიერ. კიროსში იყო კიდევ ერთი ტაძარი, წმ. დიონისეს სახელობისა, ღვაწლმოსილი იულიანეს აშენებული. ნეტარი თეოდორიტეს მწრუნველობით კიროსში თავმოყრილი იქნა მრავალი სიწმინდე – პატრიარქთა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა ნაწილები სირიის, პალესტინის, ფინიკიის სხვადასხვა ადგილიდან, რაც პატივით იყო დასვენებული ახლადაშენებულ ტაძრებში. კვიროსის ეპარქია მდიდარი იყო ეკლესიებით, აქ 800-მდე სამრევლო არსებობდა. ქალაქს ჰყავდა თავისი წამებულებიც. იმპერატორ იულიანეს დროს აქ ეწამა წმინდა დომეტიოსი ორი მოწაფეთურთ. როდესაც იმპერატორი ლაშქრით წავიდა ანტიოქიდან სპარსეთის წინააღმდეგ, გზად კიროსის ოლქში იხილა წმინდა დომეტიოსის მოწაფეებთან ერთად, რომლებიც მღვამეში დამკვიდრებულიყვნენ. გაღიზიანებულმა იმით, რომ ყოველი მხრიდან მოედინებოდა მოღვაწესთან უამრავი ხალხი დახმარების სათხოვნელად, ბრძანა, ქვებით ამოეჭოლათ მღვამე და ამგვარად გამოასალმა სიცოცხლეს კეთილმსახური ბერი და მისი მოწაფეები.

ქალაქ კიროსის მიდამოებში კიდევ მრავალი სხვა მოღვაწე მოსაგროვებდა, განთქმულნი სიწმინდითა და სასწაულებით. ზოგ მათგანს ცოცხალს ვეღარ მიუსწრო ნეტარმა თეოდორიტემ, სხვებს პირადად იცნობდა. როგორც გარდაცვლილებზე, ისე თავის თანამედროვეთა შესახებ მოგვითხრო მან თავის „ღმრთისმოყვარეთა ისტორიაში“. სწორედ კიროსის მახლობლად მოღვაწეობდნენ: მავსიმა, მარი, მართნი, ზევინი, პოლიქრონიოსი (შემდგომში აბამეას ეპისკოპოსი), აკეპსიმოსი, დომინე, იაკობ განდევნილი და აბრაამი (შემდგომში კარის³⁰ ეპისკოპოსი). მაგრამ კიროსის სამწყსოში მრავლად იყვნენ ერეტიკოსებიც. აქ შემორჩინი-

30 ქალაქი კარი – უძველესი ქარანი, სადაც ცხოვრობდა აბრაამი, მდებარეობდა ოსროჰენას პროვინციაში, კიროსიდან აღმოსავლეთით, 80 კმ-ზე.

ლი იყო ზოგიერთი გნოსტიკური სექტა. ნეტარი თეოდორიტე ყოველ ღონეს მიმართავდა მათ აღმოსაფხვრელად. მან ამოიღო ტატიანოსის მიერ დამახინჯებული 200-მდე ოთხთავი და შეცვალა ისინი ახალი და შეურყენელი სახარებებით. რვა სოფელში გაბატონებული იყო მარკიონის მწვალებლობა. ნეტარმა თეოდორიტემ მათგან 10 000 მარკიონიტი მოაქცია. კიროსის ეპარქიაში სხვა მწვალებლებიც ცხოვრობდნენ. მაგალითად, ორი სოფელი სავსე იყო არიანელებითა და ეგნომიანელებით, რომელთა მართლმადიდებლებად მოქცევა, ასევე, ღმრთის წყალობით, მოასწრო კიროსის ნეტარმა მღვდელმთავარმა. ერეტიკოსებთან ბრძოლა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და მეტად სახიფათო იყო: „მრავალჯერ, წერს ის, დამიდგნია სისხლი, მრავალჯერ უსვრიათ ჩემთვის ქვეები“ ერეტიკოსთა მოქცევაში წარმატებას ნეტარი თეოდორიტე განდევილებისა და წმინდანების მეოხებას მიაწერს, რომელთა წმინდა ნაწილებს პატივს მიაგებდნენ მის ქალაქში. ამ ადგილობრივ საქმიანობასთან ერთად ნეტარმა თეოდორიტემ დაგვიტოვა შესანიშნავი ნაშრომები ეკლესიის ისტორიისა და ღვთისმეტყველების შესახებ. თუმცა ეს გამოჩენილი ეკლესიის მოღვაწე ნესტორიანელთა და მონოფიზიტთა არეულობის უამს, თავდაპირველად ნესტორის მხურვალე დამცველად გვევლინებოდა. ნესტორისადმი სიყვარული კიროსის ეკლესიაში თეოდორიტეს შემდეგაც დიდხანს გაგრძელდა. ასე მაგალითად, კიროსის მე-7 ეპისკოპოსმა სერგიმ ნესტორი წმინდანად შერაცხა და მის სახსენებლად საგანგებო დღესასწაული დააფუძნა. კიროსის უკანასკნელი, მე-8 ეპისკოპოსი, სახელად ასევე სერგი, რომელიც იუსტინეს დროს ცხოვრობდა, 518 წელს გადაასახლეს.³¹

გერმანოციონა. ამავე კიროსის ოლქში, სირიისა და კაპადოკიის საზღვარზე, მთა ამანის მახლობლად, მდებარეობდა ქალაქი გერმანიცია. არიანელთა არეულობის დროს ამ ქალაქის ეპისკოპოსი ევდოქსი ამ ცრუსწავლებას თავგამოდებით იცავდა. შემდგომში ის ანტიოქიის, დაბოლოს – კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი გახდა. მისი მცდელობის შედეგად ამ ცრუსწავლებას ქალაქში ბევრი მიმდევარი გაუჩნდა; და მომდევნო ეპისკოპოსს, სტეფანეს, დიდი შრომა დასჭირდა, რათა მოქალაქენი მართლმადიდებლებად მოქცია. სხვათა შორის, გერმანიციიდან იყო წარმოშობით თავად ნესტორი, მაგრამ ამ ქალაქის ეპისკოპოსები უფრო ნაკლებად თანაუგრძნობდნენ მის მოძღვრებას, ვიდრე ამ ოლქის სხვა ეპისკოპოსები

31 ანტიკური კიროსის ნანგრევები დღეს მდებარეობს ჩრდილოეთ სირიაში, თურქეთის საზღვართან, ალექსოლან დაახლ. 70 კმ-ის დაშორებით (რედ. შენ.).

და ამ უკანასკნელებზე ადრე დაუბრუნდნენ მართლმადიდებლობას.³²

მმს(ო)პ(ო)ტამ(ი)ა. მდინარე ევფრატსა და ტიგროსის შორის მდებარეობდა მესობოტამია (შუამდინარეთი). მესობოტამია უხვმოსავლიან მსხმოიარე ბაღს მოგაგონებდათ. მდინარე ევფრატი და ტიგროსი სათავეს აღმოსავლეთ თურქეთში, ტავრის მთებში, იღებენ, კვეთენ მას და საკმაოდ მაღალ ტრამალებზე მიედინებიან, რასაც ერთფეროვნად, მორიგეობით ენაცვლება ქვიანი ბორცვები და ტბები. მდინარეთა ნაპირები კი კვიპაროსებითა და სვგა ხეებითაა დაფარული. რაც უფრო დაბლდება მხარე, მით განზე იფანტება მსხმოიარე ბაღები, ხოლო მდინარეთა შუა სივრცე ხრიოკი და უკაცრიელი ხდება. აქ მხოლოდ მთმაბარე მწყემსები ცხოვრობენ, და კიდევ – ვირების გელური ჯოგები, სირაქლემისა და საგათის³³ გუნდები. ეგვიპტის მსგავსად, ეს უწვიმო ქვეყანაც ყოველწლიურად ამ ორივე მდინარის გადმოსვლით ირწყვება. მაგრამ ეს წყალდიდობა ნილოსის მსგავსად ზომიერი როდია! ტიგროსი ხშირად დიდი ხნით ფარავს ბარს წყლით და თვალუწვდენელ, ბობოქარ ზღვად გადაიქცევა.

ქრისტეს სჯული აქ პირველსავე საუკუნეში უქადაგიათ, ხოლო საბოლოოდ ქრისტეს ეკლესია მე-4 საუკუნეში, ეპისკოპოს ოსტატის მარტირების დროს დამკვიდრდა. მესობოტამიის ოლქი იყოფოდა ორ პროვინციად: ოსროჰენა, რომელიც ევფრატის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა და საკუთრივ მესობოტამია, ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე მდებარე. ორთავე პროვინცია ერთად თექვსმეტ ეპარქიას მოიცავდა.

ოსროჰენა. ოსროჰენას პროვინცია ევფრატის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა და ასე მისი ერთ-ერთი პირველი მთავრის, ოსროს სახელის მიხედვით ეწოდა. ეს პროვინცია დიდი ხანი იყო არაბთა მმართველობის ქვეშ და მას არაბეთადაც იხსენიებდნენ. ოსროჰენას თავადებს იქაურენაზე აგვაროსებს ეძახდნენ.

მმს(ს)ა. ოსროჰენას პროვინციის მთავარი ქალაქი იყო ედესა. ეს ქალაქი ნებროთს დაუარსებია. უწინ მას უწოდებდნენ არახს, შემდგომ – ანტიოქიას, ედესა კი მაკედონელებმა დაარქვეს, როდესაც ის ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო, მშობლიური მაკედონური ქალაქის, ედესის მოსაგონებლად. ბოლოს იმპერატორმა იუსტინიანემ უბოძა მას ახალი

32 ანტიკური გერმანიციის ადგილზე დღეს არის ნახევარმილიონიანი თურქული ქალაქი ქაჰრამანმარაში, ქვეყნის სამხრეთით (რედ. შენ.).

33 საგათი – დიდი ზომის ფრინველი, წეროსნაირთა რიგისა (რედ. შენ.).

სახელი – იუსტინოპოლისი, როდესაც წყალდიდობის შემდეგ ახლად აღადგინა. 612 წ-ს. ედესა დაიპყრეს სპარსელებმა და შემდეგ, მალევე – მაჰმადიანებმა.

ქრისტიანობის მატრიანეში ქალაქი ედესა ცნობილია მისი მთავრის, ანუ ავგაროსის ქრისტეს სჯულისადმი მოშურნეობით. აქ ინახებოდა ავგაროსისადმი იესო ქრისტეს საბასუნო წერილი. აქედან გაითქვა სახელი ხელთუქმნელმა ქრისტეს გამოსახულებამ. აქ იყო დამარხული თავად მახარებელი მოციქული თადეოზი, რომელმაც რწმენით განანათლა ავგაროსი. ეფრემ ასური ედესას ღმერთის მიერ კურთხეულ ქალაქს, მოციქულთა ბაგეს უწოდებს. თადეოზ მოციქულს, გადმოცემით, თნი მოწაფე ჰყოლია – მორისი და აგისი; ისინი მოღვაწეობდნენ ამ მხარეში თადეოზთან ერთად და მის შემდეგაც. მეორე საუკუნის დასაწყისში ამ ქალაქის ეპისკოპოსად იყო წმინდა ბარსუმა (ხსენების დღე 30 იანვარს), რომელმაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მოაქცია, მოამწადა ისინი წამებისათვის და თვითონაც წამებით აღესრულა ტრაიანეს დროს. ამ იმპერატორმა სპარსთა წინააღმდეგ ლაშქრობისას ანტიოქიაში მსჯავრი დასდო წმ. ეგნატუს და, უეჭველია, ედესაშიც გააჩაღა ქრისტიანთა დევნა. ბარსუმას გარდა ტრაიანის ჟამს ედესაში აწამეს სარბილოსი და ბიბეოსი (ორივეს ხსენება 15 თქტომბერს). მეორე საუკუნეში ედესაში, ავგაროს ბარ მანუს სასახლეში ცხოვრობდა გნოსტიკოსი ბარდესანი, კაცი განსწავლული და ნიჭიერი პოეტი. მას დიდი გავლენა ჰქონდა ავგაროსზე და ამ უკანასკნელმა მისი ჩაგონებით აკრძალა ციხელასადმი მიძღვნილი უსირცხვილო ზეიმები, მონეტებზეც მის დროს ბაალის კულტის ამსახველი საგნების ნაცვლად ჯვარი იჭრებოდა. დეციოსის დროს აქ ეწამნენ გალაკტიონი და ეპისტიმია (ხსენების დღე 5 ნოემბერს), დიოკლეტიანეს დროს – გური, სამონი და აბიბო (ხსენება 15 ნოემბერს). საერთოდ, ქრისტიანულ სარწმუნოებას ედესაში, თქრობირის მოწმობით, გაცილებით მეტი მიმდევარი ჰყავდა, ვიდრე იმპერიის სხვა ქალაქებში. დიოკლეტიანეს დევნის ხანაში ედესაში ეძებდნენ თავშესაფარს იმპერიის სხვა კუთხეებიდან დევნილი ქრისტიანები. ამ დროს ედესის ეპისკოპოსმა კონონოსმა ქალაქში დიდი აკლდამა მოაწყო. ედესა იყო ერთი იმ ქალაქთაგანი, სადაც არ შეწყუვლა კეთილმსახურება იულიანეს დროსაც კი. სპარსეთში ლაშქრობის დროს, როდესაც მესობოტამიაზე გადადიოდა, იულიანემ მარცხნივ ჩამოიტოვა ეს კეთილმსახური ქალაქი, თუმცა თავი ვერ შეიკავა, რომ არ გამოეხატა სიძულვილი ედესელების მიმართ, როდესაც ამის შესაძლებლობა მიეცა. ვალენტინის მიმდევრებმა, სავარაუდოდ, ბარდესანის სკოლიდან, საჩივრით მიმართეს მას ედესის ტაძრების შეურაცხყოფისათ-

ვის. იულიანემ ისარგებლა ამ შექმნევიანობით და ედესის ეკლესიას ჩამოართვა საგანძური და ეკლესიის კუთვნილი უძრავი ქონებაც მიითვისა. ამ დროს არ დავიწყებია, ჩვეული სარკაზმით დაეცინა „სახარებისეული სიგლანაკის“ ნეტარებაზე. იულიანეს დროს ედესაში ეგნო გემელიუს პაფლაგონელი (ხსენება 10 დეკემბერს). მე-2 საუკუნის დასასრულიდან ედესაში გავრცელდა გნოსტიკური მცთარობა, უპირატესად, სწავლული ბარდესანის მეშვეობით, რომელსაც ეფრემ ასური მანვილგონიერს უწოდებდა. ბარდესანი ცნობილი იყო თავისი ბრძოლით ასტროლოგიის სწავლების წინააღმდეგ ადამიანის ბედზე პლანეტების ზეგავლენასთან დაკავშირებით, მაგრამ თვითონ ქადაგებდა გნოსტიკურ სწავლებას ორი საწყისის შესახებ. თავის სწავლებას ის გადმოსცემდა პოეტური ფორმით, წერდა მომხიბლავი ენით, თავისსავე გამოგონილი სალექსო საწომებით. მას 150 სიმღერა დაწერა ფსალმუნთა რაოდენობის მიხედვით. მისი შვილი ჰარმონიაც, ასევე, წერდა სიმღერებს, მას განათლება ათენში ჰქონდა მიღებული. მამა-შვილის სიმღერებმა ხანგრძლივი დროით განამტკიცეს ბარდესანის მცთარი მოძღვრება. იმდენად, რომ ამ სიმღერების გავლენის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა თეოდორიტეც კი, რომელიც მე-5 საუკუნეში ცხოვრობდა.

მე-4-5 საუკუნეებში ედესის ეკლესია მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას იმუამად გავრცელებულ ერესებთან ბრძოლაში. როდესაც ვალენტიმ ედესიდან გააძევა მართლმადიდებელი ეპისკოპოსი ბარსუსი, აღმსარებელი (373 წ-ს.), მართლმადიდებლებმა ქალაქარეთ მოაწყვეს კრებები. მალე თვითონ ვალენტიც ჩამოვიდა ედესაში და უბრძანა პრეტორიის პრეფექტ მოდესტის, დაეშალა ხალხი, საჭიროების შემთხვევაში იარაღის ძალითაც. მაგრამ როდესაც მოდესტი ბრძანების შესასრულებლად გაემართა, მას გზა გადაუჭრა ერთმა ქალმა ჩვილი ბავშვით ხელში. — საით მიგაქქარება? — შეეკითხა პრეფექტი. — ჩემს თანამორწმუნეებთან, რათა მათთან ერთად მივიდო თქვენგან სიკვდილი, — უბახუხა ქალმა. პრეფექტი სასწრაფოდ გამობრუნდა და ეს ამბავი ვალენტის შეატყობინა, და ბრძანებაც გაუქმდა. სამაგიეროდ, ვალენტიმ ედესის ეკლესიის 88 წევრი გაგზავნა სატუსაღოში.

არიანული შფოთვის შემდეგ ქალაქში დამკვიდრებული სიმშვიდის პერიოდში ქალაქის მოსახლეობა და ეპისკოპოსები შეუდგნენ ტადრების მშენებლობას. ეპისკოპოსმა კიროს I-მა დიდებული გუმბათი დაადგა თომა მოციქულის სახელობის ბრწყინვალე ტაძარს. ნესტორიანულ მწვალებლობასაც, არიანობის მსგავსად, ედესელები სრული გულგრილობით შეხვდნენ. ეს მით უფრო უცნაურად გამოიყურებოდა, რაკი ლა-

მის მთელი ანტიოქიის საპატრიარქო პირველ ხანებში ნესტორს მეტად თანაუგრძნობდა. ამასობაში ედესის მე-15 ეპისკოპოსმა რაბბულამ ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მხარი დაუჭირა კირილუ აღექსანდრიელს, რისთვისაც ის სასტიკად გაეციხა სამოსატის ეპისკოპოსმა ანდრიამ. მაგრამ რაბბულა განთქმული იყო განსწავლულობით, სწორედ მას მიაწერენ ედესის სასწავლებლის დაარსებას. ეფესოდან დაბრუნების შემდეგ რაბბულამ მეგობრული მიმოწერა გააჩაღა კირილუ აღექსანდრიელთან, და გამოსცა ეპისტოლე, რომლითაც კრძალავდა თეოდორე მოპსუეტელის თხზულებების კითხვას. „ჩვენი ქალაქის ტირანი, წერდა შემდგომში რაბბულას ამ საქციელზე მისი მემკვიდრე საეპისკოპოსო კათედრაზე, იბა, ედესის ეპისკოპოსი, რომელიც თანაუგრძნობდა ნესტორის მწვალებლობას, – რწმენის საბაბით სჯის არა მარტო ცოცხლებს, არამედ დიდი ხნის აღსრულებულებსც. ერთი მათგანი არის ნეტარი თეოდორე, ჭეშმარიტების მქადაგებელი და ეკლესიის მასწავლებელი, რომელიც არა მარტო სიცოცხლეში მოაქცევდა ერეტიკოსებს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, არამედ გარდაცვალების შემდეგაც ეკლესიის შვილებს დაუტოვა სულიერი იარაღი. აი, ვინ გადასცა კადნიერად, ღიად ანათემას რაბბულამ, – ის, ვინაც ღვთით არა მარტო თავისი ქალაქი გაანათლა, არამედ შორეულ ეკლესიებსაც უქადაგა ჭეშმარიტება“ ამ ნაწყვეტიდან ნათელია, რომ რაბბულას მემკვიდრე იბა ნესტორის მიმდევარი იყო. და მართლაც, წერილში მარი სპარსისადმი იბა აცხადებს, რომ ნესტორი უსამართლოდ გაეციხა კირილუმ, ურჩევს მას, იკითხოს თეოდორე მოპსუეტელის ნაშრომები და ხშირად გამოთქვამს არამართლმადიდებლურ შეხედულებებს. მაგრამ ედესის მრევლმა არ თანაუგრძნობდა იბას იმის მიუხედავად, რომ განსწავლული კაცი იყო და მწრუნველობდა ედესის ეკლესიას. მან ედესაში ტაძარიც ააშენა მოციქულთა სახელზე. იბას მამხილებლად მისივე ეკლესიის სამღვდელთა გამოვიდნენ. იმპერატორმა თეოდოსიმ ჩამთართვა მას კათედრა და ედესის ეპისკოპოსად დანიშნა ნონოსი, რომელიც თავისი მწრუნველობით ქალაქის კეთილდღეობაზე ნეტარი თეოდორეს მსგავსი იყო. მან ედესაში ააგო მონასტერი, ტაძარი იოანე ნათლისმცემლის სახელზე, აგადმყოფთა, ღატაკთა და თბილთა თავშესაფარი კოშხასა და დამიანეს ეკლესიასთან, ააშენა სიმაგრეები, ხიდები, შეაკეთა გზები.

მესობოტამიის ქალაქთა შორის ედესა განათლებითაც გამოირჩეოდა. ედესის ერთ-ერთი მასწავლებელი, მაკარი, იყო მოწამე ლუკიანეს მოძღვარი, რომელიც ცნობილი იყო განსწავლულობით. ედესაში მიიღო განათლება ცოდნით განთქმულმა ევსევიმაც, რომელიც შემდგომში ემე-

სიას ეპისკოპოსი გახდა. ის ედესის ერთი კეთილშობილი ოჯახიდან იყო. სიემაწვილის წლებში იქაური წესისამებრ, როგორც სოზომენი გვატყობინებს, შეუსწავლია საღმრთო წერილი, ხოლო შემდგომ – ელინური მეცნიერებანი ადგილობრივი მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

მაგრამ ედესის მნიშვნელობა, როგორც საღმრთისმეტყველო ცენტრისა, განსაკუთრებით ამაღლდა მე-4 საუკუნეში, როდესაც აქ ჩამოვიდა ეფრემ ასური. წმ. იაკობ ნიზიბიელის გარდაცვალების შემდეგ წმ. ეფრემ ასური ედესაში გაემგზავრა. როგორც გრიგოლ ნოსელი მოგვითხრობს, ეფრემს ამოდრავებდა იქაური სიწმინდეების თაყვანისცემის სურვილი, უფრო მეტად კი ისეთ განათლებულ კაცს ეძებდა, ვისგანაც ცოდნის ნაყოფს მიიღებდა. ედესაში ჩამოსულმა ეფრემმა იხილა მოსახლეობის გატაცება ბარდესანის ჰიმნებითა და მისი გნოსტიკური სწავლებით. მაშინ წმინდა ეფრემმა ამ ჰიმნებს საკუთარი დაუპირისპირა, მართლმადიდებლური სწავლებით გაჯერებული. მდიდარი ბუნებრივი ნიჭი, სულის გამუდმებული ამაღლება, დაუღუგნელი მგრძობელობა, აზრების ნათლად და გამომსახველად გადმოცემის უნარი, ისეთივე სუფთა კილო, როგორითაც წერდა ბარდესანი (ანუ ედესის კილო, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა სირიული ენის სამ ცნობილ კილოთა შორის) – ყოველივე ამან განაპირობა ეფრემის საგალობლების წარმატება. ამ წარმატებები-სათვის ეფრემმა გარკვეული გარეგანი საშუალებაც იხმია. უფრო მეტად რომ განეწყო ედესელები ეკლესიაში სიარულისათვის, წმინდა ეფრემმა მოიწვია ქალწულები, რომელთაც ღმრთის მსახურებას უძღვნეს თავი, და თვითონ ასწავლა მათ გალობა. ეს წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდა. მწვალებლური ცთომით გატაცებული ედესელები ტოვებდნენ თავიანთ თავყრილობებს და უბრუნდებოდნენ ეკლესიას.

უდიდეს პოეტურ ნიჭთან ერთად წმინდა ეფრემი ღრმა მეცნიერულ ცოდნასაც ფლობდა. იცოდა ბერძნული ენაც. ის თავისუფლად კითხულობდა წმ. ირინეოს ლიტონელის თხზულებებს, ათანასე ალექსანდრიელის მიერ აღწერილ ანტონი დიდის ცხოვრებას და ა.შ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადმე ბერძენ ფილოსოფოსებს – სოკრატეს, პლატონს, არისტოტელესაც იცნობდა, რომელთაც მოკლედ ახასიათებს. წმინდა წერილის განმარტებისათვის ის სშირად ხელმძღვანელობდა სამოცდაათთა თარგმანით, და, ამასთან, ფლობდა ებრაულ ენასაც, რაც აუცილებელია ძველი აღთქმის განმარტებისათვის. წმ. ეფრემს მოწაფეებიც ჰყავდა, რომლებსაც მოძღვრავდა მაგალითითა და სიტყვით. ისინი დაკავებულნი იყვნენ წმინდა წერილის განმარტებით და ბაძავდნენ თავიანთ მოძღვარს ლექსების თხზვაში. წმინდა ეფრემმა მათ უანდერძა, გაეგრცელებინათ

ქრისტიანული სინათლის ცოდნა და მართლმადიდებლური მოძღვრება. „სიმეონ, მიმართავდა ის თავის სანდო მოწაფეთაგან ერთს, გისმინოს უფალმა დმერთმა; ყოველ ქალაქში, სადაც კი მიხვალ, ადავსებ ეკლესიას, ვითარცა ბარძიმს.“ სხვა მოწაფეს ასე ეუბნებოდა: „დე, იყოს სიტყვა შენი ცეცხლისა მსგავსი, რომელიც მწვალებლობათა ეკალს დაფერფლავს. დაე, შემუსროს შენმა სიტყვამ ცრუ სწავლებანი, როგორც ხანძარი გად-აწვავს ჯაგნარს და გაიმარჯვებ დავითის მსგავსად, ხოლო ნაცვლად გოლიათისა შენ დაამარცხებ ცთომისა ძეებს“. და მართლაც, ეფრემის მიერ დაარსებული ედესის სასწავლებელი მისი გარდაცვალების შემდეგაც ანათლებდა არა მხოლოდ მისი ქვეყნის, არამედ სპარსეთისა და სომხეთის ქრისტიანებსაც. ედესის სკოლა დაიხურა ეპისკოპოს კიროს II-ის დროს, 488 წელს და მის ადგილზე ყოველადწმინდა ღმრთისმშობლის ტაძარი გამართეს (აღბათ იმიტომ, რომ ედესის სასწავლებელში მაშინ გაგრძელდა ნესტორის ცთობა, რომელიც უარყოფდა წმინდა ქალწულის ღმრთისმშობლად სახელდებას).

ედესის მოგვიანო სწავლულთა შორის აღსანიშნავია თეოდორე ედესელი, რომელიც ედესის მაჰმადიანი მმართველის დროს ცხოვრობდა. მან ქრისტიანობისადმი განაწყო მაჰმადიანი მმართველი მოაბი და VII საუკუნეში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარეული ედესის ეკლესიები აღადგენინა.

ედესის შემოგარენში დიდად ყვაოდა განდეგილური ცხოვრება. მაგრამ ედესაშივე IV საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი მესალიანელთა ანუ ევტიხიანელთა მწვალებლობას. ამ ერეტიკოსთა პირველი სახელწოდება სირიულია, მკორე – ბერძნული, და ორივე მათგანი ნიშნავს მლოცველებს, რამდენადაც სარწმუნოების არსს ეს ერეტიკოსები მხოლოდ ღოცვაში ხედავდნენ. წმინდა ეპიფანე მოწმობს, რომ მესალიანელთა ცთობა მესობოტამიაში დაიწყო. ფოტიოსის საეკლესიო საქმეთა მისედეით ჩანს, რომ ანტიოქიის პატრიარქ ფლავიანეს თავისთან დაუბარებია მესალიანობაში ექვმიტანილი ოსროჰენას ოლქის ეპისკოპოსები: ადელფიოსი, ევსტათი და სხვები. ხოლო თეოდორიტი კი პირდაპირ წერს, რომ ედესადან ადელფიოსს გამოუძახესო. ღირსი ნილოსიც ედესელ ადელფიოსს ასახელებს. უთუოდ, უადრესად სახიფათო იყო მესალიანელთა ცთობა, რადგანაც 426 წლის კონსტანტინოპოლის კრებამ დაადგინა, რომ ყველა მესალიანელი, ეს ეპისკოპოსი იყო თუ სხვა სასულიერო პირი, გადაყენებული და ეკლესიიდან განკვეთილი იქნებოდა, სანამ ცთომას არ შეინანებდა.

ედესის მომდევნო მოვლენებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქედან მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გადატანა კონსტანტინოპოლ-

ში კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს. 612 წელს ედესა აიღეს სპარსელებმა, შემდეგ კი — მაჰმადიანებმა.³⁴

მეწივენი. მდინარე ტიგროსის მახლობლად მდებარე რომის პროვინცია მესობოტამია იმპერატორ ტრაიანუს დროს გამოეყო ოსროჰენას პროვინციას. ოდესღაც ეს ოლქი მეოთხე სომხეთის სახელს ატარებდა.

ამილდ. მესობოტამიის პროვინციის მთავარ ქალაქად ტრაიანემ ქალაქი ამიდა აირჩია. მაგრამ ამ ქალაქის ეკლესიური დამოუკიდებლობა იმპერატორ კონსტანტინე დრომდე არ დაწყებულა. მან მმართველობის მეოთხე წელს ქალაქი მტკიცე კედლებით გაამაგრა. ამიდა მდებარეობდა მდინარე ტიგროსისა და ტაფრის შტოს მახლობლად. ამიდის წმინდანთა შორის ცნობილი არიან: ფენგონოსი და ეგვარბიოსი, 310 წლის მახლობლად წამებულები (მათი ხსენება 23 იანვარს). ამიდის ეპისკოპოსების რიგი იწყება ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებიდან. ამ ქალაქის ეპისკოპოსთაგან განსაკუთრებით ცნობილი არიან: აკაკი, მე-4 საუკუნის მოღვაწე, რომელმაც საეკლესიო ნიფთები გაყიდა სპარსელებისაგან დატყვევებული ქრისტიანების გამოსასყიდად და მე-6 საუკუნის მოღვაწე, განსწავლულობით ცნობილი ეპისკოპოსი მარა III. მე-6 საუკუნის დასაწყისში ამიდა დაიპყრეს სპარსელებმა და რომაელებმა ის ხელმეორედ გამოისყიდეს. შემდგომში, 1176 წ-მდე, ამიდაში იყო იაკობიტი პატრიარქების კათედრა.³⁵

ნიზიბია. მესობოტამიის მეორე შესანიშნავ ქალაქად ითვლებოდა ნიზიბია, რომელიც მდინარე ჩახ-ჩახზე, მთების ძირში მდებარეობდა. ეს იყო გამაგრებული ქალაქი, რაზეც მისი სახელწოდებაც მეტყველებს. გადმოცემით, ედესას მსგავსად, ისიც ნებროთს დაუარსებია და წარმოადგენდა სომეხი მეფეების რეზიდენციას ვაგარშაკიდან ერვანდამდე. მაკედონელებმა დაპყრობის შემდეგ ქალაქს უწოდეს მიგდონის ანტიოქია, ეს სახელწოდება ქალაქმა გერ დაიმკვიდრა. ქრისტეს სჯული, გადმოცემით, ნიზიბიაში მოციქულმა თადეოზმა იქადაგა. დიოკლეტიანეს დევნის დროს ნიზიბიაში ეწამა წმ. თებრონე (ხსენება 25 ივნისს). მაგრამ

34 ზედა მესობოტამიის ანტიკური ქალაქი ედესა დღეს არის თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ოსროენას პროვინციის ქალაქი შანლიურფა (რედ. შენ.).

35 მდ. ტიგროსზე მდებარე უძველეს ქალაქ ამიდას ადგილზე ახლა არის თურქეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი დიარბაქირი, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით (რედ. შენ.).

ნიზიბის ეკლესიამ სახელი განსაკუთრებით მე-4 საუკუნის დასაწყისში გაითქვა, მისი ეპისკოპოსის, წმ. იაკობ ნიზიბელისა და მისი მოწაფის, ეფრემ ასურის დიდი დამსახურებით. ნიზიბის ქვეყანაში განდევილური ცხოვრება ადრევე გახდა ცნობილი. ქალაქის შემოგარენის მღვმიანეები განდევილებს თავშესაფრად ექცათ, ხოლო მცენარეთა და ნაყოფთა სიუხვე – საწრდოდ. სწორედ ამ მოსაგრეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა წმინდა იაკობ ნიზიბელი, რომელიც ცნობილი იყო როგორც დაყუდებული ცხოვრებითა და სასწაულთა სიმრავლით, ისე – მოშურნეობით ქრისტეს რწმენის გაგრძელებასა და მართლმადიდებლობის დაცვაში. ნიზიბის ეპისკოპოსობის დროსაც, ხალხმრავალ ქალაქში მყოფს არ დაუგდია მოსაგრე ცხოვრების წესი. მის დიდ წადიერებაზე ქრისტეს სჯულის გაგრძელების საქმეში მიუთითებს ის ფაქტი, რომ ის საგანგებოდ მოგზაურობდა ნიზიბის მეზობელ სპარსეთში. იაკობ ნიზიბელის ერთ-ერთი უახლოესი მოწაფე და განდევილური ცხოვრების წესის უმკაცრესი დამცველი იყო წმ. ეფრემ ასური. იგი, სავარაუდოდ, მე-4 საუკუნის პირველ წლებში ნიზიბიაში ან მის მახლობლად უნდა დაბადებულიყო. როგორც თვითონ მოწმობს, მისი შორეული წინაპრები ლატაკები ყოფილან, მოწყალეობით რომ ცხოვრობდნენ. ბაბუები – მიწათმოქმედნი და არ უჭირდათ, მშობლებიც ამავე საქმიანობას ეწეოდნენ; ქალაქში კი ნათესავები ჰყავდათ. რაკი სხვებზე უკეთ იცოდა თავისი მოწაფის დიდი ღირსებები, წმ. იაკობმა თან წაიყვანა ეფრემ ასური ნიკეის კრებაზე. მასთან ერთადვე დიდი სამსახური გაუწია ქალაქ ნიზიბიას სპარსთა მეფის, საპორ II-ის შემოსევის დროს, 337 წელს. როდესაც კონსტანტინე დიდის სიკვდილი და მისი მემკვიდრეების სისუსტე შეიტყო ამ სპარსთა მეფემ, გადაწყვიტა, ხელში ჩაეგდო ნიზიბის შემოგარენი და ორი თვის განმავლობაში ალყაში ჰყავდა ქალაქი მოქცეული. ამ დროს, როდესაც ნიზიბის მცხოვრებლებს ქალაქის შენარჩუნების იმედი უკვე ეწურებოდათ, წმინდა იაკობი ყველას ამხნეებდა ლოცვებითა და საქმით. ძველი თქმულებები ნიზიბის გადარჩენას სასწაულს მიაწერენ, წმ. იაკობისა და წმ. ეფრემის ლოცვებით რომ აღსრულებულა. „წმინდა ეფრემმა, ნათქვამია ამ თხზულებაში, მიიღო ეპისკოპოსის კურთხევა, ასულიყო ქალაქის კედელზე და ლოცვით მოეგლისებინა სპარსთა ჯარზე უამრავი მწერი. მტრის ბანაკში არეულობა დაიწყო. შეწუხებულმა ადამიანებმა და ცხოველებმა აღარ იცოდნენ, როგორ დაეფარათ თავი ამ მრავალრიცხოვანი მტრისაგან. საპორი იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ მოესხნა ალყა და წარუმატებლად დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში.“ ერთი წლის შემდეგ, 338 წელს, გარდაიცვალა წმ. იაკობი. მისი გარდაცვალების შემდეგ

ეფრემი დაუყოვნებლივ მიემგზავრება ედესაში; სულ მალე ნიზიბიაც სპარსელებმა დაიმორჩილეს. ეს მოხდა იულიანეს გარდაცვალებს შემდეგ, რომელიც, როგორც ცნობილია, სპარსეთზე წარუმატებელი ლაშქრობის დროს მოკვდა. ამის შემდეგ მისი მემკვიდრე იძულებული იყო, არასახარბიელო ზავი დაედო სპარსეთთან. ამ სამშვიდობო ხელშეკრულებით ნიზიბია სპარსეთის მმართველობას დაეთმო. ნიზიბიის მომდევნო ხანის ისტორიიდან აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ 442 წ-ს. ედესიდან ჩამოსულმა მასწავლებლებმა აქ გახსნეს სასწავლებელი, რაც იქცა ნესტორის მწვალებლობის გამაგრებლებად, ხოლო სასწავლებლის მოძღვარი ბარსუმა ნიზიბიის პირველი ნესტორიანელი ეპისკოპოსი გახდა.³⁶

³⁶ ანტიკური ნიზიბია არის თანამედროვე ნუსაიბინი, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მარდინის პროვინციაში, სირიის საზღვართან. ახი ათასამდე მოსახლის ეთნიკური უმრავლესობა ქურთია, დანარჩენები – თურქები და სირიელები (რედ. შენ.).



კუმბურდიაშვილი.
კანჩკარიას დუთისმშობლის სახელობის ტაძარი.

კვიპროსის ეკლესია

ანტიოქიის საპატრიარქოს მუხობელ ქვეყანათა შორის, რომლებიც უძველეს ხანაშივე უზიარნენ ქრისტეს ნათელს, იყო კუნძული კვიპროსი და სპარსეთი.

კუნძული კვიპროსი, რომელიც სძელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, სირიასა და კილიკიის მოპირდაპირედ, შესანიშნავია როგორც სიდიდით, ისე – ნაყოფიერებით. აქ უხვად მოდის ხორბალი, ღვინო, ზეთი, მდიდარია ტყითა და სპილენძისა და ვერცხლის საბადოებით. კვიპროსი დასახლებული იყო ფინიკიიდან გადმოსახლებულებით, ხოლო ტროას დანგრევის შემდეგ აქ ბერძენი კოლონისტებიც გადმოვიდნენ, რომელთაც გაავრცელეს აფროდიტესადმი თაყვანისცემა. აფროდიტეს მთავარი და უმდიდრესი ტაძარი იყო ქვეყნის უძველესსა და მთავარ ქალაქში, პაფოსში.¹ მაგრამ კვიპროსზე იუდეველებიც ბლომად სახლობდნენ, მათ ძირითადად კუნძულის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქი სალამინი ეკავათ.

ქრისტიანული ეკლესია კვიპროსზე დაარსდა საკმაოდ ადრე. გადმოცემით, ქრისტეს მეგობარი ლაზარე იყო კვიპროსის ერთ-ერთი ქალაქის, კიტონის,² ეპისკოპოსი. „კუნძული კვიპროსი, წერს ერთი მოგზაური, შორიდან დიდია და ლამაზი. თვალს განსაკუთრებით იზიდავს სვეტებით დამშვენებული ოთხკუთხა სამრეკელო, რომელიც დგას, როგორც გვარწმუნებენ, სწორედ ქრისტეს მეგობრის, ლაზარეს საფლავზე“.³

1 ქალაქი პაფოსი („საქმე მოციქულთას“ მიხედვით: პაფო) კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს, დღეს იმავე სახელის მქონე რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 50 000-იანი მოსახლეობის 80% ბერძნულენოვანია, დანარჩენი – თურქულ ენაზე მოლაპარაკე. ქრისტემდე 51 წ-ს. პაფოსში ცხოვრობდა ციცერონი, რომელიც მაშინ მთელი კვიპროსის პროკონსული იყო (რედ. შენ).

2 ქკიტონი არის დღევანდელი სანაპირო ქ. ლარნაკა, კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ამავე სახელწოდების რაიონის დედაქალაქი 50 000 მცხოვრებით. ქკიტონში ძვ.წ. მე-4 ს-ში დაიბადა ძენონი, ცნობილი ფილოსოფოსი, სტოიკოსთა სკოლის წარმომადგენელი. ამჟამად აქ არის კვიპროსის უპირველესი, ლარნაკას საერთაშორისო აეროპორტი (რედ. შენ).

3 გადმოცემით, არაბების ბატონობის დროს, მე-7 ს-ში მოციქულ ლაზარეს საფლავი დაიკარგა. 890 წ-ს. ლარნაკაში ნახეს საფლავი წარწერით: „ოთხი დღის ლაზარე, მეგობარი ქრისტესი.“ იმპერატორ ლეონ VI-ის ბრძანებით, 898 წ-ს. წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში, წმ. ლაზარეს სახელობის ტაძარში გადაასვენეს. მალე ლაზარეს წმინდა ნაწილების გადასვენების დღე მართლმადიდებლურ დღე-

მოციქული ბარნაბა წარმოშობით კვიპროსიდან იყო. „საქმე მოციქულის“ თხრობით, კვიპროსელებიც ყოფილან იერუსალიმში სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს და მოუსმენიათ პეტრე მოციქულის ქადაგება. იერუსალიმის მოციქულთა კრების შემდეგ მრავალი ქრისტიანი განერიდა დევნას და კუნძულ კვიპროსს შეაფარა თავი. კვიპროსელებმა პირველებმა ახარეს ანტიოქიასა და სირიას ქრისტეს მოძღვრება. ერთ ხანს პავლე მოციქული ქადაგებდა კვიპროსში და მოაქცია პროკონსული სერგი-პავლე.⁴ ეს იმას ნიშნავს, რომ პავლე მოციქულს მთელი კუნძული გადაუსერაფს ქადაგებით, ვინაიდან იუდეველი მოგზაურები კუნძულზე გემიდან ქ. სალამინში გადმოდიოდნენ ხოლმე, რომელიც კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა, ხოლო ქალაქი პაფოსი, სადაც სერგი-პავლეს რეზიდენცია იდგა, კუნძულის დასავლეთ ნაწილში, ყველაზე დაცილებულ პუნქტში, რომის მახლობლად იყო. შესაძლებელია, ამბობს ერთი მწერალი, ეს პროკონსული პავლე, სწორედ ის სწავლული კვიპროსელი სერგი-პავლეა, რომლის შრომებს ხშირად იშველიებს ბლინიუსი კუნძულის ბუნების აღწერისას. როდესაც მოციქული ბარნაბა გამოეთხოვა მოციქულ პავლეს, დაბრუნდა კვიპროსზე და აქ გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები, აქვე ეწამა და დაიმარხა.

კვიპროსის ეკლესიაში თხუთმეტამდე საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა, კუნძულის სხვადასხვა ქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ კუნძული კვიპროსი სირიის ნაცვალის გამგებლობაში იმყოფებოდა, ის ყოველთვის ინარჩუნებდა ავტოკეფალიასა და დამოუკიდებლობას ანტიოქიის საპატრიარქოსაგან, რადგანაც კვიპროსის ეკლესია იყო სამოციქულო ეკლესია. IV–VII სს-ებში კვიპროსის ეკლესია სიმშვიდეს ინარჩუნებდა, გააჩნდა ავტორიტეტული ხმა მსოფლიოს საეკლესიო საქმეებში, და მრავალ ერეტიკოსთაგან დევნილ მართლმადიდებელს

სასწაულად დაწესდა, რომელიც ახალი სტილით 30 ოქტომბერს აღინიშნება. ამის შემდეგ, მე-9 ს-ის ბოლოს ლარნაკაში ლაზარეს საფლავზე ააგეს მისი სახელობის ეკლესია. მომდევნო საუკუნეებში ტაძარი გადავიდა ჯერ რომაელი კათოლიკეების ხელში, შემდეგ – ოსმალებისა. მათ მე-16 ს-ში ის მეჩეთად გადააკეთეს, რისთვისაც მოანგრირეს სამი გუმბათი სამრეკლოებითურთ. 1589 წ-ს. თურქებმა ტაძარი მართლმადიდებლებს მიჰყიდეს. დღეს ეს ტაძარი მოქმედია, აქ დარჩენილია წმინდა ლაზარეს ნაწილები. ლაზარეს შაბათს ქლარნაკაში ეწყობა სახალხო მსვლელობა წმ. ლაზარეს ხატით (რედ. შენ).

4 ლუციუს სერგიუს პაულუსი იყო კუნძულ კვიპროსის პროკონსული 1-ელ საუკუნეში, იმპერატორ კლავდიუსის დროს. მოციქულმა პავლემ დროებით თვალის სინათლე წაართვა ჯადოქარ ელიმას, იგივე ბარ-იისუს, რომელიც სერგი პავლეს გადაბირებას ცდილობდა ჭეშმარიტების გზიდან, იხ. საქმე მოციქულთა 13:6-12. არსებობს ამ სიუჟეტის ამსახველი რაფაელის ცნობილი ტილო, რომლის დედანი არის ლონდონში, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში (რედ. შენ).

აძლეგდა თავშესაფარს. ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ ქ. ტრიმიფუნტის⁵ ეპისკოპოსი წმ. სპირიდონი – აღმსარებელი, ცნობილი თავმდაბლობითა და სასწაულქმედებით, და აგრეთვე, კვიპროსის მიტროპოლიტი გელასი. იმავე მე-4 საუკუნეში რწმენის სადარაჯოზე იდგა კვიპროსის მიტროპოლიტი წმ. ეპიფანე, რომელსაც დიდ პატივს მიაგებდნენ. 370 წლის იენისში ანტიოქიაში ჩავიდა არიოზის მიმდევარი იმპერატორი ვალენტი, რომელმაც გაასამართლა და გააძევა მელეტი, იქაური ეპისკოპოსი. მასთან ერთად აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ეპისკოპოსებსაც ჩამთართვეს კათედრები: პელაგიოსს (ლათადიკიის ეპისკოპოსი) და ბარსენოსს (ედესელი ეპისკოპოსი). მაგრამ წმ. ეპიფანე კვიპრელი იმგვარი საყოველთაო პატივით სარგებლობდა, რომ არიანელებმა ვერ გაბედეს მისთვის ხელის ხლება.

კვიპროსის მიტროპოლიტმა რეგინოსმა ეფესოს კრებაზე ამხილა ნესტორი. ანტიოქიის საპატრიარქომ არაერთგზის სცადა, დაექვემდებარებინა კვიპროსის ეკლესია. პირველი ასეთი მცდელობა მოხდა ეფესოს მესამე მსოფლიო კრების წინა ხანებში. მაგრამ ამ კრების მეშვიდე სხდომაზე აღიარეს კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია. მსგავსი პრეტენზია განაცხადა იმპერატორ ზენონის დროს ანტიოქიის კათედრის მფლობელმა მონოფიზიტმა პეტრე მკაწრვალმა ან ფულონმა.⁶ მაგრამ სწორედ მაშინ, ღმრთის ნებით, გახსნეს წმ. ბარნაბა მოციქულის ნეშტი, დამტკიცდა კვიპროსის ეკლესიის სამოციქულო წარმოშობა და ფულონის მცდელობა უშედეგოდ დარჩა.

კვიპროსის არქიეპისკოპოსები თავიანთ მაღალ უფლებებს უცხო ქვეყანაში შემთხვევითი ან იძულებითი გადასახლების დროსაც კი ინარჩუნებდნენ. სწორედ მე-7 ს-ში იმპერატორმა იუსტინიანე II-მ სარკინოზების შემოსევის საშიშროების გამო კვიპროსის მოსახლეობა და ეპისკოპოსები ჰელესპონტში, ქიზიქის⁷ მახლობლად, გადაასახლა. ამ გადასახლების

5 ტრიმიფუნტი დღეს არის სოფელი ტრემეტუსია, ლარნაკას რაიონში; მოქცეულია თურქების მიერ კონტროლირებულ, კუნძულის ჩრდილო ნაწილში. დასახლების ცენტრში დგას წმ.სპირიდონის ტაძარი, რომელიც სახვე იყო უძველესი ხატებითა და ხელნაწერებით, აქ ყოველი მხრიდან მოედინებოდნენ მომლოცველები. თურქული ოკუპაციის შემდეგ, 1974 წ-ს, ხელნაწერები გაქრა, დაიკარგა მრავალი ხატი. ამჟამად ტაძარი ყაზარმადაა ქცეული (რედ. შენ.)

6 პეტრე ფულონი – ანტიოქიის პატრიარქი (471-488), მონოფიზიტი, ცდილობდა მრწამსში ცვლილებების შეტანას, ამიტომაც ქართული ხელნაწერული ტრადიცია მას „მკაწრვალად“ იხსენიებს (რედ. შენ.)

7 დღეს თურქეთში რამოდენიმე სოფელი ატარებს ქიზიქის სახელს. აქ, უთუოდ, ლაპარაკია ბურსას პროვინციაში მდებარე სოფელ ჯუმალიქიზიქზე, მარმარილოს ზღვასთან (რედ. შენ.)

თაობაზე ტრულის კრებამ 39-ე კანონით მიიღო დადგენილება, რომლითაც კვიპროსის არქიეპისკოპოსი ახალ საცხოვრებელ ადგილზეც შეინარჩუნებდა ბირველობის ყველა უფლებას, პატივით იდგებოდა ქიზიქის ეპისკოპოსზე მაღლა და აკურთხებდა მიმდებარე ქვეყნების ეპისკოპოსებს. მაგრამ კვიპროსელთა ყოფნა ჰელესპონტში ხანმოკლე იყო, ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ.

649 წლიდან კვიპროსი აღმოჩნდა მუსულმანთა უდელქვეშ. 969 წ-ს. ის კვლავ დაიბრუნეს ბერძნებმა. ხოლო ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს აქ დამკვიდრდნენ ლათინები. ლათინთა არქიეპისკოპოსმა თავის რეზიდენციად აირჩია ქალაქი ლევეკოსია ანუ ნიქოზია.⁸ ამ დროს ბერძნული ეკლესიის მიმართ, რომელსაც თხუთმეტი ეპისკოპოსი მართავდა, მიღებული იქნა დადგენილება, რომლითაც კუნძულზე ბერძენ ეპისკოპოსთა რაოდენობა ოთხზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

სალამინი-კონსტანცია. კუნძულ კვიპროსის მთავარი ქალაქი და მეტროპოლია სალამინი-კონსტანცია მდებარეობდა კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და ჰქონდა შესანიშნავი ნავსადგური. აქ იქადაგა და მოწამეობრივი სიკვდილი მიიღო ბარნაბა მოციქულმა. სწორედ აქ იყო არქიეპისკოპოსად წმ. ეპიფანე კვიპრელი. ქალაქი დააარსეს ბერძნებმა ტროას დანგრევის შემდეგ და ის დიდხანს ატარებდა სალამინის სახელს. მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქალაქი მიწისძვრამ დაანგრია, შემდეგ აღადგინა იმპერატორმა კონსტანციმ, საიდანაც გაჩნდა ახალი სახელწოდება „კონსტანცია“; სწორედ ამ სახელით არის ის ცნობილი ეკლესიის ისტორიაში. კონსტანცია იყო კვიპროსის მეტროპოლია მე-7 საუკუნემდე. მე-7 საუკუნეში ის მიწასთან გაასწორეს სარკინოზებმა და მეტროპოლია გადატანილი იქნა ქ. არსინოეში.⁹

8 ქალაქ ნიქოზიას ბერძნულად ლევეკოსიაც ერქვა. ის ყოველთვის იყო ქვეყნის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი. 1963 წ-ს. ქალაქი ორად გაიყო, მისი ჩრდილო ნაწილი თურქების ხელში აღმოჩნდა (რედ. შენ.).

9 ანტიკური სალამინი ამჟამად არქეოლოგიური გათხრების ადგილს წარმოადგენს. ხოლო არსინოე იყო ძველი, დღეს არარსებული ქალაქი კვიპროსის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქ მარიონთან ახლოს (რედ. შენ.).

სპარსეთის ეკლესია

სპარსეთი უშუალოდ ემიჯნებოდა ატნიოქის საპატრიარქოს აღმოსავლეთ პროვინციებს: ეგფრატსა და მესოპოტამიას. სახელწოდება „სპარსეთში“ იგულისხმება უზარმაზარი ტერიტორია, სადაც არსებობდნენ ძველი სამეფოები: ასირია, ბაბილონი, მიდია და სპარსეთი. ამ უკანასკნელმა მონარქიამ შთანთქა ადრინდელნი და 536 წ. ქრისტემდე, კიროსის დროს, წარმოიქმნა ახალი იმპერია. სპარსელებმა თავიანთ იმპერიაში შეინარჩუნეს მიდგილთა რელიგია და ზნე-ჩვეულებანი, თაყვანს სცემდნენ ცეცხლს და სცნობდნენ ორ საწყისს: ყოველივე სიკეთის შემოქმედს – ორმუზდს და ყოველივე ბოროტების მიზეზს – არიმანს. ქრისტემდე 300 წ. სპარსეთი დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა, ხოლო ქრისტემდე მე-2 საუკუნის II ნახევრიდან ჩვენი წელთაღრიცხვის 226 წლამდე სპარსეთს განაგებდნენ პართელები. მე-3 საუკუნის შუიდან სასანიდებმა დააარსეს სპარსეთის მონარქია, რომლის არსებობამაც 400 წელი გასტანა, მე-7 საუკუნემდე.

ძველად ამ ოლქებში ცნობილი იყო ქალაქები: ბაბილონი, ნინეფია, პერსეპოლისი და ეკატანა.

ბაბილონი. ნებროთის მიერ დაარსებული ბაბილონი მდინარე ეგფრატზე იყო გაშენებული. ეს იყო ძველი დროის ყველაზე დიდი და მდიდარი ქალაქი, საგაჭრო ცენტრი და სასაწყობე ადგილი. მისი კედლები აგურით იყო ნაგები, ვინაიდან ქვეყანაში საშენი ქვა არ მოიპოვებოდა, და მისი სიმაღლე აღწევდა დაახლ. 22 მ-ს. ბაბილონის ნაგებობათა შორის შესანიშნავი იყო ტერასებზე დაკიდებული ბალები,¹⁰ და, ასევე, მაღალი კოშკი, რომლის თავზე იყო ობსერვატორია, სადაც ქალდეველები ასტრონომიულ დაკვირვებებს აწარმოებდნენ თითქმის 19 საუკუნის მანძილზე, ალექსანდრე დიდის მიერ ბაბილონის დაპყრობამდე. ალექსანდრეს განზრახული ჰქონდა, ბაბილონი თავისი იმპერიის დედაქალაქად ექცია, მაგრამ 323 წ-ს. ქრისტეს დაბადებამდე ის ბაბილონში

10 ბაბილონის დაკიდებული ბალები, მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთი, იყო ოთხი ტერასისგან შემდგარი ნაგებობა, სადაც მსოფლიოს ყოველი კუთხის მცენარე ხარობდა. ფლავიოსის გადმოცემით, ის აუშენებია ნაბუქოდონოსორ II-ს თავისი ცოლის, დედოფალ ამიტისათვის ქრისტემდე მე-6 ს-ში. დღეს არქეოლოგები ვერსად პოულობენ ნაგებობის ნაშთს. შესაძლოა, ეგფრატმა დაფარა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე დასავლეთისკენ გადაიწია. არის მეორე ვერსიაც, რომ ბალები მეფე სენაქერბის ნინეფიაში უნდა აეშენებინა ძვ.წ. მე-7 ს-ში (რედ. შენ.).



სპარსეთი.

ქალაქი ნინეფია, ადადის კარიბჭე.

გარდაიცვალა. შემდგომში კი ახალი ქალაქების, სელეგკიისა და კტესიონის, დაარსებამ და ეფფრატის ადიდებამ აიძულეს ბაბილონელები, დაეტოვებინათ ქალაქი.¹¹

606მ30ა, ასურეთის დედაქალაქი, მდებარეობდა, ზოგიერთის აზრით, იქ, სადაც ამჟამად არის ქალაქი მოსული. ისიც ნებროთის დაუარსებია. მისი გალაგნის სიმაღლე 35 მ-ს უდრიდა და მას 1500 კოშკი ამშვენებდა, თან ისეთი განიერი იყო, რომ ზედ სამ ეტლს შეეძლო გვერდი-გვერდ გაგლა. ნინეფია დაინგრა 795 წ-ს. ქრისტეს დაბადებამდე.¹²

მკბატანა, მიდიის დედაქალაქი, აშენდა 708 წ-ს. ქრისტემდე. ქალაქს შვიდი სხვადასხვა ფერის გალაგანი ერტყა. სპარსეთის მეფეები ზაფხულობით ყოველთვის ეკბატანას სტუმრობდნენ ხოლმე, რადგან იქ სიგრილე იდგა.¹³

პმრსმპკოლისი მდინარე არაქსზე მდებარეობდა. ეს იყო პირველი სპარსი მეფეების რეზიდენცია, შემდგომში კი – იმპერიის დედაქალაქი. სპარსეთის თითქმის ყველა მეფე იქაა დაკრძალული.¹⁴

ყველა ეს უძველესი ქალაქი ქრისტიანობის დროს უკვე ნანგრევებად იყო ქცეული. შემდგომში მნიშვნელობა შეიძინეს ამ ოლქებში ახლა-

11 ისტორიული ბაბილონის გვერდით დღეს არის ერაყის ქ. ჰილა, ბაღდადიდან დაახლ. 100 კმ-ში, ბაბილის მუჰაფაზის ადმინისტრაციული ცენტრი 500 000-მდე მცხოვრებით, რომელთა უმეტესობა ერაყელები არიან. თავად ბაბილონის ნანგრევები წარმოადგენს თიხა-ტალახით დაფარულ ყორღანისმაგვარ ბორცვთა ჯგუფს, რომელთაგან თითოეულს თავისი სახელი აქვს (რედ. შენ).

12 ნინეფია – უძველესი ასურეთის სახელმწიფოს დედაქალაქი მდ. ტიგროსზე, თანამედროვე ერაყში. მდ. ტიგროსის საპირისპირო ნაპირზე დღეს მილიონიანი ქალაქი მოსულია. ნინეფია ბოლო დრომდე არქეოლოგიური კვლევის ადგილი იყო. 2015 წ-ს. მარტში ტერორისტებმა ააფეთქეს ნინეფიის კედლის ნარჩენები და სხვა არტეფაქტები (რედ. შენ).

13 მიდიის ქალაქი ეკბატანა, ვარაუდით, თანამედროვე ირანის ქალაქ ჰამადანის მახლობლად უნდა ყოფილიყო. უძველესი ეკბატანას, კიროსის დედაქალაქის, კედლების ფერები: თეთრი, შავი, მეწამული, ცისფერი, წითელი, ვერცხლისფერი და ოქროსფერი სიმბოლურად ხუთ პლანეტას, მთვარესა და მზეს შეესაბამებოდა (რედ. შენ).

14 პერსეპოლისის ნანგრევები დღეს მთელი კომპლექსის სახითაა შემორჩენილი ირანის სამხრეთით, ქ.შირაზიდან 50 კმ-ში. პერსეპოლისის მრავალი არტეფაქტი მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში ინახება (რედ. შენ).

დაშენებულმა ქალაქებმა, ესენია: ერბილი,¹⁵ ტიკრიტი,¹⁶ სუზა¹⁷ და, განსაკუთრებით – სელეუკია-ქტესიფონი.

სმლმპპინა მდ. ტიგროსზე იდგა. ქალაქი დააარსა სელეუკი ნიკატორმა 293 წ-ს. ქრისტეს შობამდე იმ მიზნით, რომ ბაბილონი დაემცრო. სელეუკია სელეუკიდების იმპერიის აღმოსავლეთის მთავარი ქალაქი გახდა, ხოლო სირიის ანტიოქია – დასავლეთის ოლქებისა. როდესაც პართელებმა ქრისტემდე 200 წელს ააშენეს ქტესიფონი, სელეუკია გაუდაბურდა. ქტესიფონი¹⁸ იყო მეფეების საზამთრო რეზიდენცია. ის ისე ახლოს იყო სელეუკიასთან, რომ ამჟამად ამ ორი ქალაქის – ქტესიფონისა და სელეუკიის – ნანგრევებს ერთი სახელით იხსენიებენ: ალ-მადა'ინ. ქტესიფონი რომაელებმა ოთხჯერ დაიპყრეს: 116, 163, 198, 283 წლებში ქრისტეს შემდგომ. ქტესიფონის სელეუკიიდან ანტიოქიის საპატრიარქოს უახლოეს ქალაქ ნიზიბამდე 18 დღის საგალი გზა იყო. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა ვეებერთელა სივრცეზე ყოფილა გადაჭიმული სპარსეთის ოლქები. ქრისტიანობა სპარსეთში ბართლომე, მათე და თომა მოციქულებმა გაავრცელეს.

მე-2 საუკუნის დამლევს ქრისტიანი მეცნიერი ედესიდან, ვარდეზანი, ახსენებს ქრისტიანულ თემებს პართიაში, მიდიაში, სპარსეთსა და ბაქტრიაში. მე-2 საუკუნის მეორე ნახევარში სპარსეთში წარმოიშვა მანიქეიზმი. ვინაიდან მანესი წარმოშობით ბაბილონიდან იყო, მისი სწავლება უკავშირდებოდა სპარსულ დუალიზმს. 227 წ-ს. სპარსეთის მეფემ ის სიკვდილით დასაჯა. მე-5 ს-ის შუა წლებში სპარსეთის ეკლესიამ დიდი დევნა გადაიტანა მეფე შაპურისაგან,¹⁹ რომელიც ებრძოდა რომაელებს და ეჭვობდა, რომ სპარსეთის ქრისტიანები რომის იმპერიას თანაუგრძნობდნენ, რაკი ქრისტიანობა იქ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იყო. ამ დროს (343 წ-დან) სპარსეთში ძალზე ბევრი ქრისტიანი აწამეს.

15 ერბილი – იგივე ჰავლერი, ერაყის ქურთისტანის დედაქალაქი, მდებარეობს ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მილიონ-ნახევრიანი ქალაქია (რედ. შენ.).

16 ტიკრიტი – ქალაქი ერაყში, მდებარეობს ბაღდადიდან ჩრდილო-დასავლეთით 140 კმ-ში (რედ. შენ.).

17 უძველესი სუზა არის ირანის ხუზესტანის ტერიტორიაზე მდებარე თანამედროვე ქ. შუში, 65 000 მოსახლით. ისინი წარმოადგენენ მუსულმან-შიიტებსა და ირანულ ებრაელებს, წინასწარმეტყველი დანიელის თემს. სუზაში, გადმოცემით, არის წინასწარმეტყველ დანიელის საფლავი (რედ. შენ.).

18 ქტესიფონი - უძველესი ქალაქი მდ.ტიგროსზე, სასანიანთა ირანის დედაქალაქი. დაანგრეს არაბებმა მე-7 ს-ის დასაწყისში. მისი ნანგრევები თანამედროვე ბაღდადთან ახლოს, ერაყშია (რედ. შენ.).

19 შაპურ II – სასანიდების დინასტიის მე-10 მეფე (309-379), ურმიზდ II-ის შვილი (რედ. შენ.).

ასეთივე დეენა განმეორდა მე-5 საუკუნის დასაწყისშიც. 418 წ-ს ქ. სუზას ეპისკოპოსმა აბდამ დაწვა წარმართთა ბაგინი. სპარსეთის მეფე იეზდიგერდმა მას საკერძოს აღდგენა მოსთხოვა და უარის მიღების გამო სიკვდილით დასაჯა თავად ეპისკოპოსიც და შემდეგ სხვა ქრისტიანებიც მიაყოლა.²⁰ ეს დეენა 30 წელიწადს გრძელდებოდა. ამ დროს სპარსეთის ეკლესია ჯერ კიდევ ერთობაში იყო ბერძნულთან და ქტესიფონის ეპისკოპოსმა მარუთამ 415 წლის მსოფლიო კრებაზე დაადასტურა ნიკეის კრების წესები. მაგრამ მესუთე და მექქესე საუკუნეებში სპარსეთი დაიკავეს ნესტორიანელებმა და იაკობიტებმა, რომლებიც იდეებობდნენ დიდი რომის იმპერიაში, ხოლო სპარსეთის სახელმწიფო მათ დიდი სიამოვნებით ღებულობდა. ქტესიფონში დაარსდა ნესტორიანელი კათოლიკოსის კათედრა სპარსეთის ეკლესიისათვის. ამ დროს სპარსეთში უკვე ცხრა მიტროპოლია იყო, რომელთაგან ოთხი ნიკეას კრების დროსაც არსებობდა. მე-7 საუკუნის დასაწყისში, სპარსეთის მეფე ხოსროს დროს, სპარსელებმა საგრძნობლად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო: 610 წ-ს. მათ აიღეს ედესა და აბამეა და ანტიოქიას მიადგნენ. 611 წ-ს. დაიპყრეს კაბადოკიის კესარია, 612 წ-ს. – დამასკო და 614 წ. იფნისში – იერუსალიმი. მაგრამ მე-7 საუკუნეშივე სპარსეთი დაიმორჩილა არაბეთმა და ამ დროიდან დაიწყო მისი თანდათანობითი დაკნინება.

20 ლაპარაკია სუზას ეპისკოპოს აბდას შესახებ. სოკრატე სქოლასტიკოსი მას „სპარსეთის ეპისკოპოსად“ იხსენიებს. ცხოვრობდა მე-4 ს-ში. როდესაც მღვდლად ეკურთხა, მშობლიურ ქალაქ ხაღდორში ააგო მონასტერი და სკოლა, ქადაგებდა ქრისტეს სჯულს, რისთვისაც მოგვება შეიპყრეს. მრავალი დამცირება და ტვივილი იწვნია მათგან, თუმცა ქრისტეს არ უღალატა. შემდგომში ის ეპისკოპოსი გახდა და მიმდევრები გაიზინა. სარწმუნოებაზე კამათისას ადგილობრივმა მოვგმა მას დასწამა აჭურა მაზდას ტაძრის დაწვა. მაშინ სპარსეთის მეფე იეზდიგერდ I-მა (399-420) აბდას ტაძრის აღდგენა მოსთხოვა. მის უარზე იეზდიგერდმა დაანგრია ქრისტიანული ეკლესიები, ხოლო აბდა სიკვდილით დასაჯა. გადმოცემა გვიამბობს, რომ ის კეტების ცემით მოკლეს. მასთან ერთად ეწამნენ მღვდლები ჰაშუ და ისააკი, ევრემი, მთავარდიაკონი პაპა, საერონი: დუდაკი, დურდანი და პაპა, ეს უკანასკნელი თავად აბდას ძმა იყო. სირიის ეკლესია მათ ხსოვნას აღნიშნავს 31 მარტს, რომის კათოლიკური ეკლესია – 16 მაისს (რედ. შენ).



კონსტანტინოპოლი.
წმ. სოფიას საკათედრო ტაძარი.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო

კონსტანტინოპოლის ღაარსება

კონსტანტინე დიდის გამეფებამდე კონსტანტინოპოლის ადგილზე იყო ერთი პატარა ქალაქი – ბიზანტიონი, გადმოცემით, აშენებული სპარტის მთავარსარდლის, პავსანიას მიერ; სხვა წყაროები ქალაქის დამაარსებლად მეგარელთა ბელად ვიზას ასახელებენ. კარაკალამ ეს ქალაქი კარგად გაამაგრა, მაგრამ ორჯერ დაანგრიეს, პირველად იმპერატორმა სეპტიმიუს სევერუსმა, ხოლო შემდეგ – გალიენოსმა. 330 წ-ს. კონსტანტინე დიდმა ბიზანტიონი თავის დედაქალაქად გამოაცხადა.

ახალი დედაქალაქის დაარსების გარეგნული საბაბი იყო უსიამოვნება, რომელიც კონსტანტინე დიდს რომში შეემთხვა თავისი მმართველობის მე-20 წელს. „მმართველობის 20 წლისთავის ზეიმზე, წერს ერთი ისტორიკოსი, რომაელები მოელოდნენ, ესილათ წარმართული მსახურების წესი სრული ბრწყინვალეობით. მაგრამ კონსტანტინემ მათთვის მხოლოდ თამაშები გაიმეტა, კერძებს მსგევრები არ შესწირა და კაპიტოლიუმში არც კი მისულა. წარმართობის ასეთმა ცხადმა უპატივცემულობამ უადრესად გაანაწყენა რომაელები, ისინი დასდევდნენ იმპერატორს, დასცილდნენ და შეურაცხყოფდნენ მას. თავის მხრივ, კონსტანტინემ ჩაიფიქრა, დაეარსებინა ახალი ქრისტიანული დედაქალაქი, სადაც წარმართთა გადმოცემები არ შეაფიწროვებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას“.

ახალი დედაქალაქის ადგილის შერჩევა, როგორც ძველი საეკლესიო ისტორიკოსები გადმოგვცემენ, ღვთის მითითებით მომხდარა. თავდაპირველად კონსტანტინე ბითინიაში, მცირე აზიაში, ფიქრობდა დედაქალაქის მოწყობას. „როდესაც ის ამ მიზნით ელენის მინდორზე მოვიდა, ვკითხულობთ სოზომენთან, ჰელესპონტის მახლობლად, სადაც აიაქსის საფლავია და სადაც აქაველებს ტროასთან ომის დროს, როგორც ამბობენ, ჰქონათ ნაფისადგომი და ბანაკი, მონიშნა იქ ქალაქის ფორმა და ზომები, და შემაღლებულ ადგილზე აღმართა კარიბჭე, რომლის ხილვა ახლაც შეუძლიათ ზღვიდან მეზღვაურებს. როდესაც ამ საქმით იყო დაკავებული, ერთხელ, ღამით მას გამოეცხადა ღმერთი და უბრძანა, ქალაქისთვის სხვა ადგილი მოეძებნა და მიუთითა თრაკიის ბიზანტიონზე,

ბითინიის ქალკედონის მოპირდაპირე მხარეს: აქ ებრძანა მას ქალაქის აშენება და მისთვის კონსტანტინეს სახელის დარქმევა“. კონსტანტინოპოლის ანუ ახალი რომის სასწაულებრივ აშენებაზე ლაპარაკობს ყველა სხვა ბერძენი ისტორიკოსი და ქრონოგრაფი. „თავისი მეფობის 28-ე წლისთავზე, ვკითხულობთ ფილოსტორგიოსთან, კონსტანტინემ ბიზანტია კონსტანტინოპოლად გადააკეთა და მისი გარშემოწერილობის მოსანიშნად შუბით ხელში, ფეხით გაეძაროთ. როდესაც მის უკან მიდევნებულ ხალხს მოეჩვენა, რომ საჭიროზე დიდ სივრცეზე მიდიოდა ხელისუფალი, ერთ-ერთი თანმხლები პირი მიეახლა მას და შეჰბედა: „კიდევ შორსაა, მეუფე?“ მან ასე უბასუხა: „იმ ადგილამდე, სადაც ის შედგება, ჩემს წინ ვინც მიდის.“ ამით აჩვენა, რომ მას წინ უძღოდა რაღაც ციური ძალა და ასწავლიდა, რა მიემოქმედა“.

იმპერატორი იუსტინიანე I შენიშნავს კონსტანტინოპოლზე: „ის მოწყალე დიქროთმა დააარსა მრავალი მინიშნებით“.

კონსტანტინემ ქალაქი ძველი რომის მხედვით გააშენა: რომის მსგავსად დაჰყო 14 კვარტლად, იმის მსგავსი შენობები ააგო, როგორც რომში იყო და უფლებებით სრულიად გაუთანაბრა მას.

მაგრამ ძველ რომთან გარეგნულ მსგავსებასთან ერთად კონსტანტინოპოლი მაინც განსხვავდებოდა, ასე ვთქვათ, ქრისტიანული იერით. ეს იერი, რომელიც მთელს ქალაქს ედო, ცხადად მოწმობს იმაზე, რომ დედაქალაქის დაარსების დროს კონსტანტინეს უპირველესად რელიგიური მოტივები ჰქონდა მხედველობაში: ქრისტიანული რელიგიის განდიდება. წარმართული საკერპოების ნაცვლად ბრწყინვალე ტაძრები აღმართა მოწამეთა სახელზე, წამართული მითოლოგიის სამყაროს ამსახველი ქანდაკებების ნაცვლად სხვადასხვა ადგილას დადგა ფიგურები, რომლებიც წმინდა ბიბლიური ისტორიის ამბებს ასახავდნენ.¹

1 ზემოთ აღწერილ მიზეზებთან ერთად სხვებზეც უთითებენ, რის გამოც კონსტანტინე დიდმა თავისი დედაქალაქი აღმოსავლეთში გადაიტანა. ზოგი ფიქრობს, რომ მან ეს ფუფუნებისადმი სიყვარულით გააკეთა. აღმოსავლეთი უფრო გაგებით ეკიდებოდა საიმპერატორო სასახლის ფუფუნებას; ამას საიმპერატორო დიდების აუცილებელ ნაწილადაც კი მიიჩნევდა. კონსტანტინეს წინამორბედი იმპერატორებიც ცდილობდნენ, დროის უმეტესი ნაწილი აღმოსავლეთ პროვინციებში გაეტარებინათ. ასე იქცეოდა, მაგალითად, დიოკლეტიანე. მაგრამ ამის საპირისპიროდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტანტინე დიდსაც შეეძლო დროებითი რეზიდენციის მოწყობა აღმოსავლეთის რომელიმე ქალაქში, ახალი დედაქალაქის დაფუძნების გარეშე. სწორედ ასევე, არც რაიმე პოლიტიკური მოტივების არსებობა არაა საგულისხმეო ამ ფაქტის საფუძვლად. 1867 წლის Православный Обзор-ის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა სტატია Христианство на Востоке. ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ძველ მსოფლიოში დედაქალაქთა გადატანის შემთხვევებს, ამის სხვადასხვაგვარ მიზეზს. გვიხსნის, თუ რაოდენ რთული პროცესია, როგორ სიძნელეებთანაა დაკავშირე-

ამ ქალაქში მან ორი ტაძარი ააგო, რომელთაგან ერთს მშენებლობის ტაძარი დაარქვა, მეორეს – მოციქულებისა. და არა მხოლოდ აღამაღლებდა ქრისტიანულ საქმეებს, არამედ ანგრევდა წარმართობის სადიდებელ ძეგლებს. ასე მაგალითად, კერპების ქანდაკებები ტაძრებიდან გამოატანინა და ხალხს გადასცა ქალაქის მოსართავად, ხოლო დელფოს სამისნოს სამფენა იპოდრომის ბოლოში დაადგმევინა.

სურდა, გამორჩეული ყოფილიყო თავისი სახელობის ქალაქი, გვიამბობს ევსევი, და უხვად დაამშვენა ის სალოცავებით, მოწამეთა ბრწყინვალე ტაძრებით და დიდებული შენობებით, რომელთა ნაწილი აღმართა შემოგარენში, ზოგიც – ციხე-სიმაგრეში და ამით პატივი მიაგო წამებულებს; ყოველივე ეს და თვით ქალაქი მიუძღვნა ღმერთს. ღვთიური სიბრძნით აღვსილმა კონსტანტინემ სამართლიანად მიიჩნია, თავისი სახელობის ქალაქი გაეწმინდა ყოველივე კერპთაყვანისმცემლობისაგან, რათა იქ თვალი არ გაოცებულყოფოდა ცრუ ღმერთების გამოსახულებებით, რომელთაც ბაგინებში მიაგებდნენ პატივს. ასევე აკრძალა ცხოველთა სისხლიანი საკერპოები, რათა აღარსად ჩატარებულყოფოდა სამსხვერპლო დაწვა, დემონური დღესასწაულები და რაიმე წარმართული წესი. წყაროებთან თუ საგაჭრო მოედანზე შენ ხედავ საღმრთო წერილიდან ნაცნობ ნიშნებს კეთილი მწყემსისა, ხედავ, აგრეთვე, სპილენძისგან ჩამოსხმულ, ბრწყინვალე ოქროს მოსახსამიან დანიელს ლომებთან ერთად. ღვთაებრივისადმი სიყვარულმა ისე მძლავრად მოიცვა მეფის სული, რომ მან საუკეთესო სამეფო დარბაზის მოთქრული ქერის შუაში, ბრძანა, მოეთავსებიათ დიდებული სურათი მაცხოვრის ტანჯვის ამსახველი ნიშნებით, რაც ოქროთი მდიდრულად მოთქვილი ნაირგვარი ძვირფასი ქვებით იყო შესრულებული. ეს ნიშანი² მიაჩნდა ღმერთისმოყვარე მეფეს თავისი სამეფოს მცველად. აი, ასეთი გამოსახულებით გაამშვენა კონსტანტინემ ქალაქი. იმპერატორის პორტრეტებით მორთულ სასახლეებსა და საწოგადო შენობებში კონსტანტინემ ისურვა, იმგვარად წარმოედგინათ იგი, რომ მლოცველად და ხელში ჯვარით ყოფილიყო გამოსახული.

შენობათა შორის განსაკუთრებული სიღამაწითა და სიდიადით ბრწყინავდა კონსტანტინეს მიერ აგებული წმინდა მოციქულთა ტაძარი: „როდესაც ნაგებობა ენით აუწერელ სიმაღლეძედ აიწარდა, მისი კე-

ბული თავისთავად ეს მოვლენა; მით უფრო, ცენტრალიზებულ რომის სახელმწიფოში, ფართოდ განვითარებული სამთავრობო ორგანიზაციით. საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ კონსტანტინეს მიერ დედაქალაქის გადატანა ვერ განიხილება, როგორც სხვა მაგალითების პარალელი, და იმპერატორის მოტივი მხოლოდ რელიგიური იყო.

2 იქ საუბარია ჯვრის შესახებ (რედ. შენ).

დღეები მეფემ ზემოდან ქვემოთ სწავდასწავა ფერის ბრწყინვალე ქვეებით მოფინა, ხოლო პატარა ჩაღრმავებებით მორთული გუმბათი მთლიანად ოქროთი დაფარა. გარედან კრამიტის ნაცვლად შენობას წვიმისაგან საიმედოდ იცავდა სპილენძი. ეს უკანასკნელი კი სქლად იყო მოოქრული, ისე, რომ მისი ბრწყინვა მზის სხივების ანარეკლისას შორიდანაც თვალს ქრებდა. გუმბათის ირგვლივ გარშემორტყმული იყო რიგელების მსგავსად ოქროსა და სპილენძისაგან გაკეთებული ბარელიეფები. ასე რომ – მეფის დიდმა სიუხვემ და მონდომებამ დაამშვენა ეს ტაძარი. ტაძრის ირგვლივ ერთობ ვრცელი ეზო გადაჭიმულიყო, სუფთა ჰერისათვის ღია. პორტიკების უკანა სივრცე ეკავა სამეფო სასახლეებს, აბანოებს, სასტუმროებსა და მრავალ სხვა ნაგებობას. ეს ყველაფერი მეფემ მოუძღვნა ჩვენი მაცხოვრის ყველა მოციქულის სამარადისო ხსოვნას. ამავე ტაძარში მოიმზადა თავისთვის საძვალე. რწმენის სიღრმით განჭვრიტა, რომ სიკვდილის შემდგომ მისი ნეშტი პატივად მოციქულთასწორის სახელს მიიღებდა და ეწადა, გარდაცვალების შემდეგაც ჰქონოდა მონაწილეობის საშუალება ლოცვებში, რასაც მოციქულთა სადიდებლად აღავლენდნენ ამ ტაძარში. ამრიგად, აქ აავთ 12 კიდობანი, როგორც 12 წმინდა ძველი მოციქულთა სადიდებლად, შუაში თავისთვის დადგა კუბო, ისე რომ კუბოს ორივე მხარეს ექვს-ექვსი მოციქულთა კიდობანი იდგა.“

ამაგვარად აშენებული და მორთული ახალი რომი 330 წლის 11 მაისს საზეიმოდ აკურთხეს, სამუშაოების დაწყებიდან ხუთი წლის თავზე. ამის შემდეგ დაიწყო ქალაქის სწრაფი აღმავლობა.

კონსტანტინე დიდის დედაქალაქს ქრისტიანულ იერს განსაკუთრებით ჰმატებდა მრავალი მონასტერი. ძველ ბიზანტიონში მანამდე მხოლოდ ერთი მონასტერი არსებობდა – წმ. ეფთვიმეს სახელობისა, 240 წელს აგებული. წარმართული ტაძრები წმ. კონსტანტინემ სალოცავ სახლებად გადააქცია. ასე მაგალითად, იუბიტერის ტაძარი გადაკეთდა წმინდა მოწამეთა: მოკის, აკაკის, აგათონიკესა და მინას სახელობის ეკლესია-მონასტრად. ბოსფორის ნაპირებზე მთავარანგელოზ მიქაელის გამოცხადების სამახსოვროდ იმპერატორმა აქ მისი სახელობის მონასტერი ააშენა. ახალ ოქროს კარიბჭესა და ზღვას შორისაც იმპერატორმა დააარსა წმ. დიომიდეს სახელობის მონასტერი. ეს ორივე მონასტერი კონსტანტინოპოლის ვალაფნის გარეთ მოექცა. წმ. ელენემაც ასევე მრავალი მონასტერი აავთ კონსტანტინოპოლსა და მის შემოგარენში: ბუთლეუმის, სიმდიდრით გამორჩეული წმ. კარბესა და ბაბილას სახელობისა, წმ. თეოდორეს, წმ. რომანოზისა და სხვ.

კონსტანტინესა და ელენეს მიბაძვით მრავალი წარჩინებული – კაცი

თუ ქალი, სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენლები, სენატორები, პატრიციები და დიდგვაროვანი ქალბატონები კეთილმსახურების, ხოლო ზოგჯერ პატივმოყვარეობის მიზეზითაც შემოწირულობებით აღაფსებდნენ მონასტრებს, ეკლესიებსა და საავადმყოფოებს. ზოგჯერ პატრიციების სიკვდილის შემდეგ მათი სახლები მონასტრებად იქცეოდა, როგორც მაგალითად, კალისტრატეს და ფლორენტიოსისა. იმდროინდელ აშენებულ მონასტრებს მიეკუთვნება „ყოველთა წმინდათა.“ მრავალი საუკუნის მანძილზე კეთილმსახურებითა და სიმდიდრით გამოირჩეოდა ქალაქის შემოგარენში, ოქროს კარიბჭისთან მდებარე აბრაამიტების მონასტერი.³ საერთოდ, ქალაქის დაარსებიდან კონსტანტინეს გარდაცვალებამდე 337 წელს, შვიდი წლის მანძილზე, კონსტანტინოპოლში აშენდა თხუთმეტი მონასტერი, რომელთა სახელებმა ჩვენამდეც მოადწია.

გულმოდგინებას მონასტრების დაარსებისადმი მიუღწევს მთელი პერიოდშიც ვხვდებით. დედოფალმა ევდოკიამ, იმპერატორ ვალენტინიანე უმცროსის მეუღლემ, კონსტანტინოპოლში დაიწყო წმ. ეფთვიმეს სახელობის მონასტრის მშენებლობა, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ დასრულდა. ორმა დეთიმოშიშიმა ქალმა, დომინემ და მაგრამ, რომლებიც მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა, ცალ-ცალკე დააარსა თავიანთი სახელობის მონასტრები ქალაქგარეთ, იმპერატორ თეოდოსის მიერ ნაბოძებ, დაუსახლებელ ადგილზე. იმპერატორ თეოდოსის დროს წმ. გრიგოლ ნაზიანზელმა საიმპერატორო ქალაქში, რომელიც უკვე მთლიანად არიანელებს ეკავათ, ააშენა მართლმადიდებლური ეკლესია და მონასტერი აღდგომის სახელზე – ანასტასია. დაახლოებით ამავე დროს თავის სახელზე ააშენა მონასტერი დიოსმაც. თეოდორე სტუდიელი მას ბრწყინვალე ვარსკვლავს უწოდებს, რომელიც ამოვიდა აღმოსავლეთში და შუქს აფრქვევს ბიზანტიას.

იმპერატორ არკადის დროს ერთმა მაღალი რანგის მოხელემ, კეს-

3 აბრაამიტების მონასტერი – (Abramitown) გადმოცემით, კონსტანტინოპოლში იყო დაარსებული კონსტანტინე დიდის მიერ ვინმე ბერი აბრაამისათვის. იმპერატორ მარკიანეს დროს (450-457) განდიდებული წმ. მატრონას „ცხოვრებაში“ ნახსენებია ამ მონასტრის იღუმენი აკაკი, თუმცა, ეს წყაროც გვიანდელია. იოანე მოსხის მტკიცებით („სულიერი მდგლო“, თ. 97), მონასტრის დამფუძნებლად უნდა მივიჩნიოთ ღირსი აბრაამი, ეფესოს ეპისკოპოსი (მე-5-6 საუკუნეების მიჯნა). მონასტრის უმთავრეს სიწმინდედ ითვლებოდა ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი (ἡ Ἄειροποιγτο-). ხატმზობლი იმპერატორის, თეოფილეს დროს (829-842) აბრაამიტი ბერები იცავდნენ ხატებს და ამხელდნენ ხელისუფალს ერესში, რის გამოც ისინი გაროზგეს და კონსტანტინოპოლიდან გააძევეს. ძმებმა თავი შეაფარეს ნათლისმცემლის მონასტერს, ფოვერონთან, ბოსფორის ნაპირას, სადაც მათ მოწამებრივი აღსასრული ჰპოვეს. კათოლიკური ეკლესია მოწამე-აბრაამიტების ხსოვნას 8 ივლისს აღნიშნავს (რედ. შენ.).

არიონმა, დააარსა წმინდა ტირისის ეკლესია და მონასტერი, რომელიც მანამდე ეკავათ მაკედონელ მწვალებლებს, სადაც მოგვიანებით, პატრიარქ პროკლეს დროს, ორმოცი მოწამის ნეშტი აღმოაჩინეს. მაშინ კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსო კათედრა ეკავა წმ. იოანე ოქროპირის. ოქროპირმა თავისი აუწერელი ენამწიკებით, უდავოდ, დიდად შეუწყობ სული მორწმუნეთა გულმოდგინებას ეკლესიებისა და მონასტრების დაარსების საქმეში. „გაამრავლეთ ჩვენი ეკლესიები, – მიმართავდა ქადაგებაში ქრისტიანებს, – რათა არავის მიწა არ დარჩეს უეკლესოდ. ნუ იტყვიან, რომ მეზობელ ქალაქშია ეკლესია, საჭიროა, ის თქვენს საკუთარ მიწაზეც იყოს. იმპერატორმა რომ თავისთვის საცხოვრებლის აგება გთხოვთ, განა იმ დღესვე არ დაიწყებდით მისი ნების აღსრულებას? ღმერთისთვის ნაკლებს ნუ გააკეთებთ. მერე აღმოაჩენთ, რომ ეს გაცდილებით დიდ ხარჯებს საჭიროებს? თქვენც მოკრძალებული ნაგებობით დაიწყეთ, თქვენი მემკვიდრეები გაადიდებენ მას.“ ასეთ რჩევა-დარიგებას აძლევდნენ მონასტრების დამაარსებლებს ეპისკოპოსები და იმპერატორები მოგვიანებითაც.

იმპერატორ თეოდოსი უმცროსის დროს მისმა ერთ-ერთმა დამ, არკადიამ, ააშენა წმ. ანდრეას სახელობის მონასტერი. მას დახმარებას ქალაქის წარჩინებული პატრიციები უწევდნენ. მათივე მონდობით კიდევ სხვა მრავალი მონასტერი აშენდა, მაგალითად, წმ. თეოდორე ტირონისა. იმ დროს სასახლის მცველმა დაღმატიმ დატოვა ცოლ-შვილი და თავის ვაჟთან, ფავსტოსთან ერთად დააარსა თავისი სახელობის მონასტერი. თავისი სიწველეთა და სიბრძნის წყალობით 431 წლის ეფესოს კრებაზე იგი ყველაზე ცნობილი იყო დედაქალაქის ბერებს შორის.

იმპერატორი მარკიანე და, განსაკუთრებით, დედოფალი პულხერია, თეოდოსის და, აგრძელებდნენ საეკლესიო მშენებლობებს. მარკიანეს ბრძანებით აშენდა წმ. ზოიას და წმ. ირინეს სახელობის მონასტრები. პულხერიამ კი გლაქერნის კვარტალში აღმართა ღმერთისმშობლის ბრწყინვალე ტაძარი, რომელიც მრავალჯერ აღადგინეს და ამჟამადაც არსებობს. ქალაქის მეორე ბოლოში, აკროპოლისის ძირში, მისი წრუნვით კიდევ ერთი ღმერთისმშობლის სახელობის ეკლესია-მონასტერი აშენდა – „ქრისტიანთა მეგზური,“ ოდიგეტრია. ეს იყო მამათა მონასტერი, სადაც ლუკა მანარებლის მიერ შესრულებული ღმერთისმშობლის გამოსახულება იყო დაცული.

ლეონ დიდის მეფობის დროს (457-474 წწ.) იგება წმ. კვირიაკეს მონასტერი ოქროს კარიბჭის მიღმა, წმ. ეფთვიმეს მონასტერი და ბიზანტიის ისტორიაში ყველაზე სახლგანთქმული – წმ. იოანე ნათლისმცემლის

მონასტერი, უფრო ცნობილი სტუდიელთა მონასტრის სახელით, როგორც კონსულ სტუდიოსის მიერ აშენებული.

მაგრამ მონასტერთა მშენებლობის თქრის ხანად ითვლება იუსტინიანეს მეფობის დრო (527-563 წწ.). კონსტანტინოპოლის მრავალი მონასტერი უნდა უმადლოდეს თავის არსებობას იუსტინიანეს, ისინი სხვადასხვა წმინდანის სახელზე იგებოდა: მოწამეების ანთიმოზის, თეოდორეს, მიქაელის, ლაფრენტის, მოციქულების – პეტრესა და პავლეს სახელზე და სხვ. პეტრესა და პავლეს მონასტრის მახლობლად იუსტინიანემ კიდევ ააშენა წმ. სერგისა და ბახუსის მონასტერი, სადაც იმპერატორი ყოველ წელს დიდი ზემოთ აღნიშნავდა „განახლების“ სამშაბათს, წმ. პასქის კვირაში. შესაძლოა, იმავე იუსტინიანეს წყალობით არსებობს ღმრთისმშობლის მონასტერი ღმრთისმშობლის მშვენიერ წყაროსთან, რომლის წყლითაც აგადმყოფები იკურნებოდნენ. დედოფალმა თეოდორამ, თავის მხრივ, ააშენა სინანულის მონასტერი. ახალი მონასტრების შენებასთან ერთად იუსტინიანემ ძველებიც აღადგინა: წმ. მოკის, წმ. მიქაელისა, ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის მიერ დაარსებულნი.

536 წლის კრებას, რომელიც პატრიარქმა მინამ მოიწვია ანთიმოზის, სეკერუსისა და სხვა მონოფიზიტების წინააღმდეგ, დედაქალაქის ძველ უბანში არსებული სამოცდარვა მონასტრის წინამძღვარი ესწრებოდა.⁴

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ღაარსება

მე-4 საუკუნის 25-დან 81 წლამდე, პირველ და მეორე მსოფლიო კრებებს შორის, კონსტანტინოპოლის, როგორც რელიგიური და პოლიტიკური ქალაქის, მნიშვნელობა მკეტად გაიზარდა და მისი ეპისკოპოსი

4 ისტორიული კონსტანტინოპოლი მდებარეობს ბოსფორის სრუტეზე, ბუნებრივ ნავსაყუდელთან „ოქროს რქა“ და ცამეტ მილიონიანი მოსახლეობით ევროპის უდიდეს ქალაქს წარმოადგენს. ქმად ათათურქის მეთაურობით 1923 წ-ს. დაარსებული თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქის ფუნქცია ამავე წლიდან ქანკარაში გადადის და ახალი მთავრობა კონსტანტინოპოლს სახელს სტამბულად გადაარქმევს. 1930 წლიდან ყველა ქვეყნის მთავრობები ითვალისწინებენ ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკის თხოვნას და ამ უძველესი ქალაქის ოფიციალურ სახელწოდებად სტამბულს იყენებენ. სახელი კონსტანტინოპოლი უცვლელად მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში იხმარება (რედ. შენ.).

სხვა ეპისკოპოსებსე მეტად ამაღლდა. მან შემკვიდრებით მიიღო არა მხოლოდ ძველი ბიზანტიის მიტროპოლიტების უფლებები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ეპარქიას მართავდნენ და იმყოფებოდნენ თრაკიის ოლქის მთავარი მიტროპოლიტის, ირაკლი თრაკიელის გამგებლობის ქვეშ; არამედ საიმპერატორო ძალაუფლების გავლენითაც და კიდევ იმის გამო, რომ იმპერიის ეპისკოპოსები ხშირად ჩადიოდნენ დედაქალაქში და სარგებლობდნენ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის სტუმართმოყვარეობითა და მფარველობით, რამოდენიმე ათწლეულში ის მნიშვნელობით პირველ ეპისკოპოსად იქცა აღმოსავლეთში და ძველი რომის ეპისკოპოსების ყველაზე ძლიერ მეტოქედ.

კონსტანტინოპოლის მიტროპოლიტს განსაკუთრებული საპატრიარქო უფლებები დაუმტკიცდა კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო კრებაზე. „კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს აქვს ღირსების უპირატესობა რომის ეპისკოპოსის შემდეგ, ვინაიდან კონსტანტინოპოლი არის ახალი რომი“. ამგვარად, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ებოძა მეორე ადგილი პატრიარქთა შორის, უშუალოდ რომის ეპისკოპოსის შემდეგ და ამას საფუძვლად დაედო წმინდად პოლიტიკური მოსაზრება: „ვინაიდან კონსტანტინოპოლი არის ახალი რომი.“ ახალ პატრიარქს მმართველობაში გადაეცა კონსტანტინოპოლი და მთელი თრაკია. ბერძნებმა ეს დადგენილება გაიგეს იმგვარად, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი უფლებით საფსებით გაუტოლდა რომისას და მეორე ადგილი მხოლოდ იმიტომ დაიკავა, რომ ახალი რომი ძველ რომზე გვიან დაარსდა.

კონსტანტინოპოლის კრების შემდეგ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდებოდა. ის ერეოდა ეფესოსა და კაპადოკიის კესარიის, მცირე აზიის მიტროპოლიტების საქმეებში, რომელნიც მანამდე განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ, აგრეთვე სხვა პატრიარქების საქმეებშიც ღებულობდა მონაწილეობას. კონსტანტინოპოლის პატრიარქის უფლებების ესოდენ გაფართოება იმის შედეგი იყო, რომ კონსტანტინოპოლში ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ ეპისკოპოსები ხელისუფალთან თავიანთი საქმეების გასარჩევად. იმპერატორი კი ამ საქმეებს უმეტესწილად განსახილველად გადასცემდა კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და მის კრებას, რომელიც შედგებოდა მის დაქვემდებარებაში მყოფი ეპისკოპოსებისაგან. ყველა ეპისკოპოსი ამგვარად აღმოჩნდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის გამგებლობაში. უკვე კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნექტარიოსი სინოდის ერთ-ერთ კრებაზე 394 წელს ნაკლებად აძლეოდა სიტყვას აქ დამსწრე

ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსებს და საკითხებს თითქმის ერთობროვნულად წყვეტდა. იმის შესახებ, თუ როდენ გაფართოვდა კონსტანტინოპოლის კათედრაზე მისი მემკვიდრის, იოანე ოქროპირის, უფლებები, თეოდორიტე ასე ამბობს: „ეკლესიის მესაჭე რომ შეიქნა, დიდი იოანე გაბედულად შეუდგა უსამართლობის მხილებას, ზოგიერთნი რომ სჩადიოდნენ, უშიშრად ჩააგონებდა მკვლასა და დედოფალს ყოველივე სასიკეთოს, სამღვდელოებს კანონისადმი მორჩილებისკენ განაწყობდა. თუ ვინმე გაბედავდა მათ დარღვევას, ასეთებს საკურთხეველში შესვლას უკრძალავდა და ამბობდა, მღვდელს არ შეშვენის სამღვდელთ პატივით სიამოვნება, თუ ის ჭეშმარიტი სამღვდელთ ცხოვრების მოშურნეობას მოკლებულაო. ასეთ ზრუნვას იჩენდა ის არა მარტო თავის ქალაქზე, არამედ მთელს თრაკიაზე, რომელიც დაყოფილი იყო ექვს ეპარქიად, და მთელს აზიაზეც კი, რომელსაც თერთმეტი გამგებელი მართავდა. და მთელს პონტოს ოლქსაც იმავე კანონებით ამშვენებდა, თუმცა ეპარქიების რაოდენობა იქაც თერთმეტი იყო“. 400 წელს ოქროპირმა ეფესოში იმოგზაურა, რადგან ეფესოს ეპისკოპოსის ხელდასახმელად იყო მიწვეული. თუმცა ეფესოს მიტროპოლიას ერთობ გამორჩეული ადგილი ეკავა, ოქროპირის ერთ-ერთმა მემკვიდრემ კონსტანტინოპოლის კათედრაზე, ატიკუსმა, ჩააგონა იმპერატორ თეოდოსი უმცროსს 421 წელს, გამოეცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მეზობელი მიტროპოლიის არც ერთი ეპისკოპოსი არ შეიძლებოდა ხელდასხულიყო კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე.

მაგრამ ამ უფლებებს, რომლებითაც სინამდვილეში უკვე სარგებლობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი, სჭირდებოდა მსოფლიო კრების მიერ საზეიმოდ დაკანონება, რაც განხორციელდა IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ქალკედონში 451 წელს და რომელმაც 28-ე კანონით გააფართოვა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის უფლებები: „მიყვებით რა ყველაფერში წმინდა მამათა განმარტებებსა და ვცნობთ ას თრმოცდაათი ღვთისმოსავი ეპისკოპოსის მიერ ცოტა ხნით აღრე მიღებულ კანონს, ნეტარხსენებელი თეოდოსი დიდის, ყოფილი იმპერატორის სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლში – ახალ რომში რომ იქნა მიღებული, ჩვენც ვადგენთ და ვადასტურებთ იმავეს კონსტანტინოპოლის წმინდა ეკლესიის, ახალი რომის, უბირატესობის შესახებ. რამეთუ ძველი რომის ტახტსაც წმინდა მამებმა სამართლიანად უბოძეს უბირატესობა, რადგან ის იყო სამეფო ქალაქი. იმავე მისაზრებით ას თრმოცდაათმა ღვთისმოსავმა ეპისკოპოსმაც უბოძა თანასწორი უბირატესობა ახალი რომის ტახტს სამართლიანი განსჯით, რომ ქალაქი, სადაც იმყოფება სამეფო მთავრო-

ბა და სინკლეტი,⁵ და რომელსაც აქვს თანასწორი უბერატესობა ძველ სამეფო რომთან, მის მსგავსად ამაღლდეს საეკლესიო საქმეებშიც, ამასთან, [პატივის მიხედვით] დარჩეს მეორე ადგილზე მის შემდეგ. მხოლოდ ამიტომ პონტოს, აზიის, თრაკიის მხარეების, და, ამას გარდა, ზემოხსენებული მხარეების უცხო ტომების ეპისკოპოსები დაე, ხელდასმულ იქნენ კონსტანტინოპოლის უწმინდესი ეკლესიის უწმინდესი ტახტის მიერ. ე.ი. ზემოხსენებული მხარეების თითოეულმა მიტროპოლიტმა თავის ეპისკოპოსებთან ერთად დაასხას ხელნი ეპარქიის ეპისკოპოსებს, როგორც ამას საღმრთო კანონები ითვალისწინებს. ხოლო თავად ზემოხსენებული ოლქების მიტროპოლიტები ხელდასმულნი იქნებიან, როგორც ითქვამს, კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის მიერ მას შემდეგ, რაც, ჩვეულებით-სამებრ, დაასახელებენ მათ და წარუდგენენ არქიეპისკოპოსს.“

ეს დადგენილება, ცხადია, იყოფა ორ ნაწილად, რომელთა შინაარსი განსხვავებულია. დადგენილების პირველი ნაწილი ამტკიცებს იმავეს, რაც კონსტანტინოპოლის კრებაზე იყო დადგენილი, ანუ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ანიჭებს მეორე ადგილს რომის ეპისკოპოსის შემდეგ. მეორე ნაწილით სანქცია ეძლევა თქროპირის დროიდან უკვე პრაქტიკაში არსებულ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის უმაღლეს ზედამხედველობას არა მარტო თრაკიის დიოცეზზე, არამედ აზიისა და პონტოს დიოცეზებზეც, და მას ეძლევა გამონაკლისი უფლება, ხელი დაასხას ამ დიოცეზების მიტროპოლიტებს, ისევე, როგორც ბარბაროსი ერების ეპისკოპოსებს. ამ სახით კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავის გამგებლობაში იღებდა გაცილებით მეტი რაოდენობის ეკლესიას, ვიდრე აღმოსავლეთის დანარჩენ თორე პატრიარქს ჰქონდა ერთად. მოგვიანებით იულიანეს ედიქტით მას, აგრეთვე, ებოძა სხვა პატრიარქებზე საჩივრის მიღების უფლება. ამგვარად, მას მთელს აღმოსავლეთზე დაუდგინდა ზედამხედველობა. კონსტანტინოპოლის ეკლესიის სამოციქულო წარმოშობას ადასტურებს ის, რომ წმ. ანდრია პირველწოდებულმა გადასერა ქადაგებით ბიზანტია.

5 სინკლეტი – (ბერძნული „synklyhtō“ – მოწვეული.) ძველ საბერძნეთში სინკლეტი ერქვა უმაღლეს მოხელეთა კრებას, არეოპაგს. ბიზანტიაში სინკლეტს კონსტანტინოპოლის სენატს უწოდებდნენ (რედ. შენ.).

* * *

ქალკედონის კრების 28-ე კანონით კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა შემდეგი დიოცეზები: პონტო, აზია (კილიკიისა და ისაგრიის გამოკლებით) და მიწების ნაწილი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

მცირე აზიას გააჩნდა უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო თვალსაზრისით. ის გახლდათ შუამავალი შუა აზიისა და ევროპის ხალხებს შორის, მათი ცხოვრებისეული გამოცდილების, ე.წ. კულტურის გაცვლის გზას. ეს გაცვლა-გამოცვლა აზიასა და ევროპას შორის განსაკუთრებით გაძლიერდა ისტორიის ძველი პერიოდის ბოლოს და ქრისტიანობის გაჩენის დასაწყისში, ალექსანდრე მაკედონელიდან დაწყებული შუა საუკუნეებამდე. ეს ნავმისადგომებითა და კონცხებით არშიაშემოვლებული, მდინარეებით დასერილი ქვეყანა განსაკუთრებით მოსახერხებელი იყო ვაჭრობისა და ნაოსნობისათვის. ამასთან, აქ იყო რბილი კლიმატი და ადგილობრივი პროდუქტების სიმრავლე. თხისა და ცხვრის ფარები, პური, ზეთი, ღვინო, სამხრეთის ხილი, ბევრეული, შალი, მარმარილო და მეტალები აქ უხვად იპოვებოდა. ქვეყანას თითქმის შუაზე კვეთს ტაგრის მთები, რომლის ფერდებიც დაფარულია სიმწვანით, მშვენიერი მუხის, ფიჭვისა და ნეკერჩხლის ტყეებით. ეს ქედი მრავალი მდინარის მშობელია და ქვეყნის შუაგულიდან მყუდრო გზას უკაფავს მათ ზღვებისაკენ.

ძველი მწერლების სიტყვით, მცირე აზიას დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ 700 კმ-მდე ტერიტორია ეჭირა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 250 კმ. ცხადია, ეს მაჩვენებელი მთლად ზუსტი არაა.

მცირე აზიის ნახევარკუნძულის მთელს ამ სივრცეს რომაელები ორ, თითქმის თანატოლ, ნაწილად ჰყოფდნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთით, შავ ზღვასთან მდებარე მხარეს უწოდებდნენ პონტოს; მეორეს, სამხრეთ-დასავლეთისას უწოდებდნენ საკუთრივ აზიას. ორივე მათგანი, თავის მხრივ, რამოდენიმე პროვინციად იყოფოდა, რომელთა რიცხვიც სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო, დაახლოებით ათამდე. თეოდორიტი აზიაში ითვლის თერთმეტ არქონტს – მმართველს, და ამდენივეს – პონტოში. მცირე აზია კიდევ უფრო წვრილ ერთეულებად იყოფოდა ეკლესიური თვალსაზრისით, რამდენადაც ყოველ პროვინციაში რამოდენიმე საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა. მთელს მცირე აზიაში 450 საეპისკოპოსო კათედრას ითვლიდნენ. თუ ამ ციფრს დაახლოებით ზუსტად მივიჩნევთ და მცირე აზიის მთელს ტერიტორიას შევუსაბამებთ, აღმოჩნდება, რომ

თითოეულ ეპარქიას საშუალოდ 10 კმ. ეჭირა. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ ეპარქიები ზუსტად ერთმანეთის ტოლი არ იყო: ზოგი უფრო დიდი გახლდათ, ზოგიც – მომცრო. დეტალებს ადარ განვიხილავთ, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ საეპისკოპოსო ეპარქიებს ბონტოს ოლქში გაცილებით ვრცელი სივრცე ეკავათ, ვიდრე აზიის ოლქში, თუმცა აქ ისინი გაცილებით მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი.

პონტოს დიოცეზი

ქრისტიანობის თავდაპირველი გავრცელების ისტორიასთან დაკავშირებით ხშირად ახსენებენ ბონტოსა და ბონტოს პროვინციას. გავიხსენოთ, რომ აქ იქადაგეს მოციქულებმა პეტრემ და ანდრია⁶; გავიხსენოთ, რომ აქ იყო პირველი ქრისტიანების სასტიკი დევნა მაქსიმიანუს დროს, როდესაც საშინელი მიწისძვრა მოხდა, 235 წელს. ბონტოს პროვინციის განხილვისას ჩვენ შევხვდებით მრავალ მეტად ნაცნობი ადგილის სახელს ეკლესიის ისტორიიდან.

პაპალოპია და მცირე სომხეთი იყო ბონტოს მხარის უკიდურესი აღმოსავლეთი პროვინციები.

ეს იყო პირქუში ქვეყანა, მთაგორიანი, უხვი კინოვარით⁶ და ცხენებით, და დასახლებული სირიული წარმოშობის ტომებით. აქ პირველად რომაელებმა დაიწყეს ქალაქების მშენებლობა უწინდელი დაბების ადგილზე. მათ დააარსეს კესარია, ტიანა, ნაზიანზი და სხვა ქალაქები. ეს ძალზე დიდი რაიონები იყო. კერძოდ, კაპადოკიას ეკავა 75 000 კმ, ერთი მტკიცებით; სხვა ჩვენებები ამ ციფრს აღორძინებენ. კესარია და ტიანა 150 კმ-ით იყო ერთმანეთს დაშორებული, მათ შორის იყო პატარა ქალაქი სასიმა. პატარა სომხეთსაც საკმაოდ დიდი ტერიტორია ეჭირა. ამ ორ პროვინციაში ერთად 24 საეპისკოპოსო მოქმედებდა. შესაბამისად, ეს საეპისკოპოსოები მეტად ფართო მოცულობისა გამოდიოდა. ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე ასე მცირე რაოდენობის საეპისკოპოსოების არსე-

6 კინოვარი – ბერძნ. kinnabari, ლათ. cinnabari – ვერცხლისწყლის სულფიდი HgS. ვერცხლისწყლის ყველაზე გავრცელებული მინერალი მოწითალო შეფერილობისა. კინოვარი ეწოდება, ასევე, ამ მინერალისაგან მიღებულ საღებავ პიგმენტსა და შესაბამის ფერს. კინოვარი, როგორც შეუცვლელი კაშკაშა წითელი ფერის პიგმენტი, ფართოდ გამოიყენებოდა ძველ ეგვიპტეში, რომში, ადრეულ ბიზანტიაში. ნატურალურ კინოვარს დღესაც იყენებენ კანონიკურ ხატურებაში (რედ. შენ).

ბობა იმით ახსნება, რომ ამ პროვინციების მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო, შესაბამისად, ქალაქებიც პატარა ვახლდათ. მაგრამ ტერიტორიის სიდიდის გამო აქაურ ეპისკოპოსებს ხშირად ქორეპისკოპოსებიც ჰყავდათ. ბასილი დიდის დროს ერთ კესარიის ეპისკოპოსს 50-მდე ქორეპისკოპოსი ემძარებოდა.⁷

პმსარიძე. კესარია, კაპადოკიის მთავარი ქალაქი, ყველაზე მოუხერხებულ ადგილზე გაეშენებინათ. სტრაბონი ამბობს, რომ ეს უწყლო და უნაყოფო ქვეყანა იყო, სრულიად გამოუსადეგარი მიწათმოქმედებისათვის. გარშემო, შორეულ სივრცეზე, მოჩანდა ქვიშა და ქვიანი ადგილები. ყოველგვარი მცენარეულობა, თითქოს, ცუცხლს გადაეწვა. ადგილობრივი ნაწარმით მკვიდრი მოსახლეობა თავს ვერ ირჩენდა, აღარაფერს ვიტყვით ვაჭრობაზე. და მანც, რომის კეისრებს სურდათ, ამ ადგილზე პატარა დასახლება მანაკის ნაცვლად აეშენებინათ დიდი ქალაქი და თავიანთ საპატრიარქოებში კესარია ეწოდებინათ. ზოგის აზრით, ქალაქი დაარსდა ტიბერიუსის დროს, ზოგიც კლავდიუსს ამბობს. როგორც უნდა ყოფილიყო, კესარია სულ მალე დიდ ქალაქად იქცა და 260 წელს მისმა მოსახლეობამ 400 000 შეადგინა. კესარიაში ქრისტეს ეკლესია მოციქულთა დროს დაარსდა პეტრე მოციქულის მიერ. და ვინაიდან ქალაქს არ ჰქონდა მტკიცე წარმართული გადმოცემები, ის სულ მალე თითქმის მთლიანად ქრისტიანულ ქალაქად იქცა. ორიგენეს დროს აქ მრავალი ქრისტიანი იყო, და მანაც დევნისას აქ შეაფარა თავი. სწორედ მაშინ დაუარსებია ორიგენეს კესარიაში ქრისტიანული სკოლა. დიოკლეტიანეს პერიოდში კესარიის ქრისტიანები მრავალჯერ იდევნენ, მაგრამ მოუხერხებულად ამისა, კონსტანტინეს მეფობის ჟამს კესარიაში თითქმის აღარ იყვნენ წარმართები. სოზომენის სიტყვით, იულიანე განდგომილი ძალიან გაღიზიანებული იყო კესარიის მოსახლეობაზე. „მეფემ ამორიცხა ქალაქების სიიდან კესარია, რომელიც არგეუსის მთასთან⁸ არის, ქალაქი ვრცელი და მდიდარი, მთელი კაპადოკიის მეტროპოლია, და თვით სახელიც კი

7 ისტორიული კაპადოკიის ტერიტორიაზე დღეს არის თურქეთის პროვინციები: ნევეშეჰირი, კაისერი, აქსარაი და ნიღდე. კაპადოკიაში ქ. გორემის ეროვნული პარკი და კაპადოკიის კლდეში ნაკვეთი დასახლება შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში (რედ. შენ.).

8 არგეუსის მთა (თანამედროვე სახელწოდება – ერჯიასი) მდებარეობს ანატოლიის ზეგანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ კაისერიდან (კესარიის თანამედროვე სახელწოდება) 25 კმ-ში. ცენტრალური ანატოლიის უმაღლესი წერტილი, 3916 მ-ის მწვერვალი მყინვართაა დაფარული, მთის ძირში და ფერდებზე არის მინდვრები, ბაღები და ვენახები (რედ. შენ.).

წაართვა, რომელიც კლავდიუსის მეფობის დროს მიენიჭა მას. მეფე მანამდეც მტრულად იყო განწყობილი კესარიის მოსახლეობისადმი, რადგანაც ქრისტე იწამეს და დიდი ხნით ადრე დაანგრის ქალაქის მფარველი ზეფსისა და შშობლიური აპოლონის ტაძრები. მაგრამ როდესაც კესარიის ქრისტიანებმა გაანადგურეს უკანასკნელი წარმართული, ბედნიერების სახელობის ტაძარი, თანაც მისი მეფობის დროს, ის უკიდურესად განრისხდა. ქალაქში მცირე რაოდენობით დარჩენილ წარმართებს უსაყვედურა, რატომ დააგვიანეს და თავის დროზე არ მიმართეს დასახმარებლად ან თავი რად არ შესწირეს ტაძარს. მეფემ ბრძანა, კესარიისა და მისი ოლქის ეკლესიების ქონება და ფული მოეკებნათ თუნდაც წამების გამოყენებით, გამოეტანათ მოედანზე და 300 ლიტრი თქრო ჩაებარებინათ ხაზინაში. ბრძანა, ყველა სასულიერო პირი შეეყვანათ ოლქის ჯარის სიაში, ე.ი. გარნიზონში, სადაც სამსახური იყო საზარელი და სამარცხვინო. ხოლო ყველა დანარჩენი, უბრალო ფენის ქრისტიანები, თჯახებთან ერთად, გაუტოლდნენ ხიზნებს და მათ დაადო ხარკი“.

იულიანეს ესოდენ მკაცრი კანონები კესარიის მიმართ გასაგებია. აქ, არგეუსის მთასთან, მაკელუმის ციხე-სიმაგრეში, იმპერატორის სასახლიდან შორს, იზრდებოდნენ იულიანე და მისი ძმა ვალუსი. და აქ იულიანე ასრულებდა მედავითნის მოვალეობას.

კესარია შესანიშნავია იმიტაც, რომ მის მახლობლად დაიბადა წმ. საბა განწმენდილი. აქ იყო ის უდაბნოც, სადაც მოსაგრეობდა წმ. ამფილოქე, შემდგომში – იკონიის ეპისკოპოსი. არიანული შფოთვის დროს კესარია მუდამ მართლმადიდებლობას იცავდა და შეიძლება ამიტომაც ევთიმოსის კაპადოკიის ოლქში გადაასახლეს.

კესარიის ეპისკოპოსთა შორის თავიანთი ღვაწლით ცნობილი არიან: როგორც I – ლონგინოზ ასისთავი; III – ფირმილიანე († 269), ცნობილი თავისი განათლებით, და დაცემულთა შესახებ კამათის მონაწილე; V – ლეონტი, რომელმაც სომხეთში დასვა გრიგოლი⁹; X – წმ. ბასილი, რომელიც ცხოვრობდა მე-4 საუკუნეში და რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა „დიდის“ წოდება და XVII – ანდრია, აპოკალიფსის განმმარტებელი (†565 წ). თავად კესარიის მიტროპოლიას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში დამსახურებულად ეკავა პირველი ადგილი.

9 ლაპარაკია გრიგოლ სომხეთის განმანათლებელზე. ის მცირეწლოვანი იყო, როდესაც ძიძამ დაობლებული ბავშვი მტრებისაგან გადასარჩენად კაპადოკიის კესარიაში გახიზნა. აქ მიუღია მას განათლება. 302 წ-ს. ლეონტი კაპადოკიელმა ის აკურთხა ეპისკოპოსად. ამის შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და აშენებს ტაძარს, სახელად „ენშიაძინს“ (რაც ნიშნავს „ადგილი, სადაც მხოლოდშობილი გარდამოვიდა“) სომხეთის უძველეს დედაქალაქ ვადარშაპატში (რედ. შენ.).

611 წელს, იმპერატორ ჰერაკლეს ხანაში, რომისა და სპარსეთის ომის დროს, სპარსელებმა დაანგრეს კესარია.¹⁰

ენსა. კესარიასთან ახლოს, კესარიასა და ანკირას შუაში, მდინარე მელეზე, რომელიც გამოედინება არგეუსის მთიდან, მდებარეობდა პატარა ქალაქი ნისა. ეს ქალაქი შესანიშნავია იმით, რომ აქ მე-4 საუკუნეში ეპისკოპოსი იყო წმ. გრიგოლ ნოსელი,¹¹ ბასილი დიდის ღვიძლი ძმა.¹²

ნაზიანზი. კესარიის ოლქში იყო კიდევ ერთი, შესანიშნავი პატარა ქალაქი ნაზიანზი. სოკრატეს მოწმობით, ნაზიანზი იყო პატარა ქალაქი, სვიდა კი სულაც სადგურს უწოდებს მას – „st aqmon.“ საერთო ისტორიკოსები ამ ქალაქს საერთოდ არ ახსენებენ, და როდესაც ვკითხულობთ წმ. გრიგოლის შუამდგომლობის ეპისტოლეს ქ. დიოკესარიასზე, მიგდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნაზიანზს უფრო ხშირად დიოკესარიას უწოდებდნენ. წმ. გრიგოლი დიოკესარიას აღწერს, როგორც საკმაოდ მნიშვნელოვან ქალაქს. „პატივი ეცით ჩემს სიბერეს, მიმართავს წმ. გრიგოლი დიოკესარიის მიმართველს, რომლისთვისაც ძალიან მძიმე იქნება, თუ ეს დიდებული ქალაქი, რომელსაც ოდესღაც მე განვაგებდი, მეტად აღარ იარსებებს; ტაძარი, რომელიც ღმერთისთვის ავაგეთ და სადაც განსაკუთრებული მოწიწებით ვლოცულობდით, მხეცების თავშესაფარი გახდება. სამწუხაროა, როდესაც ერთი ადამიანი კვდება, რომელიც დღეს ჩვენთან არის და ხვალ აღარ იქნება და არც დაგვიბრუნდება. მაგრამ უფრო საშინელია მთელი ქალაქის სიკვდილი, რომელიც მეფეს დაუარსებია, დროს მოუწყვია და წლების რიგს შემოუნახავს.“ ეს წერილი დაწერა გრიგოლ ღმერთისმეტყველმა, რომელიც წარმოშობით იყო ნაზიანზიდან და აქვე გაიზარდა. აქ ჩვენ ვაკვრით აღვნიშნავთ, რომ ტიანას მიტროპოლიტმა კესარიის მიტროპოლიტს დასძლია და შეძლო

10 ისტორიული კაპადოკიის კესარიის ტერიტორიაზე დღეს არის თურქეთის ქალაქი კაისერი, კაისერის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი; მოსახლეობა 1 მილიონს აღარააღებს, ქალაქში ოთხი უნივერსიტეტია (რედ. შენ.).

11 ქალაქ „ნისას“ სახელწოდებას თუ კლასიკური ბერძნულის წარმოთქმის წესით წავიკითხავთ, უნდა ვთქვათ: ნუსა, ხოლო თუ ბიზანტიური წარმოთქმით – ნისა. შესაბამისად, ამ ცნობილი საეკლესიო მოღვაწის სახელიც ნუსელი ან ნისელი გამოდის. მაგრამ ძველ ქართულ ხელნაწერთა ტრადიციის მიხედვით, რა თქმა უნდა, ის ნოსელად უნდა მოვიხსენიოთ (რედ. შენ.).

12 ისტორიული ნისა დღეს წარმოადგენს არქეოლოგიურ ღირსშესანიშნაობას; ის მდებარეობს თანამედროვე ქ. ჰარმანდალის მახლობლად, ორტაკოის რაიონის აკსარიის პროვინციაში (რედ. შენ.).

ეკსარიის მასლობლად მდებარე ნაზიანზის დასაკუთრება. „ჩვენ ვიღუპებით, ჩვენ ღალატით მიგვიტაცეს და მეორე კაბადოკიაზე მიგვაწერეს, როდესაც ოდესღაც პირველ კაბადოკიას ვექვემდებარებოდით,“ წერდა ამის თაობაზე წმ. გრიგოლი.¹³



კაბადოკია.

წმ. გრიგოლ ნაზიანზელის სახელობის ტაძარი.

გადავიდეთ ტიანასა და ეკსარიის მიტროპოლიტების ბრძოლის შედეგად კაბადოკიის ორ ნაწილად გაყოფის ისტორიაზე.

ტიანა. კარგად გამაგრებული ქალაქი ტიანა, გადმოცემით, აშენებული იყო სემირამიდას მიერ. ქალაქი მდებარეობდა საკმაოდ მოხერხებულ

¹³ ისტორიული ნაზიანზიდან დღეს თითქმის აღარაფერია დარჩენილი. ის მდებარეობს თანამედროვე თურქულ სოფ. ბეკარლარიდან 4 კილომეტრში ჩრდილო-დასავლეთით; ადრე ამ სოფელს ნენიზი ერქვა (რედ.შენ).

ადგილზე, დიდი მდინარის ნაპირას, რომელიც თავისი კალაპოტიდან არასოდეს გადმოდიოდა. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქალაქის კეთილდღეობისა და მისი აღმავლობისათვის, ეს გახლდათ მისი სიახლოვე კილიკიის კარებთან, ტავრის მთის მახლობლად, სადაც იყო მოსახერხებელი გადასასვლელი კილიკიიდან კაპადოკიაზე. ტიანაში მეტად მძლავრი იყო წარმართობა, სწორედ აქ ქრისტიანობის პირველ საუკუნეში ცხოვრობდა ცნობილი ფილოსოფოსი და ცრუ სასწაულოთა შემოქმედი აპოლონიოს ტიანელი.¹⁴ თუმცა შემდგომ აქ ქრისტიანობა გაგრძელდა და დიოკლეტიანეს დევნის დროს მრავალი ეწამა ქრისტიანთაგან. და მაინც, ტიანელები არ ყოფილან ქრისტეს ჭეშმარიტი სწავლების დრმად ერთგულნი. არიანელი იმპერატორის, ვალენტის დროს აქ შედგა კრება არიოზის სწავლების სასარგებლოდ. იმპერატორმა ვალენტიმ კაპადოკია ორ ნაწილად გაჰყო და ქალაქი ტიანა მეორე კაპადოკიის მიტროპოლიად აქცია.¹⁵

სასიმა. დაბა სასიმა კესარიიდან – 40 კმ-ით, ხოლო ტიანადან 9 კმ-ით იყო დაცილებული. ამ მეტად უბადრუკ ადგილს წმ. გრიგოლ ნაზიანზელი არქმევს დიდ გზაზე მდებარე პატარა სადგურს თავისი შენობებით, რაც აქ მიმავალი მხედრებისთვისაა განკუთვნილი. ეს ადგილი ხრიოკი და ყოველგვარ სიმწვანეს მოკლებულია, და წმ. გრიგოლი ამ დასახლებას ზოგჯერ სასიმას ჭაობსაც უწოდებს. აი, აქ კესარიის ეპისკოპოსი წმ. ბასილი დიდი ხსნის საეპისკოპოსოსს, რათა წინ აღუდგეს ტიანას არიანელი მიტროპოლიტის ძალაუფლების გაგრძელებას, და ეპისკოპოსად ნიშნავს მსოფლიო ეკლესიის საუკეთესო მოძღვარს, წმ. გრიგოლ ნაზიანზელს. ჩვენ სათანადოდ მაშინ გავიგებთ წმ. ბასილი დიდის გადაწყვეტილებას, თუ ვაღიარებთ, რომ ის ამ ქმედებისას ხელმძღვანელობდა მართლმადიდებლობის სიყვარულით და სურვილით, არაფერი დაეთმო არიანელი ეპისკოპოსის გაველენისათვის. წმ. გრიგოლს აშინებდა თავისი დანიშნვის ადგილი სასიმა. „კაპადოკიაზე მიმავალ დიდ გზაზე, ამბობს ის, არის ჩვეულებრივი გაჩერების ადგილი მოგზაურთათ-

14 აპოლონიოს ტიანელი – ბერძენი ნეოპიტაგორელი ფილოსოფოსი, წარმოშობით ქ. ტიანადან, სასწაულომოქმედი, იესო ქრისტეს თანამედროვე ზოგჯერ მათ ერთმანეთს აღარებდნენ. მის შესახებ ვგებულობთ მე-3 ს-ში მოღვაწე სოფისტის, ფლავიუს ფილოსტრატე II უფროსის თხზულებიდან „აპოლონიოს ტიანელის ბიოგრაფია.“ (რედ. შენ.).

15 ისტორიული ტიანა დღეს ცენტრალურ თურქეთში, ნიღდეს პროვინციაში მდებარე პატარა ქალაქი კემერჰისარია; მისი მოსახლეობა სოფლის მეურნეობითაა დაკავებული (რედ. შენ.).

ვის, სადაც ეს გზა იყოფა სამად; ადგილი უწყლო, სადაც არ იზრდება ბალახის ღერიც, ყოველგვარ სიკეთეს მოკლებული, საოცრად მოსაწყენი და ვიწრო სოფელი. აქ ყოველთვის მტყურობა, ოთხთვალას ბორბლების რახრახი, ცრემლები, ქვითინი, გადასახადების შეპკრებნი, წამების იარაღები, ჯაჭვები, უცხოტომელი მცხოვრებლები და მაწანწალები. ასეთი იყო ჩემი ეკლესია სასიმაში. აქ მე არ მქონდა პური, რომ მეწილადებინა მომსვლელთათვის; აქ მე, ღატაკი, შევიფარებდი ჩემსავით ღატაკებს და არ მქონდა არავითარი საშუალება, დაფხმარებოდი მათ. აქ მე უნდა შეკრიფა მხოლოდ ეკალი და არა – ვარდი ეკალთა შორის, მომემყო მხოლოდ უბედურება ყოველივე სარგებლის გარეშე“. როგორც ცნობილია, ეს საუბესკოპოსო წმ. გრიგოლმა ძალე დატოვა, ვინაიდან კონსტანტინოპოლის არქიებისკოპოსად მიიწვიეს. ხოლო სასიმა, ტიანასთან ასე ახლოს მდებარე, ტიანას მიტროპოლიტის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. სასიმას მომდევნო ეპისკოპოსებიდან ცნობილი არიან ერეტიკოსები: ელეგსინიონი – ქალკედონის კრების მოწინააღმდეგე, და კლიმენტი (მე-12 ს.) – ბოგომილობაში¹⁶ ბრალდებული.¹⁷

მცირე სომხეთი. ჩვენ მტკიცედ უნდა განვასხვავოთ მცირე სომხეთი დიდი სომხეთისაგან, რომელიც მდებარეობს კავკასიაში. მცირე სომხეთი იყო, უბრალოდ, მცირე აზიაში მდებარე რომის პროვინცია. ეკლესიური

16 ბოგომილობა – მე-10 საუკუნეში ბულგარეთის სამხრეთით წარმოშობილი ანტიკლერიკალური მოძრაობა, რაც შემდგომში ერესში გადაიზარდა. ერესიარქი იყო მღვდელი ბოგომილი, საიდანაც მიიღო კიდევ სახელწოდება ამ სწავლებამ. მათი სწავლება შეიცავდა მანიქეიზმის, პავლიკიანელთა და მესალიანელთა შეხედულებათა ელემენტებს. ისინი ქადაგებდნენ სრულ უპოვარებას, არ ცნობდნენ ქრისტეს, ეკლესიას, საღმრთო საიდუმლოებებს, ჯვარს, ხატებს, ღმრთისშობელს, ღოცვებიდან მხოლოდ „მამაო ჩვენოს“ აღიარებდნენ. ცნობდნენ ახალ აღთქმას, ძველს უარყოფდნენ. მათი შეხედულებით, სამყაროს შემოქმედი იყო მამა ღმერთი და მისი ძე სატანაილი. ამ უკანასკნელმა შექმნა ადამისა და ევას სხეულები, მაგრამ სული ვეღარ შთაბერა მათ. შესაბამისად, ბოგომილები ადამიანის სხეულს ბოროტებად აღიქვამდნენ. ბოგომილობა ბულგარეთიდან გავრცელდა მთელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შემდეგ კი – ბიზანტიის იმპერიის დანარჩენ მხარეებშიც. ამ ერესმა მე-15 საუკუნემდე იარსება. თუმცა, დიდი გავლენა იქონია შემდგომი დროის სხვადასხვა სექტანტურ მიმდინარეობაზე როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე – აღმოსავლეთით: საფრანგეთში – ალბიგოიციები, ვალდენსები, გერმანიაში – კატარები, იტალიაში – პატარენები, რუსეთში – ხლისტები, სტრიგოლნიკოვები, ტოლსტოვცები. ბოგომილების თემა საინტერესოა თანამედროვე კულტურისათვის. მაკედონიაში გადაიდეს ფილმი „საიდუმლო წიგნი“, დეტექტივისა და ტრილერის ელემენტებით, სოუჟეტი ეფუძნება ბოგომილების დაწერილი „საიდუმლო წიგნის“ ძიებას. ამავე თემაზეა ბულგარელი მწერლის ემილიან სტანევის რომანი და უმპერტო ეკოს რომანი „ფუკოს ქანქარა“ (რედ. შენ.).

17 მკვლევარები ვარაუდობენ, რომ სასიმა შეიძლება ყოფილიყო თანამედროვე თურქული სოფლის ზამზამას ან ჰასაკოის ადგილზე (რედ. შენ.).

თვალსაზრისით ის მნიშვნელოვანია, როგორც კონსტანტინოპოლის ცნობილი ეპისკოპოსების, წმ. პავლესა და წმ. იოანე თქრობირის გადასახლეობის ადგილი.

სმბასტიმია. მცირე სომხეთის მთავარი ქალაქი იყო სებასტია. პლინიუსი ამ ქალაქს უწოდებს პატარას, მაგრამ, როგორც ჩანს, შემდგომში ის გაიზარდა. იუსტინიანემ ქალაქს ახალი გალავანი შექმნა. მოსახლეობის რიცხვი თემურ ლენგის თავდასხმის დროს აქ 12 ათასს შეადგენდა. თუკი მთავარი ქალაქის მოსახლეობა ასეთი მცირე იყო, რადაუნდა ითქვას ამ პროვინციის სხვა ადგილებზე. ეკლესიურად ეს ადგილი შესანიშნავია იმით, რომ დიოკლეტიანეს მმართველობის დროს აქ დიდალი ქრისტიანი ეწამა, სხვათა შორის, თომოცი სებასტიელი მოწამეც. მე-4 საუკუნეში ქალაქის ეპისკოპოსმა ევსტათიმ გააფრცვლა მცდარი შეხედულება მონაზვნური ცხოვრების შესახებ. მისი შეხედულების გამო, რომელიც ქორწინების საიდუმლოებას ამცირებდა, 376 წელს შედგა განგრის კრება.¹⁸

კუკუზა. მცირე სომხეთის ეს პატარა ქალაქი სადგურს უფრო წააგავდა, ვიდრე ქალაქს. თეოდორიტეს სიტყვით, ის მდებარეობდა ბუნებით უღარბეს ადგილზე. ეკლესიის ისტორიაში კუკუზა მნიშვნელოვანია იმით, რომ იმპერატორმა კონსტანციმ აქ გადაასახლა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი პავლე, ხოლო იმპერატორმა არკადიუსმა – იოანე თქრობირი, რომელმაც საკმაოდ დიდი დრო დაჰყო აქ. გაკვრით შევნიშნავთ, რომ თქრობირის მთავარი მოწინააღმდეგე, მეფის კარისგაცი ეგტროპი, წარმოშობით დიდი სომხეთიდან იყო.¹⁹

პონტიკო კოლმეპიკოსი. ეს პროვინცია მდებარეობდა უშუალოდ შავი ზღვის ნაპირზე. ამ ოლქის მმართველთა უმეტესობა ატარებდა პოლემიკოსების სახელს, აქედან მიიღო ოლქმაც ეს სახელწოდება. საერთოდ, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ზოლი, და მათ შორის ეს პროვინციაც, დასახლებული იყო მებრძოლი ბარბაროსი ტომებით. ქვეყანა საკმაოდ მდიდარი იყო ხილით, თაფლით, მატყლით, მინერალებით. ასეთნაირად აღწერს ამ მხარეს წმ. გრიგოლ ნოსელი „წმ.

18 მცირე აზიის სებასტიის თანამედროვე სახელია სივასი. ის არის სივასის პროვინციაში მდებარე ნახევარმილიონიანი ქალაქი (რედ. შენ).

19 ისტორიული კუკუზა დღეს წარმოადგენს თურქეთის პატარა ქალაქ გიოკსუნს, 20 000 მოსახლით, კაპრამანმარაშის პროვინციაში (რედ. შენ).

გრიგოლ თაგმატურგის ცხოვრებაში“ და იქაურ მცხოვრებლებს დიდი ქებით მხსენიებს. „ვინ არ იცის პონტო? ამ მხარეში მცხოვრები ხალხის სიქველენი ძველთაგანვე ცნობილია. მთელს დედამიწაზე მხოლოდ ეს ზღვა, მხოლოდ ეს პონტო არის ეგქსეინოს, ანუ სტუმართმოყვარე, აღერსიანი ყველა მოგზაურისადმი. მას ასე უწოდებენ ან იმიტომ, რომ აქ მცხოვრებნი გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობითა და სიყვარულით ჩამოსულების მიმართ, ან იმიტომ, რომ ეს მხარე არის ნაყოფიერი და არა მხოლოდ ქვეყნის მკვიდრებს, არამედ შორიდან მოსულებსაც ყველაფერს აძლევს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის“. მაგრამ სამართლიანია ის აზრიც, რომ ეს ქვეყანა კულტურის დაბალ საფეხურზე იდგა და მცირედ დასახლებული იყო. ზღვის პირას იდგა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სამი ქალაქი, მეოთხე დიდი ქალაქი კი – ქვეყნის შუაგულში. ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბარბაროსების საზღვართან, იყო კიდევ ორი ქალაქი – პიტონტი და სებასტია. ეს საეპისკოპოო ოლქი ძალიან დიდი იყო, ისე როგორც კაპადოკიასა და სომხეთში, მოსახლეობის რაოდენობა კი – მეტად მცირე.

ნეოკესარია. პონტო პოლემიაკუსის მთავარი ქალაქი ნეოკესარია მდებარეობდა ზღვიდან 12 კმ-ზე, მდინარე ლიკეზე. ოდესღაც ამ ადგილზე იყო პატარა სოფელი. საგარაუდოდ, ამ ადგილის სიღამაზითა და მოხერხებული მდებარეობით მოხიბლულმა იმპერატორმა ტიბერიუსმა დააარსა ქალაქი და უწოდა მას კესარია. თუმცა, პლინიუსის მოწმობით, ეს ქალაქი არ ყოფილა დიდი. ეკლესიის ისტორიისათვის ნეოკესარია იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მისი ეპისკოპოსი მე-3 საუკუნეში იყო წმ. გრიგოლ საკგორველმოქმედი, რომელიც წარმოშობით ამავე ქალაქიდან იყო. წმ. გრიგოლმა თითქმის მთლიანად წარმართული ნეოკესარია ისეთი წარმატებით გააქრისტიანა, რომ მისი ეპისკოპოსობის დასასრულს ქალაქში მხოლოდ 17 წარმართი დადარჩა. მე-4 საუკუნის დასაწყისში ნეოკესარიის ეპისკოპოსი იყო პავლე აღმსარებელი, რომელიც დევნის დროს დაატყვევეს, ხოლო შემდგომ ესწრებოდა ნიკეის მსოფლიო კრებას. მე-9 ს-ში ნეოკესარიის ეპისკოპოსი იყო თომა, რომელიც მოკლეს პაგილიკიანელებმა.²⁰

პომანა. ქალაქი კომანა მდებარეობდა მდინარე ირისზე, ნეოკესარიის მახლობლად. წარმართობის ხანაში აქ იყო მცირე აზიის მთავრის დმერ-

20 ძველი ნეოკესარიის მდებარეობა შეესაბამება თანამედროვე თურქეთის ტოკატის პროვინციის ქალაქ ნიკსარს, 30 000-იანი მოსახლეობით (რედ. შენ.).

თის, ცბეობას, საკერპო, რომელსაც მოსახლეობა დიდი მოკრძალებით უთაყვანებოდა. აქ განსაკუთრებით სცემდნენ პატევს ორაკულებს, მისნებსა და ქაღლიმერთის სამსახურისთვის განწირულ ქალწულებს. ეკლესიის ისტორიისათვის კომანა მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ წმ. გრიგოლ ნეოკესარიელის წინადადებით ეპისკოპოსად აირჩიეს ვინმე ალექსანდრე, უბრალო მენახშირე, ხოლო წარსულში ფილოსოფოსი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კომანა იმით, რომ მის მახლობლად, კუკუზადან ახალი გადასახლების ადგილის, პიტონტისაკენ მიმავალ გზაზე, აღესრულა იოანე ოქროპირი. კუკუზადან კომანამდე მისვლას წმ. იოანე სამ თვეს მოუწია, კომანადან პიტონტამდე, სადაც იყო მისი საბოლოო გადასახლების ადგილი, ორჯერ მეტი დრო იყო საჭირო. პიტონტი მდებარეობდა შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე, ლაზების ქვეყანაში. ოდესღაც, პლინიუსის დროს, პიტონტი უმდიდრესი ქალაქი იყო. მაგრამ შემდგომში, ალბათ, რომის ბატონობის წყალობით, ის დაკნინდა და, თეოდორიტეს სიტყვებით, დასახლებული იყო უხეში ბარბაროსებით. არ არის გასაკვირი, რომ ეს ადგილი შეურჩიეს წმ. იოანეს გადასახლებისათვის. იუსტინიანეს თანამედროვე, მწერალი პროკოფი გადმოგვცემს, რომ ოდესღაც უდიდესი ქალაქი და საგაჭრო ცენტრი პიტონტი რომაელებმა დაანგრიეს, როდესაც გაგრცელდა ხმა ხოსროს მიერ აქ ჯარების შეყვანის თაობაზე. იუსტინიანე თავის „ნოველებში“ პიტონტს ხშირად მოიხსენიებს, როგორც ბანაკს და არა, როგორც ქალაქს. წმ. იოანეს ნეშტი კომანაში ოცდაათი წელი დარჩა, შემდეგ, 438 წ-ს გადაასვენეს კონსტანტინოპოლში.

კომანაში მესამედ იქნა მოპოვებული წმ. იოანე წინამორბედის თავი.²¹

ტრაპიზონი. პონტოს ოლქში, შავი ზღვის ნაპირზე, ნეოკესარიასთან ახლოს, უძველესი დროიდან არსებობდა ქალაქი ტრაპიზონი. აქ ძირითადად სინოპიდან გადმოსახლებულები სახლობდნენ. უძველეს ხანაში ის არაფრით ყოფილა გამორჩეული. მაგრამ მე-13 საუკუნიდან ის ხდება კომნენოსების დინასტიის ბიზანტიის იმპერატორების დედაქალაქი. ისინი

21 კომანას ტოპონიმით რამოდენიმე ადგილია ცნობილი, რომელთაგან სამი ანატოლიაში, აზიურ თურქეთშია: კაპადოკიის კომანა, პონტო პოლემეაიკუსის კომანა – თანამედროვე გომენეკი, და ანტალიის პროვინციის კომანა. კიდევ სამი კომანა არის რუმინეთში. დაბოლოს, საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფელი კომანი, სოხუმის რაიონში. ტექსტში აღნიშნულია, რომ კომანა მდ. ირისზე იყო. მდ. ირისის თურქული სახელწოდებაა იეშილ-ირმაქი, მისი სათავე ანატოლიის მთებშია, ქსივასთან ახლოს, ჩაედინება შავ ზღვაში, ქ. სამსუნთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ოქროპირის გარდაცვალების ადგილად ტექსტის ავტორები პონტოს კომანას მიიჩნევენ. თუმცა, საეკლესიო გადმოცემით, იოანე ოქროპირი აფხაზეთის კომანაში აღესრულა (რედ. შენ.).

აქ ცხოვრობდნენ 1461 წლამდე, როდესაც ქალაქი დაიპყრეს თურქებმა.²²

ჰელენოპოლიტი. პონტო პოლემიაკუსის დასავლეთით მდებარეობდა პონტო გალატიის სახელით ცნობილი ქვეყანა, რადგანაც სამხრეთ-დასავლეთით მას ემიჯნებოდა გალატეა. ეს ქვეყანა, არსებითად, არაფრით განსხვავდებოდა პონტო პოლემიაკუსისაგან: ისეთივე მოსახლეობა, ისეთივე ადგილმდებარეობა და ისეთივე გზები; აქედან გამომდინარე, საქმიანობისა და ცხოვრების ერთნაირი ჩვევები. ამასთან ერთად, ამ ორ ოლქს შორის არც ბუნებრივი საზღვარი ყოფილა. ქალაქების რაოდენობა ამ ორ პროვინციაში ერთად სულ ცამეტი იყო. კონსტანტინე დიდმა არაბუნებრივად და უკანონოდ ჩათვალა ამ ორი პროვინციის დაყოფა, გააერთიანა ისინი სამოქალაქო ადმინისტრაციის თვალსაზრისით, და თავისი დედის საპატრიარქოებულად უწოდა მას ჰელენოპონტი. „მას მიაჩნდა უმართებულოდ, ამბობს იუსტინიანე, რომ ეს ქრისტიანული ოლქი ატარებს ტირანისა და წარმართის, პოლემიაკუსის სახელს, გინაიდან სიტყვა „პოლემონ“ ბერძნულად ნიშნავს ომს. მიუხედავად პოლიტიკური გაერთიანებისა, ეკლესიურად ის ორ ოლქად გაყოფილი დარჩა. ძველ პონტო პოლემიაკუსს ჰქონდა თავისი მიტროპოლია და საეპისკოპოსოები და პონტო გალატიასაც – თავისი მიტროპოლია და საეპისკოპოსოები. ჰელენოპონტში იყო ექვსი საეპისკოპოსო ქალაქი, რომელთაგანაც ორი ზღვის პირას იდგა, დანარჩენები – ქვეყნის სიღრმეში. საეპისკოპოსო ოლქები საკმარისად ვრცელი იყო. მთავარ ქალაქ ამასიას მიწერილი ჰქონდა რამდენიმე სოფელი.

ამასია. ქალაქი ამასია იყო ჰელენოპონტის მთავარი ქალაქი, მდებარე პროვინციის სიღრმეში, მდინარე ირისზე, რომელსაც ახლა უწოდებენ ემი-ირმიკს, ან იმილ-ირმაქს ანუ მწვანე მდინარეს. ამასია გამოჩენილი გეოგრაფის, სტრაბონის, სამშობლოა. მან დაწვრილებით აღწერა თავისი ქალაქი, მისი ნაგებობანი, ადგილმდებარეობა. მის დროს აქ იყო პონტოს მეფეების სასახლე და აკლდამა. იმ დროს ქალაქი შეფენილი იყო მდინარის ორივე ნაპირზე, კლდოვანი მთიდან გამოყვანილი წყალი ორი მიწისქვეშა წყალსადენით მიეწოდებოდა მოსახლეობას. ამჟამად ქალაქს გარს ერტყმის ხილის ბაღები და ვენახები, საიდანაც ღებულობენ ხურესის მსგავს ღვინოს. ვაჭრობის ძირითად საგნებად ითვლება აბრეშუმი, პური და, აგრეთვე, ბეწვეული. მე-3 საუკუნეში ამასიის ეპისკოპოსი იყო თედომოსი, სწორედ მან დაითანხმა გრიგოლ ნეოკესარიელი, გამხდარი-

22 თანამედროვე თურქული მილიონიანი ქალაქი ტრაბზონი შავი ზღვის სანაპიროზე (რედ. შენ.).

ყო ეპისკოპოსი და ხელნიც მანვე დაახსნა. მე-4 საუკუნის დასაწყისში ამასიაში ეწამა თეოდორე ტირონი (306 წ.) და დაიკრძალა. აქვე იყო დაკრძალული წმ. თეოდორე სტრატელატი, წარმოშობით ქალაქ ევზაიტიდან, ამ ქალაქის მეათე ეპისკოპოსმა იოანემ პირველად დააქანონა სამი წმინდანის დღესასწაული (30 იანვარი). ამასიის ეპისკოპოსი ასტერი, ოქრობირის თანამედროვე, ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო მქადაგებელი.²³

სინოქსი. ქალაქი სინოპი დაარსებული იყო მილეტიდან გამოსული ბერძნების მიერ. ის მდებარეობდა ნახევარკუნძულზე და ჰქონდა ორი შესანიშნავი ნავსადგური. ქალაქს გარს ერტყა მტკიცე კედელი. სინოპი შიგნიდანაც კარგად იყო მოწყობილი და განთქმული იყო ვაჭრობითა და სიმდიდრით. აქ იყო გიმნაზია, აგორა და კოლონადებით მორთული რამოდენიმე ქუჩა. შესანიშნავი იყო სინოპის შექმოგარენიც. ერთი სიტყვით, სინოპი იყო ერთ-ერთი საუკეთესო, უმდიდრესი კოლონია შავ ზღვაზე. აქ ყვავდა ბერძნული განათლება, აქ ცხოვრობდა ცინიკოსი დიოგენე. მეტად შესანიშნავი იყო სინოპი ეკლესიის ისტორიისთვისაც. აქ იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა და მრავალჯერ ეგნო წარმართებისაგან. ერთი გადმოცემის მიხედვით, ამ ქალაქიდან შავი ზღვის გაგლით მისულა ის სკვითების ქვეყანამდე. გარკვეული დროის მანძილზე სინოპში ცხოვრობდა ცნობილი აკვილა, რომელმაც ჯერ იუდაიზმი მიიღო, შემდეგ კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. მან თარგმნა ებრაული ბიბლია ბერძნულ ენაზე. სინოპის პირველი ეპისკოპოსი, ფილოლოგოსი, იყო ერთი 70 მოციქულთაგანი. ტრაიანუს დროს აქ იყვნენ წამებულები. სინოპიდან იყო წარმოშობით გნოსტიკოსი მარკიონე, რომლის მამამ, სინოპის ეპისკოპოსმა, განკვეთა ის ეკლესიიდან უღმრთო სწავლებისათვის და გააძევა ქალაქიდან.²⁴

პაფლაგონია. ჰელენოპონტის დასავლეთით, შავ ზღვასთან მდებარეობდა პაფლაგონიის ოლქი, ამგვარად წოდებული მის ძველ მკვიდრთა, პაფლაგონელთა გამო. პაფლაგონიას ჰელენოპონტისგან ჰყოფდა მდინარე ჰალისი, ხოლო ბითვინიისაგან – მდინარე პართენოში. პაფლაგონი-

23 თანამედროვე ქალაქი ამასია, 82 000 მცხოვრებით, მდებარეობს ჩრდილოეთ თურქეთში, შავი ზღვის რეგიონში, წარმოადგენს ამასიის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრს (რედ. შენ.).

24 თანამედროვე ქალაქი სინოპი ჩრდილოეთ თურქეთში, შავი ზღვის სინოპის ყურის ნაპირზე მდებარეობს, მოსახლეობის რაოდენობა - 47 000 (რედ. შენ.).

ის მცხოვრებლები როყოთ, უხეშნი და მეტისმეტად გულებრყვილონი იყვნენ. ამიტომაც მათი სახელი ბერძნებისთვის საღანძღავად ქცეულიყო. თუმცა ისინი იყვნენ შესანიშნავი ცხენოსნები. მათ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მადნის დამუშავება. პაფლაგონიაში ხუთი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა. განსაკუთრებით დიდი მღვდელმთავრება მოხდა აქ ნოვაციანელთა ერესის გამო.

ბანბრა. პაფლაგონიის ძველი მეფეების დედაქალაქი განგრა, შემდგომ რომის პროვინციის მიტროპოლია, მღებარეობდა ზღვიდან მოშორებით და ცხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ბასილი დიდის მოწმობით, განგრის მიტროპოლიტი გამგებლობაში იყო რამდენიმე საკურთხეველი, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მის ოლქზე მიწერილი იყო რამდენიმე სოფელი. ანკირიის ეპისკოპოსის, ევსევის, მოწმობით, განგრის მიტროპოლიტებს ზოგჯერ ირჩევდნენ და აკურთხევდნენ ანკირიის მიტროპოლიტები. მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში (340-376 წწ.) განგრაში შედგა ადგილობრივი კრება სებასტიის ეპისკოპოსის, ევსტათის, სწავლების გამო. ევსტათი განაქიქებდა ქორწინებაში ცხოვრებას.

მე-5 საუკუნეში ქალკედონის მსოფლიო კრებამ განგრაში გადაასახლა პატრიარქი დიოსკორე. მონოფიზიტი მწერალი, რომელიც ამ ამბავზე მოგვითხრობს, განგრას კუნძულს უწოდებს. განგრა კი სინამდვილეში მღებარეობდა ნახევარკუნძულზე, რასაც ქმნიდა ორი მდინარის შერწყმა: შირინ-სუ (ტუბილი წყალი) და აჯი-სუ (მწარე წყალი), და რომლებიც შემდგომ უერთდებიან კიზილ-ირმიკს (წითელი მდინარე). რაკი ჩვენ ვიცით, რომ განგრას კუნძულად მხოლოდ მონოფიზიტები მოიხსენებდნენ, შეგვიძლია მათი დაფარული აზრი გამოვიტანოთ – ისინი ცდილობდნენ, დიოსკორეს მდგომარეობა, რაც შეიძლება, საგალალოდ წარმოეჩინათ: გადასახლებული მოწყვეტილი იყო საზოგადოებას არა მხოლოდ ხმელეთიდან, არამედ წყლის სტიქიითაც! რატომ შეჩერდა იმპერატორის არჩევანი განგრაზე, უცნობია. მონოფიზიტები ამ გადაწყვეტილებას აძლევენ ორ ახსნას: ა) მთელს ქვეყანაში განგრის გარდა სხვაგან არსად იყო კუნძული, სადაც ცხოვრობდნენ ებრაელები; ბ) ამ ქვეყნის ეპისკოპოსი იყო ნესტორიანელი (ან მართლმადიდებელი), რომელიც საშინელი ეჭვით ეპყრობოდა დიოსკორეს. პირველი განმარტება, რა თქმა უნდა, არასწორია. მეორე განმარტების მეორე ნაწილი, შეიძლება, ნამდვილ ფაქტს ასახავდეს. რასაკვირველია, მთავრობას არ შეეძლო, არ გაეთვალისწინებინა, რამდენად მტკიცე მართლმადიდებელი იყო ადგილობრივი

ეპისკოპოსი — ვინაიდან მის წინაშე იდგა, ერთი მხრივ, მსოფლიო კრების მიერ ღირსებააყრილი ეპისკოპოსი და, მეორე მხრივ, დიდი დიოსკორე — რწმენის ათლეტი.²⁵

ამასტრიდა. პაფლაგონიაში სიმდიდრითა და მოხდენილობით ყველაზე შესანიშნავი იყო ქალაქი ამასტრიდა, რომელიც შავ ზღვასთან, ნახევარკუნძულზე იდგა. ეს ქალაქიც მილეტელი ბერძნების დაარსებული იყო. არსებობს ქალაქის წარმოშობის სხვა ვერსიაც, თითქოს, ის დარაუს კადამონის დისწულმა ამასტრისამ ააშენა. შესაძლებელია, ქალაქს ამასტრიდა დაერქვა ქალაქ ჰერაკლემ ტირანის, დიონისეს მეუღლის საპატივცემულოდაც, რომელიც ამავე სახელს ატარებდა. ქალაქი ჰერაკლეა ამასტრიდასთან ახლოს (70 კმ-ში) მდებარეობდა. ნახევარკუნძულს ორივე მხრიდან ჰქონდა შესანიშნავი ნავსადგურები. პლინიუსის მხედვით, ქალაქის შემოგარენი კარგად იყო დამუშავებული და მეტისმეტად ღამაზად მოჩანდა. აქ განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ღმრთისმშობელს. ამასტრიდაში მრავალი ადამიანი ეწამა ხატმებრძოლობის დროს.²⁶



ერთ-ერთი ტაძრის ინტერიერი
კაპადოკიაში.

25 განგრა — თანამედროვე ჩანკირი თურქეთში (რედ. შენ).

26 ძველი ამასტრიდა - თანამედროვე ქალაქი ამასრა თურქეთის შავი ზღვის სანაპიროზე, 7000 მოსახლით (რედ. შენ).

ბალატმა. მცირე აზიის ცენტრში მდებარეობდა გალატეას პროვინცია ფრიგიას, ბითინიას, კაპადოკიასა და ლიკონიას შორის. მოციქულთა ხანაში გალატეას მოსახლეობა წარმოადგენდა დასავლური წარმოშობის ხალხს. თავად სახელი გალატეა მომდინარეობს კელტების სახელიდან, ისინი ქრისტეს დაბადებამდე ოთხი საუკუნით ადრე შემოჭრილან მცირე აზიაში. დიდი ხნის განმავლობაში კელტები ერთ ადგილას არ დამკვიდრებულან, მათ ძალიან უყვარდათ ომი. ცდილობდნენ, დაეპყროთ, დაეზღვრათ და ცეცხლისთვის მიეცათ ყველაფერი. ასოვანები და მამაცები შესანიშნავ დაქირავებულ ჯარს შეადგენდნენ. მაგრამ ქრისტემდე ორასი წლით ადრე ისინი დაიპყრეს რომაელებმა. მართალია, შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, მაგრამ საზავო ხელშეკრულებით მათ აკრძალათ თავდასხმები მეზობელ ოლქებზე. ხოლო ქრისტეს დაბადებამდე ოცდაექვსი წლით ადრე მათ ჩამოერთვათ დამოუკიდებელი მმართველობა და გალატეა იქცა რომის პროვინციად, სადაც მმართველობა დაეკისრა რომის მოხელეს, რომელიც დასახლდა ქ. ანკირაში²⁷.

პოლიტიკურად რომის ეს პროვინცია იყოფოდა სამ ოლქად. რომის მმართველობის ქვეშ მყოფ სამ მთავარ კელტურ ტომს ჰქონდა თავიანთი საერთო სახალხო კრებები, რომელიც ქვეყნის ყველა სამოქალაქო, რელიგიურსა და საფინანსო საკითხებს წყვეტდა. პროვინციის სამივე მთავარ ქალაქში – ანკირა, პესინა (პესინუნტი) და ტაბიუმი – იმართებოდა სენატის სხდომა და იწვევდნენ სახალხო კრებას, რომლის ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას ჰქონდა კანონის ძალა.

გალატეაში იქადაგა პავლე მოციქულმა. მან მოინახულა გალატეა მკორე სამხანარებლო მოგზაურობის დროსაც. აქ ის ავად გახდა და ავადმყოფმა იქადაგა ჯვარზე გაკრულ ქრისტეზე (გალ. 4,13-14; 3,1) და ხალხმაც ის ღვთის ანგელოზად მიიღო (გალ. 4,14-15). ახალი სარწმუნოება აყვავდა გალატეელთა შორის (გალ. 3,2-3). მაგრამ გალატეელთა გადახრამ იუდაიზმისაკენ იძულებული გახადა პავლე მოციქული, გაეგზავნა მათთვის განსაკუთრებული ეპისტოლე. თუმცა არსებობს აზრი, რომ პავლე მოციქული საკუთრივ გალატეაში, სადაც ქალაქი ანკირაა, არ ყოფილა. არამედ გალატეასა და მის ეკლესიების ქვეშ გულისხმობდა ლიკონიისა და პსიდის (დერბია და ლისტრა) ეკლესიებს, რომლებიც იმჟამად გალატეას პროვინციაში შედიოდნენ. თუმცა ამ მოსაზრებას არა აქვს მყარი საფუძველი.

²⁷ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ეს ქალაქი ნახსენებია, როგორც ანკურია (რედ. შენ).

შემდგომში გალატეა ეკლესიურადაც იყოფოდა სამ ოლქად, ბირველ გალატეაში მოქმედებდა შვიდი საეპისკოპოსო კათედრა, მეორეში – ჯერ ოთხი, ხოლო შემდგომ – რვა. საეპისკოპოსოები, როგორც ჩანს, საკმაოდ ვრცელი იყო, რადგანაც ანკირადან უახლოეს ქალაქამდე მანძილი 25 კმ-ს შეადგენდა.

გალატელები ცრუმორწმუნენი იყვნენ, გატაცებულნი ჯადოქრობითა და მარჩიელობით. ისინი გამორჩეოდნენ ქედმაღლობით, უყვარდათ კამათი და ერთმანეთში არ მეგობრობდნენ. ამასთან, იყვნენ თავშეუკავებლები, ეძლეოდნენ ღორმეცელობას, ლოთობასა და უსარცხგილო მხარულებებს. ყველა ამ დასაძრახ თვისებას მათ ხასიათში აღნიშნავს პავლე მოციქული ეპისტოლეში გალატელთა მიმართ. როგორც ამავე ეპისტოლედან ჩანს, გალატელებს ჰქონდათ ზოგიერთი კეთილი თვისებაც: იყვნენ სტუმართმოყვარენი, მკვირცხლები, გულითადები, უყვარდათ თავისუფლება, თუმცა ხანდახან ბოროტად იყენებდნენ მას.

გალატელთა დაუდგრომელი ხასიათი და არამყარი რწმენა ძლიერად აისახა მათ რელიგიურ უხედულებებზე. ისინი თაყვანს სცემდნენ თავიანთ ძველ ღმერთებსაც, რომაულ ღმერთებსაც, ბერძნულ ღმერთებსაც და, ასევე, აღმერთებდნენ იმპერატორებს. ქალაქ ანკირაში საზოგადო ხარჯით აღმართეს დიდებული ტაძარი დგთაებრივი აგვუსტუსის საპატრიცეპულოდ, მისდამი მაღლიერების ნიშნად, რადგან ამ იმპერატორმა ანკირა კეთილმოაწყო. ამ ტაძარში გალატელთა კეთილშობილი ფენა აღასრულებდა ქურუმის მოვალეობებს. გალატელთა ყველა ამ წარმართულ წარმოდგენებს დაემატა იუდაიზმიც. ანკირაში საკმაოდ იყვნენ იუდეველები და გალატელთა შორის, ალბათ, იყვნენ იუდაური სჯულის პროზელიტები. გალატელებმა ქრისტიანობის ქადაგებაც მალე შეიწყნარეს, მაგრამ ზედაპირულად განეწყვნენ ქრისტიანული მოძღვრებისადმი. და ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ცვალებადი ხასიათის გამო იუდეველთა ცრუსწავლებაში ფიქრობდნენ კიდევ უკეთესის პოვნას.

რაც შეეხება გალატელების ყოფას, ძველი კელტური ჩვეულებები და მთელი ძველი კელტური კულტურა უცვლელი რჩებოდა იმ დრომდე, სანამ გალატელები ბერძნებისა და რომაელების ზეგავლენის გარეშე რჩებოდნენ. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ უბინველესად შეიცვალა ძველი კელტური ენა. შემორჩენილი წარწერები უდავოდ მოწმობენ, რომ ქრისტიანობის პერიოდში გალატეის ქალაქებში კელტურმა ენამ ადგილი დაუთმო ბერძნულს. უდავოა ისიც, რომ თავდაპირველად ბერძნული ენა მიიღო გალატელთა არისტოკრატიამ. და მათგან შემდგომ გავრცელდა ხალხში. ნეტარი იერონიმე ამბობს, რომ

მისი თანამედროვე მცირე აზიის გალატელები არ იყვნენ ბერძნული ენის ზეგავლენის ქვეშ და მეტყველებდნენ, მართალია, ნახევრად დამახინჯებულ, მაგრამ ნაციონალურ კულტურ ენაზე. ეს მოწმობა შეიძლება სამართლიანად გცნოთ მხოლოდ გალატეის მოსახლეობის დაბალი, მიწადმოქმედთა ფენის მიმართ.

ანბირა. გალატეის მთავარი ქალაქი იყო ანკირა. ქალაქს ეს სახელი ჰქვია იმიტომ, რომ აქ ოდესღაც ღუზები უბოვიათ („ანკირა“ – ბერძნულად ღუზას ნიშნავს, რედ.შენ). სტრაბონის მიხედვით, ტიბერიუსის დროს ანკირა ჯერ ისევ პატარა ქალაქი ყოფილა; პტოლემეუსი მას უწოდებს მეტროპოლიას; პლინიუსი გალატეის მთავარ ქალაქად მიიჩნევს; ლიბანიოსი კი ამბობს, რომ ეს იყო სახელოვანი, მდიდარი ქალაქი. კონსტანტინე დიდმა გალატეა ორად გაჰყო და ანკირა სცნო პირველი გალატეის დედაქალაქად. ქალაქის სიმდიდრის მთავარი წყარო იყო მასზე გამავალი საქარავნო-სავაჭრო გზა.

მეტად მნიშვნელოვანია ანკირა ეკლესიის ისტორიისათვის. ეკლესია აქ დაარსდა მოციქულთა დროს და დეენის უამს მრავალი ადამიანი ეწამა რწმენისათვის. აქ, მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში, ორჯერ იყო მოწვეული დიდი საეკლესიო კრება, 317 და 358 წლებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 317 წელს გამართული ადგილობრივი კრება მიტროპოლიტ მარკელოსის თავმჯდომარეობით, რომელსაც ესწრებოდა 17 ეპისკოპოსი. შედგა 25 მეტად მნიშვნელოვანი კანონიკური წესი, მათ შორის 10 ეხება ეკლესიაში დაცემულთა მიღებას, დანარჩენი კი – საეკლესიო კეთილმოწესებებს. ეს კრება იყო პირველი იმ ცხრა ადგილობრივ კრებათა შორის, რომელთა კანონები საყოველთაოდ მიღებულია ეკლესიის მიერ. საერთოდ, ანკირას მიტროპოლიას პონტოს რიგში კესარიის შემდეგ ღირსებით მეორე ადგილი ეჭირა. მომდევნო ხანებში ანკირას მიტროპოლიის მნიშვნელობა დაეცა. აქ მრავალი არეულობა მოხდა არიოზის მწვალებლობის გამო, მრავალი ვნება მიიღო ქრისტიანულმა ეკლესიამ იულიანეს დროს. ბალსამონის გადმოცემით, კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ კრებაზე ანკირას მიტროპოლია გადაიყვანეს ქ. ნაზიანზის ეპისკოპოსის გამგებლობაში. ანკირას მახლობლად დაიბადა ნეტარი ანტიოქე, რომელმაც ანკირასთან ახლოს მდებარე ატალიის მონასტრის ილუმენისთვის დაწერა თავისი ბანდექტი.²⁸

28 ისტორიულ ანკირას დღეს ანკარა ეწოდება. ესაა თურქეთის დედაქალაქი 1923 წლიდან, სიდიდით ქვეყნის მეორე ქალაქი სტამბოლის შემდეგ, ხუთ მილიონამდე მოსახლით (რედ. შენ).



წმ. კლიმენტის სახელობის ტაძარი ანიკრაში,
XX ს-ის დასაწყისის ფოტო

ბიოგრაფია. ბონტოს პროვინციებიდან უკიდურეს დასავლეთით, შავ ზღვაზე, ბოსფორისა და კონსტანტინოპოლის სრუტეების სანაპიროზე, მდებარეობდა ბითინია. ბითინია ნაყოფსავსე და პირუტყვით მდიდარ ქვეყანას წარმოადგენდა. ზღვის სანაპირო ნაწილში მრავალი შესანიშნავი ბერძნული ქალაქი იყო, რომლებიც მრავალ სიკეთეს იღებდნენ ზღვაზე, ორ ღრმა სრუტეს შორის მდებარეობით. ქსენოფონტე, როგორც ჩანს, არაერთხელ ყოფილა ამ მხარეში, იგი ქვეყნის სანაპირო ზოლს აღწერს, როგორც ხეილით სავსეს, სადაც ყველაფერს ნახავდით ქლიავის გარდა. დიონისე პერიოგეტაც გვეუბნება, რომ ბითინიელები ნაყოფით მუტად უხვ ქვეყანაში სახლობდნენ. თანამედროვე მოგზაურები საფსებით ეთანხმებიან ამ შეფასებას და აღტაცებულნი არიან ბითინიის ღამაში მდებარეობით, ვენახებითა და ტყეებით. აქ ძირითადად მუხის ტყეებია, შიგადაშიგ წიფელი და კაკალი რომ ერევა.

ბითინიის სამხრეთ ნახევრის უმეტესი ნაწილი უკავია მაღალ ოლიმპოს,²⁹ რომლის მწვერვალიცა და ფუძეც გრანიტისაა, ხოლო ფერდები მარმარილოსი. ბითინიის ჩრდილოეთი ნაწილი უმეტესად დაფარულია

²⁹ ეს არის თურქეთის და არა საბერძნეთის მთა: ბითინიის ოლიმპო, ულუდაგის ქედის, და მთელი მცირე აზიის უდიდესი მწვერვალი - 2 543 მ. ზღვის დონიდან (რედ. შენ.).

ნაყარი სილით. აქ იყო ქალაქი პრუზა,³⁰ დედაქალაქი ბითვინიის მეფეებისა, რომელთაგან ზოგიერთი ატარებდა სახელს „პრუზია“.

ბითვინიის სახელწოდება მომდინარეობს თრაკიიდან გადმოსახლებული „თინების“ და „ბითინებისაგან.“ ბითვინია, როგორც რომის პროვინცია, ნაკლებად იხსენიება ტრაიანუს დრომდე, როდესაც პლინიუს უმცროსი გახდა მისი მმართველი. პლინიუსის გუბერნატორად დანიშნა მონდა იმპერატორთან მისი მეგობრობის გამო. პლინიუსი წმირად სწერდა იმპერატორს პროვინციის პრობლემებზე და ბითვინიისათვის მრავალი სიკეთის მოტანას ცდილობდა. ასე მაგალითად, პლინიუსმა შენიშნა ნიკომიდიის მახლობლად თხრილი, რომლის კეთებაც ჯერ კიდევ სპარსთა ბატონობის დროს დაეწყით, ალბათ, აღვილობრივი მიწების სარწყავად. პლინიუსი შეეცადა, დაერწმუნებინა იმპერატორი, რომ ეს თხრილი არხად გადაექციათ და მისი საშუალებით ნიკომიდია ზღვასთან დაეკავშირებინათ. 46-ე წერილში ის ითხოვს ნიკომიდიელების დაწყებული წყალგაყვანილობის მშენებლობის დამთავრების ნებართვას. პლინიუსის დროიდან ბითვინია ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაშიც საკმაოდ ცნობილი ხდება. ტრაიანუსადმი წერილში პლინიუსი მოუთხოვს მას ქრისტიანების დევნის ამბავს და დაწვრილებით აღწერს ქრისტიანთა მდგომარეობას ბითვინიაში. ბითვინია სამოქალაქო და ეკლესიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო მე-3 საუკუნის დამლევებიდან გახდა, რადგანაც აქ, ნიკომიდიაში დააარსა თავისი რეზიდენცია დიოკლეტიანემ. მე-4-5 სს-ებში აქ მრავალი საეკლესიო კრება ჩატარდა ეკლესიაში გაბატონებული მწვალებლობების გამო.

მომდევნო საუკუნეებში, განსაკუთრებით მე-9 ს-ში, ბითვინიაში მრავალი საგანე აღმოცენდა. ასეთებია: აფქსენტის საგანე, რომელიც დააარსა წმ. აფქსენტიმ (†470 წ.), სადაც მე-8 ს-ში მოსაგრეობდა წმ. სტეფანე სასწაულთმოქმედი (†767 წ.); ოლიმპოს საგანე, სადაც მე-7 ს-ში მოსაგრეობდა წმ. გიორგი ლიმნოტი; ოლიმპოს მახლობლად სიმბოლის უღბნოში მე-9 ს-ში მოსაგრეობდნენ: ღირსი ტიმოთე, პლატონი, შემდგომში სტუდიელთა მონასტრის იღუმენი, და თეოსტერიკტი; მედიკიის საგანე, სადაც წმ. ნიკიტასა და წმ. ათანასეს სდეგნიდნენ ხატმებრძოლები; ტრივლის მონასტერი, სადაც ლეონ სომეხის დროს იღუმენად იყო წმ. სტეფანე, აღმსარებელი და სასწაულთმოქმედი; და პოლიქრონის მონასტერი, სადაც თავდაპირველად შეუდგა მონაზვნურ ცხოვრებას წმ.

30 დღევანდელი ქალაქი ბურსა, თურქეთის სიდიდით მეოთხე ქალაქი – ორ მილიონამდე მოსახლით (რედ.შენ.).

მეთოდე, სლაგების განმანათლებელი.

ნოპრომიდია. ბითვინის მთავარი ქალაქი იყო ნიკომიდია. ის დააარსა ბითვინის მეფე ნიკომიდოს II-მ 263 წ-ს ქრისტეს შობამდე. ნიკომიდია იყო ფლავიუს არიანეს სამშობლო. ტრაიანეს დროს პლინიუსი ნიკომიდიას სახელგანთქმულ ქალაქად იხსენიებს. ქალაქის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა დიოკლეტიანეს დროს, როდესაც ნიკომიდიაში მან თავისი რეზიდენცია გადაიტანა, და ლაკტანციუსის სიტყვებით, დიდი მონდობებით ზრუნავდა, რომ ნიკომიდია დიდებულებით მეთრე რომი გამხდარიყო. დიოკლეტიანეს გარდა აქ რეზიდენცია ჰქონდათ სხვა იმპერატორებსაც: ელაგაბალუსს, ვალერიუსს, კონსტანტინე დიდს, თეოდოსიუსს, ვალენტიანეს, ვალენტის. ამ უკანასკნელმა ბითვინია ორ ნაწილად გაყო და ნიკომიდიას მიანჭა პირველი ბითვინის მთავარი ქალაქის სტატუსი. მაგრამ 358 და 362 წლების მიწისძვრებმა დაანგრია ნიკომიდიის დიდმშენიერი ნაგებობანი.

ქრისტიანული ეკლესია ნიკომიდიაში, გადმოცემით, პეტრე მოციქულს დაუარსებია, მისი პირველი ეპისკოპოსი გახდა პროსპერი, სამოციქულო ეკლესიის შვიდ დიაკონთაგან ერთი. კორინთოს ეპისკოპოსმა დიონისემ, რომელიც ცხოვრობდა მე-2 საუკუნეში, აქ საგანგებო ეპისტოლე გაგზავნა. დიოკლეტიანეს დროს ქრისტიანთა რაოდენობა ნიკომიდიაში განსაკუთრებით დიდი იყო და ზოგიერთ მათგანს მეფის კარზე ერთობ საპატიო თანამდებობაც კი ეკავა. ამ პერიოდში ნიკომიდიაში არსებობდა შესანიშნავი ქრისტიანული ტაძარი, რომელიც 2000 კაცს იტევდა. მის მოცულობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ როდესაც იმპერატორის ბრძანებით მას ცეცხლი წაუკიდეს, ტაძარი სამი დღე-ღამის განმავლობაში იწვოდა. ქრისტიანთა დეენის პერიოდში, განსაკუთრებით დიოკლეტიანეს დროს, აქ ძალიან ბევრი ადამიანი აწამეს. არიანული არეულობის ჟამს ნიკომიდიის მეექვსე მიტროპოლიტი ევსევი თავგამოდებით იცავდა ამ ცრუსწავლებას და ვალენტის იმპერატორობისას ნიკომიდიის მახლობლად 70-მდე მართლმადიდებელი სასულიერო პირი დაახრჩვეს წყალში. მე-9 საუკუნეში ნიკომიდიაში ცნობილნი არიან ნიკომიდიის 29-ე ეპისკოპოსი თეოფილაქტე, ხატების დაცვისთვის წამებული, და გიორგი, საეკლესიო გალობების შემდგენელი, ფოტიოსის თანამედროვე.³¹

31 ნიკომიდია თურქებმა დაიპყრეს 1337 წ-ს. და სახელად იზმიით დაარქვეს. დღეს ეს მარმარილოს ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი 300 000 მოსახლით შედის ქოჯაელის პროვინციის მარმარისის რეგიონში (რედ.შენ.).

ჰელენოპოლისი (ლრმკანა). ნიკომიდიიდან დასავლეთით, 10 კმ-ში მდებარეობდა ქალაქი ჰელენოპოლისი. აქ 312 წელს გარდაიცვალა წმ. ლუკიანე ანტიოქიელი და მალე, 326 წ. მის საფლავზე წმ. ელენემ აავთ ტაძარი. ჰელენოპოლისში ეპისკოპოსი იყო წმ. პალადი, ლავსაიკონის შემდგენელი.³²

მალკამონი. ქალაქი ქალკედონი მდებარეობდა ბოსფორის მეორე ნაპირზე, კონსტანტინოპოლის მოპირდაპირედ. მისი გარეუბანი ქრიზოპოლი იმ ადგილზე იყო, სადაც ამჟამად არის სკუტარი. აქ მოსაგრეობდა წმ. მაქსიმე აღმსარებელი (†641 წ.). დედაქალაქთან სიხლოვის მიუხედავად ქალკედონი საკმაოდ დიდ ქალაქად ითვლებოდა იუსტინიანეს დრომდე და უადრესად მნიშვნელოვანი იყო ეკლესიის ისტორიისათვის. არიანული არეულობის დროს აქ ეპისკოპოსი იყო ვინმე ევნომიოსი, ნახევრადარიანელობის მხურვალე წარმომადგენელი. იოანე თქროპირის დროს, 403 წ-ს. აქ შედგა 36 ოლქის ეპისკოპოსთა უკანონო კრება, რომლის გადაწყვეტილებით იოანე თქროპირს მიესაჯა განდევნა. შუთქმულებს შეეშინდათ, კონსტანტინოპოლში მოეწვიათ კრება, რათა ხალხის აღშფოთება არ გამოეწვიათ. ამ შეკრებას უწოდებენ „მუხისქეშას“, რადგანაც ის ჩაატარეს ქალკედონის გარეუბანში, პატარა ეკლესიის გვერდით მდებარე, მუხის ქვეშ. აქ, „მუხრანის“ რაიონში მე-4 საუკუნეში პრეფექტმარუფინუსმა ააშენა ტაძარი პეტრესა და პავლეს სახელზე. შესაძლებელია, სწორედ ეს არის „რუფიანას“ სახელით ცნობილი საგანე, სადაც მე-5 ს-ში იღუმენი იყო იპატოისი († 446 წ.). გასამართლების შემდეგ იოანე თქროპირმა ერთ ხანს ბითვინის ერთ პატარა სოფელს შეაფარა თავი.

ეკლესიის ისტორიისათვის კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ქალკედონში ჩატარებული სხვა კრება – 451 წლის IV მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც შედგა ეგვიპტიანელთა მწვალებლობის გამო. ქალკედონის კრების სხდომები ტარდებოდა წმ. მოწამე ეფემიას ბაზილიკაში (†304 წ.). ისტორიკოსი ეგსევი საკმაოდ ზუსტად აღწერს ტაძრის მდებარეობასა და თვით ტაძარს. მისი აღწერილობით, ტაძარი ბოსფორიდან დაშორებული იყო ორი სტადიონით და აღმართული იყო უმშვენიერეს შემადლებასზე. ტაძრისკენ მიმავალი ქვეითი ვერც კი ამჩნევდა გორაკზე ასვლის სიძნელეს. ტაძრიდან იშლებოდა უღამაზესი ხედი: მწვანე ველები, მობიბინე ყანები, მშვენიერი წყლები, შორს – მთები და

32 დღეს ჰელენოპოლი მკვლევართა მიერ იდენტიფიცირებულია როგორც თურქეთის სოფ. ჰერსეკი, იალღოვის პროვინციაში. ტრადიციულად, მას წმინდა ელენეს დაბადების ადგილად მიიჩნევენ (რედ. შენ.).

ტყეები. თვალს ატკობდა ზღვის ხედიც, კარგ ამინდში მზის სხივებით მოთქროული, ქარიან დროს კი მღელვარე და აბობოქრებული. ამ საოცარ სილამაზეს აგვირგვინებდა კონსტანტინოპოლის ხილვა. თვითონ ტაძარი წარმოადგენდა შესანიშნავ ნაგებობას, შედგებოდა რამოდენიმე შენობისაგან, მორთული იყო სვეტებით, თავზე ადგა დიდებული გუმბათი. ტაძარში, მდიდრულად მორთულ საძვალეში, დასვენებული იყო წმ. ეფემიას ნაწილები, მრავალი სასწაულით განთქმული.³³ იმპერატორის ედიქტის თანახმად, ეპისკოპოსებმა ჯერ თავი მოიყარეს ნიკეაში, კონსტანტინოპოლიდან 145 კმ-ში, მაგრამ იქ ამტყდარი მღელვარების გამო კრებამ გადაინაცვლა ქალკედონში – კონსტანტინოპოლის პირდაპირ მდებარე ქალაქში, რათა იმპერატორის სასახლესა და სენატს თვალყური ედევნებინა კრების მსვლელობისთვის და დროზე აღეკვეთა რელიგიური ფანატიზმის ყოველგვარი გამოვლინება დაპირისპირებულ პარტიებს შორის. ქალკედონის კრება გაიხსნა 451 წ-ს. 8 ოქტომბერს ბრწყინვალე ცერემონიით და გაგრძელდა 1 ნოემბრამდე.

ქალკედონის შემდგომი დროების ეპისკოპოსთა შორის ცნობილი არიან ნიკიტა და კოზმა, რომლებიც ეწამნენ ლეონ სომეხის დროს ხატების მფარველობისათვის. მე-10 ს-ში ქალკედონში მოსაგრეობდა ლუკა, ახალი მესვეტე. ქალკედონის შემოგარენში იყო კიდევ ერთი, დიონის ავქსენ-

33 აქ საგანგებოდ არის აღნიშნული, თუ სად ტარდებოდა კრება, რადგან ცნობილია წმ. დიდმოწამის მიერ კრებაზე აღსრულებული სასწაული. წმ. დიდმოწამე ეფემია ყოვლადქებული დაბადებულა ქალკედონში, წარჩინებულ, ქრისტიანული აღმსარებლობის ოჯახში. 304 წ-ს ქალაქის მმართველის, პრისკუსის, ბრძანებით, მსხვერპლი შესწირეს არესს, ომის ღმერთს. წარმართულ მსახურებაში ქრისტიანებმა არ მიიღეს მონაწილეობა, მათ საიდუმლოდ ჩაატარეს წირვა. ისინი შეიპყრეს, ტანჯეს და საბოლოო განაჩენისათვის იმპერატორ დიოკლეტიანესთან გაგზავნეს. მათ შორის ყველაზე პატარა კი, ეფემია, დატოვეს ქალაქში იმ იმედით, რომ ადვილად შესძლებდნენ მის დაყოლიებას წარმართულ მსხვერპლშეწირვაზე. ღმერთის შეწევნით, ეფემიამ მრავალ განსაცდელს, მათ შორის ბორბალზე წამებასაც გაუძლო. საბოლოოდ ის ველურ მხეცებთან ერთად გაიყვანეს ცირკის არენაზე. დიდმოწამე ევედრებოდა უფალს, მალე მიეღო მისი სული, ღომები და დათვეები კი იჩოქებდნენ მის წინაშე და ფეხებს ულოკავდნენ. ბოლოს ერთმა ძუ დათვემა გააკწრა ის და მან უმაღლესი უფალს მიაბარა. მშობლებმა მისი სხეული დაკრძალეს. შემდეგ მის წმინდა, უხრწნელ ნაწილებზე აიგო ტაძარი. ქალკედონის კრების მსვლელობისას, როდესაც მოსაზრება გაიყო ქრისტეს ბუნების შესახებ, ცალ-ცალკე ფურცელზე დაწერეს მრწამსი მართლმადიდებლური და მონიფიზიტური ფორმულირებით და წმ. ეფემიას გულზე დაადეს. შემდეგ სარკოფაგს იმპერატორმა დაადო ბეჭედი და საბილდე ლოცვასა და მარხვაში გაატარეს კრების მონაწილე ეპისკოპოსებმა. მეოთხე დღეს საზეიმოდ გაიხსნა ბეჭედი. მონიფიზიტური მრწამსი დიდმოწამის ფეხქვეშ იყო, მართლმადიდებლური კი მარჯვენა ხელში ეჭირა ქალწულს და პატრიარქსა და იმპერატორს გაუწოდა. წმ. ეფემიას ხსენება წელიწადში ორჯერაა, 11 ივლისსა და 16 სექტემბერს (იულიუსის კალენდრით). 1907 წელს აღმოჩენილ ასტეროიდს ეწოდა წმ. ეფემიას სახელი (რედ. შენ.).

ტის საგანე.³⁴

ნიკპა. ეკლესიისათვის მეტად მნიშვნელოვან ქალაქ ნიკეას გასაცნობად ჩვენ მოვიყვანთ ნაწყვეტებს ლექციიდან აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის შესახებ, რომელსაც კითხულობდა პროფესორი სტანლეი,³⁵ იგი თავად იყო ნამყოფი ნიკეაში. „1853 წ-ს, მამის დაბრუნებამდე, დილით ადრე, მთვარის შუქზე, მე დავემუშაო ბიოგრაფიის ერთი მაღალი მთის ტყიანი ფერდობიდან ქალაქ ნიკეასკენ. ქვემოთ, ჩემს თვალწინ გადაიშალა გრძელი ასკანის ტბა, რომელიც გიწრო სრუტით უერთდება მარმარილოს ზღვას. ასეთი ტბები დამახასიათებელია მცირე აზიის ამ ნაწილისთვის. ტბის აღმოსავლეთით ჩანდა ქალაქის ოთხკუთხედი მონასტრობა, როგორცაც გამოირჩევა აღმოსავლეთის ყველა ქალაქი, აშენებული ალექსანდრე მაკედონელის მეგვიდრეებისა და მათი მიმზადებლების მიერ. ანტიოქია, დამასკო, ფილადელფია, სებასტია, პალმირა – ყველა ეს ქალაქი აშენებულია სწორი კვადრატის ფორმით, რასაც კვეთს ოთხი სწორი, ორივე მხრიდან კოლონების რიგით მორთული ქუჩა. ასეთივე იყო ლისიმაქეს მიერ დაარსებული ნიკეაც, ხოლო სახელი ქალაქს მისი ცილის, ნიკეას საპატრიარქოებში ეწოდა. ქალაქის გარშემოწერილობა 60 სტადიონს (10 კილომეტრამდე) შეადგენდა, და ისე სწორად იყო დაგეგმილი, რომ ცენტრალური ბუნქტიდან მოჩანდა ქალაქის ოთხივე კარიბჭე. ტრაიანეს დროს ქალაქს შემთავლეს გალაგანი, რომელიც ამჟამადაც არსებობს. თუმცა შიდა მხარე ახლა მიტოვებული და გავერანებულია. მოგზაური ძლივს გააღწევს დამსხვრეული კოლონებისა და გადახლართული ბუჩქებიდან გაპარტახებულ თურქულ სოფელ იზნიქამდე, რომელიც მდებარეობს უდაბური სივრცის ცენტრში. სოფლის შუაგულში შემორჩენილია განმარტებული ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია. ეკლესიის კედლები მონატულია უხეში ფერწერით, რომელზეც ასახულია ის მოვლენები, რამაც უკვდაგყო ეს ქალაქი: ბირველი მსოფლიო კრების ამხანველი სიუჟეტები. გადავინაცვლოთ აზრით წარსულში: მაშინაც წლის ეს დრო იდგა, წაბლის ტყეები ხასხასა მწვანედ იყო შემოსილი, იგივე წყნარი ტბა, იგივე თოვლით დაფარული, მიდამოზე მბრძანებლურად გადმომდგარი ოლიმპო. მაგრამ როგორი განსხვავებულია სხვა

34 დღეისათვის ისტორიული ქალკედონის მიდამოები ქ. სტამბულის ტერიტორიაში არის მოქცეული. ის წარმოადგენს უძველეს, დიდ, კოსმოპოლიტურ რაიონს მარმარილოს ზღვაზე, ქალაქის აზიურ ნაწილში, სახელწოდებით ქალიქიოი (რედ. შენ.).

35 არტურ პენრინ სტანლეი (Arthur Penrhyn Stanley) (1815-1881) – მღვდელი, ვესტმინსტერის დეკანი, ავტორი შრომებისა ეკლესიის ისტორიაში (რედ. შენ.).

მხრივ ძველი ნიკეა ახლისაგან ... რამ აიძულა იმპერატორი, აერჩია ნიკეა კრების ადგილად? მსოფლიო კრების ადგილის შერჩევის საკითხი ყოველთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. მრავალი მიზეზი არსებობდა იმისთვის, რომ იმპერატორს აერჩია ნიკეა ეპისკოპოსთა თავშეყრის ადგილად. ერთის შესახებ თავადვე მკვებრად გამოთქვა: ეს მიდამო კეთილშეზავებული იყო ჰაერით. კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. აღმოსავლეთის იმპერიის დედაქალაქი არჩეული იქნება მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების ადგილად. თუმცა კი დედაქალაქის ადგილი საბოლოოდ არ იყო დანიშნული, მაგრამ დედაქალაქის ატმოსფერო სუფევდა მარმარილოს ზღვის ნაპირებზე და იქ უკვე ჩადიოდნენ აღმოსავლეთის კეისრები. ნიკომიდია, ბიფინიის უძველესი დედაქალაქი, რომელიც ნიკეადან 32 კმ-ით არის დაშორებული, ჯერ კიდევ დიოკლეტიანეს დროს ითვლებოდა აღმოსავლეთის დედაქალაქად. ის არ აურჩევიათ კრების ადგილად ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ნიკომიდია, როგორც ხელისუფლების ადგილსამყოფელი, არც ისე მოსახერხებელი იყო წმინდა კრებისათვის; მეორეც, მისმა ეპისკოპოსმა ევსევიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო ერეტიკოსის დასაცავად და ამ ქალაქის შემოგარენში მოიწვია არიანელ ეპისკოპოსთაგან შემდგარი სინოდი. ამიტომაც, ბუნებრივია, ნიკეას, მეორე მთავარ ქალაქს ნიკომიდიის შემდეგ, მიანიჭა უპირატესობა იმპერატორმა კონსტანტინემ. ტბის საშუალებით ქალაქი უერთდებოდა მარმარილოს ზღვას. ის ახლოს იყო იმპერატორის რეზიდენციასთანაც. „როდესაც აქ ჩამოვლენ ეპისკოპოსები იტალიიდან და იმპერიის სხვა ქვეყნებიდან, (ეს სიტყვები თავად იმპერატორს ეკუთვნის) მე საკმაოდ ახლოს ვიქნები, რათა თვალყური ვადევნო კრებას და მონაწილეობა მივიღო მასში“. დაბოლოს, ნიკეას სახელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. „ნიკეა“ ნიშნავს გამარჯვებას. კონსტანტინეს მონეტებზე წარწერილი იყო „ვიქტორია“. ეს სახელი შეესაბამებოდა კონსტანტინეს საყვარელ ტიტულს. მან სულ ახლო წარსულში სძლია თავის მეორე მოწინააღმდეგეს, რისთვისაც მიიღო მეტსახელი ნიკიტა – „გამარჯვებული.“ ამ გამარჯვებას წინ უძღოდა ცხოველმყოფელი ჯვრის გამოცხადება სიტყვებით: „*en tout w/nika*“ – ამით სძლეე. ევსევე განსაკუთრებით დაწვრილებით მოგვითხრობს კონსტანტინეს გამარჯვებების სიმრავლეზე, ხოლო I მსოფლიო კრების ადგილის შერჩევას აღიქვამს, როგორც კონსტანტინეს მადლიერების ნიშანს მტრებზე გამარჯვებათა გამო. „ეს ქალაქი, ამბობს ის, შესაფერია ამ კრებისთვის, როგორც თანამოსახელე გამარჯვებისა – ნიკეა.“

ქრისტიანობა ნიკეაში გავრცელდა II საუკუნიდან, საკმაოდ ბევრი

ეწამა აქ ალექსანდრე სევერუსის, დეციუსისა და დიოკლეტიანეს დროს. საუბისკობოსო კი დაარსდა ნიკეის კრების დროიდან. ხატმბრძოლობის დროს ნიკეაში განსაკუთრებით ბევრი იყო წმინდა ხატების თაგამოდებულები დამცველი: თეოფანე პირდაწერილი - ცნობილი საგალობლების ავტორი,³⁶ პეტრე და პავლე და სხვ. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც ამ ქალაქში ჩატარდა 787 წლის 27 მაისს,³⁶⁷ ეპისკოპოსის თანდასწრებით წმ. სოფიას ტაძარში, დაამტკიცა ხატთა თაყვანისცემა. თუმცა ამ კრების უკანასკნელი სხდომა ჩატარდა კონსტანტინოპოლში 23 ოქტომბერს.

1329 წ-ს ნიკეა საბოლოოდ დაიპყრეს თურქებმა და თითქმის მთელმა მოსახლეობამ მიიღო მაჰმადიანობა.³⁷

36 თეოფანე პირდაწერილი (grapto-) – (778-847) აღმსარებელი, ჰიმნოგრაფი, ნიკეის მიტროპოლიტი. წარმოშობით სირიელი, დაბადებულია იერუსალიმში, ქრისტიანულ ოჯახში. თეოფანე და მისი უფროსი ძმა თეოდორე იერუსალიმის საბაწმინდის მონასტერში აღიზარდნენ, აქვე აღიკვეცნენ ბერებად. ხატმბრძოლი იმპერატორის, ლეონ სომეხის დროს ძმები იერუსალიმის პატრიარქმა კონსტანტინოპოლში გააგზავნა მართლმადიდებლობის დასაცავად. მათ სიტყვიერ პაექრობაში დაამარცხეს იმპერატორი, რისთვისაც ლეონმა სასტიკად ჰგვემა ისინი და საპატიმროში ჩაყარა. შემდგომი ხატმბრძოლი იმპერატორების, მიხეილისა და თეოფილეს, დროსაც ძმებმა მრავალი ტანჯვა იწვეიეს. ერთხელ გავარვარებული ნემსებით მათ სახეზე ამოაკაწრეს 12 ტაეპიანი მართლმადიდებლური შინაარსის საგალობელი, რითაც „შეარცხინეს“ აღმსარებელი მოღვაწენი. აქედან მომდინარეობს მათი მეტსახელიც. თეოდორე საპატიმროში 840 წ-ს. გარდაიცვალა, თეოფანე კი მოესწრო მართლმადიდებლობის ზეიმს, ის ნიკეის მიტროპოლიტი გახდა. გარდაიცვალა დაახლ. 847 წ-ს. თეოფანე 145 საგალობელი კანონის ავტორია, მასვე ეკუთვნის ოთხი წიგნი იუდეველთა წინააღდეგ და ეპისტოლე წმინდა ხატების შესახებ. თეოფანეს ხსენების დღეა 11 ოქტომბერი, ხოლო თეოდორესი - 27 დეკემბერი (რედ. შენ.).

37 ისტორიული ნიკეა იყო თანამედროვე თურქულ ქალაქ იზნიქის ადგილზე, ბურსას პროვინციაში, 15 000 მოსახლით (რედ. შენ.)

აზიის ღიოცეზი

აზიის ღიოცეზში შედიოდა მცირე აზიის მთელი სამხრეთი ნახევარი. მცირე აზიის ეს ნაწილი მკვეთრად განსხვავდებოდა ბონტოს ოლქები-საგან. მის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ ბერძნები. აქ ქალაქებიც კიდევ უფრო შესანიშნავი იყო, ვიდრე ბონტოში. შესაბამისად, საეკლესიო თვალსაზრისითაც, აქ მეტი საეპისკოპოსო და მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი არსებობდა.

ჰელმსპონტი. ბიოგინიასთან ყველაზე ახლოსმდებარე რაიონი, რომელიც, ასევე, პრობონტიდას სანაპიროს მიჰყვებოდა, იყო ჰელესპონტი³⁸ – ძველად მიზია. „მიზია, ამბობს ერთი მწერალი, იყო ნაყოფიერი, უხვწყლიანი ადგილი, ვრცელი ველებით, მთების ძირში გაშლილი ტყეები და საძოვრებით“. განსაკუთრებით შესანიშნავია ის სამოქალაქო ისტორიისათვის. მისი მთავარი ქალაქი იყო დარდანელი (ცხადია, აქედან წარმოიშვა „დარდანელის სრუტის“ სახელწოდება), რომელიც ტროას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. აქ იყო ტროას ოლქი და ქალაქი ილიონი. შემდგომში, მაკედონელთა ბატონობის დროს, ილიონი კვლავ აღორძინდა და დასახლდა. აქ მდებარე მნიშვნელოვანი ქალაქები ბერძნული წარმოშობისა გახლდათ და მიეკუთვნებოდნენ ეოლიურ კავშირს.³⁹ ჰელესპონტში იყო 19 საეპისკოპოსო კათედრა საკმაოდ უმნიშვნელო ოლქებით. ყველაზე დიდი მანძილი საეპისკოპოსო ქალაქებს შორის შეადგენდა 25 კმ-ს.

მიზიქი. პრობონტიდაში, ამბობს სტრაბონი, არის კუნძული ქიზიქი, რომელიც ორი ხიდითაა დაკავშირებული კონტინენტთან. ის გამოირჩევა უმკაცრესი ბუნებით და 50 სტადიონის გარშემოწერილობისაა. ერთ-ერთ ხიდთან მდებარეობს იმავე სახელის მქონე ქალაქი. ქალაქის ნაწილი შეფენილი იყო ურსის მთაზე, ნაწილიც – ველზე. მის მახლობლად არის ჩაკეტილი ნაფსადგური, რომელიც ორასზე მეტ გემს იტევდა. ქიზიქი სილაძაზითა და ბრწყინვალეობით შეიძლება მივაკუთვნოთ აზიის

³⁸ ჰელესპონტი, ახლანდელი დარდანელი, არის ვიწრო სრუტე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც ეგეოსის ზღვას მარმარილოს ზღვასთან აერთებს. ამასთან, ის ჰყოფს ევროპას აზიისაგან. და მთელს რაიონს სახელი ამ სრუტის სახელის მიხედვით ეწოდა (რედ. შენ.).

³⁹ ეოლიური კავშირი - იგულისხმება თორმეტი პოლისისაგან შემდგარი ერთობა (რედ. შენ.).

საუკეთესო ქალაქებს. პლინიუსი ამბობს, რომ ხიდი, რომელსაც მოიხსენიებს სტრაბონი, აგებული იყო ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქვეყნის განახლების დროს. ქიზიქი იყო ჰელესპონტის მთავარი ქალაქი როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო თვალსაზრისით.

ეკლესია ქიზიქში პირველ საუკუნეებშივე დაარსებულია. ცნობილია მოწამეთა სახელები, რომლებიც ეგნენ დეციოსისა და დიოკლეტიანეს დროს, როგორც ქიზიქში, ისე მის მეზობლად მდებარე ქალაქებში – პარიუსა და ლამპსაკუსში.⁴⁰ არიანული არეულობის დროს ქიზიქის კათედრას ერთმანეთს ეცილებოდნენ ნახევრად არიანული ელევსიოსი და არიანული ევნომიოსი, ევნომიანელთა ცნობილი წარმომადგენელი. ქიზიქის მოსახლეობა მხარს უჭერდა ელევსიოსს, მაგრამ ევნომიოსმა შეძლო კათედრაზე დამკვიდრება იმპერატორ ვალენტის დახმარებით. ის იყო ქიზიქის რიგით მეცხრე ეპისკოპოსი. 426 წ-ს ქიზიქის ეპისკოპოსი გახდა პროკლე, რომელმაც 434 წ-ს დაიკავა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო კათედრა. იუსტინიანეს დროს, როდესაც კუნძულ კვიპროსის სარკინოზები დაემუქნენ, ქალაქ კონსტანცას მოსახლეობა და მიტროპოლიტი იმპერატორმა გახიზნა ქიზიქში და ეს მიტროპოლიტი გახდა ქიზიქის de facto ეპისკოპოსი, თუმცა ატარებდა კონსტანცას ეპისკოპოსის წოდებას, ისევე – როგორც მისი მემკვიდრე. მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ქიზიქში ცხოვრობდა მწერალი გელასი,⁴¹ რომელმაც შეადგინა დაწვრილებითი გადმოცემა ნიკეის კრების შესახებ, თუმცა ალაგ-ალაგ ლეგენდებით საფასე.⁴²

ტროადა. ქალაქი ტროადა ლისიმაქეს აუგია, ტროადან ჩრდილოეთით სამი კმ-ის დაშორებით, ხოლო ზღვიდან – ორი კმ-ისა. ქალაქი ქრისტემდე 1270 წ-ს დაინგრა. ლისიმაქემ ქალაქს ტროას პატივსაცემად ტროადა დაარქვა, შემდეგ კი ალექსანდრე მაკედონელის პატივსაცემად ტროა-ალექსანდრე უწოდა. ქალაქი ზღვის პირას მდებარეობდა და წყლით მოხერხებულად უკავშირდებოდა ევროპას. ტროადაში ნამყოფი

40 თანამედროვე ლამპსაკი თურქეთში (რედ. შენ).

41 გელასი ქიზიქელი – V საუკუნის საეკლესიო მწერალი, ქიზიქელი მღვდლის შვილი. მისი „სინტაგმა“ ანუ პირველი ნიკეის საეკლესიო კრების აქტები, შედგება სამი წიგნისგან. I წიგნი ეხება კონსტანტინე დიდის ცხოვრებას 323 წლამდე, 36 თავისაგან შემდგარი II წიგნი ეხება უშუალოდ კრებას, III წიგნის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი (რედ. შენ).

42 ქიზიქი მდებარეობს დღევანდელი თურქეთის ბალიკესირის პროვინციაში. როგორც კულტურულ ძეგლს, მას იცავს თურქეთის კულტურის სამინისტრო. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ დროს ქიზიქის ეპისკოპოსი ყოფილა წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელიც (რედ. შენ).

იყო მოციქული პავლე, აქედან ის ზღვით გადავიდა მაკედონიაში, როდესაც სულიწმიდამ აუკრძალა მას აზიაში წასვლა. აქედანვე შეუთვალა ტიმოთეს, გამოეგზავნა ტყავი, რომლის წაღება თავად დაგიწყებოდა. აქ მან აღადგინა მკვდარი ევტისქოსი. ტროადიდან გადასცურა მაკედონიაში წმ. ეგნატე ღმერთშემოსილმაც რომისაკენ მიმავალ გზად, რათა იქ წამება დაეთმინა. ტროადიდან გაუგზავნა მან თავისი უკანასკნელი ეპისტოლე ფილადელფეელებსა და წმ. პოლიკარპე სმირნელს. ცხადია, ტროადა ასრულებდა თეოციალური საფოსტო გადასაწილების პუნქტის როლს. შეიძლება ეს იმიტომ, რომ აქ ბერძენთა ქალაქებს შორის, აგგუსტუსმა დააარსა რომის კოლონია. მე-5 საუკუნეში ტროადას ეპისკოპოსი იყო წმ. სილვანი, რომელიც გულწრფელად თანაუგრძნობდა იოანე ოქროპირს და დიდად იზარალებოდა ამ თანაგრძნობისათვის.⁴³

აზნა. რომის პროვინცია „აზია“ რომაელებს მემკვიდრეობით ერგოთ პერგამოსის სამეფოსგან ქრისტეს დაბადებამდე 130 წლით ადრე. ის მოიცავდა წინა აზიის ყველა ოლქს: მიზიას, სადაც მთავარი ქალაქი იყო პერგამოსი; ლიდიას, მთავარი ქალაქებით: თიატირა, სარდი, ფილადელფია, ტრალესი; იონიას ზღვისპირა ოლქს შესანიშნავი ქალაქებით: სმირნა, ეფესო და მაგნესია. ოდესღაც ეფესოს ადგილზე იდგა ქალაქი აზია, საიდანაც, სავარაუდოდ, წარმოიშვა მთელი ქვეყნის სახელწოდება. ქვეყნის ფიზიკური მდებარეობა მეტად კარგი იყო. აზია იყო მთიანი, ვაზით მდიდარი და მსხმოიარე მხარე. ზღვის სიახლოვე დასავლეთ სანაპიროზე აწონასწორებდა ზაფხულის სიცხესაც და ზამთრის სუსხსაც. ზღვისა და მთების შეერთება, მთის ჰაერის შეზავება ზღვის ქარებთან, მდინარე იონისა და მეანდროს კავშირი აღმოსავლეთით მოშორებულ მხარეებთან, დასავლეთით წყნარი და ჩუმი ზღვით მრავალრიცხოვან მეზობელ კუნძულებთან ურთიერთობა – ყოველივე ეს ერთად ეგეოსის ზღვის სანაპიროს ამ მონაკვეთს აქცევდა ძალიან მოსახერხებელ საცხოვრებელ ადგილად მცირე აზიის ქვეყნების ხალხებისთვის. ზღვის ციკატო ნაპირი შექრილი ყურეებით ქმნიდა მყუდრო ნავმისადგომებს, კუნძულები კი – ღუზით სადგომებს და რეიდებს. მაგრამ აქაური მთები გულკანური წარმოშობისა იყო და ქვეყანა ზარალდებოდა ხშირი მიწისძვრებით, რამაც

43 დღეს ისტორიული ტროადა არის თურქეთში, ჩანაკალეს პროვინციის ეზინეს რაიონის სოფ. დალიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით და წარმოადგენს არქეოლოგიურ ღირსშესანიშნაობას. არქეოლოგიური სამუშაოები აქ 1911 წ-დან დაიწყო, მანამდე ტერიტორია მუხის ტყით იყო დაფარული. კარგადაა შემორჩენილი ქალაქის კედლების, კოშკების, თეატრის, ოდეონის, გიმნაზიუმის, სტადიონის, აბანოების, აკვედუკის ნარჩენები (რედ. შენ.).

შემდგომში განაპირობა კიდევ ამ ადგილების დაცარიელება. ტიბერიუსის ზეობის დროს ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია ამ ქვეყნის უმეტესი ქალაქები. ოდესღაც მეომარი აზიის მისახლეობა კიროსის დროს გაჭრობისა და მრეწველობის განვითარების შედეგად უკიდურეს ფუფუნებასა და უზნეობაში გადავარდა. უმეტეს დროს უთმობდა ფლეიტაზე დაკვრასა და ჭადრაკის თამაშს. აზიელებმა პირველებმა დააარსეს სასტუმროები.

ეკლესიის ისტორიაში აზიის პროვინციამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. აქ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ პავლე მოციქული და იოანე ღმრთისმეტყველი. აქ იყო მცირე აზიის ის ეკლესიები, რომელთაც ანგელოზი უგზავნის ეპისტოლეს აპოკალიფსის ტექსტის მიხედვით. აქ იყო ის ეკლესიები, რომლებსაც უგზავნიდა ეპისტოლეებს წმ. ეგნატე ანტიოქიელი. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პოლიკარზე სმირნელიც. აქ განსაკუთრებული სიმძაფრით გაიმართა კამათი პასეჟის დღესასწაულის ირგვლივ. აქ განვითარდა მონტანის მწვალებლობა⁴⁴. დაბოლოს, აქ ჩატარდა მნიშვნელოვანი კრებები ნესტორიანული და მონოფიზიტური არეულობების დროს: ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება 431 წ-ს და 449 წ-ს ეფესოს „აგაზაკთა კრება.“ აზიის მიტროპოლიაში ირიცხებოდა 50 საეპისკოპოსო, თუმცა მისი სივრცე არ აღემატებოდა პონტო პოლემიაკუსისა და ჰელენოპონტის პროვინციებს, სადაც მხოლოდ 11 საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა.

პმრბამოსი. მიზიის მთავარი ქალაქი პერგამოსი (ან პერგამონი) მდებარეობდა სმირნადან ჩრდილოეთით 20 კმ-ში და ზღვის ნაპირიდან 7 კმ-ში. მიზიელები წარმოიშვნენ ლიდიელთა კოლონიებისაგან. მიზიელთა მეთევები პირველად ნახსენებნი არიან არგონავტთა ექსპედიციის დროს.

44 მონტანიზმი – მე-2 საუკუნეში მცირე აზიაში, ფრიგიაში წარმოშობილი ერესი. ერესიარქი იყო მონტანუსი, ქრისტიანად მონათლული ყოფილი წარმართი ქურუმი. ჰყავდა ორი მოწაფე ქალი: პრისცილა და მაქსიმილა. მონტანისტები ტრანსში ვარდებოდნენ და, თითქოსდა, წინასწარმეტყველებდნენ ანტიკური სიბილესის მსგავსად. ამას ისინი მიიხედვდნენ უშუალო სულიერ კავშირად სულიწმიდასთან. ეს მიმდინარეობა ქადაგებდა უკიდურეს ასკეტიზმს და წამებისადმი სწრაფვას, უარყოფდა ყოველგვარ საეკლესიო იერარქიასა და დადგენილი წესების დაცვას. I-მა მსოფლო საეკლესიო კრებამ დაგმო ეს ერესი. მონტანისტების მოძღვრების ძირითად სპეციფიკას ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ვარიანტით იმეორებდნენ არაერთ რელიგიურ მიმდინარეობაში: პრისცილიანელები, იოაკიმ ფლორელის ხილიაზმი, ფრანცისკანელი სპირიტუალისტები, ადრეული კვაკერები და მეთოდისტები, ფრანგი ჰუგენოტები, ბევრი ძველმესტილე, თანამედროვე ორმოცდაათიანელები, ქარიზმატები და სხვ. (რედ. შენ.).

ტროასა და პერგამოსს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ. ამას ადასტურებს ტროას ციტადელისთვის პერგამოსის სახელწოდების მინიჭება.⁴⁵ მიწიელები თავდაპირველად ცნობილი იყვნენ მკომარ ხალხად, ტროელებთან ერთად მათ გადალახეს ბოსფორი და დაიპყრეს მთელი თრაკია. ტროას დაცემის შემდეგ მიწიელებმა მითვისეს ტროას ოლქები, მაგრამ შემდეგ თვითონ აღმოჩნდნენ ლიდის მეფის, კრეზუს უღელქვეშ. ანდაზად იქცა ამ დროის მიწიელთა ნებირობის ამბავი. მიწიის, უფრო სწორად, პერგამოსის სამეფო კვლავ ნახსენებია ისტორიის მატრიანებში მხოლოდ 284 წ-ს ქრისტემდე. ეს ახალი სამეფო დააარსა საჭურისმა ფილეტერმა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი მხედართმთავრის, ანტიონის, ქვეშევრდომი იყო, და რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება და ლისიმაქეს საგანძური პერგამოსში. მართალია, ამ ახალმა სამეფომ იარსება მხოლოდ 132 წელი, მაგრამ ამ პერიოდში, ორი ეგმენოსისა და სამი ატალიდის მეფობის დროს, პერგამოსი სიმდიდრით მცირე აზიის დიდ ქალაქებს გაუტოლდა. როგორც რომაელების მოკავშირეები, ეგმენოსები და ატალიდები თავგამოდებით ებრძოდნენ ანტიოქოს დიდს, შემდგომ კი – თავად რომაელებს. საბოლოოდ რომაელებმა დაამარცხეს პერგამოსი და მის სამეფოს თავიანთი პროვინცია უწოდეს. თუმცა პერგამოსი რომაელთა ბატონობის დროსაც ჰყვავოდა. „მისმა ფუფუნებამ, ერთი მწერლის სიტყვებით, გარყვნა იმ საუკუნის ზნეობა და რომაელები ბინძურ უფსკრულში ჩაყარა, საკუთარი მწიკვლით რომ იყო ამოთხრილი.“

პერგამოსში იდგა ღმერთების დედის შესანიშნავი სკულპტურა⁴⁶ და ესკულაპეს⁴⁷ ბაგანი. წარმართები ისევე დიდად ეთაყვანებოდნენ პერგამოსელ ესკულაპეს, როგორც ეფესელ დიანას. ჩვენამდე შემორჩენილია II საუკუნის ბერძენი ორატორის, ელიოს არისტიდეს,⁴⁸ წარმოთქმული

45 ამ ადგილას თხრობაში ანაქრონიზმი ჩნდება. სინამდვილეში პირიქით იყო: ტროა პერგამოსზე გაცილებით ადრე არსებობდა, და მის ციტადელს ერქვა სახელად პერგამოსი. ტროას დანგრევის შემდეგ, მითის თანახმად, დაქვრივებული ანდრომაქე, ჰექტორის ცოლი, აქილევსის შვილს, ნეოპტოლემოსს ერგო მონად. ნეოპტოლემოსის სიკვდილის შემდეგ ის ხდება ელენუსის, ჰექტორის უმცროსი ძმის, ცოლი. ამ ქორწინების შედეგად ჩნდება ვაჟი, რომელსაც ტროას მოსაგონებლად პერგამოსს არქმევენ. ელენუსის გარდაცვალების შემდეგ დედა-შვილი მცირე აზიაში მიდის, სადაც პერგამოსი თავისი სახელობის ქალაქს დააარსებს (რედ. შენ.).

46 როგორც ჩანს, ტექსტში მექანიკური შეცდომა გაიპარა, ვინაიდან პერგამოსში იყო არა დედის, არამედ ღმერთების მამის – ზევსის ცნობილი საკურთხეველი (ძვ.წ. მე-2 ს.). დღეს მისი ხილვა შესაძლებელია ბერლინის პერგამონის მუზეუმში (რედ. შენ.).

47 ესკულაპე – ძველბერძნული ასკლეპიოსის რომაული ანალოგი, სამედიცინო ხელოვნების ღვთაება (რედ. შენ.).

48 პუბლიუს ელიუს არისტიდეს – ჩვ.წ. მე-2 ს-ის (117-181) გამოჩენილი ბერ-

სიტყვიდან ერთი ადგილი, სადაც ის დიდი აღტაცებით უწოდებს პერგამოსელ ესკულაპუს თავის მხსნელს, პერგამონს კი მსოფლიოს ყველა ქალაქზე მაღლა აყენებს, როგორც საცხოვრებელს ჭკუშმარიტი სინათლისა, ესკულაპუსში რომ გამობრწყინდა. პერგამონის მმართველები განსაკუთრებული მონღომებით ზრუნავდნენ განათლებასე და ფრიად მნიშვნელოვან ბიბლიოთეკას მოუყარეს თავი.

ორ მთაზე, ჩრდილიან ბაღებს შორის, სელინუსის წყაროსა და მდინარე კაიკოსის⁴⁹ მახლობლად გაშენებული ქალაქის მდებარეობა უადრესად თვალწარმტაცი იყო. „პერგამონი თავისი აკროპოლისით, ამბობს არისტოდე, აღმართულია, როგორც გაერთიანებული ერების თავი და გადმოსცქერის შორს მოკიფე ქალაქებს, სოფლებით მოფენილ აყვავებულ დაბლობებს. განა შეიძლება, არ ვახსენოთ ის ადგილი, რომელიც აინჩია მიწაზე გადმოსახლებულმა მხსნელმა ღმერთმა (ე.ი. ესკულაპემ), რომ გაეგრცკლებინა თავისი ნიჭნი მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს შორის.“ მედიცინის ღმერთის უძველესი და ცნობილი ტაძარი თავისი თავშესაფარით მთელი აზიის ხალხებს იზიდავდა. ესკულაპუს ტაძართან ქურუმებს რაღაც სამედიცინო აკადემიის მაგვარი რამ ჰქონდათ, სადაც მკურნალობდნენ ავადმყოფებს და უწინასწარმეტყველებდნენ მომავალს სიზმრების საშუალებით, რასაც მათ, თითქოს, ესკულაპე უცნაურობდა. აპოკალიფსის დაწერის ეპოქაში, ე.ი. I საუკუნეში, პერგამონი წარმოადგენდა რომის იმპერიის ადმინისტრაციულსა და სამართლებრივ ცენტრს. აქ თავს იყრიდა მთელი ოლქის გადასახადები, აქ იყო რომის უმაღლესი სამსაჯავრო, სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ მიმდებარე ქალაქების მცხოვრებლები. აქ იჭრებოდა მონეტები. გარდა ამისა, პერგამონი იყო წარმართობის ცენტრი. პერგამონზე გადიოდა, აგრეთვე, დასავლეთ აზიის სავაჭრო გზა. მეორე საუკუნეში პერგამონის მოსახლეობის რაოდენობა აღწევდა 120 000-ს.

„გამოცხადებაში“ უფლის ანგელოზი მიმართავს პერგამონის ეკლესიას და უწოდებს პერგამონს სატანის ტახტს (შესაძლებელია, იმიტომაც,

ძენი ორატორი, მეორე სოფისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი. წარმოშობით მდიდარი ოჯახის შვილს საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული. იმოგზაურა აზიის ქვეყნებში, საბერძნეთში, იტალიაში, ეგვიპტეში, მიაღწია ეთიოპიას. როდესაც ქალაქი სმირნა მიწისძვრით დაინგრა, მან მჭევრმეტყველებით დაარწმუნა მარკუს ავრელიუსი, ქალაქისათვის დიდძალი შეწირულობა გაეღო. მადლიერმა სმირნის მოქალაქეებმა მას ბრინჯაოს ძეგლი დაუდგეს წარწერით: „მისი სიკეთისა და სიტყვებისათვის“ და ქალაქის დამფუძნებელი უწოდეს. მძიმედ დაავადებულმა არისტოდემ პერგამონში ასკლეპიოსს მიმართა დასახმარებლად. სიცოცხლის ბოლო წლები თავის სამშობლოში, მიზიაში, განმარტოებით გაატარა (რედ. შენ.).

49 დღევანდელი მდინარე ბაკირჩაი თურქეთში (რედ. შენ.).

რომ ესკულაპუს ტაძარს „კათედრა“ ერქვა), ადიდებს მოწამე ანტიპას და საყვედურობს პერგამოსის ქრისტიანებს ნიკოლაელთა მოძღვრების⁵⁰ მიმდევრობაში. პერგამოსის პირველი ეპისკოპოსი იყო გაიუსი, რომელსაც იოანე ღმრთისმეტყველმა გაუგზავნა მესამე ეპისტოლე. მე-2 საუკუნეში, იმპერატორ აგრელიუსის დროს და მე-3 ს-ში, დეციუსისა და დომიციანეს დროს, პერგამოსში იყვნენ წამებულები. მე-4 საუკუნეში პერგამოსში ცხოვრობდა გამოჩენილი ფილოსოფოსი ედესიუსი,⁵¹ რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია იულიანეს აღზრდაზე.⁵²

თითატორა. ქალაქი თიატირა ლიდის ქალაქ მიწიას ესაზღვრებოდა. პტოლემეუსის სიტყვით, თიატირა მდებარეობდა პერგამოსიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 კმ-ში, ხოლო სარდედან ჩრდილო-დასავლეთით – 10 კმ-ში. თიატირა იყო მაკედონიის კოლონია. კვიპაროსების ქალებით გარშემორტყმული ქალაქი ველზე იყო გაშენებული, რომლის მიღმაც თვალწარმტაცი ქედები მოჩანდა. ამჟამად ქალაქს უწოდებენ აკ-ხისარს, ანუ თეთრ ციხე-სიმაგრეს, მიმდებარე მთებში არსებული თეთრი მარმარილოს კარიერების გამო. ყველა ძველ წარწერაში თიატირას უწოდებენ „უდიდესს“, ხოლო მის მმართველთ კი „ხელმწიფეებად“ იხსენიებენ, რაც არ შეესაბამება ქალაქის ნამდვილ სახეს და უფრო მის მკვიდრთა მკვეხარა პატრიოტიზმს წააგავს. პლინიუსი თიატირას პერგამოსის რაიონის უმნიშვნელო ქალაქების რიცხვს მიაკუთვნებს. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში თიატირას გეცნობით მოციქულთა საქმეებიდან და აპოკალიფსიდან. აპოკალიფსში ანგელოზი განსაკუთრებული ეპისტოლეით მიმართავს თიატირას ეკლესიას, აქებს მის სიყვარულს, ღვთისმსახურებას, რწმენას, მოთმინებასა და საქმეებს. ხოლო ვინმე ქალს, იეზაბელს, ამხელს, რადგან უწმინდურებაში აცოუნებდა

50 „საქმენი ნიკოლაელთანი“ (გამოცხ.2-6,15) – ირინეოს ლიონელი, იპოლიტე რომაელი, ეპიფანე კვიპრელი, თეოდორიტე კვირელი მიიხსენებენ, რომ ნიკოლოზი იყო ერთი შვიდ დიაკონთაგანი, რომლებიც მოციქულებმა დატოვეს იერუსალიმში ტაძრის სამსახურისათვის. ის იყო ყოფილი წარმართი. მისი ერესი ანტინომიანელთა მოძღვრებას ჰგავდა. სექტანტები ჭამდნენ კერპებისადმი შეწირული ძღვენის ნაწილებს და დასაშვებად მიიხსენებდნენ პოლიგამიასა და საერთო ცოლების ყოლას. ვესევი კესარიელი ამბობს, რომ სექტას დიდხანს არ უარსებია (რედ. შენ.).

51 ედესიუსი – მე-4 ს-ის ნეოპლატონისტი ფილოსოფოსი და მისტიკოსი, თეურგი. წარჩინებული კაპადოკიური ოჯახიდან. პერგამოსის მისტიკური სკოლის დამაარსებელი. დიდი გავლენა იქონია იულიანე განდგომილის წარმართული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე (რედ. შენ.).

52 ისტორიული პერგამოსი ან პერგამონი მდებარეობს დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, თანამედროვე ქალაქ ბერგამას ჩრდილოეთით, ეგეოსის ზღვიდან 26 კილომეტრში (რედ. შენ.).

ქრისტიანებს. როდესაც ბავლე მოციქული ქადაგებდა ღვთის სიტყვას მაკედონიის ქალაქ ფილიპეში, ერთმა თიატირელმა პორფირით მოვაჭრე ქალმა, სახელად ლიდამ, შეისმინა მისი სწავლება. ეს გარემოებაც ამტკიცებს სტრაბონის რწმუნებას, რომ თიატირას ძირითად მოსახლეობას მაკედონელები შეადგენდნენ. მეტად საინტერესოა ისიც, რომ პორფირით ვაჭრობა, რაზეც მითითებულია „მოციქულთა საქმეებში“, დღემდე თიატირას ძირითად სამრეწველო საქმიანობას წარმოადგენს. მე-3 საუკუნეში თიატირას მოსახლეობა შეპყრობილი იყო მონტანური ერესით, რაც ხელს უშლიდა აქ ეკლესიის მყარად დაფუძნებას. ამან მისცა საბაბი ერეტიკოსებს, რომელთა წინააღმდეგაც წერდა ეპიფანე⁵³ – ალოგებს, უარეყოთ აპოკალიფსი, რადგანაც აქ ლაპარაკია თიატირას ეკლესიაზე, რომელიც თითქოსდა იშუამად საერთოდ არ არსებობდა. სინამდვილეში კი თიატირას ეკლესია დამკვიდრდა 120 წლით ადრე, ვიდრე ეპიფანე მწვალებლობებზე გაილაშქრებდა. თიატირას ეპისკოპოსი კარპოსი ეწაპა ბერგამონში დეციოსის დროს.⁵⁴

სარღმ. სარდეს ნანგრევები, 100 კმ-ით დაცილებული ეფესოდან, ხოლო თიატირადან – 10-ით, სამ ერთმანეთთან მიჯრით მდგომ ტმოლუსის მთას ებჯინებოდა. ქალაქის კედლები ფლატეებიანი მთებიდან, რომელთაგან ერთზე აკროპოლისი ანუ ციტადელი აღმართულიყო, სამ რიგად ეშვებოდა ვრცელ ველზე; ველის გასწვრივ ოქროთი მდიდარი მდინარე პაკტოლი მიედინებოდა. ამ ველის ჩრდილოეთით, ჰორიზონტზე, აღმართულია სარდეს მეფეების ვეებერთელა საფლავის ყორღანები. ასეთია ერთი შეხედვით ის ადგილი, სადაც ოდესღაც იდგა ქალაქი სარდეს, ბრწყინვალეებით ადგილს მხოლოდ რომს რომ უთმობდა, უძველეს ხანაში კი – ბაბილონს. სწორედ სარდეს ფორუმზე გადიოდა მდინარე პაკტოლი, აშუამად ნაკადული, რომელიც მხოლოდ ზამთარში ღებულობს მდინარის სახეს. ოდესღაც ის საგსე იყო ოქროს სილით, რაზეც მეტყველებს მისი მოყვითალო-წითელი კალაპოტი. თურქები მას დღესაც მდიდრების მდინარეს უწოდებენ. მის ნაპირებზე ეძებენ და პოულობენ მოწითალო ქვას, საკმაოდ ფასეულს, რომელსაც სარდეს

53 აქ საუბარია წმ. ეპიფანე კვიპრელის შესახებ. სხვა მრავალ თხზულებათა შორის მას ეკუთვნის ცნობილი „წვალებათათვის“, სადაც განაქიქებს ორმოც სხვადასხვა ერესს. ქართულად ეს თხზულება ადრევე უთარგმნიათ, ხოლო მისი აკადემიური გამოცემა ეკუთვნის უდროოდ გარდაცვლილ მეცნიერს, სოსო მახარაშვილს (რედ. შენ).

54 თიატირას ნანგრევები დღეს თურქეთის ქალაქ აქისარის ტერიტორიაში შედის (რედ. შენ).

სახელის მიხედვით სარდიონს ეძახიან. მაგრამ ლიდის სამეფოს ძირითადი სიმდიდრე ტმოლუსის მთების ოქროს საბადოებია. ტმოლუსის მწვერვალიდან ქალაქს ციტადელი გადმოჰყურებდა, რომელიც სამმაგ კედელთან ერთად გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიდა მომხდურებს. ტმოლუსის შუა მთასთან აღმართული იყო სარდეს ბრწყინვალე ნაგებობა – დმერთების დედის, ციბელას ტაძარი. ციბელას, „ოქრომდინარე პაკტოლის ნაპირებზე ბინადარი ყოველი არსების მკვებავი მიწის,“ თაყვანისცემა იყო ფრიგიისა და ლიდისათვის დამახასიათებელი კულტი. მიუხედავად იმისა, რომ დიდებული იყო ლიდის დედაქალაქის საზოგადო ნაგებობანი, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰეროდოტეს მოწმობით, სარდეს შესობათა უმრავლესობა ლერწმით იყო ნაშენი, აგურის ნაგებობებსაც ლერწამი ფარავდა. ამიტომაც იონიელთა თავდასხმის შედეგად მთელი ქალაქი ხანძარმა დაფურფლა. „იონიელთა შემოსევის დროს, მოგვიხრობს ჰეროდოტე, ციბელას, ამ მხარის ქალღმერთის, ტაძარი დაიწვა ქალაქთან ერთად“.

ასეთია სარდეს ისტორია. ლიდის მეფეების მმართველობის დროს სარდე გადააქცა საგაქრო ცენტრად აზიასა და საბერძნეთს შორის, ხოლო ოქროს ქვიშის რეცხვამ მეფის ხაზინას აურაცხელი სიმდიდრე შესძინა. ეს ჩვენ ვიცით კრეზუს ისტორიიდან. ქრისტეს შობამდე 545 წ-ს სპარსელებმა დაამარცხეს კრეზე და ლიდის სამეფო თავიანთ სატრაპად გადააქციეს და სატრაპთა შორის მას უმდიდრესად მიიჩნევდნენ. მაგრამ განქარდა სპარსთა მონარქია და სარდე დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა. მერე მისი ბატონობაც დასრულდა და სციპიონებმა სარდე მცირე აზიასთან ერთად რომის კეისრის კვერთხს დაუმორჩილეს. ტიბერიუსის ზეობისას, დაახლოებით 20 წ-ს, სარდეს უმეტესი ნაწილი საშინელმა მიწისძვრამ დაანგრია. მაგრამ კეისარმა განაახლა ქალაქი ხაზინის ხარჯით.

ქრისტიანული ეკლესია სარდეში თავიდანვე დაარსდა. აპოკალიფსში ანგელოზი საგანგებოდ მიმართავს სარდეს ეკლესიას. მე-2 ს-ში (170 წ.) სარდეს ეპისკოპოსმა მელიტონმა იმპერატორ მარკუს აგრელიუსს მართვა აპოლოგია ქრისტიანთა დევნისაგან დასაცავად. მანვე შეადგინა ძველი აღთქმის ყველა წიგნის კატალოგი, რისთვისაც საგანგებოდ იმოგზაურა პალესტინაში. მე-4 ს-ში იულიანე განდგომილი შეეცადა, აღედგინა სარდეში წარმართული ტაძრები, მაგრამ კერპები თაყვანისმცემლების გარეშე აღმოჩნდნენ, ტაძრები კი მიწისძვრით დაინგრა. ამის შემდეგ მალევე, არკადიუსის მმართველობის დროს, გუთებმა საბოლოოდ დაანგრიეს სარდე და დაასრულეს კიდევ ამ ქალაქის კეთილდღეობა.

თუმცა მე-9 ს-ში სარდესი არსებობდა საეპისკოპოსო, ხოლო ეფთვიმე, სარდეს ეპისკოპოსი, ხატია თაყვანისცემის გულმხურვალე დამცველი იყო.⁵⁵

ფილადელფია. ქალაქი ფილადელფია სარდეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა და 50 კმ-ით იყო მისგან დაცილებული, მიდიისა და ლიდის საზღვარზე, უმშვენიერესი ტმოლუსის მთების ჩრდილოეთ მხარეში. ქალაქი განლაგებული იყო ტერასებად კლდოვან საფეხურებზე და გარს ერტყა მშვენიერი ველები. მას მდინარე ჰერმოსი და მისი შენაკადი კოგამუსი⁵⁶ რწყავდა და ხშირი ბუჩქებითა და ხეებით იყო ვამწვანებული. ფილადელფია დააარსა პერგამოსის მეფე ატალუსმა. ფილადელფია ლიდის მეორე ქალაქად მიიჩნეოდა. აღმოჩენილი წარწერები გვამცნობენ, რომ საერთო ზეიმზე აქ მთელი აზიის ხალხები იყრიდნენ თავს. პლინიუსის დროს ფილადელფია იყო სარდეს გამგებლობაში, მაგრამ მე-9 ს-ში, როდესაც სარდესი თემურ ლენგმა დაანგრია, ფილადელფია ლიდის მთავარი ქალაქი გახდა.

ქრისტიანული ეკლესია ფილადელფიაში დააარსდა საკმაოდ ადრე. ფილადელფიის პირველ ეპისკოპოსად მიიჩნევენ დიმიტრიოსს, რომელიც ნახსენებია წმ. იოანეს კათოლიკე ეპისტოლეში. „გამოცხადებაში“ ანგელოზი საგანგებოდ მიმართავს ფილადელფიის ეკლესიას. წმ. ეგნატე დმერთმეპოსილი ფილადელფიის ეკლესიისადმი მიმართვაში კეთილად მოიხსენებს ამ ეკლესიის ქრისტიანთა ცხოვრებას, განსაკუთრებით აქებს მათ გულღიაობასა და სტუმართმოყვარეობას. მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფილადელფიის ეკლესია მე-9 საუკუნეში, როდესაც აქ დააარსდა მიტროპოლია, რომელიც ამჟამადაც არსებობს. მთელი მცირე აზიიდან მხოლოდ სმირნაშია მეტი ქრისტიანი, ვიდრე აქ, ამბობს ნოროვი. მაგრამ სმირნელი ბერძნები უმეტესად ჩამოსულები არიან საგაჭროდ, ფილადელფიელები კი ძირძველ მოსახლეობას წარმოადგენენ და მათი ძირითადი საზრუნავი ამ უძველეს ქალაქში მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვაა. დღემდე ფილადელფიელები გამოირჩევიან სიკეთითა და სტუმართმოყვარეობით, რის გამოც თავად თურქებმა დაარქვეს მათ „კეთილი და თავაზიანი ხალხი“.⁵⁷

55 უძველეს ქალაქ სარდეს ნანგრევები თურქეთში, დღევანდელი იზმირის შემოგარენშია (რედ. შენ.).

56 ჰერმოსი - დღევანდელი მდ. გედიზი, სიდიდით თურქეთის მეორე მდინარე; კოგამუსი - დღევანდელი მდ. კუზუჩაი (რედ. შენ.).

57 ანტიკური ფილადელფია - დღევანდელი თურქეთის ეგოსის რეგიონში მდებარე ქალაქი ალაშჰირია, ასი ათასამდე მოსახლით (რედ. შენ.).

სმირნა. სმირნა მდებარეობს ეგეოსის ზღვაზე, ვრცელი იზმირის ყურის სანაპიროზე. მისი უმეტესი ნაწილი განლაგებულია თითქმის მთლიანად მოშიშვლებულ ფლატეების მთა პაგოსზე. მაგრამ ამ მთის სიახლოვეს იყო მშენიერი ხეობა, რომელსაც რწყავდა ჩქარი, ანკარა მდინარე მელესი. „როდესაც მიგუახლოვდი სმირნას, ყვებოდა ერთი მოგზაური, ჩემ წინ გადაიშალა კვიპაროსის, ზეთისხილის, ქადრის ქალები, მწვანედ მოხასხასე მდელოები, იაღღუნის ბუჩქები.“ ძველი სმირნის განთქმულ ნაგებობებად სტრაბონი მიიჩნევს გიმნაზიას, ბიბლიოთეკასა და ჰომეროსის სადიდებლად აგებულ ტაძარს. მაგრამ უფრო შესანიშნავი იყო ამფითეატრი და ციტადელი. ამფითეატრი მდებარეობდა პაგოსის მთის ფერდზე და ნახევარწრედ იყო ზღვისაკენ მიმართული. მისი საფეხურები მარმარილოსგან გამოეკეთათ. იქვე მოწყობილი იყო განსაკუთრებული სადგომები, სადაც ცხოველები ჰყავდათ დამწყვდეული. სწორედ ამ ამფითეატრში ეწამა წმ. პოლიკარპე სმირნელი. პაგოსის მწვერვალზე ციტადელი აღმართულიყო. ძველი ქალაქის მოცულობაზე მიუთითებს კედლების ნარჩენები, რომლებიც პაგოსიდან ზღვამდე ეშვება.

პლინიუსის გადმოცემით, სმირნა ააშენეს ამორძალებმა. ჰომეროსის დროს სმირნა წარმოადგენდა დიდ ციხე-სიმაგრეს, სმირნელები ამტკიცებდნენ, რომ ჰომეროსი მათ ქალაქში იყო დაბადებული და აქ თხზავდა უკვდავ სიმღერებს. მაგრამ უფრო სარწმუნოა გადმოცემა, რომ სმირნა თავის არსებობას უნდა უმაღლოდეს ეგეოსს, რომლისგანაც 60 კმ-ით იყო დაშორებული. ეგეოსში არსებობდა ქალაქის განსაკუთრებული უბანი, სახელად სმირნა. სრულიად დასაშვებია, რომ პაგოსის მთასთან დასახლებულმა ეგეოსელმა კოლონისტებმა ახალ ქალაქს სმირნა უწოდეს. ეს ახალი, ლიდიელების მიერ გაძარცვული დასახლება, ოთხასი წლის მანძილზე უმნიშვნელო სოფელს წარმოადგენდა. ალექსანდრე მაკედონელის სარდლებმა, ანტიგონმა და ლისიმაქემ, აღადგინეს და დაამშენეს ქალაქი. და ამის შემდეგ, სტრაბონის მიხედვით, ის იონიის საუკეთესო ქალაქად იქცა. მას აზიის „მეორე თვალს“ უწოდებდნენ, მიიჩნევდნენ რა ეგეოსს პირველად. ახალი უბედურება დაატყდა სმირნას 180 წელს, როდესაც ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია ქალაქი. მარკუს აგრელიუსმა დაუყოვნებლივ აღადგინა ის. სმირნელი წარმართები თაყვანს სცემდნენ დიონისეს ანუ ბახუსს – ღვინის, დროსტარებისა და ღრეობის ღმერთს. ძველად განთქმული იყო სმირნელების ფუფუნება და გაპრანჭულობა და ანდაზადაც კი იქცა ეს ამბავი: *mores smirnaei* – სმირნელთა ზნეო. სმირნაში, როგორც სავაჭრო ქალაქში, ძალიან ძლიერი იყო იუდაური ელემენტი, იუდეველებს აქ ჰქონდათ მრავალი

და გაგლენიანი სინაგოგა.

ქრისტიანული ეკლესია სმირნაში დაარსდა არა უგვინაჲს 64 წლისა, ვარაუდით, იოანე ღმრთისმეტყველის მიერ. წმ. იოანეს „გამოცხადებაში“ ნახსენებია ანგელოზის განსაკუთრებული მიმართვა სმირნის ეკლესიისადმი. მარკუს ანგელოზის მიმართველობის ხანაში აქ მოხდა ქრისტიანების ძლიერი დევნა. მაშინ ეწამა სმირნის ეპისკოპოსი პოლიკარპე, რომელიც ცნობილია როგორც თავისი ეპისტოლეებით, ისე – პასეჲის აღნიშვნის დროის საკითხის გადაწყვეტაზე ზრუნვით და კიდევ იმითაც, რომ მისი მოწაფე იყო ირინეოს ლიონელი. მსგავსი დევნა იყო სმირნაში დეციუსის დროსაც; იმაჲმად სმირნაში ეწამა პრესვიტერი პიონიუსი.⁵⁸ თავის სიტყვაში ის გვაცნობს სმირნის მოსახლეობას და მეზობელი ქვეყნების მდგომარეობას. „სმირნის მკვიდრნო, რომლებიც ამაჲმობთ თქვენი ქალაქის სიღამაჲითა და მისი ჰომეროსით, და თქვენ, აქ დაბადებულთ იუდეველებო, ყველანი სინარულით ეძიებთ ჩვენს სიკვდილს. მაგრამ თქვენ, ელინებო, გმართებდათ მოგესმინათ თქვენი მოძღვრის, ჰომეროსისთვის, რომელმაც თქვა: „უკეთურია, გიხაროდეს კაცის სიკვდილი.“ თქვენ კი, იუდეველნო, მოსე გიბრძანებთ: „თქვენი მტრის ვირიც რომ დაინახოთ, დაცემული ტვირთის სიმძიმით, გვერდს ნუ აუვლით, წამოაყენეთ.“

მე-5 ს-ში აქ ღმრთისმშობლის ტაძარი დააარსა კიროსმა, რომელიც მაშინ პრეფექტი იყო, შემდგომ კი სმირნის ეპისკოპოსი შეიქნა. მე-6 ს-ში სმირნაში მოსაგრეობდა რომანოზ მელიოდოსი.

სმირნა ამაჲმადაც არსებობს. მიწისძვრამ ექვსჯერ დააქცია ქალაქი, მაგრამ ექვსჯერვე აღადგინეს ნანგრევებიდან. ძველ ბერძნებში არსებობდა რწმენა, რომ მეშვიდე მიწისძვრა სმირნისთვის უკანასკნელი შეიქნებოდა.⁵⁹

58 წმ. მღვდელმოწამე პიონიუსი - ხსენების დღე 11 მარტი.

59 ისტორიული სმირნა დღევანდელი იზმირია, თურქეთის სიდიდით მესამე ქალაქი (რედ. შენ.).



ეფესოს ტაძრის რეკონსტრუქცია



ეფესოს ტაძრის დღევანდელი სახე

მუხსო. აზიის პროვინციის მთავარი ქალაქი ეფესო მდებარეობდა ეფესოს ზღვის პირას, სმირნადან 60 კმ-ის დაცილებით. შემოგარენი ქალაქსა და ნავსადგურს შორის გაშლილია დაბალ, ჭაობიან ადგილზე,

მდორე მდინარე კაუსტროსთან,⁶⁰ რომელიც ამჟამად წყალმცენარეებითა და ლერწმითაა დაფარული. თვითონ ქალაქი ქვიან კორიზუსზე, პიონსა და სხვა ბორცვებზეა ნაშენი.

ეფესო აზიის წმინდა ქალაქი იყო. აქ უხსოვარი დროიდან თაყვანს სცემდნენ დიანას, რომლის გაზისაგან მოწნული გამოსახულებაც, გადმოცემით, აქ ქალაქის დამაარსებელ ამორძალებს მოუტანიათ. სხვა გადმოცემით, ქანდაკება ქვის იყო და, როგორც სხვა ღმერთების კერებში, ისიც ციდან იყო გადმოსული. ეფესელი დიანა არაფრით ჰგავდა რომის დიანას, აპოლონის დას, გაცილებით დაბლა მდგომ ღვთაებას. დიანა ეფესელი – ეს არის აღმოსავლეთის ასტარტე, ბუნების კეთილისმყოფელ ძალთა განსახიერება; დიანა ეფესელის ქანდაკებაც ბუნების ამ კულტის სიმბოლოს წარმოადგენდა. ქალღმერთის მუქი ფერის სახე (მისი თავი შავი ხისგან იყო ნაკვეთი), შემოხვეული გრძელი მოსასხამი, მკერდის ზედა ნაწილზე მთვარე, მისი საკურთხევლის წყვედიადი, თავად ქალღმერთის ხანდახან „მთვარედ“, „ღამის ქალწულად“ სახელდება – ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ქალღმერთი განსახიერებდა წყვედიადის ან ღამის აღმოსავლურ იდეას, ამ სიტყვის იმ აღმოსავლური, კლიმატური აზრით, რომლითაც ღამე წარმოადგენს დღის პაპანაქებით მოქანცული ბუნების გამაცოცხლებელს. ღამის სიგრილე და ცვარი აღმოსავლეთში, ჩვეულებრივ, ძალას ჰმატებს ყოველივე ცოცხალს, დაწყებული ბუნებით და დამთავრებული ადამიანით. ნაყოფიერების ეს იდეა კიდევ უფრო რელიეფურადაა გამოთქმული ქალღმერთის სხვა ატრიბუტებით. დიანა ეფესელის კერძს სამ რიგად ჰქონდა მკერდები. ამ მრავალი გამომავლებული ძუძუსკენ თავები გაეწვდინა უამრავ ცხოველს, რომლებიც ხელებში ჰყავდა დიანას, ეს ცხადად მეტყველებს ქალღმერთში განხორციელებულ ნაყოფიერების იდეაზე. დიანა – ყოველივე ცოცხალის დედა, თავისი შვილების მასაზრდოებელი, დიანა – ესაა ბუნება, დედა, დამზურებელი. ასეთია დიანა ეფესელის საზოგადო და უმთავრესი იდეა. ამას გარდა, ფუტკრების გამოსახულება მის მოსასხამზე მოგვგონებს ადამიანის პირველყოფილ უმწიკვლო ყოფას თქროს ხანის სამოთხისეულ ნეტარებაში, როდესაც ღმერთს სრულად მინდობილი ადამიანი იკვებებოდა თაფლითა და იმ ნაყოფებით, რაზეც ფუტკრები მიუთითებდნენ.

60 მდინარე კაუსტროსი ან კაისტერი, რომლის თანამედროვე თურქული სახელწოდებაა კუნუკმენდერესი, არის იზმირის სამხრეთით, ჩადინება ეგეოსის ზღვაში. მისი შესართავი საუკუნეთა განმავლობაში წყლით ჩამოტანილი შლამით ივსებოდა, რის გამოც ეფესოს ნანგრევები თითქმის ერთი კილომეტრით დაშორდა ზღვას (რედ. შენ.).

უცოდველობის ეს იდეა იყო დიანას პრედიკატი, რომელიც იყო მარად დედა და მარად ქალწული, დედის ძუძუთი და ქალწულის პირბადით ერთდროულად დამშვენებული.

დიანას დიდებული ტაძარი, პლინიუსის სიტყვით, აშენებული იყო ქალაქგარეთ, ზღვის პირას, ჭაობიან ადგილზე. აქ ის იყო უპირატესად იმიტომ, რომ გადმოცემის თანახმად, ამირძალები პირველად აქ გადმოსულან და კიდევ იმიტომაც, რომ აქ ის დაცული იქნებოდა მიწისძვრისაგან. ორას ოცი წლის მანძილზე მთელი აზია აშენებდა ამ ტაძარს. ეფესოს ტაძრის საძირკვლის ჩაყრა ლამის უფრო ძვირი დაჯდა, ვიდრე თავად ტაძარი. ჯერ დატბორილი ადგილი შეაგეს ნახშირითა და მატყლით, და შემდეგ ჩაიყარა ფუნდამენტი. ტაძრის სიგრძე შეადგენდა 150 მ-ს, განი კი – 50 მ-ს. ტაძარი უმთავრესად შედგებოდა სვეტებიანი პორტიკებისაგან. აზიის ყველა მაშინდელმა მეფემ, რიცხვით 127-მა, მიიღო მონაწილეობა მშენებლობის ხარჯებში. პორტიკებს იჭერდა იონური სტილის დახვეწილი 127 სვეტი, მშენებელ მეფეთა რაოდენობის შესაბამისად. პორტიკის სიმაღლე 8 მ-ს უდრიდა. ანთაზის რიგის 36 კოლონა სხვადასხვაგვარი იყო, ოსტატურად შესრულებული გამოჩენილი მხატვრების მიერ. ჰორაციუსის გამოთქმით, პარაზიუსი „სველი საღებავებით გამოსახავდა ხან ადამიანებს, ხან ღმერთებს“, აპელესმა და პრაქსიტელემ⁶¹ საუკეთესო ქმნილებებით გაამდიდრეს ტაძრის შიდა

61 პარაზიუსი, აპელესი – ანტიკური საბერძნეთის გამოჩენილი ფერმწერები. პრაქსიტელე - გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკე.

პარაზიუსი – ძვ.წ. მე-4 ს-ის მოღვაწე; დაადგინა ადამიანის სხეულის იდეალური პროპორციები. მისი თეზესი ამშვენებდა რომის კაპიტოლიუმს. ცნობილია მისი ტილო „დემოსი“ (ხალხი), რომელზეც გამოსახულნი იყვნენ ათენის მოქალაქეები, და გადმოსცემდა თორმეტ სხვადასხვაგვარ ადამიანურ ხასიათს. არსებობს ცნობილი ლეგენდა, თუ როგორ შეეჯიბრნენ ერთმანეთს ოსტატობაში პარაზიუსი და ძევქსისი, ასევე გამოჩენილი მხატვარი. ძევქსისმა ისე დახატა ყურძნის მტევანი, რომ ფრინველები მოფრინდნენ მარცვლების ასაკენკად. შემდეგ პარაზიუსთან წავიდნენ მისი ტილოს სანახავად. ტილოს ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, ძევქსისმა მოინდომა, გადაეწია ფარდა და აღმოჩნდა, რომ სწორედ ფარდა დაეხატა პარაზიუსს. ასე გამოვლინდა გამარჯვებული, რომლის ოსტატობამაც თვით დიდი მხატვარი შეაცდინა.

აპელესი – IV ს-ის დიდი ბერძენი მხატვარი, ალექსანდრე მაკედონელის მეგობარი. მისი ყველაზე ცნობილი ტილოებია „აფროდიტე ანადიომენა“ – ზღვის ქაფიდან ამომავალი აფროდიტე, არტემიდე მონადირეთა ამალით. ეფესოს ტაძარში ინახებოდა მის მიერ შესრულებული მაკედონელის პორტრეტი, ხელში ელვით. ცნობილია მაკედონელის სიტყვები: არსებობს ორი ალექსანდრე: ერთი – ძე ფილიპესი, მეორე – აპელესისა, პირველი დაუმარცხებელია, მეორე – შეუდარებელი.

პრაქსიტელე – მე-4 ს-ის ყველაზე ცნობილი სკულპტორი ათენიდან. პირველად მან გამოაქანდაკა ქალის შიშველი სხეული ნატურალური ზომით. შემორჩენილია მისი დიდებული ქანდაკებები ან მათი რომაული ასლები: ჰერმესი და ყრმა დიონისე; აპოლონი კლავს ხელიკს; აპოლონი ისვენებს (აპოლონი ლიკეოს); სატირის ფიგურა

ნაწილი. კარები კვიპაროსის ხის იყო, მარმარილოსაგან გაპრიანებული ქერი — კედარისა, ხოლო სახურავისკენ მიმავალი კიბე — გიგანტური ზომის კვიპროსის ვაზისა. დიანას ეს ტაძარი რამდენჯერმე დაიწვა, სოკრატეს მიცვალების დღეს და ალექსანდრე მაკედონელის დაბადების დღეს, მაგრამ ყოველთვის უფრო უკეთესად აღადგენდნენ ხოლმე, ვიდრე ხანძრამდე იყო.

ეფესოს სხვა ღირსშესანიშნავი ნაგებობანი ბორცვებზე ნაშენ ქალაქში იყო და გარს ერტყმოდნენ პიონის ფერდობებს ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. კორინთისა და პიონის შორის მდებარეობდა ორი თეატრი, რომლებიც ძალიან უყვარდათ ეფესელებს. პიონის მეორე მხარეზე მესამე, კიდევ უფრო დიდი თეატრი იდგა, ის 56 000 მაყურებელს იტევდა. ამ თეატრის მოპირდაპირედ იყო ნავმანია, შემდეგ ფორუმი. ხოლო პიონის დასავლეთ ნაწილში იყო ტრიუმფალური თაღი და დიდი ცირკი. პიონის მწვერვალზე, აღმოსავლეთით, იყო ეფესოს ნეკროპოლისი, და ქვემოთ — გიმნაზია, ანუ ეგრეთ წოდებული ათენეუმი. მაგრამ ეს უკანასკნელი შენობა უკვე გარეუბანს მიეკუთვნებოდა. მეცნიერების აზრით, სწორედ ამ აღმოსავლეთ გარეუბანში ცხოვრობდნენ ეფესოს პირველი ქრისტიანები და აქ ჩერდებოდნენ მოციქულები პავლე და იოანე.

ეფესოს ისტორია ასეთია: გადმოცემებით, ეფესოს პირველი დამაარსებელი ყოფილა ანდროკლოსი, იონიელთა წინამძღვრის, კადროსის ძე⁶². ის მაშინ დაშკვიდრდა კორინთის მთაზე, როდესაც დიანას საკერპო უკვე იდგა დაბლობზე.

ღიდიის მეფე კრეზე აზიის ბარბაროსებთან ერთად მოულოდნელად დაესხა თავს ქალაქს. მგრამ დაინდო ეფესო, რადგან მოსახლეობა ქალღმერთ დიანას მფარველობას მიენდო და მათ ქალაქის მთიანი ნაწილიდან ტაძრამდე გადაჭიმეს თოკი. ეფესელთა ესოდენ ღიძმა რწმენამ შეძრა ღიდიის მეფე, მსუბუქი გადასახადი დააკისრა მათ და დართო ნება, ძველებურად თავიანთი წეს-ჩვეულებით ეცხოვრათ. ამ დროიდან მოყოლებული იწყება ქალაქის ზრდა დაბლობისაკენ, ტაძრისაკენ. კრეზეს მონარქიის დაცემის შემდეგ სპარსელების უღელი მძიმედ დააწვა ეფესელებს, რომლებიც ამოდ ეძებდნენ შველას ელადის ბერძნებთან. მაგრამ სპარსელები განდევნეს მაკედონელებმა. ალექსანდრეს სარდალმა

რომის კაპიტოლიუმზე; ლეტო, აპოლონი და არტემიდე; აფროდიტე კნიდოსელი და სხვ. (რედ. შენ.).

62 ეფესოს მითიური დამაარსებელი, ათენის პრინცი ანდროკლოსი (ან ანდროკლე), იძულებული გამხდარა მამის, მეფე კადროსის, სიკვდილის შემდეგ სამშობლო დაეტოვებინა (რედ. შენ.).

ლისიმაქემ დატბორა დაბლობის ნაწილი და ამით აიძულა მოსახლეობა, დაბრუნებოდა ქალაქის მთიან ნაწილს, სადაც უფრო შესაძლებელი იყო ქალაქის დაცვა და კლიმატიც - უკეთესი.

მაკედონელთა შემდეგ აზიაში დამკვიდრდნენ მსოფლიოს ახალი მბრძანებლები – რომაელები. მათ ეფესო აირჩიეს აზიის სატახტო ქალაქად. მიწისძვრის შემდეგ ტიბერიუსმა აღადგინა ქალაქი. ქალაქის დიდებულებით განცვიფრებულები იყვნენ ციცერონი და პლინიუსი. მაგრამ არაჯანსაღი კლიმატის გამო ეფესო თანდათან კარგავდა თავის მნიშვნელობას.

უძველეს ხანაში ეფესოში ყვაოდა მეცნიერება. ამ ქალაქში ცხოვრობდა ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი ჰერაკლიტე ქრისტემდე 500 წლით ადრე, ასევე – პოეტი ჰიპონაქტე,⁶³ მხატვრები ბარაზიუსი და აპელესი, ალექსანდრე მაკედონელის მეგობარი. იოანე თქროპირი ამბობს, რომ მის დროსაც ეფესოში ბევრი ფილოსოფოსი იყო. სიმდიდრესა და ბუნების მრავალფეროვნებას უნდა განეფითარებინა ეფესელთა გონებრივი მონაცემები; ეს კვებავდა მათ აზროვნებასა და წარმოსახვას. ეფესოს საგაჭრო მნიშვნელობა, როგორც მთელი ცივილური სამყაროს ცენტრისა, რომელსაც აღმოსავლეთით ხმელთაშუა ზღვა ეკრა, განსაკუთრებით ხელსაყრელი ნიადაგი იყო სხვადასხვაგვარი საჭირო გონებრივი სიმდიდრის შესაძენად როგორც ადგილზე, ისე – უცხო ქვეყნებში მოგზაურობისას. მოციქულთა ხანაშიც ეფესოს ჰქონდა გიმნაზია, თეატრი, იქ იყო ვინმე ტირანის⁶⁴ სკოლა, სადაც ცხოვრობდა და წერდა თავის წერილებს ფსევდო-ჰერაკლიტე.⁶⁵ როგორც ჩანს, ეფესო ცხოვრობდა მაღალი სულიერი ინტერესებით, თღონდ ეს მხოლოდ გარეგნულად.

სინამდვილეში ეფესო იყო დიდგაჭარი, ფუფუნებაზე მზრუნველი ხალხის ქალაქი. სენეკას შეფასებით, ეფესო ყველაზე მდიდრული ქალაქი იყო, სადაც არ ზრუნავდნენ სიჭკველეთათვის. ჯერ კიდევ სპარსთა ბატონობის დროს, როდესაც ეფესო სპარსი მეფეების რეზიდენცია გახდა, ქალაქი აიგნო სპარსი სამხედრო არისტოკრატითა და მდიდარი ახალგაზრდობით, რასაც თან მოჰყვა აზიური ფუფუნება, ქეიფი და გართობა. რა თქმა უნდა, ეფესელებმა არ დააყოვნეს და აითვისეს სპარსელი არისტოკრატების გემოვნება და სპარსთა ღმობიერი მმართველობის ქვეშ

63 ჰიპონაქტე - ბერძენი ღირიკოსი, დაამკვიდრა ახალი საზომი, ე.წ. ქოლიამბი ანუ „კოჭლი იამბი“, შემოიღო პაროდის ჟანრი (რედ. შენ).

64 „ტირანი“ აქ საკუთარი სახელია (რედ. შენ).

65 ფსევდო-ჰერაკლიტე ეფესელი – ძვ.წ. მე-4 ს-ის ბერძენი ფილოსოფოსი, ცნობილია მისი ზნეობრივი ხასიათის წერილები (რედ. შენ).

უკიდურეს განუზომებამდე მივიდნენ. ეს განცხრომა სიმდიდრის მოზღვაგების შესაბამისად იზრდებოდა, ამ სიმდიდრის წყარო კი იყო ეფესოს ნაგსადგური – პანორმა. ძნელად ნახავდით საგაჭრო ქვეყანას, ან უძველეს საგაჭრო ცენტრს, სადაც არ იცნობდნენ ეფესოს პანორმას. რომსა და ალექსანდრიას, მაკედონიასა და პალესტინას, საბუქნოს, ფინიკიასა და სირიას, ქიოსს, სამოსს, კოსოსს, როდოსსა და კვიპროსს ყოველთვის ჰყავდათ პანორმას ნაგსადგურში თავიანთი კომერციის წარმომადგენელი. თვითონ ნაგსადგური ისე იყო მოწყობილი, რომ მისადაგებოდა დიდ საგაჭრო ობერაციებს.

და აი, ეფესელთა წნეობის ორი მამხილებელი, აპოლონიოს ტიანელი და ფსევდო ჰერაკლიტე. ეფესელთა საწოგადოების უმთავრეს და არსებით მანკიერებად მის მეტისმეტ ფუფუნებას მიიჩნევდნენ, მიწიერ სიკეთეთა უსაზომო მოხმარებას, მაღალი ინტერესებისადმი გულგრილობას, ადვირაზსნილობასა და ლოთობას. ნიშანდობლივია, რომ წოგიერთი ეს ნაკლი მოციქულმა პავლემ ეფესელ ქრისტიანთა შორისაც შენიშნა (I ტიმ. 11,9; ეფ. 5,3, ეფ. 5,18) და განსაკუთრებულად შეებრძოლა ყველა მანკის მთავარ ძირს – სიძვას. „ხოლო სიძვას და ყოველგვარ უწმინდურებას და ანგარებას სახელიც ნუ ერქმევა თქვენ შორის, როგორც შეშენის წმიდათ“ (ეფ. 5,3). აი, რა იყო ეფესოს სასიცოცხლო კულტი. ეფესოს საწოგადოება მთლიანად ფუფუნებასა და გრძნობით სიამოვნებებს ეძლეოდა. ცხოვრების ამგვარი მიმართულება თავის თავში გერაფერს ნახულობდა, რაც თავშეკავებისკენ უბიძგებდა მათ, არამედ, პირიქით, დიანას კულტით სანქცია ეძლეოდა და კიდევ უფრო ძლიერდებოდა ის. ფსევდო ჰერაკლიტე აღშფოთებული იყო ეფესელთა კულტის უმსგავსეობით, რომელიც შედგებოდა ხშირი დამეული ცერემონიების, ჩირაღდნებიანი სვლებისა და გაუთავებელი დღესასწაულებისაგან. გაზაფხულზე ეს დღესასწაული გრძელდებოდა მთელი თვე და მათ არტემიდიებს უწოდებდნენ. ტაძრის საკურთხევლის წყვილიაღში ფსევდო ჰერაკლიტე ხედავს თვით კულტის საზიზღარ წნეობრივ სიბნელეს. შემდეგ ავტორი გადადის ქალღმერთისადმი მიძღვნილ სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულზე და მთელი ეს დამის ჩირაღდნებიანი ორგანიები, მუსიკითა და ველური ცეკვებით, მიაჩნია რელიგიურ საფარქვეშ ამოფარებულ ყველაზე ადვირაზსნილ გარყვნილებად.

უძველეს ხანაში არსებობდა წესი, რომ ღმერთების ტაძარში ყველას შეეძლო თავშესაფრის პოვნა და იქ მისული ადამიანი, არა მხოლოდ უსამართლოდ დევნილი, არამედ ავაზაკიც კი ხელშეუხებელი ხდებოდა. ეფესოში კი ეს წესი ტაძრის გარეთაც, 200 მეტრზე მოქმედებდა. ამან

ეფესო გადააქცია დამნაშავეთა თავყრილობის ცენტრად, რაც, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას ახდენდა ეფესოს ისედაც დაბალ ზნეობრივ დონეზე და სტრაბონის გამოთქმით, „ხელში ჩაუგდო ქალაქი ავაზაკებს“.



დიანა ეფესელის გამოსახულება
ეფესო, თურქეთის მუზეუმი

დიანას კულტი მეორე ბოროტების წყაროდ იყო, რაც ძალიან საფუძვლიანად დამკვიდრდა ეფესოში. ეს გახლდათ ეფესელთა ცრუმორწმუნე-

ნეობა, რომელმაც უძველეს ხანაში იგაგადაც კი აქცია ეფესელები. დიანას კვარცხლბეკზე ამოტვიფრულ საიდუმლო ფორმულას ჯადოსნური მნიშვნელობა ეძლეოდა. ქალღმერთის ერთი ატრიბუტი იყო მთვარის გამოსახულება, ამიტომ მას თაყვანს სცემდნენ როგორც ღამის ქალღმერთს, საიდუმლო ძალების მეუფეს, რომელიც ავლენს ძალას ღამის წყვდიადის საფარქვეშ, როგორც მფარველი მავიისა და ჯადოსნობისა. დიანას კულტის ამ თავისებურებამ ეფესო წარმართული თეურგიისა და ჯადოსნობის ცენტრად აქცია. ეფესოში იყო უამრავი გრძნეული და შემლოცველი, ისინი იყენებდნენ შელოცვის განსაკუთრებულ ფორმულებს, რაც ისტორიაში ცნობილი გახდა „ეფესოს ნაწერების“ („Ephesia grammata“) სახელით. ეს ნაწერები წარმოადგენდნენ გრძნეულ ფორმულებს, რომელთაც წერდნენ ქაღალდზე ან პერგამენტზე, ან, უბრალოდ, კითხულობდნენ, ან ამულეტის სახით ატარებდნენ ხელზე, კისერზე ან, სხეულის ქვეშეთა ნაწილებზე. როგორც ერთი მწერალი აღნიშნავს, ქალაქი საგსე იყო მაგებით, ჯადოქრებით, მსახიობებით, მუსიკოსებით, მომღერლებით, საჭურისებით, თევზდარებით, ამულეტების გამყიდველებით, რომანების მოწვევლებით. მომქანცველი კლიმატის გამო მოსახლეობაში სერიოზული საქმიანობა არ იყო პატივში. ყველას იტაცებდა დემონოლოგია და თეურგია, აქ სუფევდა უკონტროლო ცრურწმენა.

გარდა ამისა, ეფესოში მუდამ უამრავი უცხოელი ირეთდა. ზოგს პანთონმას ბაზრისკენ სავაჭრო ინტერესები იზიდავდა; სხვები სახელგანთქმული დიანას ტაძარში, მცირე აზიის ამ რელიგიურ ცენტრში, მიიქაროდნენ; მესამენი სამსახურეობრივი მოვალეობის გამო მოსულყფენ ქალაქში, სადაც იყო აზიის პროკონსულის რეზიდენცია და ქვეყნის ყველა სასამართლო და ადმინისტრაციული დაწესებულება.

ჩვენთვის საინტერესოა ეფესოს რელიგიური მნიშვნელობა. „დიანას ტაძარმა, ამბობს ერთი მწერალი, ყოველი მხრიდან უამრავი თაყვანისმცემელი მოიზიდა, ასე რომ ეფესო ითვლებოდა წარმართული სამყაროს წმინდა ქალაქად. პილიგრიმების მოზღვაგებამ ქალაქს კიდევ ერთი შემოსავლის წყარო გაუჩინა, გაჩნდა მრეწველობის განსაკუთრებული დარგი - ძვირფასი მასალისაგან, ძირითადად ვერცხლისაგან, დამზადებული არტემიდეს ცნობილი გამოსახულების მინიატურული ასლებისა და ტაძრის მოდელების დამზადება. ისინი თან მიჰქონდათ პილიგრიმებს, როგორც სახსოვარი ან თილისმა. ქალაქი გულმოდგინედ იცავდა თავისი ქალღმერთის ღირსებას, ვინაიდან მისმა კულტმა დაასაქმა მრავალი ადამიანი, რაც ჩანს დიმიტრისა და მისი მეგობრების საქციელიდან პაფლე მოციქულის მიმართ (მდრ. „საქმე მოციქულთა“, თ. 19).

ეფესოში იუდეველნიც მრავლად იყვნენ, რომლებიც აქ დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ასე მაგალითად, ისინი თავისუფლად ატარებდნენ საღმრთო მსახურებასა და რელიგიურ წესებს სინაგოგაში. იუდეველი ახალგაზრდები განთავისუფლებული იყვნენ ყველასათვის საგაღმრთლო სამხედრო სამსახურიდან. გზების მოხერხებულობა, მანძილის შედარებით სიახლოვე და სიმდიდრე საშუალებას აძლევდა ეფესელ იუდეველებს, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდათ თავიანთ წმინდა რელიგიურ ცენტრთან – იერუსალიმთან.

ქრისტიანული ეკლესია ეფესოში დააარსა მოციქულმა პავლემ, რომელიც დიდხანს, ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა აქ. პავლე მოციქული ცდილობდა, ქადაგებების ადგილად მთავარი და დიდი ქალაქები შეერჩია, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის ცენტრს წარმოადგენდნენ. უექველია, რომ ეფესოც ამ მიზეზით შეარჩია თავისი ხანგრძლივი ქადაგებისათვის. ცნობილია, რომ მან თავდაპირველად სინაგოგაში იქადაგა, შემდეგ კი – თრატორ ტირანის სკოლაში. სასწაულები აღესრულებოდა პავლეს ხელით. მაგებმა კი, რომელთაც მოინდომეს ეშმაკების განდევნა იესო ქრისტესა და პავლეს სახელით, მარცხი იწვნის. ამის შემდეგ ბევრმა ჯადოსანმა საზეიმოდ დაწვა ეფესოს თეატრში 50 000 დრაქმის ღირებულების მაგური წიგნები. და სიტყვა ღმრთისა ეფესოში იმ წომამდე გაითქვა, რომ ადგილობრივ ხელოსნებს, რომლებიც დიანას ქანდაკების მოდელებს ამზადებდნენ, სამუშაოს დაკარგვის შეუძინდათ და ვინმე დიმიტრის თაოსნობით არეულობა მოაწყვეს. ამ მდელვარებას შედეგი არ მოჰყოლია ერთი წესრიგის დამცველის, ალექსანდრეს, ჭკვიანური გამოსვლის გამო (საქმ. 19, 1-40). პავლე მოციქული ეფესოდან გამგზავრების შემდგომ აგზავნის ეპისტოლეს ეფესელებთან და, ასევე, – მათ ეპისკოპოს ტიმოთესთან.

წმ. იოანე ღმრთისმეტყველი სიცოცხლის ბოლომდე ეფესოში ცხოვრობდა. გადმოცემით, აქ შეხვდა ის ერეტიკოს კერინთოსს.⁶⁶ მეორე საუკუნის დასაწყისში ეფესელებს განსაკუთრებულ წერილს უგზავნის წმ. ეგნატე ანტიოქიელი. ამ წერილიდან ჩანს, რომ ეფესოს ეკლესია ყვაოდა. მე-2 ს-ის 80-იან წლებში აქ ცხოვრობდა თეოდოტიონი, ტატიანოსის მოწაფე, რომელმაც თარგმნა ბიბლია ებრაულიდან ბერძნულ ენაზე. 196 წ-ს ეფესოს ეპისკოპოსი, ცნობილი პოლიკრატე, წინ აღუდგა რომის

66 კერინთოსი - გნოსტიკოსი, იოანე ღმრთისმეტყველის თანამედროვე და მისი მოწინააღმდეგე. ღმრთისმეტყველი მას I და II ეპისტოლეებში ახსენებს. ირინეოს ლიონელისა და იპოლიტე რომაელის ცნობით, მას ეგვიპტური განათლება ჰქონდა მიღებული (რედ. შენ.).

პაპის სურვილს, ყველგან დაენერგა პასექის დღესასწაულის რომაული ჩვეულება და ამის გამო ეფესოში შედგა კრება, რომელსაც ესწრებოდა 65 ეპისკოპოსი. პოლიკრატუს შემდგომი ეპისკოპოსი იყო აბილონიოსი, რომელიც მონტანისტების ანუ კატაფროიტების ერესს ებრძოდა. დეციოსის დევნის ხანაში შვიდი ეფესელი ყრმა, როგორც გადმოცემა გვიამბობს, შეშინებულები დაიმაღლენ გამოქვაბულში და იქ ორასი წელი ეძინათ.

მე-5 ს-ში, ერესების დროს, ეფესოს ეკლესია შინაგანი განხეთქილებებით დასუსტდა და ითანე ოქროპირი ზამთრის სუსხსა და ყინვაში, აგადმყოფი, თვითონ ჩავიდა იქ, რათა სულიერად დახმარებოდა ეფესელებს. „გვეკედრებით შენ, ღირსო მეუფეო, წერდნენ მას ეფესელები, მობრძანდე ჩვენთან და შემოზღუდო ჩვენი ეკლესია ღვთისათვის სათნო კანონებით, რადგან დიდი ხანია, დაითრგუნა არიოზის ერესის მიმდევართაგან, და კიდევ ვერცხლისმოყვარე მოძღვართა მიერ, რადგან ბევრნი მგლებივით დახარბდნენ ეპისკოპოსობას მსოფლიო იმიტომ, რომ ჩქარა დაუყოფლონ დიდძალ სიმდიდრეს, არადა თავს მართლმორწმუნედ აცხადებენ.“

431 წ-ს ეფესოში შედგა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება ნესტორის ერესის მიზეზით. ამ კრებაზე ქრისტიანული სამყაროს ყოველი მხრიდან თავი მოიყარა ორასზე მეტმა ეპისკოპოსმა. ეფესო კრების ადგილად იმპერატორმა თეოდოსი უმცროსმა შეარჩია, როგორც ყველაზე მოსახერხებლად მისასვლელი ადგილი ზღვითაც და ხმელეთითაც, სადაც ცხოვრებისათვის საჭირო ყოველივე სახმარი უხვად იპოვებოდა. მაგრამ კიდევ უფრო მეტად იმ მიზეზით შეიჩინა, რომ ამ ადგილს უკავშირებოდა მოციქულთა ხსოვნის სიწმინდე. კრება გაიხსნა 22 ივნისს ღმრთისმშობლის დიდ ტაძარში. განაჩენმა, რომელიც კრებამ ნესტორიანელებს გამოუტანა, ეფესელთა დიდი აღტაცება გამოიწვია. ხალხი ეპისკოპოსებს სახლებამდე ანთებული ჩირაღდნებით, საკმევლის კმევით აცილებდა; ამ დამეს მთელი ქალაქი კანდელებით იყო განათებული.

იმავე დროს, იმავე ქალაქში, ანტიოქიის ეპისკოპოსმა იოანემ ცალკე ჩაატარა კრება, რომელსაც ესწრებოდა ორმოცი ეპისკოპოსი და საქმე გადაწყდა ნესტორის სასარგებლოდ.

ეფესოს კრება შვიდი სედიმის შემდეგ დასრულდა, 31 ივლისს, დაბოლოს, ეფესელები დაწყნარდნენ ხუთკვირიანი ვნებათაღელვის შემდეგ, რაც სამუდამოდ აღიბეჭდა მათ მენსიურებაში.

449 წელს ეფესოში შედგა კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო კრება, რომელიც „ავაზაკთა კრების“ სახელით არის ცნობილი. კრება ჩატარდა იმავე ღმრთისმშობლის ტაძარში, სადაც მესამე მსოფლიო კრება შედგა. კრებამ გაამართლა ერეტიკოსი ევტიხი, ხოლო კეთილმორწმუნე

კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ფლავიანე დამნაშავედ სცნო. კრების წევრებმა ის დაასახინრეს და სულ მალე ეპისკოპოსი კრებაზე მიყენებული ქრილობებისაგან გარდაიცვალა. ფლავიანე აღესრულა სმირნადან სამხრეთ-დასავლეთით 40 კმ-ში.

იმპერატორი იუსტინიანე დიდად ზრუნავდა ეფესოს მორთვაზე ეკლესიებით. ეფესოს მობირდაბირე უნაყოფო კლდოვან ბორცვზე მან ძველი ხის ეკლესიის ადგილზე ააშენა საკამოდ დიდი, იოანე ღმრთისმეტყველის სახელობის ტაძარი. ეს იმდენად ბრწყინვალე ტაძარი იყო, რომ მხოლოდ მის მიერვე მანამდე ბიზანტიაში ყველა მოციქულის სახელზე აშენებულ ტაძრისთვის შეიძლებოდა მისი შედარება. ეფესოს მახლობლად, ლატრიის მთაზე მდებარეობდა ბრახიანის საგანე.

დაბოლოს, მე-15 საუკუნეში აქ მოღვაწეობდა მარკოზ ეფესელი, რომელმაც ცნობილ ფერარა-ფლორენციის კრებაზე დაიცვა მართლმადიდებლობა.⁶⁷

პატრიარქი უდაბური კუნძულია, იოანე ღმრთისმეტყველის გადასახლების ადგილი. ქალაქ ეფესოდან შესაძლებელია მისი დანახვა. პატრიარქის ეკლესიის ზღვის დონეკანქის კუნძულების რიცხვში შედის და ის მცირე აზიის ნაპირებიდან 60 კმ-ითაა დაცილებული. კუნძული წარმოადგენს სამ უსიცოცხლო, მუქი რუხი ფერის, ერთმანეთთან ყელით დაკავშირებულ მწვერვალს, რომლებიც დადარულნი არიან ხეობებით, მღვიმეებითა და გამოქვაბულებით (შდრ. გამოცხ. 6,15). ზაფხულობით კუნძული სწორედ იმ „დიდ, ცეცხლითა მოტყინარე“ მთას წარმოადგენს, „გამოცხადებაში“ რომ არის ნახსენები: „შთავარდა ზღუად, და მესამედი ზღკსად იქმნა სისხლ“ (გამოცხ. 8,8), და იქ „მესამედი ხეთად დაიწუა და ყოველივე თივად ნედლი დაიწუა“ (გამოცხ. 8,7). რუხი მოვზაური ბარსკი-გროგოროფიჩი წერს, რომ კუნძულზე მდინარე წყალი თითქმის არაა. თაკარა ზაფხულის განმალობაში წვიმა საერთოდ არ მოდის. მაშინ, როდესაც მეზობელი ტყიანი კუნძულები: ნაქსოსი, კოსოსი, ლეროსი და სხვები ხშირად უხვევიან შავ ღრუბლებში, რომელთა წიაღიდან ისმის საშინელი გრუხუნი და დამაბრძავებელი ელვა გამოკრთის, კუნძული პატრიარქის მთელი ზაფხული და შემოდგომაც მცხუნვარე მზის სხივების ქვეშ, წვეთი წყლისა და მაცოცხლებელი ცვარის გარეშე რჩება. ამიტომ იქცა კუნძული პატრიარქის დამნაშავეთა გადასახლების ადგილად. დომიციანეს დროს ქრისტიანთა დევნა 95 წელს დაიწყო, მაშინ გადაასახლეს

67 ისტორიული ეფესო დღეს თურქეთის ქალაქ სელჩუკის ტერიტორიაში შედის, ქვეყნის დასავლეთის მხარეს, იზმირის პროვინციაში (რედ. შენ).

კუნძულზე წმ. იოანე ღმრთისმეტყველი. მომდევნო წლის 18 სექტემბერს იმპერატორი დომიციანე მოკლეს; შემდგომში იმპერატორმა ნერვამ ყველა გადასახლებული გაათავისუფლა და იოანე ღმრთისმეტყველიც დაბრუნდა ეფესოში 97 წლის თებერვალსა თუ მარტში. აქედან გამომდინარეობს, რომ მისი გადასახლება 18 თვე გაგრძელებულა. ვიქტორინე, ბიკტაფიელი ეპისკოპოსი, და პრიმიციუსი, აფრიკის ეპისკოპოსი, წერენ, რომ იოანე ღმრთისმეტყველი პატმოსზე გადასახლებისას საბადოებზე სამუშაოდ იყო გამწესებული. ადგილი შესაძლებელია, რომ იმ დროს პატმოსზე მართლაც არსებობდა რაიმე მეტაღის საბადო, რაც შემდგომში დაიცალა. ყოველ შემთხვევაში, პატმოსზე იყო გორაკზე გაშენებული ქალაქი ჩორა, რომელიც მდებარეობდა ნაგსადგომიდან 9 კმ-ში. ამ ქალაქსა და კუნძულის მთავარ ნავმისადგომს შორის, შუა გზაზე, იყო მღვიმე, სადაც, გადმოცემის მიხედვით, წმ. იოანე ღმრთისმეტყველმა დაწერა გამოცხადება. ეს მღვიმე საკმაოდ დიდი იყო: სიგრძე 36 მ, განი – 28 და სიმაღლე – 20. ჭერზე ჩანს ნაპრალები, როგორც გადმოგვცემენ, იმ „ძრგაღ დიდის“ შედეგი (მდრ. გამოცხ. 6,12), რაც თან ახლდა დიდი ღმრთისმეტყველის მიერ საღმრთო საიდუმლოებათა ჭჭრეტას. საკურთხევლის მახლობლად, მარჯვნივ არის ჩადრმაგება, სადაც, გადმოცემით, დაფარდა მოციქული, „გითარც მკუდარი“, რაჟამს იხილა იგი, „რომელ არს პირველი და უკუანადსენელი“ (მდრ. გამოცხ. 1,17). ცოტა ზემოთ, ამ ადგილის მახლობლად, არის კლდეში გამოკვეთილი ბიზანტიური ჯვარი, რომელიც, იმავე გადმოცემით, წმ. იოანეს ხელითაა შექმნილი.

მოციქულთა დროიდან დაწყებული მე-11 საუკუნემდე არაფერია ცნობილი პატმოსის შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში ის დაუსახლებელი იყო – პატმოსის საბადოები გაიზიდა, კუნძული დაიცალა და გადასახლების ადგილიც გაქრა. ხალხმა ქალაქი ჩორაც დატოვა.

მე-11 საუკუნეში ლატრიის მეუღაბნოე წმ. ქრისტოდულემ გადაწყვიტა, მოენახულებინა ყველა წმინდა ადგილი და მათ შორის – პატმოსიც. როდესაც წმ. ქრისტოდულემ გაუკაცრიელებული კუნძული იხილა, დაებადა სურვილი, აქ მონასტერი აეშენებინა და 1088 წ-ის. 11 იანვარს იმპერატორ ალექსი კომნენოსისაგან მიიღო სიგელი მონასტრის ასაშენებლად. მშენებლობა დასრულდა 1117 წელს. მე-13 საუკუნეში მონასტრის მახლობლად ახალი ქალაქი წამოიზარდა. ამ დიდი მონასტრის გარდა, სადაც სულ 50 ბერია, ქალაქის ახალ, მე-19 ს-ის დასაწყისში აშენებულ ზღვისპირა უბნებსა და კუნძულის სხვა ნაწილებში ამჟამად 300-მდე ტაძარია. მათგან მხოლოდ ზოგიერთში ტარდება ყოველდღიური მსახურება, დანარჩენები კი – კერძო პირთა მიერ ღვთის სადიდებლად

თუ სასაფლაო ადგილებთან აგებული ეკლესიები – თითქმის მიტოვებულია და აქ იშვიათად აღევლინება ლოცვა.

დაგუბრუნდეთ აზიის პროვინციებს. აზიის პროვინციის სამხრეთით, მდინარე მეანდროსზე⁶⁸ მდებარეობდა ეკლესიურად საინტერესო ქალაქები მაგნესია და ტრალესი. ეს მდინარე ძალიან ლამაზია, პოეტებიც აღიღებენ მის სახელს. მეანდროსი ისეთნაირად დაკლავილია, რომ, როგორც ამბობენ, მისი შექმედვარე ვერც კი მიხვდება, საით მიედინება – ზღვისკენ თუ სათავისკენ. თვალს ახარებს მდინარის ველთა ნაყოფიერება.

ძალაქი მახნეზია. პლანიუსის მიხედვით, ქალაქი თესალიელებს აუშენებიათ და სახელიც მათ შეურჩევიათ თესალიის მაგნეზიის მიხედვით. მაგნეზია ეფესოდან 20 კმ-ით არის დაშორებული. მის პირველ ებისკოპოსად ითვლება ფილიპე, ერთი შვიდ დიაკონთაგანი.⁶⁹

ძალაქი ტრალესი დაუარსებია ტროელ ატალოსს ტროას დანგრევის შემდგომ. ის მდებარეობდა მდინარე მეანდროსისგან მოშორებით, მთის მწვერვალზე. ძველი მწერლების სიტყვით, ეს ქალაქი ყველაზე მოხერხებული ადგილი ყოფილა მდიდრების საცხოვრებლად.⁷⁰

ზრიზია. ლიდის საზღვართან მდებარეობდა დიდი ქვეყანა ფრიგია. ლიდის მეფე კრეზემ ფრიგიისა და ლიდის საზღვარზე ააგო საგანგებო კოლონა საზღვრის გამოსაკვეთად. ფრიგია წარმოადგენდა მთიანსა და ვულკანურ მხარეს, მაგრამ, ამასთან, ნაყოფსაგუსესა და მარმარილოთი მდიდარ ქვეყანას. ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ფრიგიას განსა-

68 იგივე დიდი მენდერესი – მდინარე თურქეთში, მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში (რედ. შენ.).

69 იონიის ანტიკური ქალაქი მაგნეზია ეფესოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 19 კმ-ში მდებარეობს, ტრალესსა და პრიენესთან ახლოს. მაგნეზიის არქეოლოგიური შესწავლა მე-19 ს-ში დაიწყო, თავდაპირველად ფრანგმა მეცნიერმა შარლ-ფელიქს ტრესკემ გათხარა ის, შემდეგ გერმანელმა არქეოლოგმა კარლ ჰუმანმა მოჰკიდა ხელი მის შესწავლას. მან 1891-1893 წლებში აღმოაჩინა ქალაქის აგორა, თეატრის, ზევსისა და არტემიდეს ტაძრების ნაშთები. თითქმის ასი წლის შემდეგ მაგნეზიის გათხრები განაახლა თურქმა მკვლევარმა ორჰან ბინგიოლმა თურქეთის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით. ზევსის ტაძრის ფასადი დღეს ბერლინის პერგამონის მუზეუმში ინახება, ხოლო არტემიდეს ტაძრის ფრიზის ფრაგმენტები საფრანგეთში, ლუვრის მუზეუმშია (რედ. შენ.).

70 ისტორიულ ქალაქ ტრალესს დღეს აიღინი ეწოდება, ის არის აიღინის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი, მდებარეობს მდ. დიდი მენდერესის ველის ცენტრში; მოსახლეობის რაოდენობა 200 000-ს აღწევს. წარმოშობით ტრალესიდან იყო მე-5 ს-ის ცნობილი არქიტექტორი ანთემიოსი, რომელმაც ისიდორე მილეტელთან ერთად ააგო კონსტანტინოპოლის ჰაგია სოფიას ტაძარი (რედ. შენ.).

კუთრებული ადგილი უკავია – ფრიგისის ზოგიერთ ეკლესიას გაუგზავნა პავლე მოციქულმა წერილები, ზოგიც „გამოცხადებაშია“ ნახსენები. აქ ცხოვრობდა და გარდაიცვალა მოციქული ფილიპე, აგრეთვე, აქ ცხოვრობდნენ მწერლები პაპია⁷¹ და აპოლინარი ჰიეროპოლელი.

აქ იყო მონტანისტური ერესის მთავარი ცენტრი. დიოკლეტიანეს დეენის დროს აქ ბევრმა ქრისტიანმა დაიღვა მოწამის გვირგვინი. დაბოლოს, აქ ცხოვრობდა ევსევი – დორილეუმის ეპისკოპოსი,⁷² ევტახიანელთა პირველი მტერი.

ფრიგისის ილქი პოლიტიკური და ეკლესიური თვალსაზრისით სამ ნაწილად იყოფოდა: ფრიგია სალუტარისი, ანუ მკურნალი, რაც მას სამკურნალო წყლების სიუხვის გამო დაერქვა; ფრიგია პაკატიანა პირველი (ანუ მშვიდობიანი) და ფრიგია პაკატიანა მეორე. ფრიგისის ყველა ამ რაიონში 50-ზე მეტი საეპისკოპოსო იყო. მაგრამ რაკი ფრიგიას ერთობ ვრცელი ტერიტორია ექონრა, ეს საეპისკოპოსო რაიონებიც მეტად მნიშვნელოვანი იყო, პონტოს პროვინციების მსგავსად, რაც მას ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა სამი უბანი: ჰიეროპოლისი, ლაოდისკა და კოლოსი, ეს ქალაქები ერთმანეთთან ახლოს იყო.

71 წმ. პაპია – (დაახლ. 70-163 წწ.) სამოციქულო მამა, ქალაქ ჰიერაპოლისის ეპისკოპოსი. მის კალამს ეკუთვნის „უფლის სიტყვათა გარდამოცემის“ ხუთი წიგნი, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. მას კათოლიკური ეკლესიაც წმინდანად აღიარებს (რედ. შენ).

72 ევსევი დორილეუმელი – მე-5 ს-ში მოღვაწე, ქ. დორილეუმის ეპისკოპოსი. დორილეუმში ანატოლიის ანტიკური ქალაქია, დღეს მისი ნანგრევები თურქეთში, ქ. ესქიშეჰირის მახლობლად მდებარეობს. ევსევი ილაშქრებდა ნესტორიანელთა და ევტახიანელთა ერესის წინააღმდეგ, მას მონაწილეობა მიუღია მრწამსის ქალკედონური ფორმულირების მონახაზში. ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ მასზე ცნობები აღარ მოიპოვება (რედ. შენ).



ზეგის ტაძრის ნანგრევები ლაოდიკეაში.

ლადონიკმა. ფრიგია პაკატიანას მთავარი ქალაქი ლაოდიკეა ძველად დიოსპოლისის ანუ ზეგის ქალაქის სახელს ატარებდა. მას როასიც ეწოდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ ის მდიდარი იყო ბროწეულის ხეებით – რბარ „როას“ ბერნულად ბროწეულს ნიშნავს. სახელი „ლაოდიკეა“ ნიშნავს „სახალხო სასამართლოს“ და ქალაქს ეს სახელი მეფე ანტიოქოს მეორის მეუღლის საპატივცემულოდ დაერქვა. თუმცა სტრაბონი მიიჩნევს, რომ სახელი „ლაოდიკეა“ მდინარე ლიკუსიდან მომდინარეობს, რომელზეც არის ქალაქი გაშენებული. რაკი ამ სახელს სხვა ქალაქებაც ატარებდნენ, მათგან განსასხვავებლად მას ფრიგიის ლაოდიკეად იხსენიებდნენ – ლაოდიკეად ლიკუსზე ან ლაოდიკეა ტრიმიტრიად. ეს უკანასკნელი სახელწოდება აიხსნება ლაოდიკეას მდებარეობით სამი პროვინციის – ფრიგიის, კარიისა და ლიდის საზღვარზე.

ლაოდიკეა მსხმიოარე გორაკებზე იყო გაშენებული. ლიკუსის გარდა მას კიდევ ორი მდინარე რწყავდა. ლიკუსი ქალაქის ახლოს მდებარე მთა კადმოსიდან მოედინებოდა. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ოდესღაც პატარა ქალაქი გაიზარდა, რადგანაც „ადგილის სიძლიერემ და მისი მცხოვრებლების ბედნიერებამ აამაღლა ქალაქი“. ლაოდიკეას მოქალაქეები ძალიან მდიდრები იყვნენ, ტაციტუსი ამბობს, რომ როდესაც

62 წლის მიწისძვრამ დაანგრია ქალაქი, მოსახლეობამ უარი განაცხადა რომის მთავრობის დახმარებაზე და თავადვე აღადგინა ის ძველებური დიდებულებით. მაგრამ საბოლოოდ ლათინიკეას მთელმა საგანძურმაც ვერ შეაჩერა წეცის მრისხანება – მე-4 ს-ის ბოლოს დიდმა მიწისძვრამ შთანთქა ქალაქი და ის უკვე აღარ აღდგენილა.

მოქალაქეთა სიმდიდრის და კეთილდღეობის წყარო იყო: 1. მიწის არაჩვეულებრივი ნაყოფიერება, 2. შალის ქსოვილის წარმოება. აქაური შალის ნაწარმი მილეტის შალზე მეტად იყო განთქმული, 3. ხელოსნობა, საბანკო ოპერაციები და ვაჭრობა. არ არის გასაკვირი, რომ ქალაქში „ოქროს ხბოს“ კულტი იყო უპირატესი და აქ ბევრი ებრაული უბანი არსებობდა.

ეკლესია ლათინიკეაში მოციქულთა დროს დაარსებულა, აქ ეკლესიის დამაარსებლად ითვლებოდა ეპაფრა (კოლ. 1,7), ხოლო ეპისკოპოსად დაინიშნა არქიპოსი (კოლ. 4,17). მოციქული პავლე აქ აგზავნიდა განსაკუთრებულ წერილებს, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ დასავლეთის ეკლესიაში შემონახულია აპოკრიფი ლათინიკელთა მიმართ ეპისტოლეის სახელით, რომელიც შეიცავს ამონარიდებს კოლასელთა და ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეებიდან. ამ ძეგლის მე-13 მუხლში ღაპარაკია ლათინიკელთა თვისებაზე – ამპარტავებასა და უჯერო ხერხებით გამდიდრებაზე. „გამოცხადებაშიც“ იმავე ნაკლზეა მითითებული ლათინიკეას ეკლესიის მიმართ: „რამეთუ იტყვ: მდიდარ ვარ და განემდიდრდი და არარად მეჭმარების. და არა უწყვი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიშუელ. განგაზრახებ შენ, რადთა იყიდო ჩემგან ოქროდ გამოკურგებული ცეცხლითა, რადთა განჰმდიდრდე, და სამოსელი სპეტაკი, რადთა შეიმოსო, და არა გამოცხადნეს სირცხვილი სიშიშულისა შენისა, და საოლაფი, რადთა იოლნე თუალნი შენნი და ჰხედვიდე“ (გამოცხ. 3,17-18).

მე-3 საუკუნეში ლათინიკეაში გავრცელებულა მონტანისტების მწვალებლობა, რომლის გამოც 325 წ-ს აქ ჩატარდა კრება. ცოტა მოგვიანებით კი, 367-სა და 374 წლებს შორის, ლათინიკეაში შედგა ცნობილი ადგილობრივი კრება, რომელმაც გამოსცა 60 კანონი. ეს დადგენილებები უმთავრესად შეეხებოდა საეკლესიო რიტუალებსა და სასულიეროთა ცხოვრებას. სწავთა შორის, აიკრძალა ახლად მონათლულთათვის ხარისხის მინიჭება, ეპისკოპოსების დადგენა სოფლებში, ყველა სასულიერო პირს აეკრძალა დუქანში სიარული, დიაკვნებს აეკრძალათ მსახურების დროს მღვდლების გვერდით დაჯდომა, ნებადართული გახდა წმ. წერილის მხოლოდ კანონიკური წიგნების კითხვა, რომლის ჩამონათვალიც დადგე-

ნიღებაში მოწოდებული იყო. კრების 28-ე კანონი კრძალავდა აღაპების ჩატარებას, რადგანაც ამას მოჰქონდა შფოთი და ცთუნება.

ლაოდიკეაში იყო საკმაოდ დიდი ტაძარი, რომლის ნანაგრევები ახლაც არსებობს. ამ შენობის სიგრძე – 60, ხოლო სიგანე 50 მეტრს შეადგენდა. აღმოსავლეთისკენ მიმართულ საკურთხეველში მოჩანს ორი დიდი ნიშა, ალბათ, სამსხვერპლო. კანკელის კედელში ორი კარი იყო დატანებული, თავად ტაძარში კი სამი კარიდან შეიძლებოდა შესვლა.⁷³

ჰიმარაკოლინი. ლაოდიკეადან რომ გამოსვალთ, გადაივლით ხიდს მდინარე ლიკუსზე და დაინახავთ ჰიერაპოლისის კლდეებს, ის აოცებს მწერას სითეთროთა და უცნაური წარმონაქმნებით. რაც უფრო უახლოვდებით, მით უფრო საოცრად გეჩვენებათ ეს თოვლივით ქათქათა ლოდები, მზის სხივთა ელვარებას თვალისმომჭრელად რომ ირეკლავს, გაქვავებულ ჩანჩქერებს თუ მიაშვავსებთ მათ. მართლაც, მთის მწვერვალზე არის კამკამა ტბა, საიდანაც სამ ნაკადად მოედინება სუფთა და თბილი წყალი. წყლის დინებას ფსკერზე თოვლისფერი ნალექი მოაქვს.

როდესაც ნალექით კალაპოტი ამოივსება, წყლის ნაკადი გვერდით ინაცვლებს. ნალექი ძალიან მაგარია და დროთა განმავლობაში მუქ ნაცრისფერს ღებულობს. ეს თეთრი ქანები შორი მანძილიდან ტერასებად განლაგებულ თოვლის გორაკებსა და ნაპრალებს გვანანს. ამ ადგილს თურქულად ფამუქ-ქალე, ანუ „ბამბის ციხე“ ჰქვია. სადაც დაქანება მკვეთრი არაა, ზემოდან მომდინარე წყლები ნახევრად მრგვალ, დაკბილულ კედლებიან ამფითეატრს ქმნის. ეს ბუნებრივი ავზები წყლითაა სავსე და ცისარტყელას ფერებით აელვარებს გარემოს.⁷⁴

ამ ავზების მახლობლად იყო პლუტონიუმი – გვირაბი, საიდანაც მომაკვანებელი ორთქლი იფრქვევა. სტრაბონის სიტყვით, იმდენად სქელი

73 რომის იმპერიის დაშლის შემდეგ ლაოდიკეა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაშია, 1097 წ-ს ქალაქი დაიპყრეს თურქებმა. საბოლოოდ ქალაქი თურქებსა და ბიზანტიას შორის გამართული უამრავი ომისა და მიწისძვრების შედეგად დაინგრა. ანტიკური ლაოდიკეას დიდებულებაზე ნათლად მეტყველებს დღეს მის ადგილზე შემორჩენილი ნანგრევები: ტაძრები, სტადიონი, თეატრები აბანოები, ბულეუტერიონი (სენატის სახლი), აკვედუკები. ამ არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობის უახლოესი დასახლებული პუნქტია ნახევარმილიონიანი ქალაქი დენზილი, სადაც ოდესღაც გადასულან საცხოვრებლად ლაოდიკეელები (რედ. შენ.).

74 ფამუქ-ქალე – თერმული წყლების ბუნებრივი საცავი თურქეთის დენიზლის პროვინციაში, ტურისტული ღირსშესანიშნაობა. ქათქათა თეთრი ტერასები მთის ფერდობზე წარმოქმნილია კალციუმით გაჯერებული თერმული წყლების მარილების ნადებით. 1988 წლიდან ეს ადგილი ჰიერაპოლისის ნანგრევებთან ერთად იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი (რედ. შენ.).

ყოფილა გამონაბოლქვი, რომ ფეხქვეშ მიწაც არ ჩანდა. სტრაბონს თავად შეუშვია გამოქვაბულში ფრინველები და ისინი წამში დახოცილან, თუმცა კარგ ამინდში ეს ოროქლი ნაკლებად საზიანთა. აბულეუსმა⁷⁵ მონახულა პლუტონიუმი და სტრაბონის მონათხრობს იმეორებს მასზე. მაგრამ აბულეუსი, სტრაბონისგან განსხვავებით, დიდი მოკრძალებითა და შიშითა იყო განმსჭვალული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ადგილი ძველად წარმართულ საკურთხევლად ყოფილა მიჩნეული.

აი, აქ, კლდის განიერ პლატოზე იყო გაშენებული ქალაქი ჰიერაპოლისი, ანუ წმინდა ქალაქი, ასე მას ბუნების საოცარი ფენომენის გამო ეწოდა, ასევე – სხვადასხვა ღმერთის სახელზე აგებული ტაძრების სიმრავლის გამო. პოლიტიკური თვალსაზრისით კი ეს ქალაქი ნაკლები მნიშვნელობისა იყო და მისი ბედი ლაოდიკეას ბედს უკავშირდებოდა.

ქრისტიანული ეკლესია ჰიერაპოლისში დააარსდა I საუკუნეში, მას პავლე მოციქულიც ახსენებს. პოლიკრატე ეფესელის სიტყვით პავლე მოციქულისადმი მიწერილ წერილში, აქ იქადაგა და აღესრულა მოციქული ფილაპე. გადმოცემის მიხედვით, ის ჯვარზე გააკრეს. პირველი საუკუნის დასასრულს ჰიერაპოლისის ეპისკოპოსი იყო პაპია, ცნობილი საეკლესიო მწერალი, პოლიკარპე სმირნელის მეგობარი. მე-2 საუკუნის მეორე ნახევარში აქ ეპისკოპოსად იყო კლაგდიუს აპოლინარი. კლაგდიუსი დიდხანს ებრძოდა მონტანიზმს, მაგრამ ის განსაკუთრებით ცნობილია თავისი ქრისტიანობის აპოლოგიით, რომელიც მან 177 წელს გაუგზავნა იმპერატორ მარკუს აგრელიუსს. იმავე მარკუს აგრელიუსის დროს ჰიერაპოლისის ეპისკოპოსი იყო წმ. აბერკი, რომელსაც მოციქულთა სწორის უწოდებენ დიდი ღვაწლის გამო პალესტინიდან რომამდე ქრისტიანობის გაავრცელების საქმეში. როდესაც მან ჰიერაპოლისში დაანგრია კერპები, გავეშებული ხალხი მის დასაგლეჯად გამოცვივდა, მაგრამ რაწამს გაიგონეს მისი ხმა, შედგნენ და საღამომდე ყურს უგდებდნენ მის ქადაგებას. გადმოცემის თანახმად, მან მარკუს აგრელიუსის ქალიშვილი ლუცილა განკურნა. არ მიიღო იმპერატორისგან მდიდრული საჩუქარი, მაგრამ სანაცვლოდ იმპერატორს ქალაქისთვის სთხოვა მოწყალეობა – ყოველ-

75 აბულეუსი – (დაახლ.124-170 წწ.) წარმოშობით ნუმიდიელი ბერბერი, ძველი რომაელი ლათინურენოვანი მწერალი. მას ეკუთვნის ცნობილი რომანი „მეტამორფოზები ანუ ოქროს ვირი“, სადაც ეპითეტი „ოქრო“ ნაწარმოების მხატვრულ ღირსეუბას მიემართება; აგრეთვე - აპოლოგია, ტრაქტატები: ფლორიდები, სოკრატეს ღვათებრიობაზე, პლატონის სწავლებაზე, სამყაროს შესახებ. აბულეუსი კართაგენში უმაღლესი ქურუმი იყო და მას ორჯერ დაუდგეს ძველი, სავარაუდოდ, ის ისიდას კულტის მიმდევარი უნდა ყოფილიყო. აბულეუსს რამდენჯერმე ახსენებს ნეტარი ავგუსტინე თავს „ღმერთის ქალაქში“ და მას მაგად მიიხსენებს (რედ. შენ.).

წლიურად ჰიერაპოლისის ქრისტიანებისთვის დაკრიგებინათ 3000 ფუთი ხორბალი და მათთვის აეკოთ სამკურნალო თბილი წყლის აბანოები.

პოლონა. ქალაქი შეფენილი იყო მთის ფერდობზე, მას სხვაგვარად ხონას (ბერძნული წარმოთქმით) ან კონასაც (ლათინური წარმოთქმით) უწოდებდნენ. მთის წვერი თოვლში გახვეულიყო, მის ფერდებს კი ხშირად ამშვენებდა ღრუბლები. ჰეროდოტე და პლინიუსი კოლოსას მეტად მნიშვნელოვან ქალაქად მიიჩნევენ, მაგრამ სტრაბონის დროს ქალაქი უკვე პატარა დაბად იყო ქცეული, ალბათ, ასეთადვე დარჩა ის მოციქულების დროსაც. კოლოსაში ქრისტეს ეკლესია დააარსა ეპაფრასმა, პავლე მოციქულის მიმდევარმა და მეგობარმა, ვარაუდით, ამ ქალაქის მკვიდრმა. რომში შეპყრობილმა მოციქულმა პავლემ ეპაფრასისგან შეიტყო კოლოსაში გაგრძელებულ ერესებზე და საგანგებოდ მისწერა კოლოსელებს. ასევე გაუგზავნა წერილი ფილიმონს, კოლოსას მდიდარ მოქალაქეს. ეპისტოლე კოლოსელთა მიმართ დაიწერა 62 წელს ქრისტეს შობიდან⁷⁶.

ორი წლის შემდეგ კი კოლოსა თითქმის მთლიანად დაანგრია მიწისძვრამ. კოლოსას ადგილზე აღმოცენდა პატარა დასახლება – ხონა, რაც ნიშნავს „ჩაძირვას“ და ამ სახელით არსებობს ის ამჟამადაც. ძველად აქ იყო წმინდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის დიდი ეკლესია. სწორედ ამ ეკლესიის გამო შენიშნავს თეოდორიტი, რომ ფრიგიაში გაგრძელებული იყო ანგელოზთა თაყვანისცემა. მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესია ხონაში იმპერატორ მანუილ კომნენოსის დროსაც არსებობდა, იმპერატორმა მოილოცა ის მცირე აზიაში ომის დროს და გაოცებული დარჩენილა მისი სილამაზით. საეკლესიო ლიტერატურაში მოიხსენიება ნიკიტა ხონიატი, ხონას მე-11 ეპისკოპოსი, მანუილ კომნენოსის თანამედროვე.⁷⁷

76 ამ ტოპონიმის სახელწოდება ძველ ქართულ ხელნაწერებში დასტურდება, როგორც კოლასა – ყველასათვის ცნობილია „ეპისტოლე კოლასელთა მიმართ“. თუმცა, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემული ბიბლიის ახალ ქართულ თარგმანში (1989 წ.) ტოპონიმი გადმოდის, როგორც „კოლოსა“ (რედ. შენ.).

77 არსებობს გადმოცემა მთავარანგელოზ მიქაელის მიერ აღსრულებული სასწაულის შესახებ ხონას ტაძარში. ამ ტაძარში მრავალი წლის მანძილზე მსახურობდა სიკეთითა და კეთილმოწყობით განთქმული მღვდელი არქიპო. მისდამი ბოროტებით აღიძრნენ წარმართები და გადაწყვიტეს მისი მოკვლა და ტაძრის დანგრევა. ამისათვის მთის ორი მდინარე საერთო კალაპოტში მოაქციეს და ტაძრისაკენ მიმართეს. მაშინ ტაძრის გვერდით გაჩნდა მთავარანგელოზი, დაჰკრა კვერთხი მთას, გააპო ის და მთელი წყლის ნაკადი ამ ნაპრალში ჩაიკარგა (აქედან სახელი „ხონა“ – ჩაძირვა). სწორედ ამ მოვლენის სახელზე არის დაარსებული მოსკოვის კრემლში მდებარე „ჩუდის მონასტერი“, სადაც მომავალი მეფეები ინათლებოდნენ (რედ. შენ.).

პეპუზა. პეპუზა პატარა ადგილი იყო ფრიგიაში, მას მონტანისტები მთელ მსოფლიოში წმიდათაწმიდა ადგილად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ეს ადგილი გახდებოდა დედაქალაქი უფლის მეორედ მოსვლის შემდგომ და აქ გაჩნდებოდა ათასწლოვანი სამეფო. ეს აზრი მონტანისტებს უთუოდ იმიტომ გაუჩნდათ, რომ პეპუზა იყო მონტანუსის სამშობლო.⁷⁸

დორილეუმი. ქალაქი დორილეუმი ან დორილეა მდებარეობდა ფრიგიის ჩრდილოეთში, ბითინიის საზღვარზე. ის ჯერ კიდევ დემოსთენეს დროს მნიშვნელოვან დასახლებას წარმოადგენდა. მეხუთე საუკუნეში დორილეუმის მეორე ეპისკოპოსი გახდა ევსევი. მან პირველმა ამცნო კონსტანტინოპოლის პატრიარქს, რომ ევტისი არასწორად ასწავლიდა და მოითხოვა მისი დაგმობა.⁷⁹

პარიკ. აზიის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვის ნაპირას, მდებარეობდა კარიას პროვინცია, დასახლებული მრისხანე, მებრძოლი ხალხით. ისინი განთქმულნი იყვნენ ზღვაზე ყაჩაღობით, ამ ხალხს სამხედრო სამსახურში სხვა ქვეყნები ხშირად ქირაობდნენ. კარიელების ენა ისეთივეა, როგორც ლიდელებისა და მიზიელების, ანუ ბერძნული წარმოშობის. მაგრამ ევროპული ბერძნები მათ ენას ბარბაროსულად მიიჩნევდნენ. კარიას პროვინციას ჰქონდა ფედერალური მოწყობა. სახალხო კრება თავს იყრიდა სტრატონიკეს ტაძრის მახლობლად. კარიელებს ჰყავდათ მცირე მმართველები, რომლებიც ატარებდნენ მეფეების სახელს. მათ შორის ყველაზე ძლიერი და ძლევამოსილი იყო მაგსოლე. მან ისეთი დიდებული სამარხი აიგო, რომ მას შემდეგ ყველა დიდებულ სამარხს ნაგებობას მოვზოლეუმს უწოდებდნენ.

კარიაში ბევრი ქალაქი და საეპისკოპოსო იყო, ზოგი მწერალი 25 საეპისკოპოსოს ასახელებს, ზოგიც — 31-ს, თუმცა მათი სივრცე მცირე იყო. ლევ სომეხის დროს კარიაში გადაასახლეს თეოფილე ნიკომიდიელი, რომელიც აქ გარდაიცვალა.

78 2001 წელს დაიწყო არქეოლოგიური გათხრები პეპუზასა და მის ახლომდებარე, ასევე მონტანისტურ, ქალაქ ტიმიონის ზუსტი ადგილმდებარეობის დასადგენად (რედ. შენ.).

79 დორილეუმი თანამედროვე ქალაქი ესქიშეჰირია, ანკარადან 250 კმ-ზე დასავლეთით. „ესქიშეჰირი“ თურქულად „ძველ ქალაქს“ ნიშნავს. იხ., აგრეთვე, 70-ე შენ. (რედ. შენ.).

მილმტი. მილეთი, კარიის პროვინციის მთავარი ქალაქი, ძველად ანაქტორიას სახელს ატარებდა. კრეტელების მიერ დაპყრობის შემდეგ ქალაქს მილეთი - დამპყრობელი ბელადის სახელი უწოდეს. მილეთს ჰქონდა ოთხი მნიშვნელოვანი ნავმისადგომი და ძლიერი ფლოტი. მილეთის მცხოვრებლები გამოირჩეოდნენ სამრეწველო საქმის ოსტატობით. მათი დამზადებული შალის ქსოვილები დიდი მოწონებით სარგებლობდა. მაგრამ მილეთის მოსახლეობა განსაკუთრებით ვაჭრობაში იყო დაოსტატებული. ამ მიზნით, პლინიუსის მხედვით, მათ სხვადასხვა ქვეყანაში 80-მდე კოლონია დააარსეს, განსაკუთრებით – შავი ზღვის სანაპიროზე. მილეთელები განათლებისადმი სწრაფვით იყვნენ განთქმულნი. მილეთელთა შორის განსაკუთრებით ცნობილნი არიან: თალესი – შვიდ ბერძენ ბრძენთაგან ერთი, ანაქსიმანდრე – თალესის მოწაფე, რომელმაც ქრისტეს შობამდე მე-ნ საუკუნეში ბერძნებს გეოგრაფიული რუკები გააცნო, ანაქსიმენე – მზის საათის გამომგონებელი.

მილეთში შეჩერდა რომში მიმავალი პავლე მოციქული და გამოსამშვიდობებლად თავისთან იხმო ეფესელი მღვდლები (საქმ. მოც. 20,17; 2 ტიმ. 20). შეენიშნავთ, რომ მილეთი და ეფესო ერთმანეთისაგან დიდი მანძილთ იყო დაშორებული, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ შორის იყო საგაჭრო ურთიერთობა. 70 წ-ს მილეთში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, მაგრამ ქალაქი მალევე აღდგა. ლიცინიუსის დროს აქ ხალხი ეწამა, იულიანეს დროს კი აქ ბევრი ქრისტიანი იყო და ბევრი ტაძარი ქალაქის შემოგარენში. „იულიანემ, მოგვითხრობს სოზომენი, როდესაც გაიგო, რომ მილეთში, აპოლონის ტაძართან, აშენებული იყო სალოცავი სახლები წამებულთა სადიდებლად, მისწერა კარიის პრეფექტს, რომ თუ ამ სახლებს ჰქონდათ სახურავი და წმინდა ტრაპეზი, დაეწვა ისინი, ხოლო თუ ეს შენობები ნახევრად იყო აშენებული, საფუძვლითურთ ამოეთხარა“.⁸⁰

ლუკიანოსი. სმელთაშუა ზღვის სამხრეთით, მთიან მხარეში მდებარეობდა ლუკია. ლუკიის ადგილობრივი მოსახლეობა ხასიათით ძალიან ჰგავდა კარიელებს, ვინაიდან ისინიც წარმოშობით კუნძულ კრეტადან იყვნენ. შემდეგ აქ გადმოსახლდა ათენის მეფე პანადიონის შვილი ლუკოსი, საიდანაც მიიღო ამ ქვეყანამ სახელწოდება. აქ ბევრი ბერძნული კოლონია იყო: პატარა, მურა და სხვ. ლუკია მრავალი ქალაქისაგან შემდგარ

80 დღეს საქვეყნოდ განთქმულ ქალაქ მილეთის ადგილზე არის ერთი ღარიბი სოფელი, პალატია, რომლის სახელწოდებაც ბიზანტიურ ციხე-სიმაგრე პალატიდან მომდინარეობს. ჯერჯერობით მილეთის მხოლოდ ერთი მესამედი არის არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი (რედ. შენ.).

ფედერალურ რესპუბლიკას წარმოადგენდა. მას საერთო დეპუტატთა კრება და ყოველწლიურად შემდგარი, „ლუკარხად“ წოდებული მაგისტრატის მართავდა.

ლუკიელები ჩინებული მოისრები იყვნენ. მათ მიწაზე კეთილსურნელება მოიპოვებოდა, რაც უძველეს დროში მეტად ფასობდა. ლუკიელები თავყვანს სცემდნენ სინათლის დემეტოს, მშვილდისან ლუკეიონს,⁸¹ ბერძნები იმავე დემეტოს, ადიდებდნენ, ოღონდ აბოლონის სახელით.

ისტორიკოსები აქებენ ლუკიელების სამართლიანობას, მოკრძალებულ ზნესა და განსწავლულობას. ლუკიელთა დასახასიათებლად საკმარისია ითქვას, რომ ისინი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ დედებს და თავიანთ წარმოშობას დედის და არა მამის სახით ითვლიდნენ. ლუკიელები წმინდად ინახავდნენ წინაპართა ხსოვნას. მათ კონტად განლაგებულ ქალაქის სიმაგრეებს გარს მჭიდროდ ერტყმოდა მიცვალებულთა საფლავები. მიცვალებულთა სიმშვიდის დასაცავად ქალაქის ახლომდებარე მთები სამარხ კატაკომბებად იყო ქცეული.

პლინიუსის მიხედვით, ლუკიაში ადრე 60 ქალაქი ყოფილა, მის დროს კი – 66. აქ საეპისკოპოსოთა რაოდენობა უდრიდა 28-ს, სხვა წყაროებით – 36-ს. რადგანაც მთელი ლუკიის ქვეყანა მცირე ზომისა იყო, საეპისკოპოსო ოლქებიც ერთობ მცირე გამოდიოდა. ეკლესიის ისტორიაში ლუკია შესანიშნავია იმით, რომ არიანული არეულობის დროს მან მტკიცედ შეინარჩუნა მართლმადიდებლობა.⁸²

მირა. ქალაქი მირა მთაზე იყო შეფენილი, სულ 4 კმ-ის დაშორებით ზღვიდან; ზღვაზე მას საკუთარი ნავმისადგომიც გააჩნდა. მე-11 ს-ში ქალაქი სარკინოზებმა გაანადგურეს. სვიდა მას ლუკიის „პატარა ადგილად“ იხსენიებს. გადმოცემა გვიამბობს, რომ მირას ნავმისადგომში გადმოსულა პაგლე მოციქული რომში გამგზავრების წინ. მე-4 საუკუნეში, არიანული შფოთის დროს მირაში ეპისკოპოსი იყო წმინდა ნიკოლოზი, სასწაულთმოქმედი. მღვდელმთავრის წმინდა ნაწილები მირაში 1087 წლამდე იმყოფებოდა, მაჰმადიანების მიერ ქალაქის დანგრევის შემდეგ კი გადააბრძანეს იტალიაში, საზღვაო ქალაქ ბარიში. ეს ქალაქი ბერძნებით იყო დასახლებული და ისინი დიდი ხნის განმავლობაში იცავდნენ

81 „ლუკია“ ბიზანტიური გამოთქმით „ლიკიად“ ჟღერს, ისევე როგორც „ლუკეიონი“ – „ლიკეიონად“ (რედ. შენ.).

82 ისტორიული ლუკიის ტერიტორიაზე დღეს არის თანამედროვე თურქეთის ანტალიისა და მუღლას პროვინციები (რედ. შენ.).

ბერძნულ წესჩვეულებებს.⁸³

პატარა. ლუკის მეორე მშვენიერ ქალაქს წარმოადგენდა პატარა. ლიფიუსის გადმოცემით, ის დიდი ქალაქი იყო, ნაგმისადგომითა და მრავალი ტაძრით. განსაკუთრებით შესანშნავი ყოფილა აქ აპოლონის საკურთხეველი, რომელიც დიდებით დელფოს ორაკულს უტოლდებოდა. სტრაბონი გვიამბობს, რომ ქალაქი პატარა პტოლემეუს ფილადელფოსს, ეგვიპტის მმართველს, გაუზრდია. მან ქალაქს არსენია დაარქვა, მაგრამ ეს სახელწოდება არ დამკვიდრებულა. პატარას ეპისკოპოსი მეთოდე (†310 წ.) ევნო აგრელიანეს დროს, მან დაწერა ნეოპლატონიკოს პორფირის შრომათა განქიქება. პატარა იყო წმ. ნიკოლოზის სამშობლო, ადგილი, სადაც მან დაიწყო მსახურება პრესვიტერისა და ეპისკოპოსის რანგში.⁸⁴

ციკლადის კუნძულში. კარიასა და ლუკის მახლობლად მდებარეობდა ციკლადის კუნძულები. სულ კუნძულთა რაოდენობა 19-ს აღწევდა. მათ შორის მთავარი იყო კუნძული როდოსი, პლინიუსის შეფასებით, ულამაზესი და თავისუფალი. კუნძულზე ბევრი ქალაქი იყო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც სტრაბონი გვიამბობს, ყოფილა ქალაქი როდოსი, რომელიც მდებარეობდა კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. როდოსელები გამთირჩეოდნენ ძალიან ზნეობით და განსაკუთრებული ყურადღებით საზოგადო საქმისადმი. მათ კუნძულზე იყო მშვენიერი ნაგმისადგომები და გზები. როდოსელები ხანგრძლივი დროის მანძილზე ბატონობდნენ ზღვაზე, ისინი მეგობრობდნენ ბერძენ და რომაელ მეფეებთან. კუნძული კეთილდღეობით ცხოვრობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, მაგრამ 667 წელს როდოსი დაიპყრეს სარკინოზებმა, მათ მიწასთან გაასწორეს კუნძულის ქალაქები და დაანგრიეს როდოსის კოლოსი – მზის ღმერთისადმი მიძღვნილი უზარმაზარი ქანდაკება, მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთი. ნაგმისადგომში აღმართული ეს ქანდაკება იმდენად ბუმბერაზი იყო, რომ მის ფეხებს შორის დიდ გემებს

83 უძველესი ქალაქი მირა დღევანდელ თურქეთში, ანტალიის პროვინციის ტერიტორიაზეა. ქალაქის ნანგრევებთან კილომეტრ-ნახევარში არის თანამედროვე პატარა ქალაქი დემრე. წმინდა ნიკოლოზი, ტრადიციისამებრ, მოიხსენიება, როგორც „მირონ ლუკის“ მთავარეპისკოპოსი. ეს შეცდომა არაა, რადგანაც „მირა“ მრავლობითის ფორმაა, რომლის მხოლობითიც არის „მირონ“ და მრავლობითის გენეტივშიც „მირონ“ ფორმა უნდა იყოს (რედ. შენ.).

84 უძველესი ქალაქი პატარა თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ანტალიის პროვინციაში, დღეს ნანგრევების სახით არის შემორჩენილი. მის მახლობლად არის თანამედროვე პატარა ქალაქი გელემიში (რედ. შენ.).

შექმლთ გაგლა. მე-13 ს-ში როდოსს მართავდნენ ბერძნები, მე-14 ს-სა და მე-15 ს-ის დასაწყისში – მალტის რაინდები, 1522 წ-დან კი კუნძული თურქების ხელში გადავიდა.

ეკლესია როდოსზე წმ. პავლე მოციქულმა დააარსა (საქმ. მოც. 21,1). მონოთეიზიტური ერის დროს ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე რომის პაპის წარმომადგენელი იყო კუნძულ კოსის ეპისკოპოსი იულიანე. სატმბრძოლობის პერიოდში, ლეონ ისავრიელის დროს, ციკლადის კუნძულების მოსახლეობა მტკიცედ იცავდა ხატთა თაყვანისცემას. მე-9 ს-ში ქალაქი როდოსი სასწაულებრივად გადაარჩა არაბთაგან წმინდა ნიკოლოზის ღოცვით.⁸⁵

პამფილია. ლუკიის აღმოსავლეთით მდებარეობდა პამფილიის ქვეყანა. პამფილიას, კერძოდ, უწოდებდნენ ვიწრო სანაპირო ზოლს ტავრის მთების სამხრეთ ფერდობებსა და ხმელთაშუა ზღვას შორის. ეს იყო მთიანი, ჩქარი მთის ნიაღვრებით დასერილი ქვეყანა, სადაც ცხოვრობდნენ სხვადასხვა ტომის ხალხები, მრისხანე ზღვის ყაჩაღები. პამფილიის საზღვარზე მდებარე ქალაქ ფაზელისის მეკობრეებმა გამოიფარეს პირველად მსუბუქი გემები, რასაც რომაელებმა ამ ქალაქის სახელი დაარქვეს. ამ ყაჩაღებს 1000 გალერა ჰყავდათ და მათი ძლიერება იმდენად დიდი იყო, რომ რომაელები იძულებულნი შეიქნენ, ფლოტი გაეგზავნათ მათთან შესაბრძოლებლად, და ეს ომი სამ წელს გაგრძელდა. უძველეს დროში პამფილიის ყურე ძალიან საშიში იყო. როდესაც მეზღვაურები ამ ადგილს უახლოვდებოდნენ, შიშით ზღვაში რაიმეს აგდებდნენ, რათა ზღვის მრისხანება დაეწყნარებინათ. არსებობს ლეგენდა, რომ იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნებისას დედოფალმა ელენემ უფლის ჯვართან ერთად მოპოვებული ერთი წმინდა ლურსმანი გადაავლო ამ მოუსვენარ ზღვაში. და მაინც, პამფილიას საკმაოდ დიდი საფაქრო და პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნდა. მდინარე კესტრუსი⁸⁶ და კატარაქტე იყო ერთადერთი ზღვის ნაპირისკენ მიმავალი გზა მთიანი პისიდიისა და

85 ციკლადის კუნძულები – 200-ზე მეტი კუნძულისგან შედგარი არქიპელაგი ეგეოსის ზღვაში. „კიკლადეს“ გარშემორტყმულს ნიშნავს, ასე მათ ეწოდა იმიტომ, რომ კუნძულები გარს ერტყმის კუნძულ დელოსს, რომელსაც უძველეს დროში დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნდა (რედ. შენ).

86 მდ. კესტრუსის თანამედროვე თურქული სახელწოდებაა აესუ – „თეთრი მდინარე“; ის სათავეს ტავრის მთებში იღებს, სიგრძით 162 კმ-ია, სიგანით – 100 მ, ხოლო სიღრმით – 3 მ. მდ. კატარაქტეს (ბერძნ.) თანამედროვე თურქული სახელწოდებაა დიუდენი, ის ცნობილია თავისი ჩანჩქერებით, დინების გარკვეულ მონაკვეთს მდინარე მიწის ქვეშ გადის. ამ მდინარეზეა თურქეთის ხმელთაშუა ზღვის უდიდესი ქალაქი ანტალია (რედ. შენ).

ლიკონისათვის. მოხერხებულ ვაჭრებს, სხვათა შორის იუდეველებს, ამ გზით გადაჰქონდათ სხვადასხვა საქონელი: ხე, ძელები, ზეთი, ტყავი, შალი და სხვ. კესტრუსი თავისი ტბებით ღრმად შედიოდა პისიდიაში და მოხერხებულ სანაოსნო გზას ქმნიდა.

პოლიტიკური თვალსაზრისით პამფილია მნიშვნელოვანი იყო რომაელებისთვის, რადგანაც ისაგრიელებისგან თავდასაცავ ბურჯს წარმოადგენდა. ქრისტიანული ეკლესია პამფილიაში პავლე მოციქულმა დააარსა. შემდგომში აქ 40 საეპისკოპოსო იყო. საეპისკოპოსოთა ასეთი რაოდენობა შეუფერებლად დიდი აღმოჩნდა პატარა ქვეყნისთვის, ამიტომ მათი რაოდენობა ნელ-ნელა შემცირდა, ლეონ ბრძენი მხოლოდ 36 საეპისკოპოსოს ახსენებს. არიანული კამათების დროს პამფილიის ეკლესია მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველად დარჩა.

ატალია. ქალაქი ატალია მდებარეობდა ხმელთაშუა ზღვის მშვენიერ ყურეში, მდინარე კატარაქტეს შესართავზე. მდინარე კატარაქტე გამოედინება ვეპერთელა კლდიდან ორ ნაკადად, დინების დროს მიწის ქვეშ ეშვება და ხმელთაშუა ზღვაში რამდენიმე ჩანჩქერით ჩადის. ქალაქი ატალია გაშენებულია დაქანებულ ფერდობზე, ნაყოფიერ ველებს შორის.

ქრისტიანული ეკლესია ატალიაში პავლე მოციქულმა და ბარნაბამ დააარსეს. აქ მე-2 საუკუნეში მოწამებრივად აღესრულნენ ესპერი, ზოია და მათი შვილები – კირიაკე და თეოდულე, დეციუსის მმართველობის დროს კი ევნენ ბაზია, დიოდორე, კონონი და კლავდიანე.⁸⁷

პერგა. ქალაქი პერგა იყო პამფილიის მეტროპოლია. მდებარეობდა მდინარე კესტრუსზე, ზღვის შესართავიდან დაახლოებით 12 კმ-ზე. პერგა ატალიაზე უფრო ხელსაყრელი იყო ვაჭრობის განვითარებისათვის მოხერხებული სამდინარო გზის გამო. ამას გარდა, პერგა ქალღმერთ დიანას წინდა ქალაქი იყო, ეფესოს მსგავსად, და რელიგიური თვალსაზრისით – მნიშვნელოვანი. ქრისტიანული ეკლესია პერგაში მოციქულებმა პავლემ და ბარნაბამ დააარსეს. ერთი მწერლის აზრით, მოციქულთა მსახურები-

87 თანამედროვე ანტალია, დიდი საკურორტო და საპორტო ქალაქი თურქეთის სამხრეთში, ანტალიის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი, მილიონამდე მოსახლით. გადმოცემით, ქალაქი დაუარსებია პერგამონის მეფე ატალოს ქრისტემდე 150 წ-ს, მის საპატრიარქოდ დაერქვა ქალაქს სახელი. „ანტალია“ კი მიგვიანო თურქული გამოთქმაა. დღეს ანტალია ორად – ძველ და ახალ ქალაქადაა გაყოფილი (რედ. შენ.).

სათვის განსაკუთრებული სირთულის გამო აქ პავლესა და ბარნაბას გამოყვანა მათი თანამგზავრი იოანე მარკოსი. იმპერატორ ანტონინუს დროს პერგაში ეწამნენ თეოდორე და მისი თანმხლებნი. ასევე იყვნენ მოწამეები პამფილის სვგა ქალაქებში – მაგუდოსსა (დაახლ. თანამედროვე ლარა – რედ. შენ) და სიდეში (დღეს ნანგრევებიაა შემორჩენილი, სოფ. სელიმიის ახლოს – რედ. შენ). დეციოსის დროს ეგნო მაგუდოსის ეპისკოპოსი ნესტორი, აგრელოანესა და დიოკლეტიანეს დროს კი იყვნენ წამებულები სიდეში. იოანე თქროპირის დროს ზღვისპირა ქალქ სიდეში ცხოვრობდა ფილიპე, საეკლესიო ისტორიკოსი.⁸⁸

ლიპონია. პამფილის ჩრდილოეთით მდებარეობდა ლიკონიის პროვინცია. ლიკონიის მთიანი ნაწილი, როგორც სტრაბონი ამბობს, იყო ციფი, შიშველი და მცირეწყლოვანი, მაგრამ ამ ოლქს ჰქონდა დიდი იალაღები და ურიცხვი ცხვრის ფარა იყო ამ ადგილს შეფარებული. ამიტომ ლიკონია მჭიდროდ იყო დასახლებული, ხალხი მეცხვარეობას მისდევდა და მდიდრდებოდა. ლიკონია მამაცი მთის ხალხის სამშობლო იყო. მცირე აზიის არც ერთ სვგა ადგილას ბუნება ასეთი ხელუნლებელი არ დარჩენილა. აქ არ იყო კულტურის უბრველესი პირობა – ბერძნული ენის გავრცელება, ვინაიდან ლიკონიაში დასახლებული ტომები ჯიუტად იცავდნენ ნაციონალურ კუთხურ მეტყველებას. როდესაც ამ ქვეყნის შესახებ ვკითხულობთ ციცერონთან და სტრაბონთან, გასაგები ხდება, თუ რატომ დასცილდა იოანე მარკოსი პერგაში პავლესა და ბარნაბას.

ქრისტიანული ეკლესია ლიკონიაში მოციქულებმა პავლემ და ბარნაბამ დააარსეს. აქვე მოღვაწეობდა მარიაშა, მოციქულ ფილიპეს და. საეპისკოპოსოთა რაოდენობა 19-ს აღწევდა, მაგრამ მე-8 ს-ში ლეონ ბრძენი 15 საეპისკოპოსოს ითვლის.⁸⁹

იპონია. ლიკონიის მთავარი ქალაქი იკონია, სტრაბონის სიტყვით, მჭიდროდ იყო დასახლებული, ხოლო მისი შემოგარენი უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე ქვეყნის სვგა ადგილები. იმპერატორმა კლავდიუსმა იკონია რომის კოლონიად სცნო და იქ რომაული გარნიზონი დააყენა, რათა ქალაქი ველური ისაგრიელებისაგან დაეცვა. ამის პარალელურად იკო-

88 პერგა დღეს ნანგრევებიაა ქცეული, ეს რაიონი შედის ქალაქ ანტალიის შემადგენლობაში (რედ. შენ).

89 ლიკონია იყო ვრცელი რეგიონი მცირე აზიის შუაგულში, ტავრის მთების ჩრდილოეთითა და კაპდოკიის დასავლეთით, ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრებოდა გალატეა, დასავლეთით კი – ფრიგია და პიხიდია (რედ. შენ).

ნიაში დასახლდა მრავალი იუდეველი. აქაურ იუდეველებს, საგარაუდოდ, ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ ტარსელ იუდეველებთან. ტარსი, პავლე მოციქულის სამშობლო, ტავრის მთების სამხრეთით მდებარე ქალაქებს შორის ყველაზე ახლოს იყო იკონიასთან. ციცერონის დროს იკონია და ტარსი კილიკიის მთავარ ქალაქებს წარმოადგენდნენ და კილიკიის პროკონსულებს ამ ორ ქალაქში მონაცვლეობით ჰქონდათ რეზიდენცია. შემდგომ პერიოდშიც იკონია ხშირად იყო მეტროპოლია ხან ისაფრიისა და კაპადოკიის, და ხან კი – პისიდისა და პამფილიის.

იკონიაში ეკლესია დააარსეს მოციქულებმა პავლემ და ბარნაბამ. იკონიელ ქრისტიანთა შორის ცნობილი არიან პავლე მოციქულის მოწაფეები სოსიპატრე და თეკლა პირველმოწამე. შემდეგ აქ იყვნენ წამებულები აფრელიუსისა და დიოკლეტიანეს დროს. უკანასკნელი დევნისას აქ ეგნო წმინდა დიდმოწამე პარასკევა. იკონიის ეპისკოპოსთა შორის იყო თეოდორე, რომელმაც აღწერა კვირიკესა და იგლიტას წამება, და ამფილოქე – ერესებთან მებრძოლი. მას ბასილი დიდმა არაერთი წერილი გაუგზავნა. იკონია მდებარეობდა კაპადოკიის კესარიასთან ახლოს.⁹⁰

ლისტრა. ლისტრა იკონიის სამხრეთით, 8 საათის საგაღზე, ისაფრიის საზღვართან მდებარეობდა. აქაც იქადაგა პავლე მოციქულმა და კოჭლი განკურნა. როდესაც იქაურმა წარმართებმა იხილეს ეს საოცრება, გადაწყვიტეს, პავლესა და ბარნაბასთვის, როგორც ღმერთებისთვის, მსხვერპლი შეეწირათ. ლისტრა მთლიანად წარმართული ქალაქი იყო, აქ ძალიან ცოტა იუდეველი ცხოვრობდა და მათ სინაგოგაც არ ჰქონათ. ამ ქალაქში იუდეველთა პატარა ჯგუფიც კი არ იყო, რომელიც მხარს დაუჭერდა ანტიოქიიდან და იკონიიდან მოსულ იუდეველებს პავლე მოციქულისთვის ხელის შესაშლელად. ამიტომ მათ იმ ხალხს მიმართეს, რომლებიცს პავლესა და ბარნაბასთვის მსხვერპლის შეწირვას აპირებდნენ. ლისტრადან იყო წარმოშობით პავლე მოციქულის თანამგზავრი ტიმოთე, რომლის მამა წარმართი იყო, დედა კი – იუდეველი. ლისტრას პირველი ეპისკოპოსის პატივი წმ. არტემიოსს ხვდა წილად.⁹¹

90 იკონია – თანამედროვე კონია, თურქეთის სიდიდით მეშვიდე ქალაქი ცენტრალური ანატოლიის რეგიონში (რედ. შენ).

91 ლისტრა მდებარეობს თურქეთის მერამის პროვინციაში. ისტორიული ლისტრა დღეს ნანგრევების სახით არის შემორჩენილი, მის ახლოს არის სოფელი, სახელწოდებით კლისტრა, რომლის მუზეუმში შესაძლებელია ლისტრას არტევაქტების ნახვა (რედ. შენ).

ღმრბმ. ქალაქი დერბე მდებარეობდა ლისტრასთან, მთების სიდრმე-ში, პისიდის ანტიოქიასთან. ეს ქალაქი ერთხანს კილიციების – მთიელი ტომის დედაქალაქი იყო. ისინი დიდი ხნის მანძილზე არბევდნენ „კილიკიის კარობჭეს,“ ანუ დიდ ზიანს აყენებდნენ ტარსის გაჭრობას. შემდგომში დერბეს ხან პისიდას, ხან ლიკონიას და ხანაც ისაგრიას აკუთვნიებდნენ.

ეკლესია აქ პავლე მოციქულმა დააარსა. დერბეში დაიმოწაფა მოციქულმა პავლემ გაიონი, რომელსაც „საქმე მოციქულთას“ მწერალი დერბელს უწოდებს (საქ. მოც. 20,4).⁹²

პისიდია. ლიკონიის გვერდით, პამფილიის ზემოთ, მდებარეობდა პისიდის ქვეყანა. პამფილიიდან ამ ქვეყანაში გზა ვიწრო და ბნელი გვირაბით შედის. პისიდია მაღალმთიანი ქვეყანაა, აქ უამრავი ტბაა, რომელთა შორის უდიდესია ბურდურის ტბა. მისი წყალი მარილიანი და მომწართა, მაგრამ კამკამა და წყნარი და სარკესავით ირეკლავს გარემოს უსიცოცხლო გორაკებს. ამ ქვეყნის აღწერისას ნოროვთან ზშრად ვხვდებით ასეთ სტრიქონებს: „ჩვენი გზა დიდხანს მიუყვებოდა ტბის ნაპირებს, ჩვენ წინ მთები აღმართულიყო, ... როდესაც იქიდან გამოვედით, თვალწინ ახალი ტბა გადაგვეშალა, მის ნაპრზე ერთი საათი ვიარეთ .. მთიდან მარჯვნივ მომცრო ზომის, მესამე ტბა მოჩანდა. მეორე დღეს მივადექით მთებში მოქცეულ მშვენიერ ტბას. ამ ტბის წყალი მტკნარია, მაგრამ მისი ნაპირი მრავალ ადგილას თეთრი ნალექით ელვარებს.“

პისიდია დასახლებული იყო თავისუფალი, მამაცი, ყაჩაღობისადმი მიდრეკილი ხალხით. მათ ჰქონდათ მთავარი ქალაქი და რამდენიმე დასახლება, რომლებიც მაკედონიურად არის მიჩნეული.

პისიდიაში ეკლესია დააარსა პავლე მოციქულმა. მე-7 საუკუნეში (610-698) ცნობილი იყო ვიორგი პისიდა, კონსტანტინოპოლის დიაკვანი, რომელმაც დაწერა ღმრთისმშობლის დაუჯდომელი.⁹³

ანტიოქია. პისიდის ანტიოქია, სტრაბონის აღწერით, მდებარეობდა ნაწილობრივ მთებზე და ნაწილობრივ – დაბლობშიც. აქ იყო უძველეს დროში დიდი სიმდიდრით ცნობილი, აზიის მთვარის ღმერთის, მენის,

92 ისტორიული დერბეს ზუსტი ადგილმდებარეობა დაადგინეს 1956 წ-ს, წარწერების საფუძველზე: თურქეთის ქალაქ ქარამანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 22 კმ-ზე (რედ. შენ).

93 ისტორიული პისიდის ქვეყანა თანამედროვე თურქეთის ანტალიის პროვინციაშია მოქცეული. რაც შეეხება „ღმრთისმშობლის დაუჯდომელს,“ მის ავტორობას ბევრ ბიზანტიელ მოღვაწეს მიაწერენ, როგორებიცაა: ვიორგი პისიდა, კონსტანტინოპოლის პატრიარქები სერგი და გერმანე, რომანოზ მელლოსი (რედ. შენ).

საკურთხეველი. როდესაც ანტიოქის იძულებული გახდა, მცირე აზია რომაელებისთვის დაეთმო ტავრიის მხრიდან, ამ ახალმა დამპყრობლებმა ანტიოქია თავისუფალ ქალაქად აღიარეს. ავეუსტუსის დროიდან ქალაქი რომაელების კოლონიად გადაიქცა, სახელწოდებით – კესარია. ამ დროიდან მოკიდებული, ანტიოქიის მონეტებზე იყო წარწერა Col. Caes. Antiochiae. რომაელი ვეტერანების მფარველობით ანტიოქიაში დასახლდნენ იუდეველები, ჰქონდათ თავიანთი სინაგოგა და, უეჭველია, ენერგიულად ვაჭრობდნენ: საქონელს სამდინარო გზებით პერგასა და ეფესოში აგზავნიდნენ. ეკლესია ანტიოქიაში დააარსა ბავლე მოციქულმა. დიოკლეტიანეს დროს აქ რამდენიმე ქრისტიანი ეწამა.⁹⁴

ზილომელია. ქალაქი ფილომელიაც პისიდიაში მდებარეობდა. ეკლესიის ისტორიაში ის ცნობილია იმით, რომ აქ, როგორც ევსევი კესარიელი მოგვითხრობს, შეიტყვეს სმირნელმა ქრისტიანებმა პოლიკარპეს გარდაცვალებისა და მარკუს აგრელიუსის მიერ ქრისტიანთა დევნის ამბავი.

თრაკიის დიოცეზი

თრაკიის დიოცეზი, ქალკედონის კრების 28-ე კანონის მიხედვით, ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. ტერიტორიულად ეს დიოცეზი შეტად მცირე იყო და ეკლესიის ისტორიაში თითქმის არაფრით ყოფილა გამოჩენილი. შეიძლება ითქვას, რომ მთელი საბერძნეთი და ბალკანეთის ნახევარკუნძული არ შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. თრაკიის დიოცეზი კი, რომელიც დაქვემდებარებული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, მდებარეობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და მარმარილოსა და შავი ზღვის ნაპირზე. დიოცეზში შედიოდა მხოლოდ ექვსი პატარა პროვინცია: ევროპა, თრაკია, ჰემიმონტი, როდოპი, სკვითეთი და ქვედა მიზია. ეკლესიის ისტორიაში პირველი სამი საუკუნის განმავლობაში არსად არის ნახსენები ამ პროვინციების ეკლესიური ცხოვრების შესახებ.

94 სირიასა და მცირე აზიაში თექვსმეტამდე ქალაქი ატარებდა ანტიოქიის სახელს. პისიდიის ანტიოქია ფრიგიის ანტიოქიადაცაა ცნობილი. ეს ქალაქი დღეს არქეოლოგიურ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, მდებარეობს თურქეთის ტბების რაიონში, თანამედროვე ქალაქ იაღვანიდან ჩრდილოეთით, 1 კმ-ში (რედ. შენ).

მხოლოდ მე-4 საუკუნიდან ზოგიერთი მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი დებულობს მონაწილეობას ეკლესიის ცხოვრებაში.

მპროკპა. პროვინცია ევროპა მოცულობით ძალიან პატარა იყო, მაგრამ მასში შედიოდა ქალაქი კონსტანტინოპოლი და ორი მიტროპოლია ჰერაკლეასა და გიზაში, და 19 საეპისკოპოსო.

ჰმრპკლშა. ქალაქი ჰერაკლეა მდებარეობდა მარმარილოს ზღვასთან, თითქმის ქიზიქის პირდაპირ. ვარაუდობენ, რომ პირველი ეპისკოპოსი აქ იყო აპელიოსი, რომელსაც მოხსენიებს პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (რომ.16,8 – კითხვად არქუთ ამჟღავნებს). ჰერაკლეას მეორე ეპისკოპოსი დომეტიოსი მე-2 ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა, ანტონინე პიუსის დროს; ხოლო მესამე, ფილიპე, აწამეს დიოკლეტიანეს დროს. ჰერაკლეის მიტროპოლიტები თრაკიის დიოცეზს განაგებდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ამაღლებამდე; ბიზანტიის ეპისკოპოსიც მათ ექვემდებარებოდა.

თრაპნია. თრაკიის პროვინცია მდებარეობდა ევროპის პროვინციის დასავლეთით, ზღვისგან მოშორებით. მიტროპოლიის გარდა მას სულ ცნრა საეპისკოპოსო გააჩნდა.

ფილიპოპოლისი, თრაკიის მიტროპოლია, სამ მთაზე იყო განლაგებული, და ამიტომ უწოდებდნენ ტრიმონტიას. ფილიპე მაკედონელმა აღადგინა ეს ქალაქი და დაასახლა აქ ფოკიელები, რომლებმაც გამარცხეს დელფოს ტაძარი და ქალაქს უწოდა პონეროპოლი (ბოროტების ქალაქი), მაგრამ მცხოვრებლებმა ქალაქს ფილიპოპოლისი დაარქვეს.

ქალაქის პირველი ეპისკოპოსი იყო ერმი, რომელიც მოხსენიებულია რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (16,14). შემდეგი ეპისკოპოსი უკვე არიანული არეულობის დროს არის ნახსენები. 343 წ-ს იმპერატორმა კონსტანციმ, რომელიც მართავდა აღმოსავლეთს, და კონსტანტიმ, რომელიც მართავდა დასავლეთს, გადაწყვიტეს, მოეწვიათ საერთო კრება და გაერჩიათ წმ. ათანასე ალექსანდრიელისთვის წაყენებული ბრალდება. კრება შედგა სარდიკაში (ახლანდელი ქსოფია), ორივე ძმის მამულების საზღვარზე. ეპისკოპოსთა რაოდენობა იყო 170, კრებამ გაამართლა ათანასე, მაგრამ არიანელმა ეპისკოპოსებმა დატოვეს კრება, ფილიპოპოლისში მოიწვიეს თავიანთი კრება და დაგმეს ათანასე. მათ მხარს უჭერდა კონსტანცი, კონსტანტი კი – პირველთ. იულიანეს დროს 39 ადამიანი აწამეს. მე-12 ს-ში ფილიპოპოლისში დასახლდნენ პავლიკიანელები და

ბოგომილები, მოგვიანებით ისინი გადავიდნენ დასავლეთში.

ჰემიმონტი. პროვინცია ჰემიმონტი მდებარეობს ეგრეთხის პროვინციის ჩრდილოეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, მთიან ქუჩებში, საიდანაც მიიღო ეს სახელი: ჰემუს – ჭიუხი, მონს – მთა. როგორც პროვინციამ, რაიონმა მოგვიანებით შეიძინა მნიშვნელობა თეოდოსი უფროსის დროს. მიტროპოლიის გარდა, აქ კიდევ 11 საეპისკოპოსო იყო.

ადრიანოპოლისი – ჰემიმონტის მეტროპოლია. ეს საგაქრო ქალაქი ზღვიდან მოშორებით, თეფზეთ მდინარე მდინარე გაბრზე მდებარეობდა, რომელიც ამჟამად მორიცად არის ცნობილი. აქ ბევრი იუდეველი ცხოვრობდა. ქალაქმა სახელწოდება მიიღო იმპერატორ ადრიანეს საპატივცემულოდ, რომელმაც ის აღადგინა. ამ ქალაქის მახლობლად კონსტანტინე დიდმა დაამარცხა ლიკინიოსი 323 წ-ს. ადრიანოპოლისის ეპისკოპოსები მე-4 საუკუნიდან გახდნენ ცნობილნი. პირველი მათგანი იყო ევტროპი, რომელსაც ქებით მოიხსენიებს ათანასე ალექსანდრიელი. მე-9 საუკუნეში, 812 წ-ს, ეპისკოპოსი მანუელი ტყვედ ჩაუგარდა ბულგარელებს და მან ბულგარეთში იქადაგა ქრისტიანობა. ადრიანოპოლისა და ჰემიმონტის ბევრი სხვა ეპისკოპოსიც იგვემეტოდა ბულგარელთა მიერ, მაგრამ ისინი ცდილობდნენ მათ გაქრისტიანებას.

როლოპი. თრაკიის დიოცეზის უკიდურესი სამხრეთის პატარა პროვინცია იყო როდოპი, რომელიც მდებარეობდა მარმარილოს ზღვის სამხრეთში; სახელწოდება ამავე სახელის მქონე მთის მხედვით მიიღო. აქ იყო მიტროპოლია და 14 საეპისკოპოსო.

ტრადიანოპოლისი. ქალაქი ტრადიანოპოლისი იყო როდოპის მეტროპოლია, რომელიც აავთ იმპერატორმა ტრადიანემ. მას მესამე ადგილი ეკავა პროვინციის ქალაქებს შორის. ტრადიანოპოლისის ეპისკოპოსები არიანული კამათების დროიდან არიან ცნობილნი. მე-16 ს-ში ქალაქი დაინგრა და მიტროპოლია გადაიტანეს მერინგოში.

მცირე სკვითია. სკვითიის პროვინციას ძალიან პატარა ტერიტორია ეჭირა – შავ ზღვასა და მდინარე დუნაის შავ ზღვაში შესართავამდე. იქ იყო მხოლოდ ერთი საეპისკოპოსო – ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ტომში. ტომის ეპისკოპოსები ცნობილნი არიან მე-3 ს-ის დამლევადან, ისინი ატარებდნენ არქიეპისკოპოსის ტიტულს. მათ შორის გა-

მორჩეულნი არიან: ბრეტანიოსი, რომელმაც არიანული შფოთვის დროს განსაკუთრებულად დაიცვა მართლმადიდებლობა, და თეოტიმე, რომელმაც კონსტანტინოპოლში წმ. ეპიფანე კვიპრელის წინაშე გამოთქვა აზრი ორიგენეს თხზულებათა შესახებ. „ორიგენეს ნაწერები ბაღია, სადაც ყვავილებიცაა და ეკალიც. ეკალი უნდა ამოვიძირკვო, მაგრამ მათ გამო მთელ ბაღს როდი გაგანადგურებ.“ საერთოდ, ის განსწავლული ეპისკოპოსი იყო და დიდი სახელით სარგებლობდა არა მხოლოდ თავის მრევლში, არამედ – წარმართ ჰუნებთა შორისაც, რომლებიც მას „რომაელების ღმერთს“ უწოდებდნენ.

ქალაქ ტომის უკანასკნელი ეპისკოპოსი ესწრებოდა V მსოფლიო კრებას. ეს ქალაქი ახლა აღარ არსებობს და მთლიანად მივიწყებულია, ზოგიერთი მკვლევარი მას ტიმიშოარასთან⁹⁵ აიგივებს, ზოგიც – კიეფთან.

პროპნინა ძველა მიზია მდებარეობდა დუნაიზე, შავ ზღვასთან ახლოს, ჰემიმონტსა და მცირე სკვითიას შორის. ეს პროვინცია შესაძლებელია ბუღგარეთად იქნეს მიჩნეული. მარკიანოპოლისის ძველი მიტროპოლიის გარდა აქ კიდევ 13 საეპისკოპოსო იყო. მათგან შემდგომში ტერნოვოს საეპისკოპოსო იქცა მიტროპოლიად ნაცვლად მარკინოპოლისისა. ძველად მიზიაში ცოტა საეპისკოპოსო იყო.

მარკიანოპოლისი ანუ პრესლავა. ქალაქმა სახელწოდება იმპერატორ ტრაიანეს დის, მარკიანეს, სახელიდან მიიღო. ეპისკოპოთა რიგი აქ ნიკეის კრების დროიდან იწყება.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მნიშვნელობა მე-8 ს-ში, ლეონ ისაგრიელის დროს გაიზარდა. მაშინ მას მიემატა საბერძნეთი (მაკედონია, თესალია, ორი ეპირი – ახალი და ძველი, აქაია და კუნძული კრეტა), ასევე კუნძული სიცილია და იტალიის კალაბრია, მეცხრე საუკუნიდან კი – იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთის უმეტესი ნაწილი – აპულია (სადაც არის ქ. ბარი), ხოლო ჩრდილოეთიდან საპატრიარქო გაიზარდა ქრისტეს რწმენით განათლებული სლავური მხარის წყალობით.

95 ტიმიშოარა – რუმინეთის სიდიდით მესამე ქალაქი (რედ. შენ.).

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

გამომცემლობა

2017

**კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი
შორენა ფარქოსაძე**

თბილისის სასულიერო აკადემია

გართლგადიდებელი ეკლესიის აღმოსავლეთის
საკატრიარქოები (IX საუკუნემდე)

რედაქციის მისამართი:
თბილისი, სიონის ქ. №13/40.

E-mail: gamomcemloba@mail.ru

Address of editorial Board:
13/40, SIONI STR. TBILISI.

ღაიბეჭდა

გამომცემლობა „მერიდიანში“
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
ტელ.: 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com